114
1928

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

## 2

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1928

ი. სტალინი

სკკპ. კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ-ს გენერალური მდივანი

წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მანიფესტი

## 2

ყოველთვიური მხატვრულ ლიტერატურული
მეცნიერულ პუბლიცისტური ჟურნალი

413
15919

წელიწადი მეხუთე

თბილისი

საახალგაზრდა კომუნისტების
ცენტრალური
ბიბლიოთეკა

ფოთი 1928

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მხატვრული ლიტერატურა

სიმონ ჩიქოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სამოქალაქო ომებიდან

დონზე ყაზახნი,—ვით ქოხები შავი ნაბდებით;
შემდეგ ადესა – მეომრების გზა ჯვარედინი;
ქონდათ ბრძოლები კროტოვსკიდან ბუდიონამდე
დამარცხდა ჯარი ვრანგელის და კალედინების.
როგორც ზღვაური, როგორც კოხი ადგენ გლეხები
კომბლით, ნაჯახით მიაოეკეს მტერი იალტას
და ისტორია სიმართლეზე გადატეხილი
წითელ რაზმების ეაზნებისკენ შემოტრიალდა.
მოსკდა ციმბირი. გაეკიდა ყინვის მინდორებს
ველებს კიოდა გასროლილი ტყვიის რკოები.
იხსნეს საჩქაროთ, წითელ-ჯარის ნაჭედ ტორებმა
დიდი სოფლები, დარბეული ანენკოვების.
როგორც ხროტინი—როგორც ყვავი – ტყეც-კი ჩხაოდა.
ტბაც-კი ღმუოდა გადამჭრელი უკან გზებისა,
კვნესა ისმოდა დაჭრილების სასაფლაოდან
და აქ კარგავდენ გასაღებებს ქალაქებისას.
ნამტრევ ვაგონებს. მღოლავ თეთრებს. დროის ყაჩაღებს.
ფხეკდენ წითლები. თითქოს ქონდათ წარღვნა მწერების,
და მნათობებიც ჩამოთლილი ნაჯახებიდან
დარჩა ლაშქრობის ნაბიჯებით გადაწერილი.
შავი ზღვის ნაპირს გასაწმენდათ მიდგა კრატოვსკი
ალი ავარდა თივისა და ჩალის კვამლებით
და ხომალდები დატვირთული თეთრი მასკებით
სტამბოლისაკენ გაეშურნენ აკივლებული.
ზეცა თუნუქის იკეთებდა კბილებს ტყვიებით
ხსნიდა ეზოებს, მდინარეებს გზებს და ბილიკებს,
მობრუნდა ხალხი გენერლებით მოტყუებული
და შეუერთდა მძლე მხედრობას ბოლშევიკების.
შედგა არმია ამ ომებში გამოკალული
დროშა მუშების. მშრომელების რკინის ჯებირი.
და საბჭოების მოქმედებით შექმნილ რკალებზე
დადგა მტკიცეთ და შეურყეველ დარაჯებივით.

ნ. ზუმლეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქტომბრის დარაჯი

ოქტომბრის მზეს რომ სუსხი მოსდევდა,
მე ვიშვი მაშინ; იდგა ზამთარი;
ქარბუქი თოვლში მიდამოს ჰხვევდა
და შეშლილივით სიოდა ქარი...
ყორნები, მხრებზე თეთრი ბუმბლებით,
ცივს მიდამოში ყიოდენ მკაცრად!
ცა იჯორგოდა ლეგა ღრუბლებით
და მოცვივოდა ცეცხლად და ნაცრად...
მე ვიყავ ნორჩი, მაგრამ ზღაპრულად
მიმძლავრდებოდა ტვინი და ტანი...
და ირგვლივ რკალზე ჯავშან-გაკრულად
მტერს თავზე რისხვაც გადავაწანი!..
პიტერთან მქონდა მკაცრი გამოცდა,
მოსკოვთან—საფრთხე, სასტიკი მეტად,
ყაზანიც, ტულაც, სამარაც მომწვდა,
ზღვაც—პერეკოპთან, გრიგალის სვეტად!
ჩემს რკინის რიგებს ვერ გაუმკლავდა:
იქით—კოლჩაკი, აქეთ—ვრანგელი,
სანამ უკვალოდ არ გადაშავდა
შავი ზღვის ველზე მძრწოლავი მგელი!..
ახლა იარებს ვიშუშებ ტანზე!
ახლა რიგები გავსჭედე ჯავშნით!
მტერი თუ კიდევ მოგვადგა ბანზე,
მერწმუნეთ, ცასაც კი ნალმად ავშლით!
და გავწვიმდებით ცეცხლის შრაპნელად,
და გადვიქცევით მტრის თავზე გრგვინვად,
თორემ მანამდის გვიცნობენ ძნელად,
რა გვიდევს აზრად ან გულით ვინ ვართ?!
ოქტომბრის ცეცხლსა და სუსხში ვიშვით,
გვმოსდა თუ გვეგო ცივი ფარაჯა;
ჩვენს წინ მჩაგვრელნი გარბიან შიშით,
ჩაგრულთ ვუდგავართ ერთგულ დარაჯათ!..

ვიქტორ გაბესკირია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დღეები სოფლად

## ზამთარი

მე ისევ აქ ვარ... კვლავ სოფელი მოვინახულე.
მო.მაგონდება ის დღეები მუდამ მართალი;
როს ნოემბრიდან—უკანსკნელ გაზაფხულამდე
სციოდა თითქოს და თმათეთრი იდგა ზამთარი—
ის იწვა ვგონებ ჩვენი ღელის დახრილ ლოდებთან.
ასე მითხრეს და მეც მაკრთობდა მოხუცთან მისვლა...
როცა დასთვლემდა—ცას ღრუბლები მოედებოდენ
და ჩვენს გაძარცულ ბილიკებზე არხევდა ნისლებს.
მე მაგონდება დედოფალი—და ერთი სიტყვით
ვგონებ ფერია... სულ ერთია არხევდა მკლავებს;—
ამოვიდოდა ღრუბლებივით ფიჭვების ტყიდან
და სათითაოთ დააძრობდა ცაზე ვარსკვლავებს.
რისთვის ან რატომ ეცემოდა ღამე შარაზე
ამაზე თითქმის მოგონება არაფერს ამბობს.
როცა ვიგონებ იმ დღეების დროს და სიშორეს
თვალიდან რაღაც უცნაური ღამე ამომდის
მაგრამ მერე რა?—ეხლა ღამე გულს ვერ ამძიმებს
ვკითხულობ წიგნებს ქარხნების და ბრძოლის შესახებ...
ასე მგონია გასართობად მესვრიან მძივებს
როცა ფანჯრებთან ქარი ნაძვის ტოტებს შეარხევს.
რისი ფერია... რა ფერია... რისი ცისკარი!!...
სოფლის ღამეო პირში უნდა გითხრა მართალი:
ჩვენ ყველამ მკერდზე დღეს ისეთი ცა გავიკარით—
რომ არ ვიცით რაა ზამთარი.

## ტყეში

ღამეა. ისევ მივყვები ბილიკს
მეცემა ჩრდილი ღრუბლების, ტყის.
ვიცი ეს მიწა სულს დამირბილებს
და ეს სიჩუმე—სიჩუმით მეტყვის:
„აქ ხომ ღამეა და თითო შიში
ტყეში წაქცეულ ბოლმის ლანდია...
ასეთ მიუვალ უდაბურ ტყეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეხლა ჭინკებიც ვეღარ დადიან.
ასეთ სიჩუმეს წელში მოხრილი
მუხის ტოტებიც ვერ აიტანენ".
„სტყუი"—ვიყვირე, და ეს ძახილი
ხევიდან-ხევზე გადავიტანე.

## ხესთან

მახსოვხარ. იდექ ამაყი და ტოტებ გაშლილი
შენ ჩემს ბავშობას ამხნევდი და ახელებდი...
მახსოვს რამდენჯერ ნიაღვარში წამომეშველე
და შემომხვიე ფოთლიანი შენი ხელები.
მოვრბოდი შენკენ სიხარულით თვალებ დამწვარი;
რამდენჯერ ჩემი სიყვარული შემოგიჩრდილავს...
რამდენჯერ თვალში ჩამდგომია ნამი და ცვარი
როს გეხვეოდა ფუტკარივით მაისის დილა.
ეხლა ბავშობა მე სრულებით არ მიფიქრია
(არც ეს გულია ღრუბლების და ცათა კრებული)
მაგრამ ფესვები ბავშობაში რომ დამითლია
რათ არის ასე დამწვარი და ჩაფიქრებული?..
მოვედი შენთან, მაგრამ გრძნობ რომ უფრო სხვა ვინმე
სდგეხარ შენ ისევ ამაყად და განმარტოებით...
მე მაინც მინდა შენს ჩრდილების მახლობლად ვიდგე—
ვზვერო ცასავით გადაშლილი შენი ტოტები—
მაგრამ უნდა ვსთქვა: ვდგევარ შენ წინ გრძნობა გამშრალი
რადგან ტოტები შენზე უფრო მაქვს დარხეული...
ეს გულიც ხშირად ჭანდარივით გაიშრიალებს
ფოთლით კი არა—სიხარულით შემოხვეული.

კონსტანტინე ლოგთქიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საჩივარი

ამა წლის დამდეგს, ამა თვის ამდენში
მე, ასკანელი სოლომონ ბუაძე—
სიმინდს ვამოროდებდი ჩემს საყანეში,
რომელიც სატურე ჭალის შუა ძევს.

ექვსი ვაკაცი განიერ მხრიანი
გაშლილ მკლავებით ვერ შემოწვდებიან—
ზედ ჩემ საზღვართან იმ სისხო ჩინარი
დგას და—ვინ იცის რამდენი წელია.

ჯერ კიდევ პაპაჩემს დიდი ქორწილი
შეუჭამია აქ მარიობას:
ამხელა ყოფილა, ასე ტანმორჩილი
როცა დაუმკვიდრდა ჩვენს გვარიშვილობას.

გარდა ამისა, სულ მთავარ ტოტებს
მოუქცევია პირი ჩემს ლობისკენ:
წესით ჩემია, თუ ამას ვტყუოდე
ხვალ დავარდნილი გენახო ლოგინზე.

როცა მზე დააჭერს და პაპანაქება
სიცხისგან, ყანაში სული წაგივა
ფეხებ მორთხმული ჩინართან დაჯექ და
ჩრდილი გსურს, სიო გსურს... ინატრე რაც გინდა.

მაგრამ ხომ იცით მოშურნე თვალები
სოფელში ბევრია, ვერ დაემალები.

და როგორც ზემოთ აღვნიშნე—დღეისსწორს,
როცა ვამოროდებდი სიმინდს ყანაში,
ჩემმა მეუღლემ ჩინართან შეისწრო
ნაჯახით ხელში გიგო ჯანაშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ხარბი კაცია, სადაც არ გაიარს
მუდამ ეჩოსაევით თავისკენ მიითლის.
ხალხს აგულიანებს:—ფიცრებათ კარგია
და უნდა მოვჭრათო კოოპერატივისთვის.

რას მერჩის. მიწა და ლუკმა პური აქვს,
უწინდელივით ხომ აღარ მათხოვროობს!
რათ არ მასვენებს მაგ მართლა ურია,
თითონაც იცხოვროს და მეც მაცხოვროს.

მამაშვილურად როგორც ახალგაზრდას
გთხოვთ, ჩამორთმეული ყანა იჯეროთ—
და მე თუ არა, ათად და ათასად
ლმერთი გადაგიხდის საშაგიეროს.

ბოლოს კი, შენა ხარ ჩემი ბატონი—
ის უნდა მეთქვა—ცხრაას ხუთ წელში,
როცა მოგრიალდა ალიხანოვი,
ჩვენც ვატრიალებდით ბერდენკას ხელში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სამშობლო

ძველი, ნაცნობი ადგილები ისევ მხვდებიან,
შორი ბავშობის სურათები წინ მეშლებიან.
აქ ეწეოდენ წინაპრები გარყვნილ ცხოვრებას,
ძალმომრეობას, აღვირახსნილ ლოთობას, ვნებას.
ყმები, რომელნიც ძლივს იტანდენ თავის მონობას,
შურით უცქერდენ ბატონების ძაღლების ყოფას.
აქ დავინახე მე პირველად ქვეყანა ტკბილი,
აქვე ვისწავლე სიყვარული და სიძულვილი.
აქ სინიდისი დამიმალავს მე სამარცხვინოდ,
და მემამულე უდარდელი ვყოფილვარ წინად.
ჩემი ოცნება წაიბილწა აქ ნაადრევად,
ქვემძრომ ვნებების თავიდანვე გახდა სათრევად.
არა ბავშური სურვილების მე ცეცხლი მწვავდა,
ტრფობის განთიადს ეს ხანძარი ნაკლებად ჰგავდა.
ო, მოგონება სიჭაბუკის არის ცნობილი,
როგორც შვენება სპეტაკი და კეთილშობილი.
ჩემი ხსოვნა კი აღსავსეა ჭმუნვით, გოდებით,
ვწყევლი საზიზღარ ჭაბუკობას გაბოროტებით.
ჩემს წინ ბაღია, ხეივანში გამოჩნდა სახე,
იგი მკრთალია, სევდიანი და მოცახცახე.
მე კარგად ვიცი, რად ქვითინებ შენ, ჩემო დედა!
შენი ჯალათის—დამღუპველის დაგმობას ვბედავ.
უგულო ჯალათს ჩააბარე შენი იღბალი,
და მორჩილების ვერ გაწყვიტე ჩვეული რკალი.
შენ ამბოხება უძნელესი ტვირთი გეგონა,
ბედს უსასტიკესს შეურიგდი შენ, როგორც მონა.
მაგრამ არ იყო შენი სული უვნებო ლეში,
ის იყო მტკიცე, მშვენიერი სიამაყეში.
თუ აპატიე სიკვდილის წინ ჯალათს ჩურჩულით?
მაგრამ არ იყო პატიების ღირსი ურჯულო.
და შენ, რომელმაც ბედშავ დედის გაიზიარე
ცრემლები, ტანჯვა და ყოველი მისი იარა,
შენ აღარა ხარ—ჩემი სულის ძვირფასო დაო,
შენ მიატოვე გარყვნილების სახლი, ბედშავო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან სირცხვილით მამის სახლში მუდამ იწვოდი,
გაჰყევი ცოლად კაცს, რომელსაც არც-კი იცნობდი.
საკუთარ დედის გაიარე გზა ეკლიანი,
იყავ კუბოში დაღვრემილი და ნისლიანი.
ისეთი იყო მკვდარ სახეზე შენი ღიმილი,
რომ თვით ჯალათმა იგრძნო სევდა და სიმძიმილი.
დაკეტილია ნაცრისფერი და ძველი სახლი,
არ სჩანს ჯამბაზი, მსახურები, ქალები, ძაღლი.
წინად რა იყო? ყველას შიში ველური სდევდა,
დიდს და პატარას აწუხებდა რაღაცა სევდა.
ვიმალებოდი გადიასთან. ჩემო გადია,
ჩემს გულის ხსოვნას შენისთანა ვინ აბადია?
მე ხშირად მისი მაგონდება ტკბილი სახელი,
როგორც ბავშობის უცაბედი გამოძახილი.
მე ხშირად მისი მაგონდება ნაზი ალერსი,
მაგრამ ბევრი რამ მაგონდება მე უარესი.
გული მევსება ბოღმით, სისხლით, ცეცხლის ალებით,
ჩემი ბავშობა იყო სავსე მხოლოდ წვალებით.
მე არ მქონია მოგონება ნათელი, კარგი,
მაგრამ ბავშობის საშინელი, წყეული ბარგი
სულს ამძიმებდა და აქამდე მომყვა ხუნდები.
წარსულო ჩემო! ნურასოდეს ნუ დაბრუნდები!
ირგვლივ მე ზიზღით ვიცქირები და მიხარია,
რომ ძირში მოჭრეს ტყე მაღალი დიდი ხანია,
ფოთლების ჩრდილში ვერ ისვენებს ახლა ქვეყანა,
ჯოგი ამაოდ ხეტიალობს, მკვდარია ყანა.
წყარო ამოშრა. სილაჟვარდე მხოლოდ ცაზეა
სახლი პირქუში, ცარიელი წაქცევაზეა.
აქ გაისმოდა ტანჯულების კვნესა-ვაება,
მსხვერპლთა კივილი ორგიების ხმას გადაება,
და მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი სიამეს გრძნობდა,
ჩაგრავდა ყველას, ბატონობდა და ზეიმობდა.

თარგმანი **ვალ. გაფრინდაშვილის.**

ტიციან ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პოემიდან „თვრამეტი წელი“

ნ

## ბუენოს აირეს... ალეხანდრო და კასტილია

ეს კაცი იყო გორელი ტელეგრაფისტი ალექსანდრე ტატიშვილი. დასტოვა მრავალ რიცხოვანი ცოლშვილი და გორიდან წავიდა სამხრეთ-ამერიკაში და იქ არგენტინაში სცხოვრობდა თექვსმეტი წელიწადი. რევოლიუციის დროს დაბრუნდა საქართველოში და გააწყო კოლონიალური დუქანი „ბუენოს აირესის“ სახელწოდებით, თეატრალურ შესახეევში. ალექსანდრედან სახელი კასტილიურად ალეხანდროთ გამოიცვალა, გულს უკლავდა მაშინდელი ტფილისის შიმშილობა და ამდენ წუხილისაგან გაკოტრდა კიდეც, დანარჩენი ამბავი ქვევით:

ცხრაას თვრამეტი
წლის ზამთარია.
და ყინავს გარეთ
ტფილისის ღამე.
ჩვენ გარდა ქალაქში
ყველა გამთბარია,
ჩვენ სხვა ბევრიც
გვაკლია რამე.
თითქო ქვაბშია
ეს ტფილისი
ბუდე ჩამდგარი
მაგრამ რად იცის
სუსხიანი,
უწყალო ქარი?..

განა აცხობენ
ტფილისში პურს,
სიდან არის
ეს სურნელება?..
თბილ ოხშივარის
მოშორება
რომ გვეძნელება..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბად მსუქნები
დაიბადენ გვარდიელები
ან სხვა ნაირად
კვებავს იმათ
თვითონ გ ო გ უ ა..
მხოლოდ ეს მაინც
ადვილადაც
გასაგებია.
რევოლიუცია
მათი არის
შედავებას
ვინ გაუბედავს?..
ეს ამკარაა,
თუნდა მიტომ,
რომ ყველა ხედავს.
მაგრამ რა უნდათ
ამ მსუქან ვაჭრებს,
რომ სქელ მუცელზე
ხელს ვერ დაადებ.
რის იმედი აქვთ?
— და მისით მოდის
ეს ლოზუნგი:
— Бей спекулянтов...

ჯარიც ახლოა
„ნატკოვიჩა"
ირის ეინემ,
ირის ტიანუშკა.
ყველაზე ადრე
გაჩენილი
„ბეზპრიზორნები".
ომის „ბეჟენცი"
ენვერ ფაშას
შვილობილები.
შიმშილის ხელით
მწყობრ რაზმებად
დაწყობილები.
ისეთ ხალხს მართლა
ყველა ლოზუნგს
მალე გაანდობ.
და გამწარებით
ყვირიან ერთად:
—„Оп сестра"
— Бей спекулянтов...

სამიკიტნოში
კი შეიბმენ
შაშვი კაკაბი:
— ნარი მიყვარს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნარი მე.
ნარის სულის
ჭირიმე.
ნარიმანა გოცაძე

. . . . . .

შევისწარით კოცნაზე.
...და ამ ეპოქის

კოცნის ბრალია
რომ ეს სიტყვები
ხალხს გიმნათ ჰქონდა
ამიტომ არის
ეს სიმღერაც,
რომ მომაგონდა.
თითქო ჯუნგლებში
დასცურავენ
მალაიელები
— „ბოსიაკ“ რუსებს
მაინც ვარჩევ
ამ შავ ინდუსებს.
მუგუზალს გვანან!?..
დაე გავდენ!..
სხვა არ იყოს რა
ზღვა ახლოს აქვთ
და სახლში წაცლენ.
ვილაცას ლანდი
ვილაცას ლანდს
გულმოსული ებაასება.
— არჩევთ თუ არა
ეს სხვა საქმეა.
საქმე ის არი,
რომ სასახლეში,
სადაც ეხლა
პროფ. საბჭო არი;
სადაც მუშისგან
მუშებისთვის
წყდება კითხვები.
უცერემონიოთ
გადმოეფინათ
ინგლისელებს
სველი ნიფხვები.
ალბად ამას
დემონსტრაციის
სახე თუ ჰქონდა,
თორემ ცივ ზამთარში
ისიც შუა ღამისას,
სოველ ნიფხვებს
რა გააშრობდა?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ... ეს ის დროა
როცა გერმანიაში
მოჰკლეს ლიბკნეხტი,
და როზა ლუქსემბურგი;
როცა ბაკოდან
მიყავდათ დასახვრეტად
ალიოშა ჯაფარიძე და
სტეფანე შაუმიანი.
ზუბალოვის
თავშესაფარში
იმალებოდა
მიხა ცხაკაია,
მაგრამ მიაგნეს
მაინც ბასტილიას...
ტფილისში მაშინ
ინგლისელ ჯარებს
პროკლამაციებს
უგზავნიდა
ბესო ლომინაძე.
— ძირს მაკდონალდი
. . გაუმარჯოს ჯონ მაკლინს
ვინც ჩვენთან არ არის
ჩვენია მტერი.
რა ახლოს იყო
მაშინ კომინტერნი?

ასე ამბობდა
ქართველი
სპარსეთში
გადავარდნილი.
ამბობდა თავის
გადახვეწაზე.
და ეს ქართველი
იყო მაშინ
ვლასა მგელაძე
— სპარსეთის
ათას წლიანი
დინასტია
დამინგრევია.
ეხლა კრებებზე
მოტეხილ ხელს
ბავშვივით ზევით
მაწევიებენ.
— ჩემთვის ხელები
ასაწევათ არ მოუციათ
— მითხარით
სად არის
რევოლუცია?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ზოგი სხვაც
სხვა დროისთვის
გადაგვიდვია.
გახდა შუალამე
და ოპერის წირვაც
გათავდა
საბანეევას ხმებით
მღერის მცივანა
ქარი.
სახლი, რომ გვქონდეს
სახლში წასვლა
მაინც ადრეა...
უცნობ პოეტებს
თუ ექნებათ
სადმე კრედიტი
ეს ალბად
მხოლოდ არგენტინაში.
„ბუენოს-აირეს“
გვერდითა გვაქვს
და ღვთის წინაშე
გათენებამდე
ოღონდ მიდი,
არ არის ადრე.
სთვლემს და
ნაღდ მუშტრებს
ელოდება
იქ ალეხანდრე.

ბევრი იარა
ამ საწყალმა
უცხო ქვეყნებში,
არ დაივიწყა
ქართველური
სტუმრის პატივი.
რამდენსაც შესვამ
კახურ ღვინოს,
და სჭამ
მშრალ ძეხვებს,
ეს არის მხოლოდ
მისი აქტივი.
თუ გინდა
სახლში წასაღებათ
კიდევ გაგიხვევს.
გადმოალაგებს
ქვეყნის დროშებს
სულ ნაირნაირს.
ყველა ქვეყნებზე
საკუთარი აქვს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხსენება.
პური რომ ძვიროობს
ამ ტფილისში
ეს კარგად იცის
ამიტომ უნდა
არგენტინის
გამოყენება.
გარეშე საქმეთ
სამინისტროს
ემუდარება
„კვდება სიმშილით
საქართველო“,
როგორც ზამთარში
კვდება ჩიტი
ცივ ვალიაში..
პურის საშოვრად
გამაგზავნეთ
კასტილიაში!...
ველარ ელირსა
ეს საწყალი
ელჩობის მანდატს.
აბა იმისთვის
ვის ეცალა
ამ დაქცევაში!..
მაგრამ ეს წამი
მოსაგონათ
საცოდავია,
ხომ მისცეს ელჩი
. . . . . .
სკანდინავიას...

შემდეგ სადღაცა
კიდევ შეგვხვდა
ჩვენი ბებერი.
ზურგზე ნოხები
წამოეგდო
და დადიოდა.
იყიდეთ მართლა
ეს ნოხები
მოქალაქენო...
ვერ ნახავთ ვერსად,
ასეთ ვაჭარს,
ვაჭარს ღვთისნიერს.
მთელ ქვეყანაზე
მარტო ერთი
ჩვენი ქვეყანა,
გამოზრდის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისეთ პატიოსან
კომისიონერს!...

ეჩხუბებოდა სახლში
ბებერს ბებერი ცოლი.
შვილიც ბუზღუნობს
ქალიშვილი მზითევს
თხოულობს.
და ალეხანდრო
დასდევს ტიტველ
შოტლანდიელებს.
უკვირს, რომ იმათ
არ იციან კასტილიური.
— გული მიკვდება
გეფიცებით
როგორც ქართველ კაცს
როცა დუქნებში
ამ ყვითელ ჭადს
მუდამ ვუყურებ
— ამიტომ გევხართ იმერლები
თქვენ მალალურებს.
— მოდით უთხარით,
გენაცვალეთ
ჩვენო მგოსნებო!.
(თან ნოხები აქვს
ამოჩრილი მას ილლიაში)
დასვან საკითხი
დამფუძნებელ კრების
სხდომაზე
პურის საშოვრად
გამაგზავნონ კასტილიაში!..

სადა ხარ ეხლა
ალეხანდრო,
ჩვენო ძვირფასო!..
შენ დარჩი ისევ
ალბად მაინც
ფანტასტიური.
— დღეს არ იყვირებ:
— პური უნდა ჩვენ ქართველ ხალხს
არ ეყოფა ცხობა „დე-იურეთ“
თუ კი „მუშკოპის“
და „ხლებ-პროდუქტის“
დუქნებს უყურებ.

იქნება მოკვდი
და სიკვდილის წინ
გელანდებოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ სამოთხეთ
ბუინოს აირესს.
ანგელოსებმა
ალბად გაღირსეს
და უცოდველი,
როგორც ბავშვი
ოკეანისკენ
უკან გაფრინდი.
შენ რომ გხედავდით
ჩვენ გვჯეროდა
რომ მიქარავდენ
შენთან ყველა
ქიულ-ვერნები
და მაინ რიდი.

მაშინ მიიღე
ეპიტაფიათ
შენ ფანტასტიურ
საფლავის ქვაზე
აი ეს ლექსი,
ათი წლის წინ,
მე რომ დაგპირდი...

იანვარი. 1928

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯაჯუ ჯორჯიკია

# რეჟიმის შვილები

ქ. სოხუმი ყოველთვის კარგია, მაგრამ შემოდგომაზე ის განსაკუთრებით მშვენიერი და თვალწარმტაცი ხდება.

ზღვის სინესტით გაჟღენთილი მსუბუქი ჰაერი, დილიდან საღამომდე ადამიანის თვალებსა და გულს საამურად ეალერსება; ფირუზისფერი ცა, ზღვის ლურჯ ტალღებს იისფერ თაღად ეყრდნობა.

მზე ცაზე უდარდელად მისრიალებს და ჯასაღს, მხიარულ განწყობილებას ქმნის. ასეთ დარში, საღამოს, პატარა ნავით სოხუმის ნაპირებს ცოტად რომ გაშორდეთ და ქალაქს მიაცქერდეთ, თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაგეშლებათ; ზღვა, ბაღები და ქალაქი კოხტად შეკაზმულ შეერთებული ბუნებისა და ხელოვნების აპოთეოზს ქმნიან.

მდიდარ სურათს წარმოადგენს თავისი მორთულობით ნეაპოლი, მაგრამ ჩვენი პატარა სოხუმი შემოდგომაზე მას მშვენებით არ ჩამოუვარდება.

სოხუმის სიმდიდრე მარტო ზღვა როდია. მხატვრის მიერ ტილოზე დახატული გეგონებათ მისი ამწვანებული მაღლობები. ამ გორაკებიდან ქალაქს მედიდურად დაყურებენ მწვანითა და ყვავილებით მოსილი აგარაკები.

სოფლის ეკლესიებივით ცაში ავარდნილან მდიდრების სახლები.

შემოდგომა და ზამთარი სოხუმში ბევრ ხალხს იზიდავდა, მაგრამ უფრო სიამოვნებით მოდიოდენ ამ დალოცვილ, ტკბილ სამკურნალო ქალაქში ისინი, რომელთაც აქ აგარაკი ჰქონდათ.

დიდ ქალაქებში ყოველდღიურ ჭირვარამისაგან დაღლილ ძარღვებს აქ ასვენებდენ და კურნავდენ.

ზოგი ძლიერნი ამა ქვეყნისანი, იმ დროს, აქ ჩამოსულნი ერთიანად იცვლებოდენ ხოლმე: სტოვებდენ ჩინ-ორდენებითა და შპაგით დატვირთულ მუნდირს, უბრალო სადა ტანისამოსით გამოეწყობოდენ და თავიანთ ეზოში მუშაობით დროს ამოკლებდენ.

შემოდგომის ერთ ოქროსფერ დილას, მდიდარ აგარაკის პატრონმა პეტრე ვასილის-ძე სიტკინმა ძარღვების დასამშვიდებლად თავისი მამული დაიარა, მაგრამ დამშვიდების ნაცვლად შინ მეტად გაჯავრებული გამობრუნდა.



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აივანზე ძაგძაგით ავიდა, რამდენჯერმე გაისეირნა, მოაჯირს გადააწვა და თვალები იქითკენ მიაცქირა, საიდანაც მისი მებაღის პატარა სახლი მოსჩანდა, და მოხუცის უძლური ხმით გადასძახა:

— თევდორე! ჰა, თევდორე!—ხმა არავინ გასცა.—ფუ! გულმოსულად გადააფურთხა მებაღის სახლისაკენ და კვლავ ნერვიული სიარული დაიწყო.

ცოტა ხანი გავიდა.

ბოლოს თითქოს ძალა მოიკრიბა და ისევ გასძახა:

— თევდორე, შენი... თევდორე!

ამ ხმაზე მებაღის პატარა სახლის კარი გაიღო და ერთმა დაბალმა, ძალზე გაჭაღარებულმა კაცმა თავი გამოჰყო. მას ფინია ძაღლი გამოჰყვა ყეფითა და წკმუტუნით.

ეს იყო მებაღე თევდორე, როგორც კი დაინახა პეტრე ვასილის-ძე, ადგილიდან საჩქაროდ მოსწყდა და აივნისაკენ გაემართა.

პეტრე ვასილის-ძე სიტკინმა მას ამოსვლა არ აცალა და ყვირილი დაუწყო:

— ერთი მიბრძანე. ეგ ჩემი მამული „ტუზემცებით“ რათ აგივსია?

ეშმაკმა იცის, ეს რას ნიშნავს?! აქ ბატონი შენა ხარ თუ მე?

ამის გაგონებაზე თევდორემ წვერებზე ხელი გადაისვა და გადაწყვეტილად უპასუხა:

— რა ვქნა, როდესაც რუსები არ მუშაობენ. სულ მასლაათობენ... მე კი მუშები მინდა. თუ ისინი მოვიწვიე, მხოლოდ ამიტომ რომ...

თუ არ გნებავთ, ამაზე ადვილი რა იქნება, ამ საღამოს ხელფასს მივცემ და ყველას დავითხოვ.

— რუსები არ მუშაობენო, ეს შენგან მოჭორილია და მეტი არაფერი!! განა „ტუზემეცს“ რუსის გლეხივით მუშაობა შეუძლია?

— აქ ვინც ჩამოდიან, ისინი მუშები როდი არიან, ჩემო ბატონო! ისინი ბოსიაკები არიან... სულ უსამართლობის არსებობაზე დავობენ, მავნე და საშიშ თეორიებს ანვითარებენ; მე-კი ამისათვის არა მცალია, სასეზონო მუშაობა მაქვს... საქმე მიყვარს, ჩემო ბატონო, და გული ამიტომ მტკივა.

ამის გაგონებაზე პეტრე ვასილის-ძე სიტკინი თითქოს დაწყნარდა, მაგრამ როგორც მოხუცმა და უფროსმა, დამარცხება მაინც არ შეიფერა; მასთან პეტრეს კატეგორიულად არ უნდოდა, რომ „ტუზემეც“-ი რამე საქმეში რუსზე უკეთესი ყოფილიყო.

— შენგან ამის მტკიცება, ჩემო თევდორე, სირცხვილია, პირდაპირ სირცხვილია... ჭეშმარიტად უფლის კრულვაა, როდესაც რუსი ასეთებს ჩმახავს.

— ის მოგახსენეთ, რაც სინამდვილე და ჭეშმარიტებაა. ახლა მიბრძანეთ და როგორც მოისურვებთ, ისე მოვიქცევი...

— მაშ გელაპარაკები და გაიგონე, ის წყეული „ტუზემცები“ მომაშორეხვალვე რუსის მუშები დაიქირავე! ეხლა რაც მსურს ხომ გაიგე?

— მესმის, ბატონო.—მიუგო თევდორემ. ამის გაგონებაზე პეტრე ვასი-

ლის-ძე საბოლოოდ დამშვიდდა; თევდორეს ზურგი შეაქცია და, ამით-ამცნო, რომ მასთან მეტი ლაპარაკი არ სურდა.

— მხოლოდ იმიტომ ჩამოდიან აქ, რომ საქმე წაახდინონ—ჩაილაპარაკა თევდორემ და გაბრუნდა.

დასამშვიდებლათ და ჯავრის გასაქარვებლად პეტრე ვასილის-ძემ აივანზე დაიწყო სეირნობა.

ამ დროს დარბაზის კარი გაიღო და პეტრე სიტკინის მეუღლე ზოია ილინიშნა გამოვიდა.

— რა მოხდა, ჩემო მეგობარო, ვინ გაგაჯავრა?

— არაფერი... არაფერი, ჩემო ანგელოზო—მიუგო პეტრე სიტკინმა და მეუღლეს ხელზე ეამბორა.

— მაინც რა იყო, შენ აგრე გაჯავრებული დიდი ხანია არ მინახავხარ.

— თევდორემ გამაჯავრა... ვთხოვე „ტუზემცები“ არ დაექირავებია, დღეს კი ბაღი უცხო მუშებით გაუვსია. ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თევდორე ერთობ ჯიუტი ადამიანი ყოფილა.

— თუ მუშაობენ, სულ ერთი არ არის?—შენიშნა ქალმა.

— არ შეიძლება ჩემო ძვირფასო, არ შეიძლება, აი, მაგალითად, დღეს ჩვენი ბაღი ქართველებითაა სავსე. მინდოდა რამე მეთქვა, ვერაფერი გავაგებინე.

— მაგრამ მათ ხომ თევდორე ამუშავებს?

— მაინც არ ვარგა ჩემო კარგო. რუსის ხალხი ათასობით სიმშილით იხოცება და ქართველებს აქ რა უნდათ?

ეს მათი ქვეყანა არ არის. ეს მხარე ჩვენ დავიპყარით... აქ რუსის სისხლია დაქცეული, მაშასადამე, აქ რუსი უნდა საზრდოობდეს და არა ტყიდან გამოსული ხალხი. გარდა ამისა, ჩემო სინათლევ, რომ გაიგონ სენატორი პეტრე სიტკინი აგარაკზე „ტუზემცებს“ ამუშავებსო, მეზობლებზე მეტად ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს.

— ეგ მოსაზრება მე მთლად გადამავიწყდა; შენ იყავ მშვიდობით ჩემო კარგო და ისინი ეშმაკს წაუღია—დაამშვიდა ზოია ილინიშნამ თავისი ქმარი.

— ხომ მართალი ვყოფილვარ?! იცი რა გითხრა? ამ მუშებ შორის ერთი ისეთი მოსული ტანის კაცი ურევია, რომ გაგიკვირდება. იტყვი, პირველყოფილი ადამიანიაო. მაღალი, ბეჭებ განიერი, გრძელი, ბაგრატიონის ცხვირი, არწივის თვალები.

— საინტერესო ტიპი ყოფილა.—გაიკვირვა ზოიამ.

— საუზმის შემდეგ ბაღში გავისეირნოთ—ასიამოვნა პეტრე სიტკინმა თავის ცოლს.

— სიამოვნებით—მიახარა ზოიამ ქმარს, ხელი მკლავზე მოკიდა და საუზმისათვის ოთახში გაემართენ.

პეტრე სიტკინი დაბალი ტანის კაცი იყო. წვრილ კისერზე შედარებით მსხვილი თავი ედგა. თავი მელოტი ჰქონდა. შუბლზე თმის პატარა კონა იმ რიგათ შერჩენოდა, გეგონებოდათ, ვილაცას შემთხვევით დაუგდიაო. დანაოჭე-

ბული, გრძელი სახე მიბნედილი ჰქონდა, მხოლოდ წვრილი, პატარა მკვირცხლ თვალებს სატანური გამომეტყველება ახასიათებდა. მიუხედავად იმისა, რომ დაბალი ტანის იყო, ხელები და ფეხები ჩასკვნილი, დარგვალებული ჰქონდა. ლაპარაკობდა აჩქარებით.

როდესაც გაჯავრდებოდა, ნახევარი ტანის ნერვიული მოძრაობა აუტყდებოდა ხოლმე. ადვილათ შეამჩნევდით, რომ სიტკინს სიცოცხლეში უამრავი მწარე წუთები განეცადა.

მართლაც, პეტრე სიტკინს სენატორობა ადვილად არ მიუღია.

ცხოვრების დილა, მას ბევრს გასახარ იმედს არ უქადდა; სამოქალაქო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მან ბესარაბიის ერთ მიყრუებულ სოფელში მწერლის ადგილი იშოვა. ხუთი წლის განმავლობაში ის ამ თანამდებობას ასრულებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ბოქაულის თანაშემწეობა მისცეს.

სამი წელი გავიდა და პეტრე ვასილის-ძე ერთგული სამსახურის გამო ბოქაული გახდა. ამ დროს ცოლად მაზრის უფროსის ასული შეირთო და იმ დღიდან წარჩინება არ დაკლებია.

„სტანისლავას" ყველა ხარისხები ჰქონდა და „ანნა"-საც მოელოდა.

მალე ის ერთ ებრაელებით დასახლებულ ქალაქში გადაიყვანეს.

ახალ თანამდებობაზე პეტრე სიტკინმა ერთბაშად დაიმსახურა უმაღლეს ადმინისტრაციის ყურადღება. გაბედული, თავდაუზოგავი იყო სამსახურის დროს; ქრთამს აშკარად არ იღებდა. თუ საქმეს ვერ გააკეთებდა, აღებულ ფულს იმ წამსვე პატრონს დაუბრუნებდა, რითაც უსიამოვნებას აიცილებდა ხოლმე. რამდენიმე წლის სამსახურის შემდეგ, ასეთი უფერული ცხოვრება მოეწყინა და დაწინაურება განიზრახა.

ამ აზრის განხორციელება ადვილი არ იყო. ბევრი იფიქრა, ბევრი უძილო ღამე გაატარა, და შემდეგ თავში ახირებულმა და თან ველურმა აზრმა გაურბინა. ქალაქში, სადაც ის მსახურობდა, ებრაელები ცხოვრობდენ და ქულბაქებში მცირე ვაჭრობით ოჯახს ინახავდენ.

აი სწორედ, ამ გაძვალტყავებულ ხალხზე მოისურვა ყოვლად შემძლე ბოქაულმა იერიშის მიტანა.

გადასწყვიტა დარბევის მოწყობა. სანამ ამ ჯოჯოხეთურ გეგმის განხორციელებას შეუდგებოდა, დაწყებული საქმის შესაძლებლობა ყოველ მხრივ განსჭვრიტა და აწონდაწონა. ამ დარბევისაგან მე რას მოვიგებ? დასვა მან საკითხი. მთავრობის მადლობას დავიმსახურებ და იმავე დროს შეძლებულ ებრაელებს რამეს ავაფცქვნი. ერთის მხრით ჯილდო და მადლობა—დარბევის დროს მიღებულ ზომებისათვის, მეორეს მხრით კი ფული და სიმდიდრე... მეტი რა მოხდება?—არაფერი.

ამ რიგათ გაითვალისწინა მომავალი მოქმედების ყველა მხარე და ვიდრე მიზნის განხორციელებას შეუდგებოდა, რამდენიმე ხანი კიდევ იფიქრა.

მას ყავდა დაახლოვებული ერთი უთვისტომო მოხუცი, მუდამ წვერ-ულვაშ აბურძგნილი დარაჯი, ნიკოლაკ.

ის დაათრო და მოხერხებულად აცნობა, რომ თუ ის ებრაელების დარბევას მოაწყობდა, მთავრობა ხელს არ შეუშლიდა. ნიკოლკამ ეგ საქმე თავს იდვა.

* * *

მეორე დღეს მთელ ქალაქს უცნაური ხმა მოედო: ვითომდა ერთს ებრაელს, ქრისტიანი ბავშვი ეწამებიოს და გვამი ჭაში გადაეგდოს. რომ მთავრობამ ეს ამბავი იცის, მაგრამ გახმაურების შიშით საქმე მიაწყნარა. ჭორი იზრდებოდა, ვითარდებოდა, ვრცელდებოდა.

ქალაქის მდაბიო ხალხს აღელვება დაეტყო. ამ ჭორის მიზეზს ბოქაულს ეკითხებოდენ, მაგრამ ის მეტად გაურკვეველ პასუხს იძლეოდა. ეს გარემოება ზოგიერთს უფრო ათამამებდა. ჭორის რგოლები იმდენად გაიზარდა, რომ მოკლე ხანს მთელ ქალაქში ისეთი კუთხე არ დარჩენილა, სადაც ის არ შეჭრილიყო. ბოქაულმა ამის შესახებ მაზრის უფროსს ცნობა მიაწვდინა.

თვითონ ყაზახები შეაიარაღა და ცხენებით დაიწყო ქალაქში სეირნობა მცველები თავიანთი საქციელით უსაქმო მოქალაქეებს უფრო აქეზებდენ.

საღამო ჟამს მთელ ქალაქში ებრაელებისადმი დამოკიდებულება უაღრესად გამწვავდა. შეძლებული ებრაელები ბოქაულთან მირბოდენ ქონების დასაცავად, შეიარაღებულ ძალას სთხოვდენ.

პეტრე ვასილის-ძე თვალებს არ უჯერებდა. ებრაელებს აცახცახებული ხელებით მოჰქონდათ ასი, სამასი და ხუთასი მანეთი.

ხუთ საათში პეტრე უკვე მდიდარი გახდა. ბოროტი საქმე, შავი არშიებით დამშვენებული, მაინც თავისი გზით მიდიოდა.

საღამოს ბრბოსა და შინ მომავალ ებრაელებს შორის შეტაკება მოხდა.

მეორე დილას ადრიან საშინელ უბედურება დატრიალდა.

მთვრალმა ბრბომ ერთი ებრაელის ქულბაქზე იერიში მიიტანა და რბევა დაუწყო.

სწორედ ამ დროს პეტრე სიტკინი თავის ყაზახებით ქალაქის მეორე კუთხისაკენ გაეშურა.

ამის დანახვაზე ბრბომ თვით ებრაელების უბნისკენ გასწია და მალე ჯოჯოხეთური სურათი გადაიშალა.

ურიების სამოსახლო რაიონში ერთი ეივილ-კივილი იდგა. გაშმაგებული ბრბო სახლებიდან მოხუცებსა და ბავშვებს ყრიდა.

ამტვრევდენ ფანჯრებს, ავეჯეულობას. ამგვარად, დაცარიელებულ სახლს ცეცხლს უკიდებდენ.

დარბევა ორი დღე გაგრძელდა. ყველგან სისხლი იდგა.

იქა-აქ გულშემზარავი კვნესა და გმინვა ისმოდა.

თავისი რაზმით სიტკინი ყოველ კუთხეს უშედეგოთ ეხეთქებოდა. მხოლოდ მესამე დღეს ჩამოვიდა გაძლიერებული რაზმით მაზრის უფროსი: სასტიკი ზომები მიიღეს და საღამოს, როგორც იქნა, რბევა შეწყდა.

სიტკინი ვიღაცამ თავში ქვით დასჭრა. ამ შემთხვევამ ის მოწამებრივი შარავანდედით შემოსა.

მალე მაზრის უფროსის თანაშემწეობა მისცეს.

ერთი წლის შემდეგ პეტრე სიტკინის სახელი, როგორც [illegible] თავისუფალი აზრის მდევნელის, თითქმის რუსეთის ყველა ქალაქს მისწვდა. ამის გამო სამინისტროში საჩივრებიც წავიდა, რაც სიტკინის ბედის ბორბალზე წყლის მიგდება იყო.

ერთს საღამოს მას „ბედნიერი“ აზრი დაებადა. განიზრახა თავდასხმის სიმულიაცია მოეწყო. ამის შესასრულებლად ის ერთს, სამსახურში მუდამ ჩამორჩენილ, მოხელეს დაუახლოვდა. მოფერება დაუწყო, აღუთქვა სამსახურში წაწევა და ბოლოს დიდის ფიცის ქვეშ სთხოვა, რათა მას დინამიტი, რომელსაც სიტკინი გადასცემდა, მისი სახლის ახლო აეფეთქებია.

ამის გაგონებაზე პატარა მოხელე პირველად დაფრთხა, მაგრამ შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ პეტრე სიტკინი მას ბეჯითად ეხვეწებოდა, დასთანხმდა.

დაპირებულ საღამოს, მაზრის უფროსის თანაშემწის აივანთან, ვებერთელა დინამიტი აფეთქდა. ხმაურობამ მთელი ქალაქი შესძრა, და ამ ნიადაგზე აუარებელი ხალხი დააპატიმრეს.

ეს ამბავი პეტერბურგსაც აცნობეს. პრესა ამეტყველდა. ერთმა კორესპონდენტმა სატახტო ქალაქის გაზეთში ამ საქმის შესახებ დასაბუთებული წერილი დასტამბა. ლიბერალურმა გაზეთებმა მას პასუხი გასცეს. სიტკინის თავზე „მოწამებრივი გვირგვინი დაესვენა“. ის ანაზდათ რუსეთის ვიწრო პოლიტიკური ცხოვრების გმირი შეიქნა.

ერთი თვის შემდეგ მან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტიდან ბრძანება მიიღო, რომლის ძალით მას რიაზანის ვიცე-გუბერნატორობა ეძლეოდა.

დიდის მწუხარებითა და აღგზნებული სიტყვებით გააცილეს პეტრე სიტკინი ახლო თანამოსამსახურეებმა, ახალ ადგილზე. მას ბედი თითქოს კურდღლის ფეხებით მისდევდა.

გუბერნატორი ავად შეიქნა და მისი თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ივანე სიტკინი დაამტკიცეს. ახლა მან თავისი დიდი ხნის სურვილი განახორციელა. ცოლს გაეყარა, მცირე დახმარება მისცა და ხელში ორი ბავშვი ჩაუტოვა.

ნეწუხებული ქალი მშობლებთან დაბრუნდა.

ხუთი წლის სამსახურის შემდეგ დაღლილი, დაქანცული სიტკინი პეტერბურგს სენატორათ გადაიყვანეს.

სატახტო ქალაქში ცხოვრების დროს, მან ზოია ილინიშნა გაიცნო. ქალს ცოლობა სთხოვა და დასტურის მიღების შემდეგ შეირთო.

ზოია ილინიშნა, თავისი ორმოცი წლის მიუხედავათ, კარგად გამოიყურებოდა. ქარვისფერი თმა თავზე ისე უხვად დასწოლოდა, რომ მისი ერთი ნაწილი თეთრ-რგვალ შუბლზე კოხტა ოქროსფერ ხაზს ავლებდა. კისრის მარჯვნითა და მარცხნით პატარა კეკლუცი ყურები, ფუნთრუშა, მწყაზარ ლოყებს მოხთენილად საზღვრავდენ. წვრილი, ლამაზი წარბები ცისფერი თვალების ზევით მდიდრათ ეწყო.

ქალი საწუალო ტანის იყო, მაგრამ მეტად კოხტა და მოქნილი. ხორცის კანი სპილოს ძვალივით გამსჭვირვალე ჰქონდა. ლაპარაკის დროს ხშირად იღიმებოდა, მაშინ მარცხენა ლოყის ერთ ადგილას სიყვარულის პატარა ორმო დაეხატებოდა ხოლმე, რაც მთელ სახეს ღვთიურად აცისკროვნებდა.

ზოია ილინიშნას დიდი რთული წარსული ჰქონდა: პირველად ის სხვადასხვა თეატრებში მღეროდა. მისი დიდი იმედები ჰქონდათ, მაგრამ ერთი რეპეტიციის შემდეგ ყელი გაიცივა და უცბათ ხმა დაკარგა. სასოწარკვეთილმა ქალმა დრამაში სცადა თავისი ძალა, მაგრამ ექიმებმა დაჭიმული მუშაობა აქაც აუკრძალეს. მომავალზე ფიქრი მას აწუხებდა.

სწორედ ამ დროს გაიცნო მან პეტრე სიტკინი და მას გაჰყვა, უფრო სწორედ, რომ ვთქვათ, ცხოვრების შიშით დაბრჭყალული, ნას დანებდა.

ზოია ილინიშნა შემდეგში, მასა და ქმრის შორის ხნოვანების უთანასწორობას ხშირად ამჩნევდა, სწუხდა კიდევაც, მაგრამ იმავე დროს ხედავდა, რომ ქმარს ის გაგიჟებით უყვარდა. ეს უკანასკნელი გარემოება ზოიას თავისუფალ მოქმედების უნარს აძლევდა, რითაც ის ყოველთვის ჭკუიანად, მოხერხებულათ, მზაკვრულად სარგებლობდა.

როგორც ქმარი, სიტკინი მუდამ თავაზიანი, წინდახედული ქმარი იყო.

* * *

როდესაც ისაუზმეს, პეტრემ ცოლი ბაღში სასეირნოდ მიიწვია. ამ წინადადებაზე ზოია ოთახში შევიდა, მსუბუქათ ჩაიცვა, ქმარს მკლავში ხელი გაუყარა და სასეირნოთ ბაღში გავიდენ. რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ბაღს პირველად ათვალიერებდა, თუმც ზაფხული მიწურული იყო, ადგილის, მდიდარ მზისა და ჰავის ზეგავლენით ბაღი თაიგულივით იყო მორთული.

ყველგან წესრიგი და სიფაქიზე სუფევდა. ვებერთელა ფიჭვებს ზაფხულის გრეხილა ყვავილები მჭიდროთ შემოვლოდათ. ბაღის სელების საზურგეები იპომეიებით აფერადებული იყვნენ. ალისით მოფენილ გზებს მუდამ მწვანე ბზის ევონიმუსების და ტუიის ალეიები მწვანე ღობეებათ ამოვლებოდათ.

თვით ალეიებში სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები იყვნენ ამოყვანილი. სწორი გზები იქა-აქ, მაღალ მავრიტანულ გაზონით მოფენილ კლუმბებით წყდებოდენ. ფართო გზებს პატარა ბილიკები უვლიდენ, რომლებიც ყოველთვის რამე სანახაობით თავდებოდენ ხოლმე.

ერთს ბილიკს გაჰყვებოდით, დიდ ფიჭვთან მიგიყვანდათ, რომელიც ძეწნის წვრილი წნელებისაგან შეღობილი სელებით იყო შემოვლებული; მეორე ბილიკი საუცხოო, თეთრი სკანდესით მძიმეთ დაფარულ ფანჩატურით ბოლოვდება; მესამეს—პატარა ტბასთან მიჰყავდა მოსეირნე.

ამწვანებულ გაზონებზე იქა-აქ მიმობნეული წითელი ცელოზიები და ამაყად აფერადებული შემოდგომის მანათობელი საღვიები, ამწვანებულ ბალახეულ ტალღებში ციმციმებდენ. მთელი გორაკი თლილ თეთრი ქვებით იყო შემოვლებული, რომლის კედლებზე მიცოცავდენ აღმავალი ყვავილები.

მთავარ კართან ორი ბოძი იდგა ვარდებით დაფარული, მათ შორის აგავის ზოლიანი ფოთლები და ნარგიზები ყურადღებას ატყვევებდენ.

ფიქვის სურნელებით უხვად გაჟღენთილი ჰაერი ფილტვებს ხალისიანად ამუშავებდა: გული სწორად სცემდა, ბუნების ამ ზეიმს ორივე ცოლ-ქმარი გრძნობდა.

უდარდელად დასეირნობდენ და მხიარულად მუსაიფობდენ. დიდხანს იარეს პარკში და ბოლოს ხეხილის ბაღამდე მიაწიეს. სწორედ იმ ადგილას მუშაობდენ თევდორეს მიერ დაქირავებული და სიტკინის მიერ ათვალწუნებული ქართველები.

— შენ მათ ნუ დააკვირდები.—ურჩია პეტრე ვასილის-ძემ, როცა მუშებს მიუახლოვდენ.

— რასაკვირველია არა!—უპასუხა ქალმა—ჩაიარეს. ერთი მუშა დაშორებით იდგა.

— აი, ის მუშა, წელან რომ გელაპარაკებოდი—უთხრა ცოლს სიტკინმა. ზოიამ ამ მუშას მორიდებულათ გაუსწორა თვალი და შემდეგ უნდოდა მისთვის არ შეეხედა, მაგრამ ვერ შესძლო.

როდესაც დაუახლოვდენ, მუშამ მათ ღრმა სალამი მისცა. ზოიამ უცნობს კიდევ ძალაუნებურად შეხედა და დარწმუნდა, რომ ამ მუშას საუცხოო გარეგნობა ჰქონდა. ზოიას გაუკვირდა, რომ ქმარს ეს კაცი რაღაც უცნაური შეხედულობისა მოეჩვენა.

— ხომ დაინახე?—იკითხა პეტრემ, როდესაც მუშას მოშორდენ.

— შევხედე და მართლაც, რაღაც პირველყოფილი კაცის ტიპია, ნეტავი ქართველია თუ სომეხი?

— ქართველია—მიუგო პეტრემ—როგორც გამიგონია, მეტად ამპარტავანი და დაუნდობელი ხალხია.

— ამას რათ ამბობ? პეტერბურგში მათი სტუდენტების შესახებ ბევრი კარგი მსმენია—უნებურად ეწინააღმდეგა ზოია.

— ვეჭვობ—მიუგო სიტკინმა.

— დარწმუნდით, ჩემო კარგო, ერთი უნიჭიერესი ხალხია... საუცხოო საღამოებს აწყობენ.

— შეიძლება—სთქვა სენატორმა, რომ ქართველების შესახებ ლაპარაკი შეეწყვიტა.

— ცოტა დავიღალე—სთქვა ზოიამ.

— აი აქ ჩამოვჯდეთ—სთქვა პეტრემ, როდესაც აღმავალი ვარდებით დაფარულ ფანჩატურს მიუახლოვდა.

— კარგი აზრია.—მიუგო ზოიამ და ორივე ხელზე დაეშვა. მერე დაუმატა—ამ მსუბუქმა ჰაერმა ლამის დამათროს!—და ქმარს მიეკრა.

პეტრემ ძვირფასი ტანი მოწიწებით მიიმაგრა და გარინდდა. ზოიამ თვალები დახუჭა და ქმრის ტანზე მიყრდნობილმა, ამ ერთი წამის წინად ნახული ვაქკაცი წარმოიდგინა. მართლაც ფიქრთა თამაშმა მას ნათლად დაუხატა მაღალი, ოცდაათი წლის ვაქკაცი, ბრინჯაოს ფერი კანით, ხუჭუჭი თმით, მშვილდის მსგავსი წარბებით, მოხრილი ცხვირითა და მძლავრი მკლავებით. ოცნება ზვიადდებოდა... ზოიას ახირებული სურათები ეშლებოდა: აი ის თითქოს პეპელად გარდაიქცა, ამწვანებულსა და აყვავებულ წალკოტზე უდარდელად დაგოგმანობს.

ამ დროს ციდან ფრთამარდი მიმინო მოწყდა, მას დაედევნა. ის ყვავილიდან ყვავილზე დაფრინავს, გული მაგრად უცემს, სული ეხუთება.

უცბად სურათი იცვლება: ის ისევ ზოია ილინიშნაა, და მის წინ დგას თმახუჭუჭა ქართველი მუშა, მაგარი მკლავებითა და ბრინჯაოს პირისახით. ახლა ზოია ტიტველია, მთლად ტიტველი, უცნობმა მამაკაცმა მას ხელი დააავლო და თოვლის დიდი ბურთივით ჰაერში ააგდო, დაიჭირა.

ზოიას გული მისდის, ბრაზით იხრჩობა, სიტიტვლის რცხვენია, და ამავე დროს სიცილი წასკდება. იცინის, ხარხარებს, მთელი თავისი ფართო, განიერი მკერდით. ოცნების უხილავი სამოსელი ზოიას მთლად იფლობს: ახლა ქართველმა მას ხელი დასტაცა, პატარა ბავშვივით მკლავებზე დაიგორა და დაეკონა... ის ხედავს, რომ სახეზე კოცნა ისე ეყრება, როგორც ატმის ბაღში ყვავილთა ფურცლები მათი დაცვენის დროს.

ზოია გულში დაგროვილ ვნებათა ღელვას, გრძნობების ასეთ უცნაურს დაჭიმვას ვერ უძლებს; უცბათ ადგილიდან წამოიჭრება, ხტუნავს და აცახცახებული ბაგეებით ცეცხლის ალს უკიდებს ქმრის დანაოჭებულ, მიმჭკნარ ლოყებს.

ქალის გააფთრებული აღტაცება პეტრე სიტკინმა მზისა და ჰაერის გავლენას მიაწერა.

— მიხარია ზოია, რომ შენ ასეთ მხიარულს გხედავ. ეს ჩემთვის უდიდესი და უაღრესი ნეტარებაა...

— მადლობელი ვარ, მადლობელი — მიაძახა ჯერ კიდევ დაუმშვიდებელმა ზოიამ.

— ამ საღამოს ზღვაში საბანაოდ ხომ წამოხვალ? — ჰკითხა სიტკინმა.

— წავიდეთ! — დასთანხმდა ზოია, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — დღეს, რომ თვითმართველობის სხდომაზე ხარ მიწვეული?

— ეგ არაფერია, შეიძლება არ წავიდე...

— ამას ნუ იზამ, ჩემო კარგო, მთელი თვეობით აქ არა ხარ, და ახლა რომ არ წახვიდე, არ ივარგებს. ამას უპატივცემლობას მიაწერენ, ხომ იცი აქ შენ პირველი კაცი ხარ და სხვებს მაგალითი უნდა უჩვენო.

— მართალი ხარ, ცამდე მართალი! — მიუგო პეტრემ.

მზე კაბადონზე წელს იმაგრებდა. სიცხე მატულობდა. ეს ორივემ იგრძნო და შინისკენ ტკბილი საუბრით გაემართენ. მთელი დღე მხიარულად გაატარეს. საღამოზე პეტრე სიტკინი სხდომაზე დასასწრებლად გამოეწყო. სწორედ ამ დროს პეტრეს სანახავად თევდორე მოვიდა. მას სურდა, მეორე დღის მუშაობის შესახებ მოლაპარაკება. სიტკინმა მას კატეგორიულად განუმეორა ქართველი მუშები დაეთხოვა და რუსები დაექირავებია. ამას ზოიამ ყური მოჰკრა და იმ წამსავე საუბარში ჩაერია.

— თუ მუშაობენ, განა სულ ერთი არ არის, ქართველი იქნება თუ სომეხი?

— თევდორე, შენ თვითონ სთქვი, ვინ გინდა?

— ჩემი სურვილი ბატონს ამ დილას მოვახსენე. ისიც დაუმატე, რომ აქ ჩამოსულ რუსებში კარგი მუშა იშვიათად გამოერევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ საქმის გაკეთება გვინდა და მეტი არაფერი... შენც ხომ ეს გინდა, ჩემო კარგო? ჰკითხა ქმარს ზოიამ.

— რასაკვირველია!

— მაშ ქართველებმა რა დააშავეს?

— მაინც და მაინც არაფერი—მიუგო პეტრემ.

— მათ ტყუილათ ხომ არ ურიგებთ ფულს?!

— რასაკვირველია არა—დაემოწმა თევდორე.

— მაშ იმუშაონ, ხომ ჩემო კარგო?

— რადგანაც შენ ფარველობ ეგრე იყოს.

— მე მხოლოდ საქმე მაინტერესებს, ძვირფასო...

— კარგი, კარგი. თევდორე, მაშ ქართველები ამუშავე და თუ კაცი ხარ მათ თვალყური კარგათ ადევნე.

— ეს ჩემი მოვალეობაა, ბატონო. ხვალ ან ზეგ ბალში ყველა მუშაობა დასრულდება, შემდეგ შეიძლება დასვენება.

— რასაკვირველია, ჩემო თევდორე, შენ ჩვენი ერთგული ხარ, ამას პეტრე ვასილის ძე არ ივიწყებს. ის ხომ იცი, მოხუცი კაცია, გული მალე მოსდის.

— მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო!

— მაგრამ ერთი უნდა შეგეხვეწო, ჩემო თევდორე! ცაცხვთან კლუმბები რომ გაგიკეთებია, ჩემის ფიქრით, ცოტა ღარიბათ გამოიყურება, ნუ თუ მისი ყვავილებით შევსება არ მოხერხდება?

— როგორ არა, ბატონო! აი, თუ ცოტა იწვიმა, ყვავილების მარაგი მაქვს და იმ წუთსავე შევავსებ.

— სახეების შესახებ ერთი საათის შემდეგ მოდი და მოგელაპარაკები...

— ჩემთვის სათქმელი თვით ბატონს ხომ არ ექნება რამე?—იკითხა თევდორემ.

— არა, არა!—მიაძახა პეტრემ, საზაფხულო პალტო მოიხურა და წავიდა. თევდორეც გაჰყვა.

* * *

ზოია ოთახში შევიდა, მსახურები დაიბარა და შეეცადა თევდორეს მოსვლამდე თავი რითიმე გაერთო. ცდა ძნელი შეიქნა. თუმც გარეგნულად მას სიმშვიდე არ დაკარგვია, მაგრამ გულის თვალმიუწვდომელ ჯურღმულში მოუსვენრობა მაინც დაებადა, რომელიც თანდათან ეზრდებოდა. მისი მთელი არსი რაღაც გაურკვევლობით იყლინთებოდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ზოია ილინიშნამ საბოლოოდ გადასწყვიტა, დილით ნახული მუშის გაცნობა და დაახლოვება. მისი გრძნობა ამას მოითხოვდა. ამ ორ წყაროსთან ახლო მობინადრე გონებაც მათ აყოლოდა.

ქმრის ღალატი ზოიასთვის პირველი როდი იყო, მაგრამ სხვა დროს საქმე ინტელიგენტებთან ჰქონია, სადაც შეხვედრა და განშორება ადვილია. აქ კი ახალი დილლემა გაუჩნდა. ლამაზი, კოხტა მუშა, უცხო ტომის ადამიანი იზიდავდა.

იზიდავდა, მაგრამ კიდევაც აშინებდა. მსახურმა თევდორეს მოსვლა აც-

ნობა. თბილი საღამო იყო, ზოია აივანზე გამოვიდა. თევდორემ ქალბატონს ღრმა სალამი მისცა. ზოიამ თევდორეს სელი შესთავაზა.

მორიდებულად და მოხერხებულად დაიწყო ზოიამ საუბარი. თევდორეს მუშების ვინაობა გამოჰკითხა, შემდეგ მთავარ საკითხს დაუახლოვდა.

— ჩემო თევდორე, ერთი სათხოვარი მაქვს... ჯამაგირს მოგიმატებ, პატივისცემას არ მოგაკლებ, შენზე უსაყვარლესი არავინ მეყოლება, თუ ამ საიდუმლოს შემინახავ... თევდორე, მე სახე მიკინის, მაგრამ ბედნიერი მაინც არა ვარ... მართალია, სიმდიდრე, ფუფუნება არ მაკლია, მაგრამ ხომ იცი, ჩემო თევდორე, ყველა ადამიანები ვართ, კაცს, ადამიანს ცხოვრება ესაჭიროება. ჩემი ქმარი მოხუცია, დაღლილი, დაქანცული... მე კი სიცოცხლით სავსე ადამიანი ვარ...

— რასაკვირველია, ქალბატონო, ამის შესახებ ოჯახში ხშირად გვისაუბრია...

— ხომ ხედავ, თევდორე, მახარებს შენი გულწრფელობა. მაშ შენც ხშირად გიფიქრია ჩემ ცხოვრებაზე?

— კი, ქალბატონო, თქვენი ქმარი უდავოთ საუცხოო ადამიანია, მაგრამ თქვენ მაინც ახალგაზრდა ბძანდებით, სიცოცხლითა და სურვილებით სავსე... თქვენს ადგილას სხვა ქალი სულ სხვა გვარათ მოიქცეოდა...

— ხომ, ხომ თევდორე...

— რასაკვირველია, ქალბატონო... თქვენ ალბათ გაგონილი გექნებათ, რას ჩადიან იალტაში, ყირიმში ქალები...

— ყოჩაღ, ჩემო თევდორე! შენთან კაცს გულახდილად შეუძლია ლაპარაკი... შენ გამოცდილი კაცი ხარ... აი სწორედ ამისთვის ერთს საიდუმლოებას მოგანდობ... იმ მუშებში, რომლებიც ბაღში მუშაობენ, ერთი ვაჟკაცი ურევია. მაღალი... ძალიან ლამაზია... შენ ალბათ დააკვირდებოდი..

— როგორ არა, ლამაზი ვაჟკაცია...

— მისი სახელი ხომ არ მოგაგონდება?

— აი ეხლავე—სთქვა თევდორემ და შუბლზე ხელი მიიდვა. ცოტა ხანს ჩაფიქრდა. —ვანია ჩიქაია—სთქვა ბოლოს.

— მაშ ვანო?

— დიახ, ვანია.

— საოცარი სახელია ვანია, ალბათ ივანესაგან იქნება წარმომდგარი.

— დიახ ..

— მინიატურული სახელია—ღიმილით სთქვა ზოიამ—სწორედ ის კაცი მომწონს, და მინდა, ჩემო თევდორე შენის დახმარებით მიზანს მივაღწიო... მე გადავწყვიტე ის გავიცნო, შენ ბევრი ხალხი გინახავს, გაგიცვნია და ეს საქმეც არ იქნება შენთვის მაინცა და მაინც ძნელი.

— რას მიბრძანებთ, ჩემო მწყალობელო? თქვენ ისეთი მოწყალე და ლმობიერი სახის და ხასიათის ხართ, რომ თქვენთვის თავსაც არ დავზოგავ, ოღონდ თქვენი სურვილი განვახორციელო.

— გმადლობთ თევდორე, ამ საღამოს ჩადი მუშების ბინაზე, მათ დაუახ-

ლოვდი, განსაკუთრებით—ვანიას გაეცანი, ყველაფერი გამოჰკითხე. გაიგე, მისწვდი მის ხასიათს, თანდაყოლილ სულის თვისებებს, შეკრიბე, შეაგროვე და ყველაფერი მაცნობე... ისე მოიქეცი როგორც ჩემთვის უკეთესი იქნება. დიდი სიფთრხილე კი გმართებს. ჯერ გავიგოთ როგორი ხასიათისაა.

— ყველაფერს გავითვალისწინებ. გამოცდილება გზას მიკვლევს და სიბერე კი სიბრთხილეს მიკარნახებს...

— კარგი ჩემო თევდორე...

თევდორემ იმ წუთსვე ივარაუდა, თუ ეს საქმე მისთვის რა შემოსავლის წყაროდ გადაიქცეოდა და ქალს ყველაფერზე შეუთანხმდა.

გამოთხოვებისას ზოიამ მებაღეს ხელში თუმანი ჩაუდო და დაუმატა:

— ეს ჯერ-ჯერობით!

— გმადლობთ, ქალბატონო—მიუგო თევდორემ, ეშმაკურად ტუჩები დააცმაცუნა, ქალბატონს გამოემშვიდობა და წავიდა.

საქმესაც იმ საღამოსვე შეუდგა. საერთოდ მეტად მოხერხებული და გაიძვერა ადამიანი იყო.

კავკასიაში ის სულ ახალგაზდა ჩამოვიდა, სხვადასხვა მამულებში მუშაობდა და ყველგან პატივისცემა დაიმსახურა ამ აგარაკზე მან რამდენიმე უფროსი გამოიცვალა, მაგრამ ყველას ისე მოხერხებით მიუდგა, რომ თავი ყველას შეაყვარა. ეს იმიტომ, რომ მათ საქმეში არ ერეოდა, ხოლო მოვალეობის ასრულებას მთელ თავის ძალას ანდომებდა. ფული უყვარდა, მაგრამ მცირე მოგებისათვის მდგომარეობას არ დაკარგავდა.

თევდორე მუშებს იმ ღამესვე ესტუმრა. მებაღის მოულოდნელი მისვლა ყველას ესიამოვნა. სტუმრის პატივსაცემლათ პატარა მოლხენა გამართეს. სავსე კოკით ღვინო ედგათ, სვამდენ და სტუმარს ლოცავდენ. ისე მოილხინეს, რომ თევდორემ მათ ცეკვის ნება დართო. ყმაწვილები შეჯგუფდენ და მორიგეობით წრეს უვლიდენ. ღვინომორეულმა თევდორემ რუსული ცეკვა დაიწყო, რაც მუშებს მოეწონათ.

თევდორე გართობის დროს ორ კურდღელს იჭერდა: დროს ატარებდა და იმავე დროს ვანიას ეცნობოდა. შუა ღამე გადაცილებული იქნებოდა, როდესაც თევდორე შინ გამობრუნდა.

მეორე დილას ადრე მუშები ბაღში გაანაწილა. ვანიას ადვილი სამუშაო მისცა.

მთელი დღე თევდორემ მუშებთან გაატარა, განსაკუთრებით ვანიასთან. ის დარწმუნდა, რომ ვანია მეტად ზრდილი, თავაზიანი კაცი იყო. მას ყველაფერი გამოჰკითხა და გაიგო, რომ ვანიას ჯარში ემსახურა და რუსულიც იცოდა. დედ-მამა ადრე მოკვდომოდა. ოდიშში მას ეზო ჰქონდა და სახლი არ ედგა. სოხუმში კამეჩებით მოსულიყო ცოტაოდენ გროშების მოსაგროვებლად და დაბრუნებისას განზრახული ჰქონდა პატარა ოდის აშენება.

იმ დღეს არც ზოია ილინიშნას მოუსვენია: ხან აივანზე სეირნობდა, ხან როიალზე უკრავდა, ხან წიგნს კითხულობდა; რაც უფრო ახლოვდებოდა საღამო,

მოუსვენრობა უფრო იპყრობდა. ბოლოს როგორც იქნა, შელამდა. თევდორე მძიმე ნაბიჯით აივანზე ამოვიდა. მას ზოია ილინიშნა შეეგებ[illegible]

— საღამო მშვიდობისა ჩემო ქალბატონო—მიესალმა თევდორე.

— გამარჯობა ჩემო კარგო,—გაბრწყინვებული თვალებით უპასუხა ზოიამ. —დაბრძანდით ჩემო თევდორე. თევდორე ჩამოჯდა. —პეტრე ვასილისძე დღეს თავის კაბინეტში მუშაობს—სთქვა ქალმა და ამით თევდორეს ანიშნა, რომ შეეძლო თავისუფლად ლაპარაკი.

— რაც გთხოვეთ ხომ აასრულეთ?—შეეკითხა ქალი.

— ყველაფერი, ქალბატონო.

— რა გაიგე, ცოლიანია?

— არა, უცოლოა?

— მშობლები ჰყავს?

— არა.

— რა ხნის იქნება?

— ასე, ოცდაათის.

— თუ გაიგეთ როგორი ხასიათისაა?

— ქალბატონო, წუხელ შუალამემდი და დღესაც მთელი თავისუფალი დრო მასთან გავატარე და დავრწმუნდი, რომ ძვირფასი ხასიათის ადამიანია— თავმდაბალი, მხიარული, ჭკვიანი; იმავე დროს, ჩემო ქალბატონო, იშვიათი გარეგნობის, რაინდული მოყვანილობისა და შეხედულობის.

ქალს მოუთმენლობა ეტყობოდა.

— მეტი რა შეიტყვე ჩემო თევდორე?

— მეტი რა მოგახსენოთ. ისეთი კაცია, ჩემის ფიქრით, რომ თქვენთვის წინათგრძნობას არ ულალატია.

— მჯერა თევდორე. მაშ, აი რა გითხრა; ეგ საქმე შენ გაგანდე და შენვე უნდა დააბოლოვო. თუ ქალი ვარ, სამაგიეროს გადაგიხდი. იცოდე ის კაცი უნდა დამიახლოვო, მაგრამ აი რა გზით: ხვალ ერთხელ კიდევ ინახულე, რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი უთხარი. უთხარი, რომ ის მომეწონა რომ მე ახლო უნდა გავიცნო. ამისთვის ნამუსი უნდა შეინახოს... ეს რომ გახმაურდეს, დიდი ზიანი მომივა. მას კი ამით არაფერი მოემატება, პირიქით, დააკლდება... ყველაფერი ეს გაუთვალისწინე, სიყვარულის გაცემა უფრო მამაკაცებს სჩვევია.

ახლა თუთხმეტ თუმანს გადმოგცემ, ხვალვე ტანისამოსი უყიდე, გამოაწყვე, მაგრამ იცოდე, ნაციონალური ტანისამოსი შეუკერე, ის საშინლად მომწონს. სანამ ჩემთან მოვიდოდეს, სასტუმროში დააბინავე... გაამხნევე, გაათამამე, ხომ იცი, მას სილამაზის მეტი ალბათ არაფერი აბადია.

— მესმის, ქალბატონო! ჩემს გამოცდილებას ენდევით, ყველაფერს ისე მოვაგვარებ, როგორც თქვენთვისა და საქმისათვის საჭირო იქნება.

— მაშ ამ სალამოსვე შინ დაიბარე, ამხანაგებთან ნურაფერს ეტყვი, არ ვარგა.

— მესმის, ქალბატონო, ამიერიდან მას ჩემს ბინაზე მიუჩენ ოთახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარულად იქ მისი ნახვა თქვენთვის უფრო ადვილი იქნება — დაანუგეშა თევდორემ.

— შენ მართალი ხარ, იქ ადვილად მოვალ. აი ერთ წუთს დამაცადე და ფულს გამოგიტან.

ამ სიტყვებზე ქალი დარბაზში შეტრიალდა.

თევდორე მარტო დარჩა და ფიქრში გაერთო, რა ენას საწყალმა ქალმა, ქმარი მოხუცი ჰყავს, თვითონ კი კანში არ ეტევა. კარგი სმა-ჭამითა და ცხოვრებით ტანი თვრება, რასაც დანელება უნდა. ჩვენი საქმე სულ სხვაგვარია: დილიდან საღამომდე ვშრომობთ, ვიღლებით და ვნება ასეთ ხალხს ახლოს არ მიეკარება.

ასეთს ფიქრში იყო გართული თევდორე, რომ ზოია გამოვიდა და ფული გადასცა. თუმანი კი საჩუქრად თევდორეს მისცა.

— შაბათისათვის საქმე მოაგვარე,—დააბარა ზოიამ,—რადგანაც იმ დღეს ჩემი ქმარი ათონში მიემგზავრება.

— მესმის, ქალბატონო, — მიუგო თევდორემ და ქალბატონს გამოემშვიდობა.

ამას შემდეგ, ზოია ილინიშნა უცბათ კარგ გუნებაზე დადგა.

წმინდა ჰაერი ხარბათ ჩასუნთქა და აივანზე სეირნობა დაიწყო. უხაროდა, რომ მისი სურვილი მალე განხორციელდებოდა. უცნობ მამაკაცთან მომავალი შეხვედრა სიამოვნებასა და ნეტარებას გვრიდა. როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი გეგმის განხორციელება ადვილი იყო, სიხარულმა აიტანა...

მალე პეტრე ვასილის ძეც გამოვიდა.

ზოიას კარგმა განწყობილებამ მას გული სიხარულით აუვსო.

საზოგადოთ, ზოიას გამოცვლას ის მშვენიერი ადგილის გავლენით ხსნიდა.

დიდხანს ისხდენ აივანზე და უდარდელათ საუბრობდენ.

*
* *

თევდორემ იმ საღამოსვე დაიბარა ვანია, ჩაით გაუმასპინძლდა და ყველაფერი უამბო.

ვანიას სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა, მაინც თავს ძალა დაატანა და თევდორეს წინადადება მშვიდათ მოისმინა.

— საქმე მალე მოეწყობა, თუ ხვალვე ამ მამულში ჩემი ამხანაგები მუშაობას შეწყვეტენ.

— მართალი ხარ ჩემო ვანია, ეგ აზრი მეც მომეწონა.

— ეს იმისთვის გითხარით, რომ თუ აქ ამდენი ნაცნობები მეყოლა, ხელს შემიშლიან...

— ხვალვე გავისტუმრებ, მით უფრო, რომ აგარაკის პატრონი მათი წინააღმდეგია.

შემდეგ ვანიამ გამოჰკითხა მებაღეს ზოიას ხასიათი, მისი ჩვეულება.

დიდხანს ისაუბრეს, ყოველგვარი წვრილმანი გაითვალისწინეს, მომავალი ნაბიჯები ასწონ-დასწონეს.

გვიან ღამით ვანია ამხანაგებთან დაბრუნდა.

— სად იყავი? რა ამბავია?—შეეკითხენ.

— კარგი მაინცა და მაინც ვერაფერი მომაქვს, მგონია ... ბატონს ფული შემოლევია და ხვალიდან დაგვითხოვს...

— ჯანდაბას მისი თავი, ჯერ მუშაობა არ გაგვითავებია და ანგარიშს გვისწორებენ,—სთქვა ერთმა.

-- ჯანზე ვიყოთ და სამუშაოს ყოველთვის ვიშოვით ჩაერია მეორე.

მეორე დილას თევდორეს სია მოიტანა და ყველას ანგარიში გაუსწორა. ამ დროს იმდენი ეცადა, რომ ვანიას შეხვედრის ადგილი დაუნიშნა. აგარაკიდან მუშები უხალისოდ გავიდნენ. ქალაქამდის ერთად იარეს, შემდეგ ვანიამ ნაცნობის ნახვა მოიმიზეზა და ჩამოშორდა.

შუა დღე იქნებოდა, როდესაც თევდორე ქალაქში მივიდა და ვანია მოსძებნა.

იყიდეს საჩოხე, ახალუხი, შეუკვეთეს ფეხსაცმელები და შემდეგ სასტუმროში ერთი საუკეთესო ოთახი დაიქირავეს. იქ ისადილეს.

საღამოს თევდორე გამოემშვიდობა, ვანია სასტუმროში წავიდა.

გვიან საღამოს თევდორემ ქალბატონი ინახულა და მთელი დღის ნანახ-გაგონილი გადასცა, ქალს ესიამოვნა და ბევრი იცინა.

სასტუმროში ვანია კარგათ მორთულ ოთახში იწვა და თვალებს არ უჯერებდა.

მდიდარი ავეჯი, ვებერთელა რიდეები, სუფთა საწოლი. სამ დღეში ვანია იმ რიგათ გამოეწყო, რომ სიკოხტავით სასიძოთ მორთული თავადი გეგონებოდათ: შავი ჩოხა, თეთრი ახალუხი, ლამაზი ბოხოხის ქუდი და ვერცხლის ხანჯალი მას მართლაც სურათივით ხატავდა.

ერთს საღამოს ზღვის პირად გაისეირნა. საღამოობით იქ აუარებელი ხალხი გროვდებოდა. სეირნობდენ, საუბრობდენ, დროს ატარებდენ.

უცნობ ხალხში ცოტა ხანს დარჩა და გამობრუნებას აპირებდა, რომ ნაჩვევი ხმა შემოესმა.

— გამარჯობა, კაცო ვანია!

ვანია მობრუნდა და თავისი ამხანაგი ძოკია დაინახა. გაეხარდა, ხელი შემოავლო და საუბარი დაუწყო.

— ეგ ტანისამოსი, კაცო, სად იშოვე?—ეკითხებოდა ვანიას ნახვით გაოცებული ძოკია.

— რა გინდა, ჩემო ძმაო, ღმერთმა მომცა და მაქვს—მიუგო ვანიამ.

— ყველაფერი მითხარი, ჩემო ვანია და იმაში ვერ დამაჯერებ, რომ შენ საქმეში ღმერთი ურევია.

— რატომ, კაცო?

— მიტომ, რომ შე მამაცხონებულო, გუშინ წინ პერანგი არ გეცვა და დღეს ვერცხლის ხანჯალი გკიდია.

— აი სწორედ ასეთი უცაბედობა უფლის სამართალია.

— ღმერთი რომ კაცს სამ დღეში ამდიდრებდეს, ბაბუა შენი მილიონერი იქნებოდა—შენიშნა ძოკიამ..

ასეთი საუბრით ვანიამ თავისი ამხანაგი სასატუმროამდი მიიყვანა. ბევრი ეხვეწა, მაგრამ ძოკია მას სასტუმროში არ შეყვა.

— რას ამბობ კაცო, ორივეს პანლურის კვრით გამოგვაბუნძულებენ—იჩემებდა ძოკია.

— მე გამომყევი ძოკია... შენთან სალაპარაკო ბევრი მაქვს, იქ მე საკუთრად ოთახი მაქვს დაქირავებული...

— სად კაცო?—შეშინებულად იკითხა ძოკიამ.

— სად და ამ სასტუმროში—სთქვა ვანიამ და ვებერთელა, ქვის ორსართულიან სახლზე მიუთითა.

— კაცო, ვანია შენ თუ გაგიჟდი, თუ ძმა ხარ მე რას მერჩი. ერთი დაფიქრდი, ეგ სასტუმრო, რა ჩვენი საქმეა?

ამის გაგონებაზე ვანიამ გულიანად გადაიხარხარა.

— კაცო, ნუ გეშინია, მე დამიჯერე—მიუგო, ამხანაგს ხელი დაავლო და ძალით შემოათრია. ძოკია, რომ დაითანხმა, ვანია კიბეზე კმაყოფილი ადიოდა.

— ხომ ხედავ, რა თავისუფლად მოვდივარ?—სთქვა ვანიამ და გამოიხედა. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

ძოკია სადღაც გამქრალიყო! ვანიას სახეზე სისხლი მოაწვა, თვალები გაუფართოვდა. მართლაც, ძოკია ვანიას შუა კიბემდე აჰყვა, შემდეგ დაფრთხა, ფეხაკრეფით გამობრუნდა და მოკურცხლა, ვანია უცბად მოტრიალდა, ქუჩაში გავარდა და ძოკიას დაედევნა. შორიდან თვალი მოჰკრა.

— ძოკია, კაცო, ძოკია!—შესძახა.

ძოკია შეჩერდა.

— რა გინდა კაცო? ჰკითხა ძოკიამ, როდესაც ვანია დაეწია.

— ყური დამიგდე კაცო. მინდა სოფელში ურემი და კამეჩები გაგატანო, ბიძასთან სიტყვა დაგაბარო.

— კაცო, მერე ამისთვის რაღა სასტუმროში მიმათრევ, რაც სათქმელი გაქვს, ბარემ აქ მითხარი.

— კარგი ძმაო, აგრე იყოს—მიუგო ვანიამ და ძოკიას გამოჰყვა.

— მართალი მითხარი კაცო, ამდენი ფული სად იშოვე?—მაინც არ ეხსნებოდა ძოკია.

— ვნახე კაცო, გზაზე ეგდო და ავიღე...

— გზაზე მე ოცდა ხუთი წელია რაც დავიარები, მაგრამ არაფერი მინახავს.

— ეგ ბედის საქმეა, ჩემო კარგო, ყოველ შემთხვევისათვის ჩემო ძოკია, შენ ამ ამბავს ნურავის ეტყვი. მტერმა თუ გაიგო—მიჩივლებს, მოყვრები კი გამაკოტრებენ... ქართველის ბედი ასეთია. მე აქ მხოლოდ ერთი კვირაღა დავრჩები, შემდეგ გაგრაში ვაპირებ გამგზავრებას.

— სად, ბიჭო?—ჰკითხა ძოკიამ გაკვირვებით, ცოტა შეჩერდა და შუბლზე ხელი გადაისვა.

— გაგრაში.

— თუ ერთი ორი კაპეიკი გაქვს, გაგრაში ხეტიალს სოფელში წამოსვლა არ სჯობია? შენი ეზო, ჩემო ძმაო, თხის მუხლებს რომა ჰგავს, შემოლრბე და სახლი ააშენე.

— აი, ამისთვის მინდოდა სასტუმროში წამომყოლოდი... იქ ყველაფერს გეტყოდი. ვითათბირებდით, რჩევას მომცემდი. რამ შეგაშინა კაცო? სასტუმროში ვდგევარ, ნომერი დაქირავებული მაქვს. როგორ ფიქრობ, შე ჭკუის კოლოფო, კაცი ფულს მოიპარავს და შემდეგ სასტუმროში წავა და ნომერს დაიქირავებს?

— იცი რა გითხრა? სწორედ, რომ კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ სასტუმროში ვერ გაგყვები; რაც სათქმელი გაქვს, აქ მითხარი, აი თუ გინდა წავიდეთ და შენი კამეჩები ვნახოთ...

ამის გაგონებაზე ვანიას სახეზე სევდა შემოაწვა. კამეჩების, მისი განუყოელი მეგობრების ხსენებამ, ვანიას გული ატკინა.

— წავიდეთ! — გადაწყვეტით უპასუხა ვანიამ.

ძოკიას ეს წინადადება მოეწონა.

ქალაქის ცოტა დაშორებით ერთი დუქანი იდგა. ეს იყო ოდიშიდან მომავალთა თავშესაფარი. დუქ-ნს ფართე არე ჰქონდა, სადაც ხარ-ურმების მოთავსება შეიძლებოდა. სწორედ აქ ეგულებოდა ვანიას თავისი „ჯოტია“ და „ზანგა“. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ეზოში შევიდნენ. თავის ახალგაზრდობის მეგობრებს ვანია ალერსიანად შეეგება, ყურები დაუჭიმა, შუბლზე და ზურგზე ხელი დაუთათუნა. შემდეგ იქვე ურემზე ჩამოჯდენ და დიდხანს ისაუბრეს. გამოთხოვებისას ვანიამ კამეჩებს სათითაოდ დაუარა, თვალები გადაუკოცნა, გამოეთხოვა და ცრემლი გადმოსკდა.

— ეს კამეჩები და ურემი ბიძიას ჩააბარე — უთხრა ვანიამ ძოკიას, — სთხოვე კარგად მოუარონ, მალე მე ჩემს მისამართს ვაცნობებ და დავალებებს მივცემ.

შემდეგ რესტორანის პატრონს საქონლის შენახვისათვის ფული გადაუხადა; ძოკიას თუმანი აჩუქა და სასტუმროში მეტად დაღონებული გამობრუნდა.

* * *

შაბათ საღამოს ვანიას თევდორე ესტუმრა. ცოტა ხანს ისაუბრეს და შემდეგ აგარაკისკენ გაემართენ.

ღამე იყო. მთვარე დედამიწას დაჭიმული ენერგიით დაჰყურებდა. აგარაკები მის შუქზე თოვლით შემოსილს სივრცეზე მისტიურად გამოქანდაკებულიყვნენ.

გულის ფანცქალით მიაბიჯებდა ვანია და დაკვირვებით ეძებდა იმ მდიდარ აგარაკს, სადაც ერთი კვირის წინედ მხარზე თოხგადადებული მიდიოდა.

ახლა ის თევდორეს მორთული, გამოწყობილი, დასვენებული, უცხო ქალის, ლამაზი ქალის სასიძოთ, საქმროდ, საყვარლად მიჰყავდა.

ზოიაც ამ ღამეს საწოლ ოთახში, ტახტზე წამოწოლილი სატრფოს მოუთმენლად ელოდება, ელოდებოდა, სულით მისკენ მიისწრაფოდა. [illegible] იმავე დროს ღელავდა, ნელად თრთოდა. ხშირად საათს დააჩერდებოდა. [illegible] რომ შესრულდა მსახური დაითხოვა. ცოტა ხნის შემდეგ ფანჯარაზე ხმაურობა გაისმა.

ზოია ადგა და აბრეშუმის რიდეები გახლიჩა.

— მე გახლავარ ქალბატონო! — გაისმა ნაცნობი ხმა.

— თევდორე! — ძლივს წამოიძახა ზოია ილინიშნამ.

ლოყებზე წითელი ხაზები აღებეჭდა, გული აუფანცქალდა, ტანი აუთრთოლდა. სისხლის მოლებმა ბგერა დაიწყეს. ამ დროს ფანჯარა გაიღო და ვანია ოთახში მარდათ გადმოვიდა.

თევდორე სარკმელს მოსცილდა.

ოთახში ქალ-ვაჟი მარტო დარჩა.

— ჩემო მშვენებავ, ჩემო ლამაზო! — ბუტბუტებდა ცოტა ფერწასული, აღელვებული ზოია და ვანიას შავ თმებში თეთრ თლილ თითებს ათამაშებდა.

ვანიამ ქალს ხელი შემოხვია და სახის სხვადასხვა ნაწილებზე ცხელი კოცნა დააყარა...

ნახევრად განათებულ ოთახში, რამდენიმე წუთის შემდეგ ცხოვრებისა და ვნების ძლიერება გააღმერთა ფრთა გაშლილმა ეროტმა.

მეორე დილას ვიღაცამ ფანჯარას მოუკაკუნა, ეს მათი ერთგული მესაიდუმლე თევდორე იყო, რომელიც ვანიას აღვიძებდა. ამ ხმაზე ზოია ჯერ შეკრთა, შემდეგ გამოჯიხლდა, გონს მოვიდა.

ვანია საჩქაროდ წამოდგა, ტანს ჩაიცვა. ზოიას გამოეთხოვა და თევდორეს გაჰყვა. მებაღეს თავის ბინაზე პატარა ოთახი მოეწყო და ვანია იქ დააბინავა. ახალ ოთახში ვანიამ ისევ დაიძინა. საღამოს კი დაგვიანებით ზოიას სანახავად წავიდა. ქალი მას გაორკეცებული აღფრთოვანებით შეეგება.

— ხომ არ მოგწყინდა, ჩემო სათაყვანებელო? — ჰკითხა ზოიამ.

— ქალბატონო, უთქვენოდ, რასაკვირველია მოვიწყენდი.

— ასე ლაპარაკი არ გაბედო... მე შენი ვარ... ამ დღიდან ზოია დამიძახე, ზოია, ხომ გესმის? — უთხრა ქალმა და ორივე ხელებით ვანიას ლოყები მიიზიდა და აკოცა.

— კარგი. მიუგო ვანიამ.

— შენ წამოწევი და მეც ეხლავე გავიხდი.

ვანია ტახტზე მიწვა და მხოლოდ ეხლა დაუწყო ოთახს დათვალიერება. სიმდიდრე და ფუფუნება უხვად იყო გაფლანგული ზოიას ოთახის მორთულობაში.

მოქარგული აბრეშუმის რიდეებით შემოვლებულ ფანჯრის ცოტა დაშორებით ფართო, თეთრი ლოგინი იდგა, რომლის ერთი მხარე გამოხატავდა ფერად ყვავილების თაიგულს, ხოლო თავმისადები ნაწილი ამურებით შემოხვეულ ვენერას. ლოგინის გვერდით, ამოჩუქურთმებულ მაგიდაზე, ვარდის ფერი აბრეშუმის აბაჟურიანი სანათი იდგა. კედლებზე რამდენიმე სურათი ეკიდა.

კუთხეში გრძელ განჯინებიან მაგიდაზე ეწყო ფაიფურის ტაშტი, ასეთივე დოქი, ვარდის ფერ ზოლებით შემოვლებული.

ოთახის დათვალიერების შემდეგ, ვანიამ ზოიას დაუწყო ცქერა. თეთრი პერანგიდან ნახევარი ზურგი და კისერი მოუჩანდა. ფუნთრუშა ხელებით თმას სიჩქარით ივარცხნიდა. უყურებდა ვანია ამ ქალს და თავის თავს, თვალებს არ უჯეროდა. ხშირად ბარძაყზე იჩქმეტავდა, ყოფნის სინამდვილეში რომ დაჯერებულიყო.

— რა უნდა ჩემგან ასეთ თეთრ კურდღელივით ქალს?—ფიქრობდა ვანია. ზოია კეკლუცობას მალე მორჩა, ვანიასკენ გამოექანა და მუხლებზე დაუჯდა. მერე გადაიწია, ტუალეტზე მდგომ შამპანიურს ხელი დაავლო, ერთი ჭიქა თვითონ დაიჭირა მეორე ვანიას გადასცა. გამაღიზიანებელი სიტკბოსი რამოდენიმე ჭიქა შესვეს.

მიზანმა გაიმარჯვა, სიფხიზლე მოდუნდა, ნელი სითბო ორივეს ძარღვებში ნისლივით მოედო. ვნების ყიჟინი დაიწყო, მას მოჰყვა ხორცის თრთოლვა.

ვანიამ სიტყვის უთქმელად თვალდახუჭული ზოია ხელში აიღო, როგორც ბამბის მჩატე ფუთა და ლოგინზე დაასვენა. ცოტა ხნის შემდეგ ვანია წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო.

ზოიას ორივე ხელებზე თავი დაედვა და თუმცა მორცხვობას გრძნობდა, მაგრამ სიტიტვლის დაფარვას ვერ ახერხებდა, იმდენად მთვრალი და დაქანცული იყო.

შემდეგ სხეულში უეცრად სიხალისისა და სიმარდის მძლავრი ნაკადი იგრძნო, ლოგინიდან მარდად წამოხტა, ფანჯარა გააღო, ვანიას ამოუჯდა და ორივემ ცას მზერა დაუწყო.

ცაზე ვარსკვლავები გაჭრილი ბროწეულის კაკლებივით იყო სავსე. მთვარე მირბოდა, მიიჩქაროდა. ბაღი ყვავილების სურნელებას აფრქვევდა. შეყვარებულებს გული აჩქარებით უცემდათ. ფილტვები გამალებით მუშაობდენ.

ორივენი ტკბილად მუსაიფობდენ მთვარის ნაზ შუქზე, სანამ ძილმა მათი ქუთუთოები არ დაამძიმა.

შუაღამე გადაცილებული იქნებოდა, რომ დაწვენ. მეორე დღეს თევდორემ ვანიას ჩვეულებრივად მოაკითხა.

დღე-დღეს მისდევდა და სიამოვნება სიამოვნებას.

* * *

პეტრე ვასილისძის დაბრუნების დრო მოახლოვდა. ზოიას უსიამოვნება დაეტყო, რადგანაც ქმრის დაბრუნებით თავისუფლებას ფრთა ეკვეცებოდა. ქალმა თევდორე იხმო და თავისი სევდა გააცნო. თევდორემ ის დაანუგეშა და დახმარება აღუთქვა: შემდეგში ვანიასთან შეხვედრა მის ბინაზე მოხდებოდა. ეს აზრი ზოიას მოეწონა.

მართლა ზოია მებაღესთან ხშირად დადიოდა. თევდორეს ცოლი, მისი ნაზი, უწყინარი ხასიათის გამო, სიტკინსაც უყვარდა. ამიტომ ზოიას იქ სიარული ქმარს არც გაუკვირდებოდა, არც ეწყინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღის შემდეგ პეტრე სიტკინი დაბრუნდა. მგზავრობიდან მეტად ნასიამოვნები იყო. ზოია მას პირქუშად შეეგება.

— კიდევ დარჩენილიყავ, რას მოდიოდი?

— განა უჩემოდ მოგწყინდა? შეეკითხა ქმარი.

— აბა, რა იქნებოდა.

— შენ ხომ იცოდი, რომ ადრე ვერ დავბრუნდებოდი.

— ეს ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა თუ პატარა ბარათს დაიზარებდი; შენს ჯანმრთელობაზე ცნობა მაინც მექნებოდა.

— მართალი ხარ, ჩემო ღვთაებავ, მართალი.—ჩაფიქრდა და შეწუხდა. „მე ვსეირნობდი, ვსიამოვნებდი, ამ დროს კი საწყალი ადამიანი ჩემზე ფიქრობდა, სწუხდა, იტანჯებოდა. ოჰ, რა უმადურები ვართ საერთოდ მამაკაცები!“— გაიფიქრა პეტრემ. შემდეგ ცოდვის მოსანანიებლათ ხერხის გამოძებნას შეუდგა. ზოიას მიუახლოვდა, მარჯვენა ხელი დაუჭირა, გულზე მიიხუტა და ქვითინი დაიწყო. „განრისხებული ანგელოზი“ მოლბა, ქმარი სიხარულმა აიტანა, მეტი გრძნობისაგან ცრემლები გადმოსცვივდა. საათის შემდეგ ბედნიერი, შერიგებული ცოლ-ქმარი ბაღში სეირნობდა და ლამაზი ვარდების ცქერით სტკბებოდა.

ზოია ილინიშნა ამ დროს თვრამეტი წლის ასულივით იქცეოდა: ხმაურობდა, დახტოდა, კისკისებდა. ასეთი უეცარი გარდაქმნა, გადახალისება მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. ეს არის მათი უბედურებაც და ბედნიერებაც.

ზოიას ამ წუთში პეტრეს გართობა მართლაც უნდოდა. ქმარი ქალისთვის ის წყარო იყო, რომლის საშვალებით ის ვანიასთან ნეტარებდა, სტკბებოდა. დღისით ზოია მეუღლესთან ბაღში სეირნობდა, საღამოს კი, როდესაც ქმარი დაიძინებდა, ვანიას სანახავად მებაღის სახლში მიდიოდა.

ერთ დღეს ქალაქის თვითმართველობაში, სხდომის დროს, ხმოსნებმა წინადადება შემოიტანეს, რომ მთავარმართებელთან დეპუტაცია გაეგზავნათ და ქალაქის დასახმარებლად სუბსიდია ეთხოვათ. კრებამ ერთხმად დეპუტაციაში პეტრე სიტკინი დაასახელა. როდესაც ეს ამბავი სიტკინმა გაიგო, შეყოყმანდა, თუმცა არჩევა ესიამოვნა.

— სანამ ცოლი ნებას არ დამრთავს, არ შემიძლია—გადაჭრით იუარა სიტკინმა. მართლაც, თბილისში წასვლის ნებართვა ზოიამ მეტათ გაუძნელა.

— არ შეიძლება... უცხო ქვეყანაში ჩამომიყვანე და შენ აქა-იქ დაქროლავ... არ გაგიშვებ.

— კი, მაგრამ საქმე თხოულობს, ქალაქი ჩემზე დიდ იმედებს ამყარებს. ახლა უარი რომ უთხრა, სირცხვილია. ეს ადვილი გასაგებია. ჩემი სახელით საზოგადოება სარგებლობს...

ზოია ისევ უარზე იდგა, მაგრამ ნამდვილად სიხარულისაგან თავს ძლივს იკავებდა. ქმრის მოშორება ვანიას დაახლოვებას ნიშნავდა. ამიტომ ქალმა მას ბოლოს წასვლის ნება მისცა.

— წადი, მაგრამ თუ დაგაგვიანდეს, დეპეშით გამაფრთხილე—პირობა ჩამოართვა ქალმა.

— უსათუოდ... აუცილებლათ—წაიბუტბუტა სიტკინმა და მადლობის ნიშნად ქალს შუბლზე აკოცა.

მალე სიტკინი თბილისში გაემგზავრა. მარტოდ დარჩენილ ზოია იმდენად გათამამდა, რომ სოხუმიდან დაშორებით მდებარე სოფელში ვანიასთან ერთად ეტლით წავიდა. სოფელში ადრე მოვიდენ. რამდენიმე სოფელს მოეყარა თავი სამხიარულოდ, სათამაშოდ, დროს გასატარებლათ. ვებერთელა მინდორზე გაშლილი ხალხი მშვენიერ სურათს წარმოადგენდა. იქა-აქ ჯგუფები გაჩნდა, სადაც ცეკვავდენ, მხიარულობდენ. შემდეგ დიდი რგოლი შესდგა. წრეში ცხენოსნები ჩადგენ. გაიმართა მეგრელ-აფხაზების საყვარელი ჯირითობა და ცხენების საშვალებით მხედრის ჩამოგდების ცდა.

სულგანაბული ხალხი ხარბათ იჭერდა ყოველ მათ მოძრაობას. ეტლში ჩამჯდარი, თეთრში გამოწყობილი ქერა ლამაზ ქალის გვერდით, ჩოხა-ახალუხში ლეკურიანი კაცი ყველას აინტერესებდა.

გვიან გამობრუნდენ. ქალაქში რომ მიაღწიეს, მთვარე ამოსულიყო. ზოია ნახულით დიდათ კმაყოფილი იყო.

* * *

ამ დროს სიტკინი თბილისში მოღვაწეობდა. დეპუტაცია ქალაქში დილით ჩავიდა. იმ წუთსავე სასტუმროში გაემგზავრა. აჩქარებით გადაიცვეს, გამოეწყვენ და მთავარმართებელის სასახლისაკენ გაემართენ.

მიღების დღე იყო.

მთავარმართებლის ნახვის მსურველს მისაღებ კანცელარიაში წინასწარ ნებართვა უნდა აეღო. ამისათვის საჭირო იყო ვინაობისა და მოსვლის მიზეზის განცხადება. როდესაც დეპუტაციამ სათანადო ნებართვა მიიღო, კარისკაცმა ისინი ვეებერთელა ოთახში შეიყვანა, სადაც სხვა ბევრი მთხოვნელები გამწკრიბულიყვენ.

მთავარმართებელი კავკასიაში უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელი, თითქმის მეფის უფლებებით სარგებლობდა. მას რუსეთის რამოდენიმე გუბერნიაში ჰქონდა თვალ-უწვდენელი მამული, მოურავები დროგამოშვებით ჩამოდიოდენ და ანგარიშს აბარებდენ. გარდა ამისა მას დიდი ჯამაგირი ეძლეოდა. ასეთი კაცი, რასაკვირველია, ქრთამს არ აიღებდა. უყვარდა მხოლოდ საჩუქრების მიღება. ეს თითქმის ყველამ იცოდა და საეჭვო თხოვნებს, მდიდარ საჩუქრებს წინ უსწრ ბდენ. საჩუქრებს მიართმევდენ მას, ან მეუღლეს და უფრო ხშირად ბავშებს.

კარგი საჩუქრების დათვალიერების შემდეგ მთავარმართებელი ყოველთვის გაიღიმებდა ხოლმე, გაეხარდებოდა. იმ დღესაც ზოგიერთებს საჩუქარი მოეტანათ. ბზის საქონლები ოქროთ იყვენ ჩაჩუქურთმებული და იმავე ხის ფართო თეფშზე ეწყო. ერთ ქარხნის პატრონს ვერცხლის ვრცელ თეფშზე აგატისაგან გაკეთებული საწერი მაგიდის მოწყობილობა დაეწყო და გულის ფანცქალით მოელოდა მთავარმართებლის გამოსვლას.

როდესაც მას მოახსენეს, რომ სოხუმის დეპუტაციის შემადგენლობაში სენატორი სიტკინი შედიოდა, ბრძანა ისინი კაბინეტში მოეწვიათ. დეპუტაცია მთავარმართებელმა მალე მიიღო. რადგანაც სიტკინს პირადათ იცნობდა, თხომნა გულდასმით მოუსმინა და დახმარება აღუთქვა. საქმეზე ლაპარაკი შეწყდა. წასვლის წინ მთავარმართებელმა სენატორი სიტკინი შეაჩერა და სადილზე მიიპატიჟა.

— გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ მოსვლას სამწუხაროდ ვერ შევძლებ... მოხუცი გახლავარ და საზოგადოებას ვერ ავიტან.

— სწორედ დღეს ინტიმური სადილი მაქვს, ვიქნებით მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წევრები, სადილად აუცილებლათ გიცდით...

სიტკინმა მადლობა გადაუხადა და წავიდა. დეპუტაცია სასტუმროში დაბრუნდა. სრულ ოთხ საათზე პეტრე სიტკინი სასახლის კარებთან იდგა. იმ წამსვე მთავარმართებელთან მიაცილეს. მთავარმართებელს პირობისათვის არ ელალატა. სტუმრები არ ჰყავდა, სამაგიეროდ მასპინძელი საუცხოო გუნებაზე იყო. სტუმარი მხიარული სახით მიიღო და თავის მეუღლეს წარუდგინა. მისი მეუღლე მაღალი, მსხვილი ქალი, მეტად მწყრალი, დესპოტიური ხასიათის იყო. ის აუარებელი დაწესებულებების მზრუნველადვე ითვლებოდა, და უნდა სიმართლე აღინიშნოს, სადაც-კი ჩაერევოდა, იქ აუცილებლად საქმე აიბურდებოდა

ისაუბრეს პეტერბურგის ცხოვრებაზე, საერთო ნაცნობებზე, მეფისა და დედოფლის განწყობილებაზე, სანამ ოქროს მკერდით ამოქარგულ გრძელ ტანისამოსით მოსილმა ფარეშმა არ აცნობა, რომ სადილი მზად იყო.

როდესაც მთავარმართებელს თავისუფალი დრო ჰქონდა, სადილის ჭამა თავისიანებში უყვარდა, სადათ და მოსვენებით. ამისთვის მას ჰქონდა შედარებით კოხტა ოთახი, რომლის იატაკი დიდი ნოხით იყო დაფარული. მრგვალი თეთრი მაგიდა, სელებ შემოდგმულ სასადილო ოთახის შუა ალაგას იდგა. ცოტა დაშორებით კედელზე მიშენებული იყო დაბალი, ფართო ბუხარი, რომლის ბინაზე სახეებიანი აბრეშუმი რიდეებათ შემოვლოდა. იქვე ორ ადგილას ბრინჯაოს დიდი სასანთლეები იდგა, რომლის ბოძები გამოხატავდენ ტიტველ, მოთამაშე ბავშებს, შანდლების დაბლა მტევნებივით ეკიდა თლილი ბროლები. ბუხრის თაროზე, შუა ადგილას რუსის გლეხის ვერცხლის ფაცხა იდგა, რომლის ერთ კედელში უხმო საათი იყო ჩადგმული.

ბუხრის ორივე გვერდით ვიწრო შკაფში მკვრივად ეწყო ოქროსა და ვერცხლის სერვიზები. ბუხრის საცეცხლო ნაწილი ჩამოფარდული იყო იაპონური სახეებიანი ნაქარგი რიდით, რომელიც ნიგვზის ჩარჩოებში იყო ჩაჭედილი. კედლებზე სახეებიანი თეფშები ეკიდა. ოთახის ერთ კუთხეში, ფანჯარასთან იდგა ვებერთელა ტახტი, აბრეშუმის მუთაქითა და მოქარგული ბალიშით. ფანჯრის იქით, სასახლის ბაღის ერთი ნაწილი თვით ამ ოთახის დეკორაციის გაგრძელებას ქმნიდა. სიტკინი მთავარმართებელმა გვერდში მოისვა და მუსაიფი გაიმართა.

მასპინძელმა სამსახურის მძიმე პირობებზე დაიწყო საუბარი.

— მე მთავარმართებელი ვარ, მეფის მოადგილე, მაგრამ ჩემს ქალაქებს მინისტრთა თავმჯდომარე ეღობება.

გავგზავნი რამე დიდმნიშვნელოვან პროექტს, მაუდიენციაზე ... ... ...

აკაკი პაპავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სპირიდონის გასაჭირი*)

უკვე კარგა ხანია გათენდა; სპირიდონი გრძნობს, რომ რაღაც სწვავს მის თვალებს, სჩხვლეტს. ხვდება, რომ ეს გაზაფხულის მზის ცელქობაა, უნდა ჩქარა ზევით წამოდგეს—ხვალ დილა ადრიან უნდა წავიდეს და ეს დღე მაინც უნდა სიამით გაატაროს... აი, თითქოს წამოდგა კიდეც, ტანზე იცვამს, პირს იბანს და უცებ ამჩნევს, რომ ისევ ლოგინში სწევს; ადგომას, გამოფხიზლებას ვერ ახერხებს.

მთელ ძალ-ღონეს იკრებს, გვერდშიაც იჩქმეტს; საშინლად სწუხს მაგრამ არაფერი შველის. ეს საბანი მაინც გადიფაროს სახეზე, რომ მზემ პირდაპირ თვალებში არ უცქიროს—ეწევა საბანს მთელის ძალით, მაგრამ არაფერი გამოდის.

— ნეტა გამალვიძოს მაინც ვინმემ,—ფიქრობს ის და ვერ იქნა ვერ გამოდის ამ ბურანიდან. ბრძოლა დიდხანს გრძელდება; თვითონაც არ იცის, რამდენი ხანი დაჰყო ამ ყოფაში, და საშინელი ნერვიული დაჭიძვის შემდეგ ოფლში გაწურული იღვიძებს.

უცებ ასმათისაკენ მიიხედავს, მაგრამ იქ აღარავინ წევს, ქვეშაგები აბურდულია, საბანი ნახევრად გადავარდნილა. სად უნდა წასულიყო ასე ადრე? როდის იყო, რომ ასე ადრე დგებოდა?

ან რამ დააძინა ასე მკვდარივით, რომ გათენებამდის ვერაფერი გაიგო?

„განა ისევ ყმაწვილი ვარ?“—ნაღვლიანად გაიფიქრა მან.

„სადღა შემიძლიან ძველებურად ზედი-ზედ ვტეხო ღამეები?.. წინათ სამ, ოთხ დღე და ღამესაც რო არ მძინებოდა, მაინც ჩიტივით ვიყავ, ეხლა კი“...

და ის შეეცადა სწრაფად ჩაეცვა ტანთ და მეორე ოთახში გასულიყო, რომ ამ დილა ადრიან ტკბილად მომუსაიფეთ მოულოდნელად თავს წადგომოდა.

პირის დაბანის დროც აღარ იყო, არც თმა, წვერი დაუვარცხნია. ერთიორჯერ გადისვა თმაზე ჩოთქი და ჩქარა შეაღო სასტუმრო ოთახის კარები.

გაოცდა, როცა იქ ვერვინ იპოვა.

„აა,“ გაიფიქრა მან,—სჩანს, დილა-ადრიან თუ ესტუმრა სტუდენტს და ისიც უკითხავს იმ აბდა-უბდას წუხელის რო დაბლაჭნა. ან ვინ იცის, იქნებ სულაც არ შემოსულა ჩემთან და ამ სტუმართან გაატარა მთელი ღამე...—და

*) იხ. ჟურნ. „მნათობი“ № 1.

მას ცეცხლის რგოლები აუთამაშდა თვალწინ, თავ-ბრუ ესხმოდა. ჩემში ძალა ალარა ჰქონდა, ძლივს გამოსწია ოთახის კარი და ერთი ნაბიჯი შესდგა თვალები დააშტერა—ოთახი ცარიელი დაუხვდა. ისევ ის არეული და გადაშლილი წიგნები და იგივ საბედისწერო ჩემოდანი. სხვა აქ არაფერი სჩანდა.

— სად გაჰქრენ ასე დილა ადრიან? რა ოხრობამ დამაძინა მაინც ასე?

გონება დაჰკარგა, სად უნდა მოსძებნოს, წყლის პირას თუ არიან? ან იქნებ ვენახში თუ გადავიდენ. . ან იქნებ... და მას ეშინოდა ამ აზრის დაბოლავება, ეშინოდა ამ ძაფის გაჰყოლა.

— იქნებ სულ წავიდნენ ერთად, სულ მიმატოვეს... როგორც იყო დაბოლავა ეს ყველაზე უმწვავესი ფიქრიც.—რად არ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?.

რად უნდა მოეცადა ამ ქალს მისთვის, მას შემდეგ რაც ასეთი ლამაზი, ახალგაზრდა და განათლებული კაცი შეხვდა? რაღა ბევრი ლაპარაკი და მოფიქრება იყო აქ საჭირო?!—ქალს ის არასდროს არ ჰყვარებია და ამ ყმაწვილმა ერთბაშად დაიხსნა ტყვეობიდან.

მითომ შეიბრალებდა ასმათი ამ მოხუცს და ასე მოულოდნელად არ დასტოვებდა? რისთვის? განა მან კი შეიბრალა თავის დროზე ეს ქალი, როცა მისი ნორჩი გული ამოგლიჯა?

და მას ერთბაშად მოაგონდა, თუ რა საშინელი იყო ამ დილით მისი სახე, როცა სარკეში ჩაიხედა და თმა ჩოთქით გაისწორა.

ნუ-თუ შეეძლო ამ ქალს კიდევ აეტანა, ყოველ დილით ეს საშინელება ენახა და მისთვის ალერსიც ეჩუქებინა? ყველა ხომ სულიწმიდა არ არის, რომ უსაზღვრო მსხვერპლი გაიღოს სიბრალულისათვის?..

გაშეშებული იდგა და საშინელის სისწრაფით ამუშავებდა გონებას. ისევ შეაელო თვალი იქაობას.

— ეს ჩამოდანი, ეს წიგნები? ამას როგორ დატოვებდა— და ისევე იფეთქა მასში იმედის ნაკადმა. დიდხანს კი ვერა. —რა დიდი საქონელი ეს იყო, რო თან ეთრია, როცა ასეთი ბედნიერება იგდო ხელთ? განა ასმათის შემდეგ კიდე შეეძლო მას ამ ძველ ჩემოდანზე ეფიქრნა? მას ის ქალი კი არ ეყოფა?—რა ჰქნას? ასე ხო ვერ გაჩერდება მთელი დღე, უნდა ეძიოს, უნდა ქვა გახეთქოს, დაედევნოს, მტერ-მოყვარე დაიხმაროს, პარტიას მიმართოს ეხლავ.

გიჟივით გამოვიდა სახლიდან, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა: არსა ჩდნენ. მუხლები ეკეცებოდა. კედელს ხელით დაეყრდნო, სული ღრმად მოითქვა... სამზარეულოს წინ გოგო დაინახა.

— ეფროსიმე—ძლივს ამოილუღლუღა,—ქალბატონი ხომ არ დაგინახავს, სადაა?

— კი ბატონო, ასე აიარა წყლისაკენ,—იყო პასუხი.

ოდნავ მოეშვა გულზე. უნდოდა კიდევ ეკითხა რაღაც, მაგრამ პასუხის თვითვე ეშინოდა. რომ ეთქვა გოგოს, რომ ჩაცმული იყო და ერთად წავიდნენ აქეთო? განა იქედან კი არ იყო მოკლე და მოხერხებული გზა სადგურისაკენ?

ვერ გაბედა ამის კითხვა და წყლისაკენ მოუჩქარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდან მოჰკრა თვალი ქალს და გულმა სიხარულით დაუწყო ცემა. რა ბედნიერია, რა უსაზღვროდ ბედნიერია!..

ასმათი მარტო მოდის და მხარზე პირსახოცი ჰკიდია. „ალბად ტანსაბანად თუ იყო. მერე ასე ადრე; წყალი ჯერ სულ ცივია, როგორ არ ეშინია გაციების!? განა ახალგაზრდა ქალი ასე ადვილად გაცივდება! ორმოცდა ექვსი წლის ხომ არ არის, რომ ნიავის შემოქროლვაზე სურდო დაემართოს და ხველა აუტყდეს.

— სად იყავ გენაცვალე ასე ადრე?—სიხარულით მიაგება მან, როცა დარწმუნდა რომ მარტო იყო.

— ტანი დავიბანე,—მოკლედ მოუჭრა ქალმა და არც კი შესდგა.

— არ გეშინია შე ქალო გაციების?

— რა გამაცივებს.

სპირიდონს უკვირდა ასმათის ასეთი მკვახე ლაპარაკი, მაგრამ არა უთხრა რა.

ვერც იმის კითხვა გაბედა, თუ სად გაჰქრა ის ყმაწვილი. —იქნებ ისიც ტანსაბანადაა წასული,—ფიქრობდა და უსიტყოდ მიყვებოდა ქალს გვერდით. ძალლი მხიარულებით შეეგება გზაში ასმათს, ახტა და წინა ფეხებით გულზე მიახტა.

— იქით გამეცალე.

— რად ჯავრობ ჩემო გოგონა. ხომ არავინ გაწყენინა ამ დილით?...

— ვინ რა უნდა მაწყენინოს?..—მიუგო ქალმა. მაგრამ უცნაურმა ნაღვლიანმა ღიმილმა გასცა ის. ამ ღიმილით ფიქრობდა ის სევდის დაფარვას, მაგრამ სპირიდონს არ გამოპარვია ეს ხაზები მის ტუჩთან.

თვითონაც დაღონდა, ვერაფერი გაუგო.

მისი გრძნობა ნელ-ნელა სწვდებოდა იმ სინამდვილეს, რომ ამ ქალს უკვე სხვა, ახალი ქვეყანა ჰქონდა გულში, რომლის ხელის მიკარების ნებას ის სპირიდონს აღარ აძლევდა...

საუზმის დროს ორიოდე საოხუნჯო ამბავიც კი მოუყვა ცოლს, მაგრამ ატყობდა, რომ ქალი ამაზე არ ფიქრობდა; რას ან ვის დასტრიალებდენ მისი აზრები? სპირიდონისათვის ეს უცხო იყო, ან შეიძლება არც ისე უცხო, მაგრამ შიში, ეს საშინელი შიში ბოჭავდა მის გონებას, აღარ აძლევდა გასაქანს მის იჭვებს.

— აღარ მოვა ჩაიზე ის ყმაწვილი?—გაბედა ბოლოს მან.

— ის დიდი ხანია უკვე წავიდა...

— სად წავიდა, მისი ნივთები ჯერ ხომ აქ არის?

— ნუ გეშინია შე კაცო... იმ ნივთებსაც მალე წაიღებს და მოგასვენებს.

— მე რისი უნდა მეშინოდეს! თუ უნდა—სულ ნუ წაიღებს.

— რა ვიცი, რისი გეშინია? კი გაუმწარე იმ კაცს აქ ყოფნა და...

არაჩვეულებრივი გესლი და ბრაზი მოესმა სპირიდონს ამ სიტყვებ ქვეშ.

— რავა, ვაწყენინე მითომ რამე?

— რას მეკითხები. თვითონ უკეთ არ იცი?

უკვირდა სპირიდონს: რამ გამოცვალა ამ ორიოდე დღეში ეს ქალი?

ეხლა მასში გამოუცდელი, მოწაფე გოგონა კი არ ლაპარაკობდა, არამედ დარბაისელი და ამავე დროს გესლიანი ქალი, რომელიც ქმარს ზევიდან დაჰყურებდა და აშკარა იყო მის სიმხდალეს დასცინოდა კიდეც, მისი გაუთლელობა აბრაზებდა.

— შენ მომიკვდე, თუ რამე მახსოვდეს ასმათ? აღარ მეტყვი?

— არა ღირს სპირიდონ. სულ ერთია...

— არა, მაინც გთხოვ, გეკედრები მითხრა.—უნდოდა ჩვეულებრივ დაემატებინა „ჩემო გოგონა“-ო, მაგრამ ვერ გაბედა. ეს ქალი ერთბაშად ისე დიდი გახდა, რომ მას ეს „გოგონა“ სულ აღარ უდგებოდა.

— მეტს რაღას უზამდი შე კაცო! ხო ველარ გალახავდი სტუმარს. ადამიანურად ხმა არ გაგიცია, მთელი საღამო ცხვირჩამოკიდებული იყავ, ისე წადი, რომ არცკი გამოეთხოვე. ველარ მიხვდებოდა ის კაცი?

— მაგისთვის მოუვიდა გული? ავად ვიყავი რაცხა შე ქალო...

— არა! საერთოდ... რაღაც თავიდანვე მეტად აუხირდი ბაგ ყმაწვილს. სხვებიც ყოფილან ჩვენთან, ამაზე მეტიც დაუყვიათ, მარა...

— მერე რაო, რა სთქვა მითომ?..

— რა უნდა ეთქვა! ეტყობა—სწყინს ჩემი აქ ყოფნა და რაზე შევაწუხოვო. წუხელის ძლივს დავაკავე. რომ აღარ გამოდი, იმან სხვანაირად მიიღო და წასვლა დააპირა. ამ დილით ადრე წავიდა—და ქალმა უნებლიედ ამოიგვნეშა. დაიბნა სპირიდონი, ამაზე მეტი საბუთი რაღად ესაჭიროებოდა კაცს, გიჟიც კი მიხვდებოდა, რომ ამ ქალის გული იმ კაცს ეკუთვნოდა უკვე.

— თუ არ მოვა და ჯანაბას იქეთაც წასულა. ვერ შეიფერა ყურუმსაღმა პატივისცემა, მერე და მაგისთვის შენ რაღა გაწუხებს?

— ეხ სპირიდონ, რა წვრილმანი ყოფილხარ; როგორ უცებ დაჰკარგე შენი თავაზიანობა...—და ქალს ცრემლები მოადგა თვალებზე. უცებ წამოდგა და გარეთ გავიდა.

დიდ ხანს იჯდა სპირიდონი დაფიქრებული.

რად მოუვიდა ეს? რად მოიქცა ასე უხეშად, რად დაანახვა ასმათს მისი ბნელი ზრახვები? როგორ აკადრა ასეთი იჭვები? ეხლაც კიდევ დრო იყო გამოესწორებინა მისი ველური საქციელი, ბოდიში მოეხადა ამ ქალის წინაშე, ეცნო თავისი დანაშაული იმ კაცთან, მაგრამ ის ისევ ხეპრულად მოიქცა, ისევ შეურაცყოფა მოუნდომა იმ ყმაწვილს. რა საკადრისი იყო ეს „ყურუმსაღი“... განა მას შეუძლია მზეს ტალახი ესროლოს?! განა ასმათი ვერ ხედავს, რომელია მათში მისი ულირსი? და ის თვითონ უფრო არწმუნებს ქალს ამაში დღითი-დღე.

მართლა და რანაირად მოექცა ამ კაცს და მერე რისთვის? რა ქნა მან ისეთი? ერთ კვირაში მისცა ქალს მასზე მეტი, რის მიცემაც მან წლობით ვერ შესძლო და ვერც შესძლებდა.

მან გახსნა ამ ქალის საუნჯე და მზეზე გამოიტანა, გაშალა მისი გრძნობა, შეაყვარა ცხოვრება, ბრძოლა, ჩაუნერგა მაღალი იდეები...

ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ ასმათი წიგნით ხელში ჰადრის

ძირში დამჯდარიყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ იგი არ კითხულობდა, ქუჩისაკენ იცქირებოდა გაშტერებით, ოდნავაც არ ირხეოდა მისი სხეული. — ვიღაც გაბედა მასთან მისვლა. რაღა საჭირო იყო? რას ეტყოდა მას სანუგეშოს ამ დროს! კიდევ უარესი წამოსცდებოდა რაიმე და სულ გაშიშვლდებოდა ქალისათვის მისი არარაობა.

საწოლ ოთახში შევიდა, უაზროდ გაჩერდა სარკის წინ, რასა ჰგავს? პირი მაინც დაებანა ამ დილით? და მან გამოიღო სუფთა პირსახოცი და წყალზე წავიდა.

მითომ და მან რად არ უნდა დაიბანოს ამ დილით ტანი? თუ ისე მოხუცდა, რომ ესეც ალარ შეუძლიან, რაღა საჭიროა კიდევ მისი სიცოცხლე?!

ცივმა წყალმა სულმთლად შეუკრა სუნთქვა, მაგრამ თანდათან შეეჩვია... მერმე ნაცნობ ღრუებთან მივიდა და ხელი ღრმად შეუყო. რამდენიმე კიბო ამოჰყარა ნაპირას... ეჰ, რა კარგია ასმათი რო აქ იყოს, ასე ხომ ნახევარიც დაიკარგება. უეცრივ დიდი თევზი მოხვდა ხელში. — აა... ვერსად წამიხვალ! — და მაგრად მოუჭირა თავში ხელი. ღრმად შესწია ღრუში და მეორე ხელიც იქვე მიიტანა. წყალი ღრმა გამოდგა; ჩაყვინთა და თავი შეჰყო ფესვების ქვეშ. დიდხანს ეწვალა და ბოლოს ფრთხილად გამოსწია.

გამოვიდა ნაპირას, ხის ძირში დააგდო; თევზი მაღლა ხტოდა და ფართხალებდა. ჩაიცვა, კიბოები პირსახოცში გახვია, თევზი ხელში დაიჭირა და ჭადრისაკენ გასწია.

— ასმათ! — შორიდანვე დაუძახა მან. — უშენოდ ვინადირე და ხედავ რა ბედი მქონია?

— ძალიან დიდი თევზი დაგიჭერია. — უთხრა ქალმა ისევ იმავ ახალის კილოთი და ოდნავაც კი არ შეინძრა.

„ალარ მომეგება ჩვეულებრივად“, იწყინა სპირიდონმა და წინ დაუდო თევზი.

— გოგოს მიუტანე სადილად მოხარშოს. — უთხრა ქალმა.

— შენ რო გიყვარს ისე გავაკეთებინებ: ძმრითა და ქინძით, არა?

— ხო, როგორც გინდოდეს. — მოუჭრა ქალმა და წიგნის ფურცელი გადაშალა. ეტყობოდა ამ დროს არ იყო ის „ძმრისა და ქინძის“ ხასიათზე.

სპირიდონი უსიტყვოდ სამზარეულოსაკენ წავიდა.

შორიახლოს დადიოდა და თითქოს ხეებს ათვალიერებდა. ხანდისხან მოპარვით შეავლებდა თვალს ასმათს და უნდოდა ერთი ხალისიანი გამოხედვა მაინც დაეჭირა, მაგრამ...

— ასმათ!... ქვიშნა უკვე დამწიფებულა, ნახე? წელს ბევრი მურაბა უნდა. გავაკეთოთ, შარშანდელზე მეტი.

ქალმა თავი დაუქნია მხოლოდ და ისევ კითხვაში გაერთო, კითხულობდა კი?. ეს ფიქრი იყო რომ არ ასვენებდა სპირიდონს.

„მოვშორდე მაინც, რაღა აქ ვეზხირები ამ დროს თვალში“... მაგრამ რაღაც იდუმალი ძალა არ აშორებდა იმ ადგილს. ისევ და ისევ უბრუნდებოდა მის ახლო არე-მარეს.

— ასმათ, იცი, მე ხვალიდან ორი კვირა ვიქნები კამანდიროვკაში, ბაქოს გზაზე ვრჩები სანამ ახალი სადგურის უფროსი მოვიდოდეს, ერთი ავად გახდა.—უნდოდა მოეგონებინა, რომ ის მარტო ეს საღამო რჩება სახლში, დილით ადრე მიდის და ორი კვირა ობლად უნდა იტანჯოს პაწია სადგურზე.

— რა მოუვიდა?—ჰკითხა ქალმა და სპირიდონი მიხვდა, რომ ამ კითხვაზე პასუხიც კი აღარ იყო საჭირო; რომ ეს ისე ჰკითხეს, რომ რაიმე მაიცნ ეთქვათ მისთვის.

— რა ვიცი... ციებამ დააგდოო. საშინელი ადგილია იქ, ძნელი სამყოფია, კოლოები სჭამენ ხალხს—ფიქრობდა, რომ ეხლა მაინც შეხედავდენ მას სიბრალულის და მოწყალების თვალით...

„რა საშინელი და მტკიცე ხასიათი ჰქონია ამ ქალს და მე კი არ ვიცოდი,—გაიფიქრა მან, როცა ვერც ამ სიტყვებზე ჰპოვა გამოძახილი.

სამზარეულოში შევიდა, ცული გამოიტანა.

— ეფროსიმე,—უთხრა კარებში მსახურ ქალს, „ერთი ორი ღერი ლურსმანი მჭირია, არსადაა?

— როგორ არა ბატონო,—და ქალმა გამოუტანა პატარა ყუთი სხვადასხვა ზომის ლურსმნებით, რომელთა შორის ბევრი გახრილი და დაჟანგული იყო. ეხლა მარანში შევიდა, საწნახელიდან პატარა სწორი ფიცარი გამოიღო. ისევ ჭადრისაკენ წავიდა. სულ ახლოს მისვლა ვერ გაბედა.

— ასმათ! ვენახში რო სკამის ფიცარი გატყდა, იმის გამოცვლა მინდა ვითომ: დაჯდება კაცი ხანდისხან მაინკ.

— კარგს იზამ სპირიდონ!—იყო ისეთივე მოკლე პასუხი.

მაშ რა ეგონა? რად იყო ასე გულუბრყვილო, რომ ქალი წიგნს შორს გადაისროდა და კისერზე ჩამოეკიდებოდა ამ გამოყრუებულ ბებერს! რა სასახლეს ის უშენებდა?—ერთ ძველ ფიცარს აჭედებდა ხის უშნო ბოძებზე...

ჩუმად წავიდა ვენახისაკენ. სადილის შემდეგ კიდევ დაუბრუნდა სპირიდონი იმავე სკამის ამბებს.

— მშვენივრად გავაკეთე. არც კი ირყევა... ბოძებიც დავუცვალე, არ ნახავ ასმათ?

— მერე, მერე სპირიდონ—და ქალი ისევ ჭადრისაკენ წავიდა.

— ეფროსიმე, შეუნახე თუ ქალი ხარ ასმათს მაგ თევზი. რაცლა არ ჭამა დღეს. ტანნაბანზე დაგრილა და არაა კარგად. იქნება საღამოზე მიირთვას; უყვარს ძმარ-ქინძიანი ახალი თევზი, ხო იცი.

— კი ბატონო, შევუნახავ აბა რას ვიზამ. თქვენც რო არ მიგირთმევიათ?

— რაცხა ამ დილას ბევრი ვჭამე და აღარ მინდა მეტი, მერე იქნება ერთად ვჭამოთ, საღამოთი,—წამოდგა და ჭისკრისაკენ წავიდა. ისევ გადააგლო თვალი ასმათს. არც ეხლა გასცეს მას ხმა.

როცა ქუჩაში ცქერა მოსწყინდა, ისევ სახლისკენ წამოვიდა, ერთის წუთით შეჩერდა ჭადართან და დაბალის ხმით უთხრა ასმათს.

— კაი დღეა და მითომ ფაიტონით გევისეირნოთთქვა: ახლა კი არა, მერე—საღამოს.

— არა, დღეს რაღაცა არა ვარ გუნებაზე, ნუ გეწყინება სპირიდონ.

— რაზე უნდა მეწყინოს შე ქალო? მერე იყოს... სახლისკენ მიდიოდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა: საწყენი რაა, რაზე ვიწყენ?

ასე დადიოდა საღამომდის და ვერსად ჰპოულობდა ადგილს, რომ ცოტათი მაინც მოესვენებინა. მძიმედ იყო დაჭრილი მისი გული, მაგრამ არავინ გამოჩნდა, რომ ეს ჭრილობა შეეხვია და სისხლის მდინარება შეეჩერებინა. მძიმედ გვნეშოდა. „ვახ შე ოხერო წუთისოფელო!"—იმეორებდა სპირიდონი, საათს ჩქარ-ჩქარა ხედავდა, თითქოს მიიჩქაროდა სადღაც. როგორც კი ხუთი შესრულდა, ქუდი დაიხურა და ჯოხი ხელში აიღო.

— სად მიხვალ სპირიდონ,—ჰკითხა ქალმა, როცა სპირიდონმა გვერდი ჩაუარა.

— კრებაზე, ამ საღამოს ხომ ორგანიზაციის კრება გვაქ.

— ჯერ ხო ადრეა.

— წავალ მაინც, აბა აქ რაღა გავაკეთო. ამხანაგებს მაინც გამოველაპარაკები.

— როგორც გინდოდეს, მარა ჯერ არავინ იქნება, მგონია.

— როგორ არა ვინმეს კი შევხვდები. რავა, ხომ არაფერი გინდოდა ჩემგან—არაჩვეულებრივი ნაზის ხმით შეეკითხა სპირიდონი. თითქო ელოდა ქალის ბრძანებას, რომ ქუდი და ჯოხი შორს გადაესროლა და მუხლებში ჩავარდნოდა...

— არა, არაფერი. ისე გკითხე...

ისევ ცივმა ჟრუანტელმა გაუარა ტანში სპირიდონს. რაღას იდგა, რად არ მიდიოდა—აქ მასთან არაფერი საქმე ჰქონდათ.

— დიტო იქნება იქ. აკი მითხრა წუხელის—დროზე მოდიო.

ფიქრობდა, ეხლა მაინც გამოიცვლებოდა ქალის სახე და ეს ნაოჭები გადაეყრებოდა... მაგრამ ვერაფითარი ცვლილება ჰპოვა მან, ისევ ისე უგულოდ მიუგეს:

— ჰო, იქნება ალბად.

დანიშნულ ადგილას მივიდა. ჯერ არავინ იყო იქ. მზვერავიც კი არ იდგა. „იქნებ თედორემ თვითონ არ იცოდა, სად უნდა ყოფილიყო კრება—გაიფიქრა მან.—იქნებ მას განგებ სხვა ადგილი უთხრეს;—და ხელახლა დახედა საათს. ჯერ კიდევ ადრე იყო. „მოვლენ ალბად", გადასწყვიტა მან და ისევ ეკლესიისაკენ აიარა.

კრებაზე სპირიდონი არაჩვეულებრივ მდუმარებდა. მთლად სმენად იყო გადაქცეული. დიტოს ყოველ ტაბილ და მუსიკით სავსე სიტყვას იჭერდა და გულში იხუტებდა. „ასე, ასე უნდა", ფიქრობდა ის, კაცი ასეთი უნდა—ლამაზი, გაუტეხელი, განათლებული, მებრძოლი... სთქვი, სთქვი რაც გინდა მე მზადა ვარ...

კრების შემდეგ დარცხვენით მივიდა დიტოსთან, მაგრა ჩამოართვა ხელი და თავდაბლათ უთხრა.

— ამაღამაც ჩემთან უნდა წამობძანდეთ უეჭველად—ერთად წავიდეთ.

— არა ამხანაგო, რაზე შეგაწუხოთ. ისედაც დიდი ხანი დავრჩი თქვენთან.

— როგორ გეკადრებათ... ამხანაგობაში შეწუხება რა სათქმელია. შიშიც ნურაფრის გექნებათ. მე ჯერ შენიშნული არა ვარ.—დაუმატა მან, თითქოს ვერ გაიგო დიტოს უარის მიზეზი.— ამას გარდა, ასმათი გთხოვთ ძალიან, მე დილით მივდივარ და ორი კვირა დამაგვიანდება... გამოყრუვდება მარტო ქალი. ძალიან შეგეჩვიათ, საკუთარ ძმად გიყურებთ, —და ამ სიტყვას მან ხაზი გაუსვა—ახლობელ ნათესავად მიაჩნიხართ და ჩემთვისაც ხომ ასეთივე ძვირფასი და ახლო მეგობარი ხართ. კი აღარ გერიდებით ეხლა თქვენ. შინაურივით გიყურებთ და ჩვენი ოჯახიდან არც უნდა გეწყინოთ რამე.

— რა უნდა მეწყინოს, ამხანაგო? რა სათქმელია,—ღიმილით უთხრა დიტომ და ამ ღიმილმა გამოაჩინა მისი თეთრი კბილები, ზღვის თეთრი ქვები.

— რასაკვირველია!.. დ მიტომაც მოგახსენებთ. რაცხა ვერაა კარგად დღეს და მიძნელდება ასე მისი დატოვება. თქვენ კი ერთი-ორი დღე კიდე რო მოიცადოთ ჩვენსა გული საგულეში მექნება, თუ გინდ მე თვითონ ვყოფილიყო მასთან, ისე გიყურებთ თქვენ. პარტიული ამხანაგი, ხო იცით რა წმიდათა-წმიდაა ჩვენთვის.

დიტო თითქოს მიუხვდა ამ ქარაგმას და ზურგზე ხელი დაჰკრა.

— სწორეც ასე უნდა ამხანაგო.—დაუდასტურა მან.

სპირიდონი დაამშვიდა ამ ლაპარაკმა. რაღა უნდა ეთქვა მეტი? განა არ კმაროდა?

ფიქრობდა, რომ გადააჭარბა კიდეც ამ „დიპლომატიაში". არც იყო საჭირო, ეს თავისთავადაც ცხადი იყო. პარტიული ამხანაგი და მერე მთელი მაზრის ხელმძღვანელი განა ამ დარიგებას ითხოვდა?.. პირუტყვი ხო არ იყო. შეცდა. თვითონ აჩქარდა და შეურაცყოფაც მიაყენა უდანაშაულო კაცს.

არ უნდა ექნა. როგორ გაივლო გულში ასეთი რამ?

დამშვიდდა სპირიდონი, რაკი დიტო დაიყოლია.

მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ქალი მის დანახვაზედ ჩვეულებრივად არ გამხიარულდა. მართალია, მან უფრო თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი, ერთი ორი გულიანადაც გაიცინა, მაგრამ მისი თვალებიდან ეს უცნაური სევდა მაინც არ ჩამოშორებულა.

სულ დაიბნა სპირიდონი. რას ნიშნავდა ეს? დიტო ისევ დაბრუნდა, ხელახლა აპირებდა მათთან დარჩენას, ძველებურად ლაღობდა და გაცხარებით ლაპარაკობდა ასმათისათვის საინტერესო საგნებზე. არ ეტყობოდა, რომ მას რაიმე კიდევ ჩარჩა იმ წყენიდან.

მაშ რა მოუვიდა ასმათს? რის გამო იყო ის მთელი დღე ასე მოწყენით? თუ ვისმეს სხვას შეეხებოდა ეს ფიქრები, ეს სევდა... იქნებ რამე სხვა საფუძველი ჰქონდა ამ ბურუსს, დღეს რომ გადაეკრა ქალის თვალს?.. ძნელი იყო სპირიდონისათვის ეს გამოცანა.

აბა, რას იფიქრებდა, რომ ამ სევდის მიზეზი თვითონვე იყო... რომ მან ერთბაშად თავისი უხეში და ტლანქი სახე უჩვენა ქალს, რომ მის პატარა გრძნობებს უეცრივ ფარდა აეხადა; მართალია—შემდეგ მან ეს ნიღაბი უცებ აიფა-

რა, ხელახლა ძველ ქერქში ჩადგა, მაგრამ ხომ დაინახეს მაინც, თუნდ ერთის წუთით და ქალი ჩუმად დასტიროდა თავის ბედს, თავის წარსულს...

აბა რას მიხვდებოდა ამას მატარებლის ჯაჯგანით გამოყრუებული სპირიდონი? არც ნარდის თამაშში გაერია დღეს ქალი და ეტყობოდა არც თვისი მოწაფის გამარჯვებაც ახალისებდა მას ძველებურად.

ქმარს დილისათვის ყველაფერი გაუმზადა, სტუმარს გამოეთხოვა და დასაძინებელ ოთახში შევიდა. სპირიდონი გაოცებით აყოლებდა თვალებს, მაგრამ ვერ გაბედა—ოთახში შეჰყოლოდა. ზედი-ზედ აგებდა ნარდს და დიტოს თვით აოცებდა ასეთი ადვილი გამარჯვება ძლიერ მოწინააღმდეგეზე. „იქნება მართლა გაციცდა ამ დილით... რომ ვერ მოვაშლევინე მაინც წარა-მარა იმ წყალში ბანაობა!— ფიქრობდა სპირიდონი და უაზროდ იღებდა და აწყობდა ქვებს.

გამოეთხოვა სტუმარს, ტკბილი ძილი უსურვა და ერთხელ კიდევ სთხოვა, თუ ასმათი ცუდად გახდებოდა, დეპეშა მიეცა მისთვის.

გაიხადა და ფრთხილად დაწვა. ეგონა—ქალს ეძინა და შეეშინდა არ შეეკრთო. დიდხანს იწვა გულალმა და ბნელ ჭერს შესცქეროდა...

მარტო საათის „ტიკ-ტაკი“ ესმოდა.

ასანთს გაჰკრა და საათს მიაჩერდა; ერთის თვალით ასმათისაკენ გადიხედა—ქალი შეინძრა და გადაბრუნდა. აშკარა იყო, მასაც არ ეძინა, „რას ფიქრობს ნეტა, რა აწუხებს ასე მწარედ?—იტანჯებოდა სპირიდონი.

— ხომ არაფერი გინდა, ჩემო გოგონა. უქეიფოთ ხო არა ხარ?—ჰკითხა მან ბოლოს.

— არა, არაფერი.

— მაშ, რატო ხარ ასე მთელი დღე გენაცვალე?—და მან აკოცა ხელზე. ქალმა ნელად გამოაცალა ხელი.

— ისე რაღაც; არც მე ვიცი... გაივლის—არაფერია.

— მე კი მომკალი შიშით გენაცვალე და... რა გულით უნდა წავიდე?

ნუ გენაცვალე, ნუ მოიწყენ; ძველებურად იყავი. რაცხა არ გიხდება მასე.—შეეეედრა მან და შუბლზე გადუსვა ხელი. ქალი არ იძვროდა. სპირიდონი ამით უფრო გათამამდა, ეგონა მისი ალერსი მოულბობდა ქალს გულს.

— მე მალე ისევ აქ ვიქნები. და ერთი კვირა მაინც დავრჩები შინ. დედაშენთან წაგიყვან—დღეობაზე ვეწვიოთ... კი გენაცვალე...—და მან ფრთხილად გადუსვა მკლავზე ხელი, შემდეგ უფრო ფრთხილად მკერდისაკენ წაიღო ხელი... ქალი უცებ შეკრთა, სპირიდონის ხელი მოიშორა და მაგრა გაეხვია საბანში.

— დაიძინე სპირიდონ. ადრე უნდა წახვიდე—გვიანაა.

თითქოს დამბლა დაეცა სპირიდონს. გაქვავდა ლოგინში, ნერწყვი გაუშრა. ხელი ქალის საბნისაკენ გაშეშებული შერჩა.

„აღარ უნდა ჩემი ალერსი. აღარაფერი აღარ უნდა ჩემი. აღარ უყვარვარ. ასე არასოდეს არ მომპყრობია. რა მოხდა ასეთი? რა ვაწყენინე, რა?—ათასმა ფიქრებმა დაუარა თავში. ის მიზეზი, რაზეც წინად ფიქრობდა აღარ იყო... დიტო უკვე იქ იჯდა მეორე ოთახში და სწერდა. ის აღარ გრძნობს არავითარ

შეურაცხყოფას, არც წყენას. მაშ რა მოხდა? უეჭველი იყო, რომ ქალი ავად გრძნობდა თავს.

— იქნება ავადა ხარ და განგებ არ მეუბნები ასმათ. მითხარი და არ წავალ სამსახურში, შენთან დავრჩები, გენაცვალე.—შეეკედრა კვლავ.

— არა სპირიდონ. მე კარგადა ვარ. ნუ სწუხარ—არა მიშავს რა. ეხლავ დამეძინება.—მაგრამ იგი ამჩნევდა, რომ ქალს დიდხანს, დიდხანს კიდევ არ ეძინებოდა.

ისევ დახედა საათს. სულ ოთხი საათი ღა დარჩა მის წასვლამდე. წავა და მთელი ორი კვირა ვერაფერ ამბავს გაიგებს; იქნებ ამ ხანებში სულ ასე იქნეს ეს ქალი... ხომ მოეწამლა სიცოცხლე. იქნებ დიტოსაც კი აღარ გასცეს ხმა და სულ ღრმად ჩაიმარხოს ეს უცნაური მწუხარება. რატომ უფრო ბეჯითად არ სთხოვა დიტოს, რომ მთელი ეს ორი კვირა არ მოშორებოდა ქალს და როგორმე გაერთო ის. რად უთხრა ერთი-ორი დღე კიდევ დარჩით ჩვენსაო. რა სისულელე იყო მის მხრივ... ქალი ავადაა და მას კი ათასნაირი უსაფუძვლო იჭვები მიჰქონდა მაზე. როგორ ჰკადრა ფიქრიც კი ასეთ რასმეზე ან ამ ქალს ან იმ პატიოსან კაცს? „მართლა და რა უხეში და რა სულ-მოკლე ეგოისტი ვარ“.—გაიფიქრა მან და საშინლად უნდოდა რითიმე დაესაჯა თავისი თავი. მაგრამ განა ეს სასჯელი უკვე საკმარისი არ იყო? ამ ოთხმა საათმაც ასევე მწარე ფიქრებში გაირბინა. ქალის ჩუმი ხვრინვა მოესმა.

„მადლობა ღმერთს, დაეძინა“,—ფიქრობდა ის, „იქნებ შემიბრალოს განგებამ და დილით ისევ ჩვეულებრივ კარგ გუნებაზე ადგეს“.—და საშინლად დაეწანა, რომ დილით ველარ ნახავდა თვითონ ამ ქალის ცქრიალს.

ჩუმად გადაიხადა საბანი, ნაზად მიეპარა დ გაშლილ თმებში აკოცა. ისევე ჩუმად წამოდგა, პატარა სანთელი ახლოს მიიტანა და უხმოდ ჩაიცვა. ფრთხილად გააღო კარები, სანთელი ისევ თავის ადგილას დასდო და ფეხაკრეფით გამოვიდა გარეთ.

ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ მისი ნაცადი თვალები ამ ბნელშიც კარგა ამჩნევდა, რომ რიჟრაჟი იწყებოდა. როცა კიბეზე მჯდომი ძაღლი წამოიწია და გაიზმორა, ზურგზე ხელი გადუსვა. შეეშინდა—მის ხმაურობას არ დაეფრთხო ქალის ძილი.

— ssუ... ssუ!.. ჩემო მურია. იწექი წყნარად მაქ...

და ჩქარი ნაბიჯით გასწია ჭისკრისაკენ.

* * *

გავიდა ეს ორი კვირაც. მძიმე და მწარე იყო სპირიდონისათვის ეს მარტოობა. დღით ფიქრები დაზუზუნებდენ მის ყურებს, ღამით კოლოები.

„რა წყეული ქვეყანაა“, ფიქრობდა სპირიდონი, „აქ მთელი რკინის გზის უფროსობაც რო მომცენ ერთ წელსაც არ დავიცდი. დაილოცა ჩვენი არე-მარე. იქ ხალხიც სხვაა და ბუნებაც. აქ ორ სიტყვასაც ვერავის ეტყვი კაცი“.

მარტო ის ანუგეშებდა, რომ ასმათის ავადმყოფობის დეპეშა არ მოდიოდა; მაგრამ ამ „ნუგეშსაც“ უფრო და უფრო ღრღნიდა იჭვი.

„ეხლა ალბად ძველებურად მხიარულია. ასმათი. მარტო ჩემი სახლში ყოფ-

ნა სწყინს მას, ვერ გრძნობს ჩემთან თავს თავისუფლად, როგორც წინად. ეეხ! ამას მოველოდი?" და ამოოხვრა ისეთი მძიმე იყო, რომ მეორე ოთახში დარაჯს აფრთხობდა.

მოვიდა დანიშნული დღე და სპირიდონიც გამოეთხოვა დარაჯს.

— უეჭველად, უეჭველად ჩემო ვანო,—ანუგეშებდა ის,—ყოველ ზომას მივიღებ, რაც კი გამივა. ყველას ვთხოვ შენს გადმოყვანას. ცოდვა ხარ რასაკვირველია, ქართველ კაცს აქ რა უნდა? გაგიჟდება აქ ჩვენი კაცი... ის გირჩევნია—შენ მიწა-წყალზე, შენიანებში იშიმშილო.

— ვერ მივატიე ბ-ნო ეს წყეული სამსახური. რაცხა პეტერე გროშია—ჭირდება კაცს ამ დროში. ძნელია ბ-ნო უადგილოდ. ერთი ქცევა მიწა გამაჩნია, იმით თავი გევიტანო, თუ ცოლშვილი.

— კი, კი... იმედი მაქვს მოვაწყობთ მაგას.

— თქვენი სახელისათვის ბ-ნო სპირიდონ, გევედრებით ნუ ჩამკლავთ აქანა. შეიბრალონ ჩემი საწყალი ცოლშვილი.—კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მატარებელიც დაიძრა. დარაჯმა ქუდი მოუხადა სპირიდონს ‡და დიდხანს გააყოლა ნაღვლიანი თვალები.

ქალაქში სპირიდონი ორიოდე საათი დარჩა. დიდხანს იარა მთავარ ქუჩაზე და ათვალიერა—რა ეყიდნა ასმათისათვის. ტყვილა მისცა იმ საყურეში იმდენი ფული, მას კაი ოქროს სამაჯური უნდა ეყიდნა. ეხლა კი ამდენი ფულიც ალარა აქვს.

ბოლოს ერთი ფირუზის ბეჭედი ამოარჩია. ორიოდე წითელ ფოჩვებიანი პირსახოციც იყიდა, ტანსაბანად რომ გამოადგებოდა ასმათს. მის ნაზ, ხავერდის კანს მწარედ ხეხდენ ის მაგარი პირსახოცები. მას სწორედ ასეთი შეფეროდა.

როცა სახლში შევიდა, არავინ დახვდა. ეფროსიმე მოეგება.

— სად არიან ეფროსიმე?—ჰკითხა მან, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ ისინი უეჭველად ერთად უნდა ყოფილიყვნენ.

— ქალბატონი კრებაზე გეახლათ, საცაა მოვა.

— დიტო აქ არ არის?

— ისიც წავიდა ბატონო, ერთად წავიდნენ.

— ხო... აკი გამიკვირდა... რასაკვირველია ერთად უნდა წასულიყვნენ.—ნაღვლიანად იცქირებოდა ჭისკრისაკენ.

სტუმრის ოთახში შევიდა, ყველაფერი ძველებურად ჩნდა იქ. მხოლოდ ყვავილები იყო წინანდელზე მეტი—უფრო ნორჩი და ლამაზნი.

დადიოდა ცარიელ ოთახებში. თითქოს აქ მიცვალებული ესვენა, ისეთი სიჩუმე იყო ირგვლივ. ასმათის კაბას შეეხო, ცივი იყო აბრეშუმი... ნაზად გადუსვა ხელი, თითქოს მოეფერა.

აივანზე გავიდა და სკამ-ლოგინზე ჩამოჯდა. ბინდი თანდათან ჩამოწვა. ჭისკარი მაინც არ იღებოდა.

— მურია, მურია... მოდი აქ ველარ მიცანი?—უთხრა ძაღლს, რომელიც კიბეზე იდგა და ბატონს კუდის ქნევით შორიდან უცქერდა. ძაღლმა აიწია და

ერთბაშად გადმოხტა მოაჯირზე, თავი მუხლებზე დაუდო და თვალები ოდნავ დახუჭა.

— მარტო დაგტოვეს შენც? არაფერია, მალე მოვა—ჩემო მურია...—და ნაზად უსობდა ხელს თავზე, გრძელ ჩამოყრილ ყურებზე.

როცა სულ დაღამდა სახლში შეეიდა. დაღლილობას გრძნობდა, მაგრამ დაწოლაზე მაინც არ ფიქრობდა. „ვიცოდე მაინც—საით წავიდნენ, შევეგებებოდი“...—გაიფიქრა მან და სანთელი აანთო. ათვალიერებდა სინათლეზე ოთახს: „არაფერი არ გამოცვლილა, მხოლოდ მოკვდა აქაურობა. ოთახიც და ოჯახიც ისე კვდება, როგორც ადამიანი“... ფიქრობდა და ასმათის დიდ სურათს აშტერდებოდა. როგორ ულიმის კედლიდან, ასეთი იყო ის წინად—ასეთ ნათელს აფრქვევდა სპირიდონის გულზე. „ეხ, მართლაც და არ იყო ჩემი საქმე ასეთი ახალგაზრდა ქალი, რაზე გავაუბედურე, ქონოდა თავისი ბედი“...—უსაყვედურა კიდევ ერთხელ თავის თავს.

ასმათი და დიტო მოქანცულნი ამოვიდნენ კიბეზე, მტვერში იყვნენ გასვრილნი, მაგრამ ახალგაზრდული ჟინი მაინც გამოსჭვიოდა მათი თვალების თამაშში; ეს ჟინი არ აძლევდა ნებას, რომ დაღლილად ეგრძნოთ თავი და გაუწყნარებლად და ცხარედ ლაპარაკობდენ.

მარტო ორიოდე სიტყვა გაიმეტა ასმათმა სპირიდონისათვის: ხომ არაფერი შემთხვევია იქ? ციება ხომ არ შეყრია მასაც? რა საშინლადა აქვს დაკბენილი სახე კოლოებისაგან...

ეს იყო და ეს...

ამას ელოდა მთელი ორი კვირა? და მერე როგორ ელოდა!

არც თუ საჩუქრებმა მოახდინეს ძველი ეფექტი.

— აბა რა საჭირო იყო ამდენი ფულის გადაყრა,—თითქოს წყენით უთხრა ქალმა. „ხო იცი, მე ოქროულობის ტარება არ მიყვარს, ტყვილა მიწყვია“.

— როცა ხასიათზე იქნები, ატარებ.—მიუგო სპირიდონმა და ყუთი თვითონ გაიტანა მეორე ოთახში; ასმათის პაწია მაგიდაზე დასდგა.

„ყველაფერი გათავებულია“,—ფიქრობდა სპირიდონი, როცა ვახშამს მორჩენ. „აბა ქალის გულს აწი ვეღარაფერი მოაბრუნებს ჩემკენ, თვითონვე ჩავიგდე ცეცხლში ჩემი თავი და ახია ჩემზე.“

მაგრამ სადღაც იქ მაინც კრთოდა იმედის ერთი ნაპერწკალი. შეიძლება ამ ღამემ დაუბრუნოს მას ნეტარება. თუნდ ერთი ღამით მაინც.

გულმა ფანცქალი დაუწყო, როცა ქალმა დაღლილობა იგრძნო და სტუმარს გამოეთხოვა. სპირიდონი უკან გაჰყვა მას.

— სპირიდონ, შენ რაღა გეჩქარება? ჯერ ადრეა—გადი დიტოსთან ემუსაიფე მაინც. ხო იცი, როგორია—იჭვს აიღებს, ჩემი მოსვლა ეწყინაო.

სპირიდონს ლახვარი დაესო გულზე, მაგრამ უსიტყვოთ დაემორჩილა ქალს. ამ კილოში ისეთი სიმტკიცე იყო, რომ მისი წინააღმდეგობა სპირიდონს არ შეეძლო.

— აბა, ამხანაგო დიტო—ერთ ხელ ნარდზე რას იტყვით?

— ბატონი ბრძანდებით, მაგრამ მიფრთხილდით კი. ძველებურად ალარ გეგონოთ... ეს გაფრთხილება ზედმეტი არ გამოდგა. სპირიდონმა სამი ხელი ზედი-ზედ წააგო. „ამ კაცს უცნაური ჯადო აქვს. როგორ ყველაფერში მიგებს. ეს ოხერი ნარდიც ხომ ახალგაზრდობაზე არაა“.—ფიქრობდა გულნატკენი სპირიდონი როცა სტუმარს გამოეთხოვა და დასაძინებელ ოთახში შევიდა. ქალმა წყენით ჰკითხა:

— წვები უკვე?

თითქოს მას სწყენოდა ამ კაცის ახოლოს წოლა, თითქოს რცხვენოდა ამის.

— აბა რა ვქნა შე ქალო? დროა უკვე, იმ კაცსაც მოსვენება უნდა.

მხოლოდ ერთხელ შეეცადა ალერსიანის სიტყვებით ქალისაკენ წაელო ხელი, მის მკერდს შეხებოდა, მაგრამ ქალმა მწყრალად და მკვახედ მიუგო:

— თუ ღმერთი გწამს სპრიდონ თავი გამანებე, რაღაცა არა ვარ კარგად. „არა, უეჭველია რაღაც უცნაური სჭირს ამ ქალს“—ფიქრობდა სპრიდონი. „იქნება მართლა ავადაა და მე კი... ახალგაზრდაა და ვერცკი გაუგებს ისე მოსხლეტს სენი. ათასნაირი ავადმყოფობაა ქვეყნად, აშკარაა მას ნერვები აქვს აშლილი, ამას წამლობა უნდა, ჰაერი და დაწყნარებული ცხოვრება. ხვალვე უნდა წავიყვანო ექიმთან, ვნახოთ რას მეტყვის“...

ალარ გაუმეორებია თავისი ცდა, ვერც დალაპარაკება გაუბედა, თუმცა ატყობდა, რომ ქალს არ ეძინა ჩუმად იტანჯებოდა.

მეორე დილით ჩაის შემდეგ სპრიდონმა ქალს რჩევით მიმართა:

— „ასმათ მთელი ღამეები არ გძინავს, გატყობ კარგად არ უნდა იყო.— წავიდეთ ერთი ექიმთან—ვნახოთ რას გვირჩევს.

— საექიმო რა მჭირს. მე სრულიად კარგადა ვარ.—მიუგო ქალმა.

— ასე გგონია, მაგრამ გატყობ, რომ არა ხარ კარგად. გნახოს მაინც, ამით რა დაგიშავდება.

— არაფერი, მაგრამ ზედმეტია.

— ტყვილა გავიაროთ შე ქალო საავადმყოფოსკენ. ფული არ უნდა და არაფერი. რკინისგზა ვალდებულია წამალიც კი უფასოდ მოგვცეს.

— თუ არ მჭირდება ეს წამალი?

— თუ არ დაგჭირდება და ქე მოვალთ სახლში, შე ქალო. ეს რა სალაპარაკოა.

ბევრს ეეედრა სპრიდონი, ბოლოს დიტოც დაეხმარა. ორივემ ერთად შესძლეს და დასძლიეს ქალის ჯიუტობა.

— ესეცაა ფაეტონით წაიყვანეს ექიმი. ერთ საათში გეახლებათ, დაბრძანდით!—უთხრა საავადმყოფოს დარაჯმა სპრიდონს, როცა მან ექიმი იკითხა. ქალს გაუხარდა ეს შემთხვევა და თავის დახწევას ფიქრობდა.

— წავიდეთ, რაღა მაინცა და მაინც დღეს უნდა იყოს?..

— არა შე ქალო, ცოტა დავუცადოთ, ეხლავე მოვა.—ამშვიდებდა სპირიდონი. იცოდა, რომ მეორედ მას ველარ წამოიყვანდა აქეთკენ.

უცადეს ერთი საათიც; ქალი მოწყენით აყოლებდა თვალს ოთხ კუთხედებს და თავისთვის ითვლიდა. წამლების სუნი მას გულს ბრუნებდა, ექიმი არსა სჩანდა.

— აღარ ეშველა მოსვლა იმ ოჯახქორს? უთხრა სპირიდონმა უკმაყოფილოდ დარაჯს და საათი ჯიბაში ჩაიდო:

— მოვა ბ-ნო სადაცაა.

კიდევ იცდიდნენ. ისევ ითვლიდა ქალი ოთხკუთხედებს.

— წავიდეთ სპირიდონ. მეტს ველარ მოვიცდი, გული შემიღონდა აქ.

რაკი აქამდე აცდევინა ქალს, აღარ უნდოდა ასე გაწბილებული წასულიყვნენ. გარეთ გავიდა და მიიხედ-მოიხედა, არსად ისმოდა ეტლის ხმა, არავინ ჩნდა.

ნაწყენი შემოვიდა.

— მიწამ ჩაყლაპა აწი? ასეა, ბატონო: ათასნაირ გადასახადებს გვადებენ კისერზე და კაცი რო კვდებოდეს ექიმს ვერ იშოვი, რათ მინდა ამისთანა უფასო წამლობა?!. უთხრა ხელახლა დარაჯს წყენით.

— ფერშალი გახლავს ბ-ნო აქ. იქნება ის ნახოთ მანამდე. დიდი გამოცდილი კაცია.

— ვინ ფერშალია? ჰკითხა სპირიდონმა.

— უსტინოვი ბ-ნო. ძალიან გამოცდილია, ექიმს არაფრით ჩამოუვარდება.

რომ ტყვილა არ ჩაევლო ამ ლოდინს, სპირიდონმა გადასწყვიტა ფერშლისთვის მაინც ეჩვენებინა ქალი.

დიდხანს სინჯავდა რიჟა და მოკლე ცხვირა ფერშალი ქალს. მისი ჭორფლიანი სახე ხან ნაოჭებით შეიყრებოდა, ხან კმაყოფილებით გაიღიმებდა.

— არაფერი არ გტკივათ. ძალიან ჯანმრთელი ხართ—უთხრა ქალს.

— კი მარა— ღამე რო არ სძინავს? წყენით ჰკითხა ქმარმა.

— ეს გაზაფხულის ბრალია. გაუვლის. ისევ ღიმილით მიუგო ფერშალმა.

— დასაძინებელი მაინც გამოუწერეთ რამე.

— შეიძლება, რატომ არა... და ფერშალმა პაწია ფარატინზე გამოიყვანა ლათინური ასოები.

— დასწყევლოს ღმერთმა, რაღა მაგ რიჟა მამაძაღლს მოვხვდით!!. უთხრა სპირიდონმა გზაში ქალს.

— რატომ, სულ ერთი არაა? რა მჭირს ისეთი, რომ მაგ ვერ მიხვდეს? ყველაფერი მართალი სთქვა მაგ კაცმა.

— კი ღმერთმა ნუ გაგიჭირვოს ისე. მართლა რა უნდა გჭირდეს, მარა მაგ კაცი მძულს საერთოდ, მეზარება.

— მითომ რაზე, რას ერჩი, რა დაგიშავა?

— მე არაფერი, მარა ცუდი რამ გავიგონე მაგაზე.

— მანიც რა?

— ამბობენ ჯაშუშიაო, აგენტიო. თუმცა რა ვიცი...

— თუ გინდა—იყოს. ჩვენ რა საქმე გვაქვს მაგასთან? დაამშვიდა ქალმა.

— ღმერთმა ნურც მომცეს რამე. მარა ისე მეზარება.

ქალმა ნაბიჯს მოუჩქარა. ეტყობოდა, სცდილობდა დიტოსთვის მიესწრო.

— ასმათ, ბაზარში არ გავიაროთ ცოტა?

— რა დროსია? უკვე სადილობამ მოაწია. დიტოს საქმე აქვს—უნდა ისევ წავიდეს.—ვერ გაბედა წინააღმდეგობა და თვითონაც ჩქარა გაყვა. ნასადილევს დიტო ისევ კრებაზე წავიდა. მუშაობა გაცხარებული იყო. მალე მთელ დაბას დიდი გამოცდა უნდა დაეჭირა. ახლო ხანში უნდა დიდი გაფიცვა ჩაეტარებინათ და საპროტესტო დემონსტრაციები მოეწყოთ №-ის მუშების დახვრეტის წლის თავზე.

ასმათი ისევ წიგნების კითხვაში გაერთო; ეტყობოდა—მას აშინებდა ქმართან პირის-პირ დარჩენა; გაურბოდა მასთან მუსაიფს. სპირიდონი ამას კარგად ამჩნევდა და ალარ ატანდა ძალას; იცოდა—ამით უფრო მოიშორებდა მას, სულ შეაზარებდა თავს.

როცა დიტო ხელახლა მოვიდა, ასმათს გვერდით მიუჯდა და ჩუმად დაუწყო რაღაცაზე ლაპარაკი. სპირიდონმა ახლო ჩაუარა და სმენად გადაიქცა.

— მაშ ეხლავ წამოხვალ? ჰკითხა ვაჟმა.

— მე მზადა ვარ. და ქალი წამოდგა.

— სად მიდიხარ, ასმათ? მორიდებით ჰკითხა სპირიდონმა.

— ქალთა წრის კრება გვაქვს

— გუშინ არ გქონდათ?

— ო, ეხლა ჩვენ უკვე ოთხი წრე გვაქვს. მუშაობა მწყობრად და ცოცხლად მიდის. ჩაერია დიტო.

სპირიდონი ისევ მარტო დარჩა თავის იჭვებით გარშემორტყმული.

— ერთი ორიოდე დღით უნდა გადადვა შენი კრებები ასმათ, უთხრა ვახშმის შემდეგ სპირიდონმა. ხვალ დედაშენთან წავიდეთ. სამშაბათს თქვენი სოფლის დღეობაა, რო არ ვეწვიოთ ეწყინებათ. არც სარშან ვყოფილვართ.

— ვიღას სცალია ეხლა დღეობებისთვის. შენიშნა ასმათმა.

— რატომ შე ქალო, ძველი სტუმრობა და მოყვრობა ვის გადაუგდია, ეწყინება დედაშენს, ჯვებეც ხმას ალარ გამცემს.

— შენ წადი მარტო, მე ეხლა ვერ წამოვალ.

— მითომ რადაო? აპილპილებით და ცოტა არ იყოს მწყრალად უთხრა ქმარმა.

ქალმა არაფერი მიუგო, თავი გაიქნია.

— მარტო წასვლა თუ მდომოდა, არც შენ გკითხავდი. ჩვენ ერთად უნდა წავიდეთ, შენ აქ არაფერი საქმე გაქვს, მორჩა და გათავდა!..

— ჩემი საქმე მე უნდა მეკითხებოდეს. აკი გითხარ ვერ წამოვალ თქო.

ეს უკვე მეტის მეტი იყო, ყველაფერს თავისი საზღვარი ჰქონდა.

მე შენ გიბრძანებ და კიდეეაც უნდა წამოხვიდე, დაუყვირა ქმარმა და მაგრა დაჰკრა სტოლს ხელი. ატყობდა, რომ მოთმინებას ჰკარგავდა.

— სპირიდონ,—„უთხრა შეუშფოთებლად ქალმა,—რა მოგდის, რა გაყვირებს? რასა ჰგავს შენი საქციელი? დაფიქრდი!.. და ქალმა სიბრალულის თვალით შეხედა მას და შემდეგ დიტოს გაკვირვებით მიაჩერდა.

— შენი ბავშვი ხომ არა ვარ, შენს ჭკუაზე ვიარო ამხელა კაცმა?—და ატყობდა სპირიდონი, რომ ამ სიტყვებმა გასცეს ის: საშინლად [illegible] ეტყობოდა მისი ხმა. ორივე აშკარად ამჩნევდენ, რომ ცოტა კიდევ და სპირიდონს საშინელი ტირილი წასკდებოდა.

მისთვის ცხადი გახდა, რომ ამ ქალზე ყოველგვარი უფლება და გავლენა დაკარგული იყო და მისი სიბრაზე უფრო სასაცილოდ ხდიდა მასვე.

მეორე ოთახში გავიდა და კარი მაგრა მიახეთქა. დიდხანს იდგა კარებთან—სად უნდა წასულიყო, ვინ იყო მისი დამხმარე, ერთგული და პატიოსანი მსაჯული?.. იცოდეს მაინც— რა დანაშაული მიუძღვის...

— აბა რად გააჯავრე ჩემო კარგო?—მოესმა მას დიტოს ხმა. წაჰყოლოდი, რა იქნებოდა?.. ორი დღე დარჩებოდი მეტი ხო არა?

— თუ არა მსურს დიტო? ნუ-თუ არ შემიძლიან იქ ვიყო, სადაც მე მინდა? თუ არავითარი ინტერესი არა მაქვს ამ დღეობისადმი?

— კი, მართალია, მაგრამ ცოდვაა ეს კაციც. ხო იცი, უშენოდ არ წავა. ასე არ იქნება, უნდა მასაც გაუწიო ანგარიში.

— ოოხ დიტო, მაგ ანგარიშებში ჩაიხშო ჩემი ცხოვრება. კმარა! ან და რა გვინდა იქ, სიმთვრალის მეტს რასა ვნახავთ? დედასთან მარტო მირჩევნია წასვლა—სხვა დროს.

— გაიღე ეს მსხვერპლიც—წაჰყევ და ის იქნება.

— შენ კი იზამდი ამას?

— რატომაც არა.

— მაშ, რატომ შენაც არ მოდიხარ?—დიტომ გაიცინა.

— ვის ეზმაკს ეპრიანება ჩემი იქ ყოფნა? მე არავის დავუპატიჟებივარ?..

ველარ მოითმინა სპირიდონმა, გარეთ გავიდა, შუბლზე ხელი მიიდო, საშინლად სტკიოდა თავი. ვიღაც მძიმედ სცემდა იქ ჩაქუჩს.

— დასწყევლოს ღმერთმა, ამას რას გადავეკიდე. ნუ-თუ არაფერი ხსნა არაა?—ფიქრობდა, და იდგა ერთ ადგილას.

დიტო გარეთ გამოვიდა და სპირიდონს შეეჩეხა.

— ვინა ხარ მანდ?

— მე ვარ—დიტო, სპირიდონი. რასი შეგეშინდა შე კაცო? მომეჩვენა ეზოში თითქო ვიღაცა ჩამოვიდა და აქედან დავუწყე ზვერვა.

დიტო დადგა და ყურები აცქვიტა. ფაჩა-ფუჩიც არ ისმოდა.

— მომატყუა თვალმა. კი ველარ ვხედავ ძველებურად. ნუ გეშინია არავინაა.—სთქვა დამშვიდებულად სპირიდონმა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— დიტო— მიმართა ბოლოს სპირიდონმა,—სირცხვილში ვარ, მიგველის ის ხალხი. იმდენი ამხანაგობა მაინც გამიწიე, რომ შენ წამომყე, მეცი პატივი.

— კი მარა, ვინ იცის რას იტყვიან? ასე დაუპატიჟებლად დღეობაზე მისვლა?

— მერწმუნე, ყველას სასიხარულოდ დარჩება. ჩემ ამხანაგსა და სტუმარს რა დაპატიჟება უნდა იქ? საკუთარ ოჯახად მიმაჩნია: ნუ მეტყვი უარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცკი მოელოდა სპირიდონი, რომ ასე ადვილად დაიყლიებდა თავის სურვილზე დიტოს. მხიარულად შევიდა სახლში და უცებ დაწვა.

ცოტა ხნის შემდეგ ასმათიც შემოვიდა, საბანი გაუსწორა და ჰკითხა:

— ხვალვე უნდა წავიდეთ?

—კი, ხვალვე. შემდეგ ვეღარ მივასწრებთ—და ღიმი აღარ სცილდებოდა მის სახეს, რაკი გაიგო, რომ ასმათიც ეპირებოდა წაყოლას.

„ასეა", ფიქრობდა ის „საცა ძალით არ გავა იქ მოხერხებით უნდა მოუარო საქმეს. დიტო რო არ დამეყოლებინა ნებას, არც ეს წამოვიდოდა. მარა რა ოხრად მინდა ის კაცი, რას იტყვის ხალხი, მოყვრობა. ვისი რა მოხელე ნაჩალნიკია ეს კაცო? აღარ მაძლევ ნებას ჩემის კანონიერის ცოლით საცა მინდა იქ წავიდე? რა გამოჩნდა ეს კაცი, რომ ყველას ნებას დაეპატრონა ამ ოჯახში და ასე ჩუმად გვმართავს?".

ქალმა თმა გადივარცხნა და ისევ დიტოსთან გავიდა.

სპირიდონმა ერეოლა იგრძნო ტანში, შესცივდა მეტად, მეორე საბანიც გადაიხურა „იქნება მართლაც დამხაშმა იმ წყეულ ადგილას და ციება დამიწყო". გაიფიქრა და წარმოუდგა საბრალო დარაჯის ციებისაგან ჩამომდნარი და გაყვითლებული სახე.

უნდა რამე უშველოს მას. როგორცკი დაბრუნდება „კამანდიროვკაში" და ტფილისში გაივლის—უეჭველად ნახავს კომიტეტის წევრებს და სთხოვს—დაეხმარონ, გადმოიყვანონ ეხლავ ის კაცი, თორემ უპატრონოთ ჩაკვდება იქ...

მას მოაგონდა ერთ-ერთ განყოფილების უფროსი, რომელიც ათიოდე წლის წინად მასთან ერთად მსახურობდა და ასე უეცრად წაიწია სამსახურში წინ. ნუ-თუ აღარ შეიძლებოდა ძველი მეგობრობის გულისათვის, ერთხელ კიდევ შეეწუხებინა ის და ამ უპატრონოდ დარჩენილ დარაჯის გადმოყვანა ეთხოვა?

მაგრამ სჩანს, არც მისთვის იყო ადვილი საქმე ამდენი თხოვნების ასრულება; მასაც მობეზრდა ალბად და ამიტომაც მისცა დავიწყებას სპიდრიდონის უკანასკნელი თხოვნა: მისი ცოლის ძმისთვის, ჯვებესათვის რაიმე ადგილი ეშოვნა რკინის გზაზე. აგერ ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ჯვებეს არავინ მიაკითხა და ეტყობოდა—მისი თხოვნა ძველ ქაღალდებში მოექცა.

* * *

თითქოს ერთბაშად გადაეყარა გულიდან სევდა ასმათს, როცა ნ-ში ჩავიდა, ნაცნობი სახლ-კარი, გარემო, დედის, ალერსი, ძმის ტკბილი ღიმილი და მოკეთეების აღტაცება აყუჩებდა მის მწუხარებას. ყოველ შემთხვევაში სპირიდონს ეს ასე ეგონა, რადგან ქალის უზრუნველი სიცილი და ლაღობა კვლავ მოესმა. ეს კი სწყენოდა ოდნავ, რომ ასმათი დიტოს აქაც არ აკლებდა განსაკუთრებულ ყურადღებას და ზრუნვას. თითქოს ცდილობდა თავისი სახლკარი, თვალუწვდენელი, ყვავილებით მოფერადებული ეზო მისთვის მოეწონებინა; ტყეშიც კი წაიყვანა, საცა მას ბავშობისას ასე უყვარდა ცელქობა.

„განა მე კი არ მიამება ასმათის ბავშობის ამბების მოგონება? იმ ადგილების ნახვა, საცა მას პატარაობისას თამაში უყვარდა?" ფიქრობდა გულდაწყვეტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიდონი და ნაღვლიან თვალებს აყოლებდა მუდამ სადღაც მიმავალთ ასმათს და დიტოს.

მაინც არ იყო უკმაყოფილო სპირიდონი ამ წვეულებით, ძველებურად დაღვრემილად და მწყრალად არ უცქერდა მას ასმათი. სპირიდონს უფრო მეტად მოხუცს სალომესთან უხდებოდა უაზრო ბაასის გაგრძელება მოსავალზე, ამინდზე, მეზობლებზე და ჯვებეს სამსახურზე.

ყველამ ეკლესიისაკენ გასწია. ძალიან უნდოდა სპირიდონს ასმათთან ერთად წასულიყო და ძველებურად საპატიო ადგილას დამდგარიყო, საცა მას ამ სამი წლის წინად ჯვარი დასწერეს; უნდოდა—ისევ ცნობისმოყვარეობის ჩურჩული გამოეწვია დამსწრეთა შორის, მაგრამ ასმათმა თავის ტკივილი მოიმიზეზა. სალომემაც ურჩია, არ შეეწუხებინათ ქალი და მარტონი წასულიყვნენ.

რაღა ექნა სპირიდონს? აქაც ხო ვერ სთხოვდა დიტოს—ისიც წასულიყო ეკლესიაში? იცოდა, რომ ამისთანა სოციალისტ კაცს არ შეეფერებოდა ეს და არც არაფერი გამოეიდოდა ამ თხოვნიდან.

გულს იმით იმშვიდებდა რომ ჯვებე ოჯახში რჩებოდა და ქალს ყურადღებას არ მოაკლებდა.

ცუდათ გრძნობდა თავს სპირიდონი ეკლესიაში. არაფერი ესმოდა ამ დაუსრულებელ ცერემონიებისა და ისევ სახლისაკენ ეჩქარებოდა. სალომეს კი ეტყობოდა—აქ უფრო სიამოვნებდა დარჩენა. მან წირვის შემდეგ მთელი ქალები შეჰყარა და სიძეს აცნობდა.

— მაკრინე, კესა, მართა... მობრძანდით ერთი აქეთ, აღარ მომილოცავთ?.. ამ ჩემ სიძეს ხელს აღარ ჩამოართმევთ? თეკლე, შენ არცკი იცნობ მგონი ჩემს სპირიდონს. გუშინ მეწვია, ორი-სამი დღით, ეიშვა სამსახურიდან თავი.

— დიდი ბედნიერებაა ამისთანა სიძის წვეულება ჩემო სალომე. გაგიხარეს მოხუცებულობა? ასე უნდა... ასმათს რატო ვერ ვხედავ, ბეჩა?

— რაცხა დეიღალა შვილო ძალიან, და აღარც მე ჩავაცივდი; სახლში დარჩა.

— აღარ გვკადრულობს ახლა ალბად, აღარც კი გვიცნობს.. ხო კარგა ბრძანდება?

— გმადლობთ, კარგათ გახლავსთ.—მიუგო სპირიდონმა და სალომეს ანიშნა, რომ დრო იყო წასვლისა.

— არა, უნდა ვუთხრა ასმათს, რომ ასე არ ვარგა—რას იტყვის ხალხი, სოფელი?—ფიქრობდა გზა-გზა სპირიდონი და სალომეს ხელგაყრილი მოჰყებოდა შინისკენ.

ნელ-ნელა მოგროვდნენ სტუმრებიც; ზოგი შორიდან, ზოგიც მეზობლები. ხუმრობა ხო არ იყო—წარჩინებული სიძე და მასთან ვიღაც ლამაზი სტუდენტი ეწვივნენ სალომეს ოჯახს.

დღესასწაული უკვე დაიწყო, მთელი სოფელი ლხინს მიეცა და ფართო ფოთლებით დაყურსულ ხეების ქვეშ მწვანეზე ჭრელი სუფრა იშლებოდა. არც სალომე იყო სხვაზე ნაკლები მასპინძელი; ჯვებემ ბუსრი გაავლო ოთხფეხაა და

ფრინველთ. ან რა ჰქონდა სადარდებელი? აი, კიდევ ორიოდე თვეც და შშვენიერ სამსახურს იშოვიდა, იცხოვრებდა უდარდელად და ფულიანად იქნებოდა, ოღონდ სპირიდონისათვის კი ეცა ღირსეული პატივ[illegible]

ჯვებე დიდ გაწა-მაწიაში იყო—ბევრი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი. ახალუხ აკეცილი, მკლავებ დაკოტავებული ხან სამზარეულოში გარბოდა და ქალებს აჩქარებდა, ხან მუხის ძირას მიირბენდა და სუფრის შლაში და სკამების დალაგებაში ეხმარებოდა ბიჭებს.

— ასმათი სადაა?—ჰკითხა ეზოში ჩამოსვლისთანავე სპირიდონმა.

ჯვებემ უცებ არ გასცა პასუხი; ჭიქები დაალაგა, ხელები დაიცალიერა და სპირიდონს შეეგება.

— დედაჩემი მაინც სად დაიკარგა ამ დროს? რაღა ეხლა ეწირვებოდა?—კითხვითვე მიუგო სპირიდონს.

— აგერ მოდის. უკან ჩამომრჩა, ქალებს მოყვება. მე წინდაწინ გამომიშვა. ასმათი ვეღარ მოიხმარიე?—უთხრა სპირიდონმა, უფრო იმისთვის, რომ თავის პირველ კითხვაზე პასუხი მიეღო.

— ჩემთვის სცალია იმას? იმ სტუდენტს ვერ მოვაცილე ერთის წუთით.—ცოტა არ იყოს, წყენით მიუგო ჯვებემ და სუფრას ცალი ყური დაუწია—გაასწორა.

— სად არიან?—ხელ-ახლა ჰკითხა სპირიდონმა და სახეზე სიწითლე მოაწვა.

— რა ვიცი, რა რო თქვენ წადით, სულ ეზოს პირში დადიოდენ და მუსაიფობდენ. თუ ამდენი შეეძლო, ბარემ წაგყოლოდა ეკლესიაშიც და ის იქნებოდა.—ჯვებემ შეატყო, რომ ეს სიტყვები მეტად აღელვებდენ სპირიდონს, რომ შეიძლებოდა აქ მისი სამსახური საჭირო ყოფილიყო სიძისათვის; მკლავი გაუყარა და გვერდზე გაიხმო.

— შენი სტუმარი, ჩემო სპირიდონ-კი იცი—ჩემი სტუმარიცაა და პატივსაცემი. მარა ვერ დაგიმალავ არ მობწონს მაგ ყმაწვილი. მაგის საქციელი აღარაფერს გავს, ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. ჩემ დასაც ვეღარ ვცნობილობ.

— ვეღარც მე ვცნობილობ, ჩემო ჯვებე—და ამოიგვნეშა ღრმად.

— მერე და ვეტყოდი შე კაცო რამეს. ან რა ოხრად მოათრევდი იმ კაცს აქ?

— მე ვინ მკითხა, ჯვებე. ასმათის სურვილი იყო.

— მაშ შენი სურვილი არ ყოფილა? ასე მცოდნოდა—საკადრისად დავხვდებოდი. და ახლა რაღა დროსია... ეატყობ მაგ ყმაწვილს ზურგი მოქავებია.

— კაი თუ ღმერთი გწამს, არაფერი შეამთხვიო ჩემი ხათრიზა, ასმათიც თავს მოიკლავს. რა ვქნა, ამ ბედის ვყოფილვარ და...

— შენ დარდი ნუ გაქ სპირიდონ. არხეინად იყავი...—და სალომეს დანახვაზე ჯვებე ისევ სამზარეულოსაკენ გაექანა.

— რად ვუთხარ? რა საჭირო იყო!!! ბრაზმორევით ბუტბუტებდა სპირიდონი,—ნეტაი არ მცოდნოდა მაინც მაგის შფოთის ამბავი, გიჟია... რამე არ დაატეხოს იმ კაცს. მაშინ ხომ ყველას მოედო ჩემი უბედურების ამბავი.

კიბეზე ავიდა, უნდოდა აივანზე ჩამომჯდარიყო, მწვარე ფიქრებთან მარტო დარჩენილიყო. სასტუმრო ოთახიდან ასმათის ხმა მოესმა. ვინ-ალბ ... ეუბნებოდა:

— კარგი, ნუ დამცინი! აქ მოიტა, გეყოფა!!.

— დამაცა ქალო. ჯერ არაფერი წამიკითხავს.

— არ მინდა, ნუ კითხულობ—მე მრცხვენიან!!. და ეტყობოდა ასმათმა ხელიდან დასტაცა რაღაც რვეული.

უნდოდა შესულიყო, თვალით შეემოწმებინა, მაგრამ რაღა საჭირო იყო ეს? განა ვერ ხვდებოდა, რომ ასმათი და დიტო თავიანთ „ტკბილ მუსაიფს" აქაც აგრძელებდენ.

მოწყვეტით დაეშვა გრძელ სკამზე. ჭერს თვალები მიაპყრო და ძველი ნახვრეტები დაინახა,—მოაგონდა მისი ქორწილი, გრძელი სეფა, ამ აივანზე გაშლილი სუფრა. მაშინ აქ ისხდნენ ის და ასმათი, როგორ ლოცავდა მათ თამადა. რა რიგ ჭირვეულობდა ჯვებე; როგორ შეაშინა ასმათი, როცა მან ჭერს ტყვიები დაუშინა; ეხლაც აჩნია. ამ ხმელ ფიცარს ყველაფერი ახსოვს, ხოლო იმ ქალს კი, იქ რო სტუდენტთან ლაღობს, იმ დროიდან აღარაფერი აგონდება.

— მაშ აღარ წამაკითხებ?—ეკითხება ყმაწვილი ქალს.

— მერე... როდისმე, როცა მე შენთან არ ვიქნები. შეგიძლია წაიკითხო.

— ნეტა რა უნდა იყოს ეს, რისი წაკითხვაც ასე აინტერესებს, ამ ყმაწვილს?—ფიქრობს სპირიდონი, მაგრამ ოთახში შესვლას მაინც ვერ ბედავს.

— აქ რას აკეთებ მარტო გენაცვალოს სალომე?—ალერსიანად მიმართა სპირიდონს ასმათის დედამ.—ასმათი როგორაა?– და პასუხს არ დაუცადა, ისე შევიდა ოთახში. თითქოს ეხლა სპირიდონის შესვლასაც ვერავინ შეამჩნევდა,— უსიტყვოდ შეყვა სალომეს. ასმათმა, თითქოს ის ვერც დაინახაო, დედას უსაყვედურა:

— არა გრცხვენია დედა, ჩემი წიგნები და რვეულები აქ გამოგიწყვია და, ალბად, ყოველი მომსვლელი ჰკითხულობს ჩემ დღიურს.

— რას ამბობ, შვილო?! შენი წიგნებისთვის ვის ვახლებინებ ხელს. თვალის კაკალივით ვუვლი. შემეშინა, მაღლა თაგვებს არ დაეხრა და აქ დავაწყვე.

— არა დედა, ესენი მე უნდა წავიღო თან.

— წაიღე, დედა გენაცვალოს. შენი ნება არ არის?

ასმათმა მაგიდაზე წიგნების და რვეულების გადარჩევა დაიწყო. დიტო სათითაოდ სინჯავდა ამ გადარჩეულს და ეტყობოდა ბევრ საინტერესოსაც ჰპოულობდა შიგ. ხშირად ულიმოდა სახე და ცნობისმოყვარეობით აჩერდებოდა, დაობლებულ რვეულის ფურცლებს.

— მართლაც რა საჭიროა ამის აქ დატოვება?—შენიშნა სპირიდონმა როცა სალომე გავიდა და წიგნები ხელახლა ერთმანეთის ზომაზე დაალაგა,— რასაკვირველია, აჯობებს, რომ თან წავიღოთ.

— მოიცა სპირიდონ ერთად ნუ ამირევ, რვეულები ცალკე უნდა დაიწყოს. შენიშნა ქალმა.

— ეგრე იყოს; ცალკე დავაწყოთ—უცებ დაეთანხმა სპირიდონი—და ხელი წაავლო რვეულს დიტოს რო ეჭირა და კითხულობდა.

— არა, მაგას თავი დაანებე. მაგის წაკითვის ნებას ვაძლევ,—მიმართა ასმათმა და ღიმილით გადახედა დიტოს,—მხოლოდ დღიურის წაკითხვა კი არ შეიძლება.

სპირიდომა თავი დამნაშავედ იგრძნო; რვეული ისევ დიტოს გადასცა.

— რა ძალად ვეჩხირები ყველაფერში,—ფიქრობდა ის,—განა უჩემოდ უკეთ არ იციან ამათ ეს საქმე?

სადილი უკვე მზად იყო; სტუმრები გრძელ სუფრას მიუჯდენ.

სპირიდონი ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა თამადად გრძელ წვერა, დარბაისელი მოხუცი დიომიდე აირჩიეს. იქნებ ამას მაინც მოეგონებინა ასმათისათვის ქორწილის ღამე.

აი, სამის წლის შემდეგაც ისევ ის თამადაა და ისევ „ნეფე-დედოფალს“ ეძახის მათ და წყლიანის ენით ლოცავს; ისევ გამრავლებას უსურვებს—„ვითარცა იაკობი დი სარა“... მაგრამ ეტყობა ასმათს ეს სიტყვები არაფერს ეუბნებიან. მართალია, ის ხანდახან გადახედავს თამადას და მადლობით თავს უქნევს, მაგრამ ვინ არ შეამჩნევს, რომ მისი გულის-ყური სუფრის მეორე თავისკენ არის მიმართული, საცა დიტო ზის ჯვებეს გვერდით.

გახურდა სმა, სტუმრები ეშხით მღერიან, ცეკვავენ, ოხუნჯობენ. სამზარეულოდან ხშირად მოარბენინებენ შემწვარ ვარიებს, გოჭებს, მოხარშულ ბეჭს და მცვრიან მწვადებს.

უკვე ჩამოღამდა; მუხის ტოტებზე ფანრებს მოუკიდეს; გაისმის დაუღალავი ხმა დაირისა, თამადა ფხიზლობს და „პატივცემულ მანდილოსნების“ სადღეგრძელოს არავის აწევს. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს სპირიდონიც, ასმათი მის გვერდით ზის და მისთვის ესეც კმარა; წარა-მარა აწვდის სურნელოვან ხილს. ღვინო იმდენად მოეკიდა, რომ ველარ ამჩნევს ასმათის წარა-მარა დიტოსაკენ გადახედვას.

აი, დიტოს სადღეგრძელოც მოდის. თამადა განსაკუთრებულ სიუხვეს და მჭერმეტყველობას იჩენს ამ „საწყალი ხალხის განმანათლებელი და გზის მანათობელი“ სტუდენტისადმი. კიდევ დიდხანს ლაპარაკობს ის ამ ახალ თაობაზე, გაზაფხულის წინამორბედ მერცხლებზე და დიდ ყანწს სცლის.

ჯვებე გულზე აკოცებს და თავაზიანად ჩამოართმევს ყანწს.

აი, მანაც გაივსო ყანწი და დამსწრეთ გადახედა—თითქოს ისიც აპირებს მჭერმეტყველების გამოჩენას; ქამარი ცალი ხელით გაისწორა, დასწია და წელზე ხელი შემოიდგა.

მაგრამ სპირიდონი მას თითქოს ვერც კი ამჩნევს, ჭიქით ხელში ისევ ულიმის დიტოს და სიამით უქნევს თავს. ეხლა მის გულს ქვა აღარ აწევს, ის ყველაფრით კმაყოფილია და ბედნიერი...

— ბ-ნო თამადა,—მიმართავს ის დიომიდეს,—სთხოვეთ ერთი ჩვენს ძვირფას სტუმარს—რამე სიტყვა შემოგვაწიოს. მარტო ორიოდე სიტყვა.

— უეჭველში·—დაეთანხმა თამადა —აბა, ბ-ნო სტუდენტო, გთხოვთ ორიოდე სიტყვა, რაც თქვენი გულის ნადები იყოს... იმედია, უარს არ გვეტყვით.

— გთხოვთ, გთხოვთ!—გაისმა ყოველ მხრიდან.

დიტო ჯიუტობდა, ბოდიშს იხდიდა, მაგრამ დამსწრენი არ იყვნენ ჩვეულნი თხოვნის გაწბილებას.

ჯვებე ხმა-ამოუღებლივ იდგა ყანწით ხელში და სახეზე თანდათან ალმური ედებოდა. მას ეხლა აქ ვერავინ ამჩნევდა.

თამადა წამოდგა, დიტოსთან მივიდა და ხელახლა განუმეორა თხოვნა.

მეტი გზა აღარ იყო. დიტო წამოდგა და პატარა ჭიქა ხელში დაიჭირა. ასმათი მთელის ტანით შეირხა და ორივე თვალები ხარბად მიაშტერა.

— იძულებული ვარ ბატონებო, რომ თამადის დაჟინებით თხოვნაზე...— დაიწყო დიტომ და თმაზე ხელი გადისვა.

— უკაცრავად კი გახლავარ ყმაწვილო,—გააწყვეტინა უცებ ჯვებემ,—მაგრამ თუ შეიძლებოდეს ჯერ მე დამაცადეთ.

— ბოდიშს ვიხდი. ბრძანეთ!—შენიშნა ფეხზე დგომით დიტომ.

უხერხულობა ჩამოვარდა და ყველამ თამადას მიაპყრო თვალი; იმედი ჰქონდათ, რომ ის ამ უსიამოვნებას მოაგვარებდა.

— არა! ჯერ თქვენ დაბრძანდით—ცოტათი აუწია ხმას ჯვებემ.

— მითომ ჩემი ფეხზე დგომა რას გიშლით?

— არა, მაინც ასე სჯობია. დაბრძანდით!..

— ბატონი ბრძანდებით!—დიტო დაჯდა და ჭიქა განზე გადადგა.

— ჯვებე!—შენიშნა თამადამ,—როგორ გეკადრება?! სტუმარ კაცს სიტყვას აღარ დავაცლით? ჩვენ შინაურები ვართ, მერეც მოვესწრებით.

— თქვენ ჩემთან გადმობრძანდით ალავერდი. ჯერ ამას დავლევ და მერე რამდენიც უნდა ილაპარაკოს.

— ეს კი მართალია; ნამდვილათ მე ვარ ამაში მინავათი. სულ დამავიწყდა ეს.—დაურთო თამადამ, რადგან კარგად იცოდა ჯვებეს შფოთი ხასიათის ამბები, მას არ გამოპარვია, რომ ჯვებეს ჩარბი უთრთოდა და ხმაც ოდნავ უკანკალებდა; ეს კი კარგის მომასწავებელი არ იყო.

— ო და ბრძანეთ ბარემ,—ცოტა მოუთმენლად მიმართა დიტომ ჯვებეს.

— თქვენ—ყმაწვილო—მგონი აქ თამადათ არავის აურჩევიხართ ჯერ. არც ისეა მართლა საქმე... როცა ვბრძანებ—ეს ჩემი საქმე გახლავთ.

— ახირებულია ღმერთმანი—წაილაპარაკა დიტომ და ძალად გაიღიმა.

— ახირებული ვინც არის მე იმას კარგა ვხედავ და თავის დროზე მაგაზეც მოგახსენებთ საკადრის!!. თვალები აუთამაშდენ ჯვებეს, წელზევით ტანი შეარხია და ყანწი შეაბრუნა. ქარიშხალი ახლოვდებოდა... თამადა და სალომე ერთად მივიდენ მასთან და დამშვიდება სთხოვეს.

— თუ ჩემი პატივისცემა გქონდეს, ჯვებე—ეუბნებოდა დიომიდე,—ჩემი ბიძიეი დამდე ხათრი, ჩემს ჭაღარას ეცი პატივი.

დიტო უძრავად იჯდა და ელოდა ჯვებეს წამოწევას. რევოლვერს მაგრა მოუჭირა ხელი და სუნთქვას მოუხშირა.

— არაფერი ბ-ნო... რაზე სწუხართ? დაბრძანდით. ამ ღვინოს ღარ დამალევინებთ?—უფრო თავშეკავებით სთქვა ჯვებემ. დიომიდეს ამბავი მეეცა. ჩქარა თავის ადგილს მიაშურა; სალომე კი შვილის უკან იდგა გაფითრებული.

— სიჩუმე ბ-ბო, სიჩუმე! ბ-ნ ჯვებეს დავაცადოთ!—გასცა ბრძანება თამადამ.

— თანახმად თამადისა გიახლებით ამ ყანწით თქვენს სადღეგრძელოს ბ-ნო სტუდენტო—მიმართა ჯვებემ—ღმერთმა სვინდისი და პატიოსნება რაც რომ შეგფერით არ დაგაკარგვინოთ, იცოცხლეთ!—და ნელ-ნელა დასცალა ყანწი.

სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმრის შეურაცხყოფა მეტად აშკარა იყო.

თამადა ხელახლა შეეცადა ამ უხერხულობის მიჩქმალვას და დიტოს ღიმილითა და თავაზიანად მიმართა:

— გთხოვთ ეხლა ბ-ნო სტუდენტო, იმედია თქვენ დანაპირებს შეასრულებთ.

— არა ბ-ნო, ზედმეტია. გთხოვთ გამანთავისუფლოთ.—მოკლედ მოუჭრა დიტომ.

სხვებმაც ურჩიეს თამადას, ღარ შეეწუხებინა ეს სტუმარი კაცი.

— რა ჯანია? მერე იყოს ოლონდ გამხიარულდით კი.—მიმართა თამადამ ხელახლა სტუდენტს, მაგრამ ყველა ამჩნევდა, რომ მხიარულება არა მარტო დიტოსთვის, სხვებისთვისაც უკვე დაკარგული იყო.

ყანწი ჩამოატარეს. თამადა შემდეგ სადღეგრძელოსთვის შეემზადა.

— უკაცრავად ბ-ნო თამადა მარა წესრიგს ვერ ვხედავ,—ისევ ისეთივე მკვახე კილოთი შენიშნა ჯვებემ. თამადა ერთბაშად შეშფოთდა. არ იყო ისეთი გულუბრყვილო, არ მიმხვდარიყო, რომ ჯვებეს ასე ადვილად არ გაუვლიდა მისი ბრაზი და ხიფათი კიდევ აცდენილი არ იყო.

— მითომ რაზე ბრძანებთ!

— ბ-ნ სტუდენტს მაგ ყანწი არ მიურთმევია.

— გმადლობთ, მეტს არ გიახლებით,—ჩაერია დიტო.

— არ გიახლებით რა სათქმელია? სამადლობელი ღარ უნდა დალიოთ?—მწყრალად უთხრა ჯვებემ.

— სამადლობელი უკვე დავლიე.

— უკაცრავად. ჩვენ დიდი ყანწით გადღეგრძელოთ და თქვენ პატარა ჭიქით სამადლობელი სვათ—ეს რა წესია?

— ჯვებე რა მოგვიდა კაცო, იქნებ არ შეუძლია შენსავით სმა მაგ ადამიანს—ჩაერია მოთმინებიდან გამოსული ასმათი.

— შენ, ჩემო ასმათ არაფერი ადვოკატი ხარ მაგ კაცის. ეს ჩვენ ვიცით.—და ხელახლა მიმართა დიტოს ჯვებემ.

— ეხლავე დალიე მეთქი მე შენ გიბრძანებ, თორემ...—დაჰყვირა ჯვებემ რაკი ხელახლა მტკიცე უარი მიიღო.

სპირიდონი მოთმინებიდან გამოვიდა, მოწყვეტით წამოიჭრა ადგილიდან და ჯვებეს მივარდა, ხელი მძლავრად დაუჭირა.

— გაგიჟდი? მხეცი ხომ არა ხარ?—შეჰყვირა მას.

— სპირიდონ, იქით გამეცალე, თუ ხათრი გაქვს, მე ვაჩვენებ მაგ წუპაკს.

— ხმა გაკმიდე მეთქი, შე უზრდელო შენ...—არ ეშვებოდა სპირიდონი.

— წოუგდია ენა და დაეთრევა კარ და კარ...—სპირიდონმა ცალი ხელი პირზე დაადო აღარ დაათავებინა. ჯვებემ მაგრა ჰკრა გულზე ხელი და თავი გაინთავისუფლა.

— ესაა შენი ვაჟკაცობა?—უთხრა სპირიდონს ჯვებემ,—დღეს რას მელაპარაკებოდი მაგ ლაწირაკზე და ეხლა რამ წაგახდინა ასე?

ყველაფერი აირია. დიომიდე, სალომე და ორიოდე ბიჭები ჯვებეს შემოხვევოდენ და ხელებს უჭერდენ.

ასმათი და მის გვერდით მჯდომნი დიტოს ამშვიდებდნენ, რომელსაც მთელი ტანი უცახცახებდა და სახე გაფითრებული ჰქონდა.

— გთხოვ დიტო, გენაცვალე... ჩემი გულისთვის. მხეცია, უგუნური, ნუ იკადრებ, ნუ აჰყვები მას. აპატიე.—ეეედრებოდა ასმათი და ცრემლებით უსველებდა ხელებს.

დიტომ დიდხანს ვერ მოახერხა რაიმეს თქმა: ბოლოს ნაღვლიანად გაიღიმა და ასმათს თავზე ხელი გადუსო.

— აოაფერია, არაფერი! რად ღელავ ქალო ასე? ისევ ჩემი ბრალია, არ უნდა წამოვსულიყავ აქ.

— მაგ წუპაკმა უნდა გამილანძღოს სიძის ოჯახი? რა ხელი აქ მაგას?—გაჰყვიროდა ჯვებე. ისმოდა ქალების კივილი, ვედრება, კაცების ყვირილი...

ასმათმა დიტო სახლში შეიყვანა, უნდოდა როგორმე დაეშოშმინებინა.

— ასმათ, ნუ გეწყინება და მე აქ ვეღარ დავრჩები ვერც ერთ წუთს.

— სად უნდა წახვიდე ამ ღამით? დილამდე დაიცადე და მეც წამოვალ.

— არა, შენ რად უნდა წამოხვიდე? მე კი ამელამვე უნდა წავიდე.

— დაფიქრდი დიტო.

— ხომ გაიგონე ჯგვებეს სიტყვები ასმათ? ვერ ყოფილა სპირიდონი კარგი რაინდი. რა გაეწყობა...—და მან ნაღვლიანად გაიღიმა.

— ნუ-თუ გჯერა დიტო, რომ სპირიდონი ამას ეტყოდა?

— ეს დღესავით ნათელია ეხლა ჩემო კარგო. არ ღირს ამაზე ლაპარაკი. ერთ ცხენს ვერავინ მიშოვის?

— დიტო! ხომ იცი, მე მარტო არ გაგიშვებ.

— ეს სულ რას ემსგავსება, ასმათ? დაფიქრდი...

— სულ ერთია. მე კი უშენოდ აქ ერთ წუთსაც აღარ დავრჩები.

სპირიდონი გაფითრებული შემოვიდა.

— წაიყვანეს ის მხეცი.—უთხრა მან დიტოს,—ფიქრი ნურასი გექნება: ის ვეღარ მობედავს, ვიდრე ჩვენ აქა ვართ", დიტომ ზურგი შეაქცია.

— სპირიდონ! დიტო და მე ეხლავ მივდივართ. ან ეტლი, ან ურემი მაინც გვიშოვო უნდა.

— მიდიხართ? კი, მართალია ძალიან აწყენინეს დიტოს. მარა ღირს კი პირუტყვზე ასე გაგულიანება? უნდა აპატიოს, მას მეტი არ ესმის.

— ეხლა მაგაზე არ ვლაპარაკობთ,—გააწყვეტინა ქალმა,—ვერაფერს იშოვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა წასვლა როგორ შეიძლება? სალომე ამას ვერ გადიტანს, ან ამდენ ხალხს რას ვეტყვით? არა, ეს არ მოხერხდება.

— ქ-ნი ასმათი და თქვენ დარჩებით,—მიუბრუნდა დიტო,—მე კი ეხლავ უნდა გავსწიო. ჩემი დარჩენა აქ ყოვლად შეუძლებელია. მორჩა და გათავდა.— მტკიცე ნება იყო ამ სიტყვებში, სპირიდონმა წინააღმდეგობა ვერ გაუბედა.

— რაკი აღარ იცდი, ვეცდები რამე ვიშოვო, ისე როგორ გაგიშვებ.—და გავიდა.

ნახევარ საათში დიტოს ეტლი მოუყვანეს. მეზობელმა ლუკამ ხათრი ვეღარ გაუტეხა სპირიდონს და ღამით გაუბა ცხენები.

— ეტლი მოვიდა,—შეატყობინა სპირიდონმა დიტოს.—იქნებ ცოტა მაინც დაიცადო ამხანაგო, საცაა გათენდება.

— არა, გმადლობთ. ნახვამდის! ბოდიში ყველას შეწუხებისათვის. ქ-ნი სალომე სადაა?

— იმ გადარეულთან იქნება. ეხლავ გიახლებათ, შევატყობინებ.

— საჭირო არ არის. რად აწუხებთ.—და დიტომ ქუდი ხელში აიღო.

მეორე ოთახიდან ასმათი თავმოხვეული გამოვიდა.

— შენ სადღა მიდიხარ ასმათ?—ძლივს მოიბრუნა ენა სპირიდონმა.

— მეც უნდა წავიდე.

— შენი წასვლა როგორ იქნება, ხომ არ გაგიჟდი?

— სპირიდონ, მე ეხლავე უნდა წავიდე. მეყოფა.—და დააპირა ფეხის გადადგმა.

— ვერსადაც ვერ წახვალ.—მაგრა მოუჭირა ხელი.

— ძალით ხომ არ მიპირობ დაჭერას?—ისეთის ბრძანების კილოით მიმართა ქალმა, რომ სპირიდონმა უცებ გაუშვა ხელი.

— კი, მარა მე ვისთან მტოვებ აქ? მე ვიღას უნდა მოვუცადო მითომ?

— ეს შენი საქმეა.—მიუგო ქალმა.

— არა, მე აქ რაღას მოვიცდი? მეც უნდა წამოვიდე... მაინც აღარ ღირს აწი აქ დარჩენა.

— თუ ასე გინდოდა, არც იმ მხეცს გააგიჟებდი სულ,—უსაყვედურა ქალმა,—შენაც დაკარგე სირცხვილი?—რამ გათქმევინა ასეთი რამ?

— რა ვუთხარი ასეთი? შენც გჯერა იმის?

დიტოს არ ესიამოვნა ეს ლაპარაკი და გარეთ გავიდა. ასმათი თითქოს შეშინდა, მარტო არ დაეტოვებინათ სპირიდონთან და მანაც გასვლა დააპირა.

— მოიცა ქალო. მარტო ხო ვერ გაგიშვებ ამ ღამეში? მეც უნდა წამოვიდე.

აღარ უნდა დავემშვიდობოთ აქაურებს?

სპირიდონმა სალომე გამოიხმო, მოიბოდიშა და წასვლის ამბავი ამცნო. ქალი შეშფოთდა და ყელზე მოეხვია, ტირილით სთხოვდა პატიებას და დარჩენას. სპირიდონმა ასმათის აჩემება მოიმიზეზა; ეხლა მასთან მივარდა მტირალი სა-

ლომე და ეტლიდან გადმოყვანა მოუნდომა... სტუმრები გაოცებით განზე იდგნენ და უხერხულად გრძნობდნენ ჩარევას. დიტო მდუმარებდა.

ასმათმა დედა ანუგეშა, რომ ისევ მალე მოვიდოდა; ეხლა კი არავს გზით აღარ შეეძლო დარჩენა. სპირიდონმა ყოველი იმედი დაჰკარგა.

— დილით ადრე მაინც უნდა წავსულიყავით ჩემო სალომე. წინდაწინ ვერ გაგიბედე თქმა: ხომ იცი აქ ყოფნას რა გვირჩევნია, მარა ხვალ სამსახურში უნდა ვიქნე.—მოიბოდიშა სპირიდონმა, გამოეთხოვა ყველას და ასმათის გვერდით ჩაჯდა ეტლში. დიტო წინ სკამზე უსიტყვოდ იჯდა, სალომეს ქუდი მოუხადა და თავი დაბლა დაუკრა.

არაფერი გაეწყო და სალომემაც ჭისკრამდე მიზდია ტირილით ეტლს.

მდუმარებდენ მოგზაურნი. მარტო ეტლის გრიალი ისმოდა უსწორ-მასწორ სოფლის გზაზე. ეზოებში ყველგან ლხინისა და დაირის ხმა ისმოდა. სანამ ეს სანახაობები ჰყოფნიდა სპირიდონს, კიდევ იტანდა მწუხარებას, მისჩერებოდა გაჩაღებულ ეზოებს, მაგრამ აი მიიმალა სოფელიც, მიყუჩდა ხმაური და ტაშის ცემა... მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

— ნეტა რას ფიქრობენ ჩემზე ეხლა?—აწვალებდა მას ეს აზრი,—რასაკვირველია მე მაბრალებენ ყველაფერს. ასმათიც დარწმუნებულია ამაში და აღარ სურს ჩემთან ლაპარაკი. ჩემთან ჯდომაც კი სტანჯავს მას.—გრძნობდა, რომ ზედ მეტი იყო მათ შორის, რომ ორივენი მას ვერ იტანდენ, მაგრამ ითმენდენ ტანჯვით და ეს ზიზღი ღრმად ჩაეხვიათ გულში. ერთი სიტყვა მაინც უთხრას ვინმემ; ჰკითხონ მაინც რამე; მოუსმინონ; გაიგონ, რომ ის არაფერ შუაშია აქ? რად არიან ასე გულქვა?

— ასმათ, რა გაწყენინე შე ქალო ასეთი?—გაბედა მან ბოლოს.

ხმა აღარ გასცეს.

— აღარ მეტყვი მაინც?

— გთხოვ თავი დამანებო. მაკმარე ამდენი წამება...—და ქალს ცრემლები წასკდა.

— რა გატირებს შე ქალო?.. ჩუ, ჩუ გენაცვალე. აღარაფერს ვიტყვი, კაი...—და დიდხანს სდუმდა ისევ, შავი ფიქრები ღრღნიდა მის გულს. ამ ქალს ეხლა ალერსი სჭიროდა, დამშვიდება, გულზე მიკვრა, მაგრამ მას ვინ გაიკარებდა ახლოს.

მისი ალერსი და სიტყვები აქ აღარ სჭრიდენ. ის უფრო აღელვებდა და სტანჯავდა ამ ქალს, ხოლო, მეორე ვისაც შეეძლო ეს ალერსი ეჩუქებინა და ვისი სიტყვაც ასმათს ასე სწყუროდა, ჩუმად იჯდა წინა სკამზე და შორს გაიცქირებოდა. თვალს არიდებდა სპირიდონს.

გამოჩნდა შემდეგი სოფელიც ხ-ი. სპირიდონს მოაგონდა, რომ ერთხელ ის და ასმათი აქ დეკანოზთან იყვნენ დაპატიჟებულნი, რომ მათ ბავშიც კი მოანათვლინეს ამ ოჯახში... აი, აქ უნდა იყოს სწორედ ეს ეზოც. ის მას მაღალის კრამიტით გადახურულის ჭისკრით იცნობს.

— ლუკა, დააყენე ერთი თუ კაცი ხარ.—მიმართა სპირიდონმა მეეტლეს.

— რა გინდა?—ჰკითხა ქალმა, როცა ეტლი შედგა.

— აქ ჩემი ნათლიმამასთან მინდა შევიდე. რამდენი ხანია მთხოვენ და ვერ ვინახულე. ამათაც ხომ დღეობა იციან დღეს.

— დარჩენა გინდა?—ჰკითხა ისევ ქალმა. სპირიდონმა მის ხმაში ამოიკითხა, რომ ქალი ამით უკმაყოფილო არ იყო.

— დავრჩები ბარემ. ქალაქში შევხვდი და იქაც გამიმეორა თხოვნა. აბა სხვა დროს როდის მოვიცლი? ხვალ საღამოს მეც ჩამოვალ. აბა, ნახვამდის.

— მშვიდობით!—იყო ქალის პასუხი. დიტო ისევ უძრავად იჯდა.

— ამხანაგო დიტო,—მიმართა ეხლა მას,—იმედია ხვალ საღამოთი ჩვენსა გნახავთ. აქეთ დაბრძანდით, უფრო მოხერხებულად იმგზავრებთ.—დიტომ მადლობა გადაუხადა და ქალის გვერდით დაჯდა.

ეტლი დაიძრა და სიბნელეში მიიმალა. დიდხანს უძრავად იდგა სპირიდონი, ბოლოს ჭისკართან მივიდა, ეზოშიც გადაიხედა—სიჩუმე იყო. ძაღლმა შეამჩნია და ყეფა ასტეხა.

— ჩუ, შე სამგლე!—გულმოსულად მიაძახა და გაუჩქარა...ეტლის კვალს მიყვებოდა, მაგრამ მალე ისიც დაჰკარგა—მტვერმა დაჰფარა.

განთიადისას საშინელი დაღლილობა იგრძნო და ხიდისთავში ერთ წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა.—ეხლა უკვე მისული იქნებიან. ჩემს ადგილას დაჯდა და წაიყვანა...—ფიქრობდა სპირიდონი. ლაღად მიდუდუნებს მდინარე ხიდის ქვეშ. მისი ბუტბუტი ტკბილის ჰანგებით ავსებს სპირიდონის მოღლილ სხეულს.

ეხლა იმდენად მოთენდა, რომ კაცის ცნობაც შეიძლება.

„რას ჰგავს ეს?“ ფიქრობს სპირიდონი, „ვინმემ რომ დამინახოს აქ რას იტყვის?—მეკადრება ამ ხნისა და მდგომარეობის კაცს, ხიდის ყურში დავიძინო? სულ ათი ვერსი არ მექნება გავლილი და ასე რამ დამღალა? წინად რო მარდი მუხლი მქონდა... ეხ, მოვხუცდი მე უბედური და არა მჯერა.“ მოინდომა ხელახლა წამოდგომა, მაგრამ იმდენად ტკბილი იყო ამ წყლის ჩხრიალი, რომ ვეღარ მოსცილდა. ცოტა, სულ ცოტა კიდევ და ისიც გაუდგება გზას. ან რა ეჩქარება? განა მას სიხარულით მიელიან იქ? განა არ აჯობებს—სულ არ მივიდეს შინ? ასმათი ეხლა ცოტათი მაინც მოისვენებდა, როცა მის დანაოჭებულ სახეს აღარ ხედავს და მისი მომაბეზრებელი და უშვერი სიტყვები არ ესმის. ალბად მან მთელი გულის ნადები გაუზიარა დიტოს, უთხრა თუ როგორ იტანჯება ამ სამი წლის განმავლობაში ამ ველურ ადამიანის უღლის ქვეშ... დიტოს შებრალება სთხოვა, და მიიღო კიდეც მისი წყალობა: გულში იკრავს ამ განაწამებ ქალს ახალგაზრდა ყმაწვილი, უკოცნის ტუჩებს, ცრემლიან თვალებს და ჰპირდება მუდმივ, უჭკნობ სიყვარულს. სხვა რა შეუძლიან მას? მაგრამ განა ეს ყველაზე დიდი წყალობა არაა?

სპირიდონს ტანში აჟრჟოლებს ამ ფიქრებზე. რა უნდა ჰქნას მან? განა მისი მწუხარება სხვაზე ნაკლებია? განა მას კი არ ეჭირვება ასეთი წყალობა და ნუგეში, ასეთი უანგარო სიყვარული?

„დაიღალე შვილო, გენაცვალოს დედა? მოგკლავს შვილო ამდენი მგზავრობა, ღამის ტეხა...“ ეუბნება მას ღიმილით მოხუცი დედა და ჭადრის ქვეშ ჩრდილში ჭილოფს უფენს.

„მოგიკვდეს დედა, რომ ასე გათეთრებულხარ“ და თმებში დამჭკნარ თითებს გაუყრის. „დადე გენაცვალე თავი ჩემს კალთაში, დაისვენე — ბატონო ხარ გალახული“...

რა ტკბილია დედის ალერსი, რატომ აქამდე არ მოაგონდა სპირიდონს, რომ მას დედა ჰყავდა? ასეთი ტკბილი დედა...

— ხაბარრ...დაა ეი! ესმის სპირიდონს, „სად დაგძინებია? ღვინო მოგეკიდა ბიძია?“

უნდა უპასუხოს, მაგრამ ძალა არა აქვს. სულ ახლოს ჩაუქროლა ეტლმა, რომელსაც ბუზივით ეხვიენ ახალგაზრდა მოქეიფენი. სპირიდონი დარცხვენით წამოდგა; მზე უკვე ხის წვერებზე შემსხდარიყო და იქედან მის სიძაბუნეს დასცინოდა.

გაუდგა ისევ გზას. „დაგეძინება კაცს ამდენი ნაჯახირევი, მაშ რა მოგივა?“—იმართლებდა თვითონვე თავის თავს.

შუადღემ მოატანა, როცა თავის სოფელს მიუახლოვდა, ნაბიჯს შეუკლო. ეხლა მან უკვე აღარ იცის—სად ან ვისთან წავიდეს? ჯერ ხო ასე ადრეა? მას კი საღამომდის შინ არავინ მიელის. იქნებ ასმათს იმის იმედიც აქვს, რომ დეკანოზმა სულაც არ გამოუშვას დღეს სპირიდონი...

— შუადღე მშვიდობის ბ-ნო სპირიდონ. აქით ბრძანებულხართ? შეეკითხა მას ღობეზე მომდგარი დედაკაცი, ცნობისმოყვარეობით რომ ათვალიერებდა გამვლელ-გამომვლელთ.

— ბარბალეს გამარჯობა. ჰო, აქეთ ვიყავი, ცოტა საქმე მქონდა დღეს— და შეჩერდა ქალის საპირდაპიროდ. თითქოს უნდოდა მას ამ მუსაიფის გაგრძელება. ქალი დაიბნა და რომ ვეღარაფერი მოახერხა, ასმათის ამბავი ჰკითხა.

— გმადლობთ. რაცხა ვერაა ამ ბოლოს კარგათ და მინდა ზაფხულზე ქობულეთში გაუშვა, ზღვაზე. ასე მირჩიეს ექიმებმა.

— სააქიმო ღმერთმა ნურაფერი დამართოს; მარა ქე რა უჭირს? ქობულეთში ამბობენ კაი სამყოფიაო. წავიდეს მერე, შვილი მას არ აწუხებს და ოჯახშიც ერთის მაგიერ ორი ყავს მოსამსახურე.

სპირიდონი ატყობდა, რომ მუსაიფი თავდებოდა. სხვა რაღა უნდა ელაპარაკნა ამ დედაკაცთან? მაინც ვერ შორდებოდა იმ ადგილს.

— ბათლომე სახლშია?—იკითხა მან.

— კი ბატონო, შინ გახლავთ. აგერ ჩევიდა ერთწამას სეევერიანესთან და იმას ვუცდი აქ. ხო არაფერი გნებავდათ ბ-ნო?

— მინდოდა მითომ თავის შესახებ მოვლაპარაკებოდი. ამ კვირეში ვთიბავ...

— სწორეთ დროა ბ-ნო, ცოდვაა მისი კიდო გაჩერება. შემობრძანდეთ იქნება ერთი წუთით? დეიმუხლოთ... ის კაცი ახლავე გიახლებათ.

— რა მიჭირს, აქ დაუცდი და ორ სიტყვას ვეტყვი.

— რატო იკადრებთ! აქეთ ჩამობრძანდით ბ-ნო. მე თვითონ დავუძახებ ახლავე. სპირიდონი იმდენად იყო დაღლილი, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევია, ქალს სახლში შეყვა და სკამ-ლოგინზე ჩამოჯდა.

— ნუ მოიწყენთ თქვენი ჭირიმე და ახლავე მოვიყვან.—უთხრა ქალმა და ჩქარა გასწია.

სპირიდონი მარტო დარჩა, თავი მოაჯირს მიაპყრო და ხმამაღლა დაამთქნარა. ოლონდ ცოტა კი მოესვენებინა აქ და მისთვის ყველაფერი ერთი იყო, ყველაფერი...

რომ იმდენ გულკეთილობას გამოიჩენდეს ბათლომე და მას ხვალ ღამემდის სთხოვდეს დარჩენას, განა არ დარჩება? ხვალ ღამ ისევ სამსახურში წავა, მაგრამ მანამდე? სად დაჰყოს მანამდე? მას ხომ აღარც სახლ-კარი აქვს, აღარც ოჯახი, საცა მას ძველებურად მოასვენებდენ.

— ყველაფერ კარქს მოგასწროს ღმერთმა ბ-ნო სპირიდონ; მადლი ღმერთს, რომ თქვენ სტუმრობასაც მომასწარით,—კიბეზე ამოსვლისთანავე დაიწყო ბათლომემ და ორივე ხელები გაუწოდა.—რას მივაწერო ჩვენი გახსენება?

— იმ თივის შესახებ მინდოდა მოგლაპარაკებოდი.

— რას ირჯებოდით? მე თვითონ გიახლებოდით. მაგ მერე იყოს ბ-ნო სპირიდონ; ახლა კი, იმედია, იმდენ პატივსაც მცემ, რომ ჩემ ღარიბ სადილზე დამეწვევი. ბარბალე!—გადასძახა ცოლს, რომელიც უკვე სამზარეულოში ტრიალებდა გაფაციცებით,—აბა შენ იცი, თუ არ შემარცხვენ დღეს, უჩქარე.

— რაზე სწუხდები ბათლომე? სადილად სახლში მიმელიან.

— რავა გეკადრება ბ-ნო. ხელათ ცოტა რამე... და ქე წაბძანდებით.

სპირიდონი ისე ჩქარა დაჰყვა ნებას, რომ ბათლომეს კიდეც გაუკვირდა. ძალიან იამა სპირიდონს ახალი ლობიო, სულგუნი და ღომი. მალე მრგვალად მოხარშული დედალიც შემოიტანეს.

„ჩემი გულისათვის დაჰკლეს ეხლა“.—გაიფიქრა სპირიდონმა და დარცხვა კიდეც თავისი საქციელის.

— ბარბალე სად დაგვეკარგა?—იკითხა ცოტა ხნის შემდეგ სპირიდონმა.

— ერთის წუთით სევერიანესთან გადაუძახეს. ავათაა მისი ცოლი აღათი, ვერ მორჩება საწყალი, სულ ერთიანად დასივდა ის უბედური. მეც იქ გახდით ეხლა... თქვენ ნუ სწუხდებით, მოვა დროზე. მიირთვით ბ-ნო სპირიდონ ცოტა რამე მაინც. ქათმიზა სულ არ გიხლიათ ხელი.

— გიახლებით ჩემო ბათლომე. ძალიან მიამა, მართალი გითხრა და მგონი ორ დღესაც ველარაფერი ვჭამო. ასმათი კი გამიჯავრდება, რო სადილად მარტო დავტოვე, მარა რა გაეწყობა... ხათრი ველარ გაუტეხე ბარბალეს.

— მარტო ხო არ ბრძანდება ასმათი? ის თქვენი მოყვარე კაცი ხომ არ წასულა ჯერ? ქე რა უჭირს...

— არა, ღვთით მარტო არაა; არც უჭირს რამე, მარა მაინც ხო იცი...

ბარბალემ უკან კარებიდან მოიარა და ჩუმად დააწყო ბოთლებით ღვინო; შემდეგ კარი შეაღო და ბოდიშით შევიდა.

— რავაა საწყალი აღათი?—უცებ შეეკითხა ბათლომე, თითქოს შეშინდა, არაფრის თქმა დაესწრო ქალს.

— შენი მტერი მეიქცა ისე. აზიარენ საწყალი ესეცაა.

— უბედური, რა მოუვიდა ასე უეცრად?—იკითხა სპირიდონმა.

— გაციებაზე ოუტყდა რაცხა. დოხტურმა ჰაჰები სტკივაო,—უბასუხა ქალმა და ორიოდე ნაჭერი გადმოიდო თავის თეფშზე.

— უი! ღმერთო კი მომკალი,—წამოიძახა ბათლომემ, თითქოს რალაცა მოაგონდაო,—ასე რამ გამომატვინა მე უბედური?.. ქე კი არაფერს მიირთმევს სპირიდონი და... ქალო, ღვინო არ გვინდოდა სუფრაზე? ლუკმა ყელში არ გადადის; სხვა დროს—როდის გვიჭამია უღვინოთ, რომ მაინდამაინც დღეს დაგავიწყდა?

— გამიწყრა ღმერთი,—წამოიძახა ქალმა და უცებ ზევით წამოვარდა,—ჭკუა და აზრი დამაკარქვია იმ საწყალი ქალის ამბავმა.

— კაი, კაი თუ ღმერთი გწამს; ჩქარა მეიტანე მაინც. სპირიდონი იმედია არ დაგვძრახავს და ამ ამბავს არსა იტყვის,—უთხრა ბათლომემ მიმავალ ქალს.

— რაზე ბოდიშობ ბათლომე?.. ხო იცი, დიდი მსმელი არ ვარ მაინც...

— ერთ ორ ჭიქას რავა არ მიირთმევდი, მარა ასე მოგვივიდა და რალა ექნათ? უნდა გვაპატიო როგორმე...

ბარბალემ ორი ბოთლი შემოიტანა და დადგა.

— თეთრი მოიტანე, თუ წითელი?—ჰკითხა ქმარმა.

— ორივეა, რომელიც იამება ბ-ნ სპირიდონს ის მიირთვას.

სპირიდონს ისე სწყუროდა, რომ სულ მოუთქმელად დასცალა დიდი ჭიქა. ნელა შეჰყვნენ ქვეყნის ამბებს. თივა და მისი მაზანდა აღარავის ახსოვდა. ბათლომეც ქეიფის ეშხზე მოვიდა და ზედი-ზედ სცლიდა ჭიქებს; ამაყობდა, რომ ასეთი დიდი კაცი დაუპატიჟებლად ეწვია და არაფერს ზოგავდა. როცა ორი ბოთლი დაიცალა ბარბალეს ისევ მოუხდა „სევერიანესთან გადასვლა“.

— ნახე ერთი კიდევ ის ქალი,—აღარ ასვენებდა ბათლომე,—რას იტყვიან, არ ვარგა ამ დროს მამაკვდავის მიტოვება.

არ ჰქონდა ბარბალეს ხალისი „ავადმყოფის“ ხელახლა სანახავად, მაგრამ რა ექნა? სპირიდონი დიდი კაცი იყო და ღირსეული პატივისცემაც უნდოდა. ბარბალე ეხლა უფრო ჩქარა შემობრუნდა და ქმარს აღარ დააცადა ამბების კითხვა, ისე შემოიტანა ორი ბოთლი ღვინო.

გაიმართა ხელახალი სმა.

— არა, ყველაფერში მართალი ბრძანდები ბ-ნო სპირიდონ,—ამბობდა ბათლომე,—მარა რა დედაკაცის საქმეა ახალი თაობა? რა უნდა გეიგოს ახლა ბარბალემ მაგისი? ასმათი სხვა ქალია, განათლებული, ნაკლასო; მას ყველაფერი შეშვენის, მარა ეს ქალები რო გადარიენ არ მომწონს სწორეთ... ეს ერთი ხანია ყველა ამას ჩივა—ოჯახი მიგვიტია ქალებმა, სულ გატყიურდენო. ესაა კაი?

— შენც ნამეტანი იცი ბათლომე,—წყენით უთხრა ქალმა,—რაცხა კვირეში ორჯერ წაგა ქალი და ახალს გეიგონებს, ამით ვის რა დაუშავდება?

— კაი ერთი, თუ ღმერთი გწამდეს. რომ არაფერი მოსაწონია ეს ამბავი, ამას ყველა ხედავს,—არ იშლიდა თავისას ბათლომე.

— მაინც ძალიან ძვირფასი ქალი კი გყავთ ბ-ნო სპირიდონ,—მიმართა ბარბალემ,—თვალია სწორედ მთელი ამ კუთხის. რეები არ გველაპარაკა იმ სა-

ღამოს. ჭკუაზე კინაღამ შეგვშალა ყველა. ის თქვენი ნათესავი, ყმაწვილიც დიდი განათლებული კაცი ჩანს. ბევრი ვერ გევიგეთ, მარა რაც მეესმოდა, ყველაფერი ძალიან მოსავალია ჭკუაში.

— ის კაცი გაზეთებში წერს, მთელი ქალაქი იცნობს მას... ჯერ კიდე ახალგაზრდაა და მართლაც დიდი კაცი დაჯდება...—ჩაუმატა სპირიდონმა.

უკვე ბინდი ჩამოწვა, როცა სპირიდონმა უკანასკნელი ჭიქაც დასცალა. მეტი გაჩერება უხერხული იყო. ეს ორი ბოთლიც დაიცალა და ბარბალეს სახეზე უკმაყოფილება იხატებოდა.

ცოლ-ქმარმა ჭისკრამდე მიაცილეს და დიდი მადლობა გადაუხადეს პატივისცემისათვის ამ ღირსეულ სტუმარს.

— ძლივს არ გაეტია ეს ოჯახქორი...—უთხრა ბათლომემ ცოლს, როცა სახლისაკენ გამობრუნდენ.

— კაი ერთი... შენც რო ჩააცივდები კაცს და აღარ მისცემ საშველს... კალთა დაახიე იმ კაცს და რაღა ექნა?—საყვედურით შენიშნა ქალმა.

— ჯანდაბა მაგის თავს. დაღამებამდი დარჩითქვა ხო არ მითქვამს.

— ქე მაინც იმ თივაზე გარიგებოდი.

— რა გარიგება მინდა აწი. ოთხი ბოთლი ღვინო შევაცეცხლე და კიდო ვაჭრობას ხო აღარ დამიწყებს.—უთხრა ქმარმა და ტახტზე წამოწვა.

— ძაან არ აქებს იმ მის ნათესავ კაცს.—მრავალ აზროვნად უთხრა ბარბალემ ქმარს და უკანასკნელიც მიუხვდა მის ზრახვებს.

— ნათესავი...—შენიშნა მან, ისემც რა უთხრა მაგას ის რამე ნათესავიიყოს?

— შენ ახლა ტყობილობ მაგას და მთელმა სოფელმა იცის უკვე.

— მაგ ნათესაობა გამოუფრენს მაგას მწყერს, რავაც ვატყობ, ნამეტანი არაფერი არ ვარგა. იმ თავის გოგოს მოუაროს ის ურჩევნია ქვეყნის პატრონობას. ყმაწვილი ქალია და ედება ხეს და მიწას. მე რას გამომაპარებენ—შაფათს რო ფაიტონით წევიყვანე ე—ში ქალი და ის სტუდენტი კაი-კაი რამეებს მოვკარი ყური.

— მაინც რაიო, რას ამბობდენ?—შეეკითხა ქალი და ტახტის თავში ჩამოჯდა.

— შენი საქმე არაა, გინდა ეხლა შარი ამკიდო ქვეყანაში...—უკმაყოფილოდ უთხრა ქმარმა და ინანა კიდეც, რომ ამდენი რამე ილაპარაკა ამ ქალთან, რომელიც ხვალვე ერთს ასად აქცევდა.

ქალმა იცოდა, რომ ბოლოს მაინც ვერას დაუმალავდა ქმარი და გადასდო შემდეგი გამოკითხვა. ჭურჭელი აალაგა და სამზარეულოში გაიტანა.

უკვე სულ ღამე იყო, როცა სპირიდონი ეზოში ჩავიდა, გაუკვირდა, რომ სახლში სანთელი არ ენთო. კიბესთან შედგა და სმენად იქცა. არსაიდან ისმოდა რამე, ძაღლიც სულ განაბული იდგა მის წინ და განუწყვეტლივ იქნევდა კუდს. „იქნებ საზმარეულოშია?“—გაიფიქრა მან და სახლს გვერდით აუარა.

— ესეცაა დაწვა ქ-ნი. ვახშამი არ მიირთვა.—უპასუხა ეფროსიმემ ბატონს, როცა მან ასმათის ამბავი ჰკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სტუმარი შინ არაა?

— ის სადილობამდე წავიდა ბ-ნო.

— აღარ მოვა დღეს?

— მგონი არა. თავის ნივთები წააღებინა.

— ვეღარ მოაცდევინე შე ქალო ჩემს მოსვლამდე?—წყენით უთხრა სპირიდონმა.

— რა ვიცი ბ-ნო, ქალბატონიც ბევრს ეხვეწა, მარა არ ქნა. ეჩქარებოდა ალბათ.

— ასმათს არაფერი უთქვამს შენდა? ხო არსა ყოფილა?

— სტუმარს გაყვა ბ-ნო და საღამოზე ისევ გეახლათ. არაფერი დაუბარებია.

სპირიდონმა ხმა აღარ გასცა. გამობრუნდა.

— თქვენ არ მიირთმევთ ბ-ნო ვახშამს?

— არა, მე უკვე ვჭამე.—მიუგო მან და სახლისაკენ გასწია.

დიდხანს იჯდა აივანზე და მდუმარებდა. სული ეხუთებოდა, სახლში შესვლისაც ეშინოდა თითქოს. მისჩერებოდა ცას, რომელიც ნელნელა იმოსებოდა ღრუბლებით. ცოტაც კიდევ და წამოვიდა შხაპუნა წვიმა. ხეებმა ფოთლები შეარხიეს და პირის ბანა დაიწყეს.

— ქე არ ცხონდა ქვეყანა.—თავისთვის ჩაილაპარაკა სპირიდონმა და სახურავიდან მომდინარე ღარს პეშვი შეუშვირა; გაიგრილა შუბლი. სანამ უნდა ვიცადო აქ?—ფიქრობდა ის,—დღეასც ხომ გარეთ ვერ გავათენებ. დავწვები ბარემ მეც.—ნელა წამოდგა და ჩუმად შეაღო კარები. სანთელი აანთო. სასტუმრო ოთახი შეაღო და მაგიდას თვალი შეავლო. ცარიელი იდგა... აღარც ყვავილები იყო ამ ოთახში. ვეღარც ის ჩემოდანი დაინახა, ასე რო უკლავდა გულს.

„სამუდამოდ წასულა".—გაიფიქრა მან და ისევე ფრთხილად გამოიკეტა კარი.

„აღარ მოვა მითომ? იქნება ასეც სჯობდეს; იქნებ ამან უფრო მიშველოს და ასმათმაც თანდათან გადაივიწყოს. აი, კიდევ ერთი-ორი კვირაც და სულ წავა აქედან. მერე იქნებ არასოდეს აღარ შეხვდენ და ქალის გული ისევ მობრუნდეს. ოღონდ ეხლა კი უნდა ფრთხილი მოპყრობა, ამ ცეცხლზე ნავთის გადასხმა არ მარგებს... დავაცადო უნდა და თვითონ დაიწყნარებს გრძნობას".

ფეხის წვერებზე შევიდა ოთახში, ტანზე გახდისაც კი მოერიდა, არ უნდოდა ქალს ძილი შეკრთომოდა. საწოლის დანახვაზე ტანში ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა, უცებ ზედ დაეშვა და ძილს მიეცა.

*
* *

„რასაკვირველია, ასე სჯობდა,—არწმუნებდა თავის თავს სპირიდონი, როცა დანიშნულ დროზე სადგურზე გამოვიდა და მატარებელს ელოდებოდა,—არ შეიძლება ასეთ დროს რამეს კითხვა; დრო ყველაფერს წამლობს. ასმათსაც დაავიწყდება ეს სტუმარი. აი, ამ ოთხი დღის მერე რო ჩამოვალ ვეტყვი ყვე-

ლაფერს, დავამშვიდებ; დედამისთანაც გავუშვებ, ან ქობულეთში წავიყვან. დაისვენებს, გამომთელდება და ამ ამბავსაც სამუდამოდ გადაიგდებს გულიდან".

ასე მსჯელობდა, მაგრამ ის—მისი მტერი, გულის სიღრმეში რო უჯდა, მაინც არ ასვენებდა მას, ფრთას სტეხდა მის ყოველ ოცნებას, უქარწყლებდა იმედებს.

ხელახლად აგონებდა, თუ როგორ სტიროდა თავისთვის ასმათი მთელი ეს ორი დღე, როგორ გაურბოდა მის დანახვას, მასთან ლაპარაკს. აი, ეხლა წამოსვლის დროსაც ასე ცივად ჩამოართვა ხელი და მარტო „მშვიდობით!" უთხრა. არც ზრუნვა, არც ოდნავი ალერსი მას აღარ აღირსეს.

„ყველაფერი დიდიხანია გათავდა და დროა ამას მიხვდეს ეგ შენი გამოყრუებული თვი,—ეუბნებოდა თავისი აწყვეტილი ტყვე სპირიდონს.

პალტოს ღილები მაგრა შეისკვნა, შეემზადა და, როცა მატარებლის ჩამოქროლვამ მას ძალა მისცა, მტკიცედ მოჰკიდა ხელი რკინის მოაჯირს და „მიქარავ!"—მიაძახა იმ „ტყვეს", რომლის ტყვედ ეხლა თვითონვე იქცა.

ველარც ძველის სიხალისით ბრუნდებოდა უკან მეხუთე დღეს ჩვენი სპირიდონი. თითქო გრძნობდა, რომ ეს ოთხი დღე ვერავითარ ცვლილებას ვერ დაახვედრებდა მას. აი, სწორედ ეხლა იყო საჭირო ორი-სამი კვირით სადმე დარჩენა, ამხანებში ის ყმაწვილიც წასული იქნებოდა და ქალის მოლბობა უფრო ადვილი გახდებოდა—ფიქრობდა ის.

და სრულიად არ გაკვირვებია, როცა სახლში ამბავი დაახვედრეს: „ასმათი შინ არ არის, ამ საღამოთი დიტომ მოაკითხა და საღღაც წაიყვანაო". არც ის გაკვირვებია, რომ ასმათი დაბრუნებისას გულ-ცივად შეხვდა მას და ისევ ისე მოწყვეტით ჩამოართვა ხელი. თითქოს მისმა თვალებმა უთხრეს სპირიდონს „რად მოდი? ბარემ იქ დარჩენილიყავიო".

მეორე დღეს ქალმა ცივი უარი უთხრა სპირიდონს დედასთან წასვლაზე, არც ქობულეთში მოისურვა გამგზავრება. რა გაეწყობოდა; მანამ დიტო იქ იყო აშკარა იყო ქალს არ უნდოდა იქაობას მოშორებოდა.

„კი, მარა ის კაცი რო წავა;—ფიქრობდა სპირიდონი, ვაი თუ მერე სულ აღარ დაუდგა გული აქაობაზე და თან წაჰყვა. არა, ამას რავა იზამს, ასე რავა გაგიჟდება სულ?—ამშვიდებდა თავის თავს სპირიდონი.

როცა ელისომ დაუძახა და შეატყობინა ამ საღამოს სასწრაფო კრება გვაქვსო, სახლში აღარ დაუდგა გული. ამ მიზეზით ისარგებლა და ისევ მარტო დატოვა ასმათი. რა აზრი ჰქონდა ამ ქალთან მთელი საათობით ჩუმად ჯდომას და მწარე ამოოხვრას? მას ხომ მაინც აღარ ჰკითხავდენ ძველებურად: „ხომ არაფერი სტკიოდა, რად კვნესოდა"?

კრებაზე სხვებზე ადრე მივიდა. მისი გული კვლავ იმედით ატოკდა, როცა ცეკას წევრი, ნაცნობი სვიმონი გამოჩნდა. ყველაზე უწინ შეეგება, ღიმილით ჩამოართვა ხელი და მოიკითხა.

— დიდის ხნით გვესტუმრეთ ამხანაგო?

— არა, ამელამვე მივდივარ, სასწრაფო საქმეები მაქვს.

ხელახლა მოიწყინა სპირიდონმა და დაღვრემით მიჯდა კუთხეში. ველარ

წაიყვანს სახლში სვიმონს, ველარ მოუყვება თავის გაჭირვებას, განა ასეთის საქმეებისთვის სცხელათ ეხლა მათ?

ამ დღეებში გაფიცვა უნდა მოხდეს, მთელი რაიონი სადემონსტრაციოდ უნდა გამოვიდეს და სპირიდონის ჭორებს ვინ მოისმენს ასეთ დროს?

როცა კრება გათავდა და გაფიცვის ჩასატარებელი სატეხნიკო კომიტეტიც არჩეული იყო, სპირიდონი ახლო მივიდა სვიმონთან და ჩუმად უთხრა.

— ორიოდე სიტყვა მაქვს ამხანაგო, თუ შეიძლება.

— ახლავე, ჯერ ეს გავათავოთ,—მიუგო სვიმონმა და ისევ განაგრძო დარიგება, შემდეგ დიტოს მიუბრუნდა და უთხრა:

— დიტო, შენ არსა წახვიდე, კიდევ მაქვს ზოგიერთი რამ გამოსარკვევი შენთან ერთად.

„რა ეხლა ჩავაცივდი“, ფიქრობდა სპირიდონი, „კაცს ერთი წამი მოცლა არა აქვს, საათები გამოთვლილი აქვს. სიცილსაც დამაყრის“. და ჩუმად დააპირა გასვლა.

— ამხანაგო სპირიდონ,—შეაჩერა სვიმონმა—თქვენ აკი რაღაც საქმე გქონდათ ჩემთან?

— არ გცალიათ; მერე იყოს ამხანაგო.

— რატომ, თუ რამე საჩქაროა, მე მზადა ვარ—და მან მკლავი გაუყარა სპირიდონს, მეორე ოთახში გაიყვანა.

— მიბრძანე,—მიმართა მოსულმა სპირიდონს, მაგრამ ასე უცებ ვერ მიიღო პასუხი. ეტყობოდა სპირიდონს ვიღაცასი ერიდებოდა, აქეთ-იქეთ აცეცებდა თვალებს.

— არა, აქ არავის ესმის. დარდი ნუ გაქვთ.—დაამშვიდა სვიმონმა და სკამი მიაწოდა, თვითონაც ჩამოჯდა.—აბა დავიწყოთ!—სთქვა მან.

— ისეთი მაინცა და მაინც არაფერია ამხანაგო,—ცოტა არ იყოს დარცხვენით მიუგო სპირიდონმა.—აქაურ მუშაობაზე მინდოდა ცოტა რამ მეთქვა თქვენთვის.

— მაინც რა—შეეკითხა სვიმონი და შავი დიდრონი თვალები მიაშტერა.

— ის რომ ვერ მიდის რიგზე ყველაფერი. ამ გაფიცვისაც მეშინია რაღაც...

— რატომ? მე სულ წინააღმდეგი მოხსენება მოვისმინე. რაშია საქმე?

— ის, რომ ჩვენი ხელმძღვანელი არ ვარგა.—უცებ წამოისროლა სპირიდონმა და გულზე ცოტათი მოეშვა.—ძალიან გამოუცდელია, ბავშია ჯერ. მეტად ატაცებულია, ყველაფერს ერთად ედება... ერთის სიტყვით, სიდინჯე აკლია.—ეგონა ყველაფერი სთქვა, გასაფრთხილებლად ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო; მაგრამ ეტყობოდა—უფროსი ამხანაგი ასე არ მსჯელობდა; ის კიდევ დიდხანს უსმენდა თმენით და უნდოდა რამე უფრო სეყურადღებო გაეგონა.

— ეს მართალია,—სთქვა მან, რაკი დარწმუნდა, რომ სპირიდონს სხვა არაფერი ჰქონდა საოქმელი.—მაგრამ ეხლა რეორგანიზაციის დრო აღარ არის ამხანაგო, ეხლა მოქმედების დრო დადგა და იჭვები აღარ გვარგია. ადრე უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთქვათ ეს... ჩვენ მაინც კმაყოფილნი ვართ აქაური მუშაობით, თუ აწიც ასე განაგრძეთ—არა უშავს რა.

— მითომ არ ეხერხება გამოცვლა მაგ ყმაწვილს?—უკმაყოფილოდ ჰკითხა სპირიდონმა.

— ეხლა მაგაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მერე ვნახოთ... არც ისე გამოუცდელია დიტო; ნიჭიერი და მცოდნე ყმაწვილია, ცოცხალი და ენერგიული; მართალია, სიფრთხილე აკლია, მაგრამ გამოცდილი ამხანაგები ხართ და...

— მცოდნე და ენერგიული კი არის, ეს მართალია,—გააწყვეტინა სპირიდონმა, რაკი დაინახა, რომ აქედან არა გამოვიდოდა რა. მეტი დროც აღარ იყო, წამოდგა და მაგრა ჩამოართვა ხელი სვიმონს.

— თქვენ უფრო იცით, რა ჩემი დარიგება გჭირიათ,—მობოდიშებით დაუმატა სპირიდონმა და როცა კარებს მიუახლოვდენ ხმა დაბლა სთხოვა:

— ჩვენში დარჩეს ეს ამხანაგო. იქნება მართლა ეცდებოდი და არ ღირს ამის გაზვიადება, ნურც დიტოს ეტყვით რამეს, გული არ გაიტეხოს.

— რასაკვირველია, რასაკვირველია.—დააშოშმინა ამხანაგმა და კარები გაულო. სპირიდონმა დიტოს დაბლა დაუკრა თავი და ღიმილით გაუწოდა ხელი.

— აბა, ეხლა თქვენ იცით, მთელი იმედი თქვენზეა ამხ. დიტო. გაგვიძეხით.—პასუხი ველარ მიიღო, რადგან სვიმონმა დიტო სასწრაფოდ შეიხმო ოთახში.

— რას გავიხადე საბოდიშოდ საქმე? ღირდა ასეთ დროს ამაზე ლაპარაკი?—უსაყვედურებდა თავის თავს სპირიდონი და ფრთხილად იკვლევდა გზას სიბნელეში.

— გათავდეს მაინც ჩქარა ეს გაფიცვაც,—ფიქრობდა სპირიდონი, შემდეგ თუ აღარაფერი ეშველა და აღარ წავიდა დიტო, პირდაპირ ტფილისში ინახულებს სვიმონს და უფრო ვრცლად მოახსენებს ყოველივეს. თუ იმანაც არ მიაქცია ყურადღება სხვებსაც მიმართავს და ბოლოს მაიმც გაიტანს თავისას.

ახლოვდებოდა გაფიცვის დღეც და ყველგან დიდი მზადება იყო გაჩაღებული. თვითეულის სახეზე ღიმი დათამაშობდა და ყველა მედიდურად და ჩუმად მიდი-მოდიოდა, თითქოს მარტო მის ხელში იყო სამყაროს საიდუმლოება და მალე ის ამას აშკარად ეტყვის ყველას.

ასმაოსაც მეტი გამოცოცხლება დაეტყო. მთელი დღეები ის სახლში არ ჩერდებოდა და საღამოობით ლამფის შუქზე ოქროს ძაფით აქარგავდა მომხიბლავ სიტყვებს წითელ ალამზე.

— მე რო აქ არ ვიქნები გაფიცვის დღეს,—წყენით სთქვა სპირიდონმა,—ხვალ დილით ისევ მივდივარ. ძალიან კი მწყენია.

— განა იქაც კი არ იქნება? ეს გამოსვლა ერთ და იმავე დროს მოხდება ყველგან.

— კი მარა, მაინც აქ ყოფნა სხვაა—შენიანებში, ამხანაგებში... „შენთან ახლოს“—უნდოდა დაემატებინა სპირიდონს, მაგრამ აღარ დაათავა. ქალმა არაფერი უპასუხა და ისევ განაგრძო მუშაობა.

— ძალიან კი ვშიშობ, დიტოს არაფერი მოუვიდეს, არ იცის სიფრთხი-

ლე...—ამოილაპარაკა სპირიდონმა და ფანჯრისაკენ გაიხედა. უკვე რამდენი ხანია მას ეს სახელი აღარ უხსენებია, უმძიმდა მეტად, ვერ ეხერხებოდა ... ეგონა ეხლა ჰპოვა შესაფერისი დრო.

ბიბლიოთეკა

— რა გაეწყობა!—მოკლედ მიუგო ასმათმა და სპირიდონმა ამ სიტყვაში გაიგო, რომ ქალს სულაც არ სჯერა მისი გულწრფელობის: რომ ასმათს ჰგონია—დიტოს უბედურება მას გაახარებდა კიდეც.

— მე რო აქ ვრჩებოდე იმ დროს, ყველაფერს ვიღონებდი, თავს დავდებდი და არავის ჩავუგდებდი ხელში მის თავს—ნიშნის მოგებით სთქვა სპირიდონმა და ერთბაშად იბრუნა ქალისაკენ პირი.

ეტყობოდა ასმათს არ მოსწონდა ამ კაცის ხელახალი ამეტყველება, ხელსაქნარი შეხვია და მეორე ოთახში გაიტანა.

„ჰმ„—მწარე დაცინვით ჩაილაპარაკა მან, „რომ აღარაფერი სჯერა ჩემი? რისთვის? რა დავაშავე ასეთი, ნეტაი ვიცოდე მაინც?“ ქუდი ხელში აიღო და გარეთ გავიდა.

„იმას ვინ ოხერი დაეძებს„, ფიქრობდა გზა და გზა სპირიდონი, „ნეტაი მაგ იქნებოდეს ფრთხილათ თორემ... ის კი დაიძვრენს თავს როგორმე. ეს ხომ სულ გამოუცდელია და იმაზე ბავშვი. რა იცის—რა ხიფათში იგდებს თავს“...

***

მიუხედავად იმისა, რომ გამცემლობა იყო, დემონსტრაცია და გაფიცვა დანიშნულ დღეს მაინც კარგად ჩატარდა. თავი და ბოლო აერია პოლიციას, ვერც ყაზახებმა გაიგეს დროზე, რომ კრება უკვე სხვა ადგილას იყო გადატანილი და შუადღემდე ტყვილა იყვნენ ტყეში ჩასაფრებულნი.

დუქნები დაიკეტა, სახელოსნოში მაჯის ცემა სულ შეწყდა, ეტლიც კი აღარ სჩანდა, სადგურიც ცარიელი იყო. ოჯახებში თითო-ოროლა ბებერი თუ ჩნდა, თორემ ხალხი დილიდანვე სულ გაირეკა პატარა ჯგუფებათ.

როცა პოლიციელები დაბას კარგა მანძილით დაშორდენ, სწორედ იმ დროს ჩამოიარა მწყობრად ხალხმა ბაზარში და წითელი დროშები ამაყად ფრიალებდენ ჰაერში; დიტოს აღფრთოვანებულ სიტყვებს ხალხის გუგუნი და სიმღერა სცვლიდა.

იმ ღამით ბევრი დააპატიმრეს, მაგრამ ორგანიზაციის წევრები და დიტოც დროზე მიიმალნენ. მთელი ღამე დაეძებდენ მათ.

დიტოს სპირიდონისასაც მიაკითხეს. ყველაფერი გაჩხრიკეს და ბოლოს ბოქაულმა დარცხვენით ბოდიშიც მოიხადა ასმათის წინაშე. მას სჯეროდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რომ სპირიდონის ოჯახი ასეთ რამეში არ გაერეოდა, მაგრამ რა ექნა? სამსახური და მოვალეობა თავისას ითხოვდენ.

დამშვიდდა სპირიდონი, რაკი გაიგო, რომ დიტოს არაფერი შემთხვევია. დღე-დღეზე ელოდა ეხლა მის წასვლას ამ რაიონიდან, ან როგორ შეიძლებოდა ამის შემდეგ მისი იქ დარჩენა?

მაგრამ ეტყობოდა დიტო ასეთი მხდალი არ იყო, ის ძველებურად არ ისვენებდა და გაორკეცებულის ენერგიით განაგრძობდა მუშაობას.

ასმათიც ძველებურად აღარ შფოთავდა, მასაც გადაუარა, შიშმა და მთელი დღეები შინ არ იცდიდა. ეტყობოდა—დიტოს ერთგული—თანამგრძელი გახდა. სპირიდონის მოსვლა და წასვლა ეხლა ასმათზე არავითარ შთაბეჭდილებას აღარ ახდენდა. მას თავისი ქვეყანა ჰქონდა და ეს კაციც სულ უცხო გახდა მისთვის...

სულ გამოიცვალა სპირიდონი, აღარაფრისადმი ჰქონდა ძველი ინტერესი. ოჯახში ზრუნვას თავი მიანება. სამსახურსაც მეტად უგულოდ ეკიდებოდა; ტყვილა ცდილობდენ ამხანაგები მის გართობას; კრებაზეც ან სულ არ მივიდოდა, ან ნახევარი საათის შემდეგ სტოვებდა. აღარ შეეძლო ერთ ადგილას გაჩერება და როცა შინ უხდებოდა ყოფნა უაზროდ დადიოდა ეზოში წყლის ნაპირებზე. ეფროსიმე და ირაკლი კვირვობდენ ბატონის ასეთ გამოცვლას და ცდილობდენ, რითიმე ხელახლა დაეინტერესებინათ ის.

როგორც კი მოიცლიდა ირაკლი ჩუმად დაჰყვებოდა ბატონს კვალდაკვალ და მორიდებულის, მდაბალის ხმით გამოელაპარაკებოდა მას ოჯახის საქმეებზე.

— ძალიან ამინდები კი დოუდგა ბ-ნო ყანებს წრეულს. ისეთია რიონს გალმა ჩვენი სიმინდი, რომ თვალი გაგინათლდებათ; სამშაბათს გახდით, თითო ტარო თითო წყდაა, მოსატეხია უკვე.

— ჰო და მოვატეხინოთ, მაგასაც მე მკითხავ?—ისევ ცივად უპასუხა სპირიდონმა და არც კი მოუხედა.

— არა, მიტო მოგახსენეთ ბ-ნო, რომ წრეულს მოსავალი ორჯერ მეტი იქნება სარშანდილზე. სასიმინდეშიც ვერ ჩავატევთ მგონი. ან ამდენ ჩალას სად დავაწყობთ?..

— ამხელა ეზოში ზვინის ადგილს ვეღარ იშოვი? ესეც მე ვიდარდო? ირაკლი ატყობდა, რომ უფრო აბეზრებდა ბატონს თავს თვისი უაზრო ლაპარაკით;— რომ მას სულ წინააღმდეგი გამოუვიდა და ხელახლა შეეცდებოდა სხვა მხრივ მოევლო ბატონისათვის.

— ბ-ნო დღეს არ ითევზავებთ? ძალიან ამინდია; ისე გათამამდენ თევზები, რომ სულ ნაპირზე გამოდიენ; სამსეა სულ; კაი ხანია აღარ გითევზავებიათ.

— სხვა დროს როდისმე, ეხლა მაგის გუნებაზე არ ვარ. წადი ერთი ქუდი და ჯოხი გამომიტანე სახლიდან.

— ახლავე ბატონო.—ისევ შეჩერდა ირაკლი, „დილაზე მიბრძანდებით ბატონო?“—მორიდებით ჰკითხა მან.

— ჰო; რაში მეკითხები?

— ისე ბ-ნო. მითომ ხვალ ეფროსიმეს დედა აპირებს მოსვლას და, თუ გსურთ მისი ნახვა თქვა; ან სათქმელი თუ გაქვთ რამე...—აერია სიტყვები ირაკლის.

— ხომ არ გადაირიე ბიჭო? ეფროსიმეს დედასთან რა საქმე მაქვს? თუ მოვა, მოვიდეს — აგერ არ ხართ?—მწყრალად გააწყვეტინა სპირიდონმა.

— არა... რასაკვირველია, თქვენ' რა საქმე გაქვთ, მარა იქნება იმას უნდოდა რამეს თქმა თქვა; ასე გეკითხენ ეფროსიმედან.

— თუ უნდა და მომიცდის. იმ კვირაში ჩამოვალ. მაგის გულისთვის სამსახურს გავაცდენ თუ?

— რაზე იკადრებთ ბ-ნო. მეიცდის, რასაკვირველია, აბა რაზ იზამს?—და თავის ფხანით გასწია სახლისაკენ.

როცა ირაკლიმ სამზარეულოს წინ აიარა მტირალი ეფროსიმე დაინახა, გულს ალმური მოედო, ახლოს მივიდა და საყვედურით უთხრა.

— რა დაგემართა შე ცოდვის შვილო. რავა თლათ წახთი... კი ეშველება რამე—კი გამოვნახავთ რაცხა გზას.

— უთხარი რამე?—ჰკითხა ქალმა და ცრემლებით სავსე თვალები მიაპყრო ირაკლის.

— მაცალე შე ქალო; კი ვეტყვი თავის დროზე. კაცს ათასი დარდი აწევს გულზე და ახლა ერთბაშათ ხო ვერ ვეტეკებოდი.

— დედა ხვალე მოვა და მერე რა დროსია?..

— ახლა სწორეთ დედა შენის გულისთვის დარჩება და მიატიებს სამსასურს მაი კაცი. მეიცთის დედაშენი რამოდენიმე დღე და ბატონიც ჩამოვა. რავა, ცეცხლი ხომ არ ეკიდება იმ ოჯახამოსაგდებს ვინცხაა?..

— დედა ქე მეიცთის, მარა ის ოხერი არ იცთის—ველარ გეიგე: რა თქვა წუხელის ბიძიამ? ვაი ჩემი ცოდვა...—და ხელახლა წასკდა ცრემლები. ველარ გაუძლო ირაკლიმ ეფროსიმეს გულამოსკვნილ ტირილს, ერთი კიდევ შესძახა: „შევარცხვინე შენი ქალობა, ლაჩარი ყოფილხარ; ამის იმედი მქონდა შენგან?-“ ო და გაშორდა.

სახლში შევიდა და გაშტერებით იდგა შუა ოთახში. იცოდა, რომ სპირიდონმა რაღაც დაავალა, მაგრამ რა, რა უნდა მიეტანა მისთვის?—ეს სულ გადაავიწყდა, ველარ მოიგონა. ეფროსიმეს ცრემლები უდაღავდენ გულს და ბრაზობდა თავის თავზე, რომ ამის მეტს ველარ აკეთებდა, ვერაფრით ეხმარებოდა მას, ვინც ასე უყვარდა და ვისი ტუჩების მიკარებაც მას ჟრჟოლას ავლებდა მთელ ტანში. რა ქნას, რითი მოეხმაროს? ის ხომ უძლურია და გამოუცდელი იმ მსუნაგ თეოფილეს წინაშე. და მერე იმ ღორმა, იმ ქაჩალმა უნდა წაართვას მას ეს მზესავით ქალი?

— გაგიჟდი ბიჭო შენაც? რას გაშტერებულხარ, აქ—ამისთვის გამოგგზავნე?—უთხრა კარებში შემოსვლისთანავე სპირიდონმა.

— უკაცრავად ჩემო ბატონო, სულ გადამივარდა გულიდან, ახლავეთ.—და დაუწყო ძებნა ბატონის ქუდს. ეხლა მიხვდა—რისთვისაც გამოგზავნეს.

— იმ გოგოს რაღა ჯანდაბა ატირებს?—ჰკითხა სპირიდონმა და ქუდი ჩამოართვა.

— რა ვიცი ბატონო, ქე კი გადირია მაგ ჩემი ცოდვით სავსე და... წუხელს აქეთ ასე ზლუქუნობს გაუწყნარებლად.—სპირიდონმა გაოცებით შეხედა.

— რაო, რა მინდაო?

დიდხანს მდუმარებდა დარცხვენით ირაკლი, მაგრამ სპირიდონი მას არ ეშვებოდა.

„იქნებ ჩემს უბედურებაზე სტირის“, ფიქრობდა სპირიდონი, „ადამიანია განა არ შეეცოდები, განა ვერ ხედავს თუ რა მჭირს?“

დედა მისი ბ-ნო თეოფილეზე ათხოვებს და არ უნდა მაგას. თავს მეეიკ-ლავო ამბობს—არას გზით არ წავყობი იმ ქაჩალ ლიპიანსო.

— თეოფილე ვიღაა?—იკითხა სპირიდონმა და ლოგინზე ჩამოჯდა.

— მაგათი სოფლის მედუქნეა. ერთი უნამუსო, გაღლეტილი კაცია. მთელ სოფელს თვალის დასანახავად ძულს. ორი ცოლი ჩააწვინა მიწაში და სამი შვილი მეინელა, ოთხი კიდო სხვა ყავს.

— მერე და რაზე უნდა წაყვეს მითომ, რას ერჩის დედამისი?

— ყელი უშონა იმ ოხერმა. საწყალი ანთიმოზის, ეფროსიმეს მამის ათთუმნიანი ვექსილი ქონია და ახლა ოც თუმანს თხოვს. სახლ-კარს უყიდის, ქუჩაში აგდებს მოხუც დედაკაცს. წუხელი გახლდათ აქ იმ ქალის ძმა, ეფროსიმეს ბიძა—ისეთი რამეები ილაპარაკა, გული ამიდუღდა.

— მერე და არაფერი მოევლება მაგ საქმეს?—იკითხა სპირიდონმა და ეფროსიმეზე უფრო ძლიერ ირაკლი დაეწანა; იცოდა, რომ დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა მას ეფროსიმეს შერთვა და დროს უცდიდა.

— რა ვიცი ბ-ნო? თქვენდა მინდოდა რჩევა მეკითხა.—სასოწარკვეთილებით მიმართა ირაკლიმ და თვალზე ცრემლები მოადგა.

დიდხანს მდუმარებდა სპირიდონი, ბოლოს ზევით წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ირაკლის თვალები მას მოწყალებას გამოსთხოვდენ.

— რა დროს მოვა ის ქალი? —ჰკითხა სპირიდონმა.

— ხვალ ნაშვადღევს გიახლებათ ბ-ნო.

— კარქი... უთხარი, დაიცადოს ჩემ ჩამოსვლამდე; მოველაპარაკები. —ახლოს მივიდა ირაკლისთან, მხარზე ხელი დაადო და თვალებში ჩახედა; ირაკლიმ მორცხვად დახარა თავი და ცრემლები წყალივით ჩამოსდიოდა.

— კაი ახლა... ნუ გეშინია; კი გამოვნახავთ რამეს. არ უნდა წახდე ვაჟკაცი კაცი. ვეცდები რამენაირად მოვუბა საქმეს თავი, ნუ იდარდებ. და ცოტა ხნის შემდეგ ახლო დაუხარა თავი და მშობლიურის ტკბილის ხმით და თან დარცხვენით ჰკითხა.

— ძალიან გიყვარს ეფროსიმე ირაკლი?

ირაკლის სახე სულ წამოეწითლდა და ხმას ველარ იღებდა.

— მერე და მასაც უყვარხარ მითომ? უნდიხარ ქმარად?

როგორც იყო გაბედა ირაკლიმ და თავი ზევით არ აუწევია ისე ამოილუღლუღა.

— აგერ მეორე წელიწადია ბ-ნო სიტყვა მიცემული გვაქ ერთმანეთიზა ქალბატონმა კი იცის ეს.

—ჰო და რაკი ასეა, რაღა გადარდებს? ყველაფერს მოგიწყობ, შენ არხეინად იყავი. ოლონდ ასმათს ნურაფერს ეტყვით ამაზე, გესმის? მე ვიცი რაც საჭიროა და ვიზამ კიდეც.

— თქვენს სახელს ვენაცვალე ბ-ნო. სხვა ვინ გვყავს აბა... გეიმსახურე, სამუდამოდ დაგვავალე თქვენი სამსახური...—და სიხარულით მუხლებზე დააპირა დაცემა, მაგრამ სპირიდონმა შეაყენა.

— კაი; რას სულელობ ირაკლი? რავა, მე კი არა მაქ გული? მე ადამიანი არა ვარ? მე არ გამახარებს თქვენი ბედნიერება? აბა, იცის ეს ყველაფერი ასმათმა? იცის რო ეფროსიმე დანიშნული გყავს?

ირაკლი სიხარულით ველარ ლაპარაკობდა და მარტო თავს უქნევდა.

—მერე და რა გითხრათ ასმათმა ან შენ, ან ეფროსიმეს? მოგიწონათ?..

— ძალიან გაეხარდა ბ-ნო თვითონაც. დიდათ პატივი გვცა, ვენაცვალე მის სახელს. მაშინ აჩუქა ეფროსიმეს ახალი კაბა და ფეხსაცმელები. მეც კაი ჩოხა-ახალოხს დამპირდა...

— თუ დაგპირდა, აგისრულებს კიდეც. სხვა რამესაც მოგცემს... ნუ ჯავრობ; ისე გამოგაწყოთ ორივე, რომ ტოლი არ გყავდეთ.

ველარ გაუძლო ირაკლიმ ერთბაშად მოწოლილ გრძნობას, ბატონს მაგრა მოუჭირა ხელზე ხელი და გიჟივით გავარდა ეფროსიმესაკენ, ისევ მტირალი რო იჯდა სამზარეულოს წინ.

სპირიდონმა თვალი გააყოლა მას; კარებთან იდგა და დიდხანს უცქერდა ბედნიერ ირაკლის, უცქერდა, თუ როგორ თანდათან ბრწყინდებოდა ქალის სახე ირაკლის ლაპარაკზე და როგორ ტკბილად ჩაეკრენ ერთმანეთს. „რა ბედნიერია“, გაიფიქრა სპირიდონმა და ჭისკრისაკენ წავიდა. ისიც იყო ქუჩის პირს მიუახლოვდა, რომ ბარბალე თავს წაადგა.

— მიბრძანდებით ბ-ნო სპირიდონ სადმე?—ჰკითხა ქალმა და მიესალმა.

— ცოტა საქმე მქონდა მითომ... ხომ არაფერი გნებავდათ.

— ერთი-ორი სიტყვა მქონდა სათქმელი!!. ჩურჩულით უთხრა ქალმა და აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს ეშინოდა არავის მოეკრა ყური.

არ იამა სპირიდონს ამ ქალის კილო და იდუმალი ზრახვებით სავსე გამომეტყველება.

— ბატონი ბრძანდებით—და ჭისკარი გაუღო. „შემობრძანდით!“ ბარბალე შევიდა და სახლისაკენ გაუჩქარა. სპირიდონს მოუთმენლობა დაეტყო.

— რაშია ბარბალე საქმე?

— სახლში მოგახსენებთ, ხო არავინაა თქვენთან?

— არავინ, მარა აქ არ ითქმება მითომ? არავის ესმის ჩვენი ლაპარაკი.

— არა ბატონო; მაინც აჯობებს, ოთხ კედელ შუა ნათქვამი არსად გავა.

მეტი გზა არ იყო და სპირიდონიც ოთახში შეუძღვა.

ქალმა გრძელი მუსაიფი გამოაბა: სპირიდონის ოჯახისადმი საერთო პატივისცემის და სიყვარულის შესახებ, მისი პატიოსანი სახელის და ღირსების, ოჯახის ნამუსის დაცვის აუცილებლობის შესახებ.

— მერე რაშია მაინც საქმე?—მოუთმენლად გააწყვეტინა სპირიდონმა.

— ასმათის საქციელი არაა მოსაწონი ბ-ნო სპირიდონ· სხვას რომ დაცდეს რამე ამაზე თვალებს ამოვკორტნი ბ-ნო სპირიდონ; კი იცი რავა გვიყვარს მე და ბათლომეს თქვენი ოჯახი: მამა თქვენის ხელში ვართ გაზდილი ორივე... მარა შეხ რავა დაგიმალო, ცეცხლი მეკიდება გულზე ეს ორი დღეა, ველარ მოვითმინე და გამოვსწიე თქვენთან; მინდოდა თქვენთვის მომეხსენებია რაც ვნახე და რაც გევიგონე.

— მაინც რა ნახე ბარბალე?—და სპირიდონს ქვევითა ჩარბი გაუთეთრდა და აუთრთოლდა, მუხლებმა ცახცახი დაუწყეს.

ქალმა ხმას უფრო დაუწია, სულ ყურთან მიუტანა ტუჩები და, ვით შელოცვის საიდუმლო სიტყვებს, ჩასჩურჩულებდა სპირიდონს:

— აგერ მესამე დღეა ის სტუდენტი ბინათ ჩვენთან მოიყვანეს. არ მინდოდა, მარა ერთობას პირი ვერც მე ვუტეხე, რა მექნა? და ვხედავ და ვიწვი, მეკიდება ცეცხლი, ჩემო სპირიდონ. ასმათი მთელი დღე და ღამე არ ცილდება, სულ ერთათ არიენ, ლაპარაკობენ, ჭუჭუნობენ...

— მერე და რაა შე ქალო აქ ისეთი?—გული გაიკეთა სპირიდონმა, მაგრამ ცეცხლის რგოლები უფრო და უფრო ერტყმებოდენ მის ტანს.

— რაღა რაა, ჩემო სპირიდონ!.. ველარ დაგიშალავ, კეთილი მეზობელი ხარ, უნდა გითხრა: კოცნაზეც შევასწარი ამ დილას...

— კაი, შე ქალო! რაცხა ფარცაგი არ მეგონა... და-ძმასავით არიენ ერთმანეთში კაი ხანია და რა ვუყოთ მერე,—ბუტბუტებდა სპირიდონი, მაგრამ ატყობდა, რომ ეს ვიღაც სხვა ლაპარაკობდა მასში: ფარისეველი, ყალბი...

— კაი „და-ძმობაა“ შენ ნუ მომიკვდები სპირიდონ. რაღა საჭიროა, რომ ასე ევიხვიოთ თვალი? ნეტაი არ დამენახა, რატო არ დამეფსო ორივე თვალი მაშინვე... დედა, დედა—რას მეევესწარი ამას, რა გევიგონე!

ეხლა უფრო ხმა-მაღლა ლაპარაკობდა ქალი და მუხლებზე ირტყამდა ხელებს. ის უფრო უკლავდა გულს, რომ მისმა მხელამ შესაფერისი გავლენა ვერ მოახდინა ამ ჯიუტ კაცზე. თუმცა გულს იმით იიმედებდა, რომ ამ კაცს ჩარბები უკრთოდა და მისი ღიმილიც ძალდატანებითი და ნაღველით სავსე იყო.

კიდევ დიდ ხანს ჩურჩულებდა ეს დედაკაცი, სწყევლიდა და კრულავდა ამ ახალ თაობას, ამ მაწანწალებს სოფელს რომ ნამუსი აღარ შეარჩინეს.

— კაი, კაი შე ქალო. ნამეტანი იცით შენ და ბათლომემ. იმ დღესაც გითხარით: ჩამორჩენილი ხალხი ხართ, ბევრს ჯერ ვერ შეისმენთ კიდევ..—და ძლივს წამოდგა სპირიდონი, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, კარებს მოსწია.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს...—ამბობდა უკმაყოფილო ქალი და თავსაფარს ხელების კანკალით შლიდა და ისწორებდა.—მე ჩემი გითხარი და აწი შენ იცი, რავაც გენებოს...—დიდხანს ბუტბუტებდა თავისთვის, მაგრამ შეატყო, რომ სპირიდონი აღარ ფიქრობდა ოთახში დაბრუნებას.

გულმოსული ვამოვიდა ქალი და ქუჩისაკენ გაუჩქარა... ერთი-ორი კი მოიხედა და ბრაზით სავსე თვალებით ეძებდა სპირიდონს. „სად გაქრა აწი, მიწამ ჩაყლაპა?“ ფიქრობდა ქალი და თანდათან ეძლეოდა იმედი, რომ ასე ადვილად არ ჩაივლიდა ეს ამბავი; რომ სპირიდონი თვალთმაქცობდა, თორემ გულში ათასნაირად უდუღდა ნაღველი.

უკვე ბნელოდა, როცა სპირიდონი ფრთხილად ჩავიდა ბათლომეს ეზოში და შეუმჩნევლად უკან კარებს მოუარა, ჩუმად იდგა. ბოლოს გაბედა და ჩაახველა. არავინ გამოხედა.

— ბარბალე!—წყნარად დაიძახა მან.

— რომელი ხარ?—მოესმა სპირიდონს სამზარეულოდან. ეხლა იქეთ გადადგა ნაბიჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზარეულოს კარი გაიღო და ბერბალე გამოვიდა.

— მე ვარ ბარბალე.

— სპირიდონი ბრძანდებით? ღმერთო მომკალი! აქანე იცდიდით? შემობრძანდით სახლში...—მიიპატიჟა ქალმა, მაგრამ იმედი ჰქონდა, სპირიდონი მას არ შეყვებოდა. სიხარულით უფეთქავდა ბარბალეს გული, ხედავდა რომ მისმა წამალმა გასჭრა, ცდამ ტყვილა არ ჩაუარა.

— არა, ბარბალე, ცოტათი მეჩქარება... დიტო თუ მაქაა, ერწამს გამომიხმე.

— ამ მინუჩი ბ-ნო...—და ქალი ფრთხილად შევიდა სახლში.

დიდხანს იდგა სამზარეულოს კარებთან ბარბალე: სულისთქმა სულ შეიკავა, მთლად სმენად იყო გადაქცეული: უნდოდა ორიოდე სიტყვა მაინც გაეგონა სპირიდონის და დიტოს ლაპარაკიდან, მაგრამ მარტო ორ აჩრდილს ხედავდა ნიგვზის ძირში მდგომს და ისე კი კანტი-კუნტად ესმოდა სიტყვები, რომ ვერაფერი გაუგო—ვერ გადააბა ერთმანეთს. „სულ დავყრუვდი მე უბედური ამ ბოლოს“...—ნაღვლით სავსე ამბობდა ის და ნეკით იფხეკდა ორივე ყურებს.

ეხლა ის ნათლად ხედავდა, ამჩნევდა, რომ ლაპარაკი თავდებოდა—აჩრდილებს ერთმანეთისათვის მიეცათ ხელი ხელში. ეტყობოდა ეთხოვებოდენ. ვეღარ მოითმინა, თითების წვერებზე მარდად გაირბინა და ნიგვზის ხეს მეორე მხრიდან ამოეფარა. გაკმიდა სული.

— მე ვერ ვეტყვი—ეუბნებოდა სპირიდონი დიტოს.—შენ უფრო დაგიჯერებს, ხო იცი. ოუხსენი, რომ ნუ მიზამს ამას, ნუ გამხთის ქვეყნის სალაპარაკოთ, ნუ მომჭრის მთელ ხალხში თავს, შემიბრალოს! ეტყვი, რომ ცოტა ხნით მიდიხარ ქალაქში და ისევ ჩამობრუნდები აქეთ. გაუჭირდება უშენოთ, შეგეჩვია მეტათ... ვხედავ რაც მჭირს, მარა რა ვქნა? შენი პატიოსნების და ამხანაგობის იმედი მაქვს ისევ. ვიცი, კიდევაც რომ რამე იყოს, გულიდან ამოიგდებ—არ მომიკიდებ ცეცხლს, არ გამიმწარებ მოხუცებულობას. შენ მომავალი წინ გაქ, რა გიჭირს, მე კი... სად უნდა წავიდე მე, რა წყალს მივცე თავი?

— კარგი ამხანაგო... გეყოფა, დამშვიდდი. აკი გითხარი—შენი სურვილი შესრულებული იქნება. ხვალ თუ არა ზეგ მაინც წავალ,—უპასუხა დიტომ.

— კი მიხვდები—რა დღეში ვარ,—არ ეშვებოდა მაინც სპირიდონი,—იქნება არაფერიც არ იყოს, იქნება ყველაფერი კარგად გათავებულიყო და მაინც მობრუნებოდა გული როდისმე, მარა, მე მანამდი ჩემი გადამწყდა და ჩემი ოჯახიც ქვეყნის ყბაში ჩავარდა.

გაიაროს დრომ, ხანმა—ვაცალოთ და ბოლოს არ იქნება, არ ჩახვდეს. ჯერ ბოვშია სულ.

ბარბალე თავის გულს ჩუმად ასკდებოდა, არ მოსწონდა ასეთი დამშვიდებული ლაპარაკი სპირიდონისაგან. ის სულ სხვას ელოდა, აქ კი შეიძლებოდა საქმე ისე გათავებულიყო, რომ ყველაფერი მალე მიწყნარებულიყო და ცხოვრებას ჩვეულებრივი დენა დაეწყო.

— ძალიან ლაჩარი არ ყოფილა ეს კაცი? ქე არ დეისხა თავსლაფი...—ჩაილაპარაკა მან და ბრაზმორევით გააყოლა თვალი ჭისკრისაკენ მიმავალთ.

კიდევ დიდხანს ჩანდა ეს ორი აჩრდილი ქუჩის პირას, მაგრამ ბარბალეს ეხლა ისინი სახეიროს არას უქადდენ. ნაღვლიანი შევიდა სამზარეულოში და ცეცხლის პირას მჯდომ კატას მაგრა წაჰკრა ფეხი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სტეფანე ქასრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეჯინიბე*)

(დასასრული)

## III

შაქრო უცხო ქალაქში იზრდებოდა. დილას წიგნებით მიდიოდა და ამხანაგებთან ერთად ბაზარში ხაჭაპურებს იპარავდა.

ძია ნიკოს არ უყვარდა ყურის აწევა. ერთხელ შაქრომ და მისმა ამხანაგებმა დაინახეს, რომ ქუჩის ბოლოში გამოჩნდა ხალხი, რომელსაც წინ მოჰქონდა მეფის სურათი. ბიჭები გაიქცენ. ხალხი შესდგა ქალაქის სამმართველოსთან.

— ძირს გერმანეთი! გაუმარჯოს რუსეთს! — და ასტყდა ომი. ყველაფერი შეიცვალა უეცრად. აღმოჩნდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტი. ქვეყანამ სამხედრო სამოსი ჩაიცვა; ჯარისკაცებით აივსო ქვეყანა. მატარებლები ეზიდებოდენ ჯარისკაცებს ფრონტებზე. ნარმის თვალებიანი იმპერატორი ჯარში იწვევდა წითელ ბილეთიანებს, მწვანე ბილეთიანებს, დაბადებულებს ამა და ამ წელს.

დეპეშები, დეპეშები, დეპეშები. ცხენების მობილიზაცია.

კობამ თავის ხელით წაიყვანა ცხენები. ერთი ღა დაუტოვეს. შემდეგ, უბეში ჯარისკაცობის მოწმობა გაისინჯა და მოულოდნელად თავი ამოჰყო მატარებელში. მატარებელი დასავლეთ ფრონტისაკენ მიჰქროდა. ყველაფერზე ფიქრობდა კობა გაურკვევლად—მაგალითად მაზარაზე, მას რომ ეცვა და ნაფტალინის სუნი რომ ასდიოდა; ფიქრობდა ნინოზე, ნინოს ბევრი რამ დაუბარა, მაგრამ: ეხ, ნინო, ნინო!

შეიძლება ამ დროს, კობას იჭვიანად თავის გაქნევა უნდოდა, მაგრამ ხელათვე სხვა ფიქრი მოსდიოდა: მელანოს მოჯამაგირე ბიჭზე უჭირავს თვალი და მოჯამაგირეც ულვაშებს იგრეხავს, აი ასე...—და კობამ ხელი ულვაშზე გადისვა.

— ეხლა ეგ შაქრუაც!—წერილის გაგზავნა მოასწრო კობამ.

„შე შერცხვენილო“—სწერდა წიგნში,—ვიცი მანდ ხეირს ვერა შვრები; მოდი, ოჯახს უპატრონე. ხომ გაგიგონია—სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო? ჰო და ჯარში გამიწვიეს. ოჯახი დედაშენისა და მელანოს ანაბარა დავაგდე“.

---

*) იხ. ჟურ. „მნათობი“ № 1.

არ ილეოდა ფიქრები; ჯარისკაცები თუთუნს ეწეოდენ, [illegible] მღეროდენ. ბორბლებიც მღეროდენ დაუბოლავებელ ერთფეროვნებით [illegible] —მაინც გუგუნი იფანტებოდა დაცლილ მინდვრებში. პირველად, როცა დაიძრენ, კობა ფანჯარაში იცქირებოდა და მატარებელს ნაცნობი მხარეები მიჰქონდა. სარკისებურ ლურჯ ჰაერში მოსჩანდა შორი სივრცე ნაცნობ მთებით, ტყეებით და მდინარეებით; მაგრამ ნაცნობი მხარეები მალე მიმოჰფანტა მატარებელმა და მას შემდეგ ერთფეროვნად გუგუნებს.

დღეებისა და ღამეების ბევრი წყება გადაფრინდა მას შემდეგ; კობა დასავლეთ ფრონტზე მიდის და დღე და ღამეებიც დასავლეთ ფრონტზე მიეშურებიან. ხანდახან, ღამე მკლავებში მოიმწყვდევს მატარებელს და მაშინ, თუმცა ისმის ბორბლების ხრიალი, მაგრამ ჰგონიათ: მატარებელი სდგასო. შეიძლება გაიხედო ფანჯარაში, მაგრამ იგივეა, რაც თვალების დახუჭვა; ამიტომ ერთხელ, როცა კობამ გაიხედა, შეეკვდა:

— ხომ არ მძინავსო—და თითი თვალში იძგერა.

სადგურებში იშვიათად ჩერდება მატარებელი. კობა ბაქანზე გამოდის, გაივლის და ყურს უგდებს:

— ხომ არა ისმის ომის გათავებისა?

მაზარები დარბიან ჩაიდნებით; ყოველ ნაბიჯზე სამხედრო სალამი. მესამე ზარი.

— გაგონილა? არ თავდება ომი, არა! სრუტე უნდა აიღონ; დასაპყრობია დარდანელი, ბოსფორი, სტამბოლი, ბერლინი, ლვოვი...

——

კობას საველე სამზარეულო ჩააბარეს და ღრმა ზურგში მოაქციეს. შემდეგ ნელ-ნელა აჩოჩეს და ერთ დღეს კობა და ფრონტი ერთმანეთს პირისპირ დაუდგენ. კობა შეკრთა.

მიწას აზანზარებდა ზარბაზნების გრიალი; სკდებოდა ყუმბარა, კობა კი ფიქრობდა ქვეყნის დასასრულზე, დარწმუნებული, რომ ეს უკანასკნელი ფიქრია. დედამიწა ჰგმინავდა და ვეებერთელა, ყუმბარებისგან აყრილ ბელტებს მაღლა ისროდა.

მალე შეეგუა კობა ფრონტს. დღეებს არავინ ითვლიდა და ყველაფერი აირია ერთმანეთში. მოდიოდენ რუხი მაზარები. მოჰყავდათ დაჭრილები, მოჰქონდათ მკვდრები. ყველაფერი აუცილებელი შეიქნა.

აუცილებელია, მაგალითად იღლიაში ტილები და გაუპარსავი წვერ-ულვაში. აუცილებელია ზამთარში დათოვლილი ტყეები, შორიდან ყანჩების გუნდებად რომ მოსჩანან. ყანჩები ფრთებს შლიან გასაფრენად და მაშინ მათ მხრებიდან მოუფრინავსთ მძიმე ყუმბარა.

ტყეები მართლა ყანჩები როდი არიან! ყანჩები რომ იყვნენ, გაფრინდებოდენ, და რადგან ვერ მიფრინავენ—ყოველ ხეს ულმუის ფესვები; ფესვები ბრჭყალივით იკუმშება ქვესკნელში და ტყე სჩხავის.

ყუმბარა სკდება. დრტვინავს მიწაზე დაყრილი ჯარი და ტყიდან გამოდის თეთრ ხალათიანი სანიტარული რაზმი. ისინი ჯერ მოდიან ხტუნვით, რო-

გორც ველური ბოკვერები; თოვლში ინაბებიან; თვალებში პირუტყული შიში უცხადდებათ და როცა მკვდრებს აგროვებენ, ყოველი მათგანი ჯარის, გამასხარავებული სიკვდილი ჰგონია.

სანიტრები სძარცვავენ მკვდრებს, ორმოებს სთხრიან და დახოცილებს მარხავენ.

ოდესმე, როცა მეოცე საუკუნის დაცინვა სავალდებულო იქნება, მოვლენ მკვლევარნი, ამ ადგილს ბარს დაჰკრავენ და აღმოაჩენენ სასაფლაოს. იტყვიან:

— ეს უნდა იყოს, ამა და ამ დროინდელ კულტურის ნაშთი. მაშინ თურმე ხალხს ჰგლეჯდენ და ორმოებში უწესრიგოდ ჰყრიდენ, თან, ლითონის უბრალო იარაღს ატანდენ, რასაც დიდ პატივსა სცემდენ.

დროგამოშვებით კობა თავის ჯალაბობას მოიგონებდა და ამოიოხრებდა: ზარბაზნები უფრო მაგრად ოხრავდენ და ჰყლაპავდენ კობას ფიქრებს.

ერთ დღეს ცუდ გუნებაზე დადგა კობა. ციოდა.

ჯარისკაცებს მკვდარ გერმანელის ქამარი აეღოთ და ათვალიერებდენ. კობაც მივიდა. ვილაცამ დაიძახა:

— ეგერ ყვავი მოდის. მას ვკითხოთო — და მიუთითა მომავალ მღვდელზე

— გამარჯვებათ, შვილებო! — მღვდელს ქამარი გადასცეს:

— რა სწერია ქამარზე, მამაო, გერმანული უნდა იყოს, — მან სათნო სახით დაათვალიერა ქამარი:

— დიახ, ნემეცურად სწერია: „გოტ მიტ უნბ“ ესე იგი „ჩვენთან არს ღმერთი“-ო. — ჯარისკაცები აშფოთდენ:

— როგორ! ღმერთი არს გერმანელებთან? — ყაყანობდენ. — განა შეიძლება! ღმერთი ჩვენთან არს.

კობა გამხიარულდა, ასეთი აღშფოთება სასაცილოდ მოეჩვენა, მაგრამ ხალხს კვერს უკრავდა:

— ჩვენთან არს, მაშა, მაშა!

მღვდელმა სასოებით ააპყრო თვალები მაღლა და ბრძანა:

— ძმებო! გერმანელები სტყუიან. ჩვენთან არს ღმერთი!

ეს რომ გაიგონა კობამ, სიცილი წასქდა, მღვდელს თვალებში უცქეროდა და იცინოდა. მღვდელმა სახე მოიღრუბლა; დაეკარგა სპეტაკი გამომეტყველება; უცოდველ თვალების მაგიერ მის სახიდან იცქირებოდა ორი ასპიტი.

— რას იცინი! — მწყრალად იკითხა მღვდელმა.

— მე იმას ვიცინი, ვაი თუ იქაც მათი მღვდელი დგას ეხლა და თავის ჯარს ეუბნება, რუსები სტყუიანო!

რამდენიმე ჯარისკაცმა გაიცინა; სხვები შეეჭვდენ და მღვდელს დაღვრემილად შესცქეროდენ.

— აა, შე მოღალატე, მუსლიმანო? — იყვირა მღვდელმა და ცისკენ ახრილი ცხვირი გაუწითლდა. მის ამდენ რისხვას არავინ მოელოდა; ჯარისკაცებმა სული გაჰკმიდეს. კობა შეკრთა; უარის ნიშნად თავი გააქნია და ხელები გაშალა.

— მე მუსლიმანი არა ვარ... მე მხოლოდ, ღმერთმანი, ვიხუმრე.

— ვიხუმრეო! მე შენ გიჩვენებ ხუმრობას! აი, ამ წუთში გიჩვენებ!

მღვდელი წავიდა სანგრებისაკენ, სადაც საველე შტაბი ფიქრობდა, კობას ჯარისკაცები შემოეხვიენ.

— რათ უთხარი, ა?

— რომ დაგხვრეტენ, ეგ კარგია?—

—„კარგი როგორ არის?—მთვრალივით მიბარბაცდა კობა თავის სამზარეულოსთან და ჯარისკაცები უცქეროდენ მას. „გაიქეცი ბიჭო, თორემ დაგიჭერენ და დაგხვრეტენ“—ეუბნებოდა კობა თავის თავს—„მაშინ მშვიდობით შენი ჯალაბობა! დიდი სოფელი წამსვე გათავდება“... კობა მიწურში ჩააგდეს. სარკმელთან იდგა გუშაგი.

სამხედრო საველე სასამართლო ოცდაოთხ საათში ახერხებს კაცის დახვრეტას, მაგრამ კობა ორი დღეა ზის და მას არავინ ჰკლავს; კობა დასუსტდა. ბურანშია და უმადურად ფიქრობს: „იქნებ დახვრეტილი ვარ კიდეც“.

კობას დატუსაღების მესამე დღეს ფრონტზე არაჩვეულებრივი ამბები დატრიალდა. დილას ძილში შემოესმა ჯარისკაცთა მხიარული ძახილი: „ვაშაა“.

გამოეღვიძა. ყური დაუგდო. სარკმელში გაიხედა და გამოცოცხლდა.

ჯარისკაცები წითელ პერანგებს ხევდენ და ნაჭრებს გულზე იბნევდენ. კობამ დაუძახა გუშაგს:

— მითხარი, ძმაო, რაშია საქმე?

გუშაგმა გაიღიმა. ტუსაღთან საუბარი აკრძალული ჰქონდა, მაგრამ ეხლა წესი გადალახა:

— ნუ გეშინია, ბიძია—ეუბნებოდა—შენი საქმე კარგად არის, არ დაგხვრეტენ—კობა შეეჭვდა:

— ნუ თუ? შენ საიდან იცი?

— მაშ შენ არაფერი გაგიგია?—გაუკვირდა გუშაგს—არც ისა, რომ თავისუფლება დამყარდა? იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ჩამოაგდეს!

კობა გაოცდა; ყურს არ უჯეროდა; გუშაგს გაამეორებინა:

— მაშ, ჩამოაგდეს? ხელმწიფე? როგორ შეიძლება?

— ჰო, ხელმწიფე. როგორ არა, ჩამოაგდეს!

— ყოჩაღ, ყოჩაღ!—ბუტბუტებდა კობა და ათასი სურათი უტრიალებდა თავში.

— ... მაშ, ეხლავე შემიძლია წავიდე... პირდაპირ სახლში...

გუშაგმა აუხსნა, ეგ შეუძლებელიაო, თუმცა უთუოდ მალე გაანთავისუფლებენ; თუ უნდა, სარკმლიდან უცქიროს მიტინგს. გუშაგი არ დაუშლის. კობა იცქირებოდა სარკმლიდან, მაგრამ ცერზე დგომა ღლიდა და ხშირად ჯდებოდა კუთხეში. უკრავდა მუსიკა და ერთი თოფიც არ გაუსვრიათ ფრონტზე. კობა გაუშვეს.

ცხოვრება დატრიალდა სწრაფად; პატარა შემთხვევები წაიშალა. ირგვლივ დიდი ამბები იდგა. არ ჩანდა რუხი ფარაჯა, არ იყო ცხოვრება—იყო მხოლოდ თავისუფლება. კობას დაავიწყდა თავისი სახე. სხვა ჯარისკაცებსაც დაავიწყდა.

არავინ არაფერს ამბობდა, არავინ ფიქრობდა და ვინც რაიმეს იფიქრებდა ან იტყოდა, თავისუფლების სათქმელი იყო. თავისუფლებამ ტაბიარა ფრონტები. თავისუფლება მართავდა მიტინგებს. ფრონტი ატორტმანდა ნელა. სანგრები წამოდგენ მიწიან სახით:

— ამხანაგო, მივდივართ თუ არა სახლში?

მიტინგზე მთელი ფრონტი მოგროვდა. კობა უცქეროდა ჯარისკაცებს თვალში და უხაროდა, ყველას უხაროდა. იდგა ჯარი მრავალი. ჯარი დაძრული სოფლებიდან, სადაც ოფლიანი მიწა—ყბებია, ბზე—ქერა ულვაშებია და თვალები—პურის მარცვალი. ყველას უხაროდა.

მიტინგზე ერთი ზორბა ჯარისკაცი გამოვიდა, რომელსაც, რაღაც არ უხაროდა. კობა შეფრთხიალდა და განსაკუთრებით უსმენდა მას. სხვებიც შეირხენ. ჯარისკაცმა ხალხის თვალწინ მოიგლიჯა გულსაკინძი:

— აი, აქ გვაქვს ჩვენი თავისუფლება—დაიყვირა მან და მუშტი გულზე დაირტყა.—მაგრამ ჯარისკაცებო, ჩვენს თავისუფლებას ტილები ჰღრღნიან! გავსრისოთ ტილები, თორემ თავისუფლებას შეგვიჭამენ. არ არის საჭირო რომ შეგვიჭამონ! ჯარისკაცებო, სახლში! სახლში-ი-ი!

ხალხში გაისმა დრტვინვა. ხალხი მიხვდა—ზორბა ჯარისკაცმა, რაღაც დიდი გაბედა. მიტინგი აირია.

— პროვაკატორია!—იყვირა ვიღაცამ.

— სტყუი!

ჯარისკაცი მოჰკლეს.

---

ფრონტი მოიხსნა. ჯარი დაბრუნდა. ველებს მოედო ბღერი, ქეცი, მუნი. ნაყრდებოდენ ველზე, ნაფოტივით გამხმარ ენებით რომ დაეხერხათ ღრძილები. მიდიოდენ კვლავ და ველზე ნაკვალევად რჩებოდა ზარბაზნები, თოფები, დახოცილი კაცები და ცხენები.

---

შაქრომ მოასწრო ულვაშებზე ხელის გადასმა და სახლისაკენ გაემართა.

— თავისუფლება!

სადგურებზე აურაცხელი ხალხი. შაქრო ყოველ სადგურზე რჩებოდა. ღამით მესამე კლასის დარბაზში იძინებდა და როცა მოესურვებოდა, შეძვრებოდა მატარებელში და მიდიოდა. ასე იქცეოდა ყველა.

მესამე კლასის დარბაზში იატაკზე იძინებდენ. საერთო იყო ტილები, ჯარებს რომ ფრონტიდან მოჰქონდათ. აქ იყვნენ ძლიერი ჯარისკაცები ჯვრიან კაკარდებით, იყვნენ ახალგაზრდა ჯარისკაცები და წითური ქალები. ქალებსაც იატაკზე ეძინათ.

შაქროს მათთან ახლოს უყვარდა ლოგინის გაშლა და საუბრის გამართვა:

— სად მიდიხარ?

— რაში გეკითხება, ძუძუ მწოვარა?

ქალები სჭამდენ მზეუმზირას და იცინოდენ.

— ძუძუმწოვარა რა შუაშია! გეკითხები, საით მიდიხარ მეთქი?

— ქმარს ვუცდი. ფრონტი ხომ მოიხსნა—გამოიცვლის და ერთად წავალთ.

თუთუნის ბოლით იბურებოდა სინათლე დარბაზში. ისმოდა მიძინებულთა ხვრინვა. შაქრო მუხლებზე თავს ჩუმად დაუდებდა ქალს და თრთოდა.

— მაინც საით წახვალთ შენ და შენი ქმარი?

ქალი იცინოდა; ეშმაკურ გულით გრძნობდა ბიჭის ღელვას; მკერდით შაქროსაკენ იხრებოდა და ბიჭი სრესდა ველების რძით სავსე ძუძუებს.

ქალს ხმა ეცვლებოდა და გამოცვლილის ხმით, რომელშიაც ბევრი სითბოა, ამბობდა:

— ჰო, ძვირფასო, ჩვენ წავალთ სამარის გუბერნიაში, მე და ჩემი ქმარი. ჯარისკაცებმა მითხრეს, თითქო ჩემი ქმარი მოჰკლესო, მაგრამ მე არ მჯერა სტყუოდენ ძაღლები, მარტო დროების გატარება უნდოდათ ჩემთან.

— მერე? დროება გაატარეს?

— გაატარეს, ძვირფასო, გაატარეს.—ხითხითით ამბობდა ქალი და მკერდი უთრთოდა. შემდეგ თვალს შეასწრებდა მიძინებულს ხნიერ ჯარისკაცს, ხარბად რომ უთვალთვალებდა მათ და ქალი ცულლუტად უყვიროდა:

— რაო, ბელზებელო, შენი დედაკაცი მოგაგონდა? ი-ი ჯვრიანი.

— შენს ულაყს მოუარე—მკვახედ სტყორცნიდა ჯვრიანი. შაქრო საჩხუბრად წამოიწევდა, მაგრამ ქალი მკერდით ეკვროდა:

— წავიდეთ ეხლა, შევარდენო! ჯვრიანი კი ცოდვაა, მოხუცია.

---

შაქრო სოფელში ჩამოვიდა.

ბევრი ქოხი დაეხშოთ სოფელში და ხალხი აყრილიყო. დადიოდენ უხელო ჯარისკაცები, რომელნიც კარგად ამბობდენ თავიანთ თავგადასავალს. მელანო გათხოვილიყო. ნინო ავად იყო. ამბობდენ: „ნინომ კობას ჩვილი უფეშქაშა, მაგრამ რადგან კობა ორი წელია ფრონტზეა და დიასახლისის ნახელავით ვერ გაიხარებდა, ამიტომ ჩვილი შორს გადაჰკარგესო“.

შაქროს ზურგი მოელუნა; თვალები ნაღვლით აევსო. ღადიოდა გაბოროტებული და თვალი ეჭირა მამის ხანჯალზე. სახლში იშვიათად ათევდა ღამეს ნინო იწვა და ნაოჭებიან სახით პატიებას ითხოვდა, შაქრომ გადასწყვიტა ქალაქში სამუდამოდ წასულიყო; დაითრო და დედის სანახავად მივიდა.

მელანო ფანდურს უკრავდა. ძალიან მოხუცებულიყო ნინო. შაქრო ყურს უგდებდა ფანდურს და ისმენდა დედის სუნთქვას. უეცრად შაქრომ თავი დაჰხარა და იკითხა:

— როგორა ხარ, დედი? მე ქალაქში უნდა წავიდე.

— წადი შაქრო, წადი, მე არა მიშავს რა.

შაქრო წავიდა. გზაში დედაზე ფიქრობდა, ნაღვლიანდებოდა და, რადგან ღვინის ბრალი ეგონა, უფრო ხმამაღლა მღეროდა.

ქალაქში შაქრო შოფერი გახდა.

ნინო გარდაიცვალა. შაქრო დაითრო და დიდხანს იყო [illegible].

ერთ დღეს ვიღაც კაცმა იკითხა შაქრო შოფერი. შაქრო მივიდა და „ვიღაც კაცი“ კობა აღმოჩნდა.

— ცოცხალი ყოფილხარ! — გაეხარდა შაქროს; გადაჰკოცნა, მანქანაში ჩაისვა და ბინისაკენ გააქროლა. კობა დაღვრემილი იყო; ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა. შაქრო უცქეროდა და იღიმებოდა.

— რა გაცინებს! — შეკმოსწყრა კობა, ფარაჯა გაიძრო და ლოგინზე წამოწვა: უნდა დავიძინო, ფეხით მივლია.

საღამო ხანს ოდნავ განათდა ოთახი. მამა და შვილი ტახტზე ისხდენ და პურს სჭამდენ. შაქრომ გაიგო, რომ მამა სოფელში არ დაბრუნდება, სახლში მელანო სცხოვრობს ქმრითა. იცხოვროს! კობა კი ქალაქში იშოვის სამსახურს და იცხოვრებს. კობა შეზარხოშდა:

— ბიჭო, დედა შენი მოკვდა? — წარბშეკრული ეკითხება შვილს.

— ჰო.

— რა ჰო, შე უნამუსო, შენა; მერე, შესანდობარი არ უნდა დალიო? — ჭიქა აუვსო და პურის ნატეხი მიაწოდა: — ჰა, დალიე! ის შენი დედა იყო და შენც დედაშვილობის მეტი მისგან არა მოგეთხოვება რა.

კობამ ღრმად ამოისუნთქა. მამა და შვილმა პური ღვინოში ჩააწეს და ღვინო შესვეს. როცა ღვინოს სვამდა კობა კისერი გამართა და მაშინ ლამფის შუქზე გადაიმტვრა მისი სახე, რომელიც პირველ მოთხრობაშია აწერილი.

კობა მიიღეს მეჯინიბედ. იმავე ხანებში მეჯინიბედვე მიღებულ იქნა ალალი ჯარისკაცი, რომელსაც მალე ქვეყანამ დაუძახა: — ბაბაი.

ამით იხურება თავგადასავლის ნაწილი.

რჩება ოთახში ნაპოვნი ზორტი, და კობა უმზერს ცხოვრებას.

## IV

შაქრო წამოწოლილიყო ლოგინზე. თვალებს ნაბავდა და ისმენდა დიასახლისის საყვედურს. დიასახლისი სქელ მკლავებს აქნევდა და პატარა ლამფაში ბარბაცებდა სინათლე.

— ეგ როგორ იქნება? არავისი მორიდება არა გაქვს. გარყვნილი ქალები მე ძლიერ მეჯავრება და შენ ოთახში დაგყავს? არა, აგეთები აქ არ გაგივა! უნდა მოიშალო.

შაქრომ ზარმაცად შეხედა დიასახლის და ზარმაცადვე ამოამთქნარა:

— ვერ მოვიშლი, ვერა.

დიასახლისი მიჩვეული იყო ასეთ პასუხს, მაგრამ მუდამ ღელდებოდა და ეხლაც აღელდა; გაოცებულ სახით მიაჩერდა შაქროს, სუნთქვა გაუხშირდა და პასუხს ეძებდა.

— ვერ მოიშლი რომელია? — ერთბაშად მიახალა — ქვეყანა ხომ ჩალით არ არის დახურული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი.—დიასახლისი მართლა გაოცდა; შაქრომ ისე უპასუხა „არ ვიცი“, თითქო უნდოდა ეთქვა „ჰოო“.

— მაშ, კარგი; მე ვიცი და მე მოგაშლევინებ, მე!

მუშტი მაგიდაზე დაჰკრა დიასახლისმა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მობრუნდა, კარები გაანგრია და სანამ გავიდოდა, შაქროს მოსძახა:

— ეუ, შენს ვაშკაცობას!

შაქრომ ჩაიცინა: „ჩვეულებრივი ამბავია“!

ყოველთვის, როცა სასაყვედურო მოლაპარაკება იწყებოდა, ორივე მხარემ წინდაწინვე იცოდა, რას ეტყოდენ ერთმანეთს და რითი გათავდებოდა საქმე. მოლაპარაკება იმართებოდა მუდამ, როცა დიასახლისი ჩაიგდებდა ხელში შაქროს. ეს ჩვეულებად დასჩემდა დიასახლისს ამ ბოლო დროს და შაქრომ ერთხელ კიდეც იხუმრა:

— აბა, დედი, კამათი გავაჩაღოთ. ჯერ შენ ბრძანე ერთად რაც სათქმელი გაქვს, პასუხს მე მოგახსენებ. ამითი ერთი დღის საქმე გათავებული გვექნება და დავმშვიდდეთ. დიასახლისი მეტად განრისხდა, ოხუნჯობა ჭკუაში არ დაუჯდა; კობასაც ჩაასმინა.

შაქრო ფიქრობს:

— ვა, ჭკუაზე მოდი, დედი! რაში გედარდება სხვისი საქმეები? იქნებ საპატარძლოა და შენ გარყვნილი გგონია! არა, მოგაშლეინებო, აი ხათაბალა!

ეზოდან ხმაური მოისმა. დიასახლისი უყვიროდა ვიღაცას:

— ვინ გინდა, ვინა! გიცნობ ვინცა ბრძანდები, კარგად გიცნობ.

შაქრო წამოხტა; გაიქცა. ახალგაზდა ქალი დაინახა და შემოიპატიჟა:

— ლოლა, შენა? მოდი, მოდი. დედას ყურს ნუ ათხოვებ, დღეს აყალმაყალის გუნებაზეა.—ოთახში შემოვიდენ. დიასახლისი არ ისვენებდა და მათ გასაგონად დიდხანს ბუზღუნებდა:

— ხალხი გაირყვნა; სინდის-ნამუსი სადღაა; ჰეი გიდი. კარგად დაწნულო მათრახო...

ქალი გაოცებით ისმენდა დიასახლისის სიტყვებს; შაქრომ გამოარკვია:

— გოგონა!

პალტოს ფოლაქებს უხსნიდა. გოგონამ შეჰხედა შაქროს, ანთებული თვალები დაუნახა და თვითონაც აენთო. შაქრომ პალტო გადისროლა და ტუჩებში ჰკოცნიდა. გოგონას სუნთქვა შეეკრა: თავბრუ დაესხა: ცდილობდა განთავისუფლებას.

შაქრო გაშმაგდა. მკლავები წელზე მოჰხვია; დაბარბაცდენ და დიდხანს ალარ ისმოდა დიასახლისის არაფერი. ამდენ ხანს ძაღლი ჰყეფდა ქუჩაში და ძაღლმაც ჩაიწყვიტა ხმა.

...შაქრომ დაჰხედა ქალის გახსნილ მკერდს და ერთბაშად—დიასახლისმაც აუშვა ხმა და ძაღლმაც. ლოლამ ხელები ძუძუებზე დაიფარა. მოიწყინა.

— რა მოგსვლია, ქალო? სამსახური?

— სამსახური არაფერი.

— მაშ, სხვა რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოლამ ხელები კისერზე მოჰხვია შაქროს და მიიზიდა; სიტყვებს ჩურჩულით ამბობდა:

— შაქარა, უხეირო შაქარა...

შაქროს ჩურჩულისაგან აჟრჟოლებდა, თვალები უგანიერდებოდა, თითქო პირველად ჰგრძნობსო ქალის ტუჩებს, სადაც გროვდემოდა სისხლის სუნნელი და გადმოდიოდა ველურ თაფლად; ველური თაფლი დაულეველია და „ვინც ბევრსა სჭამს, შეიძლება თავი ატკინოს... თავი ატკინოს... თავი ატკინოს“.

— გული მერევა, ჰო.

შაქრო ხელათ წამოხტა ლოგინიდან:

— რაო?

— გული მერევა... მძიმედ ვარ...

შაქრო აბობოქრებული დარბოდა ოთახში; ქალი სუნთქვას იკავებდა, მკლავებ დაშვებული იჯდა; მკერდი უმწეოდ ჩაჰლუნოდა და ფეხსაცმელს მისჩერებოდა.

შაქრო შესდგა. ამდენად საბრალო არასოდეს უნახავს მას ეს ქალი: „საბრალო“ რომელია! პირველად კინაღამ თვალები ამოჰკორტნა: ძუ გავაზივით ეშინოდა მისი. ეხლა? ვა-ა. შაქრომ ყოჩაღად გაიარა. ნაბიჯი მხიარული იყო და ლოლამ თავი აიღო.

— ვისია ბავში?—იკითხა შაქრომ.

ამ კითხვაზე ქალი განრისხებული წამოიჭრა ლოგინიდან და შაქროს მუქარით გაუჩერდა წინ. „ვა! ისევ ძუ გავაზა“! მოაგონდა შაქროს. ქალს მკერდი უღელავდა. შაქრომ დასამშვიდებლად ხელი მოავლო მაჯაზე, მაგრამ ქალმა გამოჰგლიჯა.

— რა მოგივიდა ლოლა, რა! არ უნდა სთქვა, რა მოგივიდა?

ქალი მოდუნდა; მხრები შეერყა, მკლავები სახეზე მიიფარა და ლოგინზე პირქვე დაემხო. შაქრო იქვე ჩამოჯდა; შემთხვევით ყურადღება მიაქცია, რომ დიასახლისი არ ილანძღებოდა და მეზობლის კარებს იჭვიანად გაჰხედა: „უთუოდ ყველაფერს გაიგონებდა დიასახლისი“. გაბრაზებით გაიფიქრა და ლოლას მოუთმენლად უჩურჩულა:

— რა გატირებს, რა? მოვკლათ ბავში, ჯერ ხომ მაინც უსულოა.

ქალმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მაშ არ მოვკლათ?

— არა.

შაქრომ ხელები ჯიბეში ჩაიწყო, დადიოდა და უსტვენდა. მოაგონდა რომ ჰშია და განჯინა გამოაღო.

— შე უხეიროვ, შენა—ტირილით უსაყვედურებდა ქალი—განა არ იცი, მე შენ მი—ი... არ გრცხვენია? ჰა?

შაქროს თანდათან ეხსნებოდა დაღვრემილი სახე; ბოლოს გაიცინა:

„ლოლა იცრემლება. ცრემლში მოქცეულია ლამფა, გადაბრუნებული ოთახი და პატარა უბედურება. უბედურება იცქირება თვალებიდან; თვალებიდან ცრემლი მოგორავს და ყველაზე უდანაშაულო ძუძუებს გული ამოსკვნიათ. ლოლაც ისე ზის, თითქო ცრემლია. ლოგინზე ზის ცრემლი“.

— გოგონა, სულელო გოგონა გადიხარხარა შაქრომ—ჰკოცნიდა, ტუჩებზე გრძნობდა ცრემლის სიმლაშეს და ხედავდა როგორ მშვიდდებოდა ქალი.

— მაშ, არ მოვკლათ, ჰა?—ჰკითხა შაქრომ, როცა ქალმა უკანასკნელად ამოისლუკუნა.

— არა, ჰო.

ლოლამ გაიღიმა.

გავიდა ფხიზლობის დრო. ლოლა დაიქანცა და თვლემს. ისმის ოდნავ გასაგონი ფშვინვა. შაქრო თვალებდაწითლებული დგას, კედელზე ვეებერთელა ლანდია, თმა აბურძგვნილი და ფართე მხრებიანი.

„ესეც შენი ლოლა... ამხანაგებს შურდათ; ეხლაც შურთ! მაშ, შაქარა, მამა ბრძანდები? მომილოცნია, მომილოცნია“.

შაქრომ ჰაერში ხელი გაუწოდა ამხანაგებს და მაგრად ჩამოართვა: „გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ“. არაყი გადაჰკრა. „რა თქმა უნდა, შეიძლება თავი დაანებო, მოიშორო...“ მძინარეს უცქერის. „არა, რატომ? მომილოცნია, მომილოცნია—ასე სჯობს“.

ეზოში ნელი ღიღინი გაისმა, ვიღაც კიბეზე ამოდის. შაქრომ ყური დაუგდო—„ვინ უნდა იყოსო“‘ და ის, ვინც იყო, აივანზე მტკიცე ნაბიჯით გამოემართა, შაქროს კარებთან შესდგა.

„არა, ქურდი არ არის... არც ფხიზელია“. ვიღაც კარებს აწვალებს. „დაკეტილია, დიახ“—ფიქრობს შაქრო და იძახის:

— ვინა ხარ?

კობა იყო. გასაღების ჭუჭრუტანაში ვერაფერი დაინახა და წელში გაიმართა.

— ფხიზლობ, ძაღლის ლეკვო? გააღე!

ლოლას შეშფოთებით გამოეღვიძა:

— ვინ არის, შაქარა, არ გაუღო!

— მამაა.

შაქრომ კარები გააღო. შემოვიდა კობა, მან წამით თვალები დახუჭა და როცა გახილებაზე მიდგა საქმე, წარბებს მაღლა ეზიდებოდა და პირიც დააღო.

კობა ოდნავ ირხეოდა. ქურქი გაეღელა, ვერცხლის ქამარზე ქისა ეკიდა. ლოლა იჯდა შეძრწუნებული; დამფთხალ თვალებს ხან მამას მიაქცევდა და ხან შვილს. შაქრო იცდიდა.

— მამი, ჯამაგირი აგიღია?

კობამ ალმაცერად შეხედა შაქროს, აიმრიზა და არა უპასუხა რა. ასე იდგა კობა მცირედ ხანს; უეცრად ქალს მიაჩერდა, გაიწია და შესდგა.

ლოლა უფრო დაფთხა, მაგრამ შაქრომ ანიშნა: „ნუ გეშინიაო“ და მამასთან ახლო დადგა. კობამ თითი ჰაერში შეარხია და ლოლას ჰკითხა:

— ზორტი? ის ზორტი შენი იყო?

მუქარაც ისმოდა მის ხმაში, ცნობისმოყვარეობაც და ხუმრობაც. ლოლამ ზორტის არაფერი იცოდა; ეს დაეტყო აწეულ წარბზე.

— ჰო, ამისი იყო—სიცილით მიუგო შაქრომ.

კობამ შვილი მოიშორა:

— განა შენ გეკითხები? არა!—ლოლასაკენ მიიწევს — ქალო, ზორტი ჯანდაბას; განა მე შენი შეურაცყოფა მინდა? არა, — მინდა! მე მხოლოდ, ამ ლაწირაკს... ეგ შვილია ჩემი...

შაქროს მოუბრუნდა და მრისხანედ უყვირის, თან ლოლაზე მიუთითებს:

— ვინ არის ეგა? მეზობლებმა ამიკლეს! დიასახლისმა ამიკლო! მე გეკითხები—ვინ არის? უკანონოა?

შაქრომ წარბები შეიკრა:

— მამი!

კობა უყვიროდა:

— ვინ არის მეთქი. ვინა? უკანონოა? ჰა?

შაქრომ ხელი მოავლო კობას, რომ არ ეყვირა.

მეზობელ ოთახში ტირილით გამოეღვიძა ბავშს. დიასახლისსაც გაეღვიძა და ყურს უგდებდა მამა-შვილის ჩხუბს; დანარჩენი მეზობლებიც იღვიძებდენ და ნამძინარევის ხმით ატყობინებდენ ერთმანეთს: „დახე, რა დღეს აყენებს შაქროსა?“

შაქრო აღელდა:

— რაში გეკითხება, კანონიერია თუ უკანონო!

კობა მოთმინებიდან გამოვიდა; კბილები დააღრჭიალა:

— აჰა, მაშ მე შენი მამა არა ვარ? არა ვარ, შე ძაღლის ლეკვო?

— ჰო—თავი დაუქნია შვილმა და გაიღიმა, რადგან მამამ ხელი ღილებში ჩაავლო და შვილის შერყევა უნდოდა, მაგრამ თვითონ დაბარბაცდა; შვილმა უშველა. როცა კობა გასწორდა, ხელი მოიქნია და შაქროს სახეში ჩაარტყა.

ოთახი აირია.

ლოლა წამოვარდა, მაგრამ შაქრომ ლოგინზე მიაგდო მამა. ჯიბიდან რევოლვერი იძრო და შავი ლულა მომართა კობას გულთან.

— არა ვარ მამა, არა! დამკარ, ძაღლის ლეკვო!—ყვიროდა კობა.

ლოლას შეძრწუნებული თვალები გაეშალა და კივილიც ვერ მოეხერხებინა.

რამდენჯერმე მოასწრო კობამ ყვირილი:

— დამკარ, ძაღლის ლეკვო!

ლულა შეტოკდა. შაქროს სინათლე მოეცა თვალებში და რევოლვერი გადააგდო. ლოლა მიიჭრა და იარაღი უბეში შეინახა.

შემდეგ ოთახში შემოვიდენ მეზობლები და კობა გაიყვანეს.

და დიდხანს იცქირებოდენ ისინი შაქროს ბინისაკენ, იგონებდენ თმაგაშლილსა და ფეხშიშველა ქალს, ოთახში რომ ნახეს, და ამბობდენ:

— რა ლამაზი ყოფილა, რა ლამაზი!

კობა მეზობლის ოთახში შეიყვანეს. იქ ყველა ბავშებს გამოეღვიძათ და ნამტირალ თვალებით, პირში თითებჩადებულნი, უცქეროდენ, როგორ ირხეოდა ძია კობა.

დიასახლისი ამშვიდებდა კობას და სახის ცბიერ ნაოჭებში უაშკარავდეოდა კმაყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა იჯდა თავდახრილი; ათასი ლოთური აზრი მოუდიოდა:

— არ დამკრა ძაღლიშვილმა, არა!

აცხადებდა კობა და გულზე მუშტს იცემდა, სადაც ჩავარდნილი გულფიცარია და სადაც უნდა ჩაწოლილიყო შვილის ტყვია.

რატომ არ დამკრა, რატომ;—ეკითხებოდა კობა ხალხს და ქალები იწყებდენ წუწუნს:

— უი, დამიდგეს თვალი განა მამას გაიმეტებდა?

— ვერა ქა, ვერ გაიმეტებდა. ვერც გაიმეტა.

კობას ურჩევდენ—ტანთ გაეხადა და დაწოლილიყო. რამდენიმე ხელმა კიდეც გაუხსნა გულსაკინძი. ქურქს მხრებში შეუძვრენ და უმოწყალოდ ეზიდებოდენ.

კობამ რაღაც გადასწყვიტა: წამოდგა და ქალები ბჟირივით დაიბღერტა. მის მოთელილ თვალებში გამოკრთოდა შორეული და ფარული გადაწყვეტილება.

— საით, ძია კობა, საით?

— მომეცათ, ან მე, ან ის.

კაცებმა კობა დააკავეს. ერთსა და იმავეს დიდხანს ეუბნებოდენ, სანამ კობა არ შეეჭვდა:

— მაშ ჩემი ბრალია? ჩემი?

არავინ უპასუხებდა „არაო“, და კობას გული აუჩუყდა; მეზობლისას მოსვენებაზე უარი განაცხადა და საჯინიბოსაკენ წავიდა.

ცრემლიანი თვალები მიიტანა, მაგრამ როცა ალაყაფს მუშტი დასცხო, თვალები მოიწმინდა და დაიძახა:

— ბაბაიკა, ქიოფაიოღლი!

კობა უცდიდა ბაბაის გარედ; გარედ ღამეც იდგა, მაგრამ არავის უცდიდა: მოდიოდა თოვლი ჩუმად და ღამეს უხმოდ ეძინა ქუჩაზე.

ბაბაი წამოდგა, კობას ხმა მონატროდა, და რომ გაიგონა გაეხარდა.

— კობა, სად წავალდი შენ!

გამოეხმაურა ბაბაი მეგობარს და მისმა ხმამ კობასაც დაუტკბო სმენა.

კობა იცდის. ჯერ გარდა ღამისა, არავინ სჩანს, და ღამეში ვიღაც კაცი შორიდან საამურად ეკითხება:

— სად წავალდი?

კობა ბუტბუტებს: არსად წასულა: შვილთან იყო, ინახულა და მეტი არაფერი; რული ნელა ერევა კობას და იკეცება ალაყაფის ბოძთან.

ბაბაიკამ ქუჩაში ვერავინ დაინახა:

— კობა, ჰეი!—უყივლა და კობამ ხმა გასცა თოვლიდან. კობას ათოვდა ცხვირზე, ულვაშებზე და ამას ვერ გრძნობდა. ბაბაიკა დაიხარა, კობას ანჯღრევდა და იცინოდა.

— კობა, კობა!

ბაბაიც ნალვინევია. ერთად ჩაეშვენ დღეს სარდაფში; ერთად სვეს. კობა გაიძახოდა: „ზორტი, ზორტი, ზორტი!“ და მგონი ზორტის საპოვნელად წავიდა. ეხლა თოვს ღამეში და მეჯინიბეებსაც ათოვს.

ბაბაიკამ კობა აიყვანა. კობას გამოეღვიძა და ისე გულიანად ხითხითებდა, რომ ბაბაიკამაც დაიწყო სიცილი და სულ ტკბილად იგინებოდა.

— მამაზაღლი შენ, მამაზაღლი.

ალაყაფი დაიხურა. დაიხურა ოთახის კარიც და ღამეში ისმოდა ძილის საუბარი.

კობა ამბობდა გაურკვევ სიტყვებს, იმასაც ეძინებოდა. ბაბაი ყურს უგდებდა და სიცილი თანდათან დაუფთხა.

„რა უნდა კობას გულს, რა? რათ უნდა ის სიტყვები, რომელსაც ამოსძურწავს მთვრალ გონებას და ბუბუნით ისვრის დათოვლილ ულვაშებიდან?"

ბაბაი ოდნავ დაღონდა: მუხლზე მკლავები შემოიჭდო და რასაც ისმენდა კობასაგან — მღეროდა ყაზანურ ხმებზე.

მაგალითად, ბაბაის ჰგონია—საქმე ქალს შეეხებაო და აგონდება ლექსად თქმული:

— არაკი იტყვის:

„ძველი შემთვხვაა ეს, ჩემო მთვარეო, თოვლში ჩამოვარდნილო და თოვლში დაბუდებულო მთვარეო.

ოჰ, საქმე ქალია ყოველთვის, და თუ სიტყვა ქალზეა აწყობილი, მაშინ ბრძენი იცინის, ბრიყვიც იცინის, ხოლო ვინც ვაშკაცია და ღონიერი მკერდი აქვს, მას გული უძგერს და განა შეუძლია იცინოდეს?

ჰო, ჩემო მთვარეო, შენ რომელიც მობრძანებულხარ თოვლივით თეთრი და ბუდობ თოვლში!" —

კობას სძინავს ბაბაი ქანაობს, მღერის, და ეს არის ყაზანი. ბაბაი შემდეგ ეტყვის კობას, როგორ ინახულა მან თავისი მხარე:

დიდი ტბორია ლერწმებში ჩამჯდარი; ირგვლივ ფშანებია; ფშანები რომ ილევა, იწყება უდაბური ტყე; ტყეს ვერ მიჰკარებია ადამიანის ხელი და მოხუცები მღერიან ტყის შინაარსს:

მღერიან ქაჯებზე, ჭაობებში რომ სხედან და გზებს ნუსხავენ.

ბაბიმ უშიშრად გაიარა ტყე.

ბაბაი ეძებდა თავის სიყვარულს და ტყეს ფესვები ჩაეგდო ქვესკნელში და ისიც თავის სიყვარულს ეძებდა.

ჯოგის ძაღლებმა მწყრალად დაუყეფეს; ბაბაის მოაგონდა სიჭაბუკე და უნდოდა—სულ ეყეფათ ჯოგის ძაღლებს.

ველზე იდგენ ქოხები და ქოხებიდან კვამლი მორცხვად მართავდა მწვანე თვალებს ცისაკენ.

ქოხიდან გამოვიდა ოცი წლის ქალი და აღმოსავლეთისაკენ გაიხედა; რომ გაიხედა—ვერავინ დაინახა, ხელები მწუხარედ დაიმტვრია და მიბრუნდა.

ბაბაი კი სამხრეთიდან მიდიოდა და ქალი როგორ დაინახავდა?

— ფატიმა! ფატიმა! — დაუძახა ბაბაიმ.

ასე ინახულა მან თავისი სოფელი.

— უჰ! —

——

გათენდა დილა მოწყენის. ქარხნის საყვირმა აიყარა ტანი, გაიყო ალაყაფის კარი და გამოჩნდა კობა: უქეიფოდ გამოიყურებოდა, უხმოდ მუშაობდა.

შიშაგმა სცადა მეჯინიბის გამხიარულება, მაგრამ არ გამხიარულდა მეჯინიბე.

— ქეიფში როგორ, კობა?—ეკითხებოდენ.

კობა თავს აქნევდა და არაფერს უპასუხებდა. შაქრომ შორიდან დაინახა მამა და თვალი აარიდა. მაშინ კობა დაებჯინა ცოცხის ტარს და დაღონდა! ასე იდგა დიდხანს. ბაბაიმ კრძალვით ჩაუარა.

ეზოში გაისმა მანქანის გუგუნი. კობამ გაიხედა. მიდიოდა მანქანა და მანქანაში მოსჩანდა შაქროს ზურგი, შავი კეპი და პაპიროზი. კობა უეცრად შეირხა, ცოცხი დააგდო:

— ბიჭო შაქრუა!—დაიყვირა და მანქანას დაედევნა.

— დააყე, დააყე, რამე უნდა გითხრა.—ისმოდა ეზოში კობას მოუთმენელი ძახილი და დაღლილი მუხლები მიარბენინებდენ ქეჩის ჩექმებს და ქურქს.

ყველამ გაიგონა და კობას გაკვირვებით მოჰხედა. შაქრომ არ მოიხედა, თვალები წარბებში შეაგდო. მანქანა რწევით გადადიოდა ბოგაზე.

კობამ ქუდი გადიძრო და გამოუჩნდა უცნაურად თეთრი თავი. შუბლზე ოფლი გამოსვლოდა. კარებში დადგა კობა.

მანქანა მიჰქროდა; ბორბლები სტკლეცდენ წუმპეებს და ტალახით გათხუპნული გამვლელები გინებით დგებოდენ და იწმენდნენ ტანსაცმელს. მანქანა შესახვევში შევარდა და კობას ესმოდა გაბრაზებული საყვირი და მანქანის ხმაური. შემდეგ საყვირი დაუმთავრებლად დაილია, თითქო გადასჭრესო, და კობა მიხვდა, რომ შაქროს ხიფათი შეემთხვა და მანქანა დააყენა.

ქუჩა შეშფოთდა, ხალხი შესახვევისკენ გაიქცა.

მილიციელმა სამჯერ ხანგრძლივად დაუსტვინა: მანქანამ კაცი გასჭყლიტა! კაცი გასჭყლიტა, გასჭყლიტა!"

მილიციელი გაიქცა. რევოლვერის ბოხჩა თეძოზე სცემდა.

სისხლი მოაწვა კობას სახეზე. გაეშურა. შესახვევიდან დაბრუნებული ხალხი შემოხვდა, მაგრამ მათ არაფერი ჰკითხა; ისინი ერთმანეთში ლაპარაკობდენ და ზიზღით იფურთხებოდენ:

— ნაწლავები რას ჰგავდა, კაცო, ნაწლავები!—

მოხუც ქალს რძე მოჰქონდა და მეორეს ეუბნებოდა:

— მოსაკლავია შოფერი, მოსაკლავი!—

ხალხი ირეოდა შესახვევში. უცქეროდენ სისხლს, თავზარი ეცემოდათ და მაინც უცქეროდენ. შაქრო გაფითრებული სახით რაღაცას უხსნიდა მილიციელს და მანქანაზე უთითებდა, სადაც იდვა ქუჩის ბავში, გასისხლიანებული და ყვითელი ფერის. იქვე მოხუცი მათხოვარი ცხარედ იცრემლებოდა და ბავშისაკენ მიიწევდა, მაგრამ მას მილიციელი არ უშვებდა და მაშინ გლახა ხელს იწვდიდა და ღმუოდა:

— ამლი, ამლი!—

კობა შაქროსთან მივიდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა მოგსვლია შე უბედურო?—

— შენი ბრალია, მამი.—

— რათა შვილო?—

შესწუხდა მამა: პასუხს ელოდა, მაგრამ მილიციელმა გააგდო.

„რათ არის ჩემი ბრალი, რათა?“ კობას გული დაუმძიმდა და ამოიოხრა. ძალიან დაიქანცა ერთბაშად; ხეს მიეყრდნო, მუხლები მოედრიკა და წელში მოიხარა. მათხოვარი კი სტირის და ღმუის:

— ამლი, ამლი! და როცა ბავშისაკენ გაიწევს, მილიციელები აჩერებენ. მაშინ ის დააცქერდება ტალახში დანთხეულ, გაციებულ სისხლს, რომელიც არ იორთქლება და უფრო ხმამაღლა ღმუის:

— ამლი, ამლი!—და პირიდან უშვებს ორთქლს.

კობა უაზროდ მისჩერებია მათხოვარს; რაღაც აგონდება და ვერ მოუგონებია.

„ჰო, მათხოვრის ლოყის ნაოჭებში ბევრ ღამეს ჩაუვლია უთუოდ; ეხლა ნაოჭებში მოგორავს ცრემლი: ამ მათხოვარმა ერთხელ საცვლები მოიპარა, კობამ დაიჭირა და ისევ გაუშვა:

„რა გქვიან შენ?“

„ალხო!“

„რათ არი ჩემი ბრალი, რათ!“

კობას თვალები დაუწითლდა; ოხრავს და ოხრავს; ვიღაცამ ხელი შეახო და თავაზიანად სთხოვა:

— ზავიდეთ, კობა.—

— ჰა?—

იდგა ბაბაი, მონაწილე კობას ჭმუნვარებისა და ეუბნებოდა განმეორებით:

— ზავიდეთ კობა, ზავიდეთ.—

კობა დათანხმდა; არც დათანხმებია, უაზროდ მიმოიხედა მხოლოდ და ბაბაის გაჰყვა. ავტომობილი წასულიყო და ბავში წაეყვანათ. მათხოვარი ულონოდ მილასლასებდა და ყველამ იცოდა, რომ ის ტიროდა ეხლაც:

— ამლი! ამლი!—

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და ისმენდა ამბავს: როგორ გასჭყლიტა მანქანამ მათხოვრის შვილი, სახელად ამლი.

— შესახვევში, სადაც სისხლია დაკვეთილი, გათხრილია მიწა-ღუმელი და ქვაბში ადუღებენ შავ ფისს. მუშები ამბობენ:

— შოფერის ბრალი არ არის, არა! მან დროზე აუშვა საყვირი, მაგრამ მანქანის გაჩერება ვერ მოასწრო. ექვსიოდე ბავში იყო აქა. ისინი ქვაბიდან ამოძვრენ და ამლის მამა, საწყალი კაცი, მივიდა შვილთან და პური გაუყო. ამლი პურს სჭამდა და მამას ეჩხუბებოდა; ამ დროს მანქანამ ბორბლებში მოიქცია და მუცელი გაუგლიჯა.—

— საავადმყოფოში წაიყანეს.—

— დიდხანს ვერ იცოცხლებს.—

შესახვევში არიან აგრეთვე ამბის მომყოლნი, რომელთაც თავის მოთხრო-

ბაში უყვართ თერმინების ჩართვა: „ადმინისტრატიული წესი“, „ეჭვერტიზა“, „ოქმი“, „ჩვენება“ და სხვა; ამათ ქვედა ნიკაპი უთუოდ უფრო-გაბოლილი აქვთ და როცა მოუთხრობენ—მათივე ბაგეები გულუბრყვილოდ შესცქერიან მათვე. ისინი აჩვენებენ მსურველთ ამლის მამას:

— როცა ავტომობილი დაიძრა, მათხოვარი დაეცა მიწაზე და გმინავდა. შემდეგ მილიციელმა ააყენა და ეხლა მილასლასობს.—

კობამ გაჰხედა მათხოვარს. ქუჩის ბავში, ამლისებრ გამურული და უთუოდ ამლის ძმა-მეგობართ, აედევნა გლახას.

— ალხო, ალხო!— ეძახდა ბავში და რაღაცას ურჩევდა, მაგრამ მოხუცი ალხო ბავშს ყურადღებას არ აქცევდა. კობამ უაზროდ ჩაიყო ხელი ჯიბეში, თეთრი ფული ამოიღო და ალხოს მიაწოდა; მათხოვარმა დაჰხედა ფულს, მაგრამ არ აიღო:

— ამლი, ჰაი ამლი!..

მაშინ კობას ძალიან დასწყდა გული. „ნუ თუ მართლა ჩემი ბრალია?“— ამას რომ ფიქრობდა, თითები გაშალა და ფული ქვაფენილზე დაეცა. ქუჩის ბავშმა სწრაფად აიღო და გაიქცა.

— მომესი ფული! —დაუძახა ბაბაიმ.

— არ უნდა ბაბაიკა, თავი დაანებე.

ეზოში მივიდენ და ბიჭებმა, ამდენხანს რომ ყბედობდენ, პირი დაიმიწეს. კობა ოთახში შევიდა. კობა იჯდა თავჩაქინდრული ნახევარ საათს. მერე ერთ საათს, მერე ორს და სულ ფიქრობდა. ოსება მუშაობდა და თან უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა:

— მე ვიცნობ მაგათა, შოფერებსა. ძარღვებაშლილები არიან, ავგულები; შენ რას მოგიწყენია, ძია კობა? ერთი რომა, შენ არაფერ შუაში ხარ; მეორე— მართალია, შაქროს მამა ხარ და გული უნდა გეწოდეს, მაგრამ რადგან შაქრო არ დაისჯება, ამითვინა გულიც არ უნდა გეწოდეს; სწორი სიტყვაა თუ არა, ჰა? შენ გეუბნები, ძია კობა!

ძია კობა ოსებას არ უსმენდა და არ იცოდა, სწორი სიტყვა იყო თუ არა, მაგრამ თავი მაინც დაუქნია: მართალიაო.

სამსახური გათავდა. გამგე შემოვიდა და კობას უთხრა:

— ნუ დარდობ კობა, არხეინად იყავ. შაქროს დაჰკითხავენ და ხვალვე გამოუშვებენ.

კობამ ზრდილობიანად გაიღიმა და მადლობა მოახსენა. ხალხი წავიდ-წამოვიდა. კობა კი ისევ იჯდა. ბაბაი ურჩევდა სახლში წასულიყო, მაგრამ კობა უარს ამბობდა; ვერ წავალ სახლში. იქ დიასახლისი მიელის და, რომ მივა, ნიშნს მოუგებს; მან კიდევ დღევანდელი ამბავი არ იცის, თორემ სულ ერთიანად გაიხარებს.

დაღამდა. ენთო ცეცხლი. სდუმდენ მეჯინიბენი გარეგნულად, მაგრამ სხეულის სიღრმეში, სადაც წარმოდგენები „ინახება, ინგრეოდა და შენდებოდა ქვეყნები, ლაგდებოდა გეგმა. იცქირებოდენ მეჯინიბენი თავიანთ სხეულის სიღრმეში და ცეცხლი ათამაშებდა მათ სახის კუნთებს.

„რათ არი ჩემი ბრალი, რათა?“ „იმათა, სულელო ბერიკაცო, რომ შაქრო გააჯავრე და გაჯავრებულ გულზე მარცხი შეემთხვა, აი რათა! ძარღვებ აშლილები არიანო შოფერები, აი კიდევ რათა!“

ალაყაფი დაარახუნეს. კობამ ყური სცქვიტა, მაგრამ წამსვე მოეშვა: მამაკაცის მუშტი არ იყო, ვინმე ბავში იქნებოდა. ბაბაი გავიდა და დაბრუნდა ახალგარზდა ქალის თანხლებით. კობამ თვალები მოიფშნინტა: „შაქროს... საცოლო?“ არ სჯეროდა; მერე უზომოდ გაუხარდა, წამოდგა, სალამი მოახსენა და სკამი მიაწოდა. ლოლა დარცხვენით იღიმებოდა:

— თქვენსა ვიყავი... მ-მამა,—ამ სიტყვებზე ქალი წამოწითლდა და ენა ცოტათი დაებორკა. კობას უფრო იამა:

„დიახ, მამა... მამა“.

— შაქროს ამბავი გავიგე—ამბობდა ქალი—მაგრამ არა უშავს რა, მგონი ხვალ გამოუშვან.

— ხვალ გამოუშვებენ შვილო, ხვალ.

კობას დარდები მოეშვა და უეცრად ყველა გამხიარულდა. მეტი არაფერი იყო საჭირო: ლოლა მას არ ემდუროდა, პირიქით, ესაუბრებოდა, ამშვიდებდა, იცინოდა. ბაბაიც იცინოდა ჩუმ-ჩუმად. როცა ლოლა წავიდა, კობამ ხელი სტაცა ბაბაის:

— აბა, წავიდეთ ბაბაიკა, ერთი კვარტი გავეჭყლიტოთ.

მეჯინიბე ებმა კარები მიიხურეს და სარდაფისაკენ გაემართენ.

თბილოდა სარდაფში. იორთქლებოდა მაგარი ღვინო და გულაჩვილებულ კედლებიდან იცქირებოდენ გრძნობიერ სიტყვათა რიგები, გადმოსავლელად გამზადებულნი. ფარეშებს პურ-მარილი დაჰქონდათ და ჭიქის დაცლაზე ხათრს არავის უტეხდენ. გაორთქლილ შუშების გაღმა მოსჩანდა ყინვა და თოვლი, ღამეს რომ თითებს უმტვრევდა.

კობამ შემოიმღერა და ბაბაი ჩამოატარა კიბეზე. დახლს მოადგა. ქუდი განში მოიქცია და ქურქი გაიხსნა. მიკიტანს ბაბაი დაანახა:

— აი, ეს კაცი ჩემი ხათრით სვამს, თორემ არ დალევდა. ჩამოდგი ერთი კვარტი.

გაჩნდა ღვინო. კობამ დაილოცა. მწვანილი მარილში ჩააწეს. მუსიკა ღონიერსა და გაბედულ ჰანგებს უკრავდა. მაგიდები ხმას იმაღლებდენ. ერთ კუთხეში ისხდენ მეტივენი და ჭიქებს დინჯად სცლიდენ.

კობა ბევრს ელაპარაკა ბაბაის და დახლიდარს, გამვლელებიც დაჰპატიჟა და ეხლა სდუმს:

— არაფერს იტყვის მეტს. ან, რა აქვს სათქმელი? არაფერი! მხოლოდ ეს არის, რომ წასვლის დროა, შუალამე ახლოვდება.

— წავიდეთ! —

კიბეზე დუდუკი შემოესმათ; დუდუკი სარდაფის სიღრმიდან ამოდიოდა და ერთი ხმა ამღერებდა ნაღვლიან ობლის ლექსს. კობამ ყური დაუგდო; არც მოეწონა, კიდეც მოეწონა: სურვილი დაებადა, სარდაფის იატაკზე დაწოლილიყო, სადაც ნახერხი ეყარა და უთუოდ ძალიან თბილოდა.

— კობა...

— ბაბაიკა...

იდგენ მეჯინიბენი ქუჩაში და ერთმანეთს გზას უთმობდენ. ურმების ჭრიალი გაისმა. გლეხი კოფოზე იჯდა, მეორე ნელი ღიღინით ფეხით მოსდევდა.

— ჰეი, ჰეი ძმობილო, დიდ სოფელში ხომ არ მიდიხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, იქაურები არა ვართ.

— იქაურები რომ იყვეთ, უკეთესები იქნებოდით, აი!

— შენ არ გვიცნობ თორემ არც ანგრე დაგვიწუნებდი. — სანცილით უპასუხა ახალგაზდამ.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ!

კობა ერთობ გამხიარულდა. თვალი გააყოლა ურემს და ფარული სიამოვნება იგრძნო. უეცრად რაღაც მოაგონდა, სასიამოვნო, ჟრუანტელის მომგვრელი, და შესდგა

— ბაბაიკა, მშვიდობით ბაბაიკა! მე მივდივარ! — უყივლა ამხანგას.

„სახლში მიდისო“, იფიქრა ბაბაიმ და შესახვევში, როცა მეურმეებმა ქუჩას შეუხვიეს, ბაბაი პირდაპირ წივიდა, ხოლო კობა აჰყვა ალმართს.

მთელი ღამე იარა კობამ. განთიადზე დიდსოფელში ჩავიდა. მურამ ასტეხა ყეფა. ძველი პატრონი იცნო, კაცივით გაიმართა და თათები მკერდზე დაულაგა.

კობა აივანზე ავიდა. გული უცემდა. მურა წკმუტუნებდა და, სადაც იყო, აჰყრიდა შინაურებს.

„დავრჩე თუ არა?“ ფიქრობდა კობა. ქურდულად ფანჯარაში შეიხედა და მელანო დაინახა, რომელიც ფურივით მისწოლოდა ჩვილს და ძუძუს აწოვებდა. „ჰო, დავრჩები დიდსოფელში — გადასწყვიტა კობამ და თავის გადაწყვეტილების თვითოხვე გაეხარდა — შვილიშვილს უალერსებ, ბოსტანს გავმართავ, სიძეს მინდორში მივეშველები, რა დამრჩენია მეტი, ჰა? დამრჩენია ერთი სიცოცხლე და განა ღირს ამისთვის ვინმეს აწყეინო?“

— მამი, მამი!

მელანო მოეხვია მეჯინიბეს. მურია სახლში შეევარდა და ჩვილს ლოყაზე ენა აუსვა.

აი რა დარჩენია თურმე მეჯინიბეს!

თავდება ამრიგად ოთხივე მოთხრობა.

ჰყვირის ქვეყანა:

მე! მე! მე!

— რა დაგრჩათ კიდევ სათქმელი? — ვეკითხები მე გმირებს და ნახევარ გმირებს, ბაბაი ჰკითხულობს:

— სად არი კობა?

— დიდსოფელში,

— ჰო, თორემ, გამგეს უნდოდა საქვეყნოდ გაეცხადებია: დაიკარგა ორივ თვალით ელამი მეჯინიბეო. მთელი ეზო შეძრწუნებული იყო, კობამ თავს რაღაც აუტეხაო. ეზოს უყვარს კობა!

---

შაქროს განთავისუფლება მიულოცეს. მეორე დღეს შაქრო ეუბნებოდა გამგეს:

— ცოლი მომყავს, ფული მჭირდება.

ლოლა კი ეუბნებოდა შაქროს:

— კობა უნდა ჩამოვიდეს, მოიწვიე.

დიდსოფლელმა მენახშირემ წიგნი უბეში შეინახა:

— კობასა? ხვალვე გადავსცემ! ოქშშშ!

— ვქეიფობთ! — იძახდენ ეზოში.

თებერვალი.

1926 წ.

**ᲘᲝᲡᲔᲑ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲛᲝᲡᲐᲠᲔᲪᲮᲔ

პატარა კარები ჭრიალით გაიღო და ოთახში ვიღაცა შევიდა.

სარეცხის კეცვაში გართულმა ქალმა თავი ასწია. თვალები დაუდიდდა. შიგ მოულოდნელობა და გაკვირვება გამოესახა დიდ შიშ გადაკრული. სახე გაუწითლდა, შემდეგ გაუფითრდა. ფეხები აუკანკალდა. დასაკეცად გამზადებული სარეცხი ხელიდან გაუვარდა და უკვე დაკეცილს გადაეფარა.

ქალის წინ შავთვალწარბა ვაჟი იდგა. მის შეკრულ შუბლს ეტყობოდა, რომ რაღაც დიდი რამ ჰქონდა გადაწყვეტილი.

ვაჟმა შეხედა ქალს. ფერის ცვალება შეატყო, მაგრამ არ შეიმჩნია. ორი გრძელი ბიჯი გადადგა წინ და უსიტყვო მიუახლოვდა მაგიდას. უკან, წელზე გაისვა ხელი და მაგიდაზე შავი, პრიალა მაუზერი დასდო.

ქალმა უკან დაიწია, ოთახისკ უთხეს მიეყუდა, იარაღს ერთბაშად გადააავლო თვალი და ისევ შეხედა მოსულს. შიშთან ერთად გაბედულებაც მიეცა. ვაჟმა შიში არ შემატყოსო, იარაღს ცქერა არ დაუწყო. მაგრამ შიშით სავსე სხეული დიდებულობის სიამაყით სავსე ქანდაკებასავით იდგა. საუკუნოებით ჩანერგილი გოროზობა, ამაყობა და ღირსება კუთხეში იყო გაუნძრეველი, თითქოს მას არც დამარცხება ჰქონდა ნანახი, არც დამცირება.

მოსული კი ქალს უცქერდა. თვალი თვალში გაუყარა, წარბ-შეკრულმა, დაღონებულმა, დარდიანმა.

ქალმა დარდი შეატყო და თითქოს შეეცოდა, მის შიშს ეხლა ეს შებრალებაც შეერია.

— რუსუდან! პასუხისათვის მოველი. —დინჯად და გადაჭრით, მაგრამ ხმის კანკალით სთქვა ვაჟმა. სთქვა ისე, რომ მის ხმას უიმედობა ეტყობოდა, მაგრამ ისიც სჩანდა, რომ უიმედო პასუხს არ დასთანხმდებოდა. ხმის ამ კანკალმა და უიმედობამ ქალი დაამშვიდა; გამბედაობა მოუმატა. კიდევ შეხედა ვაჟს; მერე ისევ იარაღს დაჰხედა. მიხვდა, ეს კაცი აქ მართლა პასუხისთვის არის მოსულიო. ან სასურველი პასუხი ან სიკვდილი. სხვა რამ აქ არაფერი მოიყვანდა ამ კაცს. ამ პატარა, მიყრუებულ ოთახში ამ წუთს დიდი და საშინელი რამ უნდა მომხდარიყო. საკვირველი კი იყო: ამ დიდსა და საშინელს ეს პატარა, ღარიბი ოთახი როგორ დაიტევდა! შავი იარაღი თეთრ სუფრაზე მრისხანე და უძრავი იდო. შიგ სიკვდილი გამოჩნდა და ოთახი გააავსო. მაგრამ ვისია ეს სიკვდილი? მოსულისა თუ დამხდურისა?

— პასუხს ველი.

ქალი გაბრაზდა. აქამდის მუხლები თუ შიშით უკანკალებდა, ეხლა მთელმა ტანმა დაუწყო სიბრაზით ცახცახი. სხეულზე ბუსუსი აეშალა. ყურები დაუწითლდა, როცა კი სიკვდილი დაუნახავს ყოველთვის შიშს აუტანია. ეხლა კი, როცა მის ქალურ გრძნობებს ასე ხეპრულად შეეხენ და თავისი გვარის შეურაცხყოფა იგრძნო, აღარც სიკვდილს დაერიდა. დიდი ხანია მისი გვარი დამცირდა, მაგრამ როცა ეს საერთო მოვლენა იყო, რუსუდანი ცრემლით ითმენდა; ეხლა კი ეს შეურაცხყოფა პირად მას მიადგა და სული ატკინა.

— რა გინდათ ჩემგან. ჩემი პასუხი ხომ იცით.

— არა, ის პასუხი არ მინდა. მე საჩემო პასუხი მომეცით. ისეთი რომ ჩემი იყვეს.

— არ შემიძლიან, სამი თვეა ამ პასუხს გაძლევთ, ბატონო ილიკო!

ილიკო შეკრთა. ფეხი იცვალა. შუბლი უფრო შეიკრა.

— ვინ არის ბატონი. რა არის ბატონი? მე აქ საბატონოდ არ მოვსულვარ.

— რა ვქნა. მე ამასა ვარ ჩვეული. თქვენ ჩემი უფროსი ხართ. მე თქვენი ხელქვეითი. გაზრდილიც ესე ვარ.

— ეგ გაზრდილობა გიშლით ჩემს დაკმაყოფილებას განა? არ შეგფერით ჩემი ჩამომავლობა!

— ვინ იცის!? ეხლა იქნებ პირიქითაც იყვეს. შეიძლება მე თითონ აღარ შეგფერით თქვენა. ან კი როგორ ჰბედავთ? განა ჩვენ მტრები არა ვართ?

— არა. თქვენ ეხლა ის აღარა ხართ, რაც იყავით. თქვენ ეხლა მოსარეცხე ხართ... და დედაჩემიც ხომ მოსარეცხე იყო. მაშ ეხლა ჩვენ თანასწორნი ვართ.

რუსუდანს ეწყინა. ეწყინა მოსარეცხეობა რომ გაუხსენეს: დამცინისო, ეგონა. სამაგიეროს მიზღვის სურვილმა აუვსო გული.

— დიახ, დედათქვენი ჩემი მოსარეცხე იყო. ეხლა მე ვარ თქვენი მოსარეცხე, მთელი თქვენი ქარხნის მუშებისა.—დამცინავი კილოთი უთხრა რუსუდანმა:—უწინ მე ვიყავ ბატონი, ეხლა თქვენა ხართ. უჩვეულო ბატონობა რათა გწყინთ?

— არაფერი არა მწყინს. მე ჩემი სიყვარული... აქედან დამარცხებული ვერ წავალ. უნდა იცოდეთ, რა კი აქ მოველი, ალბად სხვა არაფერი შემეძლო. დამარცხებას კი ჩვეული არა ვარ.

— თქვენი ნებაა. იარაღი თქვენა გაქვთ. მეც აქა ვარ. მუქარაც თქვენია.

კუთხეში მიკუნჭული ქალი აიზიდა, შუბლი გაიხსნა, ფეხი წინ წასდგა.

ილიკომ იფეთქა. ეს ქალი, თვალად სუსტი, სათუთად გაზრდილი, ეხლა სხვის სარეცხს რომ რეცხავს, დამარცხებულთა შვილი, ისევ ძველებურად ამაყი და გოროზი ყოფილა.

— რამ შემაყვარა ეს ქალი.—გაიფიქრა ილიკომ.—რა ჩემი ტოლია! მაგრამ შეხედა ქალს და ფიქრი გაუქრა. მის წინ მშვენებით, ამაყობით სავსე ქალი იდგა, გაბედულობის იერით, დარდისა და ტანჯვის ანაბეჭდით. სწორედ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბედულობით და ამაყობით სავსე ამ ტანჯვის პატრონი უფრო საჭირო და უფრო საყვარელი გახდა.

წარსულში მათ შორის დიდი ზღვარი იყო გაუვალი. ეს ზღვარი ეხლა მოსპობილია, მაგრამ ილიკომ მას მაინც ვერ გადააბიჯა. განა თითონ ილიკო არ იყო ამ ზღვარის დამნგრეელი, წამშლელი?! განა თითონ არ დაღვარა სისხლი მის მოსასპობად. მაშ ეხლა რა მოხდა? რატომ ვერ მიუდგა იმას რაც წინათ ამ მოშლილ საზღვარს იქით იყო? ნუ თუ სადღაც, ცხოვრების უხილავ კუნჭულში კიდევ სადმე დარჩა მიჯნა და ეხლა წინ გადაეღობა? გადაეღობა ისე, რომ ილიკო მას ვეღარას ერევა? ყველგან დაარღვია ილიკომ იგი, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. ჩრდილოეთიდან სამხრეთამდის, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის ტალღასავით გადაიარა ილიკომ და ეს საზღვარი ყველგან მოსპო ქვეყნის ბედნიერებისათვის, და როცა ეს ბედნიერება დაამყარა, წინ აღუდგა იგი—უკვე თავის საკუთარ ბედნიერების წინ. ყველაფერი ჩაიგდო ხელში, თავისი საკუთარი ბედნიერება კი ხელიდან გაურბოდა. დაუჯერებელი და სულელური ეგონა ილიკოს ეს ფიქრები, იმ წუთს ნიაღვარივით ერთბაშად რომ გადაუარა გონებაში. თუ დარჩენილა ეს მიჯნა, მაშ მთელი ცხოვრება და ბრძოლა აშაო ყოფილა. ეს კი შეუძლებელია. უარის მიზეზი ალბად სხვა რამეა. და ბრძოლა და გამარჯვება სისულელე რომ არ გამომდგარიყო, ილიკომ რუსუდანის უარის მიზეზს სხვა რამეში დაუწყო ძებნა.

— იქნებ ვინმე გიყვართ. ჩემზე უკეთესი?—ჰკითხა ქალს.

— ჩემს სიცოცხლეში არც მყვარებია და არც ეხლა მიყვარს ვინმე.

— მაშ უარს რად მეუბნებით?

რუსუდანი ჩუმად იყო, პასუხს არ აძლევდა. საპასუხო კი მოადგა ენასა. გულს უნდოდა თქმა. თან ეშინოდა.

— მითხარით, რათა ხართ უარს?—დაჟინებით გაიმეორა ილიკომ.

პასუხი მაინც არ იყო.

გაბრაზებულმა ილიკომ იარაღს ხელი წაავლო და მაგიდაზედვე გვერდი უცვალა. ამ მოქმედებამ ქალი შეაკრთო და უფრო გააბრაზა.

— ნუ მატანთ ძალას. ნუ მათქმევინებთ.—კანკალით უპასუხა რუსუდანმა.

— სთქვით. ვიცოდე მაინც.—კბილების კრაჭუნით და შეკავებული სიბრაზით სთქვა ილიკომ.

— არ გეტყვით.

— რატომ? სთქვით.—უნებურად შეჰყვირა ილიკომ და მაგიდას მუშტი დაჰკრა. მაგიდაზე იარაღი შეხტა. დაკეცილი სარეცხი იატაკზე გადაცვივდა. ქალი შეკრთა. მთელი ტანით ისიც იარაღთან ერთად შეხტა.

— მძაგხართ.—დაიძახა ქალმა. დაიძახა და უცებ გაჩუმდა. არ უნდოდა ამისი თქმა, მაგრამ მაინცა სთქვა: ილიკოს მუშტმა ათქმევინა.

— რათა?

— არ იცით რათა? იმიტომ რომ, არ გიყვარვართ. აქ, ჩემთან, წრფელმა სიყვარულმა კი არ მოგიყვანათ, არამედ დიდი გამარჯვების მაძღრობამ. გამარჯვების იმ ბურუსმა, რომელშიაც გახვეული ხართ. თქვენ დაამარცხეთ ჩემი

გვარი, თქვენ წამართვით დიდება, სახელი, ფუფუნება, ბედნიერება. მამაჩემი თქვენი მიზეზით მოკვდა, თითქმის თქვენს ფეხთა ქვეშ. ჩემი ძმა გადახვეწილია, თქვენგან გაქცეული. ჩემი სიმდიდრე დაკარგული. ეხლა, სრულად გამარჯვებულს გსურთ ჩემი დაუფლებით თქვენი დიდი გამარჯვება დააგვირგვინოთ. თქვენი სიყვარული არა მჯერა.

ილიკომ თავი დახარა. მერე შეხედა ქალს და ამ შეხედვაში რუსუდანმა დაინახა, რომ იმ წუთს რაც უნდა ეთქვა ილიკოს, ყველაფერი მართალი იქნებოდა, გულიდან ამოღებული.

— ტყუილია! —წამოიძახა ილიკომ.

დიდი ხნის დაგუბებული სათქმელი ამოანთხია. ეხლა რუსუდანმა თუმცა მიხვდა, რომ მისი ნათქვამი ილიკოსთვის მართალი არ იყო, მაგრამ ერთხელ აშვებულ ბოლმას, ჯავრს, თავი ველარ დაუჭირა და ენა ველარ დაიბა. მაინც შეეცოდა ილიკო. მისი თვალები, სხეული, სახის ბუსუსი კი იმ წუთს დიდი და ძლიერი სიყვარულის მოწმენი იყვნენ. ამან უფრო ააღელვა ქალი. ილიკო მისი მტერი იყო, ამ მტერს უყვარდა იგი და ეს სიყვარული ქალს თავის დამარცხების უკანასკნელი დაბოლოება ეგონა. სიმართლის შეგნება და შებრალება, ზიზღი და ჯავრის ამოყრის სურვილი, ქალური სიამაყე, სიყვარულით სავსე ვაჟკაცის გამოწვეული ერთმანეთში აერია რუსუდანს. შებრალებამ და სიყვარულის შეგნებამ გული დაუბეს. სიძულვილმა და სიბრაზემ დაბმული აუშვეს. გონება სიბრთხილეს უკარნახებდა, მაგრამ ვაჟის სიყვარული ყველაფრის თავდები იყო და ამან ენა აუხსნა: ქალმა ღვარძლით სავსე სიტყვები უნებურად ჩურჩულით წამოიძახა:

— ჩვენში სისხლია.—სთქვა და თითონვე არ ეამა. ეს ამ წუთში სათქმელი არ იყო. ქალის გულმა იგრძნო ვაჟის გულში ჩამჯდარი სიყვარული და ეს სიტყვები შეანანებინა.

ილიკო კვლავ აკანკალდა. მთრთოლვარე ხელი მაგიდაზე დადებულ იარაღს გაუწოდა და ჩურჩულით დაიძახა, თითქოს თავის ენას ვერ ერევაო:

— ეგ მართალია, ჩვენში სისხლია და კიდევაც ბევრი იქნება.

რუსუდანმა მის ხელში იარაღი რომ დაინახა, კედელს მიეკრა და ილიკოს სიტყვების დასტურად სიკვდილს დაუწყო ლოდინი. ილიკომ კი რევოლვერი ბუდეში ჩასდო და ისეთივე ჩუმი გავიდა ოთახიდან, როგორიც წეღან შევიდა. მხოლოდ წეღან შემოსულმა გაბედულობა და რაღაც გადაწყვეტილება შეეტანა, ეხლა კი გასულმა დარდი და დამარცხება მოღუნულ ზურგით გაეტანა.

რუსუდანი ისევ კუთხეში იდგა, კედელს მიყუდებული, ფერ-წასული. ჰგრძნობდა, რომ სროლის ხმამ ყურები არ გაუჭედა. თან ჰფიქრობდა:

— ეს რა ვქენი?! როგორ გავბედე? ამ გიჟს, როგორ გავუბედე ეს სიტყვები! ხომ ადვილად შეეძლო ჩემი მოკვლა?!

თავი ასწია და ღია კარებში გაიხედა.

ჭიშკართან ღამის სიბნელეში შავი აჩრდილი დაინახა; ილიკო ალაყაფს მიჰყუდებოდა; თავი ცივ რკინაზე მიედო და უძრავი იყო.

— ყოველ წუთს შეუძლიან მობრუნდეს და მესროლოს — გაიფიქრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანმა; მაგრამ მიხვდა, რომ შიში უსაფუძვლო იყო: აქამდის თუ არ ჩაიეს დინასაქმე ილიკომ, ეხლა ვეღარ ჩაიდენს.

— იქ რათა დგას?—ამასაც მიხვდა:—ალბად დარდს ვერ მოერია და ვერ დასძრა.

ოთახის კარების ჩაკეტვა მოისურვა რუსუდანმა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა. ფეხი ვერ ააცილა იატაკს. ქუჩის კარებში მდგომ შავ სილუეტს თვალს ვერ აშორებდა. აკვირდებოდა, და ჰხედავდა, რომ ილიკო მძიმე ლოდივით ურხევი იყო. მიხვდა რუსუდანი, რომ როგორც თითონ აქ დააბა შიშმა, ისე იქ დაბმული ჰყავდათ ილიკო დარდსა და საპირადო უბედურებას: ქალის გულმა შორიდანვე შეიცნო კაცის გულის ნაჟური.

ასეთი რამ ჯერ არ მოსვლია ილიკოს. სისხლის წვიმებშია ნაბანი და ბრძოლის ცეცხლში გამშრალი. სიკვდილს ხელით იპერდა, პირში უვარდებოდა, მაგრამ შიში და დარდი არ უნახავს. მას გვერდით მრავალი ამხანაგი მოჰკვდომია, მაგრამ შიში არ განუცდია; მრავალი ხიფათი გადახდომია თავსა, მაგრამ დამარცხებული ვარო, ფიქრად არ მოსვლია. ეხლა კი ამ პატარა ქალმა, ამ სიყვარულმა პირადი ბედნიერება მოუკლა, დამარცხება აგრძნობინა.

რუსუდანი კი შორიდან უცქეროდა ილიკოსა და იმის დარდსა ჰგრძნობდა. ქალური გული უჩქროლავდა. თავის ნათქვამს ზომავდა: მართალი იყო? იქნებ შესცდა?

ჭიშკართან მდგომი ილიკო შეინძრა. თავი ასწია, პაპიროზს მოუკიდა. მძლავრი ნაფაზით მკერდიდან ამოშვებული თეთრი ბოლი სიბნელეში გაიფანტა და ქუჩიდან შემოსულ ფარნის შუქზე განათდა. თითქოს დარდი ამოატანა ამ ბოლსაო. პაპიროზის პატარა ნაკვერჩხალმა უიმედო იმედით გაიელვა. ილიკომ დინჯად გადადგა ფეხი და თვალს მიეფარა.

მაშინ ღა მოშორდა რუსუდანი თავის კუთხეს. კარები ჩაჰკეტა, თუმცა ეს ეხლა საჭირო აღარ იყო, და მაგიდას მიუჯდა. მუხლები სტკიოდა. მუშაობის გული აღარა ჰქონდა. თავი სარეცხს დაადო და თვალები დახუჭა.

აწმყო და წარსული ერთმანეთში აერია.

2

თებერვლის დილა იყო. ღამე სწვიმდა. დილით კი ცა მოიწმინდა. მზემ თავი ამოჰყო, მაგრამ დილის სუსხმა ქუჩებს დაჰკრა. სველი დედამიწა გაიყინა და ცივმა ნიავმა ყველაფერი დასუსხა.

რუსუდანი ფანჯარას მიჰყუდებოდა. შუბლი ცივ შუშაზე მიედო და გაყინულ, ერთბაშად დაცარიელებულ ქუჩებს გასცქეროდა.

ქუჩებში აღარავინ სჩანდა. წუხელის მთელი ღამე ხრიალ-გრიალი ისმოდა ქალაქში. ეტლები, ავტომობილები, დროგები, ურმები, ჯარი, ხალხი, ბარგი, ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა და სადღაც მიჰქროდა.

მთელი ღამე არა სძინებია რუსუდანს. ის ღამე კი არა, ერთი კვირაცაა ძილი არ უნახავს. შიში, დიდი შიში, რაღაცის უცნობისა და მოულოდნელისა, ჯერედ უნახავისა, მოსვენებას არ აძლევდა. მოფიქრება და რისამე გათვალისწინება ვერ შეეძლო. მხოლოდ მკითხაობდა გონებაში: რა იქნებაო და პასუხი

კი ვერ ეპოვნა. მოხუცი მამა ოხრავდა. უძრავი იჯდა სავარძელში და სულ რაღაცას უგდებდა ყურსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე და მზის სინათლე მთელ ამ ამბავს აადვილებდა, მაგრამ ღამე შავი და თოვლ-ჭყაპიანი მომავალს ისეთსავე უნუგეშოსა ხდიდა, როგორიც თითონ იყო. დღემ არ იცოდა რას მოიტანდა ღამე და ღამემ არ იცოდა რას მოიტანდა დღე.

ტფილისის მთებში სროლის ხმა ისმოდა. ზარბაზნის სროლა ფანჯრის შუშებს აზანზარებდა. შუშების ზანზარი გულში მძლავრი ტალღებით შედიოდა და თან შიში შეჰქონდა. დაიღალა სული, დაიღალა გული. ყოვლად დაუძლურებული სხეული მოსვენებასაც კი აღარ ითხოვდა. მოხუცებულობით დაავადებული მამა. რომ ოხრავდა, რუსუდანს წამება ემატებოდა. ჰსურდა მიშველებოდა მამას, სანუგეშო რამ ეთქვა, მაგრამ სანუგეშო არც თითონ ჰქონდა. იმასაც გრძნობდა, რომ მამისათვის სანუგეშო აღარა იყო რა და მამის უნუგეშობა ხომ მისივე უნუგეშობა იყო: ოცი წლისას იმედი ჰქონდა, რომ მისი ცხოვრება ეხლა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს დასაწყისი თოფ-ზარბაზნის ხმამ მოსწამლა.

ერთი კვირაა რუსუდანი აკვირდება ქუჩას და ერთი რამ არ გამოეპარა. ეს ძალიან აოცებდა: ქუჩაში ისეთ ხალხსაც ჰხედავდა, რომელიც იცინოდა და მხიარულად იყო. რუსუდანს ამ მხიარულობის მიზეზი ვერ გაეგო. მისი აზრით მთელი ქვეყანა ტირილსა და ვაიში უნდა ყოფილიყო. ამ ხალხს კი მხიარული სახე ჰქონდა და ეს რუსუდანის გულის ტკივილს არ შეეფერებოდა. საიდან იყო ეს მხიარულობა რუსუდანს ვერ გაეგო. თითონ საფიქრებელი ბევრი ჰქონდა: მოხუცი მამა, რომელსაც სროლა აკრთობდა; ძმა, რომელიც ამ სროლაში ჰყავდა და თავისი საკუთარი თავი. გრძნობდა, რომ მამას აქ დაჰკარგავდა და ძმას იქ. თითონ კი მარტოდ-მარტო რჩებოდა ქვეყნად იმ დროს, როდესაც ქვეყნის ბედი სწყდებოდა და რა მოუვიდა ქვეყანას, არავინ იცოდა.

წუხელის სროლა შესწყდა. ტფილისის ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმე საიდუმლეობით სავსე. განუწყვეტელ სროლისა და ცა-ხმელეთის ზანზარის შემდეგ ეს სიჩუმე უფრო ძლიერი, უფრო ხმიანი გამოდგა. ეს სიჩუმე ზარბაზნის ხმაზე უფრო მძლავრად შედიოდა ყურებში, ტვინში ჩერდებოდა და გულს უფრო მძლავრად აწვებოდა. აქამდე, ვიდრე სროლა იყო, რუსუდანმა იცოდა, ბრძოლაც იყო და იქ სადაც ბრძოლაა ნუგეშ-იმედიც არის. ეხლა კი, სროლა შესწყდა, მაშ ბრძოლაც გათავებულა. მაგრამ რითი გათავდა, არ იცოდა რუსუდანმა და აღარც ნუგეშ-იმედი იყო. ავადმყოფ მამისათვის თავი ვერ დაენებებინა და ამბის გასაგებად გარეთ ვერ გასულიყო. შინ იყო სნეულის გვერდით იმისი და თავის დარდის ყარაული. აქამდის თუ შიში და იმედი ჰქონდა ბრძოლის შედეგისა, ეხლა სრულად უცოდინარი იყო და ეს გულს ბოლმით უვსებდა. მხოლოდ მიმავალ ეტლთა ქუჩიდან შემოსული ხმაურობა იძლეოდა უნუგეშო პასუხს.

გათენდა თუ არა, მაშინვე ფანჯარას მიადგა და ქუჩას დაუწყო ცქერა. ქუჩა გასცემდა ნამდვილ პასუხს, ქუჩა გამოაცნობინებდა წუხანდელ გამოუცნობარს. ქუჩა გადუწყვეტავდა ბედს.

მას შემდეგ რაც სროლა შესწყდა, მამას ხმა აღარ ამოუღია. აქამდის თუ წამოიძახებდა ხოლმე: ვაი, შვილო, გაიოზ! ან ვაი, ქვეყანასაო, ეხლა ჩუმად იყო და ჩამოვარდნილ დუმილს ისიც უგდებდა ყურს. დილით კი უთხრა ქალს:

— ქუჩას გაჰხედე, შვილო! იქნებ რამე გაიგო.

რუსუდანიც მიადგა ფანჯარას და თავისსა და მამის სურვილს ასრულებდა: უკვე დაცარიელებულ ქუჩას დაჰყურებდა.

ერთბაშად ფერი წაუვიდა. მუხლთ მოეკვეთა, თავი ჩაჰკიდა და მამისაკენ დინჯად მიბრუნდა. ფეხი წინ წასდგა, მაგრამ რომ არ წაქცეულიყო, გაჩერდა. მამამ შეატყო მოძრაობა. იმედის ნაპერწკლით სავსე უიმედო თვალებით შეხედა შვილს და ამ შეხედვით რაღაცა ჰკითხა. რუსუდანი მიხვდა ამ თვალების სიტყვებს.

— შემოვიდნენ! —უპასუხა რუსუდანმა. მისი ხმა მკაფიო და გასაგონი, უკვე განწირულისა იყო. მის სიტყვებზე მამამ ხელები გაშალა და სავარძლიდან ხმა ამოუღლებლივ იატაკზე დაეცა.

რუსუდანი მიხვდა, რომ მამა მოკვდა. უნდოდა მიერბინა მასთან, მაგრამ მუხლები არ დაემორჩილა; უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ენა დაება; თავში უნდოდა ხელები შემოეკრა, მაგრამ ხელები მძიმე ჰქონდა და ვერ ასწია.

დინჯად მივიდა მამასთან, მის წინ დაიჩოქა და ჩუმი ქვითინი დაიწყო.

რას სტიროდა? თითონაც არ იცოდა. მამას, ძმას, ქვეყანას თუ თავის თავს. მისთვის ყველაფერი ეს ხომ დაკარგული იყო.

მოულოდნელად გაიღო კარები და ვილაც მუზარადიანი გამოჩნდა. რუსუდანმა თავი ასწია, თვალებზე ხელსახოცი მოიშორა და მოსულს შეხედა.

შიში და ბოროტება, ზიზღი და იმედი ჩაესახა გულს. მოსულს შეეძლო დახმარება და ნუგეში მოეტანა, მაგრამ ზიზღმა ეს ინედი მსწრაფლ მოაშორა.

რუსუდანმა კარგად იცნო მოსული: ილიკო იყო. მათი მოსარეცხის შვილი, მათ კარზე გაზრდილი. დიდი ხანია გაგებული ჰქონდა ილიკოს ბოლშევიკობა.

ილიკომ დაინახა მიცვალებული, კარები გაიხურა და თვალს მიეფარა.

რუსუდანი დაჩოქილი დარჩა მამის გვამთან და ადგომას არ აპირებდა. რაკი ილიკოს მოჰკრა თვალი, ტირილი ველარ მოახერხა: ცრემლი გაუშრა. ისე, დაჩოქილი დგომა მისთვის უიმედოთ გამორკვეული მდგომარეობა იყო. რომ ამდგარიყო, ჰგრძნობდა, ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო, სულ უცნობი, შიშ მომგვრელი. ამიტომ არა დგებოდა. აქ, ამ ადგილას, მკვდარ მამის წინ ეს დაჩოქება საზღვარი იყო იმისი, რაც ამ წუთამდის არსებობდა და იმისიც რაც, ამ წუთს იწყებოდა. ეშინოდა ყველაფრის ამისი, ეშინოდა ამ საზღვარს მოსცილებოდა და ვერა დგებოდა.

რაღაც ხმაურობამ გამოარკვია. კარებში ისევ ის მუზარადიანები დაინახა. დაინახა, რომ რაღაც შემოათრიეს. თვალით კი ვერ გაარჩია, არამედ მიხვდა, რომ კუბო იყო. მიხვდა, რომ მიჯნა უკვე გადაბიჯებულია: კუბომ უნდა წაიღოს ძველი დიდებულის გვამი და მუზარადებმა უნდა მოიტანონ ახალი. მუხლებზე დგომა უკვე საჭირო აღარ იყო და წამოდგა.

— ამხანაგმა ილიკომ გვთხოვა დაასაფლავეთო—უთხრა ერთმა.

რუსუდანს მონაწილეობა არა მიუღია რა, ისე ჩაასვეს ეს ბიკვალებული კუბოში, გაიტანეს, სამხედრო ფურგუნს დაუდეს და წაასვენეს.

კუბოს მხოლოდ რუსუდანი მისდევდა და მას კიდევ მეზობელი ქალი, რომელმაც ამ დროს მისი მარტო დატოვება არ იკადრა.

რუსუდანი დასცქეროდა კუბოს და ჰგრძნობდა, რომ მამას ამ ჟამად სიკვდილი ერჩივნა. მისი აზრი მხოლოდ ძმას უტრიალებდა: იმისი არაფერი იცოდა. ცრემლები კი აღარ ჰქონდა.

ეხლაც ეცოდება მამა, მის ამ გვარ დასაფლავებას რომ მოიგონებს ხოლმე: დიდი თავადი, პატივ-ცემული და ნებიერი ფურგუნით წაიღეს და უბრალოდ ჩაჰფლეს.

სასაფლაოდან რომ დაბრუნდა რუსუდანი, თავის სახლში წითელარმიელები დაუხვდნენ.

ილიკო განკარგულებებს სცემდა. რუსუდანს რაღაცას ეუბნებოდა, თითქოს ამშვიდებდა. შემდეგ საწოლ ოთახში შეიყვანა და ბინა იქ მიუჩინა. თითონ დაატარა ოთახები და რაც რუსუდანისათვის საჭირო იყო ყველაფერი საწოლ ოთახში გაატანინა.

— აქ წითელარმიელები დაბანაკდებიან. ყაზარმებში ადგილი არ არის. — ეუბნებოდა ილიკო, მაგრამ რუსუდანს არაფერი ესმოდა. მხოლოდ ყველა მის ნათქვამზე ერთ სიტყვას უპასუხებდა:

— გმადლობთ, გმადლობთ.

რუსუდანი თავის ოთახში მარტოკა რომ დარჩა, მაშინ დაუკვირდა თავის ამბავს. დილას რვა ოთახი ჰქონდა ყველაფრით მოწყობილი და. საღამოთი კი ამ ერთ ოთახში მოემწყვდა. გული შინ ვერ დაუდგა და გარედ გასწია. ან რაღა გააჩერებდა აქა? აქ ჰქონდა ყველაფერი და აქვე დაჰკარგა. ამ ოთახში თავი დატუსაღებული ეგონა. დარდით და შიშით სავსეს მარტოობა ვერ შეეძლო.

თავის საცვლები და ტანისამოსი ბოხჩაში გამოჰკრა. უბეში ბრილიანტები ჩაილაგა და ქუჩაში გავიდა.

უკვე ღამდებოდა. ზამთრის სიცივე გაბატონებულიყო. ბოხჩით ხელში კედელთან გაჩერდა რუსუდანი. არ იცოდა სად წასულიყო, კარზე ვის მისდგომოდა. მიხვდა, რომ ქვეყნად მარტო იყო, აღარავინ ჰყავდა. რაც ჰქონდა, ისიც ერთ პატარა ბოხჩაში და უბეში ეტეოდა. მიხვდა, რომ უბეში სიმდიდრე ედო და ქუჩაში სიმშილი მოელოდა; ლამაზი იყო და ხიფათი სდევდა; ახალგაზრდა იყო და სანუკარი.

შიშით და კრძალვით გაუღეს კარები დედის შორეულმა ნათესავებმა და სინანულით შეუშვეს სახლში.

3

უჰ! რა ძნელია მოსარეცხეობა. მაგრამ რა ტკბილია ლუკმა!

პირველხანად ისე ემძიმა სამუშაო, რომ საღამოობით ძილად რომ წვებოდა ეგონა დილა აღარ გამითენდებაო. მკლავებში ძარღვები დაჭიმული ჰქონდა, ბეჭები ეწოდა, თითები უჟუოდა. ბრჭხილები დაუთხელდა. საპნის და მტუტის ცხელმა ორთქლმა სახე დაუსია. პირის ფერი გაუყვითლდა, თვალების ლაპლაპი

გაუკიაგდა. სილამაზე, რაც წინედ ჰქონდა ეცვალა. ეხლა ახალი, რუსუდანისა თვის უცნობი სილამაზე გახდა. სარკეში რომ იცქირებოდა, — თავის სახეში დაკარგულ მედიდურებასთან ერთად შრომასა და მოსარეცხეობას ამოიკითხავდა ხოლმე.

დიდი თაკილი ჩაუდგა გულში, როცა თავისი თავადიშვილური ხელები პირველად ჩაჰყო სარეცხში. მაგრამ ნაშრომი ლუკმა რომ გაუტკბა, მშრომელის სიამაყე რომ იგრძნო, თაკილი დაივიწყა. ეხლა ბედნიერიც იყო. რევოლიუციის მადლობელიც იყო: ამ რევოლიუციამ ასწავლა შრომა. ბევრი რამ ცუდი მოუტანა რევოლიუციამ, მაგრამ კარგიც მისცა. ეხლა ხშირად დაფიქრდება ხოლმე და კუვირს, თუ რამდენად შეუსაბამოდ სცხოვრობდა თითონაც და მისი მშობლებიც. ეხლა მიხვდა, რომ მართალი იყო საყვედური: არაფერი შეექმნათ და ყველაფერი ჰქონდათ. ისეთს ცხოვრებას ეხლა ვეღარ მიმხვდარიყო. მათ სახლში მუდამ მხიარულობა და სტუმრიანობა იყო. მამა ამაყობდა გვარიშვილობას, დედას პირზე სულ ეს ეკერა:

— მარშლიანთ ოჯახი. აფსუს გვარო!

მამა თავმომწონეობით იტყოდა ხოლმე:

— ჩემი გვარი დიდებულია. მეფეების მარჯვენა ხელი იყო. მეფე საბჭოში, რომ შებრძანდებოდა და ტახტზე ავიდოდა, ჯერ ჩემი გვარისკენ მისცემდა სალამს და მერმე სხვებს.

რუსუდანი ამას ბევრჯერ დაუფიქრებია: როგორ მოხდა, რომ პაპის პაპები მეფეთა მარჯვენა ხელი იყვნენ, პაპა გუბერნიის მარშალი, მამა მაზრისა, ძმა კი პორუჩიკი. ხედავდა, მათი გვარი თანდათანობით დაბლდებოდა. სადამდის დადაბლდებოდა არ იცოდა, მაგრამ მათი გვარის შვილი თუ მოსარეცხე გახდებოდა, ამას არ მოელოდა.

ეხლა კი მოსარეცხის სათაკილო სახელი ახარებდა.

ეხლა ამ მოსარეცხეს სიყვარულით ეტანებიან. რა არის ეს? მართლა სიყვარული თუ ის, რაც რომანებში წაუკითხია. მოახლეთა ს მოსარეცხეთა ბედის ამბავი. ნუ თუ?

ნაწყენობის გრძნობა ჩაუყენა გულში ამ ფიქრმა. სარეცხზე დადებული თავი ასწია და კედელს მიაცქერდა. სად არის ილიკოს სიყვარულის სათავე? ილიკო რუსუდანში თავის იდეალებსა და მებრძოლობას ვერ შეიყვარებდა. ძალიან შორია ერთმანეთში მათი იდეალები. მებრძოლობა? განა ილიკოსთანა მებრძოლს რუსუდანი მოხიბლავს? მიხვდა ქალი სიყვარულის მიზეზს. თუ იყო მიზეზი, მხოლოდ სილამაზეა. რუსუდანს სხვა ვერა მოესაზრებინა რა.

— დავიჯერო ისეთი ლამაზი ვარ? ნუ თუ მოსარეცხეობაშიაც შემყვა სილამაზე?

წამოდგა და იგრძნო, მას თან აჰყვა მედიდურობა გვარისა და თავის ტანის სიმაღლე. ეს სიმაღლე სილამაზის თავდებად აჰყვა თან.

დინჯად მივიდა პატარა სარკესთან და თავის თავს დაუწყო თვალიერება. შავი თვალები, თამარ მეფის თვალებს რომ ადარებდა დედა, გადაჭიმუ-

ლი და მოყვანილი წარბები, გრძელი წამწამები, მწკრივად მოწყობილი კბილები უცქეროდენ სარკეში.

საუცხოვო სილამაზის სახე და ტანი ახარებდა რუსუდანს.

ერთბაშად გაწითლდა, შერცხვა, გაბრაზდა. სარკეში სასტუმრო ნომრების მოწყობილი ოთახი მოეჩვენა და თავისი თავი ტიტველი. თვალებზე ხელი მიიფარა, რომ ეს სურათი აღარ დაენახა, მაგრამ მის მეხსიერებაში უფრო მკაფიოდ წამოიჭრა დასავიწყებლად სასურველი ამბავი. რუსუდანი ლოგინზე პირქვე დაეცა. არა სტიროდა, მაგრამ სირცხვილი და შეურაცყოფა დააწვა მის ტანს ისეთი სიმძიმით, რომ რუსუდანს ეგონა საწოლი იატაკში ჩაიჭრა და უფსკრულში მივდივარო.

ყველა ის მწარე მოგონებანი, რაც ამ საღამოს განიცადა, ეხლა არაფერი იყო იმასთან, რაც სარკეში დაინახა.

უჰ! რა მაგრად ჩაიჭედა მის მეხსიერებაში ის ღამე, სპარსელი მედუქნე და დოლარები.

ლოგინზე პირქვე დამხობილი გაუნძრეველი იყო რუსუდანი. არც ეძინა არც ელვიძა. მაგრამ რა არის? სიზმარია, თუ ცხადლივ ხელ-ახალი განცდა უკვე განცდილისა. აგერ მისი ბრილიანტები დიდ ნაკადულად იღვრება მის თვალწინ, მიჩხრიალებს, ხელიდან ხელში გადადის, შორდება რუსუდანს და სამაგიეროდ შიმშილი უახლოვდება.

— როგორ გაჰყიდე რუსუდან შენი ორ კარატიანი ბრილიანტი?

— ას მილიონად? ეგ ხომ ხუთი ოქროა. თვალი კი ხუთჯერ მეტი ღირდა. ვინ გაგიყიდა? გიორგიმ? მერე რად მიეცი ეგრე იაფად. არ იცოდი? გამოუცდელი ელი იყავ?

სულ ასეთი ლაპარაკი ესმოდა რუსუდანს, ვიდრე ჰქონდა ბრილიანტები და ჰყიდდა. წავიდა მამის სახლიდან უბით გამოტანილი სიმდიდრე; გაცვდა ბოხჩით გამოტანილი შევიოტი და აბრეშუმი. რამდენი ხანია სრულ სილარიბეში ჩავარდა რუსუდანი. ვინ დაიხსნის, ვინ გაუწევს მეგობრობას. ისევ გიორგი, მათი ოჯახის ძველი ნაცნობი. მან გამოაცალა ხელიდან ძვირფასი განძი, მაგრამ იგი ერთად ერთი ადამიანია, რომელიც თავს არ ანებებს რუსუდანს და ცხოვრებაში მარტოს არ სტოვებს.

კარგად ვერ იცნობდა გიორგის, რა კაცი იყო, რას აკეთებდა, მაგრამ გიორგი მისთვის მაინც საჭირო ადამიანი იყო.

შავს ბირჟაზე მუშაობდა გიორგი. ხშირად იგებდა ფულებს. ხან ნარდ-ქაღალდის თამაშობას იხდიდა ხელობად. ატყობდა რუსუდანი, რომ სხვა რაღაც ფარულ საქმეებსაც მისდევდა ერთ დროს პატიოსანი და პატივცემული. ამისთანა საქმეებისათვის ხანდახან ეჯავრებოდა კიდეც რუსუდანს, მაგრამ გიორგი იყო მისი მსხნელი. აგერ გიორგიმ სწორედ დიდ გაჭირების დროს უშოვნა ფრანგული ენის გაკვეთილი თეეში თუნნად. ცოტა იყო ეს ფული, მაგრამ სულ არარაობას და შიმშილს ესა სჯობდა. ბევრჯერ მოუტანია რუსუდანისთვის ბონების ჭრელ-ჭრელი მსხვილ ციფრიანი გროშები. მართალია, ხანდახან აგონდებოდა რუსუდანს, რომ გიორგიმ მის ბრილიანტებზე მოითბო ხელი, მაგრამ

ისეთ ერთგულობას, ისეთ ძმურ დახმარებას უწევდა მას, რომ გიორგის ყველაფერი აპატია და დაენდო. დაენდო ისე, როგორც შეუძლიან დაენდოს ადამიანს გამოუცდელი, გულუბრყვილო და განაზებული ქალი. რუსუდანი ჰგრძნობდა, რომ გიორგი მოვალე იყო და ფიქრობდა, თუ როდის მოახერხებდა ამ ვალის გადახდას. მით უფრო მძიმე იყო ეს ვალი, რომ გიორგი თავის ლუკმას უყოფდა რუსუდანს. თავის საკმარისსაც ვერ შოულობდა გიორგი. რუსუდანთან ერთად იმასაც ხან შიოდა, ხან სციოდა, ხან ფეხშიშველი იყო, ხან ტანშიშველი. შიმშილმა და გაჭირებამ დაამეგობრა ეს ორი ყოფილი ადამიანი. მათ შორის დამალული თითქოს აღარაფერი იყო. მხოლოდ ერთი რამ არ მოსწონდა რუსუდანს გიორგისა: გიორგი გულახდილად იტყოდა ხოლმე:

მე რომ ბედი მქონოდა ქალი გავჩნდებოდი. ქალი უფრო ადვილად გაიტანს თავს ცხოვრებაში და მდიდრულად ცხოვრება შეუძლიანო.

რუსუდანს კარგად ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ თავს არ იდებდა: როგორ გაუბედავდა გიორგი ამას. გიორგი ამას მხოლოდ ისე ლაპარაკობდა, სიტყვის მასალად.

ერთ ხანად გიორგის საქმე ძალიან ცუდად წავიდა: ფულს ვეღარ შოულობდა. ვერც ქაღალდ-ნარდში მოიგო რამე. დადგა დრო შიმშილისა. რუსუდანის თვიური თუმანი რა ლუკმა იყო. ხშირ-ხშირად აგონდებოდა ხოლმე ვერის ხიდი და ამაზე უკვე დაიწყო ლაპარაკი. მაგრამ გიორგი ამშვიდებდა. ქალი შიმშილმა ხიდზე არ უნდა წაიყვანოსო. ერთ დღეს ბლომად მოიტანა სანოვაგე. ფული ვიშოვნეო. შემდეგ კარგად წავიდა საქმე, მაგრამ შავ ბირჟაზე ვაჭრობისათვის გიორგი დაატუსაღეს. რაც რამ ჰქონდა დაჰკარგა და კვლავ დადგა შიმშილის და გაჭირების დრო. რუსუდანს ეხლა ციხეში სიარულიც უხდებოდა, გიორგისათვის იქ ყური უნდა ეგდო. სურსათი უნდა ეზიდნა. გიორგიმ ციხიდან წერილი გამოუგზავნა, სპარსელი მედუქნე მიუთითა. იმისთვის უნდა მიემართა რუსუდანს გიორგის წერილით და სახელით. ის მისცემდა გიორგის (თუ რუსუდანს, იმ ჟამად ეს სულ ერთი იყო) ნისიათ საქონელს და რუსუდანი გიორგის ციხეში ასაზრდოებდა.

რუსუდანი სპარსელის დუქნის კარებთან რომ მივიდა, მოაგონდა ხუმრობით ნათქვამი გიორგის სიტყვები:

იცი, რუსუდან! სპარსელ მედუქნეს მოსწონხარ. გინდა მიგათხოო.—მაგრამ ეს ხომ ხუმრობა იყო. ეხლა კი გაჭირებული ცხოვრების საქმეა.

გავიდა სამი თვე. გიორგი ისევ თავისუფალია. ისევ ბირჟაზე მუშაობს. აგერ ერთხელ სამი ოქრო მოუტანა.

— შენ დიდი სიკეთე გამიწიე. მე უპატრონოს სამი თვე ციხეში დამწყვდეულს მიპატრონე. აი, ფული. ტანთ შეიმოსე. ფეხთ ჩაიცვი, შენისთანა ლამაზ ქალს კარგად უნდა ეცვას—უთხრა გიორგიმ. ეს ფული ხომ უთვალავი სიმდიდრე იყო. დასახურდავებლად გიორგიმ ისევ ის სპარსელი მიუთითა. მედუქნე მხიარული სინაზით დაუხვდა. დიდხანს გააჩერა დუქანში და ორაზროვანი სიტყვები უთხრა. იმ ფულის დასახურდავებლად ორჯერ მივიდა იქ რუსუდანი. სხვა ადგილი არ იცოდა. მის ორ-აზროვან სიტყვებს გულს არ იკარებდა. უბ-

რალო ქათინაურები იყო და ეს ქათინაურები კი, გიორგის სიტყვით, ოქროებს მეტ ფასად ახურდავებდა.

რუსუდანი ხედავდა, რომ ახალმა ცხოვრებამ ქალს სხვანაირი შეშფოთულება მისცა. ქალი ყველაფერში თავისუფალი გახდა. გიორგის სიტყვებით ეს თავისუფლება მახინჯი ხდებოდა, მაგრამ რუსუდანს ეს „დამახინჯება“ სიმართლე ეგონა და რა დიდი საქმეა, თუ ვიღაც სპარსელი ერთ-ორ მეტკილოიან სიტყვებს ეტყვის მას და ამავე დროს ოქროს თუმნიანი ორჯერ მეტ ფასს მიიღებს.

ეს სამი ოქრო ორ თვეს ეყო რუსუდანს და შემდეგ ისევ გაჭირება ჩამოვარდა.

— რუსუდან! არ გეწყინოს კია და... იცი რას გეტყვი!—უთხრა ერთხელ გიორგიმ:—რად იტანჯავ თავს. ხომ შეგიძლია უკეთესად იცხოვრო?

— რითი, გიორგი! რის პატრონმა?

— პირდაპირ გეტყვი: შენი სილამაზის პატრონმა...

— რას ამბობ გიორგი! განა შესაძლებელია?

— რატომ? ეხლა ქალები და კაცები თანასწორნი არიან. თუ კაცს ეპატიება, ქალსაც ეპატიება.

— არც ერთს ეპატიება.

— ეგ ძველია. ეხლა, ხომ ჰხედავ რა სიდუხჭირეა ქვეყნად. რაც კარგი იყო დამშვიდებულ ცხოვრების დროს, ეხლა აღარ ვარგა. ვერა ჰხედავ რა მოხდა? განა შენი ეხლანდელი მდგომარეობა ძველთან შედარებით ჩემს სიტყვებს არ ამართლებს?

— თავი დამანებე გიორგი! მგონია ხუმრობ. სთქვი ვხუმრობთქო.

— არა ეხუმრობ. ნუ თუ არ მოგბეზრდა გამუდმებული შიმშილი და გაჭირება? ხომ ჰხედავ ქალის პიროვნება თავისუფალია. ეხლა გაუთხოვრები კი არა, გათხოვილებიც კი მაგ საქმეს მისდევენ.

— რად მირჩევ სისაძაგლეს?

— შენ ეგრე სთქვი და მე კი გეტყვი, რომ შიმშილი და სიღარიბე უმეტესი სისაძაგლეა. სიმდიდრისა და უკეთესი ცხოვრებისათვის კულტურული ხალხები ერთმანეთსა ჰხოცავენ, კაცი კაცსა სჭამს. ამისთანა პირობებში განა სისაძაგლეა ის, რასაც მე გეუბნები?

— ისიც სისაძაგლეა და ესეც.

— ვთქვათ, მართალი ხართ, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ეხლა ქმრიანი ქალებიც კი ორსა და სამს მამაკაცს ანახვინებენ თავსა. ხომ გინახავს ძვირფასად მორთული ქალები. რითი იცვამენ და ირთვებიან ამ შიმშილობის დროს?

— მე... ქალწულმა როგორ უნდა გავბედო!

— ოჰო!—მით უმეტეს. ქალწული მეტს მოიგებს.

— თავი დამანებე! შიმშილით არ მოვკვდები. მტკვარი დიდია.

ასე ელაპარაკებოდა რუსუდანი გიორგის, თან თავის თავს აკვირდებოდა. ჰხედავდა, რომ თავისი სიტყვები მტკიცე იყო, გული მშვიდად ჰქონდა, მაგრამ

უკვირდა, გიორგის ნათქვამი რომ არ აღელვებდა და ზიზღს არ ჰგვრიდა.

— ეგ რა გამოვა? სიკვდილს მუდამ მოვესწრებით. საქმე ის არის, სიცოცხლით დასტკბეს ადამიანი.

— უი მე! რას ამბობ გიორგი! თავი გავყიდო?

— ეგრე რად ლაპარაკობ? გეტყვი და დამიჯერე, ყველა ქალი ჰყიდის თავსა.

— ტყუილია. ეგრე ნუ მელაპარაკები.

— ტყუილი კი არა, მართალია. როგორ გგონია, გათხოვილი ქალები არა ჰყიდიან თავსა.

— პატიოსანნი არა.

— არა. ისინიც კი, ვისაც შენ პატიოსანს ეძახი, ისინიც ჰყიდიან თავსა.

— რას ამბობ გიორგი! ხომ არ გადარეულხარ!

— სრულებითაც არა. რისთვის ინახავენ ქმრები ცოლებს? აჭმევენ, ასმევენ, ჰხურავენ, უვლიან. რას აძლევენ ამაში ქმრებს ეს ქალები? მხოლოდ თავის სხეულს.

— არა, ეს ასე არაა, მაგრამ ვსთქვათ აგრეა, ისინი მხოლოდ ერთ მამაკაცთან არიან... აქვთ სიყვარული... მეგობრობა...

— სიყვარული? სად გინახავს? რა არის სიყვარული? აბა, ცოლი ნუ მიუწვება ქმარსა, ნახავ, რაც იქ სიყვარული იქნება.

— იქ მუდმივობაა.

— რა ფასი აქვს მაგ მუდმივობას? თუ მკითხავ უფრო უარესიც არის. აქ ქალს ერთხელ და სამუდამოდ აქვს თავი გაყიდული ქმარზე. იმის იქით ფეხის გადადგმა არ შეუძლიან. იქ კი, რასაც მე გეუბნები, ქალი თავისუფალია. არჩევანი მის ხელშია.

ეს საშინელი თეორია იყო, რომელსაც შიმშილი მოერეკებოდა და რომელსაც დროებაც თითქოს და მართლა ხელს უწყობდა. რუსუდანის თავში ეს აზრები ისე შეიჭრნენ, რომ ტვინი დაუხვრიტეს. მის წინ არჩევანი დადგა: შიმშილი, თუ სირცხვილი.

— შენ ამბობ სიყვარულიო? იქ, რასაც მე გეუბნები, განა სიყვარული არ არის? ქუჩაში ნაყიდ მეძავსაც არავინ წაიყვანს, თუ არ მოეწონა. სადაც მოწონებაა, იქ სიყვარულიც არის. სიყვარული კი, ცხოვრებაში, მხოლოდ ერთი წუთისაა. ცოლ-ქმარიც ერთმანეთს ზურგს შეაქცევენ, როცა ეს წუთი გაივლის და სიყვარულიც თან მიაქვს.

რუსუდანს თვალები ცრემლებით გაევსო.

— შენ ჯიუტობ, აგერ ტირილსაც აპირებ. ის კი გავიწყდება, რომ მაძღრობა და სიდიდრე წინა სდგას; პატიოსნება კი კარს უკან. სიყვარულიც იქ არის სადაც ფულია. აი, მაგალითი: შენ იცი, რომ სპარსელ მედუქნეს შენ უყვარხარ დაამიტომ ოქროში ჩაგსვამს.

რუსუდანმა თავი გაიქნია. ცრემლები მოიწმინდა. მედუქნეს უყვარხარო? რა იცის რუსუდანმა, საიდან უნდა იცოდეს. აკი ხუმრობა იყო, რასაც ამის შესახებ გიორგი ეტყოდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ თავს იქნევ,—განაგრძო გიორგიმ:—და ის კი არ აცი, თუ როგორ უყვარხარ. გახსოვს სამი ოქრო? ვისი იყო?

— გიორგი!—შეჰყვირა რუსუდანმა:—რას ამბობ?

— რას ვამბობ? როცა შენი გაჭირება გაიგო, ფული გაიმეტა. უყვარხარ; და იმიტომ.

— მაშ ეს ორი თვე მაგნაირმა ფულმა მაცხოვრა? მაშ ეს კაბაც იმისია? გიორგიმ გაიცინა.

რუსუდანი მოეშვა. თავი ჩაჰკიდა. ტანი ეწოდა. კაბა უწვავდა სხეულს. მტანჯველი შეგნება შეეიდა მის გონებაში: რუსუდანს უკვე აღებული ჰქონდა ფული. დავალებული იყო. უკვე გაყიდული.

მთელი ღამე იტირა რუსუდანმა. გიორგის წასვლა ვერ გაიგო.

ერთად ერთი ხსნა მხოლოდ ის იყო, რომ ფული დაებრუნებინა სპარსელისათვის. მაგრამ როგორ? საიდან.

გიორგი ორი დღე არ მისულა მასთან. მისი მისვლა არც უნდოდა რუსუდანს. ეშინოდა იმისი, რასაც გიორგი ეტყოდა. ეხლა ეჯავრებოდა კიდეც გიორგი ამ ნათქვამისათვის. მაგრამ უნდოდა კიდეც მისი მოსვლა: მხოლოდ გიორგის შეეძლო ფულის შოვნა.

— გიორგი, შენი ჭირიმე! მიშოვნე ფული. სადაც იყოს მიშოვნე ის სამი ოქრო.

— რად გინდა? მე სად გიშოვნო? ის სამსაც მოგცემს და სამოცსაც.

— ნუ მეტყვი მაგას, გიორგი! სწორედ იმისთვის მინდა ფული, რომ დაუბრუნო.

— რად უნდა დაუბრუნო?

— იმის ვალიდან ამოვიდე. მიშოვნე. შენ შეგიძლიან.

— სად გიშოვნო ქალო?

— მიშოვნე გაკვეთილები, სამსახური.

— რას ამბობ, რუსუდან! სამსახურის შოვნა შემეძლოს, ჩემთვის ვიშოვნიდი. გაკვეთილები კიდევ... ხომ იცი, ის ხალხი აღარ არის, ვისაც ვიცნობდით.

— მაშ რა ვქნა. რითი მოვიშორო ის ვალი?

გიორგიმ გადიხარხარა.

— გგონია იმ ვალს ფულით მოიშორებ? ჯერ ერთი, ის ფულს არ აიღებს. სესხად არ მოუცია. შეცოდებით მოგცა. მამაშენს იმის დუქანში ბევრი ჰქონია დახარჯული, ეს ფული იმ დახარჯულის სარგებლის მეასედიც არ არისო, ასე სთქვა. შენ იმისი არაფერი გმართებს. თუმც გემართოს და მისცე, გგონია იმის ვალში ამოხვალ?

— რატომ?

— აბა დაფიქრდი. ფულს დაუბრუნებ, მაგრამ ის ზნეობრივი დახმარება, რომელიც იმან გაგიწია იმ გაჭირებაში ვალად არ დაგრჩება? ამ მხრივ ხომ მაინც მოვალე ხარ? შენ კი იმის სიყვარულსა სწიხლავ. სიკეთის მაგიერია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმეა და ულმობელი ცხოვრების ლოლიკა და ამ ლოლიკას ფეფეფენებაში გაზრდილი თავადიშვილის ქალის ლოლიკა რას გაუძლებდა.

და ამის შემდეგ ის იყო, რაც წეღან რუსუდანმა სარკეში დაინახა და რაც ეხლა, ლოგინზე პირქვე მწოლარეს დაწვრილებით ავონდებოდა: ერთ ღამეს ისა და სპარსელი მედუქნე სასტუმროს ერთ ოთახში მარტონი დარჩნენ. ყურებში ეხლაც უდგას გასაღების ჩხაკუნი, მამაკაცმა ოთახის კარები რომ ჩაუკეტა. მისი კოცნა სხეულის იმ ადგილებს ეხლაც უწვავს, სადაც ტუჩები მიეკარა. კანი ეხლაც აბუსუსებული აქვს იქ, სადაც მამაკაცის ხელი პირველად შეეხო.

გათენება იყო, როცა სასტუმროდან გამოვიდა. ოქროები და დოლარები ეჭირა და ხელები ეწოდა. რაღაც დაუტოვა უცხო მამაკაცს, მაგრამ იმ უცხომაც რაღაც დასტოვა მის სხეულზე. მიდიოდა ქუჩაში და იცოდა, რომ ეს ამბავი ამ ერთი ღამით არ უნდა გათავებულიყო. კიდევ მრავალი ღამე უნდა მიეცა იმ ოთახისათვის.

უცბად გიორგიმ უკანიდან ხელი წაავლო და შინ წაიყვანა:

— ვიცი შენი ჭკუის ამბავი. მეშინოდა, აქედან ხიდზე არ წასულიყავი.— უთხრა გიორგიმ:—დაგიდარაჯე.

ხიდზე თუ არ წავიდა რუსუდანი, სხვა გზა მაინც უნდა მოენახნა. უნდა ეშოვნა სხვაგვარი ლუკმა. რათაც უნდა დასჯდომოდა, როგორიც უნდა ყოფილიყო. ხსნა მხოლოდ შრომაში იყო.

სამუშაოს ძებნამ რუსუდანი ერთი ქარხნის დირექტორთან მიიყვანა. კაბინეთში ილიკო დაუხვდა. იცნეს ერთმანეთი, მაგრამ არ გამოემცნაურნენ. თითქოს საჭირო არ იყო ეს გამომცნაურება იქ, სადაც ყოფილი თავადიშვილის ქალი მოსარეცხეობას თხოულობდა.

მესამე დღეს რუსუდანს მოსარეცხის მანდატი სიხარულით ეჭირა ხელში.

4

როგორც დაეცა ლოგინზე, პირქვე მწოლიარე, ისე ჩასძინებოდა. დილით რომ გაიღვიძა ეს არ გაურკვევია, მაგრამ რაც წუხელის გადახდა, ბრძოლა და მოგონებანი, ყველაფერი ერთბაშად გაახსენდა.

სიავე და სიბრაზე ედგა გულში. მის არსებაში დედაკაცმა გაიღვიძა. ეხლა მტერი ხელთა ჰყავს. შეუძლიან შური იძიოს. სულ ერთია, მის სილამაზეს ეტანეკიან. ილიკოს უყვარს რუსუდანი. წუხანდელი დგომა ჭიშკართან, გაუბედობა, ამ სიყვარულის თავდებია. არც სამუშაოს დაჰკარგავს, არც ილიკოსი გახდება. მაგრამ რუსუდანი ქალია და შეყვარებული ვაჟკაცი მის ხელში უნდა იყვეს.

დღეს მარტის რვაა. ქალთა დღეობაა. დღეს ილიკო თავის ქარხნის ქალებს კრებაზე სიტყვას ეტყვის.

თავაშვებულ გამბედაობით, ამაყობით და ქალურ გამარჯვებაში წინდაწინ დარწმუნებული მოირთო რუსუდანი. პუდრი იჭარბა. რაც საუკეთესო ჰქონდა ის ჩაიცვა. არც ტუჩთ საღებავი დაივიწყა. არც თმის დახუჭუჭება. სარკეში მას მართლაც რომ თვალწარმტაცი რამ უცქეროდა. სად წაუვა შეყვარებული

ილიკო ამ სახეს, ამ მოხდენილ ტანს. სამ დღეში დააჩოქებს ილიკოს. მისი გვარი ჩვეული არ არის თუ, ორივესიც.—ილიკოს გვარი ჩვეულია ჩოქებას, რუსუდანისა მის დაჩოქებას.

პირღიმილიანი, მორთული და გაბედული შევიდა რუსუდანი კრების დარბაზში. სულ იმის მოლოდინში იყო, თუ როგორ შეკრთებოდა ილიკო და გაფითრდებოდა თავის ტრიბუნაზე, რუსუდანს რომ დაინახავდა.

დინჯი და დაფიქრებული ავიდა ილიკო ტრიბუნაზე. საერთოდ გადახედა კრებას; რუსუდანი რომ დაინახა, გაწითლდა, თვალები აემღვრა. რუსუდანს გაეხარდა. მაგრამ მიხვდა, რომ ეს ამღვრევა ილიკოსი იმდენად სიყვარულისა არ იყო, რამდენადაც წუხანდელი განცდის მწარე მოგონებისა. ჯერ არ დაეჭირა ილიკო და ამით უკვე ხელიდან უსხლტებოდა. რუსუდანმა კეკლუცობას უმატა. იმ წუთს იგი გაშიშვლებული ქალი იყო. ილიკო ლაპარაკობდა, რუსუდანს არ უცქეროდა, მისი ხმა და სიტყვები მწყობრად მიდიოდა დარბაზში. თავის სურვილებით გატაცებული რუსუდანი მის სიტყვებს ყურს არ უგდებდა. იმ წუთს იგი მხოლოდ მოარშიყე ქალი იყო. მაგრამ ილიკო გულგრილი იყო, თავის სიტყვებში გატაცებული.

მისთვის გულ ცივილიკოს რუსუდანმა უნებურად დაუწყო ყურისგდება. დააკვირდა. მის მშვიდსა და უდარდო სახეს და თავისი განზრახვა დაავიწყდა. შეიგნო, რომ ილიკოს თავისი წუხანდელი დარდისადღაც შეენახა. ეხლა ის საერთო საქმესა და რაღაც იდეალებს გატაცებით ლაპარაკობდა. ამ ლაპარაკისა და აზრებისა რუსუდანს არაფერი ესმოდა; ეჯავრებოდა კიდეც, მაგრამ იმას კი ჰხედავდა, რომ ილიკოს თვალებში სიყვარული ედგა და სახეში გატაცება.

ქალთა უფლებებსა ლაპარაკობდა.

რუსუდანს რაღაცისა შერცხვა. გაწითლდა. თავი დაღუნა.

ილიკო მას, ქალს, კაცთა უფლებას აძლევდა და თავის გვერდით აყენებდა, მამაკაცთან. რუსუდანი კი აქ ქალურ გამარჯვების მსურველათ მოვიდა. იმისთვის მოვიდა, რომ გაეთელა ის, რასაც ილიკო აძლევდა და მასთან ებრძოლნა. ილიკო უფლებებს აძლევდა, რუსუდანი სასიკვდილოდ იმეტებდა. შერცხვენილი რუსუდანი ილიკოს გატაცებამ გაიყოლა. ილიკო მსოფლიო რევოლიუციაზე ლაპარაკობდა; ქვეყნიერების განთავისუფლებაზე; შრომის გაბატონებაზე. რუსუდანიც ხომ შრომამ გაახარა და მეძაობას გადაარჩინა.

მართალი იყო ილიკო თუ არა, ეს არ იცოდა რუსუდანმა. მაგრამ კრების გათავების შემდეგ ის კი იცოდა, რომ ილიკოს აზრები თუ არ სწამდა, ეხლა აღარ ეჯავრებოდა მაინც. ისიც დაინახა რუსუდანმა, რომ წუხანდელი დიდი დარდი ილიკოსი დღეს კრებაზე მისმა დიდმა საერთო საქმემ წაიღო. რუსუდანს კეკლუცობა დაავიწყდა. თან უკვირდა, რომ ილიკოს საკუთარი დარდი დავიწყებული ჰქონდა და საქვეყნოს ჰფიქრობდა.

კრება რომ გათავდა, მხოლოდ მაშინ მოვიდა ქალი გონს. კარებში ჩადგა. სურვილი ჰქონდა ხმა გაეცა ილიკოსათვის. რაღაც მოიგონა საკითხავი.

ილიკომ ქუდს წამოავლო ხელი, კრებას ბოდიში უთხრა:

— უკაცრავად, ამხანაგებო. ქარხნის შენობაზე მიმეჩქარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. იმედიანად იყო ეხლა, კრების შემდეგ მაინც დამელაპარაკებაო. წუხელის ილიკოს თავი ჰქონდა გადადებული. რუსუდანს ეგონა თავს მოიკლავსო. წუხელის სიყვარული ისე სასტიკად შეუბღალა. დღეს კი ილიკო ამას აღარა ჰფიქრობდა.

— დავანგრიოთ!—იძახდა თავის მოხსენებით კრებაზე ილიკო.

— ავაშენოთ!—ამას ნიშნავდა, ილიკომ ქუდს ხელი რომ წამოავლო და ქარხნის შენობაზე წავიდა.

— რა იქნა ამისი სიყვარული და დარდი, წუხელის სისხლს რომ აღვრევინებდენ, გაიფიქრა რუსუდანმა.

კარებში დარჩა რუსუდანი, წუხანდელივით უძრავი, როცა ილიკომ წინ გაუარა და სალამი მისცა, მხოლოდ წუხელი სხვა გრძნობამ დაობა იგი. დღეს კი სულ სხვამ.

იმ დღეს ველარაფერი ისაქმა რუსუდანმა. თვალ-წინ სულ ილიკოს საქციელი ედგა. გმირი ეგონა. უკვირდა ყველაფერი და თან გრძნობდა, ილიკო იმორჩილებდა.

სამუშაო დღის ბოლოს მიხვდა, რომ ილიკო სიყვარულის ღირსი იყო.

დაღონებული და უგონო მივიდა ილიკოს კაბინეთის კარებთან და იკითხა, შიკრიკმა უთხრა: ეს არის ეხლა მოვიდა და მარტოაო.

შეაღო კარები და შევიდა. რას იზამდა, არ იცოდა. მხოლოდ ჰგრძნობდა, რომ წუხანდელისათვის ბოდიშის მოხდა მაინც ეკუთვნოდა.

ქალი უფროსის წინ გაჩერდა. ილიკომ შეხედა მას და ფეხზე წამოდგა.

— რა ამბავია, ამხანაგო!—ჰკითხა რუსუდანს. ეგონა საპნის სათხოვნელად მოვიდაო. ხომ ბევრჯერ ყოფილა რუსუდანი ამ კაბინეთში საპნისათვის.

ქალმა თავი დაჰხარა. მუხლები ისე უკანკალებდა, როგორც წუხელის. ენა დაება. რას სჩადიოდა, რას იტყოდა არ იცოდა.

— რა მოგვიდათ. ამხანაგო—ჰკითხა ილიკომ, გულცივად და საქმიანი კილოთი. წუხანდელი მას არაფერი ეტყობოდა. თითქოს რუსუდანი მისთვის მართლა მხოლოდ მოსარეცხე იყო და თანამშრომელი. ეს რომ შეატყო რუსუდანმა, შიშმა შეიპყრო. ეხლა რუსუდანი ჰკარგავდა ილიკოს ისე, როგორც ილიკო ჰკარგავდა წუხელის რუსუდანს. მისთვის კი ილიკოს დაკარგვა ეხლა აღარ შეიძლებოდა, ეს მაშინ რომ მომხდარიყო, როცა რუსუდანი კაბინეთის კარებთან იდგა გარედან და შიგ შესვლას აპირებდა, რუსუდანისთვის ადვილი მოსათმენი იქნებოდა, მაგრამ რაკი აქ შემოვიდა, ეხლა დაკარგვა მისი აღარ შეიძლებოდა.

ილიკოს მოუთმენლობა დაეტყო და ხელები გაშალა. მაშინ-ღა დაიძახა ქალმა:

— მოველი. წუხანდელის პასუხი მოგიტანეთ... მე... თქვენი... ვარ.

ძნელი იყო ამისი თქმა. ტირილი ველარ დაიმაგრა.

ბრაზმა, შიშმა, სირცხილმა, ააფირა. ბრაზმა—მტერი უყვარდა.—შიშმა—საყვარელი არ დაეკარგნა, სირცხვილმა—წუხანდელ საქციელის შემდეგ და ეხლა ეს სიტყვები!? თავბრუ დაესხა. წაიქცეოდა კიდეც, მაგრამ წელზე ვაჟკაცის ხე-

ლები და ლოყაზე ტუჩები იგრძნო. რამდენხანს დარჩა იქ, რუსუდანმა ვერ გაიგო. ილიკომ ნაზად გააცილა დერეფნისაკენ და უთხრა:

ბიბლიოთეკა

— წადი, ეხლა წადი. აქ ადგილი არ არის. მოვიცლი და მოგელაპარაკები. ეხლა ყრილობაზე მივდივარ.

ბოლო სამი სიტყვა ულოსავით მოხვდა რუსუდანს, გაახარა კიდეც. მართლად შეუფასებია რუსუდანს ილიკო. იმ წუთშიაც კი, როცა ილიკომ თავისი საკუთრება იპოვნა, ისევ საქმეზე მიდიოდა.

რუსუდანმა დერეფანი თავჩაღუნულმა გაიარა და მწარე ფიქრმა გაუელვა:

— აქაც დამარცხდა ჩემი გვარი.

შხამით და სიყვარულით, ბოღმით და სიხარულით ისადილა და ილიკოს დაუწყო ლოდინი.

---

„ჩემო ილიკო! ჰო, ნამდვილად და უტყუარად ჩემო! სააქაოსაც და საიქიოსაც ჩემო. ეს შენ არა გწამს. არც მე ვარ მორწმუნე. არც ვყოფილვარ. მაგრამ მაინც ვამბობ. ისე, ჩვეულებით. ეს ჩემი წერილი ნუ გაგიკვირდება. ამ წერილით გეტყვი ყველაფერს, რაც გულში მაქვს, რაც გადამხდა. ვიცი, ჩემი ცხოვრებისა შენ ყველაფერი იცი, მაგრამ უმთავრესი არა, რამაც ეს წერილი დამაწერინა. ეხლა მსურს გაიგო.

შენ ხომ ჩემი სურვილების ამსრულებელი იყავი. ესეც ამისრულე და გაიგე რაც გულში ძმარივით მიდგას.

ჩემი სურვილების ამსრულებელი იყავი მეთქი. მართალია? მართალია ყველაფერში, მაგრამ ერთ რამეში არ არის მართალი და ეს ერთი რამე კი სუყველაფერია. ამას გეტყვი ეხლავე. გაიგებ. მიმიხვდები საქციელს და თუმცა გეწყინება მაინც არ გამიჯავრდები. ვიცი გიყვარვარ. მეც მიყვარხარ. მაგრამ რა ვქნა? მეტი ვერ მოვითმინე. მეტი ვერა მოვახერხე რა. ან სხვა რა მოახერხოს ქალმა, რომელმაც ყველაფერი დაჰკარგა, რის იმედიც ჰქონდა, რაც მისი სიხარული იყო.

ბავშობას რომ თავი დავანებოთ, ჩემს სიცოცხლეში სიხარული არაფერი მინახავს. მაგრამ არა ვსტყუი. ორჯერ ვნახე სიხარული. ერთი მაშინ, როცა სამუშაო ვიშოვნე და მოსარეცხეობა დავიწყე.

რომ იცოდე რა ბედნიერი ვიყავი, როცა თავადიშვილური ხელები სხვის ჭუჭყიან სარეცხში ჩავყავი. მეთაკილა, ძნელიც იყო ჩემთვის მუშაობა, მაგრამ ჩემი ოფლით პურის ჭამა მიხაროდა. მიხაროდა, გადავრჩი და ქუჩის სათრეველა არ გავხდი. ის უფრო მიხაროდა, რომ ჩემისთანა ნებიერმა და ფუფუნებაში გაზრდილმა, მართლა რომ მუქთახორამ, შრომა შევძელი და საკუთარი ოფლითა ვცხოვრობდი. ჩემთვის უკვე აღარც ქმარი იყო საჭირო, არც სხვა ვინმე „შემნახავი“.

ამაყი ვიყავი ჩემი შრომისა.

მართალია, დედაჩემი რომ საფლავიდან წამომდგარიყო და მოსარეცხე დავენახე, მეორედ მოკვდებოდა, მაგრამ მე მაინც დიდათ მადლიერი ვიყავი თქვენი ყველასი, ვინც რევოლიუცია მოახდინა და შრომა მასწავლა.

განა არ გამეხარდებოდა? შრომამ დიდ უბედურებას გადამარჩინა.

შენ ხომ იცი, არ დამიმალავს, შენ ჩემთვის პირველი მამაკაცი არ ყოფილა. მახსოვს, ეს რომ გითხარი? შიშით და სირცხვილით შემოგხედე თვალებში. მაშინ უკვე მიყვარდი და მეშინოდა ჩემგან პირი არ გებრუნებინა, არ დამეკარგნე. არ თქმაც არ შემეძლო. დაფარვა და ტყუილი, ხომ ერთია. მე კი ვერ ვიტყუებ ხოლმე. ჩემი შიში უსაფუძლო გამოდგა. ჩემს სიტყვებზე დამცინავ გულგრილობით ჩაიცინე და არაფერი მიპასუხე. ამ შენს ჩაცინებაში დავინახე ქალობას, ქალწულობას, შენთვის ფასი არა ჰქონდა: გიყვარდი და მეტი არა გინდოდარა.

ოო! ჩემი გვარის მამაკაცისთვის რომ მეთქვა ის, რამაც შენ მხოლოდ გაგაცინა, ჩამქოლავდა, ჭუჭყიან ფესტამალივით გადამაგდებდა, შენ? არც კი მკითხე სად, როდის ან რათ მომიხდა ის საქმე. ან ერთი მყავდა მამაკაცი თუ მრავალი. ეს საკითხები შენთვის თითქოს არც კი არსებობდა, არც კი მოგგონებია, ღაზო არ გაგიჩნდა. შენ არა მკითხერა და იმ წუთს მეც სირცხვილით არა გითხარ რა. მაგრამ ჩემი ქალობა დაკარგულობისა კი არ შემრცხვა, შენი შემრცხვა, იმისი, რომ რაც მე დიდი რამ მეგონა, რაც მეთაკილებოდა, შენთვის არაფერი ყოფილა. მე კი გაზვიადებას ვაპირებდი. შემდეგ დამშვიდებულ გუნებაზე რომ გიამბე ყველაფერი, რაც გადამხდა, მაშინ უფრო შემიყვარდი: ზედმიწევნით მიმიხვდი თავგადასავალს, აგერ სამი წელიწადი გავიდა და ერთხელაც არ გაგხსენებია ჩემი წარსული.

ჰო! სიტყვას გადავცდი. პირველი სიხარული ჩემი ის იყო, სამუშაო რომ ვიშოვნე მეთქი.

მეორე სიხარული მაშინ განვიცადე, როცა მივხვდი, რომ გიყვარდი და მეც მიყვარდი. ეხლა შრომა მქონდა, ლუკმა პურიცა მქონდა. ამას ისიც დაემატა, რომ ქვეყნად გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც სიყვარულმა შემაერთა. ეხლა მე მარტო არ ვიყავი ქვეყნად...

ჩემი თეიმურაზი? ეხლა ცოცხალი რომ იყვეს!..

არა. თეიმურაზი კი არა, ჩემი აკი... ჩემი აკი, არა. ჩემი თეიმურაზი და შენი აკი... გახსოვს? ჩვენს შვილს მე თეიმურაზს ვარქმევდი. შენ არ ისურვე. ეგ ქართული სახელია, მეფეებისაო. „აკი“ მოისურვე—„ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი“. არ მომწონდა. გთხოვდი თეიმურაზი დაგვერქმია. პაპიჩემის სახელია. გუბერნიის მარშლისა, მე და შენა ვჩხუბობდით, არ მითმობდი. ოჯახურ ცხოვრებაში ყველაფერს მითმობდი... მითმობდი კი არა... არ ერეოდი ამ ცხოვრებაში. ამან მომიკლა გული... შვილის სახელი კი არ დამითმე. მეც დაგითმე. სულ ერთი იყო! მე ხომ დამარცხებული ვიყავი.

ჰო-და, ჩემი თეიმურაზი ეხლა ცოცხალი რომ იყვეს, ამ წერილს არ მოგწერდი... ვერ მოგწერდი. ეხლა კი ცარიელია ჩემი გული, სიყვარულით სავსე.

გიკვირს?

აბა, ყური დამიგდე!

იქნება ეხლაც სადმე საქმეზე მიგეჩქარება, მაგრამ ერთი საათი მაინც შემომწირე... ეხლა მაინც.

გახსოვს ის წუთი, შენი კაბინეთიდან რომ გამოველი? იმ წუთს უკვე მოსარეცხე აღარ ვიყავი. შენი ცოლი ვიყავი. ეს ვიგრძენი. არც გაშეხარდა, არც მეწყინა. ისე ვიფიქრე, რომ არაფერი შეიცვალა: მოსარეცხე ვიყავი და მოსარეცხის რძალი გავხდი.

ერთი კვირის შემდეგ კი შენს სახლში შემოველი.

ქორწილი მქონდა. ჩემი ქორწილი. მაგრამ როგორი? ეს ჩემი ქორწილი ისეთი არ იყო, როგორიც ჩემს ცხოვრებაში მენახა. როგორსაც შეჩვეული ვიყავი... უფატო, უთეთრო, უჩიჩალდნო.

ჩემი გვარის ქალი განა ოდესმე გათხოვილა ესე?! დედიჩემის ქორწილი, გამიგია, შვიდ დღე-ღამეს ყოფილა და ორასი კაცი გამძღარა. მისი საგვირგვინო კაბა თურმე იმდენი ღირდა, რამდენსაც შენ სამს თვეში ჰხარჯავ.

ჩემი ქორწილი მეუცხოვა. როგორღაც მოწყენილი შემოველი შენს სახლში. მაგრამ ეს ამბავი იოლად მივიჩნიე: ვიცოდი, ძველი წესი აღარ იყო. სამაგიეროდ დიდი რამ მივიღე—ის, რაც, ჩემის აზრით, ქალისათვის უპირველესია: ქმარი. ოჯახი მეწყობოდა.

ოჯახი!

ეს იყო, რაც მაცოცხლებდა: იმედი მქონდა, გავთხოვდები, ქმარს გავიჩენ, ოჯახს, ცხოვრება მექნება-მეთქი. შენს სიყვარულთან ერთად ოჯახის გაჩენის იმედმა გამიხარა გული. ერთბაშად გაჰქრა ყველაფერი: გაჭირება, ტანჯვა, შერცხვენა, მოსარეცხეობა, წელის ტკივილი.

მე ჩემს ოჯახში დავტრიალდი. ოჯახში მე ვიყავი ბატონი. რაც მე მსურდა, ყველაფერი კეთდებოდა... კეთდებოდა კი არა, მე თითონ ვაკეთებდი. დამშლელი ან მრჩეველი არავინა მყავდა. არაფერი მაკლდა. მოსარეცხის კვალობაზე მაინც, ყველაფერი მქონდა: კოტი, ვიქტორია, ჩემი გუნების ტანისამოსი, კარგი მოწყობილი ბინა. როიალიც კი ვიშოვნე. ჩემი დაკარგული როიალის საბადლო. ᲫᲧᲐᲕᲓᲐ ქმარი, მყავდა შვილი. იყო სიყვარული. მაგრამ თან რაღაცა მაკლდა კიდეც. მყავდა ქმარი და არცა მყავდა. შვილს ჰყავდა მამა და არცა ჰყავდა.

საქმეში გიპოვნე და საქმეშივე დაგკარგე.

მთელი დღეობით შინ არ იყავი. ვერა გხედავდი. მიყვარდი და ვერა გხედავდი. გიყვარდი და ჩემთან არ იყავი. სად იყავი? ყრილობაზე, კრებაზე, ქარხანაში, უჯრედში, მოხსენებაზე... ყველგან იყავი. შინ კი არა. მთელი ცხოვრება გარედ გქონდა. ღამით მოდიოდი ხოლმე შინა. დაღლილი, დაქანცული. პირველ ხანად გელოდებოდი, უშენოდ არ ვიძინებდი. მერე კი მომბეზრდა ღამით მარტო ყოფნა. ლოდინიც მოსაწყენია. შენც მიბრძანე, ტყუილ-უბრალოდ ნუ მელოდებიო. მეც დავიწყე უშენოდ დაძინება.

რას აკეთებდი გარედ, არ ვიცოდი. რა კეთდებოდა შინ—არ იცოდი. ჩვენი ოჯახისა რამე რომ მეკითხნა შენთვის, ასე მიპასუხებდი ხოლმე:—შენ იცი. როგორც გსურდეს, არა მცალიან.

გარედ გასაკეთებელი რომ დამევალებინა რამე, საქმეში გართულს გავიწყდებოდა... და ყველაფრით სავსე ოჯახი ცარიელი მქონდა.

: რა ვიყავი შენთვის? მხოლოდ ღამით იცლიდი ჩემთვის, ოთახში... და ისე მეგონა, თითქოს მე შენთვის მხოლოდ დედა-კაცი ვიყავი, ტკბობისა და ბუნების მოთხოვნილების წყარო.

ეს გულს მიკლავდა.

მამის სიკვდილის შემდეგ მარტო ვიყავი, მაგრამ გაჭირება მივსებდა გულს. ქალობა დავკარგე და სირცხვილი მანუგეშებდა. მოსარეცხე ვიყავი და დაღლილობა და შრომა მახარებდა. შენს ხელში კი ყველაფერი მქონდა და ყველა მყავდა: ქმარი, შვილი, სიყვარული, მაგრამ სიხარული არ იყო.

სიყვარულში გავატარებდი ხოლმე შენთან ალერსის ღამეს და დილა გულის ტირილში მითენდებოდა: დღისით ჩემი აღარ იყავი.

ილიკო! მაპატიე, ამას რომ გეუბნები. არას გაყვედრი. არას გაბრალებ. რა შენი ბრალია, რომ შეგიყვარდი? იქნებ მე უფრო ცუდი მეუღლე ვიყავი შენთვის. ჩემს ადგილას სხვა იქნებ უფრო უკეთესად ამოგდგომოდა გვერდში. იქნებ იმას შენთან ერთად ევლო შენს კრებებზე, შენს ქარხანაში... ამას მე მუდამ ვგრძნობდი. რა მექნა? ასეთი რამ მე არ შემეძლო. ვცდილობდი კი, რამეში გამოგდგომოდი.

სახლში საღამოთი ადრე რომ მოხვიდოდი, ვიცოდი, რომ თან სამუშაო მოგქონდა. ჩემთვის არ მოდიოდი ოჯახში, მაშინვე საქმეს მიუჯდებოდი ხოლმე და სწერდი, ანგარიშობდი. დილით კი, წასვლისას, მთხოვდი, შენი ნაწერი სუფთად გადამეწერნა. მეც სიხარულით გიკეთებდი საქმეს. ამ მუშაობაში თითქოს შენთან ვიყავი. ვკითხულობდი შენს ოღრო-ჩოღრო ასოებს, ჩემი ლამაზი ხელითა ვწერდი სუფთად და შენს აზრებს ვაკვირდებოდი. ერთიც ვერ მიუდგა ჩემს გულ-გონებას. ყველაფერი უცხო და სასაცილო იყო ჩემთვის. ჩემი გონება ნავთი იყო, შენი აზრები ცეცხლი და ვერ შეერთდნენ. მაგრამ მაინც გულ-მოდგინედ ვმუშაობდი. ბევრ რამეს გისწორებდი: გამოთქმას, მართლწერას, ანგარიშს. მერე სიხარულით და მადლობით მიგქონდა ეს ჩემი ნამუშევარი და სადღაც იკარგებოდი, ჩემთვის უცხო, უცნობ ცხოვრებაში. მე კი ჩემს უოჯახო ოჯახში ყველაფრისაგან ცარიელი ერჩებოდი.

თეიმურაზი რომ არ ყოფილიყო, ამ წერილს ადრევე მოგწერდი. მხოლოდ თეიმურაზის გაჩენამ გამივსო სიცოცხლე. თუმცა კი... დედის მკერდი შიშით აწოებდა ძუძუს: ვიცოდი, ქმარი ალბათ წამართმევდა და თავის გზაზე წაიყვანდა და მე უფრო ცარიელი, უფრო მარტოხელი დავრჩებოდი. მაინც მიხაროდა შვილი: დედაკაცის ნაყოფი, მისი ბუნება, სრული სიცოცხლე. ვიდრე პატარა იქნებოდა ხომ ჩემი იყო თეიმურაზი... როცა გაიზრდებოდა—შენი იქნებოდა აკი. მაშინ რაც მოხდებოდა, ვნახავდი. დედამ უნდა გაზარდოს შვილი. მეც გავზრდიდი.

მაგრამ არ დამცალდა...

მოკვდა თეიმურაზი. დიახ... თეიმურაზი მოკვდა... ჩემი თეიმურაზი. შენთვის კი აკი ისევ დარჩა. დიდი აკი, ქვეყნად ყველგან რომ არის... ასე ამბობ შენა... და, შენ არ დარჩი უაკო. მე კი დავრჩი უთეიმურაზო. შენ დაღონდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაივიწყე. მე ვიტირე და ვერ დავივიწყე. დედამ ვერ დაივიწყა შვილი, რუსუ-დანმა ვერ დაივიწყა თეიმურაზი.

სამი წელიწადია შენს ხელში ვარ და სამივ წელიწადს ვერ გავიხარე გასახარელათ სავსემ. ალბად ასეთი ყოფილა ჩემი ბედი.

მე შენთვის მეუღლე ვერ ვიყავი. ცოლი ვიყავი. ასე რომ მსურვებოდა... ერთხელ აკი ვიყავი კიდეც სხვისი ცოლი.

გიორგი რომ მაგონდება ვგიჟდები. მისი სიტყვები გამართლდა ჩემზე.

მეუღლის ადგილი ვერ დავიჭირე და ცარიელი ცოლობა არა მსურს.

მიყვარხარ და შენთან ცხოვრება არ შემიძლიან. მძულხარ და უშენობა არ ძალმიძს.

ოჰ! თეიმურაზი. ცოცხალი რომ იყვეს, ეხლა ეს პატარა ჭიქა ჩემს წინ არ იდგებოდა.

სიმშილს გავუძელი, სიცივეს, სიღარიბეს, ღირსების დაქვეითებას, ნამუსის გაყიდვას, სრულს მარტოობას, მაგრამ ცარიელ ცოლობას, უოჯახო ოჯახს ვერ გავუძელი. ალბად აქ დავკარგე ის, რაც ქალის ნუგეშია, ჩემისთანა ქალისთვის მაინც.

შენთან ყოფნა აღარ შემიძლიან. უშენოდაც ვერ გავძლებ. სხვას ველარა-ფერს ვეცდები. რაც გადამხდა ველარ ავიტან.

ნურც გეწყინება, ნურც დაღონდები. როგორც შვილი მოიმგლოვე, მეც ისე მომიგლოვებ. ეს ვიცი. ამიტომ არ მეშინიან ვითომც დიდ უბედურებას გაყენებდე.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ შენი ახალი ქარხნის ხარაჩოებზე შესდგები და, იქნებ გულ-მოკლული, შენს ახალ საქმეს მაინც დაჰხედავ.

საკვირველია, მხოლოდ... ეს პატარა ჭიქა რატომ მაშინ არ მომაგონდა, როცა ქუჩაში პირველად დავრჩი მარტოკა და მგლოვიარე ცრემლ-ნარევ თვა-ლებით ჩემთვის უცხო, უცნობ და თოვლ-ყინულიან სივრცეს გავყურებდი...

**შენი რუსუდანი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**გუსტავ დანილოვსკი**

# ბრძოლა და სიყვარული

## *კრიტიკული შენიშვნა*

გასულ წლის ოქტომბერში მოკვდა გუსტავ დანილოვსკი. მასთან ერთად მოკვდა უკანასკნელი მოგიკანი პოლონეთის ძველი რეალისტური ლიტერატურისა. სტეფან ჟერომსკის და ვლადისლავ რეიმონტის სიკვდილის შემდეგ ის იყო უკანასკნელი კლასიკი. ამ სამეულმა დაუმკვიდრა პოლონეთის ლიტერატურას რეალისტური ფუძე. სამივე ისინი გამოვიდენ დრო მოჭმულ რომანტიზმის და უფესვო იდეალიზმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გასულ საუკუნის მიწურულში. მიცკევიჩის და სლოვაცკის უნიკო და უნიადაგო ეპიგონები ტყუილად ცდილობდენ კარები დაეკეტათ მათთვის... ეს იყო ისტორიის წინააღმდეგ ბრძოლა და, როგორც ეს ყოველთვის ასე ხდება, აქაც ისტორიამ გაიმარჯვა. ისტორიის გამარჯვებასთან ერთად კი გაიმარჯვა ლიტერატურაში რეალიზმმა; მისი მებაირახტრენი პოლონეთში იყვნენ: ჟერომსკი, რეიმონტი, დანილოვსკი. პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების და რუსეთის რევოლიუციის საერთო გამარჯვების გზით მიდიოდა ამ მწერლების ლიტერატურული რეალიზმი. ნაციონალური განთავისუფლების—რომელშიაც ნაციონალური ბურჟუაზიის დიდი ნაწილიც ღებულობდა მონაწილეობას—ნაკადი რევოლიუციის დიდ მდინარის გვერდით მიდიოდა, ხან კი სულ ერთვოდა მას. ამიტომაც არ შეიქნა ძნელი დასახელებულ მწერალთათვის მიეღოთ რევოლიუცია საერთოდ, თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებასთან ერთად. მხოლოდ მას შემდეგ რაც პროლეტარულმა რევოლიუციამ გაიმარჯვა და პოლონეთის ბურჟუაზიამ მიიღო დამოუკიდებლობა, „დამოუკიდებელ პოლონეთის“ სახით—ძველი რეალისტი და რევოლიუციონერი მწერლები, როგორც საერთოდ ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი ნაციონალიზმის და, მაშასადამე, რეაქციის ბანაკში მოემწყვდა.

სტეფან ჟერომსკი, მართალია, ეცადა გაერღვია ეს ფარგლები, ნაციონალურ კარჩაკეტილობის იქეთ მოინდომა ინტერნაციონალურ რევოლიუციის დანახვა, და თითქმის მისი მიღებაც (რომანი „გაზაფხულის წინ“), მაგრამ ძალიან სუსტად, ხმა დაბლა იყო ეს ნათქვამი გაუბედავათ, თანაც არ დასცალდა მას. ეს რომანი მისი „ჭედის სიმღერათ“ გადიქცა ჟერომსკიმ ვერ მოასწრო მომკვდარიყო რევოლიუციის ბანაკში.

გუსტავ დანილოვსკის ბედიც ასეთი შეიქნა. ისიც რეაქციის ბანაკში მოკვდა, ისევე როგორც რეიმონტი, ავტორი სახელგანთქმულ „მუჟიკებისა“.

ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს მწერლები მკვდარია რევოლიუციისათვის, ახალ ეპოქისათვის. პირიქით. გარდა იმისა, რომ ისინი იყვნენ დიდი ოსტატები მხატვრულ სიტყვისა,—განა დაივიწყება ოდესმე მსოფლიო ხელოვნების მაშტაბითაც: ს. ჟერომსკის „ცოდვის ისტორია“, რეიმონტის „მუჟიკები“, დანილოვსკის „მარია მაგდალინელი“, „ახლო წარსულიდან“ და სხვა?—აგრეთვე ისინი იყვნენ წარსულ ეპოქის რევოლიუციონერი მწერლები, ამ სიტყვის (რევოლიუციონერი) თუ გინდ ძალიან ვიწრო გაგებითაც. ჯერ-ჯერობით პოლონეთის მუშათა კლასს არ შეუქმნია თავისი საკუთარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონური ლიტერატურა, მხატვრული კვება მას შეუძლია ეძებოს მხოლოდ ამ კლასიკების ნაწერებში.

კერძოდ გ. დანილოვსკის ბევრი აქვს ასეთი დიდი მხატვრული ოსტატობით და რევოლიუციის საფუძველზე აგებული ნაწერები, რომანი „ახლო წარსულიდან“ დღესაც უდიდესი ხალისით იკითხება. მისი გესლი და შხამი მიმართულია დახავსებულ, დრომოჭმულ იდეალიზმის და ცხოვრების და ლიტერატურის ქიმერების წინააღმდეგ. მშვენიერი რომანი—ზღაპარი „მარია მაგდალინელიდან“, გარდა თავისი წმინდა მხატვრული ღირსებებისა, ჩაითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ანტი სარწმუნოებრივ ნაწერათ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში.

მოთხრობა „მატარებელში“ დანილოვსკი უდიდესი გამბედაობით და მიუკიბ-მოუკიბავათ ამბობს, რომ ისტორიის მომავალი ბედი მუშათა კლასის ხელშია და რომ მხოლოდ მას მუშათა კლასს, ძალუძს გაანთავისუფლოს მამონის კლანჭებისგან მილიონები დაჩაგრულთა და დამონებულთა. რომანი „მერცხალი“ თითქოს გაგრძელებაა ამ მოთხრობის.. რომანში მხატვრული სიაშკარავით მოთხრობილია ის, თუ როგორ და რა გზით გაიშლება და წავა ნუშათა კლასის ბრძოლა თავისი თავის და ყველა დაჩაგრულთა გასანთავისუფლებლათ.

დანილოვსკი საკმაოდ დიდი ნიჭის პატრონი იყო, რომ ჩაკეტილიყო ნაციონალურ ლიტერატურის ფარგლებში. მას იცნობენ თითქმის ყველგან. მისი ნაწერები ითარგმნებოდა განათლებულ ხალხთა თითქმის ყველა ენებზე, ცხადია რუსულადაც. მიუხედავათ ამისა მას ბევრი დარჩა ისეთი ნაწერები, რომლებიც მხოლოდ პოლონურ ენაზე დაიბეჭდება, ასეთია მაგ. მოთხრობა „ბრძოლა და სიყვარული“, რომლის თარგმანსაც ვათავსებთ აქ, რომელიც რუსულათ პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „30 дней-“ს გასულ წლის უკანასკნელ (12) ნომერში.

**რედ.**

## I

ყურს უგდებდა მათ გაღიზიანებულ კამათს. ისე იყო გატაცებული მოპირდაპირე გრძნობათა ტალღებით, რომ სუნთქვა უჭირდა. ნაწყენი იყო და ცოტა-უსიამოვნებასაც გრძნობდა, როდესაც ისმენდა თავის ქმრის ასეთ ტლანქ და ულონო დებულებებს და საბუთებს; ჯავრით შესცქეროდა ბატონ რობერტის ბრაზით შებოჭვილ სახეს, რომელსაც ის ფარავდა არაბუნებრივ გულგრილობის ნიღაბით, მაშინ, როდესაც მისი ერთი შეხედვით მოწყალე თვალები ავსილი იყო ისეთი სიძულვილით, თითქოს მათი პატრონი მზად ყოფილიყო მოესრისა, გაენადგურებინა თავისი მოწინააღმდეგეო.

ქალი დამნაშავეთაც გრძნობდა თავს იმაში, რომ არ ძალუძდა ქმრის მხარეზე ყოფილიყო, რომ უნებლიედ იხიბლებოდა ამ ყმაწვილის აღფრთოვანებული სიტყვებით, რომ მისი ხმა, ინტონაცია, სხარტი მოძრაობანი და ამაყი, თავმოწონე გამოხედვა, ყოველივე ეს მოქმედებდა მასზე დაუძლეველი ძალით, აფორიაქებდა მის გრძნობებს, ღრმად წვდებოდა გულში და კვლავ აღვიძებდა იქ ცხოვრების ყოველდღიურობაში ჩამქრალ ცეცხლს.

არა ერთხელ გადმოხედავდენ მას ორივენი, თითქოს ის ყოფილიყო მათი მსაჯული, უმაღლესი ინსტანცია. ქმრის თვალებში იხატებოდა აშკარა და მწყრალი მოთხოვნა მხრის დაჭერისა, რომელიც სავალდებულოა ქალისთვის, როგორც ცოლისათვის. ყმაწვილის მტრედის ფერი თვალები კი აჯადოებდენ მას,

შეთქმულებაში იწვევდენ, ელავდენ, თითქოს ისროდენ მარტო მეფეების გასაგებს საიდუმლო ნიშნებს. და ირენაც გრძნობდა შიშით, რომ ესმის ყმაწვილის თვალების, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი პირველად მოვიდა მათ სახლში, რომ მან სახელიც კი არ იცის მისი. და გადასწყვიტა შემდგარიყო აბსოლიუტურად ნეიტრალურ პოზიციაზე და არაფრით არ გაეცა თავისი თავი.

უმოძრაოდ იჯდა ირენა, თითქოს გაქვავებული: ძირს ჩაქინდრული თავი, დამშვენებული საუცხოოდ ლამაზი კავებით, მაგრად შეკრული ტუჩები. ძნელად შესამჩნევ ბუსუსით, ღრმა და ბნელი თვალები, დიდ ქუთუთოებით დახურული,—ყოველივე ეს აძლევდა მას გულგრილ მაყურებლის გამომეტყველებას. მხოლოდ ჩვეულებრივზე უფრო ძლიერი სიწითლე ლოყებზე და უფრო ჩქარი სუნთქვა. გულ-მკერდის მოძრაობა ამხელდენ მის ნამდვილ მდგომარეობას.

— თქვენ მავნე მეოცნებე ხართ, თქვენ ანგარიშს არ უწევთ რეალურ პირობებს,—ნერვიულობდა ქმარი.

— დიახ, ჩვენ ოცნებისათვის უარი არ გვითქვამს, არც ვაპირებთ შეგუებას ცხოვრების არსებულ პირობებთან, როგორც შეცდომით ფიქრობთ თქვენ. პირიქით: ჩვენ გვინდა შევცვალოთ ეს პირობები თანახმად ხალხის ინტერესებისა. ჩვენ კიდევაც ვამაყობთ იმით, რომ ოცნების უნარი არ დაგვკარგვია, ჩვენი ბედნიერება ჩვენს ბრძოლაშია: სიამაყით გვავსებს ჩვენ ჩვენი მისწრაფებანი, და გულახდილად ვაღიარებთ, რომ გვინდა დავამსხვრიოთ ყველა ეს გალიები, რომლებშიაც სუქდებიან ხორცით და კლავენ ადამიანის სულს!

გველ-ნაკბენივით შეკრთა ირენა.

— რა დაგემართა?!—მზრუნველობით შეეკითხა ქმარი.

— არაფერი, თავი მეტკინა,—და ხელი გადისვა გახურებულ შუბლზე.

— აი ხედავთ?! თითქოს საყვედურითაც შენიშნა რობერტმა თავის მოწინააღმდეგეს,—ჩვენ კი აქ ეშმაკმა იცის რაზე ვკამათობთ, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი აქ სიტყვებშია, რადგან ჩვენ ყველას გვინდა ერთი რამ, რომ შესაძლო იყოს მისი განხორციელება... წადი, ჩემო კარგო, და მიწექი, მე კი ვეტყვი, რომ ვახშამი საწოლში მოგიტანონ,—მიუბრუნდა ცოლს გახარებული, რომ ასე იოლად მოახერხა გამომძვრალიყო კამათის ძალიან უხერხულ მდგომარეობიდან, რომელშიც გაება და დარეკა.

ირენა თავის ოთახში გავიდა, დაჯდა ბნელაში, უკან გადაქინდრა დაღლილი თავი და თვალები მინაბა.

ბოგდანის უკანასკნელმა სიტყვებმა აახმაურეს მისი ულრმესი განცდანი, გააღვიძეს თითქმის სამუდამოდ მიძინებული ზღვა სულიერ ტკივილებისა, ულონო მისწრაფებათა, სასოწარკვეთილებისა, უკმაყოფილებისა და კაეშნისა.

გაახსენდა ახალგაზრდობის დღეები, მოიგონა ყმაწვილის წერილი, რომელიც მაშინ ასე უყვარდა. ყმაწვილი ღარიბი იყო, ხელმოკლე, მდგომარეობა ცუდი ჰქონდა, ბატონი რობერტი კი ქალაქ დუბლინის პატივსაცემი არქიტექტორი იყო და მშვენიერ საქმროდ ითვლებოდა. მშობლების დაჟინებითი მოთხოვნამ თავისი გაიტანა და ლამაზი ირენა შეიქნა ცოლი ბატონ რობერტისა, ნამდვილი დამამშვენებელი მისი მდიდარი სახლისა, ბალების დედოფალი, ყვე-

ლა ადგილობრივ ლომების ყურადღების, აღფრთოვანების და სიყვარულის საგანი. ყმაწვილისგან კი დარჩა მხოლოდ ერთი რამ—ქორწინების შემდეგ—მიღებული წერილი:

„გავიგე, რომ თქვენ უკვე მოიხიბლეთ ოქროს გალიათი; გისურვებთ ბედნიერებას, გისურვებთ რათა სხვა ქვეყნის ქარიშხალი აროდეს შემოჭრილიყოს თქვენს ფანჯრებში და არ დაერღვიოს თქვენი მაძღარი მყუდროება“.

გულმოკლული წერილის ასეთი ირონიით, ირენა შეეცადა დაეცვიწყნა ის ყმაწვილი; და არც უფიქრია, რომ წერილის ავტორი შეიძლება მართლაც მართალი ყოფილიყო.

ჩქარა გაფრინდენ ბედნიერების პირველი დღეები. ეგრედწოდებულ დიდკაცურ ცხოვრების შინაარსი სულ მალე ამოიწურა, თანდათან დნებოდა გრძელი კუდი თაყვანისმცემელთა; მოსაბეზარი შეიქნა ერთფერი არშიყობა, ზედმეტი მაძღრობა, ყველაფერი მოწყენამ და კაეშანმა აავსო. ბატონი რობერტი მგზავრობდა, აშენებდა, სიმდიდრეს იძენდა. აგროვებდა იშვიათ სიძველის და ღირებულების სურათებს.

როგორც შეფეროდა მის მდგომარეობას, მას უკვე ჰყავდა ქალაქის სხვა რაიონში მჩატე ყოფაქცევის, მომაჯადოებელი სილამაზის ქალი, რომელთანაც ის ერთობოდა გაცილებით უფრო თავისუფლად, მხიარულად და გემოიანად, ვიდრე სერიოზულ ცოლთან, რომელსაც ის აფასებდა, როგორც საჭირო სამკაულს მისი მდიდარი სახლისა და დიდ გვარიშვილობისათვის.

ირენა კი უფრო და უფრო იჟღენთებოდა გამოუცნობ ნაღველით; მას უფრო ხშირად და ხშირად აუვარდებოდა ხოლმე უმიზეზო ტირილი. როგორც ცოფიანი, ისე ეხეთქებოდა თავის ოქროს გალიის ოთხივე კედლებს და ყველა ეს ნერვიული აფეთქებანი ბადებდენ მასში სულიერ სიცალიერეს. გარბოდენ მონოტონურად და ერთ ფეროვანად დღეები, რომლებიც ასე გვანდენ ერთმანეთს, იზრდებოდა სიმდიდრე, მტკიცდებოდა ცხოვრების მყუდროება, მაგრამ ამასთან ერთად უფრო და უფრო ვიწროვდებოდა წრე გრძნობებისა, შთაბეჭდილებათა და განცდათა.

თავისი სილამაზეც მობეზრდა. მიხვდა, რომ ქმრისათვისაც და ყველა მის ახლობელთათვისაც ის არის მხოლოდ ლამაზი საგანი, თავის შესაქცევი სათამაშო. და როგორ უნდოდა მას დაეკარგა ეს სილამაზე! ერთ ხანს დაეწაფა მეტად საშიშ სპორტს, დადიოდა საავადმყოფოებში და უვლიდა გადამდებ სნეულებით დაავადებულთ, მაგრამ არაფერი არ ეკარებოდა მას, შედეგად კი მოიხვეჭა სახელწოდება ქველმოქმედ დამისა. და გაიგო, თუ როგორ საშინელ გაჭირვებასა და სიღატაკეში იღუპება დაბალი ხალხი. ქველმოქმედ დამის სახელწოდება მეტად აჯავრდება მას, ამავე დროს გრძნობდა მთელ თავის უღონობას რაიმე დახმარება გაეწია ყველა ამ გაჭირვებულთათვის.

ჩაიკეტა ოთხკედელს შუა. განვლილი საათები ნათლად ამბობდენ, რომ სიცოცხლე არ იცდის—მიდის, ამ სახლში კი ძველებურადვე არაფერი ახალი არ ხდება და, როგორც ეტყობა, არც არასოდეს მოხდება. არაფერს არ შეეძლო დაერღვია მისი თავმინებებული აპატიური მყუდროება, მძლავრ პო-

ლიტიკურ მოძრაობასაც, რომელიც დაიწყო მთელ სახელმწიფოში და განსაკუთრებით მკაფიოდ თავი იჩინა მის უშუალო სამშობლოში — ირლანდიაში. ცნობები მოდიოდა გაფიცვების, სისხლიან შეტაკების, ფარულ შეთქმულებათა არსებობის შესახებ, მაგრამ მას არ ესმოდა, ვერ გაერკვია მთავარი აზრი ყველა ამ ამბების, და ყველა მონაწილენი ამ ამბებში წარმოედგინა, როგორც მხოლოდ გაბედული გიჟები.

და აი ერთი ასეთი გიჟთაგანი მოხდა მის ჭერ ქვეშ.

## II

ერთ დღეს, როდესაც ქმარი ქალაქში იყო და, თვითონ კი ნელად და ზარმაცად ტანისამოსს ისწორებდა, მას გადასცეს წერილი.

„ძვირფასო კუზინა,—სწერდა შორეული ნათესავი, დიდი ხნის ემიგრანტი,—ამ წერილის თქვენთან მომტანი არის ადამიანი, რომელიც ღირსია ყოველ მხრივი ნდობის. თუ რა უნდა მას თქვენგან, თვითონვე გეტყვით. იმედი მაქვს, რომ თხოვნას არ გაუწბილებთ. ამ იმედს მაძლევს ხსოვნა იმ დაუვიწყარ, თუმცა შორეულ და ხანმოკლე ჩვენი ნაცნობობისა, როდესაც ჩვენ ასე ახალგაზრდები ვიყავით; დრო, მართალია, ძალიან ასხვაფერებს ადამიანებს, მაგრამ იშვიათად გამოცვლის სავსებით. სწორედ ამის იმედი მაქვს მეც“.

დაინტერესებული სტუმრის ადრე მოსვლით და წერილის შინაარსით, ირენამ უბრძანა, რომ წერილის მომტანი მიეღოთ სასტუმროში და თვითონაც იქ გავიდა.

მის თვალწინ აღიმართა ახალგაზრდა, ტანმაღალი ყმაწვილი, ნათელი თეთრგვრემანი, არაჩვეულებრივად გამჭვირვალე მტრედისფერ თვალებით. ტანთ ეცვა მოხდენილად, მაგრამ არა მყვირალად. სალამი მისცა ირენას ოდნავი დარცხვენით. ეტყობოდა საკმაო უხერხულობას გრძნობდა ასე მდიდრულად მორთულ ოთახში და ისიც ასეთ მედიდურად გამომეტყველ ქალის წინაშე. არც კი გაცნობია, ისე ჩაჯდა სავარძელში, რომელზედაც ირენამ მიუთითა და ამ დროს ქალმა თვალი მოჰკრა, რომ მას მოგრძო და წვრილი თითები ჰქონდა, და აგრეთვე შეამჩნია მარცხენა ხელზე ბეჭედი ვერცხლის თავის ქალით.

— კუზენი მწერს, რომ...

— ვიცი—შეაწყვეტინა მან ცოტა ჩახლეჩილი ხმით.—საქმე შემდეგშია: მე ჩამოვედი თქვენს ქალაქში არალეგალურ კონსპირატიულ მიზნებით და მეტად მნიშვნელოვან ამოცანებით. სასტუმროში გაჩერება ჩემთვის შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მე თან მაქვს, არა საესებით საიმედო პასპორტი ბოგდან ვარტონის სახელზე, როგორც მე ეხლა მეძახიან. და აი ამიტომ მინდოდა დავბინავებულიყავ თქვენსა; მექნებოდა აქ უშიშარი თავშესაფარი დღისით ღ, შეიძლება ღამითაც, სანამდის მე არ მოვძებნიდი სხვა შესაფერ ბინას. ეს კი არც ისე ადვილია, თუ კი მივიღებთ მხედველობაში მთელ რიგ პირობებს. სიტყვას გაძლევთ, ყველაფერს ისე მოვაწყობ, რომ თქვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგხვდებათ რაიმე უსიამოვნება, მით უმეტეს სერიოზული; ამავე დროს თქვენმა

ბინამ შეიძლება დააჩქაროს იმ საქმის წინსვლა, რომელიც მე მაქვს ფარდობილი და რომელიც საიდუმლოებას წარმოადგენს.

— ნუთუ ჩემთვისაც?—იკითხა ირენამ. ქალი განცვიფრებული იყო სტუმრის ორიგინალური წინადადებით, აღფრთოვანებული მისი გარეგნულ მოყვანილობით და გარმონიულ ხმიანი სიტყვებით, რომლებიც ცოცხალი ყმაწვილური სიგიჟით იფანტებოდენ ოთახში.

— ცხადია თქვენთვისაც. კონსპირაციის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ყოველი გასაკეთებელი საქმე მხოლოდ იმათ იციან, ვინც ღებულობს მასში უშუალო მონაწილეობას. თქვენ კი...

თვითონვე გაწყვიტა თავისი სიტყვები, მოუთმენლად გადისვა ხელი ქოჩორზე და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაუმატა:

— მე ისედაც ბევრს ვლაპარაკობ. მაშ როგორ?

ირენამ გაიღიმა.

— მე პირადათ არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ბინა საკმაოდ დიდი მაქვს, მაგრამ აუცილებლივ საჭიროა მოველაპარაკო ქმარსაც, ეს კი არც ისე ადვილი საქმეა. ის შუადღისას დაბრუნდება. შეიძლება თქვენც შემოიაროთ ამ დროს?

— კარგი,—მხიარულად წაილაპარაკა ყმაწვილმა.—თქვენმა კუზენმა სწორედ ასე მითხრა, რომ თქვენთან საქმის მოწყობა ადვილია, მხოლოდ უფრო ძნელია ქმართანო. საერთოდ ქალებთან ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილად შეიძლება შეთანხმება, ვიდრე ამ ცოფიან მამაკაცებთან, რომლებიც ყოველთვის აფუჭებენ საქმეს.

ადგა, თავი დაუკრა და წავიდა.

„ცოფიანი მამაკაცები"—მართლაც რომ მშვენიერი დახასიათებაა!—გაიფიქრა ირენამ და, შემდეგ ისე დაჟინებით დადგა თავის სიტყვაზე, რომ ქმარი იძულებული გახდა დაეთმო მისთვის.

იმავე დღეს ბოგდანი თავისი ბარგი-ბარხანით მოეწყო ერთ-ერთ სასტუმრო ოთახში. ირენასთან ძალიან ჩქარა და იოლად დამყარდა მეგობრული დამოკიდებულება: უფრო ძნელი იყო რობერტთან, რომელიც უნდობლად ეპყრობოდა ყმაწვილს, ცდილობდა მეტი დაწვრილებითი ცნობები გაეგო მის შესახებ და მისგანაც ყველაფერზე. ხშირად ჩაებმებოდა ხოლმე მასთან მწვავე კამათში, რომელსაც ორივე მხარე გაშმაგებამდე მიჰყავდა. მაგრამ თანდათანობით რობერტიც, არაშც თუ შეეგუა ყმაწვილს, არამედ იმასაც გრძნობდა, თითქოს ვინმე ნათესავი აკლდაო, როდესაც ბოგდანი გაქრებოდა სადმე ცოტა მეტი ხნით. ამ ყმაწვილთან ერთად ოჯახში მოსჩქეფდა ჰაერის ცხოველი ნაკადი; ის იყო მაუწყებელი სადღაც მძლავრად მჩქეფარე ცხოვრების, იყო მხიარულების ამოუშრობი წყარო, რომლისგანაც ნაკადულებად მოსჩქეფდა ახალგაზრდობა და ბედნიერება.

მადა ჰქონდა წარმოუდგენელი. უცერემონიოდ და მოურიდებლად ძღებოდა ტკბილეულობით, უზომოთ აქებდა მათ; მოკლებული ჰქონდა ყოველგვარი ცრუ რწმენა; იყო გულწრფელი, უშუალო, პირდაპირი, მშვენიერი მო-

ლაპარაკე; ჰქონდა მახვილი ენა, გაბედული შეხედულება ცხოვრებაზე და რაღაც განუზომელი გულუბრყვილობა,—ყოველივე ეს მართლაც [illegible] ელ წყაროსავით მოქმედებდა რობერტის ოჯახის დახავსებულ ატმოსფეროზე და სადღაც ჰკარგავდა სახლში დიდი ხნის წინეთ გამეფებულ კაენშიან განწყობილებას; მთელი სახლი ივსებოდა მისი ხარხარით, სინათლით და მხიარულებით.

ირენას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; ისე ამაყობდა, თითქო ეს ყმაწვილი მისი შვილი ყოფილიყო ან და მოწაფე. და ახლა, როდესაც ის ფიქრობდა თავის საყვარლის წერილზე, მას კარგად ესმოდა, თუ როგორი ბოროტი იყო მისი წადილი, ვინაიდან მშვენიერია ქარიშხალი სხვა ქვეყნიდან, რომელიც შემოიჭრა მის სახლში და რომლის წინაშე მან თვითონვე გააღო კარები და ფანჯრები. ის მოხარული იყო, რომ გაქრენ ყოფილ კმაყოფის მაძღარი დღეები, რომ იბადებოდენ ჯერ კიდევ ახალი, ჯერ გამოუცნობი ამბები, რომლებიც აუწყებდენ ახალსა და ღრმა ცვლილებას მის ცხოვრებაში.

## III

აი, ზის ის მარტო თავის ოთახში და ყურს უგდებს ჟურჟელის წკარუნს და მამაკაცების მიყუჩებულ ხმებს; ეტყობა ახლა უკვე დაწყნარებით საუბრობენ.

„გათავდა“—დამშვიდებით გაიფიქრა მან, რადგან ეს გაუთავებელი კამათი მათ შორის მისთვის უკვე სრულიად უსარგებლო იყო, ზედმეტი: ის ისედაც საბოლოოდ ბ სავსებით ბოგდანის მხარეზე იყო; მხოლოდ ნერვებს უშლიდა ბ აბოროტებდა ზედმეტად ეს კამათი, უხერხულ მდგომარეობაშიც აყენებდა ორივე მამაკაცის წინაშე.

ძალიან სწყინდა, რომ საღამო გაუფუჭდა; კარგად იცოდა, რომ მიუხედავად მიღწეულ შეთანხმებისა, ვახშმის დროს სუფრაზე მაინც ვერ იქნება კარგი განწყობილება: ქმარი ალბად სერიოზული და გამწყრალი სახით, ბოგდანი კი მდუმარე და მოწყენილი.

და მართლაც ასე მოხდა. მათ ორივემ ჰკითხეს, როგორ არის ის, სტკივა თუ არა თავი; ურჩიეს: ქმარმა ფენაცეტინი, ბოგდანმა კი—ერთი ჭიქა კონიაკი. ირენამ უკანასკნელი „საშუალება“ აირჩია; მამაკაცებსაც დაუსხა, რომ ენა გაეხსნა მათთვის... მაგრამ საუბარი მაინც არ ეწყობოდა, და მხოლოდ მაშინ, როდესაც გავიდა მოსამსახურე ქალი, ბოგდანმა დაიწყო:

— ხო, მართლა, მე მშვენიერი ბინა ვიშოვე; ასე რომ ბოლო მოეღება ჩემს მიერ თქვენი სტუმართმოყვარეობის ბოროტად გამოყენებას.

— მერე რატომ?—არაჩვეულებრივი გამომეტყველებით იკითხა ირენამ: ხმა აუკანკალდა და ყელში გაუწყდა.

— უკეთესი ბინა იშოვა და იმიტომ ალბად შენიშნა ქმარმა.

— ყოველ შემთხვევაში ამიერიდან ისე უსაზღვროდ მაინც არ გამოვიყენებ თქვენს სტუმართმოყვარეობას, როგორც ამდენხანს—განაგრძობდა ბოგდანი,—რასაკვირველია, მე შემდეგაც ვივლი თქვენსას, ყოველ დღე, განსაზღვრულ დილის საათებში... გასაგებია რატომ: ჩემს დამოკიდებულებას თქვენი სახლისადმი უნდა ექნეს ხომ რაიმე ბუნებრივი სარჩული?. მე ლონდონში ვსწავლობდი პო-

ლიტეხნიკუმში; ხატვა კარგად ვიცი, ასე რომ შემიძლია გავაკეთო თქვენთვის რაოდენიმე პროექტი: შევადგენდი გეგმებს და ხარჯთაღრიცხვებს, თქვენ ყოველთვის შეგეძლებათ განაცხადოთ, რომ მე მიმიღეთ, როგორც პრაქტიკანტი ან და, შეიძლება, თანაშემწეც, დამხმარე; სახლში მამუშავებდით და არა კანტორაში იმიტომ, რომ გინდოდათ გყოლოდით ყოველთვის თქვენთან ახლოს, კანტროლისათვის და საუცეფო საქმეებისათვის... ჩემი მიღების დღე ან და უკეთ, ჩემი აქ ჩამოსელის დღე უნდა გატარდეს თქვენს წიგნებში სრული ოფიციალობით და ფორმალობით. ჯამაგირი ათი გირვანქა თვეში. მე თქვენ მომცემთ წინასწარ ხელწერილს შესახებ იმისა, რომ უკვე ჩავიბარე თქვენგან ორი თვის ჯამაგირი წინდაწინ... ყოველთვე ეს საჭიროა უფრო თქვენთვის ვიდრე ჩემთვის.

ირენა მძიმედ სუნთქავდა. რობერტი სდუმდა. ეს პირველად მოხდა, რომ მათი საუბარი ასეთ რეალურ თემებს შეეხო და რობერტის წინ აღიმართა საკმაოდ დიდი მუქარა პასუხისმგებლობისა. თითქოს საყვედურით გადახედა ცოლს, მაგრამ ირენას თვალები სინათლით და ბედნიერებით ბრწყინავდენ.

— ხო, როგორც ეტყობა, ასე უნდა მოვიქცეთ ცოტა ხნის სიჩუმის შემდგ სთქვა მან.—ცხოვრების ლოლიკას ვერ გავექცევით: ვინც სთქვა „ა“ მან "ბე"-ც უნდა სთქვას.

და გავიდა ოთახიდან სიგარისათვის.

— მაშ ასე, ჩვენ „ბე“-მდის მივაღწიეთ—ჩუმი სიცილით წარმოსთქვა ბოგდანმა.—ალფაბეტის ნახევარი უკვე გავლილია. თუ ასე წავიდა საქმე, მალე ალბად ბოლომდისაც ჩავალთ.

— ვნახოთ,—მბიარულად უპასუხა ირენამ.

რობერტიც მოვიდა და ლაპარაკი შეწყდა.

— ეხ, გავებით მგონი ერთ დავიდარაბაში,—დაიწყო რობერტმა, როდესაც ბოგდანი წავიდა..

— სიმპატიური ყმაწვილია, მაგრამ... ხომ არაფერი დაუშავდება, რომ ცოტათი მაინც შეიკაოს თავი; სხვების რწმენისათვის პატივისცემა მგონი ყოველთვის ნიშნავდა კულტურის მოწმობას...

— შენ შენს შეხედულებებს აფასებ, ის კი თავისას.

— შენ კი?

— მე?..—გრძლად წარმოსთქვა ირენამ.

— რა მოულოდნელმა ცნობისმოყყარეობამ გაგიტაცა ჩემი რწმენისადმი, ისიც ჩვენი საერთო ცხოვრების თორმეტი წლის შემდეგ—და დაიწყო სიცილი, ხმამაღლა, ნერვიულად, თითქმის ისტერიულათაც.

— რა დაგემართა, ჩემო ბავშო?!—შეშინდა ქმარი.

— ბავშებს ხომ არა აქვთ თავისი შეხედულებანი,—მშრალად მოსწყვიტა ირენამ და გავიდა ოთახიდან.

## IV

მეორე დღესვე ერთი მზიანი ოთახი, ქუჩაში რომ გადიოდა, გადაიქცა სამუშაო ოთახად. შუაში იდგა უბრალო მაგიდა; მაგიდაზე კი—სახატავი დაფა,

ცირკული, ტუში და გრიფელი. ათიდან პირველ საათამდე ბოგდანი რეგულიარულად ხატავდა, თან საუბრობდა სხვა და სხვა საგნებზე. ირენასთან ხშირად უამბობდა თავის და სხვების თავგადასავლებს. ხანდისხან, როდესაც ირენა ლაპარაკობდა, ბოგდანი თავაწეული შესცქეროდა მას. საკმაოდ მისახვედრი აღფრთოვანებით. ერთხელ, როდესაც ირენამ გამოიჩინა არაჩვეულებრივი და ღრმა გაგება საკითხების, რომლებიც მისთვის მანამდი სრულიად უცნობი იყვნენ, ბოგდანი გაკვირვებით შეაცქერდა მას და დაიწყო ჩქარი და მგრძნობიარე ლაპარაკი.

— თქვენ, ირენა, შესანიშნავი ქალი ხართ, თქვენ დაბადებითვე ჩვენი ადამიანი ხართ აუცილებლივ.. თქვენ მხოლოდ ზოგიერთი ცუდი თვისებანი გაქვთ, სხვადასხვა ბურჟუაზიული ცრურწმენანი და წინააღმდეგობანი, მაგრამ თქვენ ჩვენი მტერი არა ხართ.

რაოდენიმე დღის შემდეგ ისინი „შენ“-ობაზე გადავიდენ. ვაკი მას ირას უძახოდა და ამ ფორმალურ ინტიმობასაც ჰქონდა გავლენა მათ ურთიერთ დამოკიდებულებაზე. ისინი კიდეე უფრო დაუახლოვდენ ერთმანეთს; გადმოხეთქა ახალ გრძნობების, ალერსიან სითბოების ტალღამ. ისინი უკვე და-ძმად გრძნობდენ თავს.

მაგრამ მალე მათი ჩუმი ბედნიერება მოიღურბლა. ბოგდანმა დაამთავრა თავისი ნახატები; მოდიოდა სახლში სხვადასხვა დროს. ხან ჩვეულებრივზე უფრო მეტს იჯდა, მაგრამ მისი ხასიათის განწყობილებაში რაღაც ახალი შეიპარა; ბოგდანი იცვლებოდა და ირენას სულში ბადებდა, დიდ შიშს. ირენა ხედავდა, რომ ის უფრო და უფრო ნერვიულობდა, უმიზეზოდ ჯავრობდა, მის თვალებში რაღაც გაუბედაობა იხატებოდა, ხანდისხან ველურსაც მოაგონებდა; ყოველივე ეს უზომოთ აწუხებდა ირენას; მძიმე გრძნობა, მწვავე, როგორც ჭექა-ქუხილით გაჟღენთილი პაპანაქება—არ შორდებოდა მას.

და ხშირად, როდესაც ისინი გართული იყვნენ ჩვეულებრივ საუბარში, უცებ საიდანღაც შემოიჭრებოდა უჩვეულო სიჩუმე და ისინიც სდუმდენ. ხშირად, სულ ხშირად ირენა იძულებული ხდებოდა გრძელ წამწამებს ქვევით დაემალა თავისი თვალები, ისეთი მშრალი იყო ანთებულ ცეცხლში დამწვარი ბოგდანის გამოხედვა.

ირენა კარგად გრძნობდა თუ რა ემართებოდათ მათ ორივეს, მაგრამ იბრძოდა, თავს იცავდა უკანასკნელამდე: ცდილობდა დაექრო ულმობელ ცეცხლის თვითეული ნაპერწკალიც კი, რომელიც ასე მოულოდნელად აინთებოდა გულში და მთელი ცეცხლის მორევით იმუქრებოდა... კაეშანი მეფობდა მის გულში, როდესაც ის არ იყო, მაგრამ როგორც კი გაიგონებდა მისთვის ასე ნაცნობ ხმებს ბოგდანის ნაბიჯებისა, მაშინვე დაიბნეოდა. არ იცოდა რა ექნა და ინსტიქტიურად გრძნობდა სურვილს—გაიქცეს, გაიქცეს, სადღაც შორს, შორს... როდესაც შორიდან დაინახავდა მის საყვარელ ფიგურას, გული კვდებოდა სიხარულისგან, და როდესაც კი ბოგდანი ახლოს მოვიდოდა, საჭირო იყო მოეკრიფა მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი ნებისყოფა, რათა თავი შეეკავებინა, რომ გულში არ ჩახუტებოდა მას. ეს შინაგანი ბრძოლა დიდათ

ასუსტებდა მას. ხშირად შუაღამისას, შუა ძილშიც იღვიძებდა თავის საკუთარ ტირილისგან. ესიზმრებოდა ტკბილი დამარცხება, ვითომ ის, ირენა, [illegible]ცხდა. მერე რა ტკბილი იყო ეს დამარცხება! ტუჩები ტუჩებზე, მკერდი მკერდზე.

ძილში დამარცხება, სინამდვილეში კი გამარჯვება.

ბოგდანმა იცოდა, რომ უყვარდა ირენა, მაგრამ განა შეეძლო თუ გინდ ფიქრშიაც გაევლო ოცნება იმაზე მეტი, რაც იყო იმათ შორის?!.. ის მალავდა ბოჭავდა თავის გრძნობებს და უდიდესად უკმაყოფილო იყო თავის თავის, როდესაც მისი ყმაწვილური ტემპერამენტი ამჟღავნებდა მათ. და მაშინ მისი თვალები, აღსავსე უზომო ნაღველით, უიმედო მწუხარებით შესცქეროდენ ლამაზ ქალს, თითქოს ისინი იყვნენ თვალები, რომლებითაც ეთხოვებოდნენ კაცობრიობის პირველი დევნილნი მათთვის სამუდამოდ დაკარგულ სამოთხის კარებს.

V

ერთხელ საღამოს, რამდენიმე დღის არყოფნის შემდეგ, ბოგდანი მოვიდა როგორღაც გამოცვლილი; რაღაც ფიქრებში იყო გართული და სდუმდა, სიტყვას არ ამბობდა, ისხდენ ირენას ოთახში, რომელიც ვარდისფერი სინათლით იყო ავსილი.

ბოლოს, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, ბოგდანმა დაიწყო ლაპარაკი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წინადადებებით:

— ირენა, წინასწარი მზადება დამთავრებულია... შენ ყველაფერს გიამბობ... ვფიქრობ, რომ ცოცხალი გადავრჩები... როდის იქნება—არ ვიცი. შეიძლება უფრო ადრე, ვიდრე მე ვფიქრობ... შეიძლება ამ კვირაშიც... შემდეგ იძულებული ვიქნები წავიდე შორს, დიდი ხნით, შეიძლება სამუდამოთაც... დიახ!.. უნდა გამოგემშვიდობო, ირენა...—ხმა აუთრთოლდა და უკანასკნელი სიტყვები დაიკარგა სადღაც ღრმა ოხვრაში.

ნისლი მოეფარა ირენას თვალებზე. ყელში რაღაც მოაწვა, თითქოს ახრჩობსო, ხელები გაუცივდა, ფეხები ქვად ექცა... მას კარგად ესმოდა, რომ ბოგდანის მისია სერიოზული საქმეა, მაგრამ ერთი წუთითაც კი ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ აქ საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება. და რომ ამ საქმეზე მიდის აი ეს ადამიანი, რომელიც ეხლა მასთან ზის და რომელიც ლაპარაკობს ასეთი ტკბილი და რბილი ადამიანური სიტყვებით, და არ აფრქვევს ცეცხლსა და მეხს... ლორდის წინააღმდეგ, წინააღმდეგ მთელი მისი ძლევამოსილებისა საბრძოლველად გადის ერთად-ერთი, აი ეს ადამიანი... სიზმარია ყოველივე ეს თუ ცხადი? არა ცხადია რადგან მას კარგად ესმის სიტყვები:

— ირენა, შენ ჯერ კიდევ არ იცი, თუ რათ გადიქეცი ჩემთვის და რაც იქნები ძუდამ და მარადის... ხედავ როგორ ძნელია ჩვენი ცხოვრება?!. ჩვენთვის ადამიანი არ არსებობს როგორც ასეთი, ის მხოლოდ საქმისთვის არსებობს, იგი მხოლოდ იარაღია, რომელსაც იცოდებენ და უვლიან, მხოლოდ იმდენად რამდენადაც ის ჯერ კიდევ საჭიროა; მაგრამ მაშინვე ივიწყებენ, თუ კი სხვა იარაღი ნახეს, ჩვენ არა ვართ გრძნობის ხალხი... ირენა, მე შენში ვნახე საკუთარი თავი, ვნახე ადამიანი... მე ეხლა შემიძლია მთელი ჩემი გულმკერდით

ვისუნთქო... ბედნიერებით—უკანასკნელი სიტყვა ყრუთ ჩაილაპარაკა, მოკლე შეჩერების შემდეგ.

ერთ წამს ის სულ ძაგძაგებდა, შემდეგ ჩაუვარდა მუხლებში, კოცნა დაუწყო მის ფეხებს, ტანსაცმელს, ხელებს... ირენას ესმოდა დაწყვეტილი ჩურჩული სიყვარულზე... სწრაფად წამოდგა, გახურებულ ტუჩებზე თლილი ხელები მიადო, თავი მისკენ მისწია და, თითქო ბოდავსო, იმეორებდა საყვარელ სახელს სულ ნელა, სულ ნელა, შემდეგ კი მოიშორა, თითქოს მოგლიჯა ხელები, საფეთქლები დაიჭირა და სასოწარკვეთით, ყრუთ წაილაპარაკა:

— ნუ, ჩემო კარგო, ნუ!..

ბოგდანი წამოდგა და ცანცალით გზა აბნეული, როგორც მთვრალი, როგორც ბრმა—გარედ გავიდა.

ამის შემდეგ ბოგდანი რამოდენიმე დღე აღარ მოსულა. და როდესაც მოვიდა, ისეთი სახე ჰქონდა—გაუბედავი, გაფითრებული—თითქოს შიშობდა, ვაი თუ არ მიმიღოს ირენამო. ქალი კი სიხარულის ძახილით დაუხვდა, ანთებული სახით; დაისვა გვერდით და სულ იძახოდა: „ჩემო რაინდო, ჩემო მზეო“. სთხოვდა ეამბო მისთვის დეტალურად, დაწვრილებით ის საქმე, რომელიც მას ჰქონდა მინდობილი... და ისიც უამბობდა, ქალი შესცქეროდა მას ისეთი სერიოზობით, გამოცდით, თითქო პირველად ხედავდა ამ კაცსაო. ყველაფერი—ინტონაცია, მიხვრა-მოხვრა, კუნთების თამაში სახეზე—ყოველივე მის წინ იხატებოდა ახალ მნიშვნელობით და მისი სახელიც—ბოგდანი—რაღაც საიდუმლოებით იმოსებოდა.

— ბოგდანი,—ეს ხომ ღვთისგან მოცემულს ნიშნავს, დიახ,—ამბობდა ის. და როდესაც ვაქმა გაუსწორა სიცილით—ბოგდანი ფსევდონიმია, და მისი ნამდვილი სახელი კი ალანი-აო—ქალი მაინც თავისას განაგრძობდა:—„ალანი, ალანი, ჩემთვის კი ბოგდანი, ღვთისგან მოცემული.

როდესაც ბოგდანი სახლში არ იყო, იწყებოდა ირენას სატანჯველი საათები, შავი როგორც სამარე; გული კი ივსებოდა ისეთი ნაღველით, ისეთი სასოწარკვეთით, რომ ეგონა თითქოს ვერასოდეს ვეღარ იხილავდა მას...

ირენას დიდი ხანია ჰქონდა სურვილი ენახა ბოგდანის კონსპირატიული ბინა. ბოგდანი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ირენას სურვილს; ვაი თუ ტყუილუბრალოდ გადავკიდო ისიც რაიმე უბედურებასო. ბოლოს ქალმა მაინც დაიყოლია. დანიშნულ საათზე ირენამ პირბადით სახეზე შეუმჩნევლად გააღო კარები, აირბინა მეორე სართულზე და როდესაც ოთახში შევიდა, ეგონა ფეხი შესდგა სადღაც წმიდათა-წმიდაში. ბინა შესდგებოდა ორი ოთახისგან; სამი ფანჯარა ქუჩაში გადიოდა, ორი კი ეზოში. პირველი ოთახი, უფრო მოდიდო, სამუშაოდ ჰქონდა, მეორე კი, უფრო პატარა, საწოლად. ტახტის მაგივრად იდგა მოგრძო სავარძელი, ფანჯარასთან კი საწერი მაგიდა სქელი მაუდით და რამდენიმე სკამი. კუთხეში ბუხარი იყო.

— მე ვფიქრობ, ამ ფანჯრიდან აჯობებს.—სთქვა ალანმა—მე უკვე გამოვიანგარიშე: სამი თუ ოთხი წუთი ოთახის გარბენა და კიბეზე ჩასვლა, ექვსი-

წუთი ეზოს გავლა, ხოლო სულ ორიოდე წამის შემდეგ მე ვიქნები ისეთ მიხვეულ-მოხვეულ შესახვევებში, რომ... ეძებონ ნემსი თივის გროვაში.

ბუხრიდან გამოიღო თეთრ ქაღალდში გახვეული რაღაც საგანი, რომელიც ძალიან წააგავდა საშვალო კოლოფს. აუხსნა, თუ როგორ უნდა მისი ხმარება და უკანვე წაიღო, ძველ ადგილას შეინახა. შემდეგ ამოიღო ორი რვა ვაზნიანი, ახალი სისტემის რევოლვერი; ასწავლა როგორ უნდა მათი გასროლა.

მოწიწებით ისმენდა ყოველივე ამ ახსნა-განმარტებას ირენა და ახალი ტერმინები, რომლებსაც ასე უხვად ხმარობდა ბოგდანი, ეჩვენებოდა ზღაპრულ სიტყვებად მისთვის უცნობ ენაზე... თვითონაც გასინჯა და ჩადო ვაზნები; უმიზნებდა და ისე ხერხიანად ხმარობდა, თითქო მას დიდი გამოცდილება ჰქონოდა ამისაო.

— ჩინებულია, ჩინუბული,— აღფრთოვანებით ამბობდა ბოგდანი,— იარაღი მაგრად გიჭირავს ხელში, შენ არც თუ ისე ცუდი მსროლელი გამოხვიდოდი, გეტყობა ძალ-ღონე საკმაოდ გაქვს ხელებში—მერე, როგორი სამხედრო მოქნილობა ჰა!..

— ხო, მართლა!?—როგორც ბავში იცინოდა ირენა,—დიახ მე მართლა ღონიერი ვარ, არა ერთსა და ორ მამაკაცს გაუმკლავდები ძალ-ღონით,—და წინ გამოსწია კუნთებ-დაჭიმული ხელები.

— აბა, რა გაეწყობა, ვცადოთ ერთი—სთქვა ბოგდანმა. თავისი ხელებიც გამართა და დაიწყო ბრძოლა.

და მართლაც, არც ისე ადვილი გამოდგა ქალის დაძლევა. ირენა, მოქნილი, როგორც ბზა, იზნიქებოდა მის ხელებში, მაგრამ ადგილიდან კი არ იძროდა. ბოლოს დაიკუმშა კუნთები, მოიკრიფა ძალ-ღონე და ისეთი სიძლიერით გაშალა მკლავები, რომ ირენა წაიქცა სავარძელში.

— ვაი დამარცხებული!—დაიყვირა ბოგდანმა, სახეზე ცეცხლ-მოკიდებულმა... მაგრამ იმ წუთშივე გაფითრდა, თვალებზე ნისლი ჩამოებურა, ნესტოები გაუდიდდა, ხელები მოხვია და ტუჩებზე დაეწება.

ირენამ თავი გვერდზე გადახარა, მაშინ ბოგდანმა გაშმაგებით დაუწყო კოცნა სურნელოვან თმებს. ქალმა უცებ აიშვა თავი, გვერდზე გახტა და დაიწყო გულის ფანცქალით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ყრუთ, თითქოს სული ეხუთებაო.

— ბოგდან, მე ეგ არ შემიძლია... არ მინდა, არ შემიძლია, არა... ბოგდან... ჩემო ბოგდან,—მთელი ტანი უცახცახებდა ქვითინით, თვალები ცრემლებით აევსო.

— მერე რატომ?—ყრუთ შეეკითხა ბოგდანი და მის ხმაში ისმოდა ჯავრი და რისხვა—რისთვის?—დაჟინებით იმეორებდა.

— არ ვიცი, არა.—ტიტინებდა ირენა ცრემლებით თვალებზე.—მე უნდა მოვიფიქრო, არ შემიძლია ასე უცბად აგიხსნა. მე წერილით გიპასუხებ...

— წერილზე ფიქრიც არ შეიძლება, ეხლა ისღა გვაკლია, რომ შენი წერილი გვინახონ აქ.

— ჩემთან იქნება, დავტოვებ მაგიდაზე ჩემს სასადილო ოთახში,—ქვითი-

ნებდა ის,—ეხლა კი მე სიტყვები არა მაქვს... გამიშვი, ბოგდან, ჩემო ძვირფასო, გამიშვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცოდავად ეხვეწებოდა, თუმცა ბოგდანი არც ცდილა დაეკავებინა ის, წავიდა ბარბაცით; ცრემლები ღაპა-ღუპით მოსდიოდა ლოყებზე.

## VI

მეორე დილას ბოგდანი არ მოსულა, რადგან ამ დღეს მას უნდა მოეწყო რამდენიმე საიდუმლო საქმე, მხოლოდ საღამოს შემოირბინა და ისიც რამდენიმე წამით. სასადილო ოთახში მაგიდაზე დაინახა კონვერტი თავის სახელზე, გახსნა და დაიწყო კითხვა.

...„მიყვარხარ ჩემო რაინდო, ისეთი გაგიჟებით მიყვარხარ, რომ მგონია, შენს ერთ მოხვევნაში დავიფხვნები როგორც მტვერი, დავდნები როგორც სანთელი. მაგრამ გახსოვდეს მუდამ, რაინდს ორივე ხელებით უნდა ეკავოს ცხენის სადავეები, როდესაც ის საშიშო მთის ბილიკებით მიდის, განა შეშვენის მის ხელებს ქალის ტანზე მოხვევა?! დამტოვე ბარში და როდესაც შეუპოვრად გადალახავ მთის მწვერვალებს, მაშინ ამიყვან შენთან და მეც შენი ვიქნები მარადის... მესმის, შენ გეძახიან დიადი საათები და დღენი, ქარიშხლები დაგქროლავენ ისეთი სისწრაფით და ძალღონით, რომ მხოლოდ არწივი თუ იქნება ღირსი შენთან ერთად ნავარდის. მე კი, მე ვარ მხოლოდ პატარა, სიყვარულით დამთვრალი საბრალო ჩიტუნია... მგონია, სხვაფრივ მე ვიქნებოდი შავი ნიშანი შენს ნათელ სავალ გზაზე... მე გიცდი შენ, მხოლოდ შენ, და როდესაც შეასრულებ გამარჯვებით შენ დიად დავალებას და ჩამომხედავ კითხვით, მეც გიპასუხებ: შენი ვარ, მხოლოდ შენი“...

წერილმა გული აუჩუყა ბოგდანს, და როდესაც ოთახში შევიდა მასთან, ირენა შეაცქერდა მის ალერსიან სახეს, გაწითლდა სიხარულით და ჩუმათ ჩაიჩურჩულა:

— მაშ, შენ გაიგე ჩემი სათქმელი, არა?

— დიახ, გავიგე,—უპასუხა მან მხიარული ღიმილით, წამოიძრო თითიდან და გადასცა თავისი ბეჭედი.

შეკრთა, როდესაც ბეჭედზე დაინახა სიკვდილის ემბლემა; მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი გრძნობა იყო; მაშინვე ჩამალა იგი ღრმა და ტკბილ ღელვაში.

მივარდა მაგიდასთან, ამოიღო პატარა ვიწრო ბეჭედი, პატარა, როგორც სისხლის წვეთი, ლალის თვალით, და გადასცა მას.

— ეს პირველი ბეჭედია, რომელსაც მე ბავშობისას ვატარებდი...

პასუხათ ბოგდანმა მაგრად ჩამოართვა ხელი. მას ძალიან ეჩქარებოდა. გამოეთხოვა და ჩქარი ნაბიჯით გასწია.

მეორე დღეს ის არ მოსულა. საღამოს ბატონი რობერტი სახლში კარგ გუნებაზე დაბრუნდა, ცოტა დაღლილი იყო, მაგრამ კმაყოფილი თავისი საქმის ბრწყინვალე დაბოლოებით.

— ეს რომელიმე უბრალო სახლი კი არ არის,—ამბობდა ის ვახშამზე,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ორი წლის სამუშაოა: სადგური და ყაზარმები... საკმაოთ მოვხვეტავ... ბევრი კონკურენტი მყავდა, მაგრამ მე სარეკომენდაციო წერილი მქონდა. იცი—ვისგან? ლორდისგან..

ამოიღო ცხვირსახოცი და ისეთი თავმოწონებით აახმაურა ცხვირი, თითქო რაღაცას ზეიმობდაო. შემდეგ განაგრძო:

დიახ, ჩემო მეგობარო... რაოდენიმე სიტყვა მოკითხვის ბარათზე და საქმე ქუდშია. ხო, მართლა, სად არის ჩვენი ახალგაზრდა გმირი?—მოიგონა ბოგდანი.

— არ ვიცი—უპასუხა ირენამ—გუშინს აქეთ ის აქ არ ყოფილა.

— ეს რა საფრთხობელა გაგიკეთებია მაგ თითზე?

— ეს მან მაჩუქა თავისი ბეჭედი.

— ჩემმა მზემ მშვენიერი საჩუქარია... იარმურკიდან.

— ჩემთვის კი ძვირფასია და...

— ოხო-ხო!

— დიახ, დიახ!

რობერტმა ცოტა იჭვნეულობით გადახედა ირენას, მაგრამ ქალმა ისე მიიღო ეს თითქოს არაფერიაო და მისი საპასუხო გახედვაც იყო ჩვეულებრივ გამჭვირვალე, ცივი და დამაჯერებელი.

ვახშმის ბოლოს ბოგდანიც მოვიდა. საკვირველად გაფითრებული, თითქოს წელშიც ზედმეტად მოხრილი. სდუმდა და მოწყენით იყო. არაფერს ჭამდა... დიდის ხვეწნით, როგორც იქნა, დაალევინეს ერთი პატარა ჭიქა ღვინო. ბატონ რობერტის კითხვაზე უპასუხებდა მოკლეთ და დროგამოშვებით საათზე იცქირებოდა.

— დროა წავიდე,—სთქვა ბოლოს და ამოიხვნეშა.

მაგრათ ჩამოართვა ხელი რობერტს, ირენას კი ისეთი თვალებით გადახედა, რომ ქალს რაღაც იჭვიც დაებადა და კარიდორში თან გაჰყვა.

— მაშ ასე, ირენა, ხვალ...

ირენა მთლად გაფითრდა, სიტყვები ყელში გაეჩხირა, მაგრამ როგორც იქნა მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე და ჩასჩურჩულა:

— რაც უფრო ადრე, უფრო უკეთესი! ნახვამდის.

## VII

დილას დიდხანს იდგა აივანზე. ფიქრები დასტრიალებდენ. უცებ შეკრთა; მოისმა ცხენების თქარუნი, გრიალი ვეებერთელა ეტლის. თვალები მაღლა ასწია და დაინახა ყველასათვის ცნობილი ეტლი. მგზავრები ჩერდებოდენ, პოლისმენები სალამს აძლევდენ, მეეტლები სიჩქარით უცლიდენ გზას. ღია ეტლში იჯდა მაღალი ტანის წარმოსადეგი ვაჟკაცი, ყინვასავით ცივი თვალებით.

ეს იყო ლორდი.

კუთხეში მეეტლემ ალვირები დასჭიმა, ცხენები ცოტა შესდგენ და შემდეგ სისწრაფით გაექანენ საბედისწერო შესახვევში.

მხოლოდ ამას მოკრა თვალი ირენამ; მის გარშემო კი სიცალიერე და მკვდარი ყრუ სიჩუმე მეფობდა. ესმოდა მხოლოდ საკუთარ სისხლის დენა და

გულის ფანცქალი... სიჩუმე თანდათან ფართოვდებოდა, ავსებდა ცას და მიწას, იბერებოდა, როგორც უზარმაზარი ბურთი, და ბოლოს მოულოდნელად გასკდა, როგორც საპნის ბუშტი.. კვლავ ეტლების გრიალი, კვლავ მგზავრების ჯგუფები, კვლავ ჩვეულებრივ ხმაური დიდი ქალაქისა.

— ეს რა არის? — ვერაფერი გაეგო მას. — რა მოხდა? — უნებლიედ ჩურჩულებდენ ტუჩები.

სწრაფათ ჩაიცვა და ქუჩაში გამოვარდა... მიდიოდა ნელა, როგორც მთვარეული; ვერავის ხედავდა, ვერავის ამჩნევდა. სიჩქარით ჩაიმალა ჭიშკარში და კიბეზე ავიდა. ჩუმად შეაღო ნახევრად მიხურული კარები და ისე მძლავრად გამოიხურა, რომ მთელი სახლი შეინძრა.

— ვინა ხარ? — მოისმა ჩამხჩვალი და გაკვირვებული ხმა ოთახის სიღრმიდან.

მაგიდაზე მოსჩანდა ყუმბარა, ორი რევოლვერი და გაფანტული ტყვიები. კუთხეში — თითქოს კედელში ჩაჭედილი — იდგა ბოგდანი. საშინლად გამოცვლილიყო, თითქოს დაპატარავებულაო.. შუბლზე მოსჩანდა ოფლის წვეთები და თმებიც მისწებებოდა.

— შენა ხარ?! — გულდამშვიდებით ამოიოხრა მან, და შეამჩნია მისი გამჭვირვალე გამოხედვა, რომელიც თითქო გულში უძვრებოდა მას; თვალები ძირს დახარა... წუთით თითქოს ებრძოდა თავის თავს.

— ვერ შევძელი, — სთქვა მან და სკამზე ჩამოჯდა; ულონო ხელები უკან გადისროლა. აბნეული თვალებით, შეშფოთებული შესცქეროდა მას ირენა და თითქოს ვერ ცნობდა; ფიქრობდა: ეს ბოგდანი არ უნდა იყოს, ეს ვილაც სხვა არის ბოგდანის სახით, და თამაშობს, როგორც აქტიორი, რომ შეცდომაში შეიყვანოს ის, ირენა.

— ვერ შევძელი და არც მინდოდა, — გაიმეორა მან და მხოლოდ ეხლაღა იცნო ირენამ მისი ხმა. — მთელი ღამე ვფიქრობდი... ვფიქრობდი იმას, თუ რა არის ჩვენთვის ლორდი, ერთი ლორდი, როდესაც ისინი არიან ასები, ათასები... და მას შევსწირო სიცოცხლე, უარვყო ეს ქვეყანა, რომელიც ასე აყვავილდება ჩემთვის შენი სიყვარულით, ჩემო ირენა!?...

ამ სიტყვებით თვალებში ჩააცქერდა და დაინახა... და მიხვდა ბევრ რამეს... ძალ-ღონე კიდევ უბრუნდებოდა.

— საქმე ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ წაგებული. დღეს თუ არა ხვალ იყოს, — სთქვა და თვალებში კვლავ აინთო ძველებური ცეცხლი.

ირენა მობრუნდა ზურგით: იდგა ფანჯარასთან და შორს სივრცეში გაიყურებოდა.

— ლორდი ბრუნდება, — დაიყვირა მან უცებ და მთელი მისი სახე აწითლდა, თითქოს ცეცხლში იწვისო.

ბოგდანი შეკრთა: ტუჩები დაემანჭა, ხელები გაუქვავდა და მხოლოდ წუთის წინად ანთებული თვალები კვლავ ჩაუქრა.

— ლორდი ბრუნდება! — გაიმეორა ირენამ გულის გამგმირავი ჩურჩულით და ისეთი სიძლიერით გადახედა მას, თითქოს სურდა შეებოჭა ის და საბოლოოდ დაემორჩილებინა. ხელი მაღლა ასწია: „გესმის ეს ხმაური, ცხენების თქარუნი? — მის ხმაში მუქარაც იყო. — გესმის თუ არა მისი ცხენების თავხედური თქარუნი?“

მაგრამ ბოგდანი იდგა უმოძრაო, და ისეთი ულონო, ბლაგვი გამოხედვა

ჰქონდა, რომ ირენას გული ნაწილ-ნაწილად გაებზარა. მაშინ ეს დაიღუნა, თავი ფანჯარაში გაჰყო და როდესაც კვლავ მიუბრუნდა მას, მისი ცნობა უკვე შეუძლებელი იყო. სახე გაფითრებოდა როგორც ცარცი, თვალები უბრწყინავდა, როგორც ვარსკვლავები, შავი თმის კულულები კი ირხეოდენ, თითქო ეს არის ქარიშხალმა გაურბინა მათო. ხელი სტაცა ყუმბარას, ორივე ხელებით ასწია მაღლა და მთელი ძალ-ღონით გადისროლა ქვევით.

შემაძრწუნებელი გუგუნი. მწვანე ცეცხლის სვეტი. დამსხვრეულ მინების წკარუნი. გულის გამგმირავი წივილი. ხმაურობა, თითქოს ელვისოს ბურთი დაგორავს ქუჩიდან ქუჩაზეო.

— წადი, გაიქეც!—მოესმა თავბრუდახვეულ ბოგდანს მისი დაწყვეტილი ხმა.

— წადი!—კვლავ შეეხო მას ეს ხმა.

— წადი!—ეხლა კი მეხივით გასკდა მის თავზე.

გონზე მოვიდა, გასავლისკენ გაექანა, მაგრამ წამსვე შემოტრიალდა.

კიბეზე უკვე მოისმოდა მძიმე ნაბიჯების ხმა. რამოდენიმეჯერ დაიწივლა კარების ზარმა. თოფების კონდახებით ამსხვრევენ კარებს. კარებიც ის იყო გაიღო რომ ოთახში შემოჭრილ შეიარაღებულ ჯგუფისაკენ ირენას ხელიდან გაექანენ ჭახუნით რევოლვერის ტყვიები, სწრაფი და წვეტიანი. გაღებულ კარებში ერთი წუთით სიცალიერე შეიქნა, უკანასანელი ტყვია გაისროლა და შემოტრიალდა, რათა მეორე რევოლვერი აეღო. იმავ წუთს ბოგდანმა, რომელიც მანამდის უძრავად იდგა, წინ წაიწია, რომ შეტევაზე გადასულიყო, მაგრამ იმავე წუთში უკან გადმოხტა და დავარდა ძირს უსულოდ.

ყველაფერი დაავიწყდა ირენას. დაემხო მის წინ მუხლებზე, ხელები კისერში მოხვია, უნდოდა მისი თავი მაღლა აეწია, მაგრამ თავი უკანვე ჩაიქინდრა, უკანვე გადაცვივდენ ოქროს თმები და ირენას თვალწინ დაიხატა დიდი, თეთრი, ღია შუბლი და სახე, რომელსაც სიკვდილის ნიავით მიეღო დიადი გმირობის და უძლეველ ვაჟკაცობის გამომეტყველება. თვალებით ჩაეკონა მისი სახის თვითეულ ნაკვთს და დამთვრალი ამ ჭვრეტით—ვინ იცის რისგან?—სიყვარულის სიმთვრალისაგან, თუ გულის გამგმირავი ტყვიისგან—ღონე დაელია მის მუხლებს, დასუსტდენ ხელები და ტკბილად მიყუჩდა გული. დაეხურა ბოგდანის სხეულს, როგორც საფარი თავისი რბილი და თბილი ტანით.

ოთახი აივსო ჩექმების ბრახუნით, თავხედური ყვირილით, მუნდირებით და იარაღით. ის კი—უკვე ნახევრად მიძინებული სიკვდილის შხამით, თითქოს მათ გარდა ოთახში არავინ არისო—ეძებდა საყვარლის ტუჩებს და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამუდამოდ მიდიოდა დაუბრუნებელ სიბნელეში—მაინც მოახერხა და იპოვნა ეს ტკბილი ტუჩები, რომლებსაც ასე ხშირად ჰკოცნიდა... სიზმრებში კოცნით დამთვრალმა ერთხელ კიდევ გაიფართხალა სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვაში და ჩაქრა, როგორც ჩირაღდანი ბოლომდის დამწვარი.

თოფის ცხელმა ტყვიამ საბოლოოდ შეაერთა მისი გული იმის გულთან. ნაკადივით გადმოინთხა ჯერ კიდევ გაუყინავი თბილი სისხლი და იფეთქა ერთ საერთო ჭრილობაში: ეს ფეთქავდა ახალი, ბრძოლაში და სიყვარულში დაბადებული მათი საერთო გული.

თარგმანი: ვ. ბ—ს.

ეპტოლ სინკლერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქადაგის მდივანი*)

## აქა წერილი მეხუთე

### ჩემ მიერ ჰორეგის მოსმენისა

საყვარელო დედა!

დღეს პირველად მომივიდა მარცხი ჩემს საქმეში, სახელდობრ იმაში, თუ რა უნდა ასწავლოს ქადაგმა ამერიკელ ხალხს. დღეის საღამოს გაზეთი ვიყიდე და ნახე, რომ შიგ არაფერი სწერია იმის შესახებ, რაზეც ველაპარაკე მისტერ ეჯერტონს. ფულებზე მელაპარაკებოდა ის, იმ ფულებზე, რომელიც ევროპიელებსა მართებთ და ყველაფერი იმაზე ტრიალებდა, რომ ეს ვალები აღთქმულ ქვეყანას წარმოადგენენ, რომ ამისათვის ამერიკელი ხალხი მუდამ მოითხოვს მიცემულ თამასუქების განაღდებას. მაგრამ ეს ხომ ისევ არაფრის თქმას უდრის, დედაჩემო, რადგანაც მთელს დედამიწის ზურგზე იმდენი ფული არ არის, ჩვენი ვალი გადიხადონ, ხოლო თუ საქონელს გამოგვიგზავნიან, ჩვენი წარმოება განადგურდება. სხვა რა საშუალება ვიხმაროთ, თუ არა ტურისტების გაგზავნა ევროპაში, რათა ისინი ჭკვებონ მოვალეებმა? სუმთლად დავკარგე იმედი ქადაგისა.

მამას წერილი მივიღე და ჩემს მაგიერ დიდი მადლობა გადაეცი იმ პოლიტიკური აზრებისათვის, რომელნიც იქ ამოვიკითხე; ზოგიერთები ძალიან მომეწონა და უეჭველია ავამუშავებ. მისტერ ეჯერტონი ამბობს, რომ ნას მდაბიო ხალხის აზრი ესაჭიროება და სწორედ მამაჩემი გამოადგება ამ მხრივ. არ მიკვირს, რომ ჩემი ბედნიერება ცალი ყბით სჯერა მამაჩემს. მაგრამ ღვთის წყალობით ეს ყველაფერი ისეა, როგორც მე გწერთ.

ამასთანავე უთხარ მამაჩემს, არ იდარდოს თავის გოგონაზე, რადგანაც ჩემი თავისთვის მეც ძალიან კარგად ეზრუნავ. მისტერ ეჯერტონი თავის თავს არაფერს ისეთს ნებას არ აძლევს, საფიქრებელი იყოს და მგონია რომ მას ამისი უნარი არც უნდა ჰქონდეს. მას ჯერ ჩემთვის ერთხელაც არ უთქვამს, თუ რა მშვენიერი და ლაჟვარდოვანი თვალები მაქვს გრძელი, ბუნდოვანი წამწამებით. მგონია, მას ისიც არ შეუმჩნევია, რომ შეჯღანული ჩულქი მაცვია,

*) იხ. ჟურ. „მნათობი" № 1. 1928 წ.

მით უმეტეს, რომ დამავიწყდა და ფეხი ისე დავდე, რომ [illegible] დაენახა. სიმართლე რო ვსთქვა, მგონი მას უყვარს თავისი [illegible] ბრძოლა. [illegible] ეს [illegible] ეს [illegible] ეს

სჭირდება, და თუ ლაპარაკობს, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც მას ყურს არავინ უგდებს. მაგრამ ეს ვაჟბატონი რაღაცნაირად აქვრივ ამ — უმწვერვალეს პოსტზე და თან შეიყოლა ერთი ჯგუფი, რომელიც ... მას მფარველ ანგელოსობახ იმ ჩრდილო კარელინის ქვეყანაში, რომელსაც კიდევ რაღაცა სახელი აქვს და საიდანაც იგი მოგვევლინა. ყველა ესენი მდიდრები არიან, რომელნიც თავის ხარჯზე ინახავდენ ქადაგს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი სულ პატარა კაცი იყო მათი პოლიტიკურ ლაქიის მსგავსად, და რომელიც ეხმარებოდა მდიდრებს, თავის ჭკვაზე ეტრიალებინათ ჩრდილო კარელინის კუთხე.

ეხლა კი იგი ყველაზე დიდი კაცი გახდა მთელს ქვეყანაზე და სასაცილოა, რომ თვით ამ მდიდრებსაც აღარა სჯერათ ეს ამბავი და აღარ იციან როგორ მოექცნენ მას, ვინც მათი ლაქია იყო.

ვერ დაუჯერებიათ თავისი თავი, რომ ბრძანებები იმისაგან უნდა მიიღონ; ქადაგი კი ვერასოდეს ვერ გათამამდება ისე, მათ უბრძანოს, რადგანაც, უცნაური იქნება, თუ იგი პატივით არ მოექცა იმ ჯენტლმენთ, რომელთაც ბლომადა აქვთ ფული და რომელნიც ყოველთვის აძლევდნენ მას.

ამავე დროს თან ეშინიანთ ამ ფულიანებს, ვაი თუ უცბად ასწიოს ცხვირი და თავისი თავი ბატონად იგრძნოს ქადაგმაო. ამიტომ ეჯავრებათ ყველა გარეშე პირი და ყოველ ღონისა ხმარობენ, სხვა არავინ შეუჩნდეს მას.

ასე მიდიან საქმეები. მისტერ ეჯერტონი მეუბნება, არ უნდა გაცეცხლდე ხოლმე, თუ ზოგჯერ ქადაგი შენებურად არ ლაპარაკობსო. მე კი დარწმუნებული ვარ, ბოლოს და ბოლოს გამარჯვება ჩემი იქნება, რადგანაც მე წარმოვადგენ მდაბიო ხალხს, რომელიც საამომრჩევლო უფლებით სარგებლობს, ყველამ კი კარგად იცის, რომ ეს საარჩევნო უფლება არის ყველაფრის ბატონ-პატრონი. მისტერ ეჯერტონმა მითხრა, ქადაგი ძალიან შეწუხებულია იმაზე ფიქრით, თუ რა უყოს წითლებს, რომელთაც დიდი აურ-ზაური ასტეხეს. მკითხა, შენის აზრით ქადაგმა რა უნდა უთხრას ქვეყანას ამის შესახებაო.

და რო იცოდე, დედაჩემო, როგორ გამომადგა აქ მამას წერილი! სწორედ ამის შესახებ იწერებოდა იგი. მე უპასუხე:

— ყველა ეს წითელი გმირები ციხეში უნდა ჩააბძრანოთ.

— დიახ ეგ კარგია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ციხეში ჩამწვყდევამდე უნდა იყოს გასამართლება, მაშინ გაზეთებში პირველ გვერდზე მათი სიტყვები იქნება დაბეჭდილი და არა ქადაგისაო--სთქვა ეჯერტონმა.

— მაშინ საქმე უფრო გაადვილდება—უთხარი მე—თუ ამ ყმაწვილებს არ მოსწონთ ჩვენი ქვეყანა და მისი მმართველობა, დეე წავიდნენ აქედან.

— ამის შესახებ უკვე მქონდა ლაპარაკი და რამდენიმე წლის წინად კომუნისტების მეორე ასეული გავგზავნეთ რუსეთში. მაგრამ საქმე ის არის, რომ ნამეტანი ბევრნი არიან. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რამდენად ჯდება ესა და რა მძიმეა ქადაგისათვის ბოლშევიკებისათვის სამგზავრო ფულების გაცემა.

— მაშინ—ვსთქვი მე—ამისი უფლება რო მქონდეს, გზას შეუმოკლებდი მათ და ტყვიის აფრებიან ლოდების გემებით გავგზავნიდი ზღვაში.

დედა, უთხარი მამაჩემს, ნულარ გამომიგზავნის ძველ-ძველებს, რადგანაც აღმოჩნდა, რომ ამის შესახებ თვით ეჯერტონს დაუწერია რამდენიმე წლის წინად. ამის შესახებ მას არაფერი ვუპასუხე და მოგონება დავწერე ... დანარჩენისა, რასაც იწერებოდა მამა.

— მისტერ ეჯერტონ—დავილაპარაკე ბოლოს—ამიხსენით: ხალხი, რომელსაც იმდენი ჭკუა აქვს, რომ წარმოსათქმელ სიტყვებსა სთხზავს, ისე სულელი რაღათ არის, რომ ქონებათა გაყოფა სჯერა?

— საქმე იმაშია—მითხრა მან—რომ ბევრს ამ წითლებიდან სრულებითაც არ სურს რაიმეს გაყოფა. ისინი, პირიქით, სრულიად წინააღმდეგს ფიქრობენ—სახელდობრ იმას, რომ საჭიროა კერძო საკუთრებათა კონცენტრაცია, რათა ყველას მიეცეს საშუალება სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა.

— მერე რა უყოთ—უთხარი მე—განა ეს კარგი არ არის? წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი „მშვენიერების სალონი“ ეკუთვნის მთავრობას და ყველა ქალიშვილები, იმის მაგიერ, რომ საქმე გააკეთონ, სხედან ფეხებშეწყობილნი მაგიდაზე.

— რასაკვირველია და განა ასეთი სანახაობა არ მიიზიდავს აუარებელ მაყურებელთ?—მიპასუხა მან.

მაგრამ თემა არც ისე სასაცილო იყო თავისი სერიოზულობით და მე უთხარ:

— მაშინ ექნებათლა ქალიშვილებს რაიმე თავისუფლება? ან ვილა მოგვცემს სამუშაოს? ან არ დაგვჭირდება რომელიმე ჩრდილო კოროლინელ პოლიტიკანის მოძებნა, რომ ჩვენ შესახებ ერთი სიტყვა მაინც წასჩურჩულოს ქადაგს ყურში? არა, მისტერ ეჯერტონ, ქვეყნის კეთილდღეობა დამკვიდრებულია ინდივიდუალურ ძალღონეზე და იმ თავისუფლებაზე, რომელიც ეძლევა ყველა ჩვენგანს, რათა თავისით გაიკაფოს ცხოვრების გზა. შეადარეთ ჩვენი სიმდიდრე იმასთან, რასაცა ჰხედავთ ოკეანის გაღმელ ბიუროკრატიულ და სოციალისტურ ქვეყნებში!

დედაჩემო, ეს მეტად მძიმე და ძნელი ადგილი იყო, მაგრამ სიტყვა-სიტყვითა მქონდა ნასწავლი მამას წერილიდან და ისე მშვენივრადა ვთქვი, რომ მისტერ ეჯერტონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხუმრობას თავი დაანება, დაჯდა, დაფიქრდა და შემდეგ სთქვა:

— დიახ, მისს რიგს, უნდა ვაღიარო, რომ ეგ საღი შეხედულებაა. ვფიქრობ, ეს მშვენიერი თემაა ქადაგისთვის ხვალ საბაასოდ რეპორტიორებთან. ისინი აუარებელ საჩოთირო კითხვებს აძლევენ ერთი მსხვილი ბანკირის შესახებ, რომელიც განთავისუფლებულია ყოველგვარ გადასახადებიდან. მჯერა, რომ ეს თქვენი აზრები გამოიყვანენ მას მდგომარეობიდან, რადგანაც ამაზე კარგ აზრებს სახალხო სჯა-ბაასისათვის იგი ვერსად იპოვნის. საჩქაროდ უნდა გავიქცე მასთან.

ჩვენ დავაპირეთ გასვლა, მაგრამ, დედაჩემო, აი სწორედ ამ დროს მოხდა საშინელი ამბავი. მისტერ ეჯერტონს უნდოდა სადილის ფულის გადახდა, და როდესაც საფულე ამოიღო, შიგ ასდოლარიანზე ნაკლები ხურდა არ

აღმოჩნდა. ამოიღო ასდოლარიანი ასიგნაცია და პირდაპირ 'გული მტკიოდა' როცა შევყურებდი, რადგანაც ჩემს სიცოცხლეში ჯერ იმდენი ფული ერთბაშად არ მენახა. მართალია ეს იმაზე ცოტა მეტია, რამდენსაც მე ვაკეთებ თვიურად, მაგრამ ამას ხომ ნაწილ-ნაწილად ვიღებ, ყოველ კვირა, რის გამოც ახალ მიღების დროს ძველი მიღებულის სუნიც აღარ მიტრიალებს ჯიბეში. ლაქიამ შეჰხედა და სთქვა, მგონია, რომ სალარო ვერ შესძლებს მაგის დახურდავებასო. მაშინ მისტერ ეჯერტონმა მკითხა მე:

— თქვენ ხომ არ გექნებათ წვრილი ფული მისს რიგს?

მე კი ჯიბეში მხოლოდ ჩვიდმეტი ცენტი მეგდო. ყასიდათ შევუდექ ჯიბეების ამობრუნებას, თან ვიძახდი, მგონი რომ ათ დოლარიანზე ნაკლები არ მექნეს მეთქი. ლაქიამ კი გაიცინა. ათიანის დახურდავება ადვილიაო, მაშინ მეტი გზა აღარ იყო, პორტმანი ამოვიღე, ყასიდათ ჩავიხედე შიგ და არტისტიულად შევწუხდი, ათდოლარიანი შინ დამრჩენია მეთქი. რაღა თქმა უნდა ამ დროს, აშკარაა, საშინლად ვწითლდებოდი, არ ვიცი რაღა პატივისცემა უნდა ჰქონდეს მისტერ ეჯერტონს საერთაშორისო ფინანსებზე ჩემი აზრისა, როდესაც ჯამაგირის მიღების წინა დღეს სპილენძის მხოლოდ რამდენიმე ნაფერფლიღა მიგდია ჯიბეში საუზმისათვის.

შენი შეშფოთებული **მემ.**

## აქა წერილი მეექვსე ჩემი გამოწყობისა

საყვარელო დედა!

ძალიან მიხარიან, რომ ჩემი წერილები ჩვენს ოჯახს ეგრე მოსწონს და საინტერესოდ მიაჩნია. მართლაც და ხომ არასდროს ჩემ სიცოცხლეში არ დამმართია ამდაგვარი არაფერი, ან რაღა მე, მგონია, რომ ეს ბედი არა სწვევია კემდენ-ნიუ-ჯერსელ არც ერთ ქალიშვილს.

ოჰ, რო იცოდე, რა სასაცილო ამბავი დატრიალდა „ელიტ"-ში! პირდაპირ იწვიან გოგონები ცნობისმოყვარეობისაგან, რაკი გაიგეს, რო ვილაც დიდი ჯენტლმენი დავიჭირე. რომელიღაც მათგანს უნახვივარ სადღაც ამ ჯენტლმენთან და ვერასგზით ვერ გაუგიათ, თუ რისთვის არ მინდა იმაზე რამის თქმა! მეუბნებიან, სულელი ხარ თუ გგონია, რომ მაგის დამალვა ბოლომდე შეიძლებაო. ამას ლაპარაკი აღარ უნდა, ფეხდაფეხ დამიწყებენ დევნას და კარგა დამზვერავენ. მე კი მხოლოდ დავცინი. შიგა და შიგ, როცა ვთავისუფლდები სტუმრებისაგან, ვწერ პატარა შენიშვნებს, რაც, რასაკვირველია, ყველას ინტერესში აგდებს და ადა ხეგგინსი, რომელმაც თავისი სახელი „ადერ"-ად გადააკეთა, ეს ჩიტირეკია გოგო, მეკითხება წამდაუწუმ:

— რასა სწერ, მემ, შენს ნათესავებს ეგრე გაუთავებლად?

მაგრამ ტელეფონით დარეკეს. მისტერ ეჯერტონი იყო. ის მეკითხებოდა, შემიძლიან თუ არა დღეს შევხვდე მას საღამოს ხუთ საათზე, მაგრამ უხერხულია რადგანაც ეს გახურებული მუშაობის დროა; იმან ამიხსნა, მეტად დიდი საქმე მაქვს შენთანო და მაშინ მე ცალი ყბით დავთანხმდი: ვეცდები როგორმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიცალო მეთქი. ამიტომ წავედი ქალბატონისთვის მეთხოვა, საღამოსთვის გაშვება, მაგრამ მან ცეცხლები გადმოჰყარა და მითხრა:

— რა გგონია შენ, მშვენიერების სალონია ესა, თუ გასართობი დაწესებულება?!

გეყურება? ცბიერობს, მითომ არ იცის, რომ გოგონები სტუმრებს ამ სალონის იქითაცა ჰხვდებიან. ხოლო თუ მომატება სთხოვე, რომ თვითონ შეგვეძლოს სადილის ფულის გადახდა, ისეთ წივილ-კივილს ასტეხს რომ... უთაყვანმცემლოდ კი თვითონაც არა ბრძანდება, მასაც ჰყავს ერთი ჯენტლმენი, რომელსაც ერთ თვალში შუშის ბორბალი უდგა და ტიტელა კეფაზე გვერდებიდან აქვს გადაფარებული თმები წებოიანი სავარცხლით. თავის თავს იგი გრაფ სკრიმსკის ეძახის, მაგრამ დამერწმუნე: იგი გრაფი სრულებითაც არ არის. მე განუცხადე მას, ნება გაქვს ჯამაგირიდან გამომირიცხო, რამდენიც გსურს, ოღონდ საღამოზე კი უეჭველად წავალ მეთქი ორი საათით. მაშინ იგი შეეცადა გამოვეტეხე, თუ ვინ არის ეს ჯენტლმენი, მაგრამ უპასუხე: ეს სახელმწიფოებრივი საიდუმლოებაა და ამის შესახებ ბევრი ყბედობა აკრძალული მაქვს მეთქი. შენ ვერ წარმოიდგენ, რა კმაყოფილება აგრძნობინა მას ამ პასუხმა.

P. S. ო, დედაჩემო! ამ წუთას ჩემს თავზე ისეთი სასწაულებრივი ამბავი მოხდა, როგორიც კი შეიძლება მოხდეს ქალიშვილის ოცნებაში! მისტერ ეჯერტონმა კარგად იცოდა, რისთვისაც მიბარებდა საღამოს ხუთ საათზე, რადგანაც ცოტა გვიანაც რომ ეთქვა, მაღაზიებს ველარ მიუსწრებდით ღიას. დედა! უკანასკნელად რომ ერთად ვიყავით მე და მისტერ ეჯეოტინი, მშვენივრად მიჰხვდა იგი ჩემი ჯიბის სიცარიელეს და შეეცოდე. მივდიოდით ქუჩაში და როცა მივედით მაღაზია „ბონ-ტონთან", რომლის დარაბებში გამოფენილი იყო აუარებელი მშვენიერი ნივთები, მან დამაყენა დასათვალიერებლად და მკითხა:

— რა მშვენიერ რამეებს აკეთებენ ამ ბოლო დროს, არა?

მე უპასუხე:

— დიახ მართალია—ეს ისე ვსთქვი, ცერად, რომ ვერ გაეგო იმას, თუ რა შურითა და სურვილით უყურებდი ამ მშვენიერ რამეებს. იმან კი მითხრა:

— მოდი შევიდეთ. ვნახოთ.

ჰო და შევედით კიდეც ზემო ტანსაცმელის განყოფილებაში. იგი ეუბნება ნოქარს:

— ჩემს ქალიშვილს არ ეგონა, თუ ვაშინგტონში ასეთი სასტიკი ზამთარი დადგებოდა და მას სურს ეხლა შეიძინოს რამე მშვენიერი და თბილი ზევიდან ჩასაცმელად.

სწორედ ასე სთქვა სიტყვა-სიტყვით და ძალიანაც გამიკვირდა მისი ასეთი მოხერხება. სხვა აღარაფერი დამრჩენოდა, უნდა მოძახილი მეთქვა მისთვის და შემოვძახე კიდეც:

— აჰხ, მამაჩემო, ეხლა არა, მერე.

ის კი:

— არა, სწორედ ეხლაა საჭირო, თუ შენ არ გინდა მე ძალად გიყიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილმა ყურება დაუწყო, „მამაჩემს“ და მოუტანა ძვირფასი რამეები, მე კი ვოხრავდი:

— ო, არა, ეგ ხომ ძალიან ძვირია.

მაგრამ იგი ყურსაც არ მიგდებდა. მეც სხვა გზა არა მქონდა, უნდა დავმორჩილებოდი. ამგვარად მან ამირჩია ყავისფერი კოსტუმი, სწორედ იმ ფერისა, როგორიც მე მქონდა, მაგრამ ფერით ერთნაირნი, თვისებით სრულიად შეუდარებელნი. ისეთი რბილი და თბილია, როგორც ქურქი, ამასთანავე ბევრად მსუბუქი ჩემს ძველს პალტოზე.

შემდეგ მან მითხრა:

— ეხლა უნდა ამოვარჩიოთ თავსახური და ყველაფერი, რაც საჭიროა ამ კოსტიუმისთვისო.

უნდა წინააღმდეგობა გამეწია, დავაპირე იმის თქმა, რომ ამისათვის გამოდგებოდა ძველიც, მაგრამ მან დამასწრო, არ გამოდგებაო, და ვიდრე ჭკვაზე მოვიდოდი, შემიყვანა ხელთათმანებისა და ფეხსაცმელების განყოფილებაში. ამასთანავე მაღაზია იკეტებოდა, ნოქრებს დაღლილობა ეტყობოდათ, რის გამოც ცერად გვიყურებდნენ, მაგრამ მისტერ ეჯერტონი მათ ამხნევებდა ხუმრობით, და ასე დავასრულეთ ვაჭრობა. მე ყველაფერი ტანზე ჩავიცვი და მაღაზიიდან გამოსული სრულიად აღარა ვგავდი იმას, რომელიც შევედი, ნოქარმა იკითხა, სად გამოგიგზავნოთ ძველებიო, მაგრამ მისამართი ვერ უთხარ, რადგანაც შემეფერებოდა უფრო რომელიმე ძვირფასი ოტელიეს დასახელება და უთხარ, თვითონ გამოგიგზავნით კაცსა მეთქი. რაღა თქმა უნდა ხვალვე გამოვგზავნი, მაგრამ ისევ ჩემ თავს.

დედა, ისე ვიყავ გაკვირვებული და განცვიფრებული, რომ ბევრი თქმის ძალღონე აღარა მქონდა და მხოლოდ ესა ვთქვი:

— მისტერ ეჯერტონ, ეს თქვენის მხრივ ძალიან კარგი არ არის. თქვენ არ უნდა მოგეცათ ჩემთვის ამისი ნება.

მაგრამ მან მეტის-მეტად სერიოზულად მითხრა, რომ ის აზრები, რომელსაც შენ მაძლევ დახარჯულ ფულადა ჰღირს და სხვა სახითაც არ შემეძლო შენთვის იმ ფულის მოცემაო.

— რა უყოთ მერე, მე სრულიადაც არა მსურს, იმ აზრებში მაძლევდეთ ფასს —უპასუხე მე და მომიგო იმანაც:

— მაგრამ მე ხო ამაში მაძლევენ ფულს, თქვენ რაღათ უნდა გაისარჯოთ უფასოდ?—შემდეგ დაუმატა:—ჩემთვის გაიხსნა დიდი გული მდაბიო ხალხისა და ეხლა გავიგე, თუ რასა გრძნობს და რას ამბობს იგი. მხოლოდ ერთი რამისა მეშინიან ძალიან: მეშინიან ამ ფუფუნების კოსტიუმმა არ გაგაფუჭოთ თქვენ, არ დაგაშოროთ და არ დაგავიწყოთ, თუ რასა გრძნობს და რასა ლაპარაკობს მდაბიო ხალხი.

— არა, ამისთვის სრულიად ნუ იდარდებთ,—უპასუხე მე—რადგანაც კემდენ-ნიუ-ჯერსეიში მყავს დედაც, მამაც, დებიც და ძმებიც. როგორ დავივიწყებ იმას, რასაც ისინი გრძნობენ?

— თუ აგრეა, საქმე კარგად ყოფილა. თქვენ ისევ ისე განაგრძობთ ძველე-

ბურად ჩემთან ბაასს, მე გადავცემ ხოლმე ქადაგს, ქადაგი გადასცემს რეპორტიორებს, რეპორტიორები თავის გაზეთებს, ხოლო გაზეთები — მთელს ქვეყნიერებას აცნობებენ კემდენ-ნიუ-ჯერსეის ამბებს.

— მაგრამ რას გეტყვით ცოლი, როცა გაიგებს, მანიკიურ ქალიშვილს ამდენი ფული დაახარჯეთ?

— ამას ის ვერ გაიგებს. ყველაფერს დაუმალავ და დარწმუნებული ვარ არც თქვენ ეტყვით ამის შესახებ რამეს!

— ჩემგან კი გჯეროდეთ, რომ არ ვეტყვი, მაგრამ სხვამ ვინმემ თქვენი მხრიდან რო უთხრას?!

— თუ ამ საათში გვნახა ვინმემ ერთად, მე შემიძლიან დავარწმუნო იგი, რომ თქვენ ქალიშვილი ხართ რომელიმე ცნობილი ან დიპლომატის, ან, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, სენატორისა.

რასაკვირველია იმის მოსმენა ჩემთვის სასიამოვნო იყო, სწორედ ამდროს გავიარეთ კინოს წინ და მითხრა:

— თქვენ უნდა ძვირფასი ტანისამოსის ტარება ისწავლოთ. მოდი შევიდეთ და ვნახოთ ხელოვნების უკანასკნელი ნაწარმოები.

და შევედით.

ო, დედაჩემო, რო იცოდე რა ნშვენიერი სურათი იყო? ეს იყო ისტორია ერთი საწყალი მაღაროს მუშის ქალიშვილისა, რომელიც მოიტაცეს ყაჩაღებმა და რომელიც შემდეგ გაანთავისუფლა ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა, მაღაროს ერთი პატრონის შვილმა. ბოლოს შეუყვარდა იგი მაღაროს პატრონის შვილს და ჯვარიც დაიწერეს. ქორწილი გადაიხადეს შესანიშნავ თეთრ სასახლეში, რომელიც ინთქმებოდა ვარდ-ყვავილებში და ბანაობდა მზის სხივებში.

ეს რომ გუშინ მენახა, ვიტყოდი, მეტის-მეტად კარგია, რო მართალი იყოს მეთქი, მაგრამ ეს ამბავი ჩემს თავზეც მოხდა და აღტაცებისაგანა ვთრთოდი. ისე მთბილოდა და ისეთ კმაყოფილებასა ვგრძნობდი კინოში, რომ რამდენიმეჯერ ჩურჩულით მადლობაც უთხარი ყურში მისტერ ეჯერტონს და შიგადაშიგ ისე, მეგონა თითქო იგი მართლა მამაჩემია მეთქი.

მაგრამ უეცრად შიშმა ამიტანა და ვიგრძენ, რომ იგი სრულიადაც მამაჩემი არ არის, რომ იგი უბედური ქმარია თავისი ცოლისა, მე კი ქალიშვილი, დანიშნული კემდენ-ნიუ-ჯერსეელ საწყალ, მაგრამ პატიოსან მტვირთავზე. გადავწყვიტე: ჩემი საქმეა მხოლოდ სწავლება მისტერ ეჯერტონისა, რომელმაც თავის მხრით უნდა გაწრთვნას ქადაგი, ეს უუდიდესი კაცი მთელს ქვეყნიერებაზე, ხოლო მთლად კაცობრიობის სწავლება — იმათი საქმეა მეთქი.

მაგრამ დედაჩემო, რა ძნელია ახალგაზრდა ქალიშვილად ყოფნა და სიყვარული მშვენიერი რამეებისა, მით უმეტეს, როცა არა გაქვს მათი ყიდვის საშუალება, თუ ორი თვე მაინც არ იქნები მშიერი.

სახლში რომ მოვალ და ნავთის ქურაზე ვხრაკავ რამეს, საშინელი სევდა და ნაღველი მომიელის ხოლმე ჩემზე და საწყალ უოლტერზე, რომელსაც ჰგონია, რომ ცოლად გავყვები. გაყოლით, გავყვები, მაგრამ ხომ იცი დედაჩემო, რა ძნელია ცხოვრება საწყალი ხალხისთვის ამ წუთისოფლად!

ჰო და ესე!

მერე ჩვენ წავედით რესტორანში, და, რა წამს მისტერ ეჯერტონმა შეუკვეთა სადილი, მე განვაცხადე:

— ჩვენ უნდა შევუდგეთ საქმეს, რადგანაც თავს ბედნიერად ვერ ვიგრძნობ მანამ, სანამ რამოდენიმე საჭირო აზრს არ მოგაწვდით, რათა მადლობა გითხრათ ყველა იმ ფულისათვის, რაც თქვენ დახარჯეთ ჩემთვის.

მაშინ იმან მითხრა, ქადაგს ძალიან მოსწონს თქვენი აზრები წითლების შესახებ და იმ საშუალებაზე, რომლითაც შეიძლება მათი მოსპობაო, მხოლოდ მისი აზრით სჯობია ხელი ეშვათ ბოლშევიკებს, რადგანაც მათ ჯერჯერობით კიდევ ბევრი აქვთ მეფის ოქრო და ძვირფასეულობა, რითაც სურთ შეიძინონ ათი ათასი ტრაქტორი, რომელიც დაამზადა თავის ქარხანაში ქადაგის ერთმა მეგობარმა—მეგობარმა, რომელიც ქადაგის არჩევაში დიდ მონაწილეობას იღებდაო.

კაი ამბავია!—ვსთქვი მე:—მე კი მეგონა, თუ ამ რუსმა ჯელებმა ეს ოქრო მოიპარეს!

მისტერ ეჯერტონმა მიპასუხა, შეიძლება ეგრეც იყოს და ჩვენ არც გვეკუთვნოდეს ამ განძის წამოღებაო, მაგრამ ტრაქტორები რომ ვერ გავყიდოთ, ქარხანა დაიკეტება რის გამოც აურაცხელ ამერიკელ პატიოსან მუშას ამ ცივ ზამთარში ქუჩაში მოუხდება ყოფნაო.

— ჰხედავ—სთქვა ბოლოს მან:—რა რთული არის საერთაშორისო საქმეები!

მე კი უპასუხე:

— ღმერთო ჩემო, პირდაპირ არ ვიცი, როგორ გამოვერკვიო ამ ხლართისაგან. ეს საკითხი ვალების საკითხზე უფრო ძნელია და ცუდი, რადგანაც, ჩემის ფიქრით, ბოლშევიკებთან საქმის დაჭერა კაცის მკვლელებთან საქმის დაჭერას უდრის.

მისტერ ეჯერტონმა მიპასუხა:

— დიახ, დიახ, ეს ლოიდ-ჯორჯმა სთქვა რამდენიმე წლის წინად ინგლისში.

დედა, განმეორებითა გთხოვ, უთხარ მამაჩემს ნულარ გამომიგზავნის ძველ-ძველ ამბებს, მის აზრებს აღარ გამოვიყენებ და ყველაფრამდე ჩემით მივალ, ჩემი საკუთარი აზრით.

რაკი შეიძლებოდა ამ აჩქარებაში, ყველაფრის გაკეთება მოვასწარ. მან მითხრა, რომ ქადაგს ძაან აწუხებენ ამკრძალავი სისტემის მომხრენი, რომელთაც საშინელი აურზაური ასტეხეს მეტყველების მიერ წარმოების შეჩერების განზრახვაზე. განა იმ ბანკირს არა აქვს უფლება მინიჭებული, ხალხი ძალით დაუმორჩილოს კანონსაო, აი იმ ბანკირს კაბინეტში,—გვარი და სახელი დამავიწყდა მისი,—ბგონი კანტელუპსაო, თუმცა ამაში სრულად არა ვარ დარწმუნებული. ყოველ შემთხვევაში ეს მისტერ კანტელუპი ვისკის უდიდესი მექარხნეა მთელს ქვეყანაში და ამკრძალავი სისტემის მომხრეები არა ფიქრობენ, იგი გამოიყენონ მეტყველების ჭერაში. ამიტომ უთხარი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ იცით, მისტერ ეჯერტონ, ძველი ანდაზა, ქუჩაში ქურდი დაიჭერსო.

მისტერ ეჯერტონს ძაან მოეწონა და მითხრა, რომ ეს ძალიან მოსწრებული სიტყვაა. მაგრამ არა მგონია ქადაგს ეამოს მისი მეგობარი ბანკირისადმი შენი ამგვარი გამოსარჩლებაო.

ამის მეტი, დედაჩემო, ვერაფერი მოვახერხე, ისე, რომ ეს სრული მარცხია ჩემთვის და ალბად მისტერ ეჯერტონი ფიქრობს, რომ მე ახალ ტანისამოსში გადავეჩვიე, თუ როგორ ფიქრობს მდაბიო ხალხი.

გეთაყვა, ჰკითხე მამაჩემს, ხომ არ იცის, რისთვის ყიდულობს მთავრობა ვისკის მსხვილ მექარხნეს, რათა შეაჩეროს ვისკის წარმოება და, თუ იცის, შემატყობინოს რაც შეიძლება მალე. იმისთანა რამეებს ნუ მომწერს, რაც გაზეთებში ამოუკითხია, რადგანაც მისტერ ეჯერტონი იტყვის, ეს მოძველებულიაო.

P. S. ეხლა ვიფიქრე და თავში ერთი აზრი გამიჩნდა: თუ მამაჩემს სხვა არაფერი აზრი არა აქვს-რა იმის გარდა, რასაც გაზეთებში კითხულობს, დეე ნურაფერს მომწერს. ისევ მე თვითონ გავაკეთებ ყველაფერს ჩემი საკუთარი ძალღონით. ამის შესახებ მოველაპარაკები ჩვენი „ელიტ"-ის ქალიშვილებს, რადგანაც ისინი გაზეთებში კითხულობენ მხოლოდ გაყრის ამბებს, ბოროტმოქმედებების აღწერებს და კოსმეტიურ რეცეპტებს ისევე, როგორც ამას ვჩადიოდი წინად მე, ვიდრე მიმიწვევდნენ ქადაგის სიტყვებისათვის.

შენი აღელვებული **მემ.**

## აქა წერილი მეშვიდე

### ჩემდამი ქათინაურების თქმისა

საყვარელო დედა!

ძალიანა ვწუხ, რომ დღეს არ იყავ ჩვენს „ელიტ"-ში. მაშინ შენც ნახავდი იმ დიდ ამბავს, რომელიც მოახდინა ჩემმა იქ გამოცხადებამ ახალს კოსტიუმში. მე გადავწყვიტე სამსახურშიაც ამ ტანისამოსით ვიარო, რადგანაც ყოველ წუთსა და ყოველ წამს მოსალოდნელია დამიძახოს ტელეფონით მისტერ ეჯერტონმა. ახალს კოსტიუმში შესული რო დამინახეს ჩვენმა ქალიშვილებმა ისეთი წივილ-კივილი ასტეხეს გაკვირვებისაგან, თითქო თავის სიცოცხლეში არ ენახოთ ასეთი ტანთსაცმელი. თავს ბრუ დამხვიეს სინჯვით და კითხვებით: როდის ვიყიდე, სად ვიყიდე და, რაც ყველაზე უმთავრესია—რამდენი მივეცი. როცა პასუხის მიცემაზე უარი განვაცხადე, მოღალატე მიწოდეს და ხეტტი შენშტეინმა მკითხა:

— რა მიეცი მაგ კოსტიუმში ჯენტლმენს?

მე უპასუხე:

— ფასიანი აზრები.

რასაკვირველია მათ ეს მომაკვდინებელ ხუმრობად მიიღეს. განა ეს საცოდავი გოგონები წარმოიდგენენ იმას, რომ მე დარიგებასა მთხოვენ იმის შესა-

ხებ თუ რა უნდა ელაპარაკოს კვირაში ორჯერ მსოფლიო გაზეთების რეპორტიორებს უდიდესმა ადამიანმა დედამიწის ზურგზე? ეს რომ ნახონ, ხომ დაიფხრიწებიან სიცილისაგან?

აი, ვიყიდე საღამოს გაზეთი და ვკითხულობ—ქადაგი არ ამბობს იმას, რაც მე ურჩიე ეთქვა წითლების შესახებ. მაგრამ იგი უფრო ჭკვიანურად უდგება საკითხს, ვიდრე მე: მე ვერასოდეს ვერ მოვიფიქრებდი ისე თქმას და ამის გამო მეტის-მეტი პატივისცემა ვიგრძენ ქადაგისადმი, ის ამბობს, რუსებს უნდა ნება მივცეთ იყიდონ ხოლმე ჩვენი ტრაქტორები, რადგანაც ჩვენი ვალია—დავიცვათ ვაჭრობის თავისუფლება, რაიც ის დიადი პრინციპია, რომელზედაც აგებულია ამერიკის კეთილდღეობაო. ეს მე ძალიან კარგა მესმის. აბა იფიქრეთ, რა იქნებოდა ჩემს თავს, თუ ნოქარი, რომელიც მე და მისტერ ეჯერტონთან „ბონ-ტონ"-ში გვასინჯებდა ტანთსაცმელს, მეტყოდა მე, თქვენ საქონელს ვერ მოგყიდით, რადგანაც არ მომწონს თქვენი თვალები, ან კიდევ სხვა რამეო?! ამიტომ ქადაგის აზრით, ხელი არ უნდა შეუშალოთ რუსეთიდან მოსულ ხალხს იყიდონ რაც სურთ, ხოლო რაც შეეხება სხვადასხვა საფათერაკო იდეებს, ამას უნდა გაეწიოს სასტიკი წინააღმდეგობაო. ეხლა გიამბობთ ერთ სასაცილო ამბავს, რომელიც დაგანახვებთ, თუ რა შესანიშნავ საქმეს აკეთებს ქადაგი, როდესაც იგი საღ აზრს უნერგავს ჩვენს ხალხს. დღეს დილით ზოგიერთ ჩვენს ქალიშვილებს გამოველაპარაკე საერთაშორისო საქმეების შესახებ, რადგანაც მე მინდა გავიგო, თუ რას ფიქრობს მდაბიო ხალხი, რათა გადავცე მისტერ ეჯერტონს ქადაგისათვის. მე ვკითხე, რას ფიქრობთ იმის შესახებ, რომ რუსებს აქ შემოსვლის ნება მისცენ სხვადასხვა სასყიდელებისათვისა მეთქი. ისინი თითქმის ჭკვიდან შეიშალნენ და დაიწყეს ყვირილი, არ გვინდა ეს სასიზღარი ბოლშევიკები, რადგანაც მათ მთელს რუსეთში ქალების ნაციონალიზაცია მოახდინეს და ჩვენ ამნაირი რამ არ გვესაჭიროება ამერიკაშიო.

— მაშ თქვენ არა სცნობთ ვაჭრობის თავისუფლებას?—ვკითხე მე და ფლორაბელ მაკ-ჯინნისი მეცა მაშინვე:

— მე ვსცნობ ყოველი ქალიშვილის უფლებას, აირჩიოს გულის მეგობარი—სთქვა მან—და თუ თქვენ ამას ვაჭრობის თავისუფლებად არა სცნობთ, მაშ რაღა გინდათ სხვა!

როცა საუზმიდან დავბრუნდი, თან მოვიტანე გაზეთი, სადაც ქადაგის უკანასკნელი ინტერვიუ ეწერა და მივაწოდე ფლორაბელს:

— აჰა, ნახე რას ამბობს ყოველივე ამის შესახებ ქადაგი.

მან წაიკითხა და ცოტა ხანს შემდეგ გავიგე, რას ელაპარაკებოდა ადა ხეგგინსს:

— მერე რა უყოთ, თუ რუსებს ბევრი ფული აქვთ, დეე მობრძანდენ და იყიდონ, რაც მოეფიქრებათ. ბოლოს და ბოლოს ხომ თავისუფლებაა ვაჭრობისა! ეს ის დიადი პრინციპია, რომელზედაც არის აგებული კეთილდღეობა ამერიკისა.

ამას ისე ამბობდა, დედა, თითქო ჩემ საკუთარ აზრებს ვამბობო. ნამდვილად კი იმ წუთას ამოიკითხა ყოველივე გაზეთიდან—საოცდავი გოგო! აქედან

რაღა თქმა უნდა, შენთვის აშკარაა, თუ რა ძაან საჭიროა შესწავლა ამ საკითხებისა, რათა ვიცოდე, რა ველაპარაკოთ მისტერ ეჯერტონს — ქადაგისათვის გადასაცემათ, რომ ქადაგმაც თავის მხრივ გადასცეს ის ფლორაბელებს.

ამ ინტერვიუში იყო კიდევ სხვა აზრიც, რამდენადაც მე მესმის, უფრო საჭირო და აზრიანი. ქადაგი ამბობს არის კიდევ სხვა დიადი პრინციპი, რომელზედაც არის დაყრდნობილი ამერიკის კეთილდღეობა—ეს არის აზრთა თავისუფლებაო: ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, თქვას ის, რაც მოეფიქრება და მაშინ ადვილი იქნება უკეთესი აზრების პოვნაო, მე ეს ზოგიერთ ქალიშვილებს წაუკითხე, რომ გამეგო, რას იტყოდნენ და ოტერმა—რომელიც მუდამ წინააღმდეგობის თქმას ცდილობს—სთქვა:

— თუ ის ასე ფიქრობს, მაშ რაღათ ეშინიან და არ აძლევს ნებას რუსებს გაავრცელონ თავიანთი აზრები ამერიკაში?

გაგიგიათ როდისმე ასეთი სისულელე— ნება მიეცეთ ბოლშევიკებს, მოვიდენ აქა და გაიგრძელონ ენა, როგორც მოესურვებათ?

— მითომ რატომ არა?—მაბეზრებდა იგი თავს.

— ნუ თუ არ გესმის, შე სულელო შენა,—უთხარი მე—რომ ეს ვაჟბატონები მოიტანენ ბღუჯა-ბღუჯა ფულებს და შეეცდებიან ჩვენი მთავრობის ჩამოგდებას?

ის კი:

— მერე შეუძლიანთ ესა?

— რასაკვირველია არა—უპასუხებ მე.

— მაშ რიღასი უნდა გვეშინოდეს?

— გვეშინოდეს? ვინ რას გეუბნება შიშზე?

— მაშ რაღათ არ უნდა მივცეთ ნება ლაპარაკისა?

— მაგრამ, სულელო—ვეუბნები—ისინი აქ იყიდიან სტამბებს და აგვიჯანყებენ ჩვენს უცხოელ მუშებს.

ის კი მიპასუხებს:

— თუ კი ტრაქტორების ყიდვის უფლება აქვთ, რატომ არ შეიძლება სტამბაც იყიდონ?

პირდაპირ სიცხე მომცა და უთხარ:

— პირდაპირ ისე ლაპარაკობ, როგორც ბოლშევიკი, თქვენ უნდა ციხეში ჩაგაბრძანონ, რომ მაგისთანა საზიანო ლაპარაკების უფლება აღარა გქონდეთ.

— ო, მაშ ესე გესმით თქვენ სიტყვის თავისუფლება?—სთქვა მან.

სწორეთ ამ დროს შემოვიდა ქალბატონი და, როცა გაიგო, რომ ვჩხუბობდით, წაისისინა და რამდენიმეჯერ თვალები დაგვიბრიალა, თან გაიარა სტუმრის შესახვედრად, ასეთი ბედი გვაქვს—მხოლოდ სხვისა თითები უნდა გვეჭიროს ხელში და ნება არა გვქონდეს პირი გავაღოთ რამის სათქმელად. ჩვენ თითქმის იმაზე მეტი უფლება არცა გვაქვს, რაც გამბწკინავ მანქანას, და დამიჯერე დედავ, რომ ხანდახან ასე მგონია ველარ ავიტანო ასეთ მდგომარეობას! ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ქალბატონი წამისისინებს, ველარ მოვითმენ და ვეტყვი ყველაფერს მას, ვეტყვი, რომ არ გაბედოს თავისუფალ ამერიკელების

ჭკუის სწავლება, არ გაბედოს იმის სწავლება, თუ რა ვილაპარაკოთ, როგორ ჩავიცვათ და როგორ დავიეარცხნოთ თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ეს როდისმე მოჰხდება, ბოლო მოეღება ქალბატონ ლაფფერინის ტკბილ ცხოვრებას, რადგანაც ამის შესახებ ველაპარაკე დანარჩენ ქალიშვილებს და ისინიც სწორე ისე ფიქრობენ, როგორც მე. სანაძლეოს ვდებ, რომ შემეძლო ყველა მათი დათათბირება ჩვენი უფლებების დასაცავად. რამდენიმე დოლარი რო მიმეღო წინდაწინ დედაჩემო, მაშინ უფრო გაბედული ვიქნებოდი ამ საქმეში. მაგრამ ჩვენ, ქალიშვილები, ყველა ერთნაირები ვართ: კვირის ბოლოში არც ერთს ჩვენთაგანს გროში აღარ მოეპოება ხოლმე ჯიბეში. კარგი იქნებოდა აღმოგეჩენოდა ისეთი ვინმე, ვინც დაგვეხმარებოდა გაფიცვაში, რათა შიმშილით არ დავიხოცხეთ. მაგრამ უეჭველია, არავინ დაეხმარება საწყალ მშრომელ ქალიშვილებს, რომელთაც სურთ მოიპოვონ თავისი უფლებები.

ეს-ეს არის მოვედი სასადილოდან მისტერ ეჯერტონთან სადილობის შემდეგ. ჩვენ ვიყავით შესანიშნავ მდიდარ სასადილოში იმიტომ, რომ მისტერ ეჯერტონი ამბობს, ეხლა შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ სხვა, ამაზე მდარი ადგილი შენს სილამაზეს არ შეეფერებაო. ამასთანავე მეუბნება იგი, ნუ სწუხდები ხარჯების შესახებ, რადგანაც შენი აზრები ამ ფულად და ხარჯებად ღირსო. არასოდეს ქადაგი ისე კმაყოფილი არა ყოფილა, როგორც ამ აზრებით რომელნიც მე მივეცი ამას წინად.

მისტერ ეჯერტონმა მითხრა, ქადაგი თითქმის იღიმებოდა სიამოვნებისაგან, და ჩვენ შორის ლაპარაკიც მოხდა, რაც თვეში ერთხელ ძლივს მოხდება ხოლმეო.

რასაკვირველია, მომინდა გაგება, თუ რა ლაპარაკი ჰქონდათ მათ.

და მისტერ ეჯერტონმა მიპასუხა:

— მან მითხრა: „გუშინ საყდარში ვიყავიო."

მისტერ ეჯერტონმა, რასაკვირველია, ზრდილობის გულისათვის ჰკითხა: „ვინ იქადაგა?"—„ექიმმა რიმგომმა", უპასუხა ქადაგმა. „კარგი ქადაგება იყო?"—ჰკითხა მისტერ ეჯერტონმა. „დიახ"—უპასუხა ქადაგმა. „რაზე იქადაგა?"—ჰკითხა მისტერ ეჯერტონმა. „ცოდვაზე"—უპასუხა ქადაგმა. „მერე რა სთქვა ცოდვაზე?"—ჰკითხა მისტერ ეჯერტონმა. „არ ურჩევდა არავის ცოდვების ჩადენას"—უპასუხა ქადაგმა.—აი მთელი ჩვენი ლაპარაკი—მიპასუხა მისტერ ეჯერტონმა ბოლოს.

მისტერ ეჯერტონმა ისე გადიხარხარა, თითქო რამე იყო სასაცილოო, მაგრამ მე ვერაფერს ვხედავდი იქ სასაცილოს და ვსთქვი:

— რა უყოთ, განა მართალი არ არის? რანაირად შეიძლება, რომ მქადაგებელმა ცოდვების ჩადენა მოგვიწონოს?

მაშინ მისტერ ეჯერტონმა თვალი თვალში გამიყარა და სთქვა:

— ეს საკვირველია, ძაანა ჰგეხართ ქადაგს ჭკუის წყობილობით.

ეს, რასაკვირველია, არაჩვეულებრივი ქათინაური იყო. მთლად ავენთე და ვკითხე:

— რანაირად, როგორ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმან მიპასუხა:

— თქვენ სერიოზული ჭკუა გაქვთ. არასოდეს უბრალო რამეებზე არ ხარჯავთ დროს.

— სუმთლად ეგრე არ არის — უთხარი მე — მაგრამ, რასაკვირველია, როდესაც საქმე ისეთ სერიოზულ რამეს შეეხება, როგორც მაგალითად ამერიკელ ხალხისადმი ცოდვებზე ქადაგებას, არავის ფიქრადაც არ მოუვა თავში ხუმრობა.

— არიან ისეთი ბოროტი ადამიანები, რომელნიც ამაზედაც ხუმრობენ, — მითხრა მან — მაგრამ თქვენ არა ხუმრობთ და სწორედ ამისთვის გესმით კარგა ქადაგი, იმასაც სწორედ ამისთვის მოსწონს თქვენი აზრები, როდესაც გადავცემ ხოლმე მას.

შეგიძლიან წარმოიდგინო, დედა, თუ რა ბედნიერებასა და ნეტარებას განვიცდიდი!

შემდეგ ჩვენ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა სთქვა ქადაგმა სიტყვისა და ვაჭრობის თავისუფლების შესახებ. მისტერ ეჯერტონმა სთქვა, რომ ესეს არის ერთმა ბოლშევიკმა გამოუგზავნა ქადაგს ტელეგრამმა, სადაც იგი ამბობს: თუ მართლა სცნობთ სიტყვის თავისუფლებას, იქნებ გამოუშოთ ციხიდან ერთი ჩემი ამხანაგი, რათა მან ეს სიტყვის თავისუფლება გამოიყენოსო. აქედან შენ აშკარად დაინახავ, თუ რა მართალი ვიყავ, როდესაც ვეუბნებოდი ოტერს, ბოლშევიკები საშიში ხალხია მეთქი. მაშინ მე მამაჩემის ერთი აზრი გამოვსთქი: თავისუფლება გარყვნილებას არა ნიშნავს მეთქი. მაგრამ მისტერ ეჯერტონმა სთქვა, რომ ეს ძველი აზრებია, ეტყობა, რომ მამას ყველა აზრები მოძველებულა.

მაშინ ჩემი საკუთარი თავიდან უთხარ:

— მთავრობას რომ დაცვის უფლება წავართვათ, რა გამოვა?

მისტერ ეჯერტონი ისევ გამხიარულდა, აღფრთოვანდა და მითხრა, ეს ახალი საბუთია შენი ქადაგთან სულიერი ნათესავობისაო.

ასე ვისხედით და სრულიად ბედნიერნი ვყბედობდით მშვენიერი ძსუყე სუფრის წინ, რომ უეცრად შევნიშნე ვილაც ობოლი ყმაწვილი ჩვენს მეზობლად მაგიდაზე. ეტყობოდა იგი ისმენდა ჩვენს ლაპარაკს. მე ზვერა დაეუწყე უცნობს და მენაჯს ქალალდზე დავწერე: „ყურს გვიგდებენ". ეს წავაკითხე მისტერ ეჯერტონს. მაშინ იმან ლაპარაკი დაიწყო წლევანდელი არაჩვეულებრივი მკაცრი ზამთრის შესახებ და წამდაუწუმ გადახედავდა ხოლმე უცნობს, რომელიც უეცრად შეუდგა ჭამას. ამის შემდეგ საერთაშორისო საქმეებზე კრინტიც აღარ დაგვიძრავს.

ბოლოს, როდესაც ავდექით და გადავდგით ფეხი კარების დირეზე, ვხედავ ის უცნობიც ადგა და, როცა გავედით ქუჩაში ისიც უკან გამოგვყვა ფეხდაფეხ. ჩვენ რომელიღაც დარაბასთან დავდექით და ისიც დადგა. მაშინ უთხარი მისტერ ეჯერტონს:

— თვალყურს გვადევნებენ. მე ერთ ავტობუსში ჩავჯდები, თქვენ მეორეში და აბა მაშინ ვნახოთ რა გამოვა.

ერთმანეთს ხელი მოუჭირეთ და მაშინვე გაექანდით ავტობუსისკენ, რომელიც იქით მიდიოდა, სადაც მე ვცხოვრობ. ამის მეტი არაფერი ბრძანა. რადგანაც ის უცნობი იმ ავტობუსში არ ჩამჯდარა, რომელშიც მე ვიჯექ. შენ არა ფიქრობ, დედა, რომ შესაძლებელია მისტერ ეჯერტონის ცოლმა გაიგო, რომ მისი ქმარი ვიღაც მანიკიურ ქალთან სადილობს ხოლმე? ან იქნებ ეს ბოლშევიკებიც არიან, რომელნიც ძირს უთხრიან რა მთავრობას, ცდილობენ ხელი შემიშალონ, რათა აღარ გავაცნო ქადაგს მდაბიო ხალხის დიდი გული?

შენი შეშინებული **მემ.**

## აძა წერილი მერვე

### ჩემი სახახლეში შეხედვისა

საყვარელო დედავ!

შენ რომ ჩვეულებადა გქონდეს წაიკითხო გაზეთებში ყოველივე ის, რასაც ლაპარაკობს ქადაგი, მაშინ დაინახავდი, თუ რა ხშირ-ხშირად ამბობს იმას, რასაც ვასწავლი მე. უკანასკნელი ჩემი სწავლება იყო იმის შესახებ, რომ მთავრობას აქვს უფლება თავი დაიცვას თავზე ხელაღებულებისაგან, რომელთაც უნდათ მისი დამხობა.

გუშინ არაფერი ახალი ამბავი არ მომხდარა გარდა იმისა, რომ ქადაგს მთელი ერთი წუთი მოუნდა დგომა ავტომობილში ჩაჯდომისას, რადგანაც მისმა ცოლმა ვერაფრით ვერ მიიტყუა დროზე თავისი ძაღლი.

მაგრამ დღეს შემიძლიან გიამბოთ მეორე ამბავი, უფრო საინტერესო. თურმე ნუ იტყვით, აუცილებელი საჭიროება ყოფილა ქადაგისათვის მოძრაობა, იმას კი ამისთვის არა სცალიან. ამისათვის იმ დიდ თეთრ სახლში, სადაც იგი სცხოვრობს, გაუმართავთ ელექტრონის აქლემი, რომელზედაც ყოველ დილას შეჯდება ხოლმე იგი და თავის თავი აქლემით მოგზაური ჰგონია, რაიც მას აფხიზლებს და ამხნევებს. ჩემის ჭკუით ეს დიდებული აზრია, მაგრამ ვფიქრობ რომ მოსაწყენი უნდა იყოს აქლემით მოგზაურობა ოთხ კედელ შორის, სადაც მგზავრი მოკლებულია დასტკბეს ნამდვილი და სხვადასხვა სანახაობებით, როგორც ცოცხალი აქლემით მოგზაურობის დროს. მაგრამ ეტყობა ქადაგი ისე ღრმად არის ჩანთქმული თავის საქმეებში, რომ მას არ ეცლება აქეთ-იქით ყურებისათვის ნამდვილი აქლემის მოგზაურობის ჟამს; მაშინ როდისღა უნდა იფიქროს, თუ რა უთხრას რეპორტიორებს!

ამას წინად ერთმა ჩვენმა კლიენტმა „მშვენიერების სალონში“ შემოხვევით დასტოვა ჟურნალი, რომელშიც ვნახე ქადაგის სურათი. რასაკვირველია აქლემზე გადაღებული სურათი არ იყო ეს; მხოლოდ მისი სახე იყო დახატული. ამოვჭერი ჟურნალიდან ეს სურათი, მივაკარ წებოთი კარდონს და ცხვირ წინ დავიდგი მაგიდაზე, რათა ყოველთვის უყურო ხოლმე იმ დროს, როცა მისტერ ეჯერტონს უმზადებ აზრებს ქადაგისათვის სასწავლებლად. რომ შემდეგ მან გადასცეს ხოლმე რეპორტიორებს. სასურველი იყო პირადათ ჩემთვის,

მისტერ ეჯერტონს აღარასოდეს ეთქვა, მაიმუნსა ჰგავსო, რადგანაც მისი სურათის ყოველ დანახვაზე მაიმუნი მაგონდება, ხოლო, როცა ეჯერტონ-ეჯერდები მის სურათს, მგონია, რომ იგი ბევრითა სჯობია მაიმუნს. რაღა თქმა უნდა, ბევრ კინომსახიობებს ვიცნობ, რომელთაც უფრო მშვენიერი გამოხედვა აქვთ, ვიდრე ამასა, მაგრამ სამაგიეროთ ასეთი დიდი იდეები არა აქვთ მათ!

მე ისევ მისტერ ეჯერტონთან ვისადილე, მაგრამ ამჟამად იაფფასიან რესტორანში ვისადილეთ, რადგანაც ამას წინად ძალიან შეგვაშინა იმ უცნობმა, რომელიც თვალყურს გვადევნებდა. მე მგონია, რომ ეს მისი ცოლის მოგზავნილი უნდა იყოს, რადგანაც იგი ძალიან ბრაზობს, რომ მისი ქმარი მდაბიო ხალხის გულის შესწავლას მეტის-მეტად ბევრ დროს ანდომებს. თურმე ნუ იტყვით, მისტერ ეჯერტონის ცოლი დარწმუნებულა, რომ მის ბეჭებზე ამოსული ხალის მიზეზი გულის კიბო ყოფილა, და, როდესაც ეჯერტონი ცდილობს დაარწმუნოს, რომ ეს ასე არ არის, იგი ტირის, შფოთავს და ეუბნება, რომ მას თავისი ცოლი აღარ უყვარს, რომ მას სურს მისი მალე სიკვდილი, რათა გაიქცეს ვიღაც თავით-ფეხებამდე შეღებილ თმანათელ გოგონასთან.

მაგრამ ისიც შესაძლებელია, მტრები უთვალთვალებდნენ მას.

— განა მტრები გყავთ თქვენა?—ვკითხე მე.

იმან მიპასუხა:

— იმათზე მეტი თეთრ სახლში არაფერი მოიპოვება ჩემთვის ისევე, როგორც სხვებისთვის, რადგანაც იქ ყველასა სძულთ ერთმანეთი.

თურმე ნუ იტყვი, იქ მთელი დუქინია მდივნებისა, მაგრამ მისტერ ეჯერტონი განსაკუთრებული მდივანი ყოფილა, ანუ ეგრე რო ვსთქვათ, ის სრულიადაც მდივანი არა ყოფილა, თუმც სიაში მდივნადა სწერია, ამაში ძალიან ცოტას აძლევენ მას. მისი მთავარი ჯამაგირი მოდის იმ ჯამიდან, რომელსაც საქმის ხალხი იძლევა, რათა ქადაგის მიერ ითქვას ესა თუ ის მოსაზრებები. ისე, რომ მისტერ ეჯერტონს სამდივნო კი არ ეძლევა, არამედ საძიძაო, რადგანაც იგი ქადაგს ასწავლის სათქმელ აზრებს. ამასთანავე რაღა თქმა უნდა, მისტერ ეჯერტონს სრული უფლება აქვს დღისა და ღამის ყოველ წუთს მივიდეს ხოლმე დიდ თეთრ სახლში, რის უფლებაც ძალიან მცირე ნაწილსა აქვს. ვისაც ამისი უფლება არა აქვს, ამ უფლებით ბედნიერების, წინააღმდეგ ეწევიან მუდმივ ინტრიგებს და სარმის გამოდებას.

მან ამიხსნა, რომ იქაც სწორედ ისეა, როგორც სასახლეში მეფის დიდებულთა შორის, მაგრამ მე რადგანაც მეფეს სასახლეში არასოდეს არა ვყოფილვარ, არავითარი წარმოდგენა არა მაქვს, ვსთქვა რამე. ის მელაპარაკა იმ ხალხის შესახებ, რომლებთანაც არის იგი ჩაბმული დიდ თეთრ სახლში. დაქირავებული უგდებდი ყურს იმისთვის კი არა, ჭორები მიყვარდეს, არამედ იმისთვის, რომ ჩემთვის საჭიროა გავიცნო ეს ხალხი, რადგანაც წილადა მხვდა ქადაგის სწავლება.

მისტერ ეჯერტონმა მიამბო, იქ არის ერთი ძველი ჯენტლმენი სახელად მისტერ პროუს, რომელიც პაპისდაგვარი ნათესავია ქადაგისაო, მას ქადაგის სამშობლო ქალაქში ერთი დიდი მაღაზია აქვს, მაგრამ იქ საქმეები თავისთა-

ვად მიდის, ხოლო დიდ თეთრ სახლში თავს ირთობს და იტკბობს ეს ძველი ჯენტმლენი სხვადასხვა ინტრიგებით და სიამოვნებს თავისი უპირატესობით უფლებებშიო. მასთან მოდიან სხვადასხვა ადამიანები, რომელთაგან ზოგს ის უნდა, ზოგს ეს; ისიც ყურს უგდებს, და ისეთ გამომეტყველებას იღებს, თითქო ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული; ეტყვის, ვნახოთ თუ შეიძლება რამის გაკეთება, გავაკეთებთო, გამოჰკითხავს ყველაფერს და შემდეგ დაუწყებს ყურში ჩურჩულს ქადაგს, რომ ქვეყნიერების კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, პიტ უიზლი იქნება დანიშნული სატამოჟნო გადასახადების ამკრებადო, და თუ ქადაგი მიიღებს მის რჩევას, ეს ძველი ჯენტლმენი თავს ამაყად და ბედნიერადა გრძნობს მთელი ერთი კვირის განმავლობაში.

არის კიდევ მეორე ტიპიც, მსხვილი მექარხნე, სენატორი, რომელსაც ბეტტლს-ი ჰქვიან და რომელიც წინად, ქადაგის ნამდვილი ბატონ-პატრონი ყოფილა. ეხლა ის დიდი ვინმეა პოლიტიკაში. იმასაც ამბობენ, რომ იგი მთელს მანქანას განაგებს და ამასთანავე თავია ყველა პოლიტიკური საკითხებისა და სენატორებისა. მაგრამ ხანდახან მასაც უძნელდება ხოლმე საქმე, რადგანაც თავის ქარხანაში დაჩვეულია იგი სრულს ბატონობას, ბრძანებით თქმას, თუ ეს გააკეთეთ, ის გააკეთეთ და თუ არ მოგწონთ—ნება გაქვთ მიბრძანდეთ. მაგრამ სხვა სენატორები ამას არ არიან შეჩვეულნი და საერთოდ არ მოწონთ ეს კამპანია, რომელიც ქადაგმა თან მოიტანა თავისი ცივი ქვეყნებიდან, და აი ამის გამო მათ შორის სწარმოებს გაუთავებელი ომი. მისტერ ეჯერტონი მთელი თავისი ძალლონით ცდილობს, ეს ამბავი არ გავიდეს გაზეთის ფურცლებზე.

მისტერ ეჯერტონი ამბობს, რომ ქადაგი ძალიან დამწუხრებულია ამ ელექტრონის აქლემით, რადგანაც შეიძლება ხალხმა იფიქროს, რომ არ შეჰფერის უდიდეს ადამიანს დედამიწის ზურგზე პიჟამში ჩაცმულმა ისეირნოს ამ აქლემით თავის საძილე ოთახშიო. მე უთხარ:

— ჩემის აზრით, მას ასე უფრო შეჰფერის გართობა, თორემ თუ ქუჩა-ქუჩა დაიწყო სეირნობა აქლემით, სრულიად დაეცემა მისი ღირსებაც და პრესტიჟიც.

მისტერ ეჯერტონმა მითხრა, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომ მე ყოველთვის საღის გონებით უყურებ საქმეს, და თუ მე მჯერა, რომ მდაბიო ხალხიც სწორედ ასე უყურებს, მით ქადაგიც ნაკლებად უბედური იქნება.

მისტერ ეჯერტონი ამბობს, რომ ქადაგს ისე ძაან არაფერი აღონებს, როგორც დაცინვები, რადგანაც იგი თავის საქმეს ძალიან სერიოზულად ეკიდება და უნდა, რომ ხალხიც მას ასე ექცეოდესო.

— სხვანაირად როგორღა შეიძლება?—უთხარი მე—ხუმრობა ხომ არ არის, ასი მილიონი ხალხი გელოდებოდეს, თუ რას ასწავლი მას, რას უნდა ფიქრობდეს ის, და, როგორ შეიძლება სერიოზული არ იყოს ის კაცი, რომლის კისერზედაც არის მთელი ქვეყნიერების გაზეთების რეპორტიორებთან საუბარი!

— სწორედ ასეც არის—სთქვა მისტერ ეჯერტონმა და შემდეგ მკითხა:

— თქვენ გჯერათ, რომ აქლემი მას არაფერს დაუშავებს?

— ის, ვინც ამაზე გაიცინებს—არ არის ნამდვილი ამერიკელი—უთხარი

მე.—მდაბიო ხალხი, რომელსაც მე ვიცნობდი კემდენ-ნაუ-ჯერსეიში, იმ აზრისაა, რომ კაცი, რომელიც მას ასწავლის, მას მიუძღვის წინ და გაუგებს მის საერთაშორისო საქმეებს, უნდა თავშეკავებული და ზნეობრივად ამაღლებული იყოს, რომელსაც სისულელეებისთვის არ ეცლება. არა მგონია იგი ელექტრონის აქლემზე მხოლოდ უბრალო გართობისათვის სეირნობდეს.

— არა, ეს თირკმელებისთვისაა საჭირო—სთქვა მისტერ ეჯერტონმა.

— რაღა თქმა უნდა, იგი უნდა ზრუნავდეს თავისი თირკმელებისთვის,—უთხარი მე.—აქლემით სეირნობის დროს იგი ფიქრობს სახელმწიფო საქმეებზე, რასაც გამვლელ-გამომვლელნი არ უშლიან ხელს თავისი მზერით, დაცინვითა და ხუმრობით.

მისტერ ეჯერტონმა მიამბო, როცა ქადაგმა ეს ამბავი ნახა პრესაში, ძალიან გაჯავრდა და იმ დღეს სხვა აღარაფერზე ლაპარაკი აღარ შეეძლო. სულ იმასა კითხულობდა, თუ ვინ დაიყბედა ამ აქლემის შესახე გაზეთების ფურცლებზეო და მეხვეწებოდა გამეგო ჯერ მისი ვინაობა, ვინც ეს საქმე უყოო. მისტერ ეჯერტონი წავიდა თურმე ჯერ პაპა პროუსთან და ამ ძველმა ჯენტლმენმა დიდათ საიდუმლოთ უთხრა, რომ იმის ფიქრით ეს სენატორ ბეტტლს-ის ოინი იქნება. მაშინ მისტერ ეჯერტონი ახლა ბეტტლს-თან წავიდა და ჰკითხა თუ ვინ გაიტანა გაზეთში აქლემის ამბავი. ბეტტლს-მაც დიდად საიდუმლოდ მოახსენა, რომ იმისი აზრით ეს მისტერ პროუსის ოინია. აბა ეხლა შენ მითხარი, დედა, ვინ იფიქრებდა, თუ სასახლე ასე ძაანა ჰგვანდა ჩვენს „მშვენიერების სალონს?“

ჰო და ასე დედაჩემო! საერთაშორისო საქმეების ყურის გდება შემიძლიან მთელ დღეს, მაგრამ ყველა ამ ინტრიგებმა მომიშალეს ნერვები და აქეთ-იქით დავიწყე ყურება. უცბად თვალი მოვკარ სუფრასთან მჯდომ იმ ვაჟბატონს, რომელიც ამას წინად ცდილობდა ჩვენს მოყურიადებას.

— მისტერ ეჯერტონ—უთხარ მე—კიდევ გვადევნებენ თვალყურს.

ისე დაიბნა იგი, რომ აღარ ესმოდა, რას ველაპარაკებოდი. მერე მითხრა:

— როცა გავალთ, ნება მომეცით ტაქსაში ჩაგსვათ, რადგანაც შემდეგ იგი ველარ მოგაგნებთ და გაუძნელდება თქვენი გზა-კვალის გაგნება. მეც სხვა მხარეს წავალ, შევერევი ხალხში და დავეკარგები თვალიდან.

მან ფული მომცა, და, როცა გამოვედით, ტაქსაში ჩამსვა და გავქროლე. ცოტა რომ გავიარე, მივიხედე უკან და ვხედავ რომ ჩემს უკან სხვა ტაქსის ლამფები მოანათებენ. თვალყურის დევნება დავიწყე და შევატყე რომ ტაქსა ფეხდაფეხ მომდევდა. მაშინ უთხარ შოფერს, ჩამომსვი მეთქი. იმან მოცემული ფულის ნაწილიც დამირჩინა. რაწამს გამოველ, დავინახე რომ მეორე ტაქსაც დადგა და შემდეგ ნელის ნაბიჯით მომყვა უკან.

— მოითმინეთ, მე გაგაცილებთ—მომელანდა მე და შევვარდი დიდ ოტელიეს შესავალში. ამას ხელს უწყობდა მისტერ ეჯერტონის მიერ ნაყიდი ჩემი მშვენიერი კოსტუმი ისე, რომ თავისუფლად შეეძლოთ ეფიქრათ, რომ მე ამ დიდ ოტელიეში ვცხოვრობდი. შევედი ლიფტში, ავედი სულ მაღლა და ჩამოვჯექ შესანიშნავ სუროს დივანზე. გამვლელმა ჯენტლმენმა დამინახა და მოემზადა ჩემი პატივისცემისათვის, მაგრამ გვერდზე დავიწყე ყურება. მიხვდა,

რომ საქმე არ გაუკეთდება და თავი გამანება. ეს ის არ იყო, რომელიც გვითვალთვალებდა, სხვა იყო, რომელსაც ჩემი ახალი კოსტიუმი მოეწონა.

ასე ამრიგად აღარ შემხვედრია ჩვენი მოთვალყურე და, როდესაც სხვა კარებიდან გავედი ქუჩაში, პირდაპირ სახლში წავედი. ამგვარად დედაჩემო, ჩვენს ზურგში ჯაშუშები ფუსფუსებენ, ნამდვილი ჯაშუშები, მაგრამ მაინც მიკვირს, რომ გვპოულობენ, რომ კვალდაკვალ გვდევენ. მეფიქრება ჩვენი „მშვენიერების სალონიდან" ხომ არავინ შეისყიდეს მეთქი ჯაშუშად? მაგრამ არაფერი გასაკვირველი არ არის, როდესაც მაღალ საზოგადოებაში ტრიალი მხვდა წილად და ვალად დამედო ამერიკელი ხალხის სწავლება! ო, დედაჩემო, რო იცოდე, არც ერთ კინო-სურათს ასე არ გაუტაცნივარ.

შენი აღელვებული **მემ.**

თარგმ. **ი. მჭედლიშვილისა**

# კრიზისი მეცნიერებაში
# ეუბნისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲛᲘᲮ. ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

## I

XV პარტიულმა ყრილობამ მეტად დიდი დრო დაუთმო კულტურულ რევოლიუციის საკითხებს, იმის გამორკვევას, თუ როგორი უნდა იქნეს აუცილებელი წინასწარი პირობები ყველა იმ ამოცანების განსახორციელებლად ცხოვრებაში, რომელიც დასახა პარტიამ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყრილობაზე დასმული ყველა საკითხი დაკავშირებული იყო კულტურული რევოლიუციის საკითხებთან და თვითეული რეზოლიუცია ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ დარგში, რომ განხორციელდეს სოციალისტური საზოგადოების შექმნის ამოცანა საბჭოთა კავშირში.

წერილში „ჩვენი რევოლიუციის შესახებ“ ლენინი ამხელს სუხანოვს მისი აზრის გამო, თითქოს ჩვენ არა გვაქვს წინასწარი პირობები პროლეტარულ რევოლიუციისათვის, თითქოს ჩვენ არ მოვმწიფებულვართ სოციალიზმისათვის, და ამბობს შემდეგს:

„თუ სოციალიზმის შესაქმნელად საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე (თუმცა არავის არ შეუძლია სთქვას, თუ როგორია ეს „კულტურის განსაზღვრული დონე“), რატომ არ შეგვიძლია ჩვენ ჯერ რევოლიუციონური გზით დავიპყროთ წინასწარი პირობები ამ განსაზღვრულ დონისათვის და უკვე შემდეგ კი, მუშურ-გლეხურ მთავრობისა და საბჭოთა წესწყობილების პირობებში, გავსწიოთ წინ, რათა დავეწიოთ სხვა ხალხებს“.

ამხანაგებო, სინამდვილეში მართლაც ასე გამოვიდა. ჩვენ ჯერ მოვახდინეთ პოლიტიკური გადატრიალება, პოლიტიკური რევოლიუცია, შემდეგ მოვახდინეთ ეკონომიური რევოლიუცია, ეხლა კი შევდივართ კულტურულ რევოლიუციის ეპოქაში. მართალია, ამ მხრივ ჩვენ რამოდენიმედ ჩამოვრჩით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავეწიოთ ჩვენზე წინ წასულებს. აი რატომ იყო ლენინი მართალი, როდესაც ამბობდა რომ ჯერ უნდა დავიპყროთ პოლიტიკური ხელისუფლება და შემდეგ კი ამ ნიადაგზე გავსწიოთ წინ და დავეწიოთ უფრო კულტურულ ხალხებსო. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ აქ მივაღწევთ იმ წარმატებას, რომელზედაც არის ლაპარაკი რეზოლიუციაში, ჩვენ არა თუ დავეწევით, არამედ კიდევაც გავუსწრებთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

თავის შესანიშნავ წერილში „კოოპერაციის შესახებ“ ლენინი ერთხელ უბრუნდება საკითხს კულტურულ რევოლიუციის შესახებ. ამ-ამ-ად გამოსთქვამს თავის აზრს:

„უნდა ითქვას, რომ ჩვენ დაგვრჩენია „**მხოლოდ**“ ერთი: გავხადოთ ჩვენი მოსახლეობა იმდენად „განათლებული“, რომ მან გაიგოს, თუ რამდენად ხელსაყრელია მთელი მოსახლეობის მონაწილეობა კოოპერაციაში, და მოაწესრიგოს მონაწილეობის საქმე; „**მხოლოდ**“ ეს. არავითარი სხვა სიბრძნე არ არის ამჟამად საჭირო იმისათვის, რომ გადავიდეთ სოციალისტურ წესწყობილებაზე. მაგრამ იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს „**მხოლოდ**“ საჭიროა მთელი გადატრიალება, სახალხო მასის კულტურულ განვითარების მთელი ხანა“.

და შემდეგ, წერილის ბოლოში ის ამბობს: „ჩვენთვის ჩვენ მოწინააღმდეგეებს არა ერთხელ უთქვამს, რომ ჩვენ განვიზრახეთ უგუნური საქმე—უკულტურო ქვეყანაში სოციალიზმის დამყარება. მაგრამ ისინი შეცდენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა ისე, როგორც სწერია თეორიაში (ყველა პედანტების), და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება არის წინამორბედი იმ კულტურულ გადატრიალების, იმ კულტურულ რევოლიუციის, რომლის წინაშე ჩვენ ვდგევართ ამჟამად.

**ჩვენთვის ამჟამად საკმარისია ეს კულტურული რევოლიუცია იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს სავსებით სოციალისტური,** მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლიუცია წარმოადგენს უდიდეს სიძნელეებს, როგორც კულტურულ ხასიათის (ვინაიდან ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარი ვართ), ისე მატერიალურ ხასიათის (ვინაიდან იმისათვის, რომ ვიყვეთ კულტურული, საჭიროა მატერიალური საწარმოო საშუალებათა ერთგვარი განვითარება, საჭიროა ერთგვარი მატერიალური ბაზისი“).

როცა ჩვენ ვსვამთ საკითხს—შეგვიძლია თუ არა ჩვენ ეხლა უშუალოდ ხელი მოვკიდოთ კულტურულ რევოლიუციის საქმეს, არის თუ არა ამისათვის წინასწარი პირობები—ჩვენ ეხლავე შეგვიძლია დადებითი პასუხი გავსცეთ ამაზე. რამოდენიმე წლის წინად ეს შესაძლებლობა არ არსებობდა. არ არსებობდა იმიტომ, რომ ჩვენ უნდა გაგვენვითარებია ქვეყნის საწარმოო ძალები, უნდა შეგვექმნა ბაზისი წინსვლისათვის. ყურადღებას მოითხოვდა ჩვენი მრეწველობა, რომელიც მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. საჭირო იყო სასოფლო მეურნეობის აღდგენა. მაგრამ ეხლა, როცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსებობის 5—6 წლის განმავლობაში გავაკეთეთ ზოგიერთი რამ და სწრაფად წავიწიეთ წინ, მივაღწიეთ ომის წინადროინდელ დონეს, ხოლო ზოგიერთ ადგილებში გავსცილდით კიდეც მას და გადავედით რეკონსტრუქციის და კაპიტალურ ხარჯების ხანაში—ეხლა ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დროა მეტი ყურადღება მივაქციოთ კულტურულ აღმშენებლობას და ამაზე დავხარჯოთ, ზოგჯერ შეიძლება მეტი საშუალებებიც, ვინემ მეურნეობის აღდგენაზე. ასე დასვა საკითხი შეხუთმეტე ყრილობაზე ამხ. რიკოვმა, როცა მან სავსებით სწორად სთქვა, რომ „ჩვენში კულტურული განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩა სამეურნეო განვითარებას და მუშების და გლეხების საარსებო დონის განვითარებას. ინდუსტრია-

ლიზაციის განხორციელება და მეურნეობის აღორძინება შემდგომში არ შეიძ-
ლება სწარმოებდეს ქვეყნის კულტურულ დონის პარალელურად ჩვენ
გარეშე".

ხოლო იმისთვის, რომ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებასთან პარა-
ლელურად ჩვენ შეგვეძლოს კულტურულ დონის გადიდებაც, ამისათვის საჭიროა
საშუალებები. და აქ ისმება საკითხი ბიუჯეტის შესახებ, ჩვენი ბიუჯეტის იმ-
გვარად აგების შესახებ, რომ კულტურულ მოთხოვნილებებზე იხარჯებოდეს მე-
ტი საშუალებები, ვინემ იხარჯებოდა აქამდის. მეხუთმეტე ყრილობაზე ამხ. ლუ-
ნაჩარსკი ჩივოდა, რომ როცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ დასვა საკითხი და
გაატარა მასწავლებლობის მატერიალურ მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობე-
სება, ადგილებმა ამაზე გვიპასუხეს სასკოლო მშენებლობის, სკოლების ქსელის
მშენებლობის პარალელურ შეჩერებით.

საქმე იმაშია, რომ მასწავლებლები რუსეთში ადგილობრივ ბიუჯეტზე
არიან და რომ არ გაიზარდოს თანხები სახალხო განათლებაზე, ადგილებმა გა-
დასწყვიტეს: რახან არის დადგენილება, ჩვენ მასწავლებლების ჯამაგირს გავა-
დიდებთ, სკოლების ქსელს, კი აღარ გავაფართოვებთ და დავრჩებით იმ დონე-
ზე, რომელიც იყო წინად. ეს არანორმალური მოვლენაა. თუ ჩვენ არ გავაფარ-
თოვებთ სკოლების ქსელს, არ გავხსნით სკოლების დამატებით რაოდენობას,
ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას სკოლებზე აი ამიტომ, განათლება-
ზე ხარჯების გადიდებასთან ერთად, საჭიროა გამოყენებულ იქნეს მოსახლეო-
ბის თვითდაბეგვრაც სასკოლო მშენებლობისათვის სოფლად.

ჩვენ გვაქვს ციფრები, რომელნიც ახასიათებენ მდგომარეობას, როგორც
საბჭოთა კავშირში საერთოდ, ისე აქ საქართველოში.

თუ ავიღებთ საქართველოს, აღმოჩნდება, რომ ზოგიერთ დარგებში ჩვენ
წინ ვუსწრებთ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას. აი, მაგალითად: რამდენი მოსწავლე
მოდის მოსახლეობის 1.000 სულზე. თურმე, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მოდის
63, ეს ცოტა მეტია, ვიდრე რუმინეთში; იქ მოდის 40, საქართველოში კი მო-
დის 125 მოსწავლე მოსახლეობის 1.000 სულზე. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ
საქართველო თურმე რამოდენიმედ წინ უსწრებს ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყ-
ნებს. მაგალითად: საფრანგეთში მოსახლეობის 1.000 სულზე მოდის 107 მოს-
წავლე. იტალიაში—112, შვეიცარიაში—117, ბულგარეთში—118, საქართველოში—
125, საქართველო ჩამორჩება შემდეგ ქვეყნებს: უნგრეთს, სადაც მოსახლეობის
1.000 სულზე მოდის 133 მოსწავლე, ავსტრალიას—133, შვეიცარიას—138
მოსწავლე, ინგლისს—187 და შეერთებულ შტატებს—206; რა თქმა უნდა 206
სარეკორდო ციფრია. როგორც ხედავთ, ჩვენ მივაღწიეთ 125-ს, რაც აგრეთვე
მოწმობს დიდ წინსვლას. მე არ ვიცი, როგორი მდგომარეობა იყო მენშევიკების
და ცარიზმის დროს, მაგრამ ის ციფრები, რომლებიც მოგვაწოდა განათლების
სახალხო კომისარიატმა, მოწმობენ რომ ჩვენ გვაქვს დიდი წინსვლა.

თუ ავიღებთ ხარჯებს, ე. ი. რამდენი ხარჯი მოდის სახალხო განათლები-
სათვის მოსახლეობის თვითეულ სულზე რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში და საქარ-
თველოში, მივიღებთ შემდეგ სურათს: რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1924—25

წელში დაიხარჯა 2 მ. 56 კაპ., საქართველოში—3 მან. 80 კაპ. 1926 წელში კი ადგილი აქვს ამ ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას.

სახალხო განათლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მენშევიკების დროს საქართველოში იხარჯებოდა 4 პროცენტი, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი იხარჯება 46 პროცენტი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ ავიღებთ ადგილობრივ ბიუჯეტს, მენშევიკების დროს იხარჯებოდა 18 პროცენტი, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი 24 პროცენტი. აქაც ადგილი აქვს ხარჯების ზრდას.

თუ ავიღებთ მოსახლეობის წერაკითხვის ცოდნას, მივიღებთ შემდეგ სურათს: მთელი მოსახლეობის რიცხვთან შედარებით წერაკითხვის ცოდნა გამოიხატება 36,7 პროცენტით. სხვათა შორის, უწინ წერაკითხვის მცოდნეთა პროცენტი მეტი გვქონდა ნაჩვენები, სახელდობრ—42, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ეხლა წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვს ანგარიშობენ არა 8 წლის ასაკიდან, არამედ ხუთი წლიდან და ამიტომ ეხლა გამოდის სულ 36 პროცენტი.

თუ ავიღებთ იმ მაზრებს, სადაც წერაკითხვის ცოდნის დონე ყველაზე უფრო მაღალია, დავინახავთ, რომ ოზურგეთის მაზრაში წერაკითხვის მცოდნეა მოსახლეობის 63 პროცენტი, ეს არის სარეკორდო ციფრი, თბილისის მაზრაში—60,5 პროცენტი, რაჭის მაზრაში—56 პროც., სენაკის—47,8 პროც., თელავის—44 პროც. და სიღნაღის—42,8 პროც.

სხვათაშორის უნდა აღინიშნოს, რომ უწინ ყველას ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ დასავლეთი საქართველო უფრო კულტურული და წერაკითხვის მცოდნეა, ვიდრე აღმოსავლეთი საქართველო. ეხლა სჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ორი მაზრა, თელავის და სიღნაღის, წინ უსწრებს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრებს (მაგალითად შორაპნის მაზრას). ეს მოვლენა მოწმობს, რომ აღმოსავლეთი საქართველო სწრაფი ტემპით მიიწევს წინ კულტურულ ფრონტზე და რომ აღმოსავლეთი საქართველოც იღებს მონაწილეობას სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში.

რაც შეეხება სხვა მაზრებს, სადაც წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი ნაკლებია, ასეთებია: დუშეთის—24 პროცენტი, ახალქალაქის—22 პროც., ახალციხის—16 პროც., ბორჩალოს—16 პროც. ეს ჩამორჩენილი მაზრებია საქართველოში, რომლებსაც შემდეგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

აი როგორი სურათი გვაქვს საქართველოში სახალხო განათლების დარგში.

## II

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ხაზს ატარებს პარტია მხატვრულ ლიტერატურის დარგში, როგორ მუშაობას აწარმოებს იგი იდეოლოგიურ ფრონტზე, ამ მხრივ ჯერ-ერთი, ჩვენ გვაქვს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ 1925 წ. მიღებული სახელმძღვანელო რეზოლიუცია და, ამას გარდა, ეხლა ჩვენ გვაქვს მე-15 ყრილობაზე უფრო გარკვეული ხაზი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა კულტურულ რევოლიუციის დარგში და ვებრძოლოთ იმ გარეშე იდეოლოგიურ გადახრებს, რომლებიც იზრდება ეხლა.

მე-15 ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ეს გარეშე გავლენები იზრდება, და აგრეთვე იზრდება ერთგვარი უკმაყოფილების ელემენტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ვიზრდებით, იზრდება

ჩვენი მრეწველობა, სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერაცია და ყველა ამ ჩვენი პოზიციების ზრდა ავიწროვებს კერძო მოვაჭრეებს, წვრილ და საშუალო მოვაჭრეებს, რომლებიც იძულებული არიან თანდათან დასთმონ თავისი ადგილები. რა თქმა უნდა ეს ელემენტები დიდ ხმაურობას სტეხენ.

ავიღოთ აგრეთვე ჩვენი საბჭოთა აპარატი. თქვენ იცით, რომ რათა გავაიაფოთ და გავამარტივოთ ეს აპარატი, ჩვენ იძულებული ვართ მოვახდინოთ არა ერთი შემცირება, ამ შემცირებაში ზოგჯერ ხვდებიან ელემენტები ინტელიგენციიდან. ეს იწვევს ერთგვარ უკმაყოფილებას და გამოდის უკმაყოფილო ელემენტების თავისებური დაკავშირება.

დამახასიათებელია, რომ ზოგჯერ ეს ელემენტები ორგანიზაციულად კავშირდებიან და დიდ აქტიურობას იჩენენ. ამ ცოტა ხნის წინად ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ჩვენ ცეკას და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს მოგვივიდა ასეთი შინაარსის ქაღალდი: ქუთაისის წვრილმან მოვაჭრეთა კომიტეტი მიმართავს პარტიის ცეკას და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს და ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მათ აწყენინეს. ეს კომიტეტი გვთხოვს ჩვენ, პარტიის ცეკას, მივიღოთ ზომები იმისთვის, რომ არ აწყენინონ ვაჭრებს. რით აწყენინეს მათ? თურმე მათ იმდენ მანუფაქტურას აღარ აძლევენ, რამდენსაც უწინ აძლევდენ. ისინი ამბობენ, რომ ისინი კარგი, პატიოსანი ვაჭრები არიან, პატიოსნად ასრულებენ პარტიის ყველა დირექტივებს, ხოლო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული მათ აღარ აძლევს მანუფაკტურას. და აი ქალაქ ქუთაისის წვრილმან მოვაჭრეთა კომიტეტი გვთხოვს ჩვენ, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ მათ მეტი მანუფაქტურა აძლიონ. ეს ძლიერ დამახასიათებელია. ეს მოასწავებს, რომ ის ფენები, რომლებიც ამ მისამართით სჩივიან, ორგანიზაციულად შეკავშირდენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ არაფერი საკვირველი არ არის. თქვენ თითონ იცით რომ მანუფაქტურა საკმაო არ არის და ჩვენ კარგად შეგვიძლია გადავცეთ ის კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას და ეს ორგანოები დიდი წარმატებით დასძლევენ ამ საქმეს. მოსახლეობისათვის მანუფაქტურის მიყიდვა ყველას შეუძლია, რათ უნდა მივსცეთ მანუფაქტურა წვრილმან მოვაჭრეთა კომიტეტს, თუგინდ ისინი პატიოსნად ვაჭრობდენ, როცა ჩვენ წარმატებით შეგვიძლია მივაწოდოთ ეს საქონელი მოსახლეობას კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის საშუალებით. მე ეს მოვიყვანე, როგორც მაგალითი, რათა მეჩვენებია, თუ რამდენ რამეს ახერხებს ეს ხალხი, როგორ მოქმედობს და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას იმის შესახებ, რომ ზოგიერთი რამ თავის რიგზე ვერ არის. და ოპოზიციის სოციალური ფესვები იფარება სწორედ იმაში, რომ ის გამოხატავს ამ გაფცქვნილ ვაჭრების იდეოლოგიას, იმ ხალხის იდეოლოგიას, რომელიც ჩაქერილია პროლეტარულ დიქტატურის მარწუხებში. არაფერი საკვირველი ამაში არ არის, ვინაიდან რამდენადაც ჩვენ ვიზრდებით, რამდენადაც მტკიცდება ჩვენს ხელში მყოფი მბრძანებელი სიმაღლეები, იმდენად იდევნებიან ყველა კერძო ელემენტები, როგორც სავაჭრო, ისე სხვა დარგებში, და ისინი ქმნიან სათანადო განწყობილებას. ამ განწყობილებას რა თქმა უნდა, არ უნდა ავყვეთ.

რაც შეეხება ჩვენს მუშაობას პროლეტარულ მწერლობასთან, აქ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი ამოცანები დავისახეთ ამ დარგში და როგორი მიღწევები გვაქვს საქართველოში ამ ფრონტზე?

როგორც საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში, ისე აქაც, საქართველოში ჩვენ გვაქვს განსაზღვრული წარმატებანი და ეხლა პროლეტარული მწერალი, მე ვიტყოდი, ისე როდი ფასდება, მას ისე როდი უცქერიან, როგორც უწინ. განსაკუთრებით საქართველოში ეხვდებოდით ბურჟუაზიულ მწერლების აზრს, რომ რას წარმოადგენს პროლეტარული მწერალი, ის არაფერს არ სწერს, არავითარი პროდუქცია მას არ გააჩნია, ის მხოლოდ ატარებს მწერლის სახელს და დიდი ფანტაზია უნდა ჰქონდეს კაცს, რომ წარმოიდგინოს რომ ეს პროლეტმწერალი როდისმე შესძლებს ჰეგემონი გახდეს ლიტერატურის დარგშიო.

ეხლა სურათი შეიცვალა, მდგომარეობა გამოკეთდა და ეს ბურჟუაზიული მწერალი უკვე იმას უყურებს, თუ რას იტყვის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, როგორ დადგენილებებს გამოიტანს, როგორ მიღწევებს აღნიშნავს ლიტერატურის დარგში და სხვ. ყოველივე ეს უკვე მოწმობს იმას, რომ ჩვენ თანდათან ვანხორციელებთ იმ ამოცანას, რომელიც დასახა პარტიამ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნაკლი არა გვაქვს. სწორედ დღეს მე მინდა უფრო ვილაპარაკო ჩვენს დეფექტებზე და არა ჩვენს მიღწევებზე, ვინაიდან მიღწევებს ყველა ხედავს, ისინი განმტკიცებულია და მათ ვერავინ ვერ წაგვართმევს. რაც შეეხება დეფექტებს, ისინი რაც შეიძლება უფრო ხშირად გამოვაშკარავოდ, რაც შეიძლება უფრო ხშირად გავამათრახოთ, რათა ისინი შემდეგში აღარ განმეორდეს.

უნდა ითქვას, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო, უფრო უნდა გვეშინოდეს ნაციონალისტური განწყობილებების, რომ ეს გაწყობილებები არ შეიპაროს პროლეტარულ ლიტერატურაში, ვინაიდან ეს სრულებით არ ვარგა. მე ერთ კრებაზე, მგონი კომკავშირის კრებაზე, შევეხე ზოგიერთ ჩვენ პროლეტარულ მწერლებს, რომლებიც აჰყვენ ნაციონალისტურ განწყობილებას და ისე სწერენ, როგორც შეუძლია სწეროს საერთოდ ყოველმა ნაციონალისტმა მწერალმა, მე დავასახელე კარლო კალაძე და მაშაშვილი, ჩვენი ახალგაზრდა, საკმაოდ ნიჭიერი პოეტები. აი სწორედ, ეს კარლო **კალაძე** სწერდა, რომ საჭიროა საქართველოში გადმოვასახლოთ ფერეიდანელი ქართველებიო. სადღაც სპარსეთში სცხოვრობენ ქართველები, რომლებიც დიდი ხანია აქედან გადასახლდენ. და აი პროლეტარული მწერალი ვერ პოულობს სხვა თემას, გარდა იმისა, რომ მიმართოს მათ და მოიწვიოს ისინი საქართველოში. ამ ლექსს აქვს ასეთი მყვირალა სათაური „ძახილი აღმოსავლეთს“. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარული მწერალი მიმართავს აღმოსავლეთის ჩაგრულ მასებს, მიმართავს ჩინეთის მუშათა და გლეხთა მასებს, დაგვიხატავს ჩინეთის რევოლიუციას. ეს იქნებოდა სავსებით შეხმატკბილებული ჩვენი რევოლიუციის მოტივებთან, მაგრამ რატომღაც კარლო კალაძემ ამოირჩია სულ სხვა თემა. ის მიმართავს ფერეიდანელ ქართველებს, ვინაიდან ეს ხალხი, როგორც ის თითონ გვიხსნის, „სისხლით და ნათესაობით“ ქართველებია. ეს ამხანაგებო, უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალისტური გადახრაა, რომელიც სრულებით არ შეშვენის პროლეტარულ მწერალს.

მეორე ადგილას, მეორე მწერალმა, არა პროლეტარულმა, არამედ ბურჟუაზიულმა, ნაციონალისტურად განწყობილმა პოეტმა პაოლო **იაშვილმა**, როგორც სჩანს იმ მიზნით, რომ ესიამოვნებია ჩვენი მთავრობისათვის, სთქვა, რომ საჭიროა ლაზისტანში შეიქმნას ალმასკომი და თავმჯდომარედ იქ იყოს ფილიპე მახარაძეო. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ყველგან ალმასკომის თავმჯდომარედ ვხედავდეთ ფილიპე მახარაძეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იაშვილმა ეს ფრაზა მიტომ წამოისროლა, რომ სურს ცოტათი გააფართოოს საქართველოს საზღვრები, რაზედაც ის და მისი მეგობრები უწინაც ოცნებობდენ—ცარიზმისა და მენშევიზმის ხანაში. ასეთმა ნაციონალიზმმა ბუნებრივად იჩინა თავი იაშვილის სიტყვებში და ის გაიმეორა კარლო კალაძემ.

მოვიყვან რამოდენიმე ლექსს, რომლებშიაც ადგილი აქვს „გადახრას". მაგალითად „თბილისი".

> და თუ თბილისის სიყვარულმა ბევრი მოღალა
> მშობლიურ მიწის რაინდებთან ვდგები მხარ-დამხარ!
> ჩვენ მასთან ერთად ვწამებულვართ,—
> სისხლით და ხორცით:
> მასთანვე იყო, თუ ოდესმე გაგვიხარია...
> თბილისო მოვალთ,—და ერთმანეთს უამბოთ ისევ
> თუ რაოდენი მწუხარება დაგვიმარხია.
> (კ. კალაძე. თბილისი. რჩეული ლექსები. სახელგამი. გვ. 63—65).

აქ ისევ ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა დავუბრუნდეთ მშობლიურ მიწას და მხარში ამოუდგეთ წარსულის რაინდებს. აქ ისეთი რამეებია, რომლებსაც არაფერი არა აქვს საერთო პროლეტარულ პოეზიასთან.

აი **მაშაშვილის** ლექსი—„გარდატეხა".

> ქუჩათ ხეტიალს დავეჩვიე მე უბედური,
> სამშობლო მიწა და სახლ-კარი ჩემთვის არ არის...
> ბევრი დამცინის, ბევრი მაქებს, ბევრი შემდურის,
> რადგან ეს გული შავია, ვით ლანდი სამარის...
> (ალიო მაშაშვილი. „გარდატეხა". ლექსები. სახელგამი. გვ. 63).

აი როგორი პესიმისტური განწყობილებით არის შეპყრობილი ეს ახალგაზრდა პროლეტარული მწერალი და სრულიად უადგილოდ. მას არ გააჩნია არც მშობლიური მიწა, არც კერა და დადის ასეთი სევდით შეპყრობილი. ეს, რა თქმა უნდა, მე მიტომ კი არ მომყავს, რომ გავლანძღო ამხ. მაშაშვილი. მე იმას ვაფასებ, როგორც პროლეტარულ მწერალს, მაგრამ ვამბობ, რომ ასეთი შეცდომები უნდა გამოსწორდეს.

აი მაგალითად კიდევ:

> თქვენ, პოეტებო, თუ სწერთ ქართულად,
> თუ გსურთ რეკავდეს სიტყვა ქართული,
> იმის წაქცევას ვერვინ გაბედავს
> ის ურყევია, ვით საქართველო.
>
> (ლექსები, გვ. 73),

პროლეტარულ პოეტის ასეთი „მდიდარი“ ლექსიკონი და ასეთი სტილი შეუძლებელია ვინმეს შეშურდეს: ქართველი, ქართულად, საქართველო, და შემდეგ კი არავითარი სახეები, არავითარი პერსპექტივები...

ახალგაზრდობას ამ ლექსების მოყვანა სწყინს, მაგრამ ავიღოთ ცოტა უფროსი ხალხი, ვინაიდან ისინი ფიქრობენ, რომ უცოდველი არიან. არსებობს ასეთი პოეტი — **ქუთათელაძე-სამსონიძე**. ის რატომღაც სწერს „შავ ლექსს“.

ჩვენ სამარეს ვამზადებთ ბურჟუაზიისათვის, ამ ლექსში კი არის გულგატეხილობა და პესიმიზმი, რაც არ შეშვენის მებრძოლ პროლეტარულ პოეტს.

მოვიყვან კიდევ ერთ ლექსს. ეს ეხება **სანდრო ეულს**. ის სწერს „ოქტომბრის მარშს“ და აი ასე ამთავრებს:

„და შევლებოთ
ცეცხლის ფერით
ყველაფერი!
ერთი, ორი!
ერთი, ორი!
თანასწორი —
ყოფნა ერთად
გწამდეთ ღმერთად!“
(სანდრო ეული. „ოქტომბრის მარში.“ ლექსები. სახელგამი. გვ. 22).

ამბ. ეულს სრულებით არ უყვარს ღმერთი, ის ანტირელიგიურად განწყობილი კაცია, მაგრამ როდესაც სწერს „ოქტომბრის მარშს“, ის რატომღაც ფიქრობს, რომ ღმერთთან უფრო უნდა იყოს დაახლოებული.

არც ფორმით, არც შინაარსით ასეთ ნაწარმოებების გამაროლება არ შეიძლება, არამედ უნდა შეეცადოთ, რომ რაც შეიძლება მალე აღვკვეთოთ ასეთი მოვლენები ჩვენს პროლეტარულ ლიტერატურაში.

როცა ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ნაციონალისტურ განწყობილებას და მიმდინარეობებს და უნდა გავაძლიეროთ ჩვენი პოზიციები ინტერნაციონალიზმისათვის ბრძოლაში, ვინაიდან აქ არის მენშევიზმის, მუსავატიზმის და დაშნაკების წყეული მემკვიდრეობა,—ამით მე სრულიადაც არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენთვის არ არის საჭირო ეროვნული კულტურის განვითარება. არიან ზოგიერთი, ეგრეწოდებული „მემარცხენეები“, რომლებიც სთვლიან, რომ ნაციონალური კულტურის განვითარების ლოზუნგი ლენინიზმის უარყოფაა. ჩვენ გვყავდა ვარდინი, რომელიც არქი-მემარცხენედ ითვლებოდა ლიტერატურაში და პარტიაშიც. მან დააკანონა თავისი „მემარცხენეობა“, მოექცა რა პარტიის გარეშე. ის არა ერთხელ ამტკიცებდა, რომ ეროვნული კულტურის ლოზუნგი—თავიდან ბოლომდე რეაქციონური ლოზუნგია, რომ ეროვნულ კულტურის შესახებ ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუშვებელია, ვინაიდან ეს ლენინიზმის უარყოფაა. სწორედ ესვე განიმეორა ჩვენმა ნაცნობმა ვაგანიანმა, რომელმაც დასწერა სპეციალური წიგნი „ეროვნულ კულტურის“ შესახებ, რომელშიაც ის ილაშქრებს სტალინის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი ნასესხებია მენშევიკებისაგან, ოტო ბაუერისა და ნოე ჟორდანიასაგანო.

მართალია თუ არა ეს? რასაკვირველია, ეს სრულებით სწორია — მართალი. როცა წინად ლენინი გამოდიოდა ამ ლოზუნგის წინააღმდეგ, — მას ხელმძღვანელობაში ჰქონდა სრულიად სხვა პირობები, როცა ერები ვითარდებოდენ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეროვნულ კულტურაზე ლაპარაკი მაშინ ნიშნავდა მემამულეების, ხუცების, ბურჟუაზიის კულტურაზე ლაპარაკს. ჩვენს პირობებში კი ეროვნულ კულტურაზე ლაპარაკი ნიშნავს იმ მუშებისა და გლეხების კულტურაზე ლაპარაკს, რომელთაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასის ავანგარდი—კომუნისტური პარტია.

პირობები ძირბუდიანად შეიცვალა. ეს ზოგიერთებს არ ესმით და ამიტომ წინააღმდეგობებში ვარდებიან.

აღმოსმვლეთის მშრომელთა უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. სტალინმა შემდეგნაირად დაახასიათა ეროვნული კულტურა:

„რა არის ეროვნული კულტურა? როგორ უნდა შევათავსოთ ის პროლეტარულ დიქტატურასთან? განა ლენინი ჯერ კიდევ ომამდის არ ამბობდა, რომ ჩვენ გვაქვს ორი კულტურა—ბურჟუაზიული და სოციალისტური, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი არის ბურჟუაზიის რეაქციონური ლოზუნგი, რომლის მიზანია მშრომელთა შეგნების მოწამვლა ნაციონალიზმის შხამით? როგორ უნდა შევათავსოთ ნაციონალურ კულტურის შენება, სკოლების და კურსების განვითარება მშობლიურ ენაზე და ადგილობრივ ხალხისგან კადრების მომზადება სოციალიზმის აღმშენებლობასთან, პროლეტარული კულტურის აღმშენებლობასთან? არის თუ არა აქ რაიმე გარდაუვალი წინააღმდეგობა? რასაკვირველია, არა. ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას. ეს სავსებით მართალია. მაგრამ მართალია აგრეთვე ისიც, რომ პროლეტარული კულტურა, სოციალისტური თავისი შინაარსით, სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილე სხვადასხვა ერებში ღებულობს გამოთქმის სხვადასხვა ფორმებს და საშუალებებს ენის და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვაობის მიხედვით და სხ. პროლეტარული, თავისი შინაარსით, ნაციონალური ფორმით,—ასეთია ის საერთო საკაცობრიო კულტურა, რომლისაკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული დიქტატურა არ სპობს ეროვნულ კულტურას, არამედ შინაარს აძლევს მას. და პირიქით, ეროვნული კულტურა არ სპობს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას. ეროვნული კულტურის ლოზუნგი იყო ბურჟუაზიული ლოზუნგი, სანამ ხელისუფლების სათავეში იდგა ბურჟუაზია, ხოლო ერის კონსოლიდაცია ხდებოდა ბურჟუაზიულ წესწყობილების პირობებში. ეროვნულ კულტურის ლოზუნგი პროლეტარული ლოზუნგი გახდა, როცა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პროლეტარიატი და ერის კონსოლიდაცია ხდება საბჭოთა წესწყობილების პირობებში. ვისაც არ ესმის ეს პრინციპიალური განსხვავება ორ სხვადასხვა მდგომარეობას შორის, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ლენინიზმს, ვერც ეროვნულ საკითხის ბუნებას ლენინიზმის თვალსაზრისით“.

აი რას ამბობდა ამხ. სტალინი ჯერ კიდევ 25 წელში. ის იძულებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა კვლავ დაბრუნებოდა ამ საკითხს დისკუსიის დროს, როცა ოპოზიციამ ასტეხა ხმაური ეროვნული კულტურის საკითხის გარშემო.

ცეკას აგვისტოს პლენუმზე ზინოვიევმა გაკვრით სთქვა, რომ თუმცა ის არ ეთანხმება ვაგანიანს სავსებით, მაგრამ იმავე დროს სცნობს, რომ ვაგანიანი უფრო მართალია, ვინემ ყველა ისინი, რომლებიც იცავენ ეროვნულ კულტურის ლოზუნგებს. ამხ. სტალინმა კვლავ გარკვევით განსაზღვრა ეროვნული კულტურის ცნება:

> ბურჟუაზიის ბატონობის ეპოქაში ეროვნულ კულტურის ლოზუნგს ჩვენ ბურჟუაზიულ ლოზუნგად ვსთვლით. რატომ? იმიტომ, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში ნიშნავს ეროვნებათა მშრომელ მასების სულიერ დამორჩილებას ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისათვის, მისი ბატონობისათვის, მისი დიქტატურისათვის. პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ ჩვენ წამოვაყენეთ საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის საბჭოების ნიადაგზე განვითარების ლოზუნგი. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის განვითარებას უთანხმებთ სოციალიზმის ინტერესებს და მოთხოვნილებებს, პროლეტარული დიქტატურის ინტერესებს და მოთხოვნილებებს, საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მშრომელების ინტერესებს და მოთხოვნილებებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ეროვნული კულტურის წინააღმდეგი ვართ საერთოდ? არა, არ ნიშნავს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ ეხლა მხარს უჭერთ საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის განვითარებას, ეროვნული ენის, სკოლის, ბეჭდვითი სიტყვის და სხვ. განვითარებას საბჭოების ნიადაგზე. რას ნიშნავს „საბჭოების ნიადაგზე?" ეს ნიშნავს, რომ თავისი შინაარსით საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კულტურა უნდა იქნეს ყველა მშრომელთათვის საერთო კულტურა, სოციალისტური კულტურა, თავისი ფორმით კი ის არის და იქნება არა ერთნაირი კულტურა საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათათვის იქნება ნაციონალური კულტურა, სხვადასხვა კულტურა საბჭოთა კავშირის ეროვნებათათვის სხვადასხვა ენისა და ეროვნულ თავისებურებათა მიხედვით. (სტალინი. „ოპოზიციის „განცხადების" შესახებ" 8 აგვისტო, 1927 წ.).

ის, რაც მოცემულია აქ ნაციონალური კულტურის განსაზღვრისათვის და რასაც ველარაფერს ვერ დაუმატებ, და ის ხალხი, რომელიც უარყოფს ნაციონალური კულტურის მნიშვნელობას, აშკარად ეწინააღმდეგება ლენინიზმის საფუძვლებს და სდგება კოლონიზატორობისა და დიდმპყრობელობის გზაზე. ისე მოხდა, რომ ვაგანიანი და ვარდინი, რომლებიც უარყოფდენ ნაციონალურ კულტურას, აღმოჩნდენ უპრინციპო ბლოკში იმ ქართველ უკლონისტებთან, რომლებიც ადგილობრივი ნაციონალიზმის სულ სხვა უკიდურესობაში ვარდებიან.

მაგრამ ცხოვრებაში ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გატარების დროს ნაციონალური კულტურის დარგშიც ხშირად აქვს ადგილი ნაციონალურ გადამახინჯებას, რის წინააღმდეგაც აუცილებელია დაუზოგველი და სერიოზული ბრძოლა. ბევრი ფიქრობს, რომ ემსახურება ნაციონალურ კულტურას, ნამდვილად კი გვაწვდიან წმინდა წყლის ნაციონალიზმს. ერთია ნაციონალური კულტურა, რომელიც ფორმისა და ენის მიხედვით უნდა იყოს ნაციონალური, ხოლო შინაარსით—პროლეტარული, სულ სხვაა ნაციონალისტური თაიგული, რომელსაც ნაციონალური კულტურის სახით გვაწვდიან. აქ, ამ მხრივ, შეიძლებოდა რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმე მაგალითის მოყვანა, თუ როგორ ცდილობენ ამ ნაციონალიზმის გასაღებას სცენიდან. ავიღოთ ოპერის საკითხი.

ოპერა უნდა ემსახურებოდეს მშრომელი მასების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ჩვენ ვცდილობთ, რომ საქართველოში განვავითაროთ ნაციონალური ოპერა. საჭიროა, რომ ქართულ ენაზე იყოს ოპერები, ეს არ ეწინააღმდეგება კომუნიზმს, კარგია, თუ ისეთ ხალხს, როგორიც ქართველებია, აქვს საკუთარი ოპერა, რაც ზოგიერთ დიდათ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი არ აქვთ.

მაგრამ როცა ქართულ ოპერაში უსათუოდ გამოყავთ მეფეები, ბერები და მონაზვნები და ეს აღტაცებას იწვევს, უნდა ითქვას, რომ ეს აღარაფერს არ გავს. ამას წინად, მაგალითად, დასდგეს „ლეილა“, რომელიღაც მეფის გამოჩენა სცენაზე, თურმე, აღტაცებას ჰგვრის იმ ხალხს, რომელთაც საკუთარი ნერვების გალიზიანება სურთ. ეს არის გადამახინჯება და ასეთი გადამახინჯების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ.

შემდეგ ავიღოთ ასეთი რამ, როგორც მაგალითად, ჩვენი შენობების სტილია. რატომღაც მიღებულია, რომ თუ კი სახლი შენდება, უსათუოდ საჭიროა ქართული სტილის დაცვა. ფიქრობენ, რომ ეს უფრო ესიამოვნება საბჭოთა მთავრობას და საჭიროა თუ არაა საჭირო იგონებენ ქართულ სტილს, რაღაც თაღებს ვიწრო ფანჯრებით, თითქოს ეკლესიას აშენებდენ. თურმე ეს სტილი არის ძველებური, ძველი საყდრებიდან გადმოღებული. ძველად ეკლესიები წარმოადგენდა ისეთ ადგილებს, სადაც ხანდახან თავს იცავდენ მტრის თავდასხმისაგან და ამიტომ საჭირო იყო ისეთი ვიწრო სიმაგრეების აშენება, რომლებიც გამოდგებოდა თავშესაფარად. ამ პირობების და მიხედვით შეიქმნა ასეთი სტილი. მაგრამ რატომ გვჭირდება საბჭოთა ხელისუფლების დროს დამალვა ასეთ ვიწრო შენობებში, მე სრულიად ვერ გამიგია. რატომაა საჭირო ჩვენ პროლეტარულ ლენინის რაიონში კინოს შენობის აგება სწორედ ასეთი სტილით, ან ტრამვაის მუშებისათვის სახლის აშენება ისეთი ჩუქურთმებით, რომელიც „აბესალომ და ეთერი“ს დეკარაციებს მოგვაგონებს,—მე არ მესმის. ალბათ ინჟენრები და ხუროთმოძღვრები, რომლებიც ასეთი სტილით აგებენ შენობებს, ფიქრობენ, რომ ამით სარგებლობა მოაქვთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა ამ ხალხის ცოტა შეხურება, რომ შემდეგში არ წარმოგვიდგინონ ასეთი გეგმები.

შევეხოთ თეატრს, სადაც ჩვენ აგრეთვე ბევრი რაიმეს გაკეთება მოგვიხდება. სამწუხაროდ თეატრი ჯერ კიდევ მჭიდროდ ვერ დაუახლოვდა იმას, რაც ჩვენ გვჭირდება. მე ვლაპარაკობ, კერძოდ ქართულ თეატრზე. ჩვენ გვაქვს თითქმის ერთად-ერთი თეატრი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის ყველა ფენებს და პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მშრომელთა ინტერესებს,—ესაა რუსთაველის თეატრი.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ერთგვარი გარდატეხისა ამ თეატრში, მარცხნივ გადახრისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაიძულეთ მოეხდინათ ეს გარდატეხა, ამ უკანასკნელ დროს ის გადიხარა არა სწორი მიმართულებით და

იმ შერჩეულ რეპერტუართან ერთად, რომელიც თეატრს აქვს, ის სდგამს სრულიად მიუღებელ პიესებს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უსაუთუოდ საჭიროა, რომ აქ არ გავაზვიადოთ და არ მივაწეროთ ის, რისი განხორციელებაც შეუძლებელია. მოსკოვში მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლისთავზე გაჩნდა ისეთი იდეოლოგიურად დახვეწილი პიესები, როგორიცაა „ჯავშნიანი მატარებელი", „რღვევა" და „ამბოხება". რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი მიღწევაა და ეს იმას მოწმობს, რომ რუსეთში თეატრები გასაბჭოებულია, რომ მათ პირი იბრუნეს მასიურ მაყურებლისაკენ და ამჟამად აქვთ ოქტომბრის რევოლიუციის შესაფერი რეპერტუარი.

სამწუხაროდ ჩვენში ასე არაა. ჩვენ არა გვაქვს ისეთი ორიგინალური მასიური პიესები, რომლებიც გამოხატავდენ სამოქალაქო ომის ხანას, ასეთ პიესებს თქვენ ვერსად ვერ ნახავთ და თუ პროლეტარული მწერლები სწერენ პიესებს,—ისინი სუსტია, მე უნდა ავღნიშნო, რომ ჩვენთან წინადაც მოჰქონდათ პიესები, ჩვენ მათ ვათვალიერებდით და ვნახულობდით, რომ ისინი სრულიად მიუღებელი იყო, ყოველივე ეს ის არ იყო, რაც ჩვენ გვინდა.

რუსთაველის თეატრის შესახებ უნდა ითქვას, რომ იქ გვიმასპინძლდებიან სრულიად მიუღებელი პიესებით. სარეპერტუარო კომიტეტი იძულებული გახდა მოეხსნა პიესა „ამერიკელ ძიას გასაბჭოება". რატომ მოხსნა მან ეს პიესა? თითქოს რეპრესიული, ადმინისტრატიული ზომები მიუღებელია კულტურულ ფრონტზე. მაგრამ ეს ზომები ზოგჯერ საჭირო ხდება, როდესაც ეს ხალხი ყოველგვარ საზღვარს გადადის. „ამერიკელ ძიას გასაბჭოება" ეს არის საბჭოთა ხელისუფლების აბუჩად აგდება, პაროდია. მალე შვიდი წელი სრულდება, რაც საბჭოთა რევოლიუცია მოხდა საქართველოში და ამის შემდეგ, რომ საქართველოს სოფელში ვერაფერი დაინახო გარდა ისეთ ტიპებისა, როგორიც კომბალაა, რომელიც დაათრევს პორტფელს და სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე თვალით ბრმა იყო. ჩვენ ვამბობთ, რომ რაკი შენ ბრმა ხარ, შენ ჭკუა უნდა გასწავლოთ. აი რატომ მოხსნა სარეპეტუარო კომიტეტმა ეს პიესა. ან აიღეთ მეორე პიესა: „ამერიკელი ძია", რომელსაც ბევრი ანშლანგები ჰქონდა და დიდ შემოსავალს იძლევა. გამოდის, რომ თითქოს კინტოს ტიპის განვითარებას ხელი ეწყობა საქართველოში, ამ პიესაში ამბობენ ისეთ რამეებს, მღერიან ისეთ კუპლეტებს, რომლებიც სრულებით არ შეეფერება ეხლანდელ მომენტს. მაგალითად კუპლეტები ფოკსტროტის და კინტოურის შესახებ.

რა თქმა უნდა, ფოქსტროტი—გახმაურებული ცეკვაა და ჩვენშიაც არის ასეთი გადახრა ფოქსტროტისაკენ. დემიან ბედნი კარგად სწერს ამის შესახებ, რომ ეს გადახრა უნდა განიდევნოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მაგიერ შემოვიღოთ აქაური „კინტოური". ესეც ნაციონალური გადახრაა, თავისებურ გაშუქები. ან გვიმასპინძლდებიან კუპლეტებით, რომ „ადნიმ რუკომ ვიჟიმიაეტ ტრი პუდა".

ასეთი რამით გვიმასპანძლდებიან დედა-ქალაქის დიდი თეატრის სცენიდან. ასეთი მოვლენები უნდა ამოიფხვრას და სრულებით უარვყოთ ისეთ პიე-

სების დადგმა, რომლებიც არავითარ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენენ და იდეოლოგიურად მიუღებელნი არიან ჩვენთვის. ამისათვის საჭიროა შეიქმნას და აღიზარდოს მასიური მაყურებელი, რომელიც შესძლებს აითვისოს ახალი პიესები კლასობრივ, პროლეტარულ შინაარსით. ეხლა კი ისეთ პიესებზე, როგორც „ამერიკელი ძიაა", მეტი ხალხი დადის, ვიდრე „ზაგმუკზე", ან „საჭე მარცხნივ"-ზე.

უნდა მოვიზიდოთ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღება, რათა შევსძლოთ ამ ახალ მსმენელის გამომუშავება, ისე, როგორც ვქმნით მასიურ მკითხველებს. სანამ ეს არ განხორციელდება, მანამ ჩვენს თეატრს ყოველთვის დიდი დეფექტი ექნება მატერიალურად და ის არ მოგვცემს მას, რაც ჩვენ გვესაჭიროება.

სწორედ ასეთივე მდგომარეობაა კინოს დარგში, კერძოდ საქართველოს სახკინმრეწვში. სახკინმრეწვზე ეხლა ბევრს ლაპარაკობენ, ის განიცდის კრიზისის ხანას. დაიწყო „წითელი ეშმაკუნების" დადგმით და დაქვეითდა ისეთ სურათამდე, როგორც „მფლანგველები", ან „სავურ საფლავი"-ა. ასეთი ფილმებით სახკინმრეწვი სრულებით „დაისამარებს" თავს. ეხლა ის ისეთ კრიზისს განიცდის, როდესაც მას არ გააჩნია არც თემები, არც შესაფერი რეჟისორები, რომლებსაც შეეძლოს ასახონ სურათში ახალი საბჭოთა ცხოვრება. აი რატომ არის ის გაყინული ერთ წერტილზე და პარტია ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ დასძრას ის მკვდარ წერტილიდან. ამ ორგანიზაციას ჩვენში მოეპოვება ყველა პირობები განვითარებისათვის. მე-15 ყრილობაზე და მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე ამხ. **ბუხარინმა** და ამხ. **სტალინმა** ყურადღება მიაქციეს კინემატოგრაფიის საკითხებს. მათ აღნიშნეს, რომ არაყიდან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს კინოსა და რადიოს, უნდა განვითარდეს კინომშენებლობა, ვინაიდან არაყს ზიანის მეტის არაფრის მოტანა არ შეუძლია, კინო და რადიო კი მოგვეხმარება ჩვენ კულტურულ რევოლიუციის საქმეში. დღემდე სოფელში ვერ ხედავენ კინოს, კინო აღარ მიდის სამაზრო პუნქტებს იქით, სამაზრო ქალაქებს იქით. გვქონდა კი ისეთი საგლეხო ფილმები, რომლებსაც შეეძლო წარმატებით შეჭრილიყო სოფელში. ეხლა სახკინმრეწვის წინაშე სდგას იმის ამოცანა, რომ შექმნას მებრძოლი რევოლიუციონური ფილმები მუშებსა და გლეხებისათვის და აიღოს გეზი ახალ მაყურებელზე, მთელი კავშირის მაყურებელზე და ისეთი სურათები კი არ დასდგას, რომლებსაც აქვს ვიწრო ნაციონალური გადახრა და ნაწილობრივ ეწინააღმდეგება სოციალისტურ აღმშენებლობის ამოცანებს *).

*) წერილი ამოღებულია იმ სიტყვიდან, რომელიც წარმოსთქვა ამხ. კახიანმა საქ. პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე მიმდინარე წლის იანვარში.

**რედ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნ. ნეკრასოვი

**(გარდაცვალების შემდეგ ორმოცდა ათი წლის თავი)**

რუსეთის დიდი პოეტი ნ. ა. ნეკრასოვი დაიბადა 1921 წ. წვრილ მემამულის ოჯახში. ნეკრასოვის მამა, ყოფილი ოფიცერი, იყო ნამდვილი დესპოტი, გაუნათლებელი, კარტის მოთამაშე, რომელიც სცემდა თავის ყმებს, ნადირობდა, ლოთობდა გარყვნილებას ეწეოდა მოსამსახურე გოგოებთან. ნეკრასოვის დედა პოლონელი იყო, გონებრივათ გაცილებით უფრო მაღლა იდგა თავის ქმარზე და მის ზნეობრივ ტანჯვას საზღვარი არ ჰქონდა. ბავშობის შთაბეჭდილება და დედის მოგონებამ ნახეს თავისი გამოძახილი ნეკრასოვის ბევრ თხზულებებში. როდესაც მომავალი პოეტი 11 წლის გახდა,—მან იაროსლავის გიმნაზიაში დაიწყო სწავლა. შემდეგ მამამ ნეკრასოვი პეტერბურგში გაგზავნა საინჟინაურო პოლკში. მაგრამ ახალგაზრდა ნეკრასოვი არ დაემორჩილა მამას, გამოსცვალა თავისი კარიერა და უნივერსიტეტში შევიდა თავისუფალ მსმენელად.

გამწყრალი მამა არაფერს უგზავნიდა ნეკრასოვს და ის განიცდიდა საშინელ სიღარიბეს. მაშინ ის 17 წლის იყო. მან გაიგო, თუ რა არის სიმშილი, სიცივე, უბინაობა,—ამ წლებმა დიდი გავლენა მოახდინეს ნეკრასოვის ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე. ის გაეცნო ქუჩას, მას თანაუგრძნობდენ მათხოვრები, და კიდევაც ჰკვებავდენ მას. ამ დროს ის იყო ნამდვილი ინტელიგენტი პროლეტარი და ბოგემა. ამ დროს ჩაისახა მის სულში აღმოუფხვრელი სიყვარული ჩაგრულისადმი.

ნეკრასოვმა ხელი მიჰყო ლიტერატურულ შრომას. ის სწერდა რეცენზიებს, ეოდევილებს, ზღაპრებს. მას ბევრი ნაცნობები გაუჩნდა მსახიობთა შორის. თანდათან მიიქცია ყურადღება, როგორც ნიჭიერმა მწერალმა.

პირველად მან გამოსცა საკუთარი ლექსების კრებული: „ოცნებანი და ხმები". ამ კრებულმა ვერ გამოაჩინა პოეტის ორიგინალური სახე და უფრო გვიან ნეკრასოვი თვითონ ყიდულობდა თავის ლექსების პირველი კრებულს და სპობდა.

შემდეგ მოხდა შეხვედრა ბელინკისთან, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ნეკრასოვის ცხოვრებაში. ისინი ორივე ლიტერატურული ამბოკარები იყვნენ. ბელინსკის ყოველთვის აღიარებდა ნეკრასოვი, როგორც თავის მასწავლებელს. ბელინსკიმ მოანახვინა ნეკრასოვს საკუთარი ნიჭი და ბელინსკისთან დაახლოვების შემდეგ ნეკრასოვის შემოქმედება ერთხელ და სამუდამოდ გან-

მტკიცდა. ნეკრასოვს თითქმის არ ჰყოლია წინამორბედნი რუსულ მწერლობაში, ასეთი სიუჟეტები და რიტმები არ ჰქონია არც პუშკინს და [illegible] ლერმონტოვს. ნეკრასოვმა დაიწყო ჩაგრულებზე და ტანჯულებზე წერა. აქ მან გამოიჩინა უდიდესი ნიჭი.

ამ დროს ევროპის ბურჟუაზია თავისუფლდებოდა ფეოდალურ წესწყობილების უკანასკნელ ხუნდებიდან და ამ თავისუფლებისათვის ის იბრძოდა ჰუმანიურ იდეების დროშის ქვეშ. „დამცირებულთა და შეურაცყოფილთა“ პიროვნებამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ევროპიელ მწერლობის შემოქმედებაში. ამ დროს ბელინსკი ქადაგებდა მოწინავე იდეებს, გატაცებული ჟორჟ-ზანდით. როდესაც ახალგაზრდა ნეკრასოვმა 1845 წ. დასწერა თავისი ლექსი „გზაში“—ბელინსკის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ბელინსკის გარდა გერცენი და გრანოვსკი დიდი ენტუზიაზმით მიესალმენ ნეკრასოვს. ნეკ-ასოვის ლექსი „სამშობლო“ იყო პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ. ნეკრბსოვს პოეტურ ნიჭის გარდა ჰქონდა პრაქტიკოსის ნიჭი. ის შესანიშნავი ორგანიზატორი იყო. თავის „სოვრემენიკში“ მან თავი მოუყარა უნიჭიერეს მწერლებს და როგორც რედაქტორმა, „აღმოაჩინა“ დოსტოევსკი, გონჩაროვი, ლევ ტოლსტოი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, რეშეტნიკოვი და სხვები. მან, როგორც კრიტიკოსმა, ვლ. სოლოვიოვზე უფრო ადრე „აღმოაჩინა“ ტიუტჩევის პოეზია.

„სოვრემენიკის“ როლი რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში დიდი იყო. მიუხედავად ცენზურის სისასტიკისა, ეს ჟურნალი იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ და გამოზარდა არა ერთი თაობა იმდროინდელ რევოლიუციონრებისა. ნეკრასოვი იყო ამ ჟურნალის რედაქტორი მთელი ოცი წელიწადი. ცენზურა სდევნიდა და ამახინჯებდა ნეკრასოვის ჟურნალს და მის ლექსებს. ჩუკოვსკის სიტყვით,—მას კიდევაც რომ ერთი ლექსი არ დაეწერა, ის მაინც დაიმსახურებდა დიდ მადლობას, როგორც თავის ეპოქის უდიდესი ჟურნალისტი.

„სოვრემენიკი“ დახურეს 1866 წ. ცხრა წლის განმავლობაში ნეკრასოვი რედაქტორობდა „ოტეჩესტვენიე ზაპისკებს“ თავის სიკვდილამდე—ის მოკვდა 27 დეკემბერს, 1877 წ. მან შექმნა მთელი რიგი პოეტურ ნაწარმოებთა, რომელთაც სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ რუსულ მწერლობაში.

* * *

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არც ერთი რუსი პოეტი არ არის ისეთი „თანამედროვე“, როგორც ნეკრასოვი. მხოლოდ ახლა, პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, შესაძლებელია ნეკრასოვის ჭეშმარიტი დაფასება.

ცნობილია, რომ ნეკრასოვი, შთამომავლობით აზნაური, გამოეყო მეორმოცე წლების მოღვაწეებს და მიემხრო „რაზნოჩინცებს“ რომელნიც გამოვიდენ მე-60 და მე-70 წლებში.

ტურგენევმა დაუსვა ნეკრასოვს პირდაპირი ულტიმატუმი: „ან მე, ან დობროლიუბოვი“. და ნეკრასოვმა უპირატესობა მისცა დობროლიუბოვს. ტურგენევმა შეწყვიტა თანამშრომლობა „სოვრემენიკში“ და მუდამ გმობდა ნეკრასოვს, როგორც პოეტს და როგორც ადამიანს. ტურგენევმა არ აპატია ნეკრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოვს „ღალატი“, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ პოეტი მიემხრო რაზნოჩინცებს—დობროლიუბოვს და ჩერნიშევსკის, რომელთაც მეოთხმოცდაათ წლების ესტეტები ზიზღით ეძახოდენ „სემინარისტებს“.

ტურგენევი უარყოფდა ნეკრასოვის პოეზიას. აი რას სწერდა ის 1868 წელში: „მე ვცადე გადამეკითხა მისი ლექსების კრებული. მაგრამ არა! აქ პოეზიას არ გაუთევია ღამე, გადავაგდე ეს დალეჭილი პაპიე-მაშე, რომელსაც არ-ყის სუნი უდის“.

მაქსიმ გორკის გადმოცემით, ლევ ტოლსტოი უარყოფდა ნეკრასოვს, როგორც პოეტს. „ყველა მისი ლექსები მოგონილია—ამბობდა გრაფი, და ურჩევდა ახალგაზრდა პოეტებს მიებაძათ პუშკინისთვის, ფეტისათვის და ტიუტჩევისათვის“.

მაგრამ ნეკრასოვის პოეზია, რომელიც არ მიიღეს აზნაურულ რუსეთის წარმომადგენლებმა ტურგენევმა და ტოლსტოიმ, მიიღო აღტაცებით ახალმა, ჯერ კიდევ უცნობმა მკითხველმა. ეს ახალი მკითხველი იყო „რაზნოჩინეცი“ და „წვრილფეხა აზნაური“, რომელიც გამოაგდო მის მამულიდან კაპიტალიზმის განვითარებამ. ეს ახალი მკითხველი იყო ნიჰილისტი, რომელიც გატაცებული იყო სენ-სიმონის და ფურიეს პოლიტიკური იდეალებით. ეს ახალი მკითხველი იყო მეამბოხე—სტუდენტი. ნეკრასოვის პოეზია მიმართავდა ქალაქის დემოკრატიას, ლიბერალურ ბურჟუაზიას. ნეკრასოვის პოეზია ნახულობდა გამოძახილს ნაროდნიკებსა და რევოლიუციონერებს შორის. ამ ახალ მკითხველს სრულიად არ აინტერესებდა კოშკები, წყალვარდნილები, რაინდები, მშვენიერი „დამები“. ის ეძებდა პოეზიაში თავის დემოკრატიულ იმედების გამოძახილს.

ნეკრასოვის პოეზიას ასაზრდოვებდა სოფელი, რომელთანაც მას არასდროს არ გაუწყვეტია კავშირი. ნეკრასოვის პოემების უმთავრესი გმირია—ხალხი. ის მოჯადოვებული იყო ხალხისადმი სიყვარულით და ამ სიყვარულმა უკარნახა მას დაუვიწყარი ლექსები, რომლითაც დღემდე ამაყობს რუსული მწერლობა. არც ერთი რუსი პოეტი არ არის ისეთი ხალხური, როგორც ნეკრასოვი. მისი მუზა, მისი შთაგონების საგანი იყო ყოველთვის ხალხის ტანჯვა, ვაება, ხალხზე ზრუნვა.

როგორც აზნაური, რომელიც ინანიებს თავის ცოდვებს ხალხის წინაშე, ნეკრასოვი ჰქმნის მორალური გრძნობის შედევრებს, როგორიც არის „Рыцарь на час“, და მისი „უკანასკნელი სიმღერები“.

ნეკრასოვი რუს პოეტებს შორის ყველაზე უფრო დიდი რეალისტია და სოფლის ყველაზე უფრო დიდი პოეტია. ამ მხრით მას ვერავინ შეედრება—ვერც კოლცოვი, ვერც ნიკიტინი, ვერც ესენინი. მისი პოემები („Кому на Руси жить хорошо“) გასაოცარი არიან თავისი მდიდარი ხალხური ენით და სოფლის ცხოვრების ენციკლოპედიური ცოდნით. პოეტის ლექსიკონი უსაზღვროა. მისი პოემა „Коробейники“ თავიდანვე გავრცელდა ხალხში. მას მღერიან და ხშირად არც კი იციან, რომ მისი ავტორი ნეკრასოვია. ნეკრასოვის პოეზია თითქოს გაგრძელებაა ბილინების და ზღაპრების. თითქოს მისი ლექსები წარმოშობილნი არიან თვით ხალხის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი ჰიმნებს უმღერდა იმ მებრძოლთ, რომელნიც თავს იმეტებდენ მის საყვარელ ხალხისათვის. მისი გავლენა ინტელიგენციაზე ძალიან დიდი იყო. პლეხანოვი—ახალგაზრდობაში თვითონ ნაროდნიკი, გვიამბობს:

„მაშინ მე ვიყავი სამხედრო გიმნაზიის უკანასკნელ კლასში. ჩვენ ვისხედით ნასადილევს და ვკითხულობდით ნეკრასოვს, როცა ჩვენ გავათავეთ „რკინის გზის“ კითხვა, ჩვენ ისევ დაგვიძახეს საფრონტო მეცადინეობისათვის. ჩვენ დავმალეთ წიგნი და წავედით ცეიხჰაუზში თოფებისათვის, მაგრამ წაკითხულმა ლექსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. როდესაც ჩვენ დავეწყვეთ რიგებათ, ჩემი შეგობარი ს—ი მოვიდა ჩემთან თოფით ხელში და ჩამიჩურჩულა:

— მე მინდა ავიღო ეს თოფი და ვიბრძოლო რუსი ხალხისათვის! პლეხანოვმა—მარქსისტმა—დასწერა წერილი ნეკრასოვზე, რომელშიდაც ამბობს: ნეკრასოვს რომ მიეღწია პროლეტარიატის გამოსვლამდე, ის უსათუოდ დასწერდა „რუსულ მარსელიეზას“, რომელშიდაც სევდის ხმები შეიცვლებოდა გამარჯვების ხმებით. 1917 წ. პლეხანოვმა დასწერა კიდევ ერთი წერილი, რომლიდანაც ჩვენ გავიგეთ, რომ „ზემლევოლცები“, „სამხრეთის ბუნტარები“ და რევოლიუციონურად განწყობილი მუშები, ორგანიზაციულად, პარტიის დაკვეთით გამოვიდენ ნეკრასოვის გასვენებაზე. დაამშვენეს პოეტის კუბო გვირგვინით, რომელზედაც იყო წარწერა „სოციალისტებისაგან“; გამოჰყვეს თავისი წრიდან ორატორი (გ. ვ. პლეხანოვი, მაშინ უკვე არა ლეგალური), რომელმაც ილაპარაკა პოეტის საფლავზე. მუშები მოვიდენ გასვენებაზე შეიარაღებულნი და გადაწყვეტილი ჰქონდათ ტყვიებით ეპასუხნათ პოლიციისათვის, თუ ის მოგლეჯდა გვირგვინიდან ლენტს, ან თუ შეაჩერებდა მათ ორატორს. მხოლოდ პოლიციის სიმხდალე იყო იმის მიზეზი, რომ ნეკრასოვის საფლავზე არ დაღვრილა სისხლი.

აგრეთვე ილაპარაკა დოსტოევსკიმ, რომელიც ძალიან აფასებდა ნეკრასოვს. როდესაც დოესტოევსკიმ სთქვა, რომ ნეკრასოვი დაიკავებს ადგილს უშუალოდ პუშკინის და ლერმონტოვის შემდეგ, ახალგაზრდობამ ერთხმად დაიყვირა:

— ის უფრო მაღლა სდგას!

ამას მოწმობს აგრეთვე ჩერნიშევსკის სიტყვები, მოწერილი ციმბირიდან: ის სწერდა პიპინს: „უთხარი მას (ავადმყოფ ნეკრასოვს), რომ მე მიყვარდა ის მხურვალედ, როგორც ადამიანი, რომ მე ვკოცნი მას, რომ მე დარწმუნებული ვარ: მისი სახელი იქნება უკვდავი, როგორც უკვდავია რუსეთის სიყვარული მისდამი, რომ ის უგენიალესი და უკეთილშობილესია ყველა რუს პოეტებს შორის. მე ვქვითინებ და ვგლოვ ნეკრასოვს. ის ჭეშმარიტად იყო მეტად კეთილშობილი და დიდი ჭკუის ადამიანი. და როგორც პოეტი ის, რასაკვირველია, ყველა რუს პოეტებზე დიდია“...

ნეკრასოვი ოცნებობდა ისეთ დროზე, როდესაც ხალხი წაიკითხავს ბელინსკის, დობროლიუბოვს. სწუხდა, რომ ხალხი არ იცნობს მას, როგორც პოეტს. თუმცა სიკვდილის წინ დედის აჩრდილი ეუბნება ნეკრასოვს—„მოვა დრო და გაიგონებ შენს სიმღერას ვოლგის, ოკას და კამას ნაპირებზე“-ო. ეს წინასწარმეტყველება ასრულდა!

1921 წელს ვ. ნ. პოკროვსკიმ დაბეჭდა გაზეთ „პრავდა“-ში წერილი. მოგვყავს ადგილები ამ წერილიდან: „ნეკრასოვი თვითონ არ ყოფილა სოციალისტი, მაგრამ ის აღვიძებდა თავის ინტელიგენტურ მკითხველებში მუდამ სირცხვილს ფიზიკურ შრომის ადამიანთა წინაშე, მათ წინაშე, „ვისი ხელები მუშაობენ და გვაძლევენ ჩვენ საშუალებას დავტკბეთ ხელოვნებით და მეცნიერებით“, იმ სირცხვილს, რომელმაც არა ერთი ინტელიგენტი გადააქცია სოციალისტად... რუსეთის ინტელიგენციას დაავიწყდა 1917 წელში ნეკრასოვი, როდესაც მან უპასუხა „ხელოვნების და მეცნიერების“ საბოტაჟით ფიზიკურ შრომის წარმომადგენლების ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის. რუსეთის პროლეტარიატისათვის კი ეს სირცხვილი ფეოდალის—პოეტისა მუშის წინაშე—კიდევ ერთი არგუმენტია იმისათვის, რომ მუდამ ახსოვდეს ნეკრასოვი, როგორც თავისი მომღერალი“.

მ. პოკროვსკი ნეკრასოვის „რკინის გზას“ უწოდებს „რუსული პოეზიის უდიდეს პროლეტარულ მიღწევას“. „ეს არის შრომის ღირებულების თეორია—ლექსებში, დაწერილი იმ ადამიანის მიერ, რომელსაც არც ერთი შრომა მარქსის არ წაუკითხავს... „რკინის გზა“ ყველამ ზეპირად იცის, მაგრამ განა ყველა ამჩნევს, რომ ამ ლექსში ორასი სტრიქონის მანძილზე ‘ოცემულია მთელი კაპიტალისტური საზოგადოება—მისი საძირკვლიდან—პროლეტარებიდან მის მწვერვალამდე—პოდრიაჩიკის და აგრეთვე „დესიატნიკის“ სახით. ნეკრასოვს რომ არაფერი დაეწერა გარდა „რკინის გზისა“, ის მაინც ღირსი იქნებოდა რომ პროლეტარულ რევოლიუციას დაედგა მისთვის ძეგლი“ [1]).

კროპოტკინი, ანარქისტი, დიდი თაყვანისმცემელი იყო ნეკრასოვის და აღნიშნა თავის მოგონებებში ნეკრასოვის პოეზიის აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მიხაილოვსკი სწერდა: ნეკრასოვს რომ არაფერი დაეწერა გარდა „რაინდისა ერთი წუთით“, ის მაინც დაუვიწყარი იქნებოდა რუსულ ინტელიგენციისა და მწერლობისათვის“.

მეტად საინტერესო აზრი გამოთქვა ნეკრასოვის პოეზიის შესახებ მოხუცმა მუშამ—რევოლიუციონერმა—მარქსისტმა ა. შაპოვალოვმა თავის მემუარების წიგნში „მარქსიზმისაკენ“. „მისი გამოტანჯული ლექსი, მისი მუზა „შურისძიებისა და ჭმუნვისა“ ყველაზე უფრო გვაღელვებდა ჩვენ. მიუხედავათ უარყოფით აზრისა ნეკრასოვის შესახებ ასეთი დიდი მწერლებისა, რომელთაც ეკუთვნოდა ლ. ნ. ტოლსტოი, ნეკრასოვი იყო და იქნება ხალხის ტანჯვების მომღერალი, პოეტი ყოველ მუშისათვის, რომლისთვისაც აუტანელია კაპიტალისტური რეჟიმი“.

* * *

მონანიებულ აზნაურთა შორის ნეკრასოვი განსაკუთრებული სიმწვავით განიცდიდა თავის ცოდვებს ხალხის წინაშე. მისი დაავადმყოფებული სინდისი არ აძლევს მას მოსვენებას. ერთ ლექსში ის ამბობს: „პური მოყვანილი მონების მიერ არ არის ჩემთვის მარგებელი“.

---

[1]) „Правда“ № 275, 1921 წ.

ნეკრასოვმა თავისი საკუთარი ძალღონით შეიძინა სიმდიდრე, მაგრამ ის მაინც გრძნობდა დანაშაულს ხალხის წინაშე. მისი მამა და მამისწინაპრები ხომ ბატონები იყვნენ. თავისი ბავშობა ნეკრასოვმა სოფელში გაატარა და სამუდამოთ შეიძულა ბატონყმობა. ნეკრასოვის პოეზია იყო „რაზნოჩინცების“ პოეზია. ამიტომაც სრულიად განსხვავებულია მისი რიტმი, მისი ლექსიკონი, მთელი მისი „პოეტური მეურნეობა“. ნეკრასოვის დაფასებაში დაეტაკა ერთმანეთს ორი კლასი—დემოკრატიული და არისტოკრატიული, აზნაური და რაზნოჩინეცი. რასაკვირველია ახალი აუდიტორიის სიმპატიები ნეკრასოვის მხარეზე იყო. მესამოცდაათე წლებში—ნიჰილიზმის ხანაში—საერთოდ ლექსებს უარყოფდენ, უშვებდენ გამონაკლისს მხოლოდ ნეკრასოვისათვის, რადგანაც ის უტილიტარული პოეტი იყო, რადგანაც ის მოითხოვდა პოეტისაგან, რომ ის მოქალაქე ყოფილიყო. პოეტის მტრები ავრცელებდენ ხმას, რომ ნეკრასოვი არ არის გულწრფელი ჭირისუფალი ხალხის ტანჯვა-ვაების. ნეკრასოვის შემდეგ დარჩენილ ხელთნაწერებში ალმოაჩინეს ერთი მისი უსახელო თაყვანისმცემელის ლექსი, რომელიც იშვიათი სიძლიერით გადმოგვცემს ნეკრასოვისადმი სიყვარულს და ეჭვებს, რომელიც დაბადა მკითხველ სიზოგადოების ნაწილში ხმებმა მის ორგულობის შესახებ. აი ეს ლექსიც:

## შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

### ნ. ა. ნეკრასოვს.

მეუბნებიან, რომ შენი ხმა არის სიცრუე,
რომ შენ გვატყუებ მოგონილი, ყალბი ცრემლებით,
რომ მხოლოდ სიტყვით მოუწოდებ ხალხს სიკეთისკენ,
მაგრამ გველივით ბრბოს დასცინი გაუნათლებელს.

მაგრამ მე მაინც მტრის სიტყვები ვერ მაჯერებენ,
ეს შენი ცქერა მიკარნახებს ჭეშმარიტებას.
და ჩემი გული მტრების სიტყვებს მუდამ გაურბის—
არა და არა!

მეუბნებიან, შენი სული არის სასტიკი,
მხოლოდ სიტყვებში გრძნობის ცეცხლი ააგიზგიზე,
რომ შენ მკაცრი ხარ; შენი ლექსი—სიყვარულია—
რომ შენი გული ქვაზე უფრო უგრძნობელია.

მაგრამ რად მინდა შევიყვარო მთელი ქვეყანა,
როცა ვკითხულობ შენს უკვდავ ლექსებს?
ნუ თუ ისინი სიცრუეა, უსულო ბგერა?
არა და არა!

თუ ნამდვილია საშინელი ეს განაჩენი?..
მითხარი, ჩვენო სიამაყე და გენიოსო!
ნუ თუ გიმზადებს ულმობელი შთამომავლობა
ცოდვებისათვის წყევლის ფიალას?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ თუ უფლება განკიცხვისა ბრბოს მისცემია,
როცა ქვეყანა შენს დიდებას ემორჩილება,
ნუ თუ არა გვაქვს ჩვენ უფლება უთხრათ ავ ენებს:
არა და არა!

ნუ თუ დადაღე შენი ყოფნა სირცხვილის დაღით,
ნუ თუ ყალბია ჩვენი რწმენა უზენაესი!
თუ იტყვი ამას—მე შენ სიტყვებს დავეთანხმები
და ხელს ავიღებ ჩემს რწმენაზე გულ გაპობილი.

მაგრამ ამაო იქნებოდა თვით შენი სიტყვა,
მე შენ თვალებში შემოგხედავ ჩუმ აღელვებით,
რომ ხელმეორეთ დავიძახო ულრმესი რწმენით—
არა და არა!

საპასუხო ლექსში „უცნობ მეგობრისადმი“ ნეკრასოვი სთხოვს თავის სამშობლოს, თავის ხალხს აპატიოს მისი ცოდვები.

რადგან ჩემს გულში ხალხის სისხლის სდუღს ერთი წვეთი,
ჩემო სამშობლო, მაპატიე დანაშაული!

ნეკრასოვს უნდოდა რევოლიუციონერების ბანაკში ყოფილიყო და ამისთვის ძალა არ შესწევდა. ნეკრასოვის ტრაგედიას ბევრი ინტელიგენტი განიცდიდა და ამიტომ მათთვის გასაგები იყო მისი ქვითინით და გლოვით სავსე პოეზია. ნეკრასოვი ეუბნება თავის მუზას, რომელიც გამოეცხადება მას სათაყვანებელ დედის სახით:

ო, დამაშორე ზეიმს, ლაყბობას,
სისხლის მსმელების ველურ ორგიას,
და წამიყვანე გმირულ ბანაკში,
სადაც ხალხისთვის იღუპებიან.

ნეკრასოვი მუდამ ხალხის ბედს დაჰკანკალებდა, როგორც მისი ტანჯვა-ვაების ჭირუსუფალი. გლეხების განთავისუფლების შემდეგ მისი მუზა ამბობს: —ხალხი განთავისუფლებულია, მაგრამ თუ არის ბედნიერი ხალხი? და ნეკრასოვი გვიხატავს თავის პოემებში გლეხობის გალატაკებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბატონყმობის მოსპობის შემდეგ. ნეკრასოვი ებრძოდა თავის ლექსებში ახალ ბურჟუაზიას და ჩარჩებს, რომელნიც თავის ბედნიერებას აშენებდენ გლეხების უბედურებაზე და უვიცობაზე. „ბატონყმობის ხუნდების მაგივრად მოიგონეს ახალი ხუნდები“.

ნეკრასოვი ხალხის დიდი თაყვანისმცემელი და ფანატიკოსი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც—ბაკუნინის ლოზუნგით ინტელიგენციამ დაიწყო „ხალხში სიარული“. ნეკრასოვს რამოდენიმედ ახასიათებს ხალხის იდეალიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ნეკრასოვი ნაროდნიკების გენიალური პოეტია, თუმცა მან მოახდინა გავლენა, უფრო გვიან, მარქსისტებზედაც.

თავის „ელეგიაში“ ნეკრასოვი ეუბნება ჭაბუკებს, რომ პოეზია მუდამ უნდა ემსახურებოდეს ხალხს, რომ ხალხის ტანჯვა ჩანგის საუკეთესო თემაა. ნეტავი ამ თემას დააბერებდეს დრო და სამუდამოთ აყვავდებოდეს ქვეყანა! მაგრამ ჯერ ხალხი ღატაკია, ემორჩილება მათრახს და რას უნდა ემსახურებოდეს უფრო მშვენიერს მუზა? მართალი იყო ანდრეევსი, რომელმაც სთქვა, რომ ნეკრასოვის

პოეზია იშლება ჩვენს წინაშე როგორც რომანი: პოეტი შეყვარებულია და მისი საოცნებო საგანია ხალხი. მაგრამ პოეტის სატრფო სდუმს. მას არ უნდა გაიღვიძოს. იგი არ უსმენს თავის მგოსანს და მგოსანი სჩივის, რომ ხალხს ის უცნობია, რომ ხალხი მხოლოდ იტანჯება და არ უნდა მხარი დაუჭიროს თავის აპოლოგეტებს. სიკვდილის წინ ნეკრასოვმა დასწერა ლექსები, სადაც გლოვობდა თავის მარტოობას და ხალხისაგან დაშორებას. სტუდენტობამ გაუგზავნა მას დელეგაცია ადრესით 1877 წ. თებერვალში. აი ამ შესანიშნავ ადრესის ტექსტი შემოკლებით:

„ჩვენ წავიკითხეთ შენი უკანასკნელი სიმღერები, ჩვენო ძვირფასო, ჩვენო საყვარელო ნიკოლოზ ალექსისძე, და ჩვენ გული გვეტკინა, ჩვენ ვიზიარებთ შენს ტანჯვას სიკვდილის წინ, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, რომ შენი შრომა უნაყოფო იყო. შენ ამბობ: „მოვკვდები და არმვინ დამიტირებს, არავინ შემიცოდებს“. ჩვენი ხალხი სიბნელეშია კიდევ და ისე ჩქარა ვერ გაგიცნობს. მაგრამ რათ დაგვივიწყე ჩვენ, რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობა? ჩვენ გული შეგვტკივა შენზე—ხალხის ტანჯვა-ვაების ძვირფასო და საყვარელო ჭირისუფალო, ჩვენ გული შეგვტკივა იმისათვის, ვინც აღვიძებდა ჩვენ გულში მძლავრ სიყვარულს ხალხისადმი და სიძულვილს მის მჩაგვრელებისადმი. იცოდე რომ შენ არა ხარ მარტო, რომ შენთან არის რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც ეცდება გაანხორციელოს შენი წმინდა ანდერძი. ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ ჩვენს გულში სდუღს ხალხისადმი წმინდა სიყვარული, რომლის გამო ბევრი კიდევაც გამოესალმა სიცოცხლეს“. ელისეევი, რომელიც დაესწრო სტუდენტების შეხვედრას ავადმყოფ ნეკრასოვთან, სწერს: „პოეტი მეტად აღელვებული იყო და თვალცრემლიანი უსმენდა ახალგაზრდობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის განიცდიდა თავის სიცოცხლის უნეტარეს წამებს. პოეტის ამღვრეული ბუნება დამშვიდდა, მან გაიგო, რომ მისი მტრები ამაოდ ზეიმობენ, რომ ახალი თაობა და მოწინავე რუსეთი მის მხარეზეა“.

ვალერი ბრიუსოვმა პირველად აღნიშნა, რომ ნეკრასოვმა დაიწყო რუსეთში ურბანისტული პოეზია. ნეკრასოვმა იცის, რომ ქალაქში ჩნდებიან პირველად რევოლიუციონური ძალები, რომელნიც უნდა შეებრძოლონ ბოროტებას და მოსპონ ის. მაგრამ ის არ არის ქალაქის აპოლოგეტი. ის გვიხატავს ქალაქის საშინელ სახეს და აქ ის ენათესავება მეორე გენიალურ „რაზნოჩინეცს“—დოსტოევსკის. ნეკრასოვი უთუოდ „ავი ტალანტია“, მაგრამ მისი სატირიული ლექსები გამთბარია ხალხისადმი სიყვარულით. „შურისძიების და სევდის“ პოეტი ამბობს ერთ ლექსში: სატირიკოსი ქადაგებს სიყვარულს უარყოფის მტრული სიტყვით. ყოველი მისი სიტყვა ამრავლებს მის მტრებს. მას სწყევლიან და დააფასებენ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ—მხოლოდ მაშინ მიხვდებიან, რომ მან ბევრი გააკეთა, რომ მისი სიძულვილი ნაკარნახევი იყო დიდი სიყვარულით.

თუ ნეკრასოვმა გაიგონა ვოლგის ნაპირებზე ბურლაკების კვნესა (ვოლგას მან მონობის მდინარე დაარქვა), თუ მან გაიგონა სოფლებში და ტრამალებში გლეხის ტკივილი („холодно странничек, холодно! голодно родименький голодно!), ქალაქში მან შეამჩნია ყველა ჩაგრულების, მეძავების და თავის-

მკვლელების განწირული სახე. როგორც პროლეტარულ პოეზიის წინამორბედმა ნეკრასოვმა პირველად უმღერა რკინის გზის მუშებს, ბურლაკებს და აგრეთვე ასოთამწყობებს. მან პირველად შეამჩნია ქუჩის მეძავი და დაახასიათა ის დაუვიწყარი სიტყვებით, მან მოგვცა ლექსში „Еду ли ночью по улице темной“ — ლიზა მარმელადოვას პორტრეტი. მანვე დაგვიხატა პირველი ბირჟევიკების და სპეკულიანტების პორტრეტები, მაგრამ ნეკრასოვი არ იყო მხოლოდ აზნაურული და ბურჟუაზიული რუსეთის მამხილებელი. მისი ჩანგი შთაგონებულია რევოლიუციონერების გმირობით. მან პირველად ხოტბა შეასხა ბელინსკის („несчастные“) დობროლიუბოვს და ჩერნიშევსკის. მან პირველად უმღერა „რუს ქალებს“, რომელნიც გმირულად გაჰყვენ თავის ქმრებს — დეკაბრისტებს — თოვლიან ციმბირში და გაიზიარეს მათი ბედი — სიკვდილამდე მოწყვეტილნი სამშობლოს. მან პირველად დაგვიხატა ძლიერი, თითქოს ლეგენდარული სახე სოფლის დედაკაცისა. ნეკრასოვი არ უარყოფდა უარყოფისათვის. მას სწყუროდა დადებითი ტიპები და კიდევაც ხედავდა მათ რევოლიუციონერებში. ნეკრასოვს უთუოდ დაღუპულნი მებრძოლნი ჰყავდა სახეში, როდესაც ეუბნებოდა დედას:

ნუ დაჰქვითინებს მას გაგიჟებით,
მშვენიერია სიკვდილი ყრმისა!

1872 წ. ნეკრასოვმა თავის ლექსში „მჭედელი“ პატივით მოიხსენია გარდაცვლილი ნიკოლოზ მილიუტინი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა გლეხების განთავისუფლების საქმეში. შემდეგ წელში კი, როგორც სჩანს ახლად ნახულ პოეტის ხელთნაწერებიდან, ის წინადადებას აძლევს გლეხს ილოცოს არა მეფისა და მოხელე-რეფორმატორებისათვის — არამედ მათთვის „ვისაც ალპობენ ციხეებში, ნაცემ ჯარისკაცებისათვის და მათთვის, ვინც ჩამოახრჩვეს“.

* * *

როდესაც ნეკრასოვმა დაიწყო თავისი მოღვაწეობა, ეკონომიურ განვითარების გამო იცვლებოდა ქალაქი და მისი „სოციალური შემადგენლობა“. ნეკრასოვის გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე მოხდა იმ დროს, როცა გაჩნდა ახალი მკითხველი, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა აზნაურულ კულტურასთან და მოითხოვდა მწერლობიდან ახალ შინაარსს და ახალ ფორმას. ნეკრასოვმა თავისი ფორმა მისაწვდომი გახადა დემოკრატიულ მკითხველისათვის. მან დაუახლოვა პოეზიის ენა სალაპარაკო ენას და მისცა ახალი სოციალური შინაარსი თავის ლექსებს.

ვ. როზანოვმა აღნიშნა თავისებურობა ნეკრასოვის პოეზიის: „ნეკრასოვი იყო პირველი პოეტი-პუბლიცისტი და მოქალაქე; პროზაულ ენიდან მან შექმნა თავისი პოეზია და მიაღწია თითქმის დიდებას. ის 





ლი საკითხავია: ის ლაპარაკობს ისე, თოგორც ჩვენ, და იმას, რასაც ჩვენ“. თავის პირველ ლექსებში ნეკრასოვი კიდევ სარგებლობს თავის წინამორბედთა ფორმით. მაგრამ ამ ლექსებს პაროდიის ხასიათი აქვს. ის აიღებს ლერმონტოვის „ნანინას“ და სწერს სატირას, რომელშიდაც ამათრახებს ნიკოლოზ პირველის დროის ჩინოვნიკობას. ის სწერს აგრეთვე პაროდიას ლერმონტოვის ლექსზე „И скучно, и грустно и

и некому руку подать", და თავის პაროდიით თითქოს ჰკიცხავს თვით პესიმისტურ, მსოფლიო სევდას. ნეკრასოვმა შეიმუშავა საკუთარი სტილი პოეზიაში, რომელიც გამოჰხატავდა მის სამოქალაქო პათოსს და აგრეთვე მის სევდას, გამოწვეულს ხალხის უნუგეშო მდგომარეობით.

თავის წერილში ნეკრასოვის შესახებ ვ. ფრიჩე სწერს: „ჩვენი ფორმალისტების შრომებში გამოთქმულია აზრი, თითქოს ნეკრასოვის სტილი გაჩნდა იმიტომ, რომ პუშკინის სტილი შტამპათ გადაიქცა, გაიცვითა, აღარ მოქმედებდა მკითხველზე. ეს ახალი სტილი არ იყო საერთოდ პუშკინის, ლერმონტოვის სტილი, მაგრამ ის არ იყო არც ნეკრასოვის სტილი. ეს იყო ორი პოეტური სტილი ორ მოწინააღმდეგე კლასებისა—სტილი აზნაურობისა და სტილი „რაზნოჩინელებისა". მოვიდა ახალი კლასი ახალი ფსიქო-იდეოლოგიური შინაარსით, რომელმაც ააფეთქა აზნაურული პოეზიის ფორმა და მის ადგილზე თავისი ფორმა დაამკვიდრა. ეს იყო ორი კლასის ბრძოლა ლიტერატურულ ასპარეზზე. აი რატომ სძულდათ ესტეტებს, ბატონყმურ რუსეთის მწერლებს ნეკრასოვის პოეზია. ტურგენევი გრძნობდა, რომ ეს იყო აზნაურული სტილის სიკვდილი. ნეკრასოვი, როგორც „შურისძიების და სევდის" პოეტი უკვდავია, მაგრამ ჩვენ ვსვამთ საკითხს მთელი ნეკრასოვის სტილის შესახებ. და ამ დიდ საკითხზე ჩვენ შეგვიძლია პასუხის გაცემა მხოლოდ დაახლოვებით. პროლეტარულ-სოციალისტურ ხელოვნებას, რასაკვირველია, ექნება თავისი სტილი, როგორც შექმნა თავისი სტილი ოდესმე რაზნოჩინულმა დემოკრატიამ. რადგან პროლეტარული პოეზია დაკავშირებულია ინდუსტრიალურ ეპოქასთან—ის განსხვავებული იქნება იმ პოეზიისაგან, რომელიც განვითარდა ინდუსტრიალიზმის ეპოქამდე, მაგრამ გლეხობისათვის კიდევ დიდხანს იქნება მისაღები ნეკრასოვის სტიქია. მხოლოდ ერთი ტენდენცია ნეკრასოვის პოეზიის უნდა შეიიდეს, როგორც საეალდებულო მომენტი ჩვენს პოეტურ კულტურაში—ეს არის ნეკრასოვის პოეზიის სიმარტივე".

ეს თავისებურება ნეკრასოვისა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ ასე აღნიშნა თავის წერილში: „თავიდანვე ის გასაგებია, ყველა კითხულობს მას გატაცებით, სწავლობს ზეპირად. მღერის დაწყებული ინტელიგენტიდან ანბანის მცოდნე გლეხამდე".

* * *

როგორ უცქერიან თანამედროვე პოეტები ნეკრასოვს? კრიტიკოსმა კორნეი ჩუკოვსკიმ 1919 წ. მოახდინა ანკეტა პოეტებს შორის. 17 დაკითხულ პოეტებიდან კითხვაზე „გიყვართ თუ არა თქვენ ნეკრასოვის ლექსები?"—დადებითად უპასუხა ათმა კაცმა. ესენი არიან: ნ. გერასიმოვი, ვ. კირილოვი, ა. კრაისკი, ა. ბლოკი, ა. ბელლი, ს. გოროდეცკი, მ. ვოლოშინი, ნ. გუმილიოვი, ა. ახმატოვა და თეოდორე სოლოგუბი. მ. გორკის პასუხი არ არის პირდაპირი. „არა მგონია, რომ მიყვარდეს". პასუხი ვიაჩესლავ ივანოვის ნაწილობრივ უარყოფითია და ნაწილობრივ აღტაცებული. მხოლოდ ორმა პოეტმა სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარყვეს ნეკრასოვი—ასეევმა და მაიაკოვსკიმ. ჩუკოვსკის ანკეტაში იყო ასეთი კითხვა:

„როგორ უყურებთ თქვენ ნეკრასოვის ლექსის ტეხნიკას?“ ვიაჩესლავ ივანოვი ამბობს:—„დიდი პატივისცემით. მისი ხელოვნება არ არის მომხიბლავი, მაგრამ ხანდისხან ამტკიცებს გერკულესის ძლიერებას“. გოროდეცკის პასუხი ასეთია:

„ნეკრასოვი გენიალური პოეტია. მისი ტეხნიკა დიდებულია. მაგრამ მისი ტეხნიკა ჯერ კიდევ გაუგებარია, როგორც ტეხნიკა ზღაპრის და სიმღერის“. გუმილიოვის პასუხი:—„ნეკრასოვს, როგორც პოეტს შესანიშნავი, ღრმა სუნთქვა აქვს. ის ეუფლება ამორჩეულ სახეს. მისი ფონეტიკა განსაკუთრებულია“.

მაიაკოვსკიმ ანკეტის კითხვაზე: „სთვლით თუ არა თქვენ ნეკრასოვს უზნეო ადამიანათ“,—უპასუხა:

— ძალიან მაინტერესებდა ერთ დროს საკითხი, იყო თუ არა ნეკრასოვი შულლერი. მაგრამ მასალები ვერ შევკრიბე და საქმეს თავი დავანებე“-ო.

ამ ანკეტიდან გამოირკვა, რომ ნეკრასოვს აფასებენ და იღებენ სიმვოლისტები, აკმეისტები, პროლეტარული პოეტები და მხოლოდ ფუტურისტები უარყოფენ მას და ლაზღანდაროობით უმასპინძლდებიან დიდებულ პოეტის ხსოვნას.

ნეკრასოვი უდიდესი წარმომადგენელია რეალისტურ პოეზიის. ის ყველაზე უფრო ძლიერი „სოფლის პოეტია“. აქ მას დღემდე არავინ გატოლებია. ის აგრეთვე, უთუოდ უნდა ჩაითვალოს პროლეტარულ პოეტების წინამორბედათ.

თანამედროვე პოეტებს შორის ნეკრასოვს ჰყავს ერთი ღირსეული მემკვიდრე—დემიან ბედნი. დემიან ბედნის „აგიტკა“ შექმნა ნეკრასოვმა, დემიან ბედნის ფელეტონი ლექსათ ნეკრასოვის გამოგონილია. თვით ფუტურიზმი რამდენად ის უარყოფს პოეზიის ტრადიციულ ფორმებს დაკავშირებულია ნეკრასოვის ლექსთან და ამ შემთხვევაში მაიაკოვსკი—მოწაფე უარყოფს თავის მასწავლებელს. დიდად საეჭვოა, რომ მაიაკოვკის ლექსმა გამოიჩინოს ნეკრასოვის ლექსის გამძლეობა. ნეკრასოვი იმის გარდა, რომ ოსტატი იყო, გამოხატავდა თავის ეპოქის საუკეთესო ტენდენციებს და იყო შთაგონებული ხალხის ტანჯვა-ვაებით და ხალხური ფოლკლორით. ხალხით გატაცებამ ათქმევინა ნეკრასოვს ისეთი სიტყვები, რომელნიც სამუდამოთ რჩებიან მკითხველის ხსოვნაში. ნეკრასოვის პოეზიაში არის „სამარადისო“ ელემენტები: სიყვარული ხალხისადმი და დედისადმი. ის ერთად ერთი პოეტია მსოფლიოში, რომლისთვის დედა მუზათ გადაიქცა და დედის ხსოვნა მუდამ შეერთებული იყო ხალხის ხსოვნასთან. თავისი ნაცემი, სისხლიანი მუზა შეგვაყვარა პოეტმა და ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილათ წავიკითხოთ ის სტრიქონები, როდესაც განსაცდელის დროს პოეტი მიმართავს დედას და ეტყვის:

> გამომიყვანე ეკლიან გზაზე,
> გადავეჩვიე მასზე სიარულს.

ომის დროს, როდესაც იღუპებიან ახალგაზრდა ჯარისკაცები, ნეკრასოვს ყველაზე უფრო ეცოდება დედა—იმიტომ რომ დაივიწყებს თავის ქმარს ცოლი, მეგობარს მეგობარი, მაგრამ დედა არასდროს არ დაივიწყებს თავის შვილს.

ნეკრასოვისათვის დედა განხორციელებული სინდისი იყო. უკანასკნელად სიკვდილი გამოეცხადება ნეკრასოვს დედით სახით და ეუბნება მას:

შენ დავიწყების, ნუ გეშინია,
ხედავ, მიჭირავს ხელში გვირგვინი
სიყვარულისა და პატიების—
კეთილ სამშობლოს წმინდა ნობათი.
ღამე დაუთმობს გზას გათენებას
და შენს სიმღერას ყველა იმღერებს
ვოლგის, ოკის და კამის ნაპირზე—
ახლა კი—შვილო, დახუჭე თვალი!

არიან პოეტები, რომელნიც ეკუთვნიან თვითონ ხალხს. ნეკრასოვი ხალხის საკუთრებაა. მან მოინანია თავისი აზნაურობა და გახდა ხალხის უსაყვარლესი შვილი. მხოლოდ ახლა, პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, შეიძლება მისი ნამდვილი და ჭეშმარიტი დაფასება. ჩვენი დრო არის ის დრო, რომელზედაც ოცნებობდა ნეკრასოვი და რომელიც გამოეხმაურა ნეკრასოვს, როგორც თავის პოეტს. მ. პოკროვსკის სიტყვით ნეკრასოვი ღირსია, რომ პროლეტარულმა რევოლიუციამ დაუდგას მას ძეგლი. ნეკრასოვის პოეზია სცვლის ადამიანს და აზიარებს მას ნამდვილ ადამიანობას. მისი პოეზია ერთგვარი „განსაწმენდელია სულის“, რომლის შემდეგ შეუძლებელია გულგრილად უცქირო ცხოვრების ჯოჯოხეთს და არ შეებრძოლო მას. ნეკრასოვსის პოეზია ამბოხების წინადღეა და ბრძოლისადმი მოწოდებაა.

თვითონ ლენინმა—ოქტომბრის ბელადმა—გვიანდერძა ჩვენ უდიდესი პატივისცემა ნეკრასოვისადმი, რომელიც იყო ხალის თაყვანისმცემელი და მისი ერთგული მსახური, რომელიც მშრომელი ხალხის იარაღს ატარებდა თავის ტანზე, როგორც საკუთარ იარაღს.

ვ. ბახტაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პრიტიკული შენიშვნები

## ი. ბაბელი

— დახურულ თვალებში არ ანათებს მზე,—უპასუხებ მე მოხუცს,—მაგრამ ჩვენ გავარღვევთ დახურულ თვალებს.

...მე მიყვარს მუსიკა, ბატონო ჩემო,—უპასუხებ მე რევოლიუციას—შენ არ იცი თუ რა გიყვარს გედალი, მე ტყვია უნდა გესროლო შენ, მაშინ მიხვდები შენ ამას; მე არ შემიძლია არ გესროლო, იმიტომ რომ მე რევოლიუცია ვარ.

— მას არ შეუძლია არ გესროლოს გედალი,—ვეუბნები მე მოხუცს,—იმიტომ რომ ის რევოლიუციაა.

**ი. ბაბელი. „გედალი“.**

I

ტოლსტოიმ წაიკითხა შექსპირი და... ინანა, რომ წაიკითხა. რატომ? იმიტომ, რომ ტოლსტოიმ ვერ ნახა შექსპირის ნაწერებში ის, რასაც ეძებდა, რაც უნდოდა ენახა. ტოლსტოი ეძებდა ღმერთს, შექსპირს კი ყველაზე უფრო ადამიანი აინტერესებდა. მოხდა „სკანდალური“ გაუგებრობა. კაცობრიობის ერთმა დიდმა მხატვარმა—ტოლსტოიმ—აბუჩად აიგდო მეორე არა ნაკლები სიამაყე კაცობრიობისა—შექსპირი. დამნაშავე იყო აქ ის მიდგომა, რომლითაც ტოლსტოიმ მოინდომა შექსპირის ნაწერების გარჩევა, მათი გაგება და დაფასება. თავის რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა საზომით მიუდგა ტოლსტოი შექსპირს და, რადგან ეს საზომი აქ აბსოლიუტურად გამოუსადეგი იყო, შედეგიც შესაფერი მივიღეთ. ტოლსტოიმ ვერ გაიგო შექსპირი და გაოცებით წარმოსთქვა: მიკვირს, რატომ აფასებენ ასე დიდად ამ ბრიტანელსო. გასაოცი და გასაკვირი აქ,—ამ ბრიტანელს ასე დიდად რომ აფასებენ,—არაფერი იყო. გასაოცი და გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ ტოლსტოის შეფასება შექსპირისა ასეთი „სკანდალური“ გამოდგა. რელიგიის და მასზე აღმოცენებულ ფილოსოფიის ფარდამ დაფარა დიდი მხატვარის თვალები და შექსპირიც უცნობი დარჩა ტოლსტოისათვის. და განა მარტო ტოლსტოის დაემართა ასე? ცნობილია, რომ გოგოლმა თვით დასწვა თავის ნაწერები. გენიალურ „მკვდარი სულების“ გაგრძელება ცეცხლის ალში ჩაიფერფლა. ღმერთით დაავადმყოფებულმა გოგოლმა მოსთხოვა მხატვარ გოგოლს ის, რაიც ამ უკანასკნელის მთელ არსს ეწინააღმდეგებოდა. და შედეგად: ფიზიკურად გამარჯვებულმა ღვთის მორწმუნე გოგოლმა დასწვა მხატვარი გოგოლი.

ასე ხდება ხშირად „ჩვეულებრივ“ მკითხველთა შორისაც. მწერალს, ან უკეთ რომ ვთქვათ, მწერლის ნაწერს აფასებენ არა იმისდამიხედვით, თუ რა და როგორ სთქვა მწერალმა, არამედ იმისდამიხედვით თუ რა უნდა ეთქვა, ან არ უნდა ეთქვა მწერალს მკითხველის შეხედულებით. აქ მკითხველის თუ კრიტიკის სურვილი კანონად ცხადდება. ობიექტივობა სავსებით იკარგება და შედეგიც უარყოფითი გვეძლევა.

რაოდენიმეთ ასე დაემართა ი. ბაბელს, კერძოთ მის უმთავრეს ნაწარმოებს — „ცხენ-არმიას“.

## II

ცხენ-არმია, ცხენოსანი არმია!! ვის არ გაუგონია იგი, ვის არ სმენია მასზე, ვის არ გამოუხატავს თავის გრძნობები მის მიმართ—გულში მაინც, უსიტყვოთ?!

წყევლით და კრულვით, ცილის წამებით და ძაგებით იხსენიებდენ მას რევოლიუციის მტრები, სიყვარულით და გამარჯვების უღრმესი სურვილით ფიქრობდენ და ოცნებობდენ მასზე რევოლიუციის მომხრენი. ოქტომბრის რევოლიუციის სამოქალაქო ომების გმირულ ხანაში დაუქრობელ ცეცხლის რაშით გაიქროლა ბუდიონის ცხენ-არმიამ. რევოლიუციის არც ერთ სხვა შეიარაღებულ რაზმს არ ხვედრია ისეთი სახელი და დიდება, როგორც ბუდიონის ცხენოსან არმიას. და სამართლიანადაც. —არა ერხელ და ორხელ, როდესაც სამხედრო გამარჯვების სასწორი მტრისაკენ იხრებოდა, ბუდიონის ცხენ-არმიას გასაოცარი თავგანწირვით, მტრებისადმი დაუზოგავი სიძულვილით, სტრატეგიის ორიგინალური მოხმარით—არა ერხელ და ორხელ გადაურჩენია რევოლიუცია. ამიტომაც სამართლიანად და სავსებით ბუნებრივად ბუდიონის ცხენ-არმია შეიქნა უსაყვარლესი შვილი მშრომელებისა. ბუდიონის ცხენ-არმია—საამაყოდ გაიხადა რევოლიუციამ. არ იყო საჭირო წლები, რომ თითქმის ლეგენდალურ ტანთსამოსში გამოეწყოთ იგი და მრავალი მისი მოქმედება; თუმცა აქ ლეგენდა დიდად არ შორდებოდა ცხოვრებას, სინამდვილეს. ხალხში სტიქიურად შექმნილი ლეგენდა—პოეზიაში ეძებდა გამოხატვას ⁄ როდესაც ვიღაც უცნობ ი. ბაბელის ხელმოწერით დაიწყო ბეჭდვა პატარა მოთხრობების სათაურით „ცხენ-არმია“—ყველანი უდიდესი დაინტერესებით დაეწაფენ მათ. უმრავლესობა,—ამ მოთხრობებში, რომელთაც აერთიანებდა ასეთი საყვარელი სახელი „ცხენ-არმია“—მოელოდა დარწმუნებით ცხენ-არმიის გმირულ, საამაყო ბრძოლებს, გამარჯვებებს, ცხენ-არმიის ბელადების სურათებს. ბაბელი ცხენ-არმიის მხატვრად გამოიყვანეს. და აი ასეთი საფასით და საზომით მიუდგენ მოთხრობების გაგებას, მწერლის დაფასებას. მაგრამ ცხენ-არმიას ნამდვილი სახე, „ცხენ-არმიაში“ ვერავინ ნახა. მართალია ცხენ-არმიის შესახებაც იყო ნათქვამი, „ცხენ-არმიის“ თითქმის ყველა მოთხრობებში, მართალია, მოთხრობების მომქმედნი პირნი ცხენ-არმიაში მომუშავენი არიან, მართალია ისიც, რომ მთელი ფონი მოთხრობების ამბებისა ცხენ-არმიის ჩარჩოებში არის მოქცეული—მაგრამ ყოველივე ეს ხდე-

ბა სხვათა შორის, გაკვრით, სწორედ რომ ჩარჩოებისათვის. დაიწყება პირველი მოთხრობის კითხვას: „გადასვლა მდინარე ზბრუჩზე“, იგი ასე იწყება:—

მე-6 დივიზიის უფროსმა გვაცნობა, რომ დღეს დილით ადრე ნოვგოროდ-ვოლინსკი. შტაბი გამოვიდა კრაპივნოდან, და ჩვენი „ობოზი“ ხმაურობით არიერგარდათ გაიქმა შოსეზე, დაუვიწყარ შოსეზე, რომელიც მიემართება ბრესტიდან ვარშავისაკენ და რომელიც გაუშენებია ნიკოლოზ პირველს გლეხების ძვლებზე.

გასაოცარი მოკვეთილი, შნოიანი და ბევრის აღმთქმელი სიტყვებით მწერალი გვპირდება ცხენ-არმიის ერთ-ერთ ხელმძღვანელის მეექვსე დივიზიის უფროსის ამბავს. ალბად მოთხრობის შემდეგი განვითარებაში მწერალი შეეცდება მოგვცეს ამ დივიზიის უფროსის მხატვრული სახე, ალბად იმასაც გვაჩვენებს, თუ რას წარმოადგენს ხელოვნების თვალთახედვით ეს შტაბი, რომელიც „გამოვიდა კრაპივნოდან“, იმასაც დავინახავთ, თუ როგორი დახასიათება მიიღო დივიზიის „ობოზმა“, რომელიც გაქიმული დაუვიწყარ შოსეზე ბრესტიდან ვარშავისაკენ რომ მიექანება და ნიკოლოზ I-ელს რომ გაუშენებია გლეხების ძვლებზე... ყოველივე ამის ნახვას ფიქრობთ მოთხრობაში, რომელიც სწორედ ამ ლოდინის გასამართლებელი სიტყვებით დაიწყო. მაგრამ... სწორედ რომ არ მართლდება ეს ლოდინი. არც დივიზიის უფროსი, არც დივიზიის შტაბი, არც ეს „ობოზი“—არც ერთი მათგანი მოთხრობის შემდეგ განვითარებაში ნახსენებიც არ არი. საშინელი სურათები, დაუვიწყარი თავის სიძლიერით და ტრაგიზმით მოცემულია ამ პატარა ორგვერდიან მოთხრობაში, მაგრამ ის, რასაც ველოდით, რასაც უცდიდით არ არის—ცხენ-არმია მოთხრობაში არ არის. ან უკეთ რომ ვსთქვათ იგი არის, მაგრამ არა როგორც მთავარი გმირი.

გავაგრძელოთ კითხვა. მეორე მოთხრობა: „Костел в Новгороде“, იგი ასე იწყება:

გუშინ მე მოხსენებით გავემგზავრე სამხედრო კომისართან, რომელიც დაბინავდა გაქცეულ კსენდზის სახლში.

თქვენ ფიქრობთ, რომ ეხლა მაინც ნახავთ სამხედრო კომისარს. დივიზიის უფროსი არ გვაჩვენა ავტორმა წინა მოთხრობაში, მაგრამ სამაგიეროდ სამხედრო კომისარს მაინც მოგვცემს ეხლა. ამ იმედით განაგრძობთ კითხვას და... უკვე გავიწყდებათ სამხედრო კომისარი. იმიტომ რომ სულ სხვა სურათებით დაგიჭირათ, შეგბოჭათ ავტორმა. თქვენ ამით შეიძლება კმაყოფილიც ხართ—აუცილებლივ იქნებით—რადგან განსაკუთრებული სილამაზის და სიძლიერის ამბები ამოიკითხეთ ამ პატარა აგრეთვე ორგვერდიან მოთხრობაში. მაგრამ ის, რასაც ფიქრობდით თავიდან, მაინც არ შეგისრულდათ.—სამეხდრო კომისარი ვერ ნახეთ. და თითქოს თავი უნდა იმართლოსო—ავტორი სწერს სადღაც მოთხრობის შუა გულში გაკვრით, სხვათა შორის:

არ იქნა და ვერ ვნახე ჩემი სამკომი (სამხედრო კომისარი). ვეძებ შტაბში, ვეძებ ეკლესიაში.

შემდეგ კიდეც ნახულობს მას, ჩირაღდნებით ხელში სამკომი და სხვები ჩხრეკენ ეკლესიის სარდაფებს. ნახულობს მაგრამ არ ჩერდება მასზე. ავტორს ეტყობა სულაც არ აინტერესებს ეს სამკობი; ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. მოთხრობა თავდება ეკლესიის სურათების აღწერით, ნანახი ძვირფა-

სეულოების ჩამოთვლით, ნაღვლიანი შეცოდებით „სულელი კენდეძნისა, რომელსაც მაცხოვრის ლურსმებზე დაუკიდია თავის მრეველში შემავალ ტალიბის ლიფტიკები“.

შორს,—ჩავილაპარაკე ჩემთვის,— შორს, ამ მოარშიყე მადონებისაგან, რომლებიც გაუუპატიურებიათ ჯარისკაცებს.

ასე თავდება ეს მოთხრობა. აქაც არ არის ცხენ-არმია. და თუ არის, არა როგორც მოთხრობის ღერძი, არამედ, სხვათა შორის.

ცხენ-არმიის მეთაურებსაც ნახავთ მოთხრობებში. ბუდიონი, ვოროშილოვი—შეგხვდებათ ისინი. მაგრამ მხოლოდ შეგხვდებათ. ორი-სამი სიტყვა და ისინი წავლენ. ავტორი არ ჩერდება მათზე. მართალია, ეს ორი-სამი სიტყვა ისეთი მოქნილობით იხმარება ბაბელის მიერ, რომ ბევრ სხვის მთელ ტომებსაც აჯობებს, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ბაბელი დიდი ოსტატია სიტყვის, დიდი მხატვარია... მხოლოდ...

წაიკითხავთ მოთხრობებს და იმას რასაც მოელოდით, რასაც გპირდებოდათ თვით სათაური მოთხრობებისა—„ცხენ-არმია“ ვერ ნახავთ. ბუდიონის ცხენ-არმიის მხატვრული ასახვა არ არის ბაბელის მოთხრობებში. ბევრი ამის გამო სახტათაც დარჩება. და თუ კი მკითხველი ცხენოსან არმიის დახატვის საზომით მიუდგა ბაბელის მოთხრობებს—აუცილებლივ დაიწუნებს მათ. ასე დაემართა თვით ბუდიონის. მან წაიკითხა—ეტყობა დიდი ინტერესით—„ცხენ-არმია“ და „ინანა“ რომ წაიკითხა. არამც თუ ინანა, გაჯავრდა კიდეც. გასაგებია: ბუდიონი ეძებდა ნამდვილ ცხენ-არმიას, თავის ლეგენდარულ ცხენ-არმიას; ამ საზომით მიუდგა ის ბაბელის მოთხრობებს და როდესაც ეს ვერ ნახა, მოთხრობები დაიწუნა. მწერალს დასდო ბრალი.

ბაბელი აქ დამნაშავე არ იყო. იმიტომ რომ მას არ ჰქონია მიზნად დასახული დაეხატა ცხენ-არმიის ნამდვილი სახე. თავის მოთხრობების გმირად მას ცხენ-არმია არ ყავდა. ბაბელის „ცხენ-არმია“ არ არის ბუდიონის ცხენ-არმიის ეპოპეია. ამიტომაც ცხენ-არმიის ახატვის საზომით ჩვენ ვერ დავაფასებთ ბაბელის „ცხენ-არმიას“.

მაშ სად არის მთავარი ღერძი „ცხენ-არმიისა“ და ვინ არის მისი უმთავრესი გმირი?

## III

ცხენ-არმიის მთავარი ღერძი არის ავტორის განცდანი, უმთავრესი გმირი კი—თვით ბაბელი. გადაჭარბებულად არავინ ჩამოგვართვას. წაიკითხეთ დაკვირვებით ეს საოცარი მოთხრობები და თქვენ დარწმუნდებით, რომ სწორედ ბაბელია მათი მთავარი გმირი და სწორედ ავტორის განცდანია უმთავრესი ღერძი „ცხენ-არმიის“. ყველა ამ მოთხრობებს ავტორის პიროვნების ბეჭედი აზის. რასაკვირველია არა იმით, რომ მოთხრობების ფორმაა ასეთი—(ბაბელი მეობითი შლის მოთხრობებს). არა. არამედ იმით, რომ თვითოეულ მოთხრობაში მოსჩანს სუბიექტიური შეფასება იმისა, რაც ხდება მოთხრობაში და არა მარტო ეს; ყველა მოთხრობებში თქვენ დაინახავთ—შეიძლება დაფარუ-

ლად, მაგრამ ფარდა ისეთი თხელია და გამსჭვირვალე, რომ ადვილად ჩასწვდებით თუ რა იმალება მის ქვეშ—დაინახავთ, თუ როგორ ავტორნას—ახდენს თვით ავტორზე ეს ამბები, რომელთა შესახებაც ის წერს; როგორ განიცდის ის ყოველივე ამას.

მოთხრობებში საოცარი მხატვრული ძლიერებით გამოსჭვივის ის შინაგანი ბრძოლა, რომელსაც ავტორი განიცდის—თავისი სამოქმედო გზის არჩევის დროს. დიახ! „ცხენ-არმიაში“ საკვირველი სინათლით, სწორედ რომ ხელშესახებად ირკვევა ის, თუ როგორ გახდა ბაბელი იმათ რაც არის, ან უკეთ რომ ვთქვათ, რაც იყო ის, როდესაც „ცხენ-არმიას“ მთლიანად სწერდა.

„ცხენ-არმია უაღრესად სუბიექტიური ნაწარმოებია, მაგრამ ამ სუბიექტიურ ნაწარმოებში გაშლილია უაღრესი ობიექტიობის, საზოგადო მნიშვნელობის მქონე ამბავი იმის შესახებ, თუ როგორი განცდებით, ტკივილებით მაგრამ საბოლოო შედეგში მტკიცედ, ურყევად გადმოდიოდენ რევოლიუციის მხარეზე საუკეთესო ზვილები პროლეტარიატის მოწინაღმდეგე კლასისა. ამიტომაც ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა და ინტერესი ბაბელის „ცხენ-არმიას“.— **განსაკუთრებული**—ვამბობთ იმიტომ, რომ იგი უამისოდაც საინტერესო ნაწარმოები იქნებოდა—თავისი წმინდა მხატვრული, ფორმალური თვისებებით.

დაჩაგრულ ებრაელობის წვრილ ბურჟუაზიის შვილი—ი. ბაბელი—გზაჯვარედინზე სდგას... რევოლიუციისაკენ თუ რევოლიუციის მოწინააღმდეგე ბანაკისაკენ. რევოლიუციისაკენ ნიშნავს, უკუაგდო საყვარელი მაიმონიდი და რაში, უკუაგდო მამა-პაპათაგან ასე სათუთათ ნაანდერძები ადათ-ჩვეულებანი, უკუაგდო ყველაფერი ის, რითაც ცხოვრობდენ მრავალ ათეულ და ასეულ წლების განმავლობაში მამები და მამის მამები. რევოლიუცია ნიშნავს—უარყოფას თავის კლასისა და თავის სარწმუნოებისა. მართალია რევოლიუცია გაძლევს ახალ კლასს—პროლეტარიატს, გაძლევს თავის „რელიგიას“—კომუნიზმს, მაგრამ ეს ხომ სხვა კლასია, მოწინააღმდეგე შინაარსით, მაგრამ ეს ხომ სხვა „რელიგიაა“, სულ სხვა მისწრაფებებით, სამოქმედო გზებით.

რევოლიუციის მოწინააღმდეგე ბანაკი ნიშნავს იმათ რომლებიც ასეულ წლობის განმავლობაში არბევდენ, აწიოკებდენ, ანადგურებდენ ყველაზედ მეტად სწორედ რომ ებრაელებს; იგი ნიშნავს უსამართლობას, უკანსვლას, სისხლის მორევს, ომებს, ხალხთა ჟლეტას... ვისთან არის ბაბელი?! გზაჯვარედინია—ან იქეთ ან აქეთ.

ბაბელი მიდის რევოლიუციისაკენ. ჩვენ არ ვიცით როდის, როგორ, რატომ მოხვდა ის ცხენ-არმიაში. ეს არც არის საინტერესო. საინტერესო და მნიშვნელოვანი ის არის, რომ მისი გადაწყვეტა რევოლიუციისაკენ სწორედ ცხენ-არმიით დაიწყო. ცხენ-არმია შეიქმნა ის ხიდი, რომლითაც ბაბელი გადმოვიდა რევოლიუციის მხარეზე. ამიტომაც ბუნებრივი ხდება და ადვილად ასახსნელი, თუ რატომ მისცა სახელწოდება: „ცხენ-არმია“ თავის განცდათა მოთხრობებს ბაბელმა, თუმცა გარდა ამისა, სხვა წმინდა მხატვრული საბუთებიც ჰქონდა მას სწორედ ეს სახელწოდება მიეცა თავის მოთხრობებისათვის და არა სხვა. ეს

გადაწყვეტილება—რევოლიუციისაკენ—თავის კლასის, წარსულის წინააღმდეგ არც ისე უცებ, ერთის ხელის დაკვრით, გადაუწყვეტია ბაბელს. ეს ეარ-ეშეიძლებოდა. რყევა, ბორძიკი, იჭვები თან სდევდა მას. წარსულიც-თუ ისევ-ადვილი მოსაშორებელი გამოდგა; ბაწრები წარსულთან რომ აკავშირებდენ, არც ისე დამპალი აღმოჩნდა. რევოლიუციაც არ ყოფილა ისეთი კეთილი, რომ ხელების გაშლით შეგებებოდა მომავალ... ვინ იცის ვის? გზა მიხვეულ-მოხვეული, საკმაოთ გრძელი გამოდგა; გზა—რევოლიუციის მხარეზე საბოლოო გადმოსვლისა, ძველის საბოლოო მივიწყებისა.

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ განვლო მან ეს გზა, გამოსჭვივის ყველა მოთხრობებიდან, მაგრამ განსაკუთრებული სილამაზით, სიძლიერით და მომაჯადოებელი გულწრფელობით მოთხრობილია იგი სამ პოემაში: „გედალი“, „რაბი“ და „რაბის შვილი“.

## IV

ნაღვლიანი ლირიკით იწყება „გედალი“. დაკარგული სიყვარული წარსულისადმი! დამარცხებული მისწრაფებანი! დაფერფლილი ტომები იბნ-ეზრისა! არც ისე უმსხვერპლოდ მოეხსნენ ისინი ბაბელს. მწუხარებით იგონებს იგი მათ და ამ მწუხარებაში ნათლად ისახება ის ტანჯვა, რომლითაც დაშორებია ის მათ და სხვა გზას დადგომია.

— გულს მიკლავს მოგონებათა გარდუვალი კაეშანი. ოდესღაც ასეთ საღამოებში ჩემი მამის მამა თავისი ყვითელი წვერებით ფურცლავდა იბნ-ეზრას ტომებს. ჩემი მოხუცი ქალი კი ნაქარგი სახურით ბეჭებზე მკითხაობდა ძარღვებიან თითებით საშაბათო სანთელზე და ტკბილად ქვითინებდა. ბავშის გული ქანაობდა ასეთ საღამოებს, როგორც პატარა გემი მოჯადოებულ ტალღებზე. ეხ, დაფერფლილო წლებო ჩემი ბავშობისა! ეხ, მოგონებათა დაუვიწყარო მწუხარებავ!

— აი ჩემს წინაშე—სავაჭრო მოედანი და მისი აღსასრულიც. მკვდარია მსუქანი სული ბარაქისა. მუნჯი საგლიტაგები ამშვენებენ სავაჭროებს და ქვაფენილიც წმინდაა, როგორც თავის ქალა მკვდარისა. კამკამობს და ქრება—მკრთალი ვარსკვლავი.

ჟიტომირში ბინადრობს მოხუცი გედალი. ქალაქის სადღაც მივარდნილ კუთხეში ვაჭრობს გედალი. რას არ ნახავთ მის სავაჭროში! დიკკენს იგონებს ავტორი, როდესაც ათვალიერებს გედალის სიძველეთა სავაჭროს. პატარა წვეტიანი წვერები აქვს გედალის და თეთრი ხელები, თვალებზე სათვალე და მწვანე, გრძელი სერთუკი, თავზე ცილინდრი ახურავს.

კამათია, უკეთა ვსთქვათ—გედალი მსჯელობს რევოლიუციაზე. ახალგაზრდა ებრაელი კი უსმენს; ხანდისხან უპასუხებს. ძველი და ახალი, მამა და შვილი. აბა სად იფიქრებდა ტურგენევი, თუ რაოდენიმე ათეული წლების შემდეგ მისი „მამების და შვილების“ დაწერისა—სინამდვილე მამებსა და შვილებს ასე გათიშავდა. თქვენ ფიქრობთ, რომ გედალი წინააღმდეგია რევოლიუციის? ცდებით. პირიქით. ის მომხრეა რევოლიუციის, ეს ძველი ებრაელი, ძველებით მოვაჭრე, პატარა წვეტიანი წვერებით და დიდი შავი ცილინდრით, დიკკენსის გმირი არ გაურბის პროლეტარების რევოლიუციას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „**რევოლიუციას ჩვენ ვეტყვით კი?..**“

მაგრამ...

— **განა შაბათს ჩვენ უარს ვეტყვით**“?.

ლენინის რევოლიუციაც და მოსეს შაბათიც. და ის არ მასხრობს. არც ვინმეს ატყუილებს. არა. ის აქ გულწრფელია ისე, როგორც ყოველთვის. ავტორი ცდილობს დაგვაჯეროს მის გულწრფელობაში. ჩვენც უჯერით მას. იმიტომ რომ ჩვენ ვიცით: გედალი დღეს ლაპარაკობს იმას. რასაც გუშინ ცოტათი მაინც, იმის წინ კი უფრო მეტად—თვით ბაბელი ფიქრობდა. ამიტომაც არ დასცინის ის გედალის. არც უჯავრდება მას. პირიქით, უყვარს გედალი ავტორს, უყვარს გუშინდელი თავისი დღე და თუმცა სამუდამო მშვიდობით უთქვამს მისთვის, მაგრამ „მოგონებათა მწარე ნაღველი კვლავ მიღრღნის გულს“.

— დიახ, მე ვეძახი რევოლიუციას, მე მინდა ის, მაგრამ რევოლიუცია ემალება გედალის და მხოლოდ ტყვიების სროლით ეგებება მას ყოველთვის.

ნაღვლიანად, შეიძლება ჯავრითაც, წყრომითაც მსჯელობს გედალი. საბრალო მოხუცი! მან არ იცის, რომ რევოლიუცია არ ემალება მას; ის ვერ ხედავს, რომ ეს თოფები, ტყვიები, სროლა სწორედ რომ რევოლიუციაა. მას უნდა სხვა რევოლიუცია, მაგრამ სხვა რევოლიუცია არ არის. სხვა რევოლიუცია მხოლოდ ოცნებაშია, ფანტაზიაში არსებობს. რევოლიუცია სწორედ ის სროლაა, რომელიც ასე არ უყვარს გედალის.

საშინლად სძულს პოლონელი გედალის. პოლონელი ბოროტი ძაღლია. ის წვერებს გლეჯს საწყალ ებრაელს. და როდესაც მას—პოლონელს—სდევნიან, ეს კარგია. აი ეს ნამდვილი რევოლიუციაა. მაგრამ შემდეგ ის, ვინც პოლონელს დევნიდა—ეუბნება გედალის:

შენი გრამაფონი უნდა მომცე, ანგარიშზე უნდა ავიღოო. მაგრამ გედალის რომ უყვარს მუსიკა... გედალი ეხვეწება რევოლიუციას: ნუ წაიღებ ჩემს გრამაფონს, მე ძალიან მიყვარს მუსიკა. რევოლიუციის პასუხია: ტყვია, სროლა, მუქარა. და გედალი იბნევა. ვერ გაუგია, სად ან ვინ არის რევოლიუცია. აი როგორ მსჯელობს ის:

— პოლონელი ისვრის, ჩემო ბატონო, იმიტომ რომ ის კონტრრევოლიუციაა. თქვენ კი სროულობთ იმიტომ, რომ რევოლიუცია ხართ. რევოლიუცია ეს ხომ იგივე სიამოვნებაა. სიამოვნებას კი ხომ არ უყვარს სახლში ობლები. კეთილ საქმეებს აკეთებს ბოროტი ადამიანი. რევოლიუცია, ეს ხომ კეთილ ადამიანთა კეთილი საქმეა. მაგრამ კეთილი ადამიანები ხომ არ ისვრიან სისხლში ხელს. მაშ რევოლიუციას აკეთებენ ბოროტი ადამიანები. მაგრამ პოლონელებიც ხომ ბოროტები არიან. მაშ ვინ ეტყვის გედალის, სად არის რევოლიუცია და სად კონტრრევოლიუცია? მე ოდესღაც ვსწავლობდი ტალმუდს, მე მიყვარს რიშეს კომენტარიები და მაიმონიდის წიგნები, და არიან კიდევ ყიტომირში სხვა მცოდნე პირებიც. და აი ჩვენ, სწავლული ადამიანები, ჩვენ ყველანი მიწაზე ვაგდიეართ და გავყვირით, ვაი ჩვენ, სად არის ტკბილი რევოლიუცია??..

ასე მსჯელობს მოხუცი გედალი. მას უნდა ტკბილი რევოლიუცია; უსისხლო რევოლიუცია; კეთილ ადამიანების წმინდა ხელებით გაკეთებული კეთილი რევოლიუცია. იქ სადაც სროლაა, სისხლი, კაცის კვლა, ობლები—იქ გედალი რევოლიუციას ვერ ხედავს. დაბოლოს, მისთვის სულ ერთია, ვინ ვის კლავს.

ტყვია ერთი არის, ვისი თოფიდანაც არ უნდა იყოს ის გასროლილი: ისევე, როგორც ადამიანის განგმირული გული, განურჩევლად იმისა, ვინ ვისთვის ძგერდა იგი: რევოლიუციისათვის თუ კონტრრევოლიუციისათვის. ობლები ხომ ორივეს შეიძლება დარჩეს.

— ინტერნაციონალი—ჩვენ ვიცით რა არის ინტერნაციონალი და აი მე მინდა კეთილ ადამიანების ინტერნაციონალი.

საბრალო გედალი. მეოთხე ინტერნაციონალის დამაარსებელი, ინტერნაციონალის კეთილ ადამიანებისა, ლენინისა და მაიმონიდის ინტერნაციონალისა. სადაც არ იქნება სროლა, კაცის კვლა ობლები. ასეთია ეს გედალი—პატარა, მარტოხელა, მეოცნებე, შავი ცილინდრით თავზე და დიდ სალოცავით ილლიაში.

„იწყება შაბათი. გედალი—ფანტასტიურ ინტერნაციონალის დამაარსებელი—წავიდა სინაგოგაში“.—ასე თავდება ეს მოთხრობა. ნაღვლიანად დაიწყო ის ავტორმა და ნაღვლიანადვე დაათავა, იმიტომ რომ გედალი ბაბელის გუშინდელი დღეა. გუშინდელი დღის სავსებით დავიწყება კი ხომ არც ისე ადვილი საქმეა?!.

— ყველაფერი წარმავალია. სამარადისო ცხოვრება მხოლოდ დედის ხვედრია. და როდესაც დედა არ არის ცოცხალი, თავის შემდეგ ის სტოვებს მოგონებას, რომლის წაბილწვა ჯერ ვერავის გაუბედია. დედის ხსოვნა ბადებს და კვებავს ჩვენში სიბრალულს და სათნოებას, ისევე, როგორც ოკეანე, უსაზღვრო ოკეანე კვებავს მდინარეებს, ქვეყანა რომ დაუსერავთ.

გედალის ასეთი მსჯელობით იწყება მეორე ნაწილი ბაბელის ტრილოგიისა: „გედალი“—„რაბი“—„რაბის შვილი“—„რაბი“.

„რაბი“ უფრო ახლოს არის რევოლიუციასთან, ვიდრე „გედალი“, თუ კი ეს უკანასკნელი გუშინდელი დღეა, „რაბი“ დღევანდელი დღის რევოლიუციის საბოლოო მიღების დასაწყისია.

—და უცებ გედალის ზურგს უკან დავინახე ვინმე ახალგაზრდა სპინოზის სახით, სპინოზის ძლევამოსილი შუბლით და მონაზონის გამხმარ ლოყებით. ის პაპიროზს-პაპიროსზე ეწეოდა და თრთოდა როგორც საპატიმროდან ახლად გაქცეული და კვლავ დაჭერილი ტყვე.

ეს არის რაბი მოტალე ბრაცლავსკის შვილი ახალგაზრდა ილია.

— აი შვილი რაბისა ილია, ჩაიხრიწინა მორდხემ, დაწყევლილი შვილი, უკანასკნელი შვილი, ურჩი შვილი.

უხმოა, უსიტყვო რაბის შვილი ილია. მოთხრობაში არ სჩანს თუ რატომ და რათ დაიმსახურა მან მორდხეს ასეთი დახასიათება: დაწყევლილი, უკანასკნელი, ურჩი. „რაბი“ ამაზე არაფერს ამბობს. მხოლოდ „რაბის შვილში“ გავიგებთ ჩვენ ამას. „რაბის შვილი“ დამთავრებაა ამ ტრილოგიის და დამთავრებაა საერთოდ ამ წიგნაკის, რომელსაც „ცხენ-არმია“ ეწოდება. „რაბის შვილი“ უკვე მიღებაა რევოლიუციის. არა მარტო სიტყვით, მსჯელობით, აზრით, არამედ საქმით, სიცოცხლის საფასურით, სისხლით. ხიდი იმ ბანაკიდან ამ ბანაკამდე უკვე განვლილია. ბორძიკით, ჭოჭმანით, მაგრამ უკვე მთლიანად და საბოლოოდ აღიარებულია აუცილებლობა და სამართლიანობა რევოლიუციისა; ჩვენი რევოლიუციისა, იმ რევოლიუციისა, რომელიც არის სინამდვილეში, რომელიც ასე

ვერ გაუგია ვერც გედალის და ვერც რაბის, მაგრამ რომელიც გაუგია, მიუღია და მსხვერპლადაც შეწირვია რაბის შვილი,—„სპინოზის შუბრი რომ აქვს და მონაზონის გამხდარი სახე“—ილია „ავტორის ძმა“.

მთელი სიძლიერე, რომანტიული სიფაქიზე, უღრმესი ნაღველი და ამავე დროს უსაზღვრო სიყვარული რევოლიუციისადმი და მის ყველა მოქმედებებისადმი გამოხატულია ამ პატარა, სულ ორგვერდიან მოთხრობაში. რომანტიკა აქ რევოლიუციონურია, რადგან რევოლიუციის გრძნობებზეა აგებული, ნაღველი აქ არ არის სრულებითაც, პესიმიზმი, გულგატეხილობა, პირიქით—ეს არის მხოლოდ გამოთხოვება იმ ადამიანისადმი, რომელმაც თავი შესწირა რევოლიუციას.

აქ ყოველი სიტყვა, ყოველი ნიშანი იმას ამბობს და მოგვითხრობს თუ როგორი სიფაქიზით, სიწმინდით, ამავე დროს სხსნლით მიიღო რევოლიუცია ამ ახალგაზრდა ებრაელმა, რომელმაც გასწყვიტა ყოველივე და საბოლოოდ ყველა ამ გედალებთან, მოტალებთან და მორდახებთან.

მტერმა დაამარცხა ჩვენი ჯარები. უთავბოლოთ იხევენ ისინი.

— ტიფით დაავადმყოფებული ფარაჯიანი გლეხობა წინ მიათრევდა ჩვეულ კუზს ჯარისკაცების სიკვდილისა. ეხეთქებოდა ჩვენს მატარებელს, ხტებოდა საეხურებზე, მაგრამ უკანვე მიცვივოდა თოფის კონდახების შიშით. ქშინავდა, იფხანდა, მიქროდა წინ და სდუმდა. მეთორმეტე ჯერსზე კი, როდესაც გამომელია კართოფილი გადუყარე მათ მთელი გროვა ტროცკის მოწოდებებისა, და მხოლოდ ერთმა მათ შორის გაიწოდა ფურცლისაკენ თავისი მკვდარი ტალახიანი ხელი.

ვინ იყო ეს ერთი, რომელმაც მკვდარი ხელი გაიწოდა მოწოდებისაკენ? ვისი იყო ეს მკვდარი ხელი? ეს იყო ილია; ჟიტომირის რაბის შვილი, „უკანასკნელი“ პრინცი; „ურჩი“, „წყეული“ შვილი რაბი მოტალესი. შეიცოდეს და შეათრიეს ილია პოლიტგანყოფილების ვაგონში.

— ოთხი თვის წინედ მეცველე გედალიმ მომიყვანა მე თქვენ სახლში, მაგრამ თქვენ მაშინ, ბრაცლავსკი ძგონი, არ იყავით პარტიის წევრი—შევეკითხე.

— მე ვიყავი პარტიის წევრი, მე ვიყავი პარტიაში.—მიპასუხა მან—მაგრამ ვერ შევძელი მიმეტოვებინა დედა ჩემი.

— ეხლა კი ილია?

— დედა რევოლიუციაში მხოლოდ ეპიზოდია—ჩაიჩურჩულა მან და მიჩუმდა.

დიახ „დედა რევოლიუციაში მხოლოდ ეპიზოდია“. ასე მსჯელობს ეხლა ილია, იმიტომ რომ მან იწამა და საბოლოოდ მიიღო რევოლიუცია. მაგრამ განა ჩვენ არ გვახსოვს რას ამბობდა დედის შესახებ მოთხრობა „რაბი“?

— ყველაფერი წარმავალია. სამარადისო ცხოვრება მხოლოდ დედის ხვედრია. და როდესაც დედა არ არის ცოცხალი, ის თავის შემდეგ სტოვებს მოგონებას, რომლის წაბილწვა ჯერ ვერავის გაუბედია.

ეხლა კი—„დედა რევოლიუციაში ეპიზოდია“-ო.

— მოვიდა ჩემი რიგიც,—ამბობდა წითელარმიელი ბრაცლავსკი. ასო „ბ“ და ორგანიზაციამ გამგზავნა მე ფრონტზე.

— და თქვენ კოველში მოხვდით ილია?

— ხო, მე კოველში მოვხვდი—დაიყვირა მან სასოწარკვეთით.—კულაკებმა ფრონტი გაგვიმართეს; მე მივიღე შეერთებული პოლკი, მაგრამ გვიანღა. არტილერია არ მქონდა საკმაო.

ასეთი ენით ლაპარაკობს წითელარმიელი ბრაცლავსკი. ეს ენა ნამდვილი ბოლშევიკის ენაა. ბრაცლოვსკი არა მარტო მანდატორის წევრი, „დედა მისთვის მხოლოდ ეპიზოდია“ უძვირფასესი დედა-ბოლშევიკსა ... ბაც გედალი, (შეიძლება თვით ილიაც) ასეთი ლამაზი სიტყვებით ლაპარაკობდა.

როდესაც გახსნეს ილიას პატარა ყუთი იქ ნახეს ერთად მანდატები აგიტატორის და შენიშვნები ებრაელ პოეტის. ლენინის და მაიმონიდის სურათები ერთად ეწყო. ვიღაც უცნობი ქალის თმები ჩაედო წიგნში, რომელსაც ეწერა: „პარტიის მე-VI ყრილობის დადგენილებანი“, „ნაღვლიანი და ძუნწი წვიმის წვეთებივით ეცემოდენ ჩემზე „ქებათა ქების“ გვერდები და რევოლვერის პატრონები“.

ილია მოკვდა, როგორც რევოლიუციის ჯარისკაცი. ვერავინ დასდებს მას ბრალს იმაში, რომ რევოლიუციის შემდეგ მის ყუთში აღმოაჩინეს ის, რაც ზევით მოვიხსენიეთ. იმიტომ, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ წარსულის ნაშთებია, წარსულის, რომელიც არასოდეს არ დაბრუნდება.

უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც ჩვენ ვეთხოვებით ილიას ამას ამოწმებენ ურყევლად. მაიმონიდის სურათები, საყვარელ ქალის თმები და „ქებათა ქების“ ფურცლები—მერე რა! განა ოდნავადაც ფარავენ, ჩრდილავენ ისინი ბრაცლავსკის მსხვერპლის რევოლიუციის წინაშე?! ხიდი ბოლომდის განვლილია. სიცოცხლის საფასურით დაიმსახურა და მოიპოვა ილიამ რევოლიუციის ჯარისკაცის სახელი. გედალი, მოტალე, მორდხე უკვეარავის აინტერესებს. გედალი ვერ ნახავს IV ინტერნაციონალს, მოტალე ვერ დაიბრუნებს მოსეს და იეგოვას, მორდხეც ვერ გაასწორებს „ურჩ“ შვილს „დაწყეველილ“ შვილს, „უკანასკნელ“ შვილს. ილიამ კი მიიღო ის, რაც რევოლიუციისაგან უდიდესი საჩუქარია: სიკვდილი მისთვის.

**И я едва вмещающий вдревнем теле бури моего воображения,— я принял последний вздох моего брата.**

ამით ათავებს ბაბელი „რაბის შვილს“, ამითვე თავდება კრებული „ცხენ-არმია“, რევოლიუციის საბოლოო მიღებით, მისკენ საბოლოო გადასვლით.

## V

„ცხენ-არმიაში“—ცხენ-არმია არ არის მთავარი გმირი. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ „ცხენ-არმია“ ცილისწამება იყო ანდა ძაგება იყოს ცხენ-არმიის, როგორც ეს ბუდიონიმ დაინახა. ერთი რამ აშკარაა. ბაბელი იმდენად, რამდენადაც კი ეხება ცხენ-არმიას—უფრო გულმოდგინედ აგვიწერს მისი ცხოვრებიდან ისეთ მომენტებს, რომლებიც ერთის შეხედვით უარყოფითად ახასიათებენ ცხენ-არმიას. ბაბელი ეტყობა განგებ სჩადის ამას. იქ, სადაც შეიძლებოდა —მოთხრობის კვანძიც მოითხოვდა ამას—გაშლილი იყო ნათელი, გმირული მოქმედებანი ცხენ-არმიის რომელიმე ნიწილის ანდა რომელიმე ცალკე პიროვნების—ის თითქმის განგებ ამოკლებს, ავიწროვებს ასეთ ადგილებს. ხელოვნურად ფარგლავს მათ: ორიოდე სიტყვით, ორიოდე სცენით. ამიტომ აშკარაა, ცხენ-არმია აღებული ისე, როგორც ის იყო სინამდვილეში აუცილებლივ დაღარიბებულია,

შევიწროვებულია, ფრთებ შეჭრილია ბაბელის მოთხრობებში. მაგრამ ყველაფერ ეს შორს არის იმისგან, რომ მათ თუნდაც ოდნავათაც მიგვანიშნონ ცხენსწამება ან გაგება ბუდიონის არმიის... ჩვენ ვიცით, რომ ბაბელს არ ჰქონდა მიზნად დასახული მოეცა ცხენა-რმიის სრული მხატვრული სახე. მას სხვა მიზანი ქონდა. ცხენ-არმიისთვის იყო ის დიდი სამოქმედო ასპარეზი, რომელზედაც გაშალა მან თავისი მოთხრობების მთავარი გმირის მოქმედებანი—საკუთარი განცდანი, აზრები, ფიქრები და ოცნებები, მის მიერ განვლილი გზა ძველი ქვეყნიდან რევოლიუციამდე. ამიტომაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოცემული ცხენა-რმიის სრული სურათი. მაგრამ საკითხია; რატომ ცდილობს ბაბელი განსაკუთრებული სიცხადით ხაზი გაუსვას მუწუკებს და არა ჯანმრთელ ადგილებს ცხენა-რმიისა, რატომ ასეთი დაუზოგაობით ააშკარავებს ის იმას, რაც სრულებითაც არ იყო ტიპიური რევოლიუციის ამ საამაყო რაზმისათვის?

ჩვენ ვიცით. რომ ბაბელმა თავის მოთხრობებში საბოლოოდ და უყოყმანოდ მიიღო რევოლიუცია, მსხვერპლად შესწირა მას მთელი თავისი წარსული. „რაბის შვილი“ ხომ უეჭველად ხდის ამას. მაშ რაშია საქმე? საქმე სწორედ ამაშია. სწორედ იმიტომ რომ უფრო მეტი სიმაგრე, უფრო მეტი დარწმუნება მიეცა თავისი გადაწყვეტილებისათვის—რევოლიუციისაკენ, რევოლიუციასთან საბოლოოდ და ურყევად—სჩადის ამას. ის ამბობს: მე ვნახე რევოლიუციის საუკეთესო რაზმში ესა და ეს, ასეთი და ასეთი შავ-ბნელი მხარეები, უარყოფითი მომენტები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც გადავსწყვიტე ის, რაც გადავსწყვიტე—რევოლიუციის მიღება. როგორც ულმობელი ქირურგი, ისე სჭრის და სერავს ბაბელი ცხენარმიის ავადმყოფ მუწუკებს—უდიდესი მხატვრული ოსტატობით გვაჩვენებს ამ თავის მუშაობას და შემდეგ დაასკვნის: ორგანიზმი ჯანმრთელია: სასიკვდილო აქ არაფერია: მომავალი ამისაა, მეც მასთან ვარ. ამიტომ არ სჭირდება ბაბელს მაინცადამაინც პლიუსები გვაჩვენოს. ეს მისი—მხატვარის უფლება და სურვილია.

მაინც ვინ არიან ისინი ცხენ არმიიდან, რომელთა გამოყვანა საჭიროდ დაინახა ავტორმა თავის მოთხრობებში?

## VI

ბრძოლებია. ცხენ-არმიის ერთი ნაწილი გადაჰყავთ ბერდიჩევისაკენ. ერთ სადგურზე მატარებელი დიდი ხნით ჩერდება. კითხულობენ თუ რაშია საქმე. მეტომრეები მოსევია მატარებელს. ზოგი საფეხურებზე ჩამოკიდებია, ზოგი ზევით ვაგონებზე შემსხდარან, ზოგიც ორთქლმავალ ასკდება. სადგურის მოსამსახურენი უძლურნი არიან გაანთავისუფლონ. მატარებელი მათგან. შემდეგ წითელ არმიელების დახმარებით მატარებელს გაანთავისუფლებენ მეტომრეებში ბევრია ქალი. არის წივილი, კივილი. მატარებელი აგერ-აგერ აინძრევა. ამ დროს გამოჩნდება ერთ-ერთ ვაგონთან—რომელშიაც მოთავსებულია მეორე მწყობრი—ვილაც „წარმოსადეგი“ ქალი ძუძუ-მწოვარი ბავშვით. ბავში გამოხვეული გულზე ჰყავს მიუხტებული და ითხოვს: შეუშვან ის ვაგონში. რამდენი ხანია ქმარი არ უნახავს. ხედავ, ბავშიც ყავს ძუძუ-მწოვარი. რა ქნას.

შეიბრალეთ საყვარელო ძმებო. ბალმაშევი, მწყობრის უფროსი შეეკითხება თავის კაზაკებს: ასე და ასეა საქმე, როგორ მოვიქცეთო. ზოგიერთნი ეიცილით წამოიძახებენ: შემოუშვათ, გამოგვადგება, ჩვენ შემდეგ ქმარსაც ... ბალმაშევი უპასუხებს მათ:

— არა,— ვეუბნები მე ძმაბიჭებს საკმაო პატივისცემით,—მაკვირვებს მე თქვენგან, როდესაც მესმის ასეთი ბიბვინი: მოიგონე, მწყობრო, თქვენი ცხოვრება და როგორ ყოვით თქვენ თვითონ ძუძუ-მწოვარა ბავშები თქვენს დედებთან მოიგონეთ ეს და გაიგებთ, რომ არ გარჯა ასეთი ლაპარაკი.

კაზაკები თანხმდებიან. ქალი ბავშვით შემოდის. ეს იყო ღამით. დილას კი, როდესაც ყველანი იღვიძებენ, ბალმაშოვი ჩაფიქრებული მიდის ქალთან და ბავშვს ხელს მოკიდებს. მას ძალიან უკვირს, მთელი ღამე ბავშვი, არც ტიროდა, არც ინძრევოდა, არც ისვრებოდა, ეს როგორი ბავშია? ახსნის საფარს და გამოჩნდება „მთელი ფუთი მარილი". ქალი შეცოდებას ითხოვს, პატიებას. ბალმაშევი მზად არის შეიცოდოს ის, მაგრამ.

აბა გადახედე, დედაკაცო, ამ კაზაკებს, რომლებმაც შენ დაგაფასეს და აგამაღლეს, როგორც მშრომელი დედა რესპუბლიკაში. აბა გადახედე ამ ორ ქალიშვილს, რომ სტირიან ეხლაბან ცხარე ცრემლებით, როგორც ჩვენს მიერ შეურაცყოფა მიყენებული ამ ღამეს. გადახედე, დედაკაცო, ჩვენს პურიან ყუბანის მხარეზე ჩვენს ცოლებს. გადახედე ჩვენს ცოლებს, რომლებიც იტანჯებიან და წვალობენ უქმრობით. და ისინიც, ქმრებიც აგრეთვე მარტო მყოფნი ბოროტი ბედისაგან აუპატიურებენ მათ ცხოვრებაში შეხვედრილ ქალიშვილებს. შენ კი, დედაკაცო, შენ ხელი არ გაბლეს, თუმცა შენ სწორედ რომ ღირსი იყავი ამის. გადახედე რუსეთს რომელიც!!..—ქალი აწყვეტინებს:

— რუსეთს? თქვენ რუსეთისათვის ხომ არ ფიქრობთ, თქვენ ყიდებს მიყიდეთ თქვენი სული, ლენინს და ტროცკის.

— ყიდები აქ არაფერ შუაშია, წყეულო მოქალაქევ. როგორც კატორღაზე მყოფნი ისე მიგვათრევენ ჩვენ ლენინი და ტროცკი თავისუფალ ცხოვრების გზაზე. თქვენ კი, საზიზღარო დედაკაცო, ხართ უფრო მეტი კონტრ-რევოლიუციონერი, ვიდრე ის—თეთრი გენერალი, რომელიც ალესილი ხმლით გვემუქრება ჩვენ თავის ათას ცხენზე.

ქალს გადმოაგდებენ გაქანებულ მატარებლიდან, მაგრამ იგი გადარჩება, ზეზე წამოდგება და მიდის. ბალმაშევი ჩამოიღებს კედლიდან ვინტოვკას და მოკლავს ქალს.

— და ჩვენ—მეომრები მეორე მწყობრისა, ფიცს ვდებთ თქვენს წინაშე, ძვირფასო ამხანაგო რედაქტორო, და თქვენ წინაშე, ძვირფასო ამხანაგებო რედაქციიდან, ფიცს ვდებთ დაუზოგავად აღმოვფხრათ ყველა მოღალატენი, რომლებიც მიგვათრევენ ჩვენ უკან ორმოში და უნდათ უკან შეაბრუნონ მდინარე, და უნდათ მოფინონ რუსეთი დაღუპულთა სხეულებით და მკვდრებით მეორე მწყობრის ჯარისკაცთა სახელით ნიკიტა ბალმაშევი, რევოლიუციის ჯარისკაცი („მ ა რ ი ლ ი").

ასე ათავებს თავის წერილს რედაქციისადმინი კიტა ბალმაშევი—რევოლიუციის ჯარისკაცი. ასე მოიქცა ის. გაბედავს ვინმე და იტყვის, რომ ბალმაშევი არ არის ღირსეული ჯარისკაცი რევოლიუციის?! დიახ! ის, მაშინდელ დროის ღირსეული ჯარისკაცია ცილისწამებაა ეს ცხენ-არმიაზე. ანდა ძაგება?! რასაკვირველია არა. ბალმაშევებმა გადაარჩინეს რევოლიუცია. რევოლიუ-

ციის დღევანდელ არსებულ პირობებში, ცხადია, ბალმაშევი არ ჩაიდენს იმას, რასაც სწერს. მაგრამ მაშინ ის მართალი იყო სავსებით, ეს ოდენ რევოლიუციას.

— საყვარელო მამავ, ხომ კარგად გრძნობ თავს ჩემს ხელში?—კითხავდა სენკა მამას. —არა, უპასუხა მამამ—ვაი ჩემი ბრალი. კიდევ კითხა სენკამ.— როგორ ფიქრობ, მამაჩემო, როდესაც შენ კლავდი ფედიას კარგად გრძნობდა ის თავს?

— არა.—უპასუხებს მამა—ცუდად გრძნობდა თავს ფედია.—და კიდევ კითხა სენკამ.

— ხომ არ ფიქრობდი საყვარელო მამავ, რომ ასეთი დღე დაგადგებოდა!

— არა.—სთქვა მამამ—არ ვფიქრობდი, თუ ასეთი დღე დამადგებოდა.

— ეხლა კი მამაჩემო მე უნდა მოგკლა შენ.—მაშინ ტიმოთე რადიონიჩმა დაუწყო სენკას დედის გინება. ღმერთი არ შეარჩინა და ურტყამდა სენკას სახეში. მაშინ სემიონ ტიმოთეევიჩმა მითხრა: წადი აქედანო. და ასე რომ მე არ შემიძლია, საყვარელო დედავ—ევდოკია ფედოროვნა, აგიწეროთ ყველაფერი ის, თუ როგორ მოკლეს მამაჩემი. გწერს თქვენი შვილი ვასილი ტიმოთესძე კურდუკოვი („წ ე რ ი ლ ი").

ასე გაუსვლელი ხრამით გაყო რევოლიუციამ მამა და შვილები. ტიმოთე გენერლებს ემსახურება. ტიმოთეს შვილები კი, ფედია, სენკა და ვასილი რევოლიუციას. ტიმოთეს ხელში ჩაუვარდა ფედია და საშინელ წამებაში მოკლა ის. შემდეგ ის ხელთ იგდო სენკამ და, ჩვენ დავინახეთ, როგორ მოულეს მას ბოლო. ამ ამბავს სწერს დედას უმცროსი მისი შვილი ვასილი. უნებლიედ გვაგონდება გოგოლის „ტარას ბულბიდან" დაუვიწყარი ადგილი.

— მაშ ასე, გაყიდე სარწმუნოება. გაყიდე ამხანაგები თავისიანები. აბ ჩამოხტი ცხენიდან. არ გაინძრე, მე დაგბადე და მევე მოგკლავ.—სთქვა ტარასმა და თოფი მხრიდან ჩამოიღო.

სარწმუნოების, სამშობლოს მოღალატე შვილი მოკლა მამამ ჩვენი. თანაგრძნობა აქ სავსებით ტარასის მხარეზეა. ანდრია მოღალატე იყო და ღალატის გასამართლებელი არაფერი ქონდა. აქაც ბაბელ მოთხრობაში,—შვილები: ეს ფედია, სენკა, ვასილი.—ღალატობენ აგრეთვე სარწმუნოებას, ოჯახს, სამშობლოს. მაგრამ ჩვენი თანაგრძნობა სავსებით მათ მხარეზეა. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ღალატობენ ძველს, დახავსებულს, მონობას, უკულტურობას და გადადიან ახალის, წინსვლის, რევოლიუციის მხარეზე. ამიტომ იქ, სადაც შვილი კლავს მამას, მთელი ჩვენი თანაგრძნობა შვილისკენაა. საშინელი საქმეა ეს — შვილი კლავს მამას, მაგრამ ეს ხდება რევოლიუციის გასამარჯვებლად და ჩვენ ვლებულობთ მას. მამა და შვილი ისე, როგორც დედა, რევოლიუციაში მხოლოდ ეპიზოდია. არის აქ ცილისწამება ცხენა-რმიაზე? რასაკვირველია, არა. პირიქით, ახსნილია მშვენივრად ის, თუ რატომ მოხდა „სასწაული" და გაიმარჯვა ყველას წინააღმდეგ პროლეტარების რევოლიუციამ. ბალმაშევები და კურდუკოვები—ესენი კი იყვნენ ხალხის დიდი უმრავლესობა—აი ვინ გაიმარჯვა.

სასიკვდილოდ დაჭრილი ტელეფონისტი დოლგუშოვი ზის ქუჩის პირად. ჩვენი ჯარები უკან იხევენ. პოლონელებმა დაიკავეს ახლო-მახლო სოფლები. ავტორი და გრიშჩუკი ტაჩანკით გარბიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უნდა გითხრათ,—თქვა დოლგუშოვმა; როდესაც ჩვენ მიუახლოვდით მას,—მე ვკვდები. გაიგეთ?

— კი გავიგეთ,—უპასუხებს გრიშჩუკი და ცხენებს აჩერებს.

— ერთი ტყვია უნდა დახარჯოთ ჩემზე,—მკაცრად წარმოსთქვა დოლგუშოვმა, ის იჯდა ხეზე მიწოლილი. პერანგი აიწია და მუცელი გაიშიშვლა. საშინელი სურათი წარმოგვიდგა. წელები მუცლიდან გადმოყრილიყო და გულისცემასაც ვხედავდით. დაჟინებით მოითხოვს დოლგუშოვი, რომ „ერთი ტყვია დახარჯონ“ მასზე.

— მტრები დამიჭერენ და სამასხროდ გამხდიან. აი დოკუმენტი. დედას მისწერე როგორ და სად მიიღებს წიგნაკს.

— არა, არ შემიძლია,—უპასუხე მე ყრუდ და ცხენი გავრეკე.

გარბიხარ არა? წაილაპარაკა მან და ჩამოცოცდა ძირს. გაიქე, გაიქე შე გველო, შენა.

გამოჩნდა მწყობრის უფროსი აფონკა ბიდა. ავტორის გულითადი მეგობარი და ამხანაგი. გაიგებს, თუ რაშია საქმე, წიგნაკს გამოართმევს დოლგუშოვს და პირში ტყვიას დააცლის.

— აფონკა, უთხარი მე მეგობარს საცოდავი ღრეჭით—მეკი ვერ გავბედე.

— გაეთრიე აქედან—მიპასუხა მან და გაფითრდა.—თორემ მოგკლავ. განა არ ვიცი? თქვენ, სათვალებიანებს, ისე გეცოდებათ ჩვენი ძმა, როგორც კატას თაგვი.—და ჩახმახი შეაყენა. ასე დავკარგე აფონკა, ჩემი პირველი მეგობარი.

ასე მოგვითხრობს ავტორი. რატომ? იმიტომ რომ საშინელი იყო ის საქმე, რომელიც ჩაიდინა აფონკამ. მაგრამ აუცილებლივ უნდა ექნა ის მას, როგორც ამხანაგს, მეგობარს, თანამებრძოლს დოლგუშოვისას. „სათვალებიან“ ბაბელმა კი ვერ გაბედა ეს. ვითომ შეიცოდა დაჭრილი, აფონკის აზრით. „ვიცით, ვიცით თქვენ ისე გეცოდებათ ჩვენი ძმები, როგორც კატას თაგვი“. საშინელი და დაუვიწყარია ეს სურათი: წელებ გადმოყრილი დოლგუშოვი ასე უბრალოდ ემუდარება გამვლელებს: „ერთი ტყვია დახარჯეთ ჩემზეო“.

აგრეთვე საშინელია და დაუვიწყარი, როდესაც მისი მეგობარი პირში ტყვიის სროლით კლავს მას.

ცილისწამებაა ეს ცხენ-არმიაზე? არა. პირიქით. აფონკა ბიდა და დოლგუშოვი მხოლოდ რევოლიუციის ჯარებში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

„ცხენ-არმიაში“ არ არის საჭირო სიღრმით და სიგანით სრულია—ხატვა ბუდიონის ცხენ-არმიისა. მაგრამ ბაბელი არ ყოფილა ცილის მწამებელი. კიდევ მეტი. იმდენად, რამდენადაც კი შეეხო ის ცხენ-არმიას თავის მოთხრობებში—თუ გინდ მის მტკივან ადგილებსაც—ცხენ-არმია მკითხველის წინაშე და ისტორიის წინაშეც გამოჩნდა, როგორც საოცარი ადამიანების რევოლიუციის უშიშარი რაზმი და როგორ შეიძლებოდა სხვაფრივ? განა თვით ბაბელი ცხენარმიის ცეცხლში არ გატარდა და შედეგად ამისა თვით არ გახდა რევოლიუციის საბოლოოდ მიმღები?

## VII

პატარა წიგნაკია ბაბელის „ცხენ-არმია“, სულ 168 გვერდს შეიცავს ის. მაგრამ სივრცით არის მხოლოდ პატარა, თორემ... არც ერთი თანამედროვე რუსის მწერალზე არ დაწერილა იმდენი, რამდენიც ბაბელზე. იმიტომ კი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოდის საკითხად გადიქცა ბაბელის მოთხრობები. არა, არამედ იმიტომ, რომ განსაცვიფრებელი მხატვრული სიძლიერით შეასრულა ისინი ავტორმა. პირველად ყოვლისა ანცვიფრებს ადამიანს მათი ენა. დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რუსეთის ლიტერატურაში არავინ სწერს ისეთი რევოლიუციის დღევანდელ ეპოქასთან შეფარდებული ენით, როგორც ბაბელი. მისი სიტყვითი წინადადებები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ უნებლიედ ფიქრობ: სწორედ ასეთ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს რევოლიუცია და მისი ადამიანებიო. ტყვილად კი არ დაარქვა ბაბელმა თავის მოთხრობებს „ცხენ-არმია". რევოლიუციის ამ ყველაზე უფრო რევოლიუციონურ რაზმის სახელი. ბაბელს აქვს წერის საკუთარი კანონები, მაგრამ ჩვეულების და შაბლონის კანონები არ არიან ისინი. ყველაზე უფრო ბაბელს შაბლონი ეძაგება. ამიტომ არის მისი სტილი ასეთი უჩვეულო სურპრიზებით ავსილი, მაგრამ ამ უჩვეულობაში ყველაფერი თავის რიგზეა. აბა სცადეთ და ამოიღეთ, გინდ ჩაუმატეთ, გინდ გამოცვალეთ თუ გინდ ერთი სიტყვა ბაბელის რომელიმე წინადადებაში. თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არ შეიძლება. მისი სიტყვა მოკლეა და ცოცხალი, მისი წინადადება უალრესად ლაკონიური. ამ მხრივ ის უთუოდ მოწაფეა პუშკინის; მოწაფე, რომელიც გვერდს უმშვენებს მასწავლებელს. მოწყვეტილი ფრაზები მისი საყვარელი გამოთქმაა. ის არ ლაპარაკობს გრძლად. პერიოდები მას არ უყვარს. მისი გმირების წინადადებები მხოლოდ ოთხი-ხუთი სიტყვისგან შესდგება. მაგრამ ამ ოთხ-ხუთ სიტყვით მას შეუძლია მოგვცეს—და იძლევა კიდეც—თვალწარმტაც სურათს. ხელოვანისათვის ყველაზე უფრო ძნელი და ამავე დროს ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებელი არის—დაიჭირო მკითხველი, აგრძნობინო რაც შეიძლება მეტი ტვინის უჯრედებით, მეტი გრძნობებით, ნერვების რაც შეიძლება მეტი დაჭიმვით ის—რასაც თვითონ გრძნობს როდესაც სწერს, რასაც ფიქრობს. ნამდვილი ხელოვანი მხოლოდ ის არის, ვინც თავის ცხოვრებით (როდესაც ის სწერს, ქმნის) გვაცხოვრებს, თავის ფიქრებით და ოცნებებით გვაფიქრებს და გვაოცნებებს. გარეშე ამისა ხელოვნება ტყუილია. გარეშე ამისა მხოლოდ ფოტოგრაფიაა; შეიძლება ცუდი, შეიძლება კარგი მხოლოდ. ბევრი იწერება დღეს წიგნები რუსულად, ქართულად (ჩვენ არას ვამბობთ არა საბჭოთა ქვეყნებზე, იქ ხომ ჭაობი მეფობს ლიტერატურის ნაყოფის 90%-ში) ძალიან ვრცელი ტანის, ტომებითაც ხშირად, მაგრამ ხელოვნება ნაკლებადაა იქ, ან სრულიად არა. კითხულობ ასეთ წიგნს, თავს ძალას ატან, ხალისი არა გაქვს ერთი ფურცლიდან მეორეზე გადასვლის. ავტორს ვერ გრძნობ, ვერც ავტორის გმირებს. მშრალია წიგნი, მუნჯია ის მკითხველისათვის. თუმც შეიძლება დიდ საკაცობრიო და ხშირად რევოლიუციის ამბებსაც მოგითხრობს ის; იმიტომ, რომ ხელოვნება არ არის იქ. ხელოვანი არ არის ავტორი, თუმცა შეიძლება კარგი „მწერალიც" იყოს. წერის ცოდნა კიდევ არ ნიშნავს ხელოვნების ოსტატობის ცოდნას.

როდესაც ბაბელს კითხულობ თითეულ სტრიქონში, თითეულ სიტყვაში ხედავ ხელოვანს. ძნელია მის ნაწერებში სიყალბე. იშვიათად შეხვდები მის მოთხრობებში, არამც თუ ყალბ ფურცლებს, არამედ ყალბ წინადადებებსაც,

სიტყვებსაც. დახვეწილია ყველაფერი მათში. ბაბელის სტილის, წერის დამახასიათებელი თვისებაა სხვა ბევრ ნიშნეულ თვისებათა შორის, ეს ეგზალტირებულობა. ბაბელის ენას არაფრის ეშინია. ნახევარ გვერდზე—ხშირად ერთ წინადადებაშიც—ის ისეთ სურათებს გაშლის, რომ სხვა მწერალი, ნაკლები მხატვრული ალღოთი დაჯილდოებული, აუცილებლივ კისერს მოიტეხდა. ბაბელმა ასე იცის. საშინელ ამბებს მოგიყობა, ტანში ჟრუანტელის აღმძვრელ სურათს დაგიხატავს და ვითომც აქ არაფერია, ისე დაიწყებს და ისე დაამთავრებს. და ამ—ვითომც აქ არაფერია—ჩარჩოებში,—ამბავი, სურათი განსაკუთრებული სიძლიერით გიჭერს, გატყვევებს, გაშეშებს. აბა წაიკითხეთ კურდუკოვის წერილი დედისადმი. მთელი მოთხრობა გაჟღენთილია საშინელ ამბებით, სურათებით—ენა კი—ვითომც არაფერი: ჩვეულებრივი, უბრალო სიტყვები, უბრალო გამოთქმა:

— და მამაჩემი კლავდა ფედიას და ამბობდა: საძაგელო, წითელო ძაღლო ძაღლის შვილო და სხვა, და კლავდ-, მას, სანამ არ დაღალდა, სანამ არ მოკვდა ჩემი ძმა თედორე ტიმოთესძე.

— ეხლა კ-, პაპაშა, ჩვენ უნდა მოგკლათ შენ ეუბნება სენკა მამას.

როგორ უბრალოდ, ჩვეულებრივი სიტყვებით, სრულიად დაწყნარებული ტონით გვიხატავს დოლგუშოვს, რომელსაც წელები გადმოყრია მიწაზე და გულმკერდი ისე აქვს დაგლეჯილი, რომ გულის ფეთქას ამჩნევ, „ერთი ტყვია დახარჯეთ ჩემზე, მტრებს ნუ ჩაუგდებთ ცოცხალს ჩემს თავსო“.

კვდება პოლკის უფროსი შეველიოვი. ლევა, დივიზიის უფროსის კუჩერი საჭმელს აცხელებს. იქვე ახლოს ფრუტუნებენ ცხენები. ლევა დიდი სერიოზობით ურევს საჭმელში რაღაცის ტოტს და თანვე უყვება დაუმთავრებელ ამბავს შეველიოვს, რომელიც ფეხებ გაშხლართული წევს სასიკვდილოდ დაჭრილი. არავინ არ ფიქრობს იმაზე, რომ შეველიოვი კვდება. თითქოს ავტორმაც დაივიწყა ის. ისეთი კილოთი, ისეთი დაინტერესებით მოგვითხრობს იმ ამბავს, რომელსაც უყვება ლევა მომაკვდავ შეველიოვს, ვითომც კაცი კი არ კვდება, არამედ არავისათვის საინტერესო ცხოველი. სიკვდილის, სისხლის, დაგლეჯილი ადამიანის წინაშე ბაბელის სახე უცვლელია, ჩვეულებრივი, წყნარი. შეიძლება ხანდისხან ცივიც, როგორც ქვა. ასეთია იგი გარეგნული შეხედვით, მაგრამ თვით ფაქტი სიკვდილის, საშინელ ამბავის ამით არ პატარავდება. პირიქით. ჩვეულებრივი სიტყვებით, ვითომც აქ არაფერიაო დახვეწილი ენით ის ახდენს დაუვიწყარ ეფექტს. ბაბელის სიტყვები წყნარია და უბრალო, მაგრამ მკითხველი მოჯადოებულია მის წინ გაშლილ სურათით. არავის დაავიწყდება კურდუკოვის წერილი, ბალმაშევის მიერ „წყეულ დედაკაცის“ მოკვლა, დოლგუშოვის წელები, აფონკის ტყვია, შეველიოვის სიკვდილი და მრავალი სხვა. მათი სავსეა ბაბელის თითქმის ყველა მოთხრობები.

საერთოდ ბაბელს ძალიან უყვარს კონტრასტები, საშინელი ამბები და ჩვეულებრივი სიტყვები. ერთნი კვდებიან და მეორენი კი ჩვეულებრივ განაგრძობენ თავის საქმეს. უდიდესი ოსტატობით სჩადის ბაბელი ამას. ამით ის უჩვეულო სიძლიერით აღწევს იმას, რაც ასეა საჭირო ხელოვანისათვის. საშინელი ამბავი

ცოცხლად იხატება მკითხველის წინაშე: კიდევ უფრო გაზრდილი, კიდევ უფრო შესამჩნევი.

— ნამგზავრმა პირი დავიბანე და ქუჩაში გამოვედი. ბოძებზე უკვე გამოეკრათ განცხადებანი შესახებ იმისა, რომ დივიზიის სამხედრო კომისარი ვინოგრადოვი საღამოს წაიკითხავს მოხსენებას კომინტერნის მეორე კონგრესის შესახებ.

ჩვეულებრივი ამბავია, და აი იქვე.

— ჩემი ფანჯრის პირდაპირ კაზაკები დახვრეტას უპირებდენ ჯაშუშობისათვის მოხუც ებრაელს. ვერცხლის ფერ წვერებით. მოხუცი არ ნებდებოდა, ყვიროდა და ხელებიდან უსხლტებოდა მათ. მაშინ კურდიამ, ტყვიის-მფრქვეველთა გუნდიდან, სტაცა მას თავში ხელი და ამოიდო იღლიაში. ებრაელი დაყუჩდა და გაფარჩხა ფეხები. მარჯვენა ხელით კურდიამ ამოიღო ხანჯალი და ყელი გამოჭრა ბებერს, ფრთხილად რომ არ დასვრილიყო.

საშინელებაა! მერე რა. შენ, მკითხველს, გაგრძნობინა წარმოუდგენელი სიძლიერით ეს საშინელება. თვითონ ხმაც არ აუმაღლებია, ტონიც არ შეუცვლია. თითქოს იმავე განცდით, რომლითაც იბანდა პირს, კითხულობდა აფიშას ვინოგრადოვის მოხსენების შესახებ, აწერა ეს ჩვეულებრივი ამბავი იმაზე, თუ როგორ დაკლა ქათამივით კურდიამ მოხუცი ებრაელი ვერცხლის ფერ წვერებით. დაკლა ფრთხილად, რომ არ დასვრილიყო. განა მკითხველმა არ იცის, რომ ყოველად შეუძლებელია ასეთ სურათის დანახვაზე იმას მიაქციო ყურადღება, თუ როგორ ფრთხილად კლავენ ადამიანს, რომ სისხლში არ დაისვაროს. იცის ეს მკითხველმა. ბაბელმაც იცის. უკეთ იცის. მაგრამ ის ამ სიტყვებს განგებ ხმარობს. საშინელ ამბავს აგიწერს, ყურადღება კი სხვაზე გადააქვს. ნამდვილად კი ამით უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას, უფრო მეტ გავლენას ახდენს. მასაც, როგორც ხელოვანს, სწორედ ეს უნდა. იშვიათად მოინახება ისეთი მკითხველი, რომელიც წარმოიდგენს ამ სურათს და დაივიწყებს ოდესმე თეთრ წვერება ებრაელს, რომელიც იღლიაში თავ ამოდებული დაკლეს; კაზაკ კურდიას, რომელიც ასრულებს ამ საქმეს ისე „ფრთხილად, რომ სისხლში არ დაისვაროს". ბაბელის ამ სიტყვიერად დახატულ სურათის სიძლიერე ახწევს იოანე მრისხანეს თვალების საშინელებას რეპინის სურათიდან.

ბაბელს ძალიან უყვარს გიპერბოლები; მისი სტილი აუცილებლივ ხასიათდება ამით. ის საერთოდ გამადიდებელ სათვალეებით იცქირება. ამ მხრივ ბაბელი მეტად წააგავს გოგოლს. გოგოლსაც უყვარდა გიპერბოლები და როგორც გოგოლი, ისე ბაბელიც იშვიათი ოსტატობით ხმარობს მას. მისი გიპერბოლური შედარებანი არასოდეს არ ახდენს ყალბ შთაბეჭდილებას. პირიქით. გიპერბოლების საშუალებით ბაბელი უფრო ხელსახებად, ცხადად, ნათლად გვიხატავს იმას, რაც სურს. გიპერბოლა მას იმიტომ უყვარს, რომ სწორედ იმის საშუალებით მკითხველს თვალში ეცემა ის, რაზეც ავტორს უნდა მიაქციოს მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება. აი მოთხრობა „ბერესტეჩკო"-დან:

Чудовищные трупы валялись на тысячелетних курганах...
Бурка начдива веяла, как мрачный флаг...
Сараи эти неописуемо мрачные...
Берестечко, нерушимо воняет и до сих пор, от всех людей шибет запахом гнилой селедки ..
Смеялся, как будто на барабане играя!.

ასეთების ამოწერა გაგრძელდებოდა დიდხანს, განა ჩვენ არ ვიცით, რომ არ შეიძლება „სიცილი ისე თითქოს ბარაბანზე თამაშობდე“ [illegible] მთელი ქალაქის მცხოვრებნი ყველანი თევზის სუნით იყვნენ გაჟღენთილნი [illegible] შეიძლება ეს, მაგრამ ბაბელის საერთო სტილში ყველაფერი ეს მართლდება, ბუნებრივი ხდება. მჯერა, რომ სიცილი შეიძლება იყოს, როგორც ბარაბანზე თამაში და ქალაქის ყველა მცხოვრებნი თევზის სუნით იყვნენ აყროლებული. სხვა ვინმეს არ დაუჯერებდით, ბაბელს კი, იმიტომ, რომ თვითონ მას სჯერა ეს. იმიტომ, რომ არ შეიძლება იქვის შეტანა მის გულწრფელობაში. როდესაც ის სწერს: „იცინოდა ისე, თითქოს ბარაბანზე თამაშობდა“-ო, ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორი სავსებით დარწმუნებულია ამაში. მას გაორმაგებული გრძნობები აქვს. მისი თვალები გადიდებულად ხედავენ; ყურებიც გადიდებულად ისმენენ. მაგრამ ტყუილი აქ არ არის. პირიქით, ის რაც შენ გამოგეპარებოდა, მას ვერ გამოეპარება. მისი თვალები დაინახავენ იმას, რასაც შენ ყურადღებასაც არ მიაქცევ, ყურები გაიგონებენ იმას, რაც შენთვის გაუგონარია.

ბაბელს ძალიან უყვარს მკითხველის განცვიფრება, სახტათ დატოვება. შემპარავად, ფეხაკრეფით, თითქოს სურს მყუდროება არ დაგიფრთხოსო, თითქოს ერიდება შენი, ქეც რცხვენია,—ნამდვილად კი იმიტომ, რომ მეტი გავლენა იქონიოს შენზე, სახტად დაგტოვოს, მოფიქრებაც ვერ მოასწრო,—ისე აღიმართება შენს წინაშე მოულოდნელად საშინელი რამ ამბავი.

დაღლილი ხართ, დაქანცული, საწოლს ეძებთ. დაგაწვენენ ვიღაცის გვერდით. შეიძლება თქვენ არ ხართ ამით კმაყოფილი. დაღლილი ხართ და მარტოთ წოლა უფრო გერჩივნათ. მაგრამ ურიგდებით ამას, ძილში ნერვიულობთ, ცუდი სიზმრები გაქვთ. ვიღაც გაღვიძებთ. ეს სახლის პატრონია—ებრაელის ქალი.

— ბატონო ჩემო,—შეუბნება ის მე — თქვენ ძალიანს ყვირით ძილში, ხშირად ინძრევით. მე სხვაგან დაგიგებთ თქვენ, იმიტომ, რომ მოსვენებას არ აძლევთ ჩემს მამიკოს.

თქვენ ალბად კმაყოფილი ხართ, მარტოთ იქნებით. მაგრამ ქალი საბანს უსწორებს მამიკოს და ხედავთ: მკვდარი მოხუცი წევს იქ პირაღმა. კისერი გამოღადრული აქვს, სახე გაჩეხილი შუაზე, მწვანე სისხლი ჩაკვეთილა წვერში, თითქო ტყვიის ნაჭერი იყოს. დიახ! მკვდართან, და მერე როგორ მკვდარ კაცთან დაგაწვინათ ბაბელმა. შეუმჩნეველად ჩვეულებრივ. იცით მერე თქვენ ვინ არის ეს მკვდარი იმ ადამიანისთვის, რომელმაც თქვენ მასთან მოგასვენათ? არა, თქვენ ეს არ იცით. თქვენ გგონიათ მარტო მამა იყო ის ამ ებრაელ ქალისათვის? არა ის არ იყო მარტო მამა, ის არ იყო ჩვეულებრივი მამა, ის სხვა მამა იყო.

— ბატონო ჩემო,—ამბობს ებრაელი ქალი და ლოგინს მისწორებს—პოლონელები კლავდენ მას და ის ემუდარებოდა, ეხვეწებოდა მათ: მომკალით ეზოში, გამიყვანეთ ოთახიდან, რომ ჩემმა შვილმა არ უცქიროს, თუ როგორ კლავენ მის მამას, მაგრამ მათ ისე მოიქცნენ, როგორც უფრო ეხერხებოდათ. კვდებოდა მამა ამ ოთახში და მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა. და ეხლა გეკითხებით მე თქვენ, მე მინდა გავიგო,- წარმოთქვა უცებ დედაკაცმა საშინელი სიძლიერით,—მე მინდა ვიცოდე სად, რომელ კუთხეში ჩვენი ქვეყნისა შეიძლება მოინახოს ისეთი მამა, როგორიც იყო ჩემი მამიკო.

სიტყვები აქ ზედმეტია, უნაყოფოც. ამ ამბავს ვერაფერს დაამატებთ. სურათი ისედაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს... და მერე როგორ უბრალო, როგორ ჩვეულებრივად დაიწყო ავტორმა მისი ხატვა... თითქოს მართლაც ძილისათვის გვამზადებდა... ასე დაამთავრა ბაბელმა ეს მოთხრობა, რომელიც მხოლოდ ერთი ფურცელია. აგრეთვე ჩვეულებრივად დაიწყო ამბავი იმის შესახებ, რომ დივიზიის უფროსის ცნობით ჩვენ დავიკავეთ განთიადზე ნოვგოროდ-ვოლინსკი. „შტაბი გამოვიდა კრაპივნოდან და ჩვენი „აბოზიც“ ხმაურით

გაიშალა შოსეზე, იმ შოსეზე, რომელიც მიდის ბრესტიდან ვარშავისაკენ და რომელიც **გაუშენებია ნიკოლოზ პირველს გლეხების ძვლებზე**. ... ... ...

შალვა რადიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სიმბოლიზმი საქართველოში

## ტიციან ტაბიძე

ყოველ მნიშვნელოვან პოეტს აქვს ერთი ან რამოდენიმე ისეთი ლექსი, რომლის წაკითხვითაც მკითხველი უკვე შეიცნობს ამ პოეტის შემოქმედების ალფასა და ომეგას. ასეთი ლექსი არის იმ გზის მაჩვენებელი, რომელიც მკითხველს გააცნობს პოეტის საზოგადოებრივ თვალსაზრისს, მხატვრულ განცდებს და გრძნობებს.

ტ. ტაბიძისათვის ასეთ ლექსს წარმოადგენს **„ქალდეას ქალაქები“**, რომელიც მოთავსებული იყო „ცისფერი ყანწების“ პირველ და მეორე გამოცემაში. ამ ლექსში ტ. ტაბიძემ გარკვევით განსაზღვრა თავისი პოეტური კრედო, თავისი მხატვრული გზა.

რას შეიცავს ეს ლექსი, როგორც მხატვრული კრედოს გამომხატველი ფაქტი?

უპირველეს ყოვლისა ამ ლექსში მოცემულია სიმბოლიზმის ის დამახასიათებელი თეზისი, რომლის თანახმადაც უარყოფილია ამ ქვეყნიური რეალობა: ტ. ტაბიძისათვის ქვეყნიერებაზე ყოფნა უდაბნოში ყოფნას უდრის.

მეორე: აქ არის მოცემული წარსული საქართველოს იდეალიზაცია, ფეოდალური საქართველოს რომანტიკა. „ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ დიდებულ წარსულს“ ამბობს ის.

მესამე: აქვეა მოცემული ღვინისა და ლოთური ქეიფის აპოლოგია.

მეოთხე: აქვეა თვითმკვლელობისა და სიკვდილის ჰიმნი.

ეს ოთხი მოტივი, რომელიც უკვე გარკვევით არის მოცემული „ქალდეას ქალაქებში“, თავის შემდგომ პოეტურ ფაქტებში ტ. ტაბიძემ მხოლოდ უფრო გააღრმავა, უფრო ფართე მხატვრული ასპარეზი მისცა. რომ ეს სწორედ ასეა, ამას ქვემოდ დავინახავთ.

როგორც საერთოდ ცნობილია, პოეტი-სიმბოლისტი ერთმანეთისაგან ჰყოფს ამ ხილულ ქვეყანას, უხეშ ბალაგანს, რომლის სცენაზედაც მოძრაობენ მარიონეტები — ადამიანები და იმ ქვეყანას — უხილავს, შორეულ ნაპირებს, სადაც ჰყვავიან საიდუმლო უცნობი ქალის ცისფერი უძირო თვალები, რომელიც არის განსახება რაღაც გამოურკვეველის, შეუმცნოებელის, დიადის, მარადიულის და მუდმივი ქალურობის (ა. ბლოკი).

ამგვარად, პოეტ-სიმბოლისტის გრძნობები ორად არის გაყოფილი, ისინი ერთმანეთისადმი არიან დაპირისპირებული, — მისთვის [illegible] ქვეყნისაგან საინტერესოა მხოლოდ მეორე, „ზექვეყანა," ხოლო ჩვენი დედამიწა, ეს ტანჯვის და მწუხარების სიმბოლო, ყურადღების ღირსიც არ არის. ამიტომ ისინი ცდილობენ გაექცენ ჩვენს სინამდვილეს, ჩვენს ბრძოლას და მუშაობას „იქეთა ქვეყანაში", წარსულში, — გადაეშვან მისტიციზმსა და არქეოლოგიაში.

ტიციან ტაბიძე ბურუსში გრძნობს თავს ქვეყნიერებაზე, ის შეწუხებულია, მას თავი დედამიწაზე ყოფნით ჰგონია უდაბნოში, სადაც ყველაფერი მოშხამული და დაწყევლილია:

> და მე ხანდახან მეჩვენება, ვითომ სამყარო
> ბაღია დიდი დაწყევლილი და შხამიანი...
> თითქო შეცდომით შემოყვანა ვიღაცამ ბაღში.
> და შიშით ვხედავ გიგანტის ჩრდილს, მიმფრინავ მხედარს.
> ულონო, სუსტი—ავტირდები პატარა ბავში.
> და თან მრცხვენია, ვიხედები ხომ არვინ მხედავს...
> როგორ აბრუებს დაწყეელ შხამით ყვავილები სულს.
> თითქო მორბიან გიჟი რბენით აქ კენტავრები,
> ცხელი უდაბნო უცხოველესს უძახის წარსულს
> და ცას ეწვება, როგორც ძველ სახლს, — ცეცხლში ყავრები.
> ვინ მომიყვანა, ვინ შემოშვა ამ ბაღში ბავში,
> დამწვარ ქალაქის ვინ აუშვა ჩემ სულში ბოლი
> რად ისვრის გრძელ ჩრდილს მიმფრინავი ამ მხედრის რაში?
> უდაბნოში ვარ, მაგრამ რა ეს მწვანე ბოლი?
>
> (წიგნიდან „ქალდეას ქალაქები")

ამ სტრიქონებში ყველაფერია მოცემული პოეტის განცდათა და გრძნობათაგან: აქ არის ის, რომ "ულონო, სუსტი პატარა ბავშია", რომ ის ტირის, რომ ის „შეცდომით შეიყვანა ვიღაცამ ბაღში," ე. ი. დედამიწაზე, რომ მის სულში არის „დამწვარი ქალაქის ბოლი", რომ ის მიმფრინავი მხედრის რაშის მოჩვენებებით არის შეპყრობილი, რომ მას თავი უდაბნოში ჰგონია და სხვა...

ქვეყნიერებაზე ყოფნამ, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყურებამ პოეტის სული დანისლა და დააბნელა, მთელი მისი არსება ცრემლით აავსო:

> აბ, მეგობრებო, ჩემი სული ტვარტლია სხვების,
> ცრემლით სავსეა ჩემი წილი „ჩვენი ყანწების" („2 აპრილი").

ცხოვრების შიში, ვერ დანახვა (სიბრმავის თუ იმის გამო, რომ სურვილი არა აქვს) მასში რაიმე რეალური ღირებულების, სამაგიეროდ კი მოწყენილობის, არარაობის, უაზრობის გამოფენა — აი რა ახასიათებს ტ. ტაბიძის სულიერ განწყობილებას.

ასეთი განწყობილებისაგან გამოსასვლელი გზა ორია: პირველი — რეალური ცხოვრების შეცვლა მისი სუროგატით, „ტკბილ" ლეგენდებით, ხელოვნურად შექმნილი წარსულით, ოცნებით და არქეოლოგიით, და მეორე—თვითმკვლელობისა და სიკვდილის მოწოდება და სვლა მის შესახვედრად.

ტ. ტაბიძე ორივე ამ საშვალებას, ორივე ამ გზას მიმართავს, მათ თავის შემოქმედებაში უდიდეს ადგილს უთმობს. ის ძლიერ გატაცებულია საქართველოს წარსულით, იქ იძიებს ის თავდავიწყებას. მაგრამ მას რომანტიკული წარსული კი არ იტაცებს, არამედ შეფარდებული, ხელოვნურად შექმნილი, გამისტიურებული და „გამშვენიერებული". ის შეპყრობილია „ქართული სულის", „ქართული მირონის", „მონგოლის სისხლის" ძიებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქალდეას ქალაქები" იყო პირველი მისი პოეტური დეკლარაცია ამ მიმართულებით. ამ ლექსში ტ. ტაბიძემ შემდეგნაირად განსაზღვრა ეს თემატიური გზა:

> გრძელი შორი გზა... და ოცნება უსაზღვრო გზებზე...
> ჩემში სტირიან წინაპარნი — ბრძენი მოგვები.
> დანგრეულ კიბეს მე ვაშენებ, უკან მივყვები...
> ძველი ქალდეა წვავს ოცნებას და ეძახის სულს,
> ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ დიდებულ წარსულს...
> მბრძანებელ ჩრდილთა მოწოდებას მხოლოდ მოველი...
> ძვირფას საფლავებს, როგორც ქორი, დაფრინავს ფიქრი:

ამავე ციკლის მეორე ლექსში ტ. ტაბიძე კიდევ უფრო რელიეფურად გვაძლევს თავისი პოეტური შემეცნების სახეს: გრძელია ჟამი, რაც ღმერთ მსახურებს მისი გვარი. „ახლაც ეზოს წინ დაღვრემილი მოსჩანს საყდარი", რომელშიაც ლოცულობს მისი მამა. ლოცვებით გაბრუებულ ტ. ტაბიძეს ეზმანება ქალდეას ქალაქები, რის გამოც ის ამზეურებს გარდასულ და დამარხულ სურვილებს. მამამისის წირვას მიჰყავს ტ. ტაბიძე ქალდეას ქალაქებში, მისი წინაპარი მოგვის სიმღერასთან:

> ლოცულობს მამა, მწუხრის ლოცვას მუნჯად ვუცქერი,
> ფსალმუნი სულში შეფრინდება, დაიმარხება;
> შავ ანაფორას მეწამული გადაკრავს ფერი
> და ვხვდები ახლა, თუ ქალდეა რად შენატრება.

პოეტის სული და გრძნობები სავსეა წარსული განცდებით და მოგონებებით. ის წინაპრებისაკენ ისწრაფის: „წინაპართ ჩრდილნო, არ დაგწყვეტავთ გულს ჩამომავალზე" — გაიძახის პოეტი.

ლექსით „თამუნია წერეთელს", რომელიც ეხლახან იყო მოთავსებული „ქართულ მწერლობაში" ტ. ტაბიძე „კვლავ ქალდეას ქალაქების" გზას ადგია. ამ ლექსში ტ. ტაბიძე მოგვითხრობს იმას, თუ როგორ „მოგონება მოასკდება გულს და გრიგალივით სულზე გადიარს". და ეს მოგონებაა ფეოდალიზმის, ძველი საქართველოსი და მისი რომანტიკის, როცა ნათელა „სარებზე თავებს ახმობდა", როცა „როგორც ათასი გამტყდარი თარი განაგრძობს მღერას თავების ღობე", როცა „ვხედავ ბრძოლისათვის სისხლით გათანგულს და შეყვარებულს ცოტნე დადიანს". ეს მოგონებები ტ. ტაბიძეს ათქმევინებს:

> მე არ მაცხია მონღოლის თაფლი
> და ხელგაკრული არ ვზივარ მზეზე.
> მაგრამ ბუზები, რომ ვერ დაითვლი,
> კბენენ ჩემს სხეულს სულ უმიზეზოდ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეგიკერავს შენ ჩემთვის ჩოხა,
მაგრამ ვატარებ ობობას პერანგს.
რაც რომ სიცოცხლე მიაჩნდეს ორრად,
სხვა ასეთ სისხლით მას ვერ შეღებავს
ბევრი დაგყვება დღეს აბეზარი,
მაგრამ არ გვანან იმ ძველ რაინდებს.
მე თუ ცხოვრებამ მართლა გამთელა,
მთოლვარე გულის დამრჩა ფართქალი.

ტ. ტაბიძე ისეა გატაცებული წარსულის ხილვით, რომ გარეშე არსებულს, მის თანდროულს, მახლობელს ვერაფერს ვერ ხედავს და ვერ გრძნობს. თითქმის ყველა ლექსში ის წარსულს მისტირის, წარსულისკენ იცქირება: „ყოველი ღამე მატირებდა ქალდეას ზეცა“ („ცხენი ანგელოსით“) „შეიძლებოდეს დაბრუნება ნეტა წარსულის“ („ფატმან ხათუნი“) „მე თვითონ მივსდევ ყოველ წარსულს“ („სეზონის ფალავანი“) „სკიფიაში ვარ... ქიმერის მწუხრით დამწვარი... ძველ შადრევანებს ატირებას არავინ უშლის. რომ ძველებურზე სიყვარულით უფრო ვარ ახლო“ („ილაიალი“).

ამგვარად, ტ. ტაბიძე გვევლინება საქართველოს წარსულის რესტავრაციის მომხდენ პოეტად. ეს კი მისი აზრით, მას ბევრი რამის უფლებას აძლევს: მას თავისი თავი ეროვნული პოეტის პოზაში აქვს წარმოდგენილი. ის ხმამაღლა აცხადებს:

ჩემზე ეროვნული პოეტი არ ყოფილა საქართველოში.
(„უკმური კვირეები“).

როგორც ვხედავთ, ტ. ტაბიძე მეტად დიდი პრეტენზიებით გამოდის, ის თავისთავს ყველაზე უფრო, ერვონულ პოეტად აცხადებს, მაგრამ უნდა მოვახსენოთ მას, რომ მეტად საეჭვოა მისი განცხადება, მეტად ვიწრო და შემოფარგლულია მისი ეროვნული ხედვა. მის შემოქმედებაში ეროვნულობა, ეროვნული თვალს აზრისი დაყვანილია ინდივიდუალისტურ-პესიმისტურ დამისტიურ თვალსაზრისამდე. მისი „ეროვნულობა“ არ სცილდება ქალდეას ქალაქების და ფეოდალურ-რაინდულ საქართველოს მოგონებას და მისთვის ცრემლების დაღვრას, ხოლო დღეს ასეთი „ეროვნული თვალსაზრისით“ ვერავინ შორს ვერ წავა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ტ. ტაბიძის ამ თავისებურ „ნაციონალიზმს“ აქვს იგივე საფუძველი, რაც საერთოდ სიმბოლისტების მისწრაფებას წარსულისადმი: ისიც შექმნილია აგრეთვე სიმბოლიზმის ფსიქოლოგიური სტიქიით,—მისი რომანტიული, ლირიულ-მეოცნებე ბუნებით. (И. Ежов и Е. Шамурин „—Русская поэзия XX века, გვ. XXIV).

როგორც ცნობილია, სიმბოლიზმის ესთეტიური ხედვის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს თვითმკვლელობის აპოლოგია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „ცისფერ ყანწებსაც“ იდეალად აქვთ თვითმკვლელობა. ტ. ტაბიძეს უყვარს საქართველოში ცხოვრება, რადგანაც, მისი აზრით, აქ თვითმკვლელობა სრულ განხორციელებას პოულობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრანის ხიდზე დასახრჩობად კიდევ დადგებით.
საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა.
ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით,
ამიტომ მოგვწონს და შეგვინდობს ჩვენ ეს ოცობა.

(„ნინა მაყაშვილს“)

პოეტი ექსკურსიასაც კი ახდენს ძველ თავის თავის მკვლელთა ორდენში. აგრეთვე წინასწარ გაითვალისწინებს იმ მორგვს, სადაც მოწამლული დაწვება:

ძველი ორდენი თავის მკვლელთა: ილო, ზენონი,
ჩვენი ორდენი პოეტების შხამის ყანწებით.
თავის მკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივ დემონი:
მე ვხედავ იმ მორგვს, მოწამლული სადაც დაეწვებით.

(იქვე).

ტ. ტაბიძე მთვარესაც კი უკავშირებს თვითმკვლელობის პრობლემას: მას მთვარე თავის მკვლელთა ლეშით გასუქებული გონია: „ამოდის მთვარე თავის მკვლელთა ლეშით გამძღარი“ („ნინა მაყაშვილს“).

ცხოვრებისაგან ასეთ გაქცევის მოსაზრებებს ანვითარებს ტ. ტაბიძე სხვა ლექსებშიაც.

ჟურნ. „ქართული მწერლობა“-ს ამ წლის ნომრებში ტ. ტაბიძემ მოათავსა ლექსები: „მეარლნეები და პოეტები“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ და სხვ. მათშიაც თვითმკვლელობისაკენ არის მოწოდება:

... და ალიონზე თეთრ დუქანთან სტირის არღანი
მტკვარი ახლოა. უნდა მტკვარში თავი დავიხრჩო.
სიყვარულისთვის მეტ მოთმენას არა აქვს ღონე,
მინდა ამ დილას, ამ ცივ მტკვარში თავი დავიხრჩო...
უბრალოდ ვკვდებით მეარღნები და პოეტები.
მაგრამ ჩვენ ალბად თავის მოკვლაც გვეპატიება.

(„მეარღნეები და პოეტები“)

ან კიდევ:

ძვირფასო, არ ვარ, იცოდე, ყბედი,
ან თავის მოკვლა რა ტრაბახია...
მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით
ამ თვალუწვდენელ კლდეების ფსკერი.

(„მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“).

ჩვენ აქ აღარ შევეხებით მის „ცნობილ“ „სერგეი ესენინს“, სადაც კიდევ უფრო ღრმად და მხატვრული შესრულებით იყო მოცემული არა მარტო თვითმკვლელობის აპოლოგია, არამედ გარკვევით იყო უარყოფილი მოელი ჩვენი თანდროულობა.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ტ. ტაბიძის შემოქმედებაში უკანასკნელ დროს მთავარ პლანზე გამოჩნდა ერთი მოტივი: ეს არის **ქეიფი და ღვინო.** დღეს მისთვის აუცილებელ და მუდმივ მოთხოვნილებად შეიქმნა ლაპარაკი მთვრალ თავდავიწყებით მოქეიფე ადამიანზე და ღვინოზე. ის ამ მხრივ თითქმის ცდილობს, არ ჩამორჩეს გასულ საუკუნის ქართველ რომანტიკოსებს (გრ. ორბელიანს და სხვ.), რომელთა შემოქმედებაში ამ თემას ფართე ადგილი ეჭირა. ტ. ტაბიძე დღეს ყოველი ლექსის თავში თუ ბოლოში გაიძახის: „მოდით და ნახეთ კახუ-

რი ღვინო“ („კახეთი“), „ღვინო მოუნდება გაციებულ მკვდარს, ღვინით და ლექსით ყველამ მიცანით“ („მუხამბაზი, რომელიც არ იმღერებს“), „ბოზიდეთ მეტი კალმახები თქვენ არაგვიდან, რაც იყოს: ამ ქეიფსაც ეხლა ავიტან“, („მეარღნეები და პოეტები“), „გვიკურთხებს სუფრას: „აღდგომის კრავი“, დიდი ყანწები და „ნატურ მორტი“ („იმათი იყოს ეს სადღეგრძელო“), „მაშ მეც დამისხით, დამალევინეთ, ამივსეთ ყანწი მეც ამ ღვინოთი. საქართველოში ბევრი მაგინებს, მიუმატებენ, რომ მე ვარ ლოთი“ („დასაბამიდან დღე ცის მარადი“). ამ სიტყვებში გარკვევით არის მოცემული ტ. ტაბაძის შემოქმედების ერთი დამახასიათებელი მხარე: ადამიანს დაეკარგა ინტერესი თანამედროვე ცხოვრებისადმი; ცხოვრება მისთვის სასაფლაოა, სადაც დაძრწიან მშიერი და დასუსტებული მგელ-ადამიანები. ამიტომ ის ცდილობს, რა გზითაც კი შეიძლება, მოშორდეს მას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშვალებაა თავდავიწყება—ღვინო, რომელიც ათრობს, აბრუებს და უგრძნობს ხდის ადამიანს საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი და შემოქმედებისადმი, რომელიც ანელებს და ადუნებს ადამიანის მგრძნობიარობას და ხედვას.

ტ. ტაბიძის შემოქმედების დახასიათება არ იქნება სრული, რომ არ აღვნიშნოთ მისი „თანამგზავრული“ ლექსები. ასეთი ლექსებია „ახალი მცხეთა“, „სტალინი“ და სხვ.

ტ. ტაბიძე ამ ლექსებით ცდილობს თანამედროვეობასთან დაახლოებას. ლექსი „სტალინი“ იწყება შემდეგნაირად:

ვინ გამოუშვა ეს გრიგალი პირცეცხლიანი,
ლენინი მოკვდა... ვის უჭირავს ცეცხლის სადავე.
ამდენხანს ქარი ჩადგებოდა, შენ რომ გეცლია,
მაგრამ მუშები რკინის ნებით შენ ერთს გდაღავენ.
შენ ხარ ფოლადი... კახაბერი—მართლა სხვა კაცი
რკინის პალოთი ეს ქვეყანა დააბარბაცე...

ტ. ტაბიძე ამ ლექსით ცდილობს ასახოს პროლეტარული რევოლიუციის ერთ-ერთი ბელადის სახე. ის ცდილობს, რომ ეს ბელადი განსაკუთრებით ძლიერ პიროვნებათ, მშრომელთა ნების გამომხატველად წარმოგვიდგინოს. მაგრამ უმეტესად მან ეს ვერ შესძლო. ვერ შესძლო იმიტომ, რომ მას ხელს უშლის სიმბოლიზმის ტრადიციები, ამ ტრადიციებისგან განთავისუფლების გარეშე კი შეუძლებელია პროლეტარულ რევოლიუციის ლიტერატურული თანამგზავრობის დამსახურება...

ასეთია ტ. ტაბიძის შემოქმედების შინაარსი. ეხლა შევეხოთ, თუ როგორია მისი შემოქმედების ფორმალური მხარე.

ტ. ტაბიძის ლექსიკის სიტყვიერი სახეები „სათანადოდ“ შეხამებულია მის საერთო პოეტურ ხედვასთან. ფეოდალურ-რაინდული საქართველოს რომანტიკა აქაც მჟღავნდება. მისი საყვარელი და უფრო გავრცელებული სიტყვებია: რაინდი, ვაჟკაცი, ჩოხა, ავთანდილი, ფატმანი, ხანჯალი, კახაბერი, ქალდეა, კოლხიდა, მხედარი, გოლიათი, არმაზი, წმინდა ნინო, მეფე მირიან, საკაძე, მოუარავი და სხვ.

ტ. ტაბიძე აგრეთვე ხშირად ხმარობს რელიგიური კულტის, საეკლესიო მსახურების აღმნიშვნელ სიტყვებს: ეს გასაგებიც არის: პოეტი ფისტიკოსი თავის თავს უყურებს, როგორც ღვთისმსახურების აღმასრულებელს, როგორც რელიგიური გრძნობების ულრმეს გამომხატველს, ხოლო აქედან—ლიტურგიკული სახეები და სიტყვები მის პოეზიაში:

გრძელია ყამი.—ღმერთმსახურებს რაც ჩემი გვარი,
ვინ დასთვლის წირვას, რაოდენი გამოიყვანეს.
ახლაც ეზოს წინ დაღვრემილი მოსჩანს საყდარი:
ეს გერბი არი, ამაყ მგოსანს რომ დამიხატეს.
ლოცულობს მამა, მწუხრის ლოცვას მუნჯად ვუცქერი.
ფსალმუნი სულში შეფრინდება და იმარხება...
შავ ანაფორას მეწამული გადაჰკრავს ფერი
და ვხვდები ახლა. თუ ქალდეა რად მენატრება.
(„ქალდეას ქალაქები").

აქვეა შემდეგი სიტყვებიც: მირონი, მწირი, პანაშვიდი, საკურთხეველი, ბზობა, იერუსალიმი, ღვდელთმსახურება, წირვა, საყდარი, ლოცვა, ფსალმუნი, შავი ანაფორა, ტაძარი, მოგვი, ლიტურგია, უდაბნო, მონასტერი, ჯვრის ტაძარი, მღვდელი, ოლარი, მოსე წინასწარმეტყველი, სვეტიცხოველი და სხვ.

ლიტურგიკულ სიტყვებთან ერთად ტ. ტაბიძე ხშირად ხმარობს მითოლოგიურ სიტყვებსაც: ღმერთი, დემონი, საბაოფი, სამოთხის ჩიტი, გამაიუმი, ღვთისმშობელი, ქრისტე, კიდობანი, ასტარტა, კერპი, მადონა, ღმერთი-მელიტა, ასტრალი წევარი და სხვ.

ასეთი მისტიკური, რელიგიური და მითოლოგიური სიტყვებით არის დატვირთული ტ. ტაბიძის შემოქმედება. თვით შედარებით უფრო „რევოლიუციონური" ფაქტებიც ამ გზით და საშვალებით არის მოცემული (მაგ. „ახალი მცხეთა").

სახეების და მეტაფორების სიმრავლე არ ახასიათებს ტ. ტაბიძეს. ის საგანს და მოვლენას პირდაპირ ასახელებს, პირდაპირ გამოსთქვამს. ერთი შეხედვით ასეთი პირადპირობა და უბრალობა კარგიც არის, მაგრამ სამაგიეროდ ის ლექსს ხშირად რიტორიკისა და სიმშრალის ხასიათს აძლევს; უკანასკნელ მოვლენას კი დიდი ადგილი უჭირავს ტ. ტაბიძის ლექსებში. მაგრამ როგორც კი მიმართავს ტ. ტაბიძე სახეებს, ისინი უმეტესად მეტად პრიმიტიული და გაუმართლებელია, მათ აკლია მხატვრული სიძლიერე და სილრმე. ფაქტები:

შარვლის ტოტებში მთელი მზე ჩავა
მზე სიხარბიდან—მზეც კი გაზრდილა
და მოტეხილი სერაფიმის ფრთა;
ქაშვეთი კიდევ უფრო გაფითრდა.
(„მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება").

თეთრი ვაშლის ხე, თეთრ ხიდეზე მოცურდი გედით.
ვიგონებ ტფილისს რძიან დილით და ვარდისუბანს,
აბნეულ სიტყვას, ლექსების ორთქლს, ილაიალის
და საიათნოვას სიმღერებით აყვანილ დუქანს.
(ილაიალი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხანჯალივით მცემდი ხელთათმანს
(„ირემი აქებს იალაღს“).

ყოველი კვირა ჩემთვის ბზობაა
და ტფილისია იერუსალიმი.
(„არ შევჩერდები მე ამ მოტივზე“).

ასეთია „ძლიერი“. სახეები პირდაპირ ნაძალადევად და უდროოდაა „დამწიფებული“. მათ აკლია გრძნობის, მხატვრული სილრმის, განცდის და პოეტური შემძლებლობის არე...

როგორც ვიცით საფრანგეთის და რუსეთის სიმბოლისტები ლექსის ერთ-ერთ აუცილებელ თვისებათ სთვლიდენ მუსიკალობას, მუსიკალურ სტილს.

ა. ბლოკისათვის მთელი ცხოვრება „ბნელი მუსიკა იყო, რომელიც კვნესოდა მხოლოდ ერთი ვარსკვლავის შესახებ“.

როგორია ამ მხრივ „ცისფერი ყანწები“-ს მდგომარეობა? როგორ და რა ფორმებში განახორციელეს მათ სიმბოლიზმის ეს ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი მომენტი?

უნდა აღინიშნოს, რომ „ცისფერმა ყანწელებმა“ ვერ შესძლეს სიმბოლიზმის ამ დებულების პრაქტიკაში განხორციელება. მათ ლექსებს ხშირად აკლია მუსიკალობა, მუსიკალური სტილი.

ტ. ტაბიძე ასეთი მოვლენის რკალში ყველაზე უფროა მოქცეული. მისი ლექსები მეტად დამძიმებულია, მათში ბევრია „აზროვნება“ და მსჯელობა. ამ მდგომარეობას კარგად გრძნობს გრ. რობაქიძეც, როდესაც სწერს:

„ტიციან ტაბიძეში სჭარბობს მხოლოდ აბსოლიუტური პოეტური იდეა. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა კოლორს, არც რიტმს, არც კოლორს და რიტმს ერთად. მისთვის ყველაფერი არის ტიტველი პოეტური აზრი“ (იხ. „დაბრუნება მიწასთან“)...

როგორი დასკვნა უნდა გაუკეთოთ ტ. ტაბიძის შემოქმედების ამ დახასიათებას?

ტ. ტაბიძე თავისი ხელოვნური ლეგენდებით, სტილიზაციურ-მისტიური თქმებით მიყვება ჰიუსმანის დეზ-ესენტის გზას: გარბის თავის საუკუნის „სატუსაღოდან“ შორეულ წარსულში და ფანტასტიურ ქვეყანაში. მაგრამ ალბათ ყველას ახსოვს დეზ-ესენეტის ბედი. ეს დაავადებული არისტოკრატი მივიდა გალიუცინაციამდე, შეშლილობამდე და ანორმალობამდე. რათა მას კვლავ დაბრუნებოდა ნორმალობა, ამისათვის ექიმებმა გამოუწერეს ცხოვრების პირობების გამოცვლა. მას თავი უნდა დაელწია „მონასტრის“ საკანში ცხოვრებისაგან და გამოსულიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხალხში, გარეოდა კოლექტივში, როგორც აქტიური მუშაკი.

რატომ მოხდა ეს?

— იმიტომ, რომ არც ხელოვნებას და არც მეცნიერებას, როგორც ადამიანის შემეცნების სხვა დანარჩენ დარგებს საერთოდ, არ შეუძლია **შექმნას** თავისთავად რაიმე შემოქმედებითი ფაქტი. მათ შეუძლიათ მხოლოდ შეიგრ-

ძნონ მათ გვერდით, მათ გარეშე დაგროვილი შესაძლებლობანი ხა ბრუეს მას განსაზღვრული მიმართულება. აქედან, ცხადია, რომ პოეზიის მოქმედების ძალა იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში იმისაგან, თუ რამდენად შეუძლია პოეტს თვალყური ადევნოს და გადმოშალოს სინამდვილეში დაგროვილი შესაძლებლობანი. ყველაზე საუკეთესო ოცნება, რომელიც ვერ პოულობს შესაფერის შეფარდებას რეალურად არსებულ გარეშე ქვეყანაში, დარჩება განწირული უმოქმედობისათვის; ქვეყნიერება და ცხოვრება ვითარდება თავისი განსაზღვრული კანონებით, რომელიც არ ემორჩილება განმარტოებულ, ასკეტ მეოცნების ჭირვეულ ნებას. მეოცნიბე, რომელიც შეყვარებულია მხოლოდ თავის ვიწრო „მე"-ს ბედში და რომელიც ცდილობს უბრძანოს მოვლენებს თავისი ორადლიანი დიდების სიმაღლიდან, უსათუოდ დარჩება ცხოვრებისაგან დამარცხებული (ს. ანდრიანოვი), ასე დაემართა დეზ-ესენტს. ის ცხოვრებას გაექცა, მაგრამ სამაგიეროთ ცხოვრებამ მაინც თავისი ძალა ამოქმედა, ცხოვრებამ თავისი გზით განაგრძო სვლა, მან სამაგიერო უზღო ჭირვეულ მეოცნებეს. ასეთივე ბედი მოელის ყველას, ვინც კი ცდილობს დეზ-ესენტის გზას გაჰყვეს. ვერც ტ. ტაბიძე დააღწევს თავს ამ მდგომარეობას, თუ მასში მობრუნება არ მოხდა თანამედროვე ცხოვრებისაკენ.

მ. ლევანდოვსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პროლეტარიატის დიქტატურის წითელი არმია

როგორც საბჭოთა ქვეყნების, ისე მთელი ქვეყნის მშრომელი მასებისათვის ნათელია ის სოციალური და კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს მსოფლიო იმპერიალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს ყოველდღიურად ათრთოლებს და ბნედავს კლასობრივი რევოლიუციონური სნების პოლიტიკური ციებ-ცხელება.

ერთის მხრით, დასავლეთის მუშათა მასებმა, ხოლო მეორეს მხრით აღმოსავლეთის ულარიბეს გლეხობის მილიონებმა, თავის კომუნისტური პარტიების წინამძღოლობით ხელი ჩასტაცეს თანამედროვე დაბერებულ კაპიტალიზმს და მის მერყევ სტაბილიზაციას აქეთ-იქით აქანავებენ.

საბჭოთა სახელმწიფოს რევოლიუციონური სიდიადე თანდათან იპყრობს და ედება ბურჟუაზიულ ქვეყნების დაჩაგრულთა და გაყვლეფილთა ახალ-ახალ ფენებს.

მსოფლიო ბურჟუაზიულ წესწყობილების დასნეულების გვერდით იზრდება, მტკიცდება და თავის სისპეტაკით მაღლა იწევს საბჭოთა კავშირი. ახალგაზრდა, ჯანსაღი პროლეტარული სახელმწიფო წლითი წლობით ამაგრებს თავის სოციალისტურ საფუძვლებს და უდიდესი სოციალისტური კიბის ერთი საფეხურიდან მეორეზე ინაცვლებს, რაც თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება ქვეყნიერების ბის მშრომელთა მასებისთვის.

საბჭოთა სახელმწიფომ ამ ჟამად უკვე გაიძრო ფეხიდან ხის ქოშები, რომლებსაც არც ისე დიდიხნის წინეთ ატარებდა. ის უკვე გამოვიდა სიხანშლის, ავადობის და სიმშილობის პერიოდიდან და უთვალავ სნეულებათაგან განკურნებული მაგარი, გაპოხილი ჩექმებით, სოციალისტურ გზაზე ამაყად მიემართება წინ—თავის საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული.

ეს მოვლენები ჩვენი ქვეყნისა შინაგან წინააღმდეგობებით შერყეულ და დაძაბუნებულ მსოფლიოს ბურჟუაზიულ ქვეყნებში შიშსა და მღელვარებას იწვევს.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გამარჯვებით დამფრთხალი ბურჟუაზია ერთ მთლიანს, შავს, ფაშისტურ ფრონტს ამზადებს ჩვენს წიმააღმდეგ და მას მსოფლიო მუშათა კლასის და გლეხობის ერთ მთლიან წითელ ფრონტს უპირდაპირებს.

ყველასათვის გასაგებია, რომ ქვეყანაზე ერთად, კეთილმეზობლურად ცხოვრება არ შეუძლია—ორს, კლასობრივად ერთი მეორის მოწინააღმდეგე ბანაკს.

ყოველ დღიურ სინამდვილეს და კლასთა ძალების გადაჯგუფებას იქითკენ მივყევართ, რომ აუცილებელია უსასტიკესი და მწვავე ბრძოლა. ამას ვერ ავცდებით!

ამხ. **ლენინი** ასე ახასიათებდა საბჭოთა კავშირის მდგომარეობას კაპიტალისტურ გარემოცვის დროს:

> ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო ცალკე სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოთა მთელ სისტემაში, და იმპერიალისტურ სახელმწიფოების გვერდით საბჭოთა რესპუბლიკების ხანგრძლივი არსებობა წარმოუდგენელია. ბოლოს და ბოლოს ან ერთმა, ან მეორემ უნდა დაამარცხოს. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს,—მთელი რიგი უსასტიკესი და უსაშინელესი შეტაკებებისა არის მოსალოდნელი საბჭოთა რესპუბლიკებსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა, როგორც გაბატონებულმა კლასმა, თუ მას უნდა ბატონობა შეინარჩუნოს, ეს უნდა დაამტკიცოს თავის სამხედრო ორგანიზაციით. (ტ. XVI, გვ. 101).

მხოლოდ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას, მხოლოდ მსოფლიო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შექმნას შეუძლია ბოლო მოუღოს კაპიტალიზმს და მასთან ერთად—ყოველგვარ ომების მოსალოდნელობას.

მაგრამ ვიდრე ეს არ არის,—ყველაფერი საბჭოთა კავშირის—მსოფლიო სოციალისტურ, ამ პირველ დასაყრდენის თავდაცვის მომზადებას უნდა მოხმარდეს ყველაფერი მის მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობის ზრდას უნდა შეეწიროს.

მომავალი ომები ტეხნიკის მიღწევებისა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

მანძილისა და დროის დაძლევა ავიაციის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის გაუმჯობესებით—აახლოვებს მოწყვეტილ ქვეყნებს და ქვეყნიერეების სხვადასხვა კუთხეებს.

ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში მომავალის ძირითად მამოძრავებელ ძალის—ელექტრონის შეჭრა, საშუალებას იძლევა უზარმაზარი ელექტრო ძალის რამდენიმე ასეულ ვერსების სივრცეზე გაშვებას, რომელიც ყოველნაირად შეიძლება იქნას გამოყენებული.

სამრეწველო ქიმიის მიღწევები, ქვანახშირიდან ათასნაირ საღებავების კეთება, და ჰაერიდან სელიტრის, აზოტის და სხვა ნივთიერებათა მიღება მეტყველებს ამ დარგის დიდი მიღწევების შესახებ.

ზღვის ტალღების და მათი მდინარეების გამოყენება, როგორც მამოძრავებელ ძალისა, მზის სხივებით და მისი ძალით სარგებლობა,—მომასწავებელია ახალი რევოლიუციისა ბუნების ძალთა გამოყენების საქმეში მრეწველობის და ტეხნიკის განვითარებისათვის.

ყველა აქ დასახელებული აღმოჩენები და მიღწევები რევოლიუციას ახდენენ სამხედრო ტეხნიკაშიც და მთელ სამხედრო საქმეში მთლიანად.

ამაშია ძალა და საიდუმლოება მომავალი ბრძოლებისა.

საჭიროა ხაზი გაესვას ზოგიერთ პრაქტიკულ, ყოველდღიურ ამოცანებს, რომელნიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის თავდაცვის წინაშე სდგანან და დაკავშირებული არიან სწორედ მომავალი ომის განსაკუთრებულ ხასიათთან.

ჯარის ყოფა-ცხოვრებაში, და განსაკუთრებით, მის სამეურნეო-მატერიალურ უზრუნველ ყოფაში მთელ რიგ ნაკლულევანებათა [illegible] შემდეგ, მეტის გულმოდგინებით და ნაყოფიერებით უნდა გაგრძელდეს როგორც წითელ არმიელების, ისე უფროს შემადგენლობის სწავლება.

ამხ. ლენინი წითელი არმიის მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში შემდეგნაირად ახასიათებდა:

> წითელი არმია საჭიროა იმისათვის, რომ მხოლოთ ძალით შეიძლება გადაჭრილ იქნას უდიდესი ისტორიული საკითხები, ძალის ორგანიზაცია კი თანამედროვე ბრძოლაში—არის სამხედრო ორგანიზაცია. (ლენინი, ტ. XI, გვ. 268).

ლენინიზმი სოციალისტურ სამშობლოს მოწინავე მებრძოლ რაზმს აძლიერებს მრისხანე ინტერნაციონალური ძალით, რომელსაც შეეძლება მსოფლიო ბურჟუაზიის მოწოლას გაუმაგრდეს, სანამ მას მსოფლიო პროლეტარიატი მიეშველებოდეს.

ამ შემთხვევაში ამხ. ლენინი გვითითებდა:

> გლეხები და მუშები მიეჩვევნენ იმ აზრსაც, რომ აუცილებელია არმიის მართვის უნარიც. ისინი თავიანთ მუშაობას სამხედრო საქმეში ისე წარმართავენ, რომ მათ მიერ შექმნილი არმია სოციალისტური არმიის სახელს ღირსეულად შეინარჩუნებს, და წარმატებით იბრძოლებს კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის და იმპერიალისტების წინააღმდეგ, ვიდრე მას საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი მიეშველებოდეს. (ტ. XV, გვ. 320).

საბჭოთა ქვეყანა წითელ არმიის მარქაფა ძალას წარმოადგენს და მან უნდა თავის თავი მოამზადოს, რომ შეეძლოს წითელი არმიის დახმარება ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი საზღვრების ყოველ ფრონტზე. ის ჯარს უნდა დაეხმაროს თავისი ხალხით და შინაგანი პოლიტიკური და ეკონომიური ძალებით.

> არა შიშით, არამედ სინიდისით ყველა კანონებისა და ბრძანებების შესრულება წითელი არმიის შესახებ მასში დისციპლინის დაცვა, და ვისაც რით შეუძლია წითელი არმისთვის დახმარებას გაწევა,—აი პირველი, ძირითადი და უმთავრესი მოვალეობა ყოველი შეგნებული მუშისა და გლეხისა. (ლენინი, ტ. XVI, გვ. 301).
>
> დედამიწის ზურგზე პირველად არის შექმნილი არმია, შეიარაღებული ძალა, რომელმაც იცის რისთვის იბრძვის, და ქვეყანაზე პირველად, მუშები და გლეხები სწირავენ აუარებელ მსხვერპლს და ნათლათ გრძნობენ, ესმით, რომ ისინი იცავენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ მსოფლიო პროლეტარული სოციალისტური რევოლიუციის საქმეს. (იქვე, გვ. 155).

სახელმწიფოს შიგნით ყოველგვარ მოსალოდნელ შემთხვევისათვის, როგორიც არის მტრის საჰაერო თავდასხმა, ან გაზების გამოშვება, ან და კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები, ჩვენ მზათ უნდა ვიყვეთ ქვეყნის სწრაფი მობილიზაციისათვის, რომ ღირსეული პასუხი გავცეთ ყოველ უბანს ამ შინაური ფრონტისას.

**ვინც ომის ბოლომდე შეინახავს თავის საკმარისს, ძლიერ მარქაფა ძალებს მომავალ ომში ის გამოვა გამარჯვებული. ეს კი ხხვანაირად იმას ნიშნავს, რომ ვინც თავის ქვეყანას ამზადებს ხანგრძლივი ბრძოლისათვის და მის ხანმოკლეობაზე არ ამყარებს იმედს, იმას შეუძლია იყოს დარწმუნებული თავის ძლიერებაში და საბოლოო გამარჯვებაში.** ამ მოკლე სიტყვებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ **ომის საკითხი სწყდება არა, თვით ომის დროს, არამედ ამ ომზე ბევრათ ადრე.**

ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი შესვენების არა მარტო წლებს, არამედ თვეებსა და დღეებსაც კი. იმას, რის გაკეთებასაც დღეს ვერ მოასწრებ, ხვალ ველარ დაეწევი და ამ გამოშვებულ სამუშაო დროს საბედისწერო მნიშვნელობა ექნება არა მარტო ომისათვის, არამედ მთელი ქვეყნის არსებობისთვის.

აი, ამიტომ ჩვენს მუშაობას ქვეყნის თავდაცვის საქმეში ცალკე ნაწყვეტ კამპანიების ხასიათი—კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ მტკიცე ყოველდღიურ გეგმა შეწონილობით უნდა სწარმოებდეს.

თუ წითელი არმია ამ პირობას ასრულებს თავის განუწყვეტელ, მოუსვენარ სწავლების დროს და მით თავის ძლიერებას ამტკიცებს, საჭიროა, რომ მთელმა სახელმწიფო აპარატმაც იგივე გააკეთოს.

არმია, რომელიც ქვეყნის სადარაჯოზე დგას, თავის პროლეტარული მიხვედრით უნდა გრძნობდეს, რომ ის ძლიერია არა მარტო იმიტომ, რომ მომზადებულია და სამხედრო საქმეში გაწაფულია, არამედ იმიტომაც, რომ მისი დამხმარე მარჯაფა ძალა—მთელი სახელმწიფოს სახით მომზადებული და ძლიერია.

არმიის ჩვენი ქვეყნის ძლიერებაში დარწმუნება ჩვენი გამარჯვების უმთავრესი საწინდარია, და ეს რწმენა ჩვენს პროლეტარულ წითელ არმიას დღეს აქვს.

მხოლოდ ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მუშათა და გლეხთა მასების გაერთიანებული ძალღონით წითელ არმიასთან ერთად ლენინური მებრძოლი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითშ ევძლებთ საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის ხელების მოკვეთას, რომელიც საცოდავი კანკალით მოემართება საბჭოთა კავშირისაკენ.

აი ამ რწმენაშია საკავშირო წითელ-დროშოვან არმიის ძლიერება და ძალა.

და თუ ვინიცობაა საბჭოთა კავშირის თავზე კვლავ აღიმართა საშიშროება,—წითელი არმია მზათ არის კიდევ მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩასწეროს თავის რევოლიუციონური ბრძოლების ისტორიაში.

მთელი მუშურ-გლეხური წითელი არმია თავის მეგობრებს მთელ ქვეყნიერებაში ერთხმად ეუბნება დიდი ბელადის **ვლადიმირ ილიასძე ლენინის** სიტყვებით:

> ამხანაგებო, ჩვენი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ უნდა დავძლიოთ ყველაფერი და შევინარჩუნოთ ჩვენ მიერ აფრიალებული სოციალისტური რევოლიუციის დროშა. მთელი ვეყნის უშები ჩვენ შემოგვცქერიან იმედით. გესმით მათი ძახილი? —ცოტა ხანს კიდევ გამაგრდით, ამბობენ ისინი. თქვენ გარშემორტყმული ხართ მტრებით, მაგრამ ჩვენ მოგეშველებით და საერთო ძალღონით უფსკრულში გადავჩეხავთ იმპერიალისტურ მტაცებლებს!
>
> ჩვენ გვესმის ეს ძახილი და ფიცს ვაძლევთ: დიახ, გავმაგრდებით! ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენს სადარაჯოზე მთელი ძალღონით და იარაღს არ დავყრით მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის წინაშე.

ბ. ს—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ოქტომგერი

## (სოციალ-პოლიტიკური ანალიზისათვის)

სოციალური ძალები ნელი, ევოლიუციონური განვითარების დროს მოქმედებენ შეუმჩნევლათ, უხმაუროთ. სოციალური ძალები, რასაკვირველია, მუდმივ ჭიდილშია, ისინი აკეთებენ თავის საქმეს, ამბობენ ყოველთვის თავის გადამწყვეტ სიტყვას. მაგრამ სოციალური ძალები მოქმედებენ პოლიტიკური ბრძოლის ფარდის უკან, აძლევენ ამ უკანასკნელს სტიმულებს და ბიძგებს, წარმოადგენენ პოლიტიკური ბრძოლის დაუშრეტელ რეზერვუარს და კვებავენ მას.

სოციალურ ძალთა შინაგანი ჭიდილი, სოციალური პროცესები მძლე გამოხატულობას პოულობს პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე, თვითონ კი ხშირად იმალება „საკუთარ ქერქში“ და შუმჩნეველს ხდის თავის არსებობას.

ხშირად პოლიტიკური ბრძოლის ზერელე მეთვალყურეს გაუჭირდება მის უკან სოციალური ძალების დანახვა, რადგან ელვის სისწრაფით იცვლება მებრძოლ ძალთა განწყობილება, მათი ბრძოლის მეთოდები, მათი სიტუაცია. რევოლიუციის დროს მძაფრია სოციალურ ძალთა ჭიდილი, მძაფრია პოლიტიკური ბრძოლა. რევოლიუცია აშიშვლებს და პირისპირ აყენებს მებრძოლ ძალებს, არ სტოვებს შუა ადგილს, ყველას გარკვეულ ბანაკისაკენ მიერეკება, აძლიერებს კლასთა შორის ბრძოლას; რევოლიუცია ხომ კლასთა ბრძოლის უმწვერვალესი წერტილია.

აქ ყველაფერი გამსჭვირვალეა, მებრძოლი ძალები ისე მოსჩანს, როგორც ხელის გულზე, ადვილი ხდება მათი ინტერესების, ბრძოლის ლოზუნგების და მეთოდების დანახვა, მაშასადმე, მათი შეფასებაც.

მაგრამ გაცილებით მეტად საჭიროა მარქსიზმის კომპასით შეიარაღება რევოლიუციის და მისი ძალების შესასწავლათ, რადგან რევოლიუცია არ არის მარტივი პროცესი, სწორედ იმიტომ, რომ ის ელვის სისწრაფით აშიშვლებს კლასთა ინტერესებს, იწვევს მათ გადაჯგუფებას, მებრძოლ ძალთა ცვალებადობას, მასების ახალ-ახალ ფენების ჩაბმას მის ფერხულში, ერთი ილიუზიის აღმოფხვრას, მეორე „ილიუზიის“ შეთვისებას, საფეხურების გავლას მასების მიერ, სანამ ისინი მოემზადებოდენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ეს პროცესები რთულდება საერთაშორისო, ნაციონალურ, კონიუქტურულ და სხვა ფაქტორების ერთმანეთში გადახლართვით. სწორედ აქ არის საჭირო მარქსიზმის იარაღი, რომ მოვლენათა ქაოსში დაინახო ნათელი კლასობრივი ზოლი, რომლის შესწავლა ადვილს გახდის მთელი პოლიტიკური აბრაკაბარდის თვალნათლივ დანახვას.

პოლიტიკური ბურუსის, პოლიტიკური ბრძოლის არენაზე დაყენებულ ქაოსის იქეთ მარქსისტული მეთოდით გახედვა, პოლიტიკური მოვლენის იქით მისი სოციალური მამოძრავებელი ძალების დანახვა, პოლიტიკური აქტის ქვეშ მისი სოციალური ამალგამის აღმოჩენა—მარქსიზმის ელემენტარული მოთხოვნილებაა, უპირველესი ამოცანაა მოვლენებში გასარკვევათ და, მაშასადამე, პერსპექტივების შესანარჩუნებლათ.

პოლიტიკურ მოვლენების ზედაპირულ მიმოხილვას პარალელურათ უნდა მისდევდეს მისი მამოძრავებელი ძალების დანახვა, შესწავლა, მათი მარქსისტული „აბსტრაქცია“.

საქართველოს ისტორია თებერვლის რევოლიუციიდან—საქართველოს ოქტომბრამდე, 25 თებ.—წარმოადგენს ძლიერ რთულ, სწრაფად ცვალებად პროცესს. აქაა პოლიტიკური პარტიების განუწყვეტელი ბრძოლა, ამ ბრძოლის პრო-

ცესში მათი გადაჯგუფება, ლოზუნგების ცვლა, მოკლეთ—პოლიტიკური ბრძოლის რთული გადახლართვა. ამიტომ მისი მოთხრობა ან მიმოხილვა ბოლამ საკმაო, საჭიროა ამ რთული პროცესის გაგება, შესწავლა, ანალიზი, მისი **სოციალური ძალების დანახვა**, იმ გზების და ტენდენციების შესწავლა, რამაც აუცილებელი გახადა **საქართველოს ოქტომბერი.**

* * *

25 თებერვალი საქართველოს 25 ოქტომბერია. საქართველოს მუშათა კლასი ექცევა 25 თებერვალს სახელმწიფოს სათავეში და ქართველ მშრომელ ხალხს აბამს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის, სოციალისტური მშენებლობის ფერხულში.

მენშევიკისთვის, ობივატელისთვის, ნაციონალისტისთვის ეს გაუგებარია. მისთვის 25 თებერვალი ეს ისეთი ფაქტია, რომელიც ძალით მოახვიეს თავზე საქართველოს მშრომელ ხალხს, რომელიც არ მოუმზადებია თავისი ისტორიით, წარსულით, გამოცდილებით საქართველოს. 25 თებერვალს, მათი აზრით, მოხდა „საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ".

25 თებერვალი სტკივა საქართველოს—სწერდა ს. დევდარიანი. სტკივა—მაშასადამე ის ხორცმეტია, არაბუნებრივია, არაა შინაგანი განვითარების ნაყოფი, არამედ ძალადობის და მაშასადამე „არა კანონიერი" აქტია. ხორცმეტი მოკვეთილი უნდა იქნეს, იგი მხოლოდ დროებითი დაბრკოლებაა განვითარების გზაზე. თუ ასეთია 25 თებერვალი, იგი არ შეიძლება რომ იყოს ახალი ისტორიის მიჯნა, არამედ წალეკილი უნდა იქნეს მისი ძველი ისტორიის მიერ.

ობივატელი ვერასოდეს ვერ გაიგებს იმას, რომ 25 თებერვალი სწორედ საქართველოს ოქტომბერია. ეს ის დატაა, საიდანაც იწყება ქართველი მშრომელი ხალხის **ახალი ისტორია.**

აი 25 თებერვლის დიამეტრალურათ საწინააღმდეგო შეფასება, რომელთა შერიგება შეუძლებელია. ეს წინააღმდეგობა გამოდის იქედან, რომ ორი სხვადასხვა ქვეყანა, ორი სხვადასხვა შეურიგებელი ბანაკი აფასებს მას. ერთია ბანაკი, რომელიც ანმტკიცებს საქართველოს ოქტომბერს, აშენებს მის ახალ ისტორიას, მეორეა ბანაკი, რომელიც ებრძვის საქართველოს ოქტომბერს, რომელიც იყურება ძველი ისტორიისაკენ, არ უნდა, არ შეუძლია ახალის დანახვა და ცდილობს ისტორიული მამოძრავებელის უკან შემობრუნებას.

ამ ორ, დიამეტრალურათ საწინააღმდეგო შეფასებას შუა შეიძლება გაჩნდეს მესამეც. შეიძლება გაჩნდენ ისეთები, რომელთაც ვერ გაიგონ 25 თებერვალი და ვერ დააფასონ ის. გაუგებრობის წყარო ხდება ის, რომ საქართველოს ოქტომბერი მოხდა თავისებური მეთოდებით, განსხვავებულ პირობებში. ამ თავისებურმა მეთოდმა გადამჭრელი გავლენა იქონია პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებაზე ჩვენში—ეს იყო **წითელი არმიის დახმარების ფაქტი.** პროლეტარულ რევოლიუციას აქვს თავისი მეთოდები და გზები. პროლეტარული რევოლიუცია ცალკე ქვეყანაში იზრდება ამ ქვეყნის მატერიალური პირობებიდან, შზადდება მისი წარსულით, ისტორიით. მისი ბერკეტია ამ ქვეყნის ისტორიით მომზადებული პროლეტარიატი და მისი პარტია. პროლეტარული რევოლიუციის მეთოდია—მუშათა კლასის შეიარაღებული ბრძოლა—თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის, მისი სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის, იმპერიალიზმის პირობებში საჭირო იყოს კაპიტალიზმის უმაღლეს მწვერვალამდე ასვლა დედამიწის ყველა კუთხეში და მიწის ყოველ ნაჭერზე. ეს იქნებოდა პაროდია მარქსიზმზე. ეს იმას არ ნიშნავს რომ პროლეტარულ რევოლიუციას მხოლოდ ეს ერთად ერთი გზა უწერია, რომ არ შეიძლება მის მეთოდებს დაემატოს სხვა, თუნდაც გამარჯვებული ქვეყნის პროლეტარიატის გარედან დახმარების მეთოდი.

გამარჯვებული ქვეყნის პროლეტარიატი ვალდებულია დახმარება გაუწიოს მთელი თავისი შესაძლებლობით მის მოძმე ქვეყნის მუშათა კლასს, [illegible] მას პროლეტარული რევოლიუციის მშობიარობის ტკივილები.

მაგრამ ცხადია ერთი რამ: გამარჯვებული ქვეყნის პროლეტარიატს მაშინ შეუძლია დახმარების ხელი გაუწოდონ სხვა ქვეყნის პროლეტარიატს, როცა ამ უკანასკნელში საამისო პირები მომზადებულია, მშობიარობის ტკივილები დაწყებულია.

გაუმართლებელი იქნება ეს დახმარება, თუ ისტორიას არ შეუმზადებია პროლეტარული რევოლუციის პირობები. პროლეტარული რევოლიუციის ხელოვნური გადანერგვა ავანტიურაა, თუ, მით უმეტეს, ეს გადანერგვა ხდება გამოუსადეგ ნიადაგზე.

აქედან აშკარაა, რომ დახმარება არაა, სრულიად არაა ბოლშევიზმისათვის რევოლიუციის აუცილებელი მეთოდი, მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ კონკრეტიულ პირობებში. ბოლშევიზმი სწორედ იმით განსხვავდება მენშევიზმისაგან, რომ იგი მოუწოდებს თვითოული ქვეყნის მუშათა კლასს არა სხვის ძალებზე, სხვის ინიციატივაზე და დახმარებაზე დაყრდნობას, არამედ მაქსიმუმის გაკეთებას საკუთარი ძალებით.

პროლეტარული რევოლიუცია ხანგრძლივი პროცესია. ერთი ქვეყნის პროლეტარიატმა არ უნდა დაუცადოს მეორეს, თუ მისთვის ხელსაყრელი რევოლიუციონური პირობებია შექმნილი და მაქსიმალურათ დასჭიმოს თავისი ძალები. ოქტომბრის რევოლიუცია იყო სწორედ ამ მონური დაცდის, სხვის ძალებზე იმედების დამყარების ცოცხალი უარყოფა. სულ სხვაა საერთაშორისო მენშევიზმი. მას ეშინია ძალაუფლების, იგი მოუწოდებს მუშათა კლასს საწინააღმდეგო მიმართულებით—არ გაბედოს ძალაუფლებისთვის ბრძოლა, თუ სხვა ქვეყანაში არ გაუმარჯვებია რევოლიუციას, თუ სხვა ქვეყანაში კიდევ კაპიტალი მეფობს.

ლენინიზმი არის ამ დახავსებული, ბურჟუაზიის იდეოლოგიური ტერორისაგან—გბირულად თავის განთავისუფლება, ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა ამ საერთაშორისო დაცდის პოლიტიკასთან. ეს ლოლიკურათ გამომდინარეობს ლენინის ცნობილ „კაპიტალიზმის ანათანაბარ განვითარების“ თეორიიდან.

ცხადია, რომ გარეშე ქვეყნის მუშათა კლასის დახმარება სრულიად არ არის ბოლშევიზმის უნივერსალური კანონი; ეს არის მისთვის დამატება პროლეტარული რევოლიუციის გზებისა და მეთოდისათვის, ესაა მხოლოდ პროლეტარული რევოლიუციის მშობიარობის ტკივილების გაადვილების საშუალება, როდესაც მშობიარობა აუცილებელია, გადაუდებელია. გარეშე ძალებზე დაყრდნობის ილიუზია—ესაა მენშევიზმის აბსოლიუტური კანონი. მისთვის არ არსებობს რევოლიუციონური ინიციატივა, არამედ მუდმივი ცდა სხვა ქვეყნების დახმარებამდე, რაც უდრის ამ გამარჯვებას, გამარჯვების არ ნდომას და მასების მოტყუილებას.

ბოლშევიზმი უფრო რეალურათ იყენებს პროლეტარული რევოლიუციის ინტერესებისათვის თავის **დამხმარე** კანონს, და გამოიყენებს შემდეგში, ვიდრე საერთაშორისო მენშევიზმი თავის **აბსოლიუტურ** კანონს, რომლის ძირითადი აზრი მდგომარეობს არსებითად რევოლიუციისა და სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ მენშევიზმი ვერ იყენებს მას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია არ სარგებლობდეს ამით. მისი ძლიერება სწორედ მენშევიზმზე და მის უხერხემლობა—უინიციატივობაზეა დამყარებული. სწორედ ამიტომ მენშევიზმი ბურჟაზიული საზოგადოების ქვაკუთხედი, მისი ორგანიული, შემადგენელი ნაწილია.

* * *

თებერვლის რევოლიუციის შესახებ ლენინი ჯერ კიდევ შეგვიცვლილი სწერდა: „ეს პირველი რევოლიუცია არ იქნება უკანასკნელი“. *) ... ამოსჩანდა ბოლშევიზმის მთელი შემდეგი მოქმედების პროგრამა, რომ თებერვლის ბურჟუაზიული რევოლიუცია გაჩეხილია წინააღმდეგობებში, რომ მის მიერ გამოღვიძებული მასები ვერ შეჩერდებიან მიღწეულ, დასრულებულ რევოლიუციის პირველ ეტაპზე, რომელმაც ძალაუფლება გადასცა ბურჟუაზიას. ლენინი სწერდა:

> თუ რევოლიუციამ გაიმარჯვა ასე ჩქარა და ასე—გარეგნულათ, ერთი, ზერელე შეხედვით „რადიკალურათ“, ეს მხოლოდ იმიტომ რომ აქ ადგილი ქონდა ორგანიალურ ისტორიულ სიტუაციას—შ ე ე რ თ დ ე ნ, ძალიან „მეგობრულათ“ შეერთდენ სრულიად სხვადასხვა ნაკადები, სრულიად სხვადასხვა კლასობრივი ინტერესები, ს რ უ ლ ი ა დ საწინააღმდეგო პოლიტიკური და სოციალური მისწრაფებები“. **)

ეს საწინააღმდეგო ნაკადები იყო ერთის მხრივ მოკავშირეებისა და რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მისწრაფება ომის გაგრძელების, მისი ბოლომდე მიყვანისა და, მეორეს მხრივ—პროლეტარული და მასიური მოძრაობა პურის, ზავის და თავისუფლებისათვის. ორივე ნაკადი გამოსავალს ეძებდა ცარიზმის დამხობაში და ამან გამოიწვია ეს „დამეგობრება“, მაგრამ რევოლიუციამ განვლო პირველი ეტაპი და ამ ორ საწინააღმდეგო პოლიუსებს შორის ნაპრალები თანდათან ითხრება, მისი ამოვსება შეუძლებელი ხდება. ამ „დამეგობრებულმა“ ნაკადებმა ამიერიდან იწყეს სვლა სხვადასხვა მიმართულებით—პირველმა ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციისაკენ, მეორემ სოციალისტური რევოლიუციისაკენ. ლენინი განაგრძობდა:

> იმპერიალისტურ ომს ობიექტიური აუცილებლობითი ძალიან უნდა დაეჩქარებია და გაუგონრათ გაემწვავებია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ის უნდა გადაქცეულიყო მტრული კლასების სამოქალაქო ომათ.***)

ომმა დააჩქარა და გაამწვავა კრიზისი, **თებერვლის** რევოლიუციამ იმპერიალისტური ომი აქცია სამოქალაქო ომათ და აქედან რევოლიუციამ უკვე აღარ იცის შეჩერება. ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია 7 თვეში სწურავს თავის შესაძლებლობებს, მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გზას იკაფავს ოქტომბრისაკენ და აღწევს უჩვეულო გამარჯვებას.

რუსეთის დიდმა პროლეტარულმა რევოლიუციამ ძირფესვიანი ნგრევა შეიტანა დამყაყებული რუსეთის იმპერიის დამპალ შენობაში. ყინული გადნა და აღმოცენდა მრავალი ახალი მცენარე. გამოფხიზლდა და რევოლიუციის ქარტეხილში ჩაება მილიონი მასსები, გამოფხიზლდა აბსოლიუტიზმის ქუსლქვეშ მომწყვდეული ერები და იწყო გამალებული სწრაფვა ახალი ცხოვრებისაკენ.

ახალი ცხოვრების სადგურამდე ძველი რუსეთის ვებერთელა იმპერიის ნაწილებს ერთბაშად არ მიეღწევია. ახალი ქვეყნის მშენებლობა სხვადასხვა დროს დაიწყო რევოლიუციის ტერიტორიაზე. მოსკოვისა და ლენინგრადის პროლეტარიატმა, მოწინავე შუაგულ რუსეთმა—ძალა-უფლება დაიპყრო 1917 წელში. დაგვიანებით 1921 წელს—პროლეტარულმა რევოლიუციამ თავისი სიტყვა სთქვა საქართველოში. პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებას **დროს მიხედვით** ორი პოლიუსი აქვს—ლენინგრადი და ტფილისი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შორეულ აღმოსავლეთს).

---

*) Ленин—Собрание Сочинений ტ. XIV, ნ. I. გვ. 5.
**) იქვე—გვ 9.
***) იქვე—გვ. 7.

ზოგიერთები ამ მოვლენის ახსნას ცდილობენ „პრინციპიალური წინააღმდეგობით“, იმით რომ თითქოს სხვადასხვა იყო ამ ორი [illegible] გზები (ეკონომიკა, ნაციონალური მომენტი და სხვ.). პირველში [illegible] და გზა გაიკაფა პროლეტარიატის დიქტატურამ, იგი იქ აუცილებელი გახდა (რა ძნელია ამ მწარე სინამდვილის ცნობა თუნდაც ქართველი მენშევიკებისათვის), მეორეში აუცილებელი იყო და დამკვიდრდა დემოკრატიული რესპუბლიკაო“.

საქართველოში მუშათა კლასი უფრო გვიან მივიდა ძალაუფლების სათავეში, ვიდრე მისი თანამებრძოლი და ხელმძღვანელი რუსეთის პროლეტარიატი. რისთვის დაიგვიანა საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ, რისთვის $3^1/_2$ წლით ადრე შესდგა ფეხი ახალი ცხოვრების სარბიელზე რუსეთის მუშათა კლასმა?

ოქტომბრის რევოლიუციის მიერ განადგურებული პარტიები ამის ახსნას ცდილობენ, როგორც ვსთქვით, მხოლოდ **პრინციპიალური განსხვავებით**, იმით, რომ სხვადასხვა იყო რევოლიუციის ტერიტორიის ამ ორი ნაწილის ძირითადი გზები, საქართველოს გზა დასცილდა რუსეთის გზას და სხვა.

ამის დასამტკიცებლათ ამ ნეტარხსენებული პარტიების მბჟუტავ კელეპტრებს მოყავთ მრავალი „თეორეტიული არგუმენტი“, მენშევიზმი და თეორია!

რუსეთის და საქართველოს გზები რომ ერთმანეთს დასცილდა, მათი აზრით, ეს იქედანაც სჩანს, რომ საქართველო არ მისულა პროლეტარულ რევოლიუციამდე თავისი ძალებით, თავისი გზით, არამედ მას ეს სიკეთე „თავზე მოახვიეს“ გარედან, თავზე მოახვია „წითელმა იმპერიალიზმმა“. ჟორდანია ამბობდა:

> საქართველოს და რუსეთის გზა დასცილდა ერთმანეთს. ჩვენს გზას მივყევართ ევროპისაკენ, რუსეთისას — აზიისაკენ. მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალიზმის მხარეზე ვართ. ამიტომ მე გადაჭრით უნდა განვაცხადო: მ ი რ ჩ ე ვ ნ ი ა დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ფ ა ნ ა ტ ი კ ო ს ე ბ ს-ო.

მენშევიკის ასეთ აზრებში ახალი არაფერია, ძველი, გაცვეთილი, გათელილი გზაა ეს იმპერიალიზმთან მუცელზე ხოხვის, მაგრამ რა შუაშია აქ საქართველოს გზა? თავისებური, სხვანაირი, ორიგინალური, რომელიც „არც მარჯვნივაა და არც მარცხვნივ“, არამედ მიდის „თავისი გზით“ (ჟორდანიას სიტყვებია გვარდიის ყრილობაზე). საქართველოს მენშევიკების „თავისებურ“ გზას მიგყევართ ევროპის იმპერიალიზმისაკენ, რა არის აქ არაჩვეულებრივი? განა დიდი ხანია არ ამბობდენ ამას ბოლშევიკები, რომ მენშევიკებს მიყავთ მუშები ბურჟუაზიისადმი მორჩილებისაკენ, რომ ისინი ბურჟუაზიის აგენტებია მუშათა კლასში? ასეთივე დარჩა მენშევიზმი მაშინაც, როცა ის მოექცა ძალაუფლების სათავეში. მენშევიკები ფონ-ერესსისა და უოკერის ხიშტებზე დაყრდნობით ანმტკიცებდენ თავის „შინაურ რეჟიმს“ და ტყავში ძვრებოდენ დასავლეთის ორიენტაციისა და ერთა ლიგის მოწყალების — ბანდატის ძებნაში. ვიკითხოთ კიდევ, სად არის აქ **სხვა გზა**, რომელიც თითქოს საქართველოს ბუნებრივ უპირატესობას შეადგენდა?

ეს არის იმპერიალიზმის კოლონიათ გადაქცევის, მენშევიკების მიერ გათელილი გზა. როდის გახდა ეს გზა საქართველოს გზათ? უფრო სწორი იქნება თუ არა თუ ვიტყვით, რომ ეს გზა მას თავზე მოახვიეს?

საქართველოს თავისებურმა პირობებმა 1917 წელში, რუსეთის რევოლიუციის კრიტიკულ მომენტმა, რევოლიუციისაგან გარიყულმა ნაძირალებმა თავზე მოახვია მოტყუებით, დაუკითხავათ, მუხანათურად ეს გზა საქართველოს მშრომელ ხალხს, მისი სურვილისა და მისწრაფების წინააღმდეგ.

როგორც ზევით ნათქვამიდან სჩანს, საქართველოს ოქტომბერს აქვს თავისებურებანი, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ჩვენში შორდა სხვა პირობებში, სხვა დროს და თავისებური ფაქტორების ზეგავლენით. ამას ბოლშევიკები არასოდეს არ მალავდენ, არამედ ხსნიდენ ამ ფაქტს. „ისტორიულ მოვლენებს არ ესაყვედურებიან—ამბობდა ენგელსი—პირიქით, ცდილობენ მისი მიზეზების და მასთან მისი შედეგების გაგება"-სო.

საქართველოს ოქტომბრის თავისებურებების გაგებისათვის თავს არ იწუხებს მენშევიზმი, ის იყენებს მას პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ, მისი შეუძლებლობის დასასაბუთებლათ საქართველოს პირობებში.

ბოლშევიზმმა უნდა ახსნას ეს თავისებურებანი. ესენია: 1. საქართველოს ოქტომბერმა დაიგვიანა და 2. პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება განსხვავებულ პირობებში მოხდა.

ეს თავისებურებები არსებობდა, მას ღრმა სოციალური საფუძვლები ქონდა. იგი მოამზადა საქართველოს წარსულმა, მისმა სოციალურმა სტრუქტურამ და იმ განსაკუთრებულმა პირობებმა, რომელშიაც ის მოექცა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

ყველა ეს საკითხები ღირსია ყურადღების და გულდასმით გარჩევის. მან უნდა მოგვცეს გასაღები 25 თებერვლის, ამ ისტორიული აქტის შესაფასებლათ.

მაგრამ სანამ ამ საკითხებს გავარჩევდეთ, წინასწარ. გავარკვიოთ, იყო თუ არა ორი გზა, სხვადასხვა გზა დასახული ოქტომბრის პერიოდში საქართველოსა და რუსეთისათვის?

> ბოლშევიკურ გადატრიალებამდე ამიერ-კავკასიის დემოკრატიის არც ერთ ლიდერს არ დაბადებია აზრი ამიერ-კავკასიის ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის შესახებ. ყველა რევოლიუციონური ორგანიზაციები მოქმედებენ რუსეთის დემოკრატიის ერთიანი ფრონტის განსამტკიცებლათ [1]).

ასე სწერდა მენშევიკების პუბლიცისტი და მოღვაწე ყარიბი.

ეს სრული ჭეშმარიტებაა, ამაში ჩვენ ქვემოთაც დავრწმუნდებით, როდესაც მივმართავთ თვით „დემოკრატიის ლიდერებს".

ამიერ-კავკასიის და საქართველოს „ახალი გზების" გამონახვა დასჭირდათ ქართველ მენშევიკებს სხვა დროს და სხვა პირობებში, სახელდობრ მაშინ, როდესაც ისინი სასტიკათ დამარცხდენ რუსეთის რევოლიუციაში და იძულებული შეიქნენ ეძებნათ დასაყრდენი წერტილი ბრძოლის გასაჩაღებლათ ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ. ასეთ დასაყრდენათ მათ გამოიყენეს საქართველო. პირობებმა ხელი შეუწყო მის კონტრ-რევოლიუციის ბურჯათ გადაქცევას $3^1/_2$ წლის განმავლობაში.

თუ არ ყოფილა ორი, სხვადასხვა გზა რუსეთისა და საქართველოსათვის, სამაგიეროთ, იყო რევოლიუციის ორი ხაზი—ბოლშევიზმის და მენშევიზმის ხაზი.

ბოლშევიზმი და მენშევიზმი ჩაება რევოლიუციაში სხვადასხვა პროგრამით, სტრატეგიით, ტაქტიკით, მაგრამ არც **ერთს**, არც **მეორეს** არავითარი სპეციფიური, თავისებური ხაზი საქართველოსთვის არ დაუსახავს. საქართველოს ბედი მთლიანად შეკავშირებული იყო მთელი რევოლიუციის ბედთან. ამას ქონდა როგორც ღრმა სოციალ-ეკონომიური, ისე პოლიტიკური საფუძვლები. საქართველოს მუშები და გლეხები ხელიხელჩაკიდებული იბრძოდენ რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ერთად მეფის მთავრობის დასამხობათ. ხანგრძლივმა ბრძოლამ მათი ინტერესები მჭიდროთ დაუკავშირა ერთმანეთს. თავისი ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებას საქართველოს მშრომელთა მოწინავე ნაწილი ეძებდა არა დამოუკიდებელ ნაციონალური ბრძოლის პროგრამის საფუძველზე,

[1]) Карпов—Красная книга. გვ. 124.

არამედ ამ ამოცანას მტკიცეთ უკავშირებდა მთელი რუსეთის რევოლიუციის ბედს, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებას მეფის ძველ ტერიტორიაზე. საქართველოს მშრომელთ გამარჯვების საწინდრათ მიაჩნდათ რუსეთის ძველ ტერიტორიაზე დასახლებულ ხალხთა შორის ყოფნა და მათთან ერთად ბრძოლა.

იყო, როგორც ვთქვით, ორი ძირითადი ხაზი: ბოლშევიზმი და მენშევიზმი. არც ერთი მათგანი არ ანცალკევებდა საქართველოს მშრომელთა ინტერესებს ძველი იმპერიით დასახლებულ ხალხთა და მათი პროლეტარული ავანგარდის ინტერესებისაგან. არც-ერთი ამ ხაზთაგანი არ თიშავდა საქართველოს რევოლიუციის საერთო პროცესიდან და არ იმუშავებდა მისთვის თავისებურ პროგრამას. ამ გზაზე დადგომა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, რეაქციონური უტოპია იქნებოდა და გახდა კიდეც. რეაქციონური უტოპია იყო საქართველოს მშრომელთა რუსეთის პროლეტარიატთან დაპირისპირება, ჩხირკედელაობა საქართველოსთვის რაღაც თავისებური „გზის“ გამონახვისა. რეაქციონური—იმიტომ, რომ ასეთი დაპირისპირება აუცილებლათ სჭირდებოდა კონტრ-რევოლიუციას უტოპია—რომ არ შეიძლებოდა ხელოვნურათ დაეცილებიათ საქართველოს მშრომელთა ინტერესები რუსეთის მშრომელთა ინტერესებისაგან, რომელიც მტკიცეთ დაუკავშირდა ერთმანეთს ათეული წლების შეერთებული ბრძოლით და სისხლით. საქართველოს ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც სავსებით იდგენ რუსეთის ბოლშევიკებისა და მენშევიკების პლატფორმაზე და, რაც მთავარია, ისინი ამ ხაზს სთვლიდენ რუსეთის რევოლიუციის პლატფორმათ, ისინი ამ ხაზს ავრცელებდენ საქართველოზეაც.

როგორი ხაზით გადაეშვენ ისინი რევოლიუციაში? ციმბირიდან დაბრუნებული წერეთელი ასე მიმართავდა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს (შემთანხმებელთა საბჭოს):

> დაამხეთ რა ძველი ხელისუფლება, თქვენ შეაფასეთ მდგომარეობა უდიდესი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით, თქვენი შეიგნეთ, რომ არ დამდგარა დრო პროლეტარიატის საბოლოო ინტერესების, კლასობრივი ამოცანების განხორციელებისათვის, რომელიც ჯერ არსად არ განხორციელებულა, მაგრამ დაჭკრა საათმა დემოკრატიის სრული ზეიმისათვის, ზეიმისათვის, რომელშიაც დაინტერესებულია მუშათა კლასი და მასთან ერთად მთელი ქვეყნის სასიცოცხლო ძალები.., თქვენ არ მოისურვეთ აგელოთ პასუხისმგებლობა მოძრაობის დამსხვრევისა, რომ ასეთ მომენტში თქვენი სურვილი მოგეხვიათ თავს მოვლენებისათვის. თქვენ შეიგნეთ, რომ ხდება ბურჟუაზიული რევოლიუცია, რომ ის შეადგენს სოციალური რევოლიუციის ეტაპს და რომ საჭიროა ამ ეტაპზე გამაგრება... ძალაუფლებას დაეპატრონა ბურჟუაზია, თქვენ გადაეცით მას ძალაუფლება, თქვენ მხარა უჭერთ მის ყველა ნაბიჯებს ძველი წყობილების წინააღმდეგ. [1])

იგივე წერეთელი, შემთანხმებელი, ბურჟუაზიის აგენტი წერეთელი ამბობდა:

> ჩვენ ვეუბნებით ხალხს: აი ბურჟუები, აი ბურჟუაზიის პასუხისმგებელი ორგანო—დროებითი მთავრობა. მაგრამ ჩვენ უმატებთ: ეს ბურჟუაზიის ის ორგანოა, იმ ბურჟუაზიის წარმომადგენლებია, რომლებიც პირობას იძლევიან საერთო დემოკრატიის პლატფორმის ნიადაგზე დაიცვან რუსეთის თავისუფლება მთელს დემოკრატიასთან ერთად. (იქვე გვ. 51—52).

საქართველოს მენშევიზმის პატრიარქი ნ. ჟორდანია კი ამბობდა:

> ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელი რევოლიუცია, როგორც თავისი შინაგანი, ისე თავისი პოლიტიკური ამოცანებით არ გამოდის საქონლის მეურნეობის საზღვრებიდან, რომ ეს რევოლიუცია არ ეხება ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლებს. [2])

მთელი თავისი შეხედულებებით და მისწრაფებებით წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატები—მენშევიკები—იდგენ ბურჟუაზიული რევოლიუციის ნიადაგზე და

[1]) წერეთელი „Речи“ გვ. 12.
[2]) ჟორდანია „За 2 года“ გვ. 63—64.

მის დასრულებულ ფორმათ მიაჩნდათ ბურჟუაზიული რესპუბლიკის დამყარება. ისინი ცდილობდენ, რევოლიუცია შეეჩერებიათ იმ ეტაპზე, სადაც [illegible] შეჩერება ყოვლათ შეუძლებელი იყო. ამ ბრძოლაში ისინი უნდა გადასულიყვნენ [illegible] კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. რევოლიუციას თავისი ლოგიკა აქვს. იგი გადადის ერთი საფეხურიდან მეორეზე და სრულდება პროლეტარიატის დიქტატურით. რამდენათაც სწრაფად მიდის რევოლიუცია წინ, იმდენათ ავტომატურათ უკან რჩება და სცილდება მას მენშევიზმი. მას უკვე აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ გადასულიყო გასისხლიანებულ კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. მენშევიკები უფრთხოდენ პროლეტარიატის ბრძოლას, ეშინოდათ ბურჟუაზიის ჩამოცილების, ამიტომ დაადგენ კოალიციის, შეთანხმების და ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის გამაგრების გზას. მუშათა დეპუტატების საბჭო მენშევიკებმა პირველ ხანებში აქციეს ბურჟუაზიის დასაყრდნობათ. აი რას ამბობდა წერეთელი მონარქისტ. შულგინის საპასუხოთ:

> დროებითი მთავრობის მდგომარეობა ძნელი იქნებოდა და რევოლიუციის მომენტში ის ვერ შეასრულებდა თავის ვალდებულებებს, რომ არ ყოფილიყო ეს კანტროლი (მენშევიკურ-ესერული საბჭო—ძ.—ლი), რომ არ ყოფილიყო კონტაქტი დემოკრატიულ ელემენტებთან.

ამგვარათ, რევოლიუცია არ ეხება კაპიტალისტურ მეურნეობის საფუძვლებს, პროლეტარიატი ხელს იღებს თავისი კლასობრივი ამოცანებისათვის ბრძოლაზე „საერთო“ ბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებისათვის, ეხმარება მას, ხელს იღებს „დემოკრატიის რიგების რღვევაზე“, აკოწიწებს „დემოკრატიის მთლიანობას“ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის გამაგრებისათვის. კოალიცია, კონტაქტი, როგორც ბურჟუაზიის გაღონიერების საშუალება—აი ასეთი იყო მენშევიზმის პროგრამა.

მენშევიკები იყვნენ ბურჟუაზიის ნამდვილი მოციქულები, იბრძოდენ დამფუძნებელი კრებისათვის, ებრძოდენ სეპარატიულ ტენდენციებს ნაციონალურ საკითხში. როგორც ყოველთვის, ნაციონალურ საკითხშიაც გამოხატავდენ ისინი ბურჟუაზიის გავლენას, მის ინტერესებს. გაბატონებული ქვეყნის ბურჟუაზია იმპერიალისტურია, აგრესიულია, იგი ებრძვის მცირე ერთა სეპარატიულ ტენდენციებს; მისი იდეაა განუყოფელი რესპუბლიკის იდეა. ქართველი მენშევიკები ებრძოდენ არა მარტო დამოუკიდებლობის იდეას, არამედ ფეხქვეშ თელავდენ მცირე, დამონებულ ერთა ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც კი. განა არ ვიცით რა უპასუხეს მათ ფილანდიას, უკრაინას და სხ. განა მენშევიკებმა არ დაივიწყეს ძველი სოც.-დემ. პროგრამა, ერთა თვითგამორკვევის საკითხი? ნაციონალური საკითხი ჟორდანიას აზრით უნდა გადაეწყვიტა ბურჟუაზიულ დამფუძნებელ კრებას და არა თვით დამონებულ ერებს. ის სწერდა: „აუცილებელია, რომ ყველა ერების წარმომადგენლები თანხმობით მოქმედებდენ და შეერთებულათ დასვამდენ ნაციონალურ საკითხს დამფუძნებელ კრებაში“[1]).

მენშევიზმი იდგა ხელუხლებელი, განუყოფელი, მთლიანი იმპერიის სადარაჯოზე, ებრძოდა სეპარატიულ ტენდენციების საფრთხეს, რომ მთლიანათ გადაეცა რუსეთის იმპერია ბურჟუაზიის ხელში. **მენშევიკები ილტოდენ ბურჟუაზიული რესპუბლიკისაკენ მთელი, განუყოფელი რუსეთის ტერიტორიაზე.**

როდესაც ისტორიამ ნაკუწ-ნაკუწად აქცია ეს ოცნება და ქვა-ქვაზე აღარ დასტოვა მისგან, მენშევიკები იცვლიან ფრონტს და ცენტრალისტურ პოზიციებიდან გადადიან ნაციონალისტურ პოზიციაზე. ეს გადასვლა ხდებოდა ფრთხილათ და თანდათანობით. რატომ, რისთვის? საქართველოს დამოუკიდებლობის მიზნით? თუ ასეა, რატომ ძანამდე არაფერს ამბობდენ ამაზე? იმიტომ ხომ არა, რომ საქართველოს **სხვა გზა** ქონდა, რომ საქართველოს მშრომელთა ინტერე-

[1]) „За 2 года“, გვ. 8.

სები ძირფესვიანათ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მშრომელთა და მისი ავანგარდის ინტერესებს? თუ ასეა, რატომ არ გააბედნიერეს თავიანთი საქართველო და არ მიუთითეს მას ევროპისაკენ, თავისი „ნამდვილი“ გზისაკენ?

საქმე იმაშია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შირმა მათ დასჭირდათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველათ, საქართველო მათ დასჭირდათ ოქტ. რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ, საქართველო მათ დასჭირდათ კონტრ-რევოლიუციის შესაკრებ პუნქტათ. ასეთ საქმეების შესასრულებლათ კი იურიდიული პირი იყო საჭირო, აღჭურვილი კონტრ-რევოლიუციის უფლება-მოვალეობით და ნაკურთხი რომის პაპის მიერ. ასეთ იურიდიულ პირათ გახადეს მათ საქართველო, რომ გაეადვილებიათ ამით საბჭოთა რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა. აქ არ ყოფილა პირველ ხანებში, ხაზის დიდი ცვლილება, მოხდა მხოლოდ **ხაზის**—გახრა, ტაქტიკის შეცვლა, მაგრამ იმავე გინუყოფელი რუსეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის ინტერესებისათვის, რომელსაც ისინი ემსახურებოდენ ყოველთვის.

როდესაც ითვალისწინებთ საქართველოს მენშევიკების პოზიციას თებერვლიდან ოქტომბრამდე და ადარებთ მას მათ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“ ბრძოლას—არ შეიძლება სხვანაირათ შეაფასო ეს მოვლენა, თუ არა როგორც **უდიდესი და მასთან უმდაბლესი პოლიტიკური შანტაჟი. უდიდესი შანტაჟი თავისი მოღალატეობით და უმდაბლესი თავისი გაიძვერობით და ფარისევლობით.** ეს შანტაჟი მენშევიკებისათვის აუცილებელი იყო რუსეთის ბურჟუაზიის თვალსაზრისიდან—საქართველოს მოზარდ ნაციონალურ ბურჟუაზიის თვალსაზრისზე გადასასვლელად.

* * *

რევოლიუციის საბოლოო გამარჯვება ამა თუ იმ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში არ შეიძლება ერთ და იმავე დროს მოხდეს. რევოლიუცია არა თანაბრად ვითარდება. ამის ცოცხალ მაგალითს იძლევა რუსეთის სამოქალაქო ომის ისტორია. რევოლიუცია პირველათ იმარჯვებს სამრეწველო ცენტრებში. სოციალისტური რევოლიუცია ისტორიის უდიდესი მოსახვევია. ამიტომ კონტრ-რევოლიუციის ძალების ერთბაშათ დამორჩილება შეუძლებელია. ეს ძალები იყენებენ რევოლიუციის წინააღმდეგ ყველაფერს, გასულ პერიოდში შექმნილ ყოველგვარ დაწესებულებას და პუნქტს. ცხადია, ისინი მიაშურებენ პირველ რიგში პერიფერიას, სადაც სამრეწველო პროლეტარიატი სუსტია, წვრილი მესაკუთრის ინსტიქტი სცოცხლობს, და შეეცდებიან მის მოწყვეტას რევოლიუციის ცენტრიდან, მის გამოყენებას რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ჩვენ ზევით ვთქვით, რომ რამდენათ შორს მიდის რევოლიუცია—იმდენათ რჩება მას უკან წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები, მაგრამ ძალაუფლების აღების მეორე დღესვე ეს პარტიები უკვე კონტრ-რევოლიუციის, ბურჟუაზიის ბანაკში ამოყოფს თავს. წმინდა წვრილ-ბურჟუაზიულ, ან ცენტრალისტურ პოზიციაზე გაჩერება რევოლიუციის დროს უტოპიაა. სოციალისტურ რევოლიუციაში მთავარი მებრძოლი ძალებია პროლეტარიატი და ბურჟუაზია. შუა ფენები ულმობელათ კარგავენ თავის ფიზიონომიას, თავის სახეს. წვრილი ბურჟუაზია თავისი ხაზის რევოლიუციის ცეცხლში გამოტანას ვერასოდეს ვერ შესძლებს. სამოქალაქო ომი, რევოლიუციის ულმობელი, რკინის ლოგიკა ახდენს ბურჟუაზიული დემოკრატიის, წვრილი ბურჟუაზიის და მისი პარტიების დიფერენციაციას.

მათი სასიცოცხლო ძალების ნაკადს პროლეტარიატი თვით იერთებს, დანარჩენ ნაწილს მათი ოპორტიუნისტული პარტიებით შეუბრალებლათ ისვრის კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. რევოლიუციის ძლევამოსილ მსვლელობაში წვრილი ბურჟუაზია უნდა დაიშალოს, გადაგვარდეს ან ერთი ან მეორე მიმარ-

თულებით, ან რევოლიუციის, ან კონტრ-რევოლიუციის ბანაკში, თავი შეაფაროს ან ერთის, ან მეორეს ხელმძღვანელობას.

საქართველოს მენშევიკები არ შეადგენენ ამ კანონიდან გამონაკლისს. პირიქით, ამ კანონის საუცხოო ილიუსტრაციას წარმოადგენენ. ოქტომბრის რევოლიუციამ ისინი სავსებით და მთლიანად გადისროლა იმპერიალიზმის და კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. საქართველოს მენშევიკებს წილათ ხვდათ ამიერ-კავკასიის და შემდეგ საქართველოს კონტრ-რევოლიუციის სულის ჩამდგმელის როლი. ფუჭია მათი ცდა ამიერ-კავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა საქართველოს ინტერესებით ახსნან; განა დამოუკიდებლობის, როგორც პირველი, ისე მეორე აქტი მუშებისა და გლეხების ზურგს უკან არ მოხდა?

მენშევიზმი, კონტრ-რევოლიუციის ეს სულის ჩამდგმელი მოებჯინა საქართველოს, როგორც უკანასკნელ პლაცდარმს, უკანასკნელ პუნქტს. ამ მიზნით შექმნეს მათ ბურჟუაზიული რესპუბლიკა — თავისი ატრიბუტებით. აქედან ხდება საქართველო კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობის ბაზათ ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ, აქ ეწყობა გეგმები, იდება ხელშეკრულებანი და სხვა, რომელთა აზრი იყო საბჭოთა რევოლიუციის შემუსვრა.

„დამოუკიდებლობის იდეის" ნამდვილ აზრს არ მალავდა თავის დროზე „დემოკრატიის" არც ერთი გვირგვინოსანი „ლიდერი". ეს საჭირო შეიქნა მას შემდეგ, რაც შესუსტდა მენშევიზმის დასაყრდნობი საქართველოში, მას შემდეგ, რაც თანდათან გაითხარა ნაპრალები მენშევიკურ პარტიასა და გლეხობას შორის, მას შემდეგ, რაც მუშებისა და გლეხების ფხიზელი თვალი მიეპყრო საბჭოთა რუსეთს. ეს პროცესი არ მომხდარა ერთბაშათ, საჭირო იყო მთელი რიგი საფეხურების გავლა, სანამ გლეხობა ზურგს შეაქცევდა მენშევიზმს. გლეხობის დაგვიანებით მოქცევა ბოლშევიზმის გავლენის ქვეშ, მენშევიზმის ილიუზიების სიხანგრძლივე მასში — აი რას ეყრდნობოდა როგორც „სოციალურ ბაზას" საქართველოს მენშევიზმი. ამ დასაყრდენის გამოშლა უდრიდა მის დამხობას და ეს ასეც მოხდა.

წერეთელი, „დიპლომატი" წერეთელიც კი გულახდილობს „დამოუკიდებლობის" ნამდვილი აზრის გარკვევაში:

> იყო გარეშე ძალები და ამ გარეშე ძალებს შორის, რომლებიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ფარგლებს გარეთ მოქმედებდენ — გადამწყვეტი როლი ითამაშა ერთმა გარეშე ძალამ, რომელმაც დააყენა ამიერ-კავკასია დამოუკიდებლობის გამოცხადების გზაზე. ეს გარეშე ძალაა — ბოლშევიზმი. (იხ. მისი — „Речи" ნაწ. 2 — გვ. 61).
>
> წერეთელი განაგრძობს: სოციალ-დემოკრატია ებჯინებოდა იმ დასაყრდენ ბურჯს, რომელსაც შეეძლო ხალხის ხსნა და აი ჭარიშხალმა გამოგვგლიჯა ხელიდან ის, ეხლა დადგა ისეთი მომენტი, როდესაც უკანასკნელი დასაყრდენი შეიძლება გამოსტაცონ ხელიდან ქართველ ხალხს.

ნათელი სურათია: რევოლიუციისაგან გარიყული ძალები ებჯინებიან უკანასკნელ დასაყრდენ პუნქტს, ცდილობენ იქ გამაგრებას იმ მიზნით, რომ გადამწყვეტი იერიში მიიტანოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ინტერეს მოკლებული არ იქნება თვით ნ. ჟორდანიას აზრების მოყვანა ამ საკითხზე.

ის ამბობდა:

> საჭიროა შეიქმნათ ადგილებზე საოლქო ხელისუფლება, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ დამფუძნებელ კრების, ან ავტორიტეტული ცენტრალური ხელისუფლების შექმნამდე"-ო (იხ. მისი — „За два года" — 51—52).

არქიმედი იტყოდა: — მომეცით მე დასაყრდნობი წერტილი და გადავაბრუნებ მთელს ქვეყანასო. ალბათ, ჟორდანია ფიქრობდა, საქართველო გაიხადა ისეთ დასაყრდნობ წერტილათ, რომლითაც შემოაბრუნებდა რუსეთის ისტორიას

ბურჟუაზიულ რესპუბლიკისაკენ. დიდი პრეტენზია, რომელიც მომაკვდავს არ მოუვა თავში! ჩვენი „არქიმედი“ განაგრძობს:

> ცხადია რომ ჩვენ დღესაც ვრჩებით იმ საფუძველზე, რომელზეც წინეთაც ვიდექით—რუსეთთან ერთობის საფუძველზე. თუ პირველმა რევოლიუციამ გააერთიანა მთელი რუსეთი, ჯაიტაცა ის საერთო მიზნებით,—მეორე რევოლიუციამ დაქსაჭსა ქვეყანა და მოსახლეობის ერთი ნაწილი აამხედრა მეორეს წინააღმდეგ. (გვ. 55).

ბურჟუაზიული რევოლიუციის პროგრამამ გააერთიანა „ნაცია“, რა უყოთ თუ პროლეტარიატი გამონაკლისს შეადგენდა ამ „ერთიან ნაციიდან“,—სამაგიეროთ ჟორდანიები იყვნენ ამ „პატივცემული“ ნაციის იდეოლოგები.

ჟორდანიას ეს სიტყვები საბრალმდებლო აქტია მთელი მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველო გამოიყენა რევოლიუციის წინააღმდეგ, ბნელი საქმეების საკეთებლათ. ჩვენ არ განვაგრძობთ ამონაწერების მოყვანას—საკმარისია მოყვანილიც იმის დასამტკიცებლათ, რომ ოქტომბრის რევოლიუციიდან გარიყული ბურჟუაზიული რესპუბლიკის იდეოლოგებისათვის საქართველო იყო მათი სანატრელი ბურჟუაზიული რეჟიმის დამკვიდრების საშუალება, გზა და ხიდი. ჟორდანია არ ძალავდა იმას, რომ ის ქმნიდა ისეთ ხელისუფლებას, „რომელიც მიგვიყვანს დამფუძნებელ კრებამდე ან ავტორიტეტულ ცენტრალურ ხელისუფლებამდე“.

„საქართველოს დამოუკიდებლობა“,—დამოუკიდებლობა ოქტომბრის რევოლიუციისაგან, არსებითად კი მისი დასავლეთის იმპერიალისტების გემრიელ ლუკმად გადაქცევა—იყო არა ქართული ხალხის მოთხოვნილება, არა „საქართველოს გზა“, არამედ ავანტიურა რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ, ავანტიურა ნაკარნახევი კლასობრივი ბრძოლის მოტივებით—მთელი რუსეთის ძველ ტერიტორიაზე.

ამგვარად შეიქმნა არა „დამოუკიდებელი საქართველო“, არამედ კონტრ-რევოლიუციის პლაცდარმი, დასაყრდენი, „არქიმედის წერტილი“, რომელმაც ვერაფერი ვერ გადაატრიალა. მაგრამ პლაცდარმი მაინც შეიქმნა. რა გააკეთა ამ პლაცდარმმა? რა სამარცხვინო ლახვარი ჩასცა მან რევოლიუციას, როგორ ემსახურებოდა ის იმპერიალიზმს და თეთრგვარდიელებს, რა მისცა მან მშრომელებს—ამაზე ჩვენ არას ვიტყვით—ეს იქნებოდა საქართველოს მთელი $3^1/_2$ წლის ისტორიის მოთხრობა. ეს ისტორია იყო ისტორია ღალატის, გამცემლობის, ავანტიურის, იმპერიალიზმის ლაქიობის, მუშებისა და გლეხების სისხლის ღვრის. ეს იყო ისტორიის შავი ფურცელი. კითხვა ისმება: როგორ ჩაიწერა ეს შავი ფურცელი ისტორიაში? აი აქ ვეხებით ჩვენი წერილის მთავარ საკითხს. და უნდა გავიხსენოთ ენგელსის სიტყვები: ისტორიულ მოვლენებს არ ესაყვედურებიან, არამედ ცდილობენ მის გაგებას. ჩვენ უნდა გავიგოთ, როგორ მოხდა, რომ საქართველო გადააქციეს კონტრ-რევოლიუციის ყავარჯენათ, როგორ მოხდა, რომ მენშევიკების სახელმწიფოებრივი გაბატონება შესაძლებელი გახდა $3^1/_2$ წლით ადრე, ვიდრე კომ. პარტია მივიდოდა ძალაუფლების სათავეში?

ამ მოვლენას, ცხადია, ღრმა მიზეზები ქონდა.

მენშევიზმის მისვლა ძალაუფლების სათავეში 1917 წელში, მის მიერ საქართველოს ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის მოედნათ გამოყენება აიხსნება ერთის მხრივ **სოციალური მიზეზებით, მებრძოლ ძალთა გაწყობილებით ამ ხანებში** და, მეორეს მხრივ **ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს ზოგიერთი თავისებურებებით**, რომელიც შეიქმნა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

ასევე მენშევიზმის დამხობა და პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება საქართველოს ტერიტორიაზე 1921 წელს აიხსნება სოციალური მიზეზებით,

მებრძოლ ძალთა განწყობილებით და კერძო თავისებურებებით, რომელიც თან ახლდა 25 თებერვლის აქტს და რომელზეაც ზევით უკვე ვილაპარაკეთ. ერთის შეხედვით, ეს შეიძლება მოეჩვენოთ პარადოქსალურათ: განა სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურა ასე მოკლე დროში იცვლება და ასე რადიკალურათ, რომ ჯერ შესაძლებელს ხდის ბურჟუაზიულ დიქტატურას და $3^1/_2$ წლის შემდეგ კი გზას უწალდავს პროლეტარიატის სოციალისტურ დიქტატურას? მენშევიზმისათვის, რომელიც კლასებს თავისი მორიგეობითი დიქტატურისათვის აძლევს არა ნაკლებ საუკუნოებისას—ეს გაუგებარია, მაგრამ მარქსიზმისათვის ამ ფაქტში უჩვეულო და აუხსნელი არაფერია. დიახ, რევოლიუციის, სწრაფი განვითარების პერიოდში დაუდგომლათ, პირდაპირ კატასტროფიულად იცვლება მებრძოლ ძალთა ურთიერთობა და იგი იძლევა მრავალ შესაძლებლობას. აქ არაფერია გაუგებარი.

რევოლიუციის ხანაში ძლიერ სწრაფად მწიფდება მოვლენები, ის რაც ცხოველმყოფელი იყო გუშინ,—ჭკნება დღეს, ზედმეტი და ადვილათ მოსაკვეთი გახდება ხვალ. ეს არ არის ნელი, „მშვიდობიანი“ განვითარების ხანა, რომ კლასებს თავისი ძალების ამოსაწურავათ და გასაშლელათ, მოსამზადებლად და ილიუზიების დასაძლევათ ათეული წლების გამოცდილების სკოლა დასჭირდეს. რევოლიუციაში ამისათვის საკმარისია თვეები და დიდი-დიდი რამოდენიმე წელი.

დაუბრუნდეთ ისევ საქართველოს მენშევიზმის გამარჯვების მიზეზებს 1917—18 წლებში. მთავარი მიზეზი ამისა იყო **აქაური წვრილ-ბურჟუაზიული მოძრაობისა და პარტიების სიცხოველე, სიძლიერე, ვიდრე რუსეთში და პროლეტარულ მოძრაობისა და მისი პარტიის შედარებითი სისუსტე ვიდრე რუსეთში.** ამ მოვლენას ეკონომიური ჩამორჩენილობა უდევს საფუძვლად.

რევოლიუციის გამალებულ წინსვლას ხელს უშლის მრავალი „ტორმოზი“, რის გამოც ხშირად ის ვერ აღწევს თავის კულმინაციურ პუნქტს. არ ყოფნის მატერიალური და სუბიექტიური საფუძველი ამისათვის. რევოლიუციამ ამიერკავკასიაში გადადგა მაქსიმალური ნაბიჯები წინ, მაგრამ ვერ მიაღწია კულმინაციურ პუნქტს. ბოლშევიზმი, რომელიც სწრაფი ნაბიჯით იზრდებოდა 1917 წლის ბოლოს, საგრძნობ გამარჯვებებს აღწევს, თვალსაჩინო ადგილს იპყრობს მუშათა დეპუტატების საბჭოში, არმიაში, მაგრამ ვერ იპყრობს მათ სავსებით. ამან საშუალება მისცა კონტრ-რევოლიუციას თავის სასარგებლოთ გადაეხარა ძალთა განწყობილება, რასაც ხელი შეუწყო ფრონტის დემობილიზაციამ და დაკავებული პოზიციებიდანაც გაეგდევნა ბოლშევიზმი. აუცილებელი იყო დაცდა და ძალთა უფრო სასარგებლო ურთიერთობის შექმნამდე ძალაუფლების აღების გადადება. ბოლშევიზმს არ ეყო ძალები გადაებიჯებინა წვრილ-ბურჟუაზიული ტალღისათვის, მას უნდა დაეცადა ამ ფენების რადიკალური დიფერენციაციის პროცესისათვის, რომელიც დააახლოვებდა გადამწყვეტი ბრძოლისა და გამარჯვების მომენტს.

მენშევიკური პარტია იყო პარტია წვრილი ბურჟუაზიისა. ქალაქის წვრილმა ბურჟუაზიამ, გლეხობის შეძლებულმა ფენებმა, მესაკუთრემ, უფორმო „დემოკრატიამ“ შექმნა ეს „აპარატი“, ეს ისტორიული იარაღი, რომ მისი საშუალებით მისულიყო ძალაუფლებამდე და მივიდა კიდეც, თუმცა უშედეგოთ.

ჯერ კიდევ 1905 წელში სწერდა მენშევიკური პარტიის ლიდერი, ნოე ჟორდანია:

> წვრილ-ბურჟუაზიული კლასები თავის პარტიებში ვერ გამაგრდენ, სამაგიეროთ ისინი გამაგრდენ ჩვენს პარტიაში. ამით წვრილ-ბურჟუაზიულმა ახროვნებამ შემოხეთქა სოც.-დემოკრატიის კედლებში და ემუქრება მას შიგნიდან. ისინი პარტიაში შემოდიან როგორც დემოკრატები... ისინი კი არ არიან ჩვენი იარაღი,

ისინი კი არ ითვისებენ ჩვენს პროგრამას, არამედ ჩვენ ვართ მათი იარაღი და ვიბრძვით მათ სასარგებლო ბურჟუაზიული თავისუფლების, დემოკრატიისათვის... მათთვის ჩვენი წითელი დროშა ნიშნავს არა კერძო საკუთრების ფეტიშობასა, არამედ კერძო საკუთრების გადიდებას და ამიტომ ასე აღტაცებით აფრიალებენ მას წარა მარა*).

ამ პარტიაში თავს აფარებდა მთელი წვრილი ბურჟუაზია, თავისი გულის ჯავრით იგი მიმართული იყო მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, ხოლო სიმპატიებით, თანაგრძობით, ინტერესებით კაპიტალიზმის გაძლიერებისაკენ. ომმა საბოლოოთ გადააქცია ეს პარტია წვრილი ბურჟუაზიის პარტიათ. ომმა თავის ფერხულში ჩაითრია გლეხთა მასები, გამოიწვია ძისი აქტივობის ზრდა და რადგან წვრილ-ბურჟუაზიული პარტია, მისი იდეოლოგიური მეთაური—მენშევიზმი იყო—საბოლოო ანგარიშში კიდევ უფრო გაამაგრა ის. ომის მიერ შექმნილი წვრილ-ბურჟუაზიული აქტივობა ნიშანი იყო მენშევიზმის განმტკიცების. მენშევიკური პარტია ომის დროს თავისი „ობორონცული" ტაქტიკის გამო, ლეგალურათ მოქმედებდა და ფართო კავშირი ქონდა „მასასთან". ბოლშევიზმი განიცდიდა სასტიკ რეპრესიებს, მისი ჩქარი ზრდა დაიწყო მხოლოდ რევოლიუციის პროცესში.

საქართველოში, სადაც თავიდანვე არ მოიპოვებოდა მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები და სამრეწველო პროლეტარიატი, ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა მენშევიკური პარტიის გაძლიერებისათვის. მენშევიკური ინტელიგენცია იმთავითვე აღმოჩნდა წვრილი ბურჟუაზიის სათავეში. მას გავლენა ქონდა მუშათა კლასშიაც. ეს ადვილი გასაგებია: ჩვენი პროლეტარიატი არ იყო სამრეწველო ქვაბში გადახარშული, იმყოფებოდა წვრილ-ბურჟუაზიულ გარემოცვაში, მტკიცეთ იყო დაკავშირებული სოფელთან, ნაწილობრივ წვრილი მესაკუთრეც იყო. არ შეიძლებოდა, რომ იგი წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიის და იდეოლოგიის გავლენის ქვეშ არ ყოფილიყო. მით უფრო დიდი იყო ეს „სიმპატიები" წვრილი ბურჟუაზიისადმი იმიტომ, რომ დემოკრატიულ მოძრაობაში ის დიდ როლს თამაშობდა. მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის გამოცდილება, განსაკუთრებით 1905 წ. გამოცდილება ნათლად ღაღადებდა, რომ მუშათა კლასს არ შეეძლო თავისი რევოლიუციონური ამოცანების გადაჭრა, გამარჯვება გლეხობასთან კავშირის გარეშე.

საქართველოს მცირერიცხოვან მუშათა კლასს თავისი მდგომარეობის და სისუსტის გამო არ შეეძლო ამ ვეებერთელა წვრილ-ბურჟუაზიული მასისაგან გამოცალკევება, მისგან დამოუკიდებლათ მუშაობა. არ შეეძლო ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოწყვეტილი შეიქნა რუსეთის პროლეტარიატისაგან, მისი დახმარებისა და ხელმძღვანელობისაგან. ამ ხანებში წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატია კი აღმოჩნდა ნაწილობრივ მთლიანი, მასში ვერ მოხდა სწრაფი დიფერენციაცია, მას ერთბაშათ შეეშინდა **კერძო საკუთრების დაკარგვის**. მენშევიკურ პარტიაში კი ის მივიდა ჟორდანიას სიტყვებით—სულ სხვა მიზნით—კერძო საკუთრების გადიდებისათვის. შიში კერძო საკუთრების დაკარგვის, რწმენა გამოსავალის მონახვის კერძო საკუთრების, მაშასადამე, ბურჟუაზიასთან კავშირის გზაზე,—აი რამ დარაზმა მენშევიზმის გარშემო წვრილ-ბურჟუაზიული მასები. როგორც ვთქვით, საჭირო იყო გაკვეთილები, დრო—ილიუზიების აღმოსაფხვრელათ, მასში დასარწმუნებლათ, რომ გლეხობის ფართო მასების ინტერესები მჭიდროთაა დაკავშირებული პროლეტარიატის ინტერესებთან, რომ მისი გამოსავალი არის პროლეტარიატთან მჭიდროთ შეკავშირებაში. საჭირო იყო იმაში დარწმუნება, რომ მენშევიზმი გადაიხარა კაპიტალიზმისკენ, გადაგვარებულ თავადაზნაურობისაკენ. ეს დააცილებდა მენშევიზმისაგან გლეხობას და გახდიდა მას პროლეტარიატის მოკავშირეთ.

*) ნ. ჟორდანია. დემოკრატ. და სოც. დემოკრ.

მაგრამ წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები ძლიერი იყო რუსეთშიაც. განსხვავება იმაშია, რომ იქ სწრაფად მოხდა მისი დიფერენციაცია. წვრილ-ბურჟუაზიულმა პარტიებმა ჩქარა ამოსწურეს „თავისი თავი" და ბურჟუაზიამ ვერ შესძლო თავისი გავლენის შენარჩუნება გლეხობაზე, ეს ხელმძღვანელობა მას ხელიდან გამოსტაცა ბოლშევიკურმა პარტიამ. ბოლშევიზმი სწრაფი ნაბიჯით იზრდებოდა რევოლიუციის პროცესში, მისი ზრდის ტემპი შეეფარდებოდა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების გაკოტრების ტემპს. ბოლშევიკურმა პარტიამ შესძლო ღარიბი გლეხობის თავის გარშემო დარაზმვა და გადამწყვეტ ბრძოლაში უზრუნველყო მისი დახმარება.

ჩვენში კი ბურჟუაზიამ შესძლო გლეხობაზე და ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიულ მასაზე თავისი გავლენის შენარჩუნება, ამას ხელს უწყობდა მენშევიზმის წარსული, ის მდგომარეობა, რომ პრაქტიკულათ მასები დარწმუნებული არ იყვენ მის გაკოტრებაში და, მაშასადამე, შეპყრობილი იყვენ ილიუზიებით მის მიმართ.

ბოლშევიზმი სუსტი იყო საქართველოში, რადგან მას აქ არ ქონდა ინდუსტრიალური ბაზა—პროლეტარიატი. მან დიდ შედეგებს მიაღწია მასების მიმხრობაში, მაგრამ არა სრულს, რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, საჭირო იყო მასების დარწმუნება მენშევიზმის გაკოტრებაში. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მესვეურებმა შესძლეს წვრილი ბურჟუაზიის მოკავშირეთ გახდომა. კონტინგენტი იმ მასის, რომელზედაც ვრცელდებოდა მენშევიზმის გავლენა, სრულიად არ იყო დაინტერესებული კერძო საკუთრების მოსპობის, იგი თანაუგრძნობდა კაპიტალიზმის განვითარებას ჩვენში და, ცხადია, ეშინოდა ოქტომბრის რევოლიუციის, რომელმაც საფუძველი დაუნგრია კაპიტალისტურ საკუთრებაზე აშენებულ საზოგადოებას. აი რას ამბობდა წვრილი ბურჟუაზიის შესახებ თვით ჟორდანია:

> ეს კლასი პოლიტიკურად ემხრობა რევოლიუციონურ პარტიებს, ხოლო სოციალურათ რადგან ჯერ კიდევ არ განუცდია მსხვილი ბურჟუაზიის განმანადგურებელი გავლენა დაინტერესებულია წარმოების და მსხვილი კაპიტალის განვითარებაში.

წვრილ-ბურჟუაზიულ აქტივობას ჩვენში ფრთები შეასხა ნაციონალურმა მოთხოვნილებებმა, რომელიც დიდი ძალით ამოვარდა თებერვლის რევოლიუციის შემდეგ. ის იყო კიდევ დამატებითი სტიმული, რომელიც ზრდიდა წვრილ-ბურჟუაზიულ აქტივობას; მენშევიზმი მოექცა ამ აქტივობის სათავეში. მასები ვერ დარწმუნდენ ისე ჩქარა იმაში, რომ მენშევიკების პოზიცია ნაციონალურ საკითხში იყო საქართველოს იმპერიალისტთა კოლონიათ გადაქცევის პროგრამა. პირიქით, ოქტომბრის რევოლიუციისგან ჩამოშორება ახსნილი იქნა, როგორც ნაციონალური მჩაგვრელი ერის ბატონობის თავიდან მოშორება. ეს იყო ისტორიული დაბნევა, რაშიაც დიდი წილი უდევს მენშევიზმს. არ მოხდა სწრაფად იმის შეგნება, რომ ოქტომბრის რევოლიუცია აძლევდა პატარა ერებს ნამდვილ თავისუფლებასა და კულტურული აყვავების შესაძლებლობას. კლასობრივი ინსტიქტით გამსჭვალული წვრილი ბურჟუაზია ვერ ამჩნევდა, რომ ოქტომბრის რევოლიუციისაგან დამოუკიდებლობის მეორე დღეს მას მოელოდა ევროპის იმპერიალიზმის საწველ ფურად გადაქცევა. ამის შესაგნებათ დრო და გამოცდილება იყო საჭირო. ამ გამოცდილების უქონლობამ კონკრეტიულათ ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ მიუხედავათ ბოლშევიზმის გავლენის ზრდისა, მისი აქტივობა დასწონა წვრილ-ბურჟუაზიულმა აქტივობამ, მისმა ენერგიამ, რომელიც ათეული წლების წარსულმა მოამზადა, ხოლო ომმა და რევოლიუციამ გააორკეცა. **ეს იყო მზადება იმისთვის, რომ წვრილ-ბურჟუაზიას დროებით**

**დაეჩრდილა პროლეტარიატი, მენშევიკურ პარტიას ხელთ ეგდო ძალაუფლება და დაბრკოლება შეექმნა პროლეტარიატის გამარჯვებისთვის.**

ის ისტორიული როლი, რომლისთვისაც ემზადებოდა ბურჟუაზიული მასა მას უნდა ეთამაშნა და ითამაშა კიდეც: მენშევიზმი მივიდა ძალაუფლების სათავეში ბოლშევიზმზე ადრე. მაშინ, როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა სულ რვა თვის განმავლობაში (თებერვლიდან—ოქტომბრამდე) ბოლო მოუღო წვრილ-ბურჟუაზიულ მოძრაობას, ამოსწურნა მისგან საუკეთესო წვენი და შეიერთა სოციალისტური რევოლიუციისათვის ბრძოლაში, კიდეც ლირსეულათ გამოიყენა ის საქართველოში დასძლია წვრილ-ბურჟუაზიულმა აქტივობამ, იმ შედარებითი სიძლიერის გამო, რომელზედაც ზემოთ გექონდა ლაპარაკი და ეს მისი სიძლიერე გამოხატა მენშევიკური პარტიის სახელმწიფოებრივ გაბატონებაში, რომელიც, ნაცვლათ რუსეთის რვა თვისა $3^1/_2$ წლის განმავლობაში გაგრძელდა.

ბოლშევიკური პარტიის სისუსტე—გამოკრთომა იყო პროლეტარიატის სისუსტის, მენშევიზმის ილიუზიების ცხოველმყოფლობის მასაში (პრაქტიკული შემოწმების დაგვიანების გამო), წვრილ-ბურჟუაზიული გარემოცვის და სხვა.

აი ძირითადი მიზეზი ქართული მენშევიზმის სახელმწიფოებრივი ბატონობის სიხანგრძლივისა. ამ ძირითადი მიზეზებით საქმე არ ამოიწურება. იყო დამატებით მრავალი, დიდი პოლიტიკური წონის თავისებურებანი, რომელმაც გაახანგრძლივა მენშევიზმის ბატონობის დღეები.

უმთავრესი ამათგანი იყო: 1. ქართველი მუშების და გლეხების მოწყვეტა რუსეთის მშრომელთაგან და 2 ადგილობრივი კონტრ-რევოლიუციის მიერ გარეშე სამხედრო ძალის გამოყენება თავისი პოლიტიკური სიმტკიცის შესანარჩუნებლად.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კონტრ-რევოლიუციონურმა ვანდეამ შესაძლებელი შექმნა საქართველოს მოწყვეტა რევოლიუციის ცენტრისაგან. რომ ეს მიჯნა არ ყოფილიყო, რომელმაც კრიტიკული მომენტი შეუქმნა რევოლიუციას ცენტრალურ გუბერნიებში, საბჭოთა რუსეთის სიახლოვე უზრუნველყოფდა საბჭოების ადრე თუ გვიან გამარჯვებას საქართველოში.

მეორე ფაქტორი, რასაც ეყრდნობოდა მენშევიკური კონტრ-რევოლიუცია, იყო გარეშე ძალები, ჯერ გერმანეთის და შემდეგ ინგლისის იმპერიალისტების დაქირავებულ ჯარების სახით. ეს ძალები მათ გამოიყენეს „ანარქიასთან", ე. ი. ბოლშევიზმთან საბრძოლველათ. ამ საკითხს მკითხველი გაეცნობა დოკუმენტებსა და სხვა შრომებში, ჩვენ დავკმაყოფილდებით აქ იმით, რომ მოვიყვანთ ქართველ მენშევიკების „Neue Zeit"-ის—„ერთობა"-ს აზრს იმის შესახებ, თუ რა მიზანი ქონდა იმპერიალისტების საოკუპაციო ჯარის შემოსვლას საქართველოში:

> როგორც მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ჩვენში მეფობდა ანარქია, ისე ახლაც ანარქია გვახრჩობს ჩვენ. რასაც გუშინ აკეთებდენ თავადები, ეხლა აქ იმას აკეთებენ ე. წ. ბოლშევიკები, რომლებიც ხან აქ, ხან იქ გვიწყობენ ჩვენ აჯანყებებს. როგორც ასი წლის წინეთ შეურიგდა ჩვენი ხალხი რუსეთის ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში, ისე ადვილათ შეურიგდება ის ეხლა გარეშე ძალის გავლენას.

ამაზე შორს ვერ წავა წვრილ-ბურჟუაზიული აღვირახსნილობა. მუშათა კლასისა და გლეხობის წინააღმდეგ ის მზათაა მიმართოს გარეშე ძალას, მაგრამ არა უბრალო გარეშე ძალას, არამედ იმპერიალისტურ ყასაბების დაქირავებულ ძალებს.

ასეთია ის დამატებითი ძალები, რომლებმაც ძალაუფლებამდე მიიყვანა მენშევიზმი. ეს თავისებურებები ხელის შემწყობი იყო საქართველოს ოქტომბრის დაგვიანებისათვის.

ამგვარად. ისტორიულმა სინამდვილემ თავისი გაიტანა. წვრილ-ბურჟუაზიულმა სტიქიამ ძალაუფლების სათავეში წამოასკუპა მენშევიკური პარტია. შესძლო თუ არა მან ამ კლასების პოლიტიკის წარმოება, იმ პოზიციებზე გაჩერება, რომელსაც მოითხოვდა მისგან ის ძალები, რომელსაც თავი ექვემდებარებოდა? ჩვენ ზევით ვთქვით, რომ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიას რევოლიუციის განვითარების პერიოდში არ შეუძლია თავის პოზიციებზე შეჩერება, უვნებლათ თავისი ხაზის მისგან გამოტანა.

რევოლიუცია ეს ბრძოლის არენაა. ამ ბრძოლიდან ყველაზე უფრო დაზიანებული გამოდის სუსტი, მერყევი, საიმედო დასაყრდენს მოკლებული. ასეთია წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც არა აქვს მტკიცე დასაყრდენი წარმოებაში და, საერთოდ, მეურნეობაში. ეს ნათელი გახდება, როდესაც გავარკვევთ სიკითხს იმის შესახებ, თუ როგორ სახელმწიფოს აშენებდენ მენშევიკები.

ისინი აშენებდენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ამ პროგრამით გამოვიდენ ისინი რუსეთში, ამ პროგრამის განხორციელებას შეუდგენ საქართველოში.

საქართველოში კი არ არსებობდა მსხვილი ბურჟუაზია და მისი პარტია, რომელიც იკისრებდა სახელმწიფო ძალაუფლების ხელში აღებას. საჭირო იყო წვრილ-ბურჟუაზიული პარტია— ბურჟუაზიული ტენდენციებით, რომელიც გაამაგრებდა ბურჟუაზიულ დემოკრატიას, გააღონიერებდა მას ეკონომიურათ,—წამოსწევდა და მოამზადებდა ნამდვილ ბურჟუაზიულ პარტიას.

მენშევიკური პარტია წარმოადგენდა სწორედ იმ ცოტას, საიდანაც უნდა გამოსულიყო ბურჟუაზიული პარტია. ცხადია ამ დროს მას ჩამოსცილდებოდა გლეხობის მშრომელი ნაწილი და მთელი მუშათა კლასი.

მენშევიზმის ბურჟუაზიულ იდეოლოგიათ გადაგვარების პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ ომის დროს, როდესაც ის ყელამდე ჩაეფლო სოციალ-შოვინიზმის წუმპეში. რევოლიუციის დროს კი მან სავსებით ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის ბანაკში ამოყო თავი, მას არ შეეძლო შუა გზაზე გაჩერება. მენშევიზმის ლიდერი ამბობდა:

> ეჭვი არ არის, რომ ყოველგვარი სახელმწიფო ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში ასე თუ ისე ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება. ანას ვერ ასცდება საქართველოს სახელმწიფოც. ამის თავიდან აცილება წმინდათ უტოპიაა და ჩვენ მასზე სრულებით არ ვფიქრობთ. (იხ. ჟორდანიას — „За два года)".

ჟორდანია გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ საქართველოში არ იყო, მისი აზრით, მომზადებული „სოციალიზმის ნიადაგი". ჯერ ქვეყანა გახადეს კონტრ-რევოლიუციის და იმპერიალიზმის საჯიჯგნ საგნათ, მოჭკვეთეს ის გაძარჯვებულ პროლეტარიატის ქვეყანას და შემდეგ გამოაცხადეს: „სოციალიზმისთვის ნიადაგი არ არისო".

ჭეშმარიტათ, იმპერიალისტების ლუკმათ ქცეულ საქართველოში „სოციალიზმის ნიადაგი" არ იყო, ჟორდანიამ და მისმა პარტიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ნიადაგი გამოსცლოდა მას. პატარა, მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნისთვის, სოციალიზმის ნიადაგი იყო და არის გამარჯვებული სამრეწველო ქვეყნის პროლეტარიატი, საერთაშორისო პროლეტარიატი. ეს არის „სოციალიზმის ნიადაგი", იმპერიალიზმი კი ვერ შექმნიდა ამ „ნიადაგს".

ჟორდანია „შესანიშნავათ" ათავსებს „თავის სოციალისტურ შეგნებას ბურჟუაზიული დაწესებულებების შექმნის ამოცანასთან". რატომ არ შეიძლებოდა, მისი აზრით, რომ დემოკრატიული პარტია (რომელსაც ბურჟუაზიის ლაქიობაში ამოხდა სული) დაპატრონებოდა სახელმწიფოს და ეშენებინა იქ კაპიტალიზმი—დასავლეთის იმპერიალისტების კარნახით და მისი „უხვი დახმარებით"? ცხადია, აქ, „ლოლიკა" იყო, მაგრამ „სოციალისტურ შეგნებაზე" ლაყბობა საჭირო იყო მხოლოთ მუშებისა და გლეხების მოსატყუებლათ. მაგრამ შეუძლებელია მათი

მოტყუილება, შეიძლება მათი თვითგამორკვევის პროცესის შებორკვა, მაგრამ არა მოტყუილება. კლასობრივი ინტერესები მაინც თავისას ჯერ-ტენ.

თვით კაუცკი, რომელიც ესტუმრა ამ სახელმწიფოს, „რომლის მსგავსი წარსულში არ ყოფილა“ (კაუცკის სიტყვებია) გუნდრუკს უკმევდა თავის სამწყოსს და შესათავსებლათ სცნობდა „სოციალისტურ შეგნებასთან“ კაპიტალის წინაშე მუცლით ხოხვას.

თავის ყვითელ ბროშურაში: **„სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“** ის სწერდა:

> საქართველოს, როგორც მსოფლიო ომის წყალობით დაქვეითებულ ქვეყანას, შეუძლია ამის მიღწევა (მსოფლიო ომის ზიანისაგან განკურნვა) მხოლოდ იმ სახელმწიფოთა დახმარებით, რომელთათვისაც მსოფლიო ომს ეკონომიურად დიდი ზიანი არ მიუყენებია (გვ. 23).

კაპიტალის „დახმარება“ საჭიროა, ამიტომ კაუცკი ურჩევს თავის პროვინციალურ მოწაფეებს—„საჭიროა შეეგეგუოთ მას“-ო. „შეეგეგუოთ“ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს!

> სანამ ქვეყანას არ ძალუძს სავსებით დააღწიოს თავი კაპიტალს (კაუცკი რომელიც უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში თავს აღწევს სოციალიზმის ტვირთს,—ძალიან მძიმე აღმოჩნდა მისი ძალღონისათვის ენგელ ის მიერ დატოვილი ტვირთი, ეს კაუცკი ლაყბობს კაპიტალიზმისაგან თავის დაღწევის შესახებ, რომელზეც ის არასდროს არ ფიქრობდა გ. ს.), და ზოგიერთი მიზნებისათვის საჭიროებს მის დახმარებას, მაგრამ ის უნდა ერიდოს ყოველთვის მას, რაც აფრთხობს კაპიტალს. ასეთ ქვეყანაში მთავრობამ, როცა ის კაპიტალისტურ წარმოებისსოციალიზაციას ახდენს, უნდა უარყოს კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ი ს პრინციპი და განაბორციელოს ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ი ს ა და გ ა მ ო ს ყ ი დ ვ ი ს პრინციპი (გვ. 24).

ასე ასწავლიდა კაუცკი ქართველ მენშევიკებს. მას დაავიწყდა, რომ ქართველი მენშევიკები ამ ბურჟუაზიული ანაბანის სწავლას **უკვე** აღარ საჭიროებდენ. არ დასჭირდათ მათ კაუცკის აკადემიის ხელმეორეთ გავლა. კარგათ განსწავლულები იყვნენ ჯერ კიდევ... სტრუვეს აკადემიაში.

ამგვარათ, ძირითად საკითხში—ასეთი კია საკითხი ხელისუფლების ხასიათის შესახებ ყოველგვარ სახელმწიფოში—მენშევიკები—გამოდიან ბურჟუაზიის იდეოლოგებათ, მათი ინტერესებისათვის მებრძოლათ, მათ სახელმწიფოს მესვეურებათ. მაგრამ არის კიდევ სხვა ფაქტები, რომელიც ლაპარაკობს მენშევიზმის ბურჟუაზიულ გადაგვარების შესახებ, იმის შესახებ, რომ თავისი სოციალური ბაზიდან, წვრილი ბურჟუაზიიდან მათ გადაბარგება მოახდინეს მოზარდი ბურჟუაზიის ინტერესებისაკენ. მოვიყვანოთ რამოდენიმე მათგანი.

**პირველია** საქართველოს პროლეტარულ რუსეთისაგან ჩამოცილების ფაქტი. ძირითადათ ეს შეადგენდა ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელიც ყოველთვის ცდილობს ჩამოსცილდეს პროლეტარულ რევოლიუციის ქვეყანას და მის წინააღმდეგ დადგეს. ბურჟუაზია ოქტომბრის რევოლიუციის მტერია, რადგან ამ უკანასკნელმა განახორციელა პროლეტარიატის ისტორიული ლოზუნგი: „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“—საინტერესოა თვით ჟორდანიას აზრი:

> ვინაიდან ბურჟუაზია მიილტვის ხელში ჩაიგდოს მთავრობა, თვით გახდეს მმართველი კლასი, ამიტომ მას ურჩევნია თავისი ნაციონალური ფარგალი, რა გინდ პატარა იყოს ის, ოღონდ მის საზღვრებში თვით იყოს გაბატონებული (იხ. მისი ნაც. კითხვა ამიერ კავკასიაში. გვ. 15).

აქედან ცხადია, რომ „დამოუკიდებელი საქართველო“ იყო პირველყოვლისა ბურჟუაზიის ლოზუნგი, მას ურჩევნია „თავისი ნაციონალური ფარგალი“—ოღონდ „თვით იყოს შიგ გაბატონებული“.

**მეორე**—მენშევიზმის ბურჟუაზიულ გადაგვარებას ამტკიცებს იმპერიალიზმთან დაახლოების, გარეშე ქვეყნის ორიენტაციის ძებნის და მიღების ფაქტი. ვისი ინტერესები იყო ამაში ჩაქსოვილი, ვინ მოითხოვდა ამას, მუშა და

გლეხი? არა, ეს იყო ლოზუნგი ქართველი მოზარდი ბურჟუაზიის და მისი მიმ-დევნო ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიული ფენების. მას შემდეგ, რაც მათ გაუცრუვ-დათ იმედი ბურჟუაზიულ წყობილების რესტავრაციისა რუსეთის ფართოებში, ეს ფენები მიდიან დასავლეთის იმპერიალისტებთან. საქ. სოც. დემოკრატია გამოხატავდა ბურჟუაზიის სწორედ ამ მისწრაფებას, როცა ეფიცებოდა მას ერთგულებაში, ძიგძიგობდა მისი ძლიერების წინაშე და ოცნებობდა მის მოწ-ყალე თვალებით გადმოხედვაზე. ჟორდანიას და წერეთლების ენით აქ ლაპარა-კობდა ქართველი მოზარდი ბურჟუაზია, რომელსაც უნდოდა გარეშე დახმარე-ბა თავის გასაღონიერებლათ—საქართველოს მშრომელი ხალხის დამონების ხარჯზე.

**მესამე**—სამნახევარი წლის განმავლობაში საქართველო იქცა ნაციონალურ ქიშპობის, მტრობის და სისხლის ღვრის მოედნათ. ქართველი მენშევიკები აგ-რესიულ პოლიტიკას აწარმოებდენ სომხების, ოსების, აჭარლების, რუსების, აფხაზების მიმართ. ვინ ლაპარაკობდა აქ, ვისი ინტერესი იყო ეს? განა ქართ-ველი მუშებისა და გლეხების, რომლებმაც ათეული წლების ინტერნაციონალიზ-მის სკოლა განვლეს ცარიზმის ტერიტორიაზე დასახლებულ ხალხებთან ხელიხელ ჩაკიდებული—თვითმპყრობელობის წინააღმდეგ? არა—ეს მხეცური შოვინიზმი უნდოდა ბურჟუაზიას, იმპერიალიზმს და მენშევიზმიც მას სთესდა სიტყვით და საქმით. მოუსმინოთ თვითონ ჟორდანიას:

> ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს მსხვილის და საშუალოს ეკონომიური ინტერესები მოი-თხოვს ბაზარს, თავისუფალ აღებ-მიცემობას და ამ მხრივ ის ვერ კმაყოფილდება ვიწრო, კუთხური ფარგალით... ბაზრის გაფართოებას იგი ცდილობს მთავრობის ძალით, აგრესიული საგარეო პოლიტიკით (იხ. მისი „ნაც. კითხვა ამ.-კავკ.“ გვ. 15).

განა შეიძლება ოდნავი ეჭვის შეტანა მასში, რომ ის ნაციონალური ღვარ-ძლი და კაცის ჭამიობა, რაც სუფევდა ამ „ერთად ერთ სოციალისტურ ქვეყა-ნაში“ (კაუცკი) იყო სწორედ ბურჟუაზიის აგრესიული პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ის ატარებდა „მენშევიკური მთავრობის ძალით“?

როგორი იყო ბურჟუაზიულ სახელმწიფოს პერსპექტივა? მეტად შავბნელი. მას უნდა დაეწყო შლა, ღლეევა, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებ-და განმტიცებას.

ბურჟუაზიული დიქტატურის განმტკიცება შესაძლებელი გახდებოდა სა-ქართველოში, თუ იგი მონახავდა თავის სოციალურ ბაზას, მენშევიზმის საშუა-ლებით შესძლებდა გლეხობის თავის გავლენის ქვეშ მოქცევას, მუშათა კლასის დაცილებას რუსეთის პროლეტარიატისაგან და თუ საქართველოს გადააქცევდა **დასავლეთის იმპერიალიზმის** კოლონიათ.

უამისოთ ბურჟუაზიული „დემოკრატია“ ჩვენში განწირული იყო. მას არ გააჩნდა ცოტად თუ ბევრად საკმაო ძალა. საქართველოში ბურჟუაზია ის ის იყო იკიდებდა ფეხს და როდესაც მან თავის ხელში ჩაიგდო ისტორიის მიერ გაჭედილი ინსტრუმენტი მენშევიკურ პარტიის სახით—დაიწყო მისი გამოყენე-ბა მშრომელ მასებზე გავლენის მოსაპოვებლათ, მაგრამ საკმარისი იყო ბურჟუა-ზიის პირველი შეხება ამ მასებთან, რომ მათ ზურგი ექცია არა მარტო ბურ-ჟუაზიისათვის, არამედ იმ ისტორიული ინსტრუმენტისათვის—მენშევიკური პარ-ტიის სახით, რომელთანაც ათეული წლები იყო ის მჭიდროთ დაკავში-რებული.

ბურჟუაზიისათვის „გამოსავალი“ არსებობდა დასავლეთის იმპერიალიზმ-თან კავშირში. მაგრამ სწორედ ეს „გამოსავალი“ იყო საბედისწერო ბურჟუა-ზიული სახელმწიფოსათვის, სწორედ ეს თხრიდა მასსა და მშრომელთა შორის ამოუვსებ ხრამს, სწორედ ეს უმზადებდა მას აფეთქებას.

ამ „გამოსავალის“ ძებნაში განმტკიცდა საბჭოთა რუსეთი და საქართველოს მშრომელთა თვალი მას მიეპყრო. თავი იჩინა მრავალი-ფერადი—ფლებით განმტკიცებულმა სოლიდარობამ რუსეთის მშრომელთა ავანგარდისადმი, რომელიც ამ ჟამათ უკვე ვეებერთელა სახელმწიფოს ბატონ-პატრონი იყო. ქართველი მუშა და გლეხი ვერასოდეს ვერ შეურიგდებოდა დასავლეთის კოლონიათ გადაქცევას. მენშევიზმს კი სხვა გამოსავალი არ ქონდა. ბოლოს და ბოლოს რაიმე რეალურ „საძირკველზე“ უნდა დაესვენებია მას თავისი დემოკრატიული ლეში. ეს საძირკველი უნდა ყოფილიყო იმპერიალიზმი, თავის მხრივ ამ საძირკველს ქვეშ ქართველი მუშები და გლეხები სდებენ ამაფეთქებელ ყუმბარას, რომელმაც 1921 წელში ნაფლეთ-ნაფლეთად აქცია ეს „ნოეს კიდობანი“.

მენშევიზმი თავისი ბატონობის პერიოდში პირდაპირ წარსდგა მუშათა კლასის წინააღმდეგ. მან საბოლოოდ დაკარგა ყოველგვარი გავლენა მუშათა კლასში. მუშათა საკითხი ისე გადასჭრეს, როგორც წყდება ის ყოველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. ჟორდანია ამბობდა:

> საერთოდ ან მეფობს კაპიტალი და მუშა ექსპლოატაციას განიცდის, ან მეფობს მუშა და კაპიტალის ბატონობა არ არსებობს. მრეწველობის და მუშათა კლასის ინტერესების გაერთიანება უფლებრივ ფორმაში ძალიან ძნელია. (**„За два года.** გვ. 66).

და რაკი მათ სახელმწიფოში „კაპიტალი მეფობს“—ცხადია „მუშაც ექსპლოატაციას უნდა განიცდიდეს“. საქართველოს მუშათა კლასი მალე რწმუნდება და ერკვევა იმაში, რომ მენშევიზმი აშენებდა აქ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და, მაშასადამე, წარმოადგენდა მის კლასობრივ მტერს. განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ეს მაშინ, როდესაც მენშევიკების ეკონომიურმა პოლიტიკამ ქვეყანა სრულ „კრახამდე“ მიიყვანა. აქედან იწყება მუშათა კლასის სწრაფი გამემარცხენება, ბოლშევიზაცია. მთელ რიგ მუშათა კავშირებში უკვე 1920 წელს უმრავლესობას იმხრობენ ბოლშევიკები, მიუხედავათ გაცოფებულ რეპრესიებისა, მენშევიკური ხელისუფლების მხრივ. მუშათა კლასი სავსებით სცილდება მენშევიზმს და მისი მოწინავე ნაწილი დგება ბოლშევიზმის დროშის ქვეშ.

მენშევიზმმა ბურჟუაზიული გადაგვარების გამო დაკარგა მშრომელი გლეხობაც—ცნობილი „მიწის რეფორმის“ გატარებით. მენშევიკური, ე. ი. თავადაზნაურული მიწის რეფორმა—მთელი 100%-ით მიუღებელი იყო ღარიბი გლეხობისათვის. მაგრამ მენშევიკებს არ შეეძლოთ მიწის საკითხის თუნდაც დემოკრატიულად გადაჭრა. ქართველ თავად-აზნაურობას ფხიზელი დარაჯი ყავდა ფონ-კრესსის სახით და რადგან ეს უკანასკნელი იყო მენშევიზმის მოკავშირე, მისი დასაყრდენი—რამიშვილს არ შეეძლო არ შეესრულებია ამ ყოვლათ „უბიწო გვამის“ დირექტივები. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი აუცილებელი იყო, იმპერიალიზმთან უთანხმოების კი ისე ეშინოდათ ქართველ მენშევიკებს, როგორც ბავშს „ჭინკის“. ფონ-კრესსიც რომ არ ყოფილიყო მენშევიკებს ბურჟუაზიის აყვავების საკუთარი პოლიტიკა უკარნახებდა „სიფრთხილეს“ მიწის საკითხში.

ამ აგრარულმა „რეფორმამ“ გამოიწვია მშრომელი გლეხობის ჩამოცილება მენშევიზმის გავლენისაგან, მისი საბოლოო განთავისუფლება მენშევიზმის ყოველგვარი იმედების და ილიუზიებისაგან და დარაზმვა ბოლშევიზმის დროშის ქვეშ.

როგორც ვხედავთ, მენშევიზმი სახელმწიფოს სათავეში ყველა მიმართულებით განიცდის გადაგვარებას—წვრილი ბურჟუაზიიდან—ბურჟუაზიისაკენ, გლეხობიდან—თავადაზნაურობისაკენ, მუშებიდან—ბურჟუაზიისაკენ, რუსეთის რევოლიუციიდან—დასავლეთის იმპერიალიზმისაკენ. ამას იქით მენშევიზმს წასვლა

არ შეეძლო და აქ უნდა აღგვილიყო ის დედამიწის პირიდან. გლეხობა ჯერ ებრძვის მენშევიკების გაუბედაობას, მშიშრობას, თავადაზნაურობისაგან ჩადებარას, ცდილობს გაატარებიოს მას მისი მოთხოვნილებები, მაგრამ — ამბავი. ამის შემდეგ იწყება უფრო რადიკალური შეტევა. 1918—19 წლების გლეხთა აჯანყებები იყო საბოლოო აქტი მენშევიზმისაგან ჩამოცილებისა და ღარიბი გლეხობის ბოლშევიზმის გარშემო დარაზმვისა.

დასასრულს ჩვენ ვლებულობთ „დემოკრატიულ საქართველოს" ერთ უმთავრეს **მონაპოვარს**: მენშევიზმის სრულ გაკოტრებას მასების თვალში. ამ „მონაპოვარზე" არ შეიძლებოდა ბურჟუაზიული დიქტატურის განმტკიცება, მაგრამ ეს მონაპოვარი საჭირო იყო პროლეტარული დიქტატურის გასამარჯვებლად; უამისოთ ისე ნტკიცე არ იქნებოდა ჩვენი გამარჯვება. ბურჟუაზიული სახელმწიფო თანდათან დაილრღნა წინააღმდეგობებით, წვრილ-ბურჟუაზიული აქტივობა შენელდა, მრავალმა მომენტმა წვრილ-ბურჟუაზიული მოძრაობიდან დაკარგა სიცხოველე. მეორეს მხრივ გაიზარდა ბოლშევიზმის გავლენა, მან შესძლო მუშათა კლასის და გლეხობის მიმხრობა.

ის რაც ცხადი იყო მუშებისა და გლეხების მოწინავე ნაწილისათვის 1917 წელში—მენშევიზმის კონტრ-რევოლიუციონერობა, ცხადი გახდა მისი 3 წლის დიქტატურის შემდეგ ფართე მასებისათვისაც. საპნის ბუშტივით გაქრა მენშევიკური ილიუზიები, მომწიფდა მასები პარტიის ხელმძღვანელობით ძალაუფლებისათვის

ორი მიმართულებით მიმდინარეობდა სოციალურ-პოლიტიკური პროცესები მენშევიზმის ბატონობის სამნახევარი წლის განმავლობაში; წვრილ-ბურჟუაზიული მოძრაობა სუსტდებოდა, სახელმწიფოში წინააღმდეგობები ღრმავდებოდა და, მეორეს მხრივ, ახალ-ახალ საფეხურებს აღწევდა პროლეტარიატის პარტია, იკრებდა რა თავის გარშემო მასებს, ვითარდებოდა და ჯანსაღდებოდა. ეს ორგვარი პროცესი ისტორიული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ეს ორი—ზევით ამმავალი (პროლეტარული) და ქვევით ჩამავალი (წვრილ-ბურჟუაზიული) ნაკადები უნდა მისულიყო თავის ლოგიკურ დასკვნამდე. ეს ლოგიკური დასკვნა უნდა ყოფილიყო და იყო **საქართველოს ოქტომბერი.**

1920—21 წლებისათვის საქართველოში მენშევიზმის გავლენა დასუსტდა საოცრად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს გავლენა არ იყო სრულიად. გადამწყვეტი მომენტისათვის შესაძლებელია მზათ არ იყოს ყველა ძალები, შესაძლებელია მუშებისა და გლეხების ცალკე ფენებში დარჩეს ილიუზიები, სხვანაირათ არც შეიძლება რომ იყოს. მაგრამ ის მალე ამოსწურავს თავის არსებობას სწორედ მოწინავე ნაწილის გადამწყვეტი და შეუჩერებელი შეტევით. ილიუზიები გადაილახება რევოლიუციის გაბედული დაწყების, ზრდის, მომწიფების და დასრულების მომენტებში. ბუნებრივია, რომ ასეთი ილიუზიები იყო მენშევიზმის ხანგრძლივი ბატონობის გამო საქართველოშიაც, მაგრამ საჭირო იყო არა ცდა, თუ როდის აღმოიფხვრებოდა ის, არამედ ბრძოლის დაწყება, გაბედული შეტევა ძირმომპალ ხელისუფლებაზე.

ისე, როგორც მენშევიზმის გამარჯვებას თებერვალ-ოქტომბრის პერიოდში (1917 წ.) ხელი შეუწყო გარდა აღნიშნულ ღრმა მიზეზებისა უამრავმა თავისებურებებმა, ასევე 1921 წლის თებერვლის პერიოდში ბოლშევიზმის გამარჯვებას ხელი შეუწყო, გარდა ღრმა სოციალური მიზეზებისა, მებრძოლ ძალთა ურთიერთობისა. . რუსეთის მუშებისა და გლეხების დახმარების ფაქტმა, რომელზედაც გვქონდა ლაპარაკი წერილის დასაწყისში.

მენშევიზმის დიქტატურა უნდა დაცემულიყო ისტორიული რკინის აუცილებლობით. მისი დაღუპვისაგან გადარჩენა არაფერს არ შეეძლო, განწირული და გარიყული შეიქნა ის საქართველოს მუშებისა და გლეხებისაგან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფ. კ. კეკელიძე

# ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1918—1928

## I

ქართული უმაღლესი სასწავლებელი პოტენციურად მუდამ არსებობდა ჩვენს საზოგადოებრივს შეგნებაში; მის შესაძლებლობას უზრუნველჰყოფდა: 1) მაღალი კულტურული ტრადიციები ქართველი ხალხისა, 2) საკმაო რიცხვი ქართველი მეცნიერებისა როგორც რუსეთში, ისე თვით საქართველოში, 3) საკმარისი კონტინგენტი მსმენელებისა, რომელნიც ყოველწლივ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აფარებდენ თავს, და 4) თვითმპყრობელობის მიერ გაღიზიანებული ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნება ქართველებისა. ოღონდ თვითმპყრობელობის დროს ასეთს სასწავლებელზე ცხადად და გულახდილად ვერვინ ბედავდა ჩვენში ოცნებობას და, მით უმეტეს, ლაპარაკს. სადმე ვიწრო წრეში თუ ჩამოვარდებოდა ამაზე კონფიდენციალური ლაპარაკი, აქაც აზრთა სხვადასხვაობა იჩენდა ხოლმე თავს: ზოგი პოლიტექნიკური ტიპის სასწავლებელზე ოცნებობდა, ზოგი უნივერსიტეტზე, ზოგი კიდევ სამეცნიერო აკადემიის შექმნაზე. ასეთი გაუბედაობა და კონფიდენციალობა გასაგებია: თვითმპყრობელობა უმაღლეს სასწავლებლებს თვით რუსეთშიაც კი სთვლიდა ყოველგვარი „კრამოლის“ ბუდედ; რასაკვირველია ის ვერ შეურიგდებოდა ასეთი სასწავლებლის, მით უმეტეს ეროვნულის, არსებობას ისეთს განაპირა ქვეყანაში, როგორიც იყო „წყეული“ კავკასია და კერძოდ „მოუსვენარი“ საქართველო. მართალია, რევოლიუციური მოძრაობის ზრდისა და განსაკუთრებით იმპერიალისტური დიდი ომის ქარიშხალის ზეგავლენით, უკანასკნელ წლებში თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ, „ინოროდცების“ გულის მოსაგებად, ჩვენშიაც დაიწყო ლაპარაკი

უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ მას სახეში ჰქონდა არა ეროვნული, არამედ რუსული სასწავლებელი, თან იდეა ასეთი სასწავლებლისა მან პროვოკაციულ საშუალებად გამოიყენა, რათა ამიერკავკასიის მოქმედ ერები ერთიმეორისათვის მიესია და ამით მას თვითონ ხელები მოეთბო. საკმარისია მოვიგონოთ ის დაუნდობელი იდეური შეხლა-შემოხლა ქართველებსა და სომხებს შორის, რომელიც გამოიწვია ტფილისში პოლიტექნიკუმის გახსნის პროექტმა, იმ პოლიტექნიკუმის, რომელიც ცბიერმა ბიუროკრატიამ ფაქტიურად მაინც არ გახსნა.

მაგრამ ის, რაც შეუძლებელი იყო ცარიზმის დროს, თითქოს შესაძლებელი გახადა თებერვლის რევოლიუციამ, რომელმაც დაჩაგრულ ეროვნებათა კულტურულ ოცნებებს ფრთები შეასხა. ეხლა უკვე თამამად, გაბედულად და ცხადად ლაპარაკობენ ჩვენში ქართული უნივერსიტეტის შექმნის საჭიროებისა და შესაძლებლობის შესახებ, ითვალისწინებენ საქართველოში უმაღლესი სკოლის პერსპექტივებს, არკვევენ ქართველ სტუდენტთა რიცხვს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე ქართველ მეცნიერთა რაოდენობას რუსეთსა და საქართველოში, ჰკითხულობენ მოხსენებებს საქართველოში უნივერსიტეტის იდეის პოპულარიზაციის მიზნით და სხვ. მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ლაპარაკი იყო; რეალურ საქმიანობაზე ამ მხრივ ჩვენი საზოგადოება გადავიდა 1917 წლის შემოდგომიდან, როდესაც ტფილისში დაარსდა „საუნივერსიტეტო საზოგადოება" და საორგანიზაციო მუშაობა დაიწყო. ამ „საზოგადოების" საფინანსო კომისია ეძებს მომავალი უნივერსიტეტის მოსათავსებელ შენობას და შესანახ წყაროებს, აკადემიური კომისია კი, პროფ. პ. მელიქიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, იოს. ყიფშიძის, ექ. თაყაიშვილის, ა. შანიძის, შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძის, ა. რაზმაძის, ფ. გოგიჩაიშვილის და დ. უზნაძის შემადგენლობით, ზრუნავს უნივერსიტეტის მეცნიერული ორგანიზაციის შესახებ. თავის დროზე შედგენილ იქნა პროექტი მომავალი უნივერსიტეტისა, რომელიც მაშინდელი „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის" მიერ წარეგზავნა ცენტრში „დროებითს მთავრობას" დასამტკიცებლად. დიდმპყრობელობითმა იდეამ, რომელიც დამახასიათებელი იყო ცარიზმის პოლიტიკისა პატარა ეროვნებათა მიმართ და რომელიც მემკვიდრეობით „დროებითს მთავრობაშიაც" გადმოვიდა, დამტკიცების მაგიერ, ამ პროექტის წინააღმდეგ და მის გასაბათილებლად სამეცნიერო აკადემიაც კი დარაზმა. მოვიგონოთ, თუგინდ, ერთერთი აკადემიკოსის ოფიციალური მოხსენება „О Кавказском Унив-те в Тифлисе," რომელშიაც ავტორი ამტკიცებს, რომ დიდი რუსეთი ჰეგემონიას ხელიდან ვერ გაუშვებს ფაქტიურად მის მიერ შექმნილ ამიერკავკასიასა და ტფილისში, ამიტომ აქ უნდა იქნეს ერთად-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსული უნივერსიტეტი ტფილისში; მის გვერდით შეიძლება დაშვებულ იქნეს ნაციონალური (ქართული და სომხური) უნივერსიტეტები, ისიც მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით მხოლოდ, ვინაიდან ნამდვილი მეცნიერების შესაქმნელად ქართველებსა და სომხებს არც სამეცნიერო ძალები ჰყავთ, არც სამეცნიერო დაწესებუ-

ლებანი მოეძებნებათო[1]), თითქოს რუსული უნივერსიტეტისათვის ასეთი დაწესებულებანი უკვე მზად იყო თბილისში. მართლაც, „დროებითმა მთავრობამ“ ქართული უნივერსიტეტის პროექტის საპასუხოდ „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს“ დეპეშით აცნობა, რომ ტფილისში 1918 წლის დამდეგიდან გაიხსნება რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტიო.

მაგრამ ის, რაც თებერვლის რევოლიუციის პერიოდშიაც კი შეუძლებელი იყო თურმე, შესაძლებელი გახადა ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც ბოლო მოუღო „დროებითი მთავრობის“ შავს ზრახვებს.

ოქტომბრის რევოლიუციამ ქართული უნივერსიტეტის იდეა სავსებით უზრუნველყო. ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ წამოაყენა პრინციპი პატარა ეროვნებათა არა თუ კულტურული, არამედ სრული პოლიტიკური თვითგამორკვევისაც. ამიტომ ამ იდეის ინიციატორები უფრო მედგრად და გაბედულად შეუდგენ საქმეს, ასე რომ 1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) ტფილისში, „დროებითი მთავრობის“ მიერ განზრახული რუსული უნივერსიტეტის მაგიერ, დიდი ზეიმით გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.

ამნაირად, ქართულმა უნივერსიტეტმა ბოლოსდაბოლოს მაინც გაიკაფა გზა და გაიმარჯვა იმდენად, რომ მისი მოწინააღმდეგის, „დროებითი მთავრობის“, ერთმა წევრმა, განათლების მინისტრმა ა. მ—ვმა, თავისი საპროფესორო მუშაობა შემდეგში ამ უნივერსიტეტის კედლებში გადმოიტანა დროებით; ამასვე აპირებდა, საქართველოს გასაბჭოებას რომ არ მოესწრო, ის აკადემიკოსიც, რომლის მოსაზრება ზემოთ მოვიყვანეთ. მაგრამ სად უნდა ვეძიოთ მიზეზი ამ გარემოებისა? არა ამ უნივერსიტეტის შესაძლებლობასა და საჭიროებაში, არა ინიციატორთა თავდადებულ მუშაობასა და ქართველი ერის გულმხურვალე თანაგრძნობაში, არამედ უმთავრესად ოქტომბრის დიდს რევოლიუციაში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას: **რუსეთში რომ რევოლიუცია თებერვლის გეზით წასულიყო და განმტკიცებულიყო, ჩვენ დღეს არ გვექნებოდა არამც თუ სახელმწიფო უნივერსიტეტი, არამედ კერძო, უუფლებო უმაღლესი სასწავლებელიც; ქართული უნივერსიტეტი მიზეზობრივად ოქტომბრის რევოლიუციასთანაა დაკავშირებული.**

## II

ტფილისის უნივერსიტეტი თავდაპირველად კერძო სასწავლებლად ითვლებოდა და მისი შესანახი რესურსებიც კერძო ხასიათის იყო; მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გამოცხადდა ის „სახელმწიფო უნივერსიტეტად“, და სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ჩაჰბარდა ის 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებას.

---

[1]) იხ. სამეცნიერო აკადემიის კრებული Азиатский Сборник, Из Известий Российской Академии Наук, Новая серия, Петроград, 1918 год, стр. 1496—1566, განსაკუთრებით 1508—1509.

საბჭოთა ხელისუფლების მოახლოვება და შემოსვლა საქართველოში ყალბად შეაფასეს უნივერსიტეტის როგორც მტრებმა, ისე მეგობრებმა: პირველნიც და მეორენიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დადგა აღსასრული ამ ხანმოკლე უნივერსიტეტისა, რომ მის ნანგრევებზე „ბოლშევიკები", უკეთეს შემთხვევაში, რუსულ უნივერსიტეტს შექმნიან და ამით „დროებითი მთავრობის" გეგმებს განახორციელებენო. ალბათ ამით იყო გამოწვეული, რომ ტფილისის დაკავების მეორე დღესვე, 26 თებერვალს, დილით ადრე, რუსული უნივერსიტეტის ერთმა ადგილობრივმა არამკითხე მოტრფიალემ ულტიმატუმი გამოგზავნა და მოითხოვა ჩაებარებიათ მისთვის უნივერსიტეტის გასაღებები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იმ დღეს ეწვია ახლად შემდგარ საბჭოთა მთავრობას და, ჩვეულებრივი მილოცვის შემდეგ, ამხ. მამია ორახელაშვილს ჩამოუგდო საუბარი უნივერსიტეტში მომხდარი ინცინდენტის გამო. „ნუ თუ გგონიათ", უპასუხა დელეგაციას ამხ. მამიამ, „რომ ის ხელისუფლება, რომელსაც, სხვა რომ არ იყოს რა, სათავეში უდგია ამხ. ფილიპე მახარაძე (რევკომის თავმჯდომარედ მაშინ ამხ. ფილიპე იყო), ის ფილიპე, რომელსაც უმეტესი ნაწილი თავისი შრომებისა ქართულად უწერია, მტრულად მოეკიდება ქართულ უნივერსიტეტს და შეეცდება გააუქმოს ქართული კულტურის კერა? წადით და დამშვიდებით განაგრძეთ თქვენი ყოველდღიური მუშაობაო." რამდენიმე დღის შემდეგ განათლების კომისარიატში, რომელიც მაშინ ამხ. მამიას ებარა, მის კაბინეტში, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, გამოცხადდა ერთ-ერთი მსმენელი ამიერკავკასიის რუსული უნივერსიტეტისა, რომელიც მენშევიკებმა დახურეს, და ექსპანსიური კილოთი მოითხოვა ქართულ უნივერსიტეტთან ანგარიშის გასწორება. „ტყვილად გგონიათ", უპასუხა ორატორს ამხ. მამიამ, „რომ ჩვენ აქ მოვედით იმისათვის, რათა ცრემლები მოვსწმინდოთ ვილაცას მიერ შეურაცყოფილებს და პირადი ანგარიშები ვასწოროთ; ჩვენ ხელს შეუწყობთ ყოველგვარ დაწესებულებას, რომელიც კულტურულ საქმეს ემსახურება, და მათ შორის, რასაკვირველია, ქართულ უნივერსიტეტსაც."

ეხლა ვნახოთ, რამდენად გამართლდა ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში ზემოაღნიშნული მოლოდინი მისი მტრებისა და მეგობრების, ერთის მხრით, და ამხ. მამიას გამამხნევებელი სიტყვები და დაპირებანი, მეორე მხრით. ვალაპარაკოთ ციფრები და ფაქტები.

1. 1918 წლის დამდეგს უნივერსიტეტი გაიხსნა მხოლოდ ერთი, ეგრეთწოდებული სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური, ფაკულტეტის სახით; ამავე წლის შემოდგომიდან მას მიემატა ორი ფაკულტეტი: საექიმო და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო; ამ სამი ფაკულტეტის შემადგენლობით ჩაჰბარდა უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლებას. რა მოხდა მერე? 1921 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტში გაიხსნა აგრონომიული ფაკულტეტი, რომელსაც სამი განყოფილება აქვს: სოფლის მეურნეობის, მეტყეობის, მებაღეობა-მეღვინეობის. იმავე 1921 წლის შემოდგომიდანვე სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანებულ

იქნა პედაგოგიური ფაკულტეტის სახელით, რომელსაც დღეს ექვსი განყოფილება აქვს: საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საძალმეტიკო, საფარმაცევტო და საბუნებისმეტყველო; საბუნებისმეტყველო განყოფილებას თავის მხრივ ოთხი განხრა აქვს: ბიოლოგიური, ქიმიური, პედაგოგიური და გეოგრაფიული. 1922 წელს გაიხსნა სამი ფაკულტეტი: 1) სოციალ-ეკონომიური, რომელსაც ორი განყოფილება აქვს: იურიდიული და ეკონომიური, უკანასკნელი სამი განხრით: სტატისტიკურით, კოოპერატიულით და ფინანსიურით; 2) მუშათა ფაკულტეტი, რომელიც მუშათა მასებს ამზადებს უნივერსიტეტში შესასვლელად, და 3) პოლიტექნიკური, რომელიც სამი განყოფილებისაგან შესდგება: მექანიკურის, საალმშენებლო და სამთოსაგან; თვითეულ ამ განყოფილებას ორი დარგი აქვს: ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური, სახეროთმოძღვრო და საალმშენებლო, ქიმიურ-მეტალურგიული და სამთო-მადნო. ამნაირად, დღესდღეობით ჩვენი უნივერსიტეტი წარმოადგენს უზარმაზარ ხეს, რომელსაც 33 განშტოება აქვს 6 ფაკულტეტის, 14 განყოფილების და 13 განხრის სახით. ასეთი ფართო მაშტაბის უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირში მეორე არ მოიპოვება. ეს აიხსნება მით, რომ ამ ერთადერთს უმაღლეს სასწავლებელს ჩვენს ქვეყანაში დაკისრებული აქვს მოამზადოს, ადგილობრივ პირობებთან შეგუებით, მეცნიერული მუშაკები ცხოვრების ყოველი დარგისათვის. სხვანაირად არც შეიძლება: თუ საბჭოთა სინამდვილემ აუცილებლად აღიარა წარმოების დეცენტრალიზაცია, ჩვენს ერთადერთს უმაღლეს სკოლაში ადგილი უნდა ჰქონდეს მეცნიერების ყოველ დარგს.

2. უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და სასწავლო-ტექნიკურ მუშაობას აწარმოებენ პროფესორები, დოცენტები, პრივატ-დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები, ასპირანტები, ორდინატორები და პრეპარატორები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რათა უზრუნველეყოთ ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებელი სამეცნიერო ძალებით, რომელნიც ქართულ ენაზე შესძლებდენ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის წარმოებას. ამ მხრივ გამოყენებულია და საქმეში ჩაბმული ყველა ის, ვინც მუშაობდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ანდა საქართველოში ეწეოდა კვალიფიციურ სამეცნიერო-აკადემიურ მოღვაწეობას. რადგანაც საჭირო ქართული ძალები ასი პროცენტით არ აღმოჩნდა, ზოგიერთი კათედრა ჩაბარდა არაქართველ მეცნიერებსაც, რომელთაც გარკვეულ ვადაში უნდა მოემზადებიათ ახალი ძალები ამათუიმ სპეციალობაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდათაგან. ზოგს შემთხვევაში ეს მიზანი მიხწეულია, ზოგიერთში კი მუშაობა ეხლაც სწარმოებს ამ მიმართულებით. ქვემომოყვანილი ცხრილი გვაჩვენებს, თუ როგორი თანდათანობით იზრდებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ძალები ამ ათი წლის განმავლობაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სამოსწავლო წლეები. | პროფესორები | დოცენტები | პროფესორ-ცენტები | ლექტორები | ასისტენტები | ასპირანტები | ორდინატორები | პრეპარატორები | ს ულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1918-19 | 16 | — | — | 7 | — | 2 | — | — | 25 |
| 1919-20 | 26 | 6 | — | 7 | 20 | 11 | 3 | 2 | 75 |
| 1920-21 | 30 | 7 | — | 7 | 34 | 12 | 5 | 10 | 105 |
| 1921-22 | 34 | 13 | — | 18 | 56 | 15 | 19 | 15 | 170 |
| 1922-23 | 34 | 15 | — | 27 | 66 | 15 | 25 | 28 | 210 |
| 1923-24 | 36 | 19 | — | 35 | 86 | 22 | 29 | 29 | 256 |
| 1924-25 | 38 | 19 | — | 45 | 102 | 22 | 43 | 39 | 315 |
| 1925-26 | 40 | 19 | 1 | 56 | 106 | 23 | 43 | 46 | 334 |
| 1926-27 | 41 | 24 | 2 | 85 | 108 | 32 | 44 | 46 | 382 |
| 1927-28 | 41 | 25 | 6 | 93 | 115 | 32 | 46 | 49 | 407 |

3. ქართული უნივერსიტეტის დაარსებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი ახალგაზრდობა. მას მოაწყდა ყველა, ვისაც კი ამ უნივერსიტეტის იდეა აინტერესებდა; მსმენელებად ისეთებიც კი ჩაირიცხენ, რომელთაც უმაღლესი სწავლა სხვა უნივერსიტეტში ჰქონდათ მიღებული. ამერკავკასიის უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ მან კარები გაუღო მის მსმენელებსაც, მოუწყო მათ პარალელური მეცადინეობა და საშუალება მისცა რუსულ ენაზე დაესრულებიათ კურსი. არასდროს ჩვენს მოზარდ თაობაში ინტერესი უნივერსიტეტისადმი არ შესუსტებულა, ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ თანდათან დიდდება მოთხოვნილება, რომელსაც უყენებთ უნივერსიტეტში შემსვლელთ, რიცხვი სტუდენტობისა ყოველწლივ იზრდება, როგორც ეს შემდეგი ცხრილიდანა ჩანს:

| სამოსწ. წლეები | 1919-20 | 1920-21 | 1921-22 | 1922-23 | 1923-24 | 1924-25 | 1925-26 | 1926-27 | 1927-28 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა რიცხვი | 2414 | 3054 | 3498 | 3710 | 3724 | 4663 | 5904 | 6790 | 7803 |

7803 სტუდენტიდან, რომელიც დღეს უნივერსიტეტში ირიცხება, 5037 (77%) ვაჟია, 1766 (23%) ქალი; სტუდენტ-ქალთა რიცხვი ყველაზე მეტი საექიმო ფაკულტეტზეა (40%), ყველაზე ნაკლები პოლიტექნიკურზე (4%). ფაკულტეტობრივად სტუდენტთა შემადგენლობა ასეთია დღეს: პედაგოგიურზე 30%, სოციალ-ეკონომიურზე 28%, აგრონომიულზე 15%, საექიმოზე 14%, პოლიტექნიკურზე 13%. უნივერსიტეტში ამავე დროს ხდება სოციალური გაჯანსაღებაც: მან ფართოდ გაუღო კარები მუშებისა და გლეხების შვილებს, რომელთათვის ძველად უმაღლესი სწავლა-განათლება ხელმისაწდომი არ იყო; უნივერსიტეტში თანდათან ძლიერდება მუშურ-გლეხური ელემენტი და ის ღებულობს ნამდვილ პროლეტარულ სახეს. დღეს მუშებისა და მათი შვილების რიცხვი უნივერსიტეტში უდრის 20%, გლეხებისა და მათი შვილების 24%, საბჭოთა მოსამსახურეებისა და მათი შვილების 27%, ხელოსნებისა და მათი შვილების 2% და სულ პროლეტარული ელემენტი უდრის 73%.

4. პედაგოგიური მუშაობა უნივერსიტეტისა თანდათან უახლოვდება ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებებსა და სინამდვილეს. ამ მიზნით 1926-27 აკადემიური წლის დამდეგს გადასინჯულ იქნა სასწავლო პროგრამები, შემოღებულ იქნა ახალი წესდება უნივერსიტეტისა, რომელმაც უნივერსიტეტის მართვა-გამგეობისა და სასწავლო-აკადემიურ ორგანოებში ფართოდ გაუღო კარები საზოგადოებრივ ელემენტებს. სტუდენტობა უახლოვდება ცხოვრებას, განსაკუთრებით საწარმოო პრაქტიკაზე მივლინების გზით; ამ მივლინებისას სტუდენტი უშუალო მონაწილეობას ღებულობს იმ მუშაობაში, რომლისთვისაც ის სპეციალურად ემზადება, ეცნობა იმ წრეს და გარემოს, რომელშიაც მას მოუხდება მერე მუშაობა. საწარმოო პრაქტიკაზე მისავლენი ადგილები შედარებით ნაკლებია, მაგრამ ამ ნაკლს ავსებს ის გარემოება, რომ დიდ ნაწილს სტუდენტობისას. არსებობის წყაროს მოსაპოვებლად, უხდება სამსახური სხვადასხვა საწარმოო სამეურნეო დაწესებულებაში, სადაც მათ მიერ შეძენილი თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოულობს. ერთი სიტყვით, თუ ძველი უნივერსიტეტი ცხოვრების გარეშე იდგა, დღევანდელი ჩვენი უნივერსიტეტი მის ცენტრშია მოქცეული, ის მუშაობს თანახმად იმ დირექტივებისა, რომელსაც ის ნამდვილი ცხოვრებისაგან, სხვადასხვა სამეურნეო-საწარმოო დაწესებულებათაგან, ღებულობს. 1923 წლიდან, როდესაც დაიწყო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა გამოშვება, ჩვენი განახლებული ცხოვრების სამეცნიერო-სატექნიკო და საწარმოო-სამეურნეო დაწესებულებებმა უნივერსიტეტიდან მიიღო 1356 მეცნიერულად მომზადებული სხვადასხვა დარგის მუშა-სპეციალისტი.

5. უნივერსიტეტში წარმოებს ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიებითი მუშაობა. იქმნება და მუშავდება სამეცნიერო ტერმინოლოგია, ურომლისოდ წარმოუდგენელია ეროვნული კულტურის განვითარება, იწერება მრავალი სამეცნიერო შრომა, სადოქტორო დისერტაციის, სამეცნიერო ნარკვევის თუ სახელმძღვანელოების სახით. დღეს არ არის არც ერთი დარგი მეცნიერებისა, რომლის კუნჭული, თუგინდ პატარაც, არ გაეშუქებიოს ქართულ ენაზე დაწერილ შრომას და ქართველი მეცნიერის ლაბორატორიაში წარმოებულ მუშაო-

ბას. უნივერსიტეტის მუშაკთა მეცნიერული პროდუქცია ამ ათი წლის განმავლობაში, დაბეჭდილი თაბახობით (16 გვ.) რომ ვიანგარიშოთ, ასეთია: 1918 წ. დაიბეჭდა 25 თაბახი, 1919—63, 1920—177, 1921—121, 1922—108, 1923—174, 1924—263, 1925—241, 1926—342, 1927—617, სულ 2131 თაბახი. უნივერსიტეტის ლაბორატორიებსა და კაბინეტებში, სამეცნიერო ექსკურსიებისა და ექსპედიციების დროს, აგრეთვე კონფერენცია-კონგრესებზე წარმოებს შესწავლა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და ამწყოსი, ძიება მისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა. კერძოდ, საექიმო ფაკულტეტის სამეცნიერო დაწესებულებებში წარმოებს საქართველოს მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების შესწავლა და მის შედეგებთან დაკავშირებით პროფილაქტიური საშუალებების გამოძებნა; ადგილი აქვს აგრეთვე ჯიშისა და ერის კონსტიტუციის, პათოლოგიის და ჰიგიენის შესწავლას, რაზედაც დამოკიდებულია ჩვენი ერის მომავალი კეთილდღეობა. აღმოჩენილია მთელი რიგი ისეთი დაავადებებისა, რომელთა შესახებ საქართველოში არც სამეცნიერო ლიტერატურამ, არც ადგილობრივმა ექიმებმა და არც საექიმო ხელისუფლებამ იცოდა რა. უნივერსიტეტის მუშაკები სცდილობენ საქართველოს ფარგლების გარეშეც გაიტანონ უნივერსიტეტის სახელი და მისი მეცნიერული პროდუქცია: ისინი მონაწილეობას ღებულობენ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო გამოცემებში, დროგამოშვებით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირში,—საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა 92 სამეცნიერო მივლინებას,—კავშირს აბამენ სხვადასხვა მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, აცნობენ მათ ქართულ უნივერსიტეტსა და ქართული მეცნიერების მიხწევებს. ისინი აბამენ წმინდა მეცნიერულ მუშაობაში სტუდენტობის ფართე მასებსაც სხვადასხვა სამეცნიერო წრეების სახით, როგორიცაა იურიდიული, ეკონომიური, აგრონომიული, ტექნიკური, მედიკური, საისტორიო, სალიტერატურო, ლინგვისტური, საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო წრეები. ერთი სიტყვით, მეცნიერული ფეხმომაგრება და წინსვლა ჩვენი უნივერსიტეტისა დღეს ცხადია იმათთვისაც კი, ვინც თავდაპირველად სკეპტიკურად უყურებდა და რომანტიკოსობად სთვლიდა ჩვენს საქმეს. მაგალითად, ამ ორი წლის წინათ აკადემიკოსმა ნ. მარრმა მეცნიერების მუშაკთა ერთერთ ყრილობაზე მოსკოვში პირდაპირ განაცხა: ქართულ ენაზე, ქართულ უნივერსიტეტში, ისეთი შრომები იწერება, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დარგებში, რომლებიც საპატიო ადგილს დაიჭერდენ მსოფლიო მეცნიერებაში, ყველასათვის ხელმისაწვდომი რომ გახდებოდენ ისინიო.

6. უნივერსიტეტს აქვს თავისი სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებები, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მისი ნაყოფიერი მუშაობა. პირველი ადგილი ამ დაწესებულებათა შორის უკავია წიგნთსაცავს, რომელიც მთავარი ძარღვია უნივერსიტეტის საქმიანობისა. ეს წიგნთსაცავი, რომელშიაც დღეს 205.000 ტომზე მეტია, ივსებოდა წლითი-წლად; ნიწილი წიგნებისა შემოწირულია, დიდი ნაწილი მთავრობის მიერაა გადმოცემული ამათუიმ საზოგადოების ან დაწესებულების ლიკვიდაციის შემდეგ, ნაწილი კიდევ შეძენილია ფულით თუ სხვადასხვა საკავშირო და საზღვარგარეთელ სამეცნიერო დაწესებულებებთან და

გამომცემლობასთან გაცვლა-გამოცვლის გზით. წიგნთსაცავის კეთილმოწყობას და შევსებას ახალი ლიტერატურით სერიოზული ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით 1923 წლიდან, როდესაც იწყება მისი ბიუჯეტის ზრდა: 1923 წელს მან მიიღო 799 მანეთი, 1924—3058, 1925—11126, 1926—11313, 1927—12505 მანეთი. თვითეულ ფაკულტეტს აქვს თავისი სამეცნიერო დაწესებულებანი, სადაც წარმოებს როგორც პედაგოგიური, ისე წმინდა მეცნიერული მუშაობა; ესენია: ლაბორატორიები—26, კლინიკები—17, კაბინეტები—30, მუზეუმები—6, ინსტიტუტები—3, სადგური—1, სულ 83 დაწესებულება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მუხრანის სასწავლო მამული, რომელიც მთავარი ბაზაა აგრონომ-სტუდენტების პრაქტიკული ვარჯიშობისა და ფაკულტეტის სამეცნიერო მოღვაწეობისა.

7. უნივერსიტეტის არსებობის წყაროს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით განკუთვნილი თანხები და სხვადასხვა ხასიათის შემოსავალი, რომელთა შორის პირველი ადგილი სასწავლო გადასახადს უკავია. სასწავლო გადასახადი წელიწადში იძლევა არაუმეტეს 40-50 ათასი მანეთისა, ვინაიდან უდიდესი ნაწილი სტუდენტობისა (70%) განთავისუფლებულია ამ გადასახადისაგან; ასე რომ უმთავრესად უნივერსიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებობს. მთელი ნახევარი წელიწადი, როგორც კერძო დაწესებულება, ის საქველმოქმედო და კერძოდ შემოწირულ თანხებით არსებობდა, მერე, როდესაც ის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა, გადავიდა სახელმწიფო ბიუჯეტზე. 1918 წელს მისი ბიუჯეტი უდრიდა 21161 მანეთს, 1919—82459, 1920—187527, 1921—177193, 1922—135480, 1923—285554, 1924—246083, 1925—571681, 1926—883091, 1927—827689. უდიდესი ნაწილი უნივერსიტეტის ბიუჯეტისა მიდის ხელფასზე (82%), რომლის ნორმა თანდათან იზრდება; მაგალითად, 1925 წლამდე პროფესორის ექვსსაათიანი განაკვეთი ღირდა 45 მანეთი, 1925 წელს ის ავიდა 72 მანეთამდე, 1927 წელს კი 110 მანეთამდე. საკავშირო რესპუბლიკათა უნივერსიტეტების ბიუჯეტთან შედარებით ბიუჯეტი ჩვენი უნივერსიტეტისა ძალიან მცირეა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ის ერთს წერტილზე არ გაჩერებულა და ყოველწლივ იზრდებოდა.

ნათქვამიდან ცხადია, რომ არ გამართლდა მოლოდინი იმ პირებისა, რომელნიც ფიქრობდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ქართული უნივერსიტეტი გადაგვარდება და მოისპობაო; პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ იზრდება რიცხვი ფაკულტეტებისა, სამეცნიერო ძალებისა, სტუდენტებისა, სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებებისა, იზრდება ბიუჯეტი და ხელფასი, აგრეთვე პროდუქცია პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა. ერთი სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა მიუდგეთ უნივერსიტეტს, მას ემჩნევა შეუჩერებელი წინსვლა, ზრდა და ცხოვრებასთან შესისხლხორცება იმდენად, რომ ქართული სინამდვილე უქართულუნივერსიტეტოდ წარმოუდგენელი ხდება.

## III

ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ უნივერსიტეტი იდეალურ სიმაღლეზე დგას და მან დაამთავრა უკვე პროცესი ზრდა-განვითარებისა. ამას,

რასაკვირველია, ობიექტიურად თუ მიუდგებით საკითხს, ვერც მოეთხოვება უნივერსიტეტს, რომელიც რევოლიუციის ქარცეცხლში იშვა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიურად გარდაქმნის პროცესში ყალიბდებოდა. დამთავრებული, სავსებით ჩამოყალიბებული უნივერსიტეტი ათ წელში კი არა, საუკუნეებით იქმნება; თან, როგორც ცოდნისა და მეცნიერების შეყენება არ შეიძლება ერთს წერტილზე, არც სამეცნიერო დაწესებულების შეჩერება შეიძლება ერთს დონეზე, ის მუდამ უნდა იზრდებოდეს, ფართოვდებოდეს და ღრმავდებოდეს. ამ თვალსაზრისით თუ მიუდგებით საკითხს, არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ზოგიერთ-desiderata, რომელთაც საპერსპექტივო მუშაობის ხასიათი აქვთ.

1. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ჩვენი უნივერსიტეტი ფართო მაშტაბითაა გაშლილი, მაგრამ მას მაინც აკლია ზოგიერთი ისეთი კათედრა და დარგი, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მაგალითად, არ გვაქვს ჯერჯერობით ვეტერინარული დარგი, რაც მეტად საგრძნობია ჩვენთვის, განსაკუთრებით თუ გვეხსომება, რომ ძველი თაობა მცირერიცხოვანი ბეითლებისა გადადის უკვე, მათი შემცვლელნი კი არსადა ჩანან. სიახლოვე სპარსეთისა და ოსმალეთისა, ეპიზოტის ამ უშრეტ კერისა, მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს ვეტერინარული თვალსაზრისით ჩვენი მეურნეობისათვის. საჭიროა ამ საფრთხის წინააღმდეგ აღიმართოს საიმედო ციტადელი ვეტერინარული სასწავლო დაწესებულების სახით, რომელსაც არა მარტო ჩვენთვის ექნება მნიშვნელობა, არამედ მთელი ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირისათვის. არ გვაქვს ჯერჯერობით არც სტომატო-ოდონტოლოგიური ინსტიტუტი, რის გამო ერთ-ერთი მხარე მშრომელი ხალხის ჯანმრთელობისა უნუგეშო მდგომარეობაშია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, როგორც სხვა უნივერსიტეტში, ისე ჩვენშიც, საექიმო ფაკულტეტი კბილის ექიმებს ვერ ამზადებს, პირიქით, კბილის ექიმები, რომელნიც ამ ფაკულტეტს ასრულებენ, თავიანთ სპეციალობას სტოვებენ. ამიტომ საჭირო ხდება დაარსება საექიმო ფაკულტეტთან სპეციალური ინსტიტუტისა, რომელიც მოგვცემს საჭირო კადრს კბლის ექიმებისას.

2. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს უნივერსიტეტის დაწესებულებათა მოსათავსებელ შენობებს. უნივერსიტეტი ამ ათი წლის განმავლობაში ინდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ ის აღარ ეტევა იმ შენობებში, რომლებიც თანდათანობით გადმოდიოდა მის ხელში. საექიმო ფაკულტეტი მთლიანად თითქმის მოთავსებულია ქალაქისა და ჯანსახკომის კლინიკებსა და დაწესებულებებში, ხოლო აგრონომიული ფაკულტეტი ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობაში, რომელიც 1927 წლის ზაფხულზე გადმოეცა საბოლოოდ უნივერსიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ, გარდა მთავარი კორპუსისა, რომელშიაც გაიხსნა უნივერსიტეტი (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია), უნივერსიტეტის კუთვნილებას შეადგენს კიდევ ოთხი შენობა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში, შეუძლებელი ხდება მინიმალური გაშლა იმ დაწესებულებებისაც კი, რომელიც ეხლა არსებობს უნივერსიტეტში ნამდვილად რომ ვთქვათ, პოლიტექნიკურ ფაკულტეტს არამც თუ თავისი საკუთარი ბინა, კუთხეც კი არ აქვს ჩვენს სინამდვილეში. უკეთეს მდგომარეობა-

ში არც წიგნთსაცავია; ის პატარა კუთხე, რომელიც მას ... აქვს სულქვედა სართულში, უკვე აივსო წიგნებით იმდენად, რომ ... ადგილი ... ახალი კოლექციებისათვის. თან ეს კუთხე სრულიად გამოუსადეგია წიგნთსაცავისათვის; მას არც სინათლე აქვს საკმაო, არც გათბობა, არც ფიცრის იატაკი, ამის გამო იქ ადგილი აქვს სინესტეს, რაც წიგნებსაც აზიანებს და თანამშრომლებსაც ასნეულებს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სტუდენტებისათვის, რომელნიც საშინელ კრიზისს განიცდიან უბინობის მხრივ, ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი საზოგადო საცხოვრებელი სახლი. უნივერსიტეტის ხუთ წლიან გეგმაში ნავარაუდევია ყოველწლივ თითო შენობის აგება, რომ ამ გზით თანდათანობით შენელდეს ეს მწვავე კრიზისი.

3. გასული ათი წელი იყო ხანა უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა შექმნისა; ეს ხანა სავსებით ჯერაც არ დამთავრებულა, ვინაიდან უნივერსიტეტში არის ისეთი კათედრები, რომელთაც არავითარი დაწესებულება არ მოეპოვებათ, განსაკუთრებით სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე. ახალი პერიოდი, რომელშიაც გადავდივართ, უნდა იქნეს პერიოდი ამ დაწესებულებათა ჯეროვანი მოწყობისა და მეცნიერულად შეიარაღებისა. საქმე ისაა, რომ ჩვენს ლაბორატორიებში არაა არც მუშაობისათვის საჭირო მასალა, არც ხელსაწყო, ასე რომ ერთსადაინავე მიკროსკოპზე, მაგალითად, ერთსადაიმავე დროს მეცადინეობს 20-30 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი. თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ, დაწესებულებათა მოწყობა-მოცულობასთან შედარებით სტუდენტთა რიცხვი არაპროპორციულად იზრდება, ადვილი გასაგები იქნება, ისეთი ანომალიები, როგორიცაა სტუდენტთა დავალიანება: სტუდენტებს უხდებათ თავიანთი ჯერის ლოდინი ლაბორატორიებში მუშაობისათვის. ამიტომ პრაქტიკუმი, რომელიც ჩატარებული უნდა ყოფილიყო, ვთქვათ, მეორე კურსზე, ტარდება რვა სემესტრის მოსმენის შემდეგ, ან, უკეთეს შემთხვევაში, მეოთხე კურსზე. სასწავლო-სამეცნიერო მოწყობილების მხრივ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წიგნთსაცავის შევსებას ახალი სამეცნიერო ლიტერატურით, ვინაიდან, დღევანდელი მისი ფონდები უფრო შემთხვევითი წარმოშობისაა, ვიდრე გეგმიანი აკადემიური შერჩევის ნაყოფი. უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება აგრეთვე საგამომცემლო საქმის გაძლიერებას. სხვა რომ არა იყოს, ჩვენს სტუდენტებს, რომელთაც უცხო ენები, მათ შორის რუსულიც, არ იციან იმდენად, რომ ამ ენებზე არსებული ლიტერატურით ისარგებლონ, ქართულად დაწერილი სახელმძღვანელოები მაინც უნდა ჰქონდეთ. არც სამეცნიერო პერსონალი უნდა იქნეს დავიწყებული ამ შემთხვევაში, იმასაც უნდა მიეცეს საშუალება დროზე გამოაქვეყნოს შედეგები თავისი მეცნიერული კვლევა-ძიებისა და ქვეყანას დაანახოს მეცნიერული ფიზიონომია უნივერსიტეტისა, რათა მან მართლაც საპატიო ადგილი დაიკავოს საერთო საუნივერსიტეტო ოჯახში საჭიროა აგრეთვე დაარსება კვლევა-ძიებითი სპეციალური ინსტიტუტებისა, სადაც წმინდა მეცნიერულ შემოქმედებას ჩამოშორებული ექნება პედაგოგიური მუშაობა; ასეთი ინსტიტუტები საკავშირო რესპუბლიკებში თითქმის ყველგანაა უნივერსიტეტთან, ჩვენ კი ჯერ-ჯერობით ერთიც არა გვაქვს.

4. ერთერთი საზრუნავი საგანია მსმენელთა კადრის გაუმჯობესება მომზადების მხრივ და მათი მატერიალურად უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მსმენელებს საკონკურსო გამოცდებით იღებენ, დონე სტუდენტების მომზადებისა მეტად დაბალია. საშუალო სკოლის სტაბილიზაცია ჯერ არ მომხდარა, ის ცოდნა, რომელიც გამოაქვთ იქიდან შეგირდებს, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათ მოისმინონ უნივერსიტეტის კურსი და ჯეროვნად შეითვისონ იგი. ამ მოვლენას, იმედი უნდა ვიქონიოთ, ყურადღებას მიაქცევს შესაფერისი ორგანოები, უნივერსიტეტს თავისთავად არ შეუძლია რაიმე გააკეთოს ამ მხრივ. რაც შეეხება სტუდენტთა მატერიალურ მდგომარეობას, ის პირდაპირ წარმოუდგენელი, ენით გამოუთქმელია. უდიდესი ნაწილი სტუდენტობისა განიცდის უბინობას, არიან ისეთები, რომელთაც არავითარი ბინა არ მოეძებნებათ, და ღამეს ათევენ ან ამხანაგებთან, ან როგორც მოხვდებათ. თუ ვისმე ბედმა გაუღიმა და ოთახი იშოვა, მას, უმეტეს შემთხვევაში, არც სინათლე აქვს საკმაოდ, არც სითბო, რომ იქ მეცადინეობა შესაძლებელი იყოს. არ აქვთ მათ არც საკმარისი სასმელ-საჭმელი; ბევრია ისეთი, რომელსაც სასმელ-საჭმელი პროვინციიდან მოაქვს, გამოელევა თუ არა ჩამოტანილი სურსათი, კვლავ პროვინციისაკენ მიეშურება, და მეცადინეობას სწყვეტს. არ აქვთ მათ საშუალება შეიკერონ ჯეროვანი ტანისამოსი და შეიძინონ საჭირო სახელმძღვანელოები და ხელსაწყო. არსებობის წყაროს მოსაპოებლად ზოგიერთები, უფრო მოხერხებულები, სამსახურში შედიან, რიცხვი ასეთებისა 20—25% უდრის, მაგრამ სამაგიეროთ ისინი ვეღარ შოულობენ დროს მეცადინეობისათვის და თავის პირდაპირ მიზანს ღალატობენ. რა გვმართებს ასეთ პირობებში? აქ პალიატივებით ვერას გავხდებით, საჭიროა რადიკალური ზომები. თუ ჩვენ გვინდა, რომ უნივერსიტეტი პროლეტარული ელემენტისათვის იყოს და მისი კარები ფართოდ გაიღოს მშრომელი და ღარიბი მუშა-გლეხისათვის, კიდევაც უნდა მივსცეთ მას საშუალება ისწავლოს და იმეცადინოს. ერთერთ ასეთ საშუალებად უნდა ჩაითვალოს სტიპენდიების რიცხვის გამრავლება. დღესდღეობით უნივერსიტეტს აქვს 387 ოცდახუთმანეთიანი სტიპენდია, ესე იგი $5^1/_2$%, მაშინ, როდესაც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიანტთა რიცხვი საშუალოდ 42% უდრის.

5. არანაკლები მეცადინეობა გვმართებს სამეცნიერო ძალების მომზადების, გამრავლების და უზრუნველყოფისათვის. ეს ნათელი იქნება, თუ მხედველობაში გვექნება, რომ კეთილმოწყობილს უნივერსიტეტში ერთს საგანს ორი-სამი და მეტი მეცნიერი პატრონობს, ჩვენში კი ერთს მეცნიერს ორი-სამის და მეტი საგნის პატრონობა უხდება. იმ უნივერსიტეტს, რომელიც არ ზრუნავს ახალი მეცნიერული თაობის აღზრდისა და მეცნიერულ ძალთა გამრავლებისათვის, მათი შერჩევის შესაძლებლობის მიზნით, მომავალი არ აქვს. ეს, შეიძლება, იმდენად საგრძნობი არ იყოს დიდი ქვეყნისათვის, სადაც რამოდენიმე უნივერსიტეტია: თუ ერთი უნივერსიტეტი ვერ ამზადებს საჭირო ძალებს, მოამზადებს მეორე ან მესამე. სხვა საქმეა ჩვენში, სადაც ერთადერთი უნივერსიტეტია, რომელმაც უკვე ამოწურა მეცნიერთა არსებული მარაგი; აქ განსაკუთრებული სიფხიზლე

გემართებს ამ მხრივ. ჩვენ უკვე ვაჩვენეთ თავის ადგილას, რომ დღესდღეობით უნივერსიტეტში 32 კაცია დატოვებული, რომელნიც სპეციალურად ემზადებიან, საზღვარგარეთ თუ ადგილობრივ, სამეცნიერო მუშაობისათვის. ეს რიცხვი, თუ მხედველობაში გვექნება ფართო მაშტაბი ჩვენი უნივერსიტეტისა და მაგალითი სხვა უნივერსიტეტებისა, სადაც დატოვებულთა რიცხვი ასობით ითვლება, ძალიან მცირეა და ის აუცილებლივ უნდა გადიდდეს, განსაკუთრებით იმ ფაკულტეტებზე, რომლებიც შედარებით ღარიბია სამეცნიერო ძალებით. ამას გარდა საშუალება უნდა მიეცეს უნივერსიტეტს რეგულიარულად მიავლინოს ხოლმე საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირში ის პირნი, რომელნიც უკვე ეწევიან სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას. თუ მხედველობაში გვექნება სიძნელე ახლადდაწყებული საქმისა და სიღარიბე ჩვენი წიგნთსაცავისა, ასეთი მივლინება აუცილებელია ჩვენს სინამდვილეში, არა მარტო იმ პირთათვის, რომელნიც ახლად იწყებენ მეცნიერულ მუშაობას, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ და გამობრძმედილებისათვისაც. განახლება და გაღრმავება ცოდნისა, გაცნობა მეცნიერების ახალი მიხწევებისა და მეთოდებისა შესაძლებელია სწორედ ასეთი მივლინებების გზით. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტი საგრძნობლად ჩამორჩება სხვა უნივერსიტეტებს. არანაკლებ საჭიროა ყურადღება მიექცეს უნივერსიტეტის მუშაკთა მატერიალურ მდგომარეობასაც; მართალია, მიმდინარე აკადემიური წლის დამდეგს, ჩვენი მთავრობის მზრუნველობით, უნივერსიტეტის სამეცნიერო პედაგოგიური პერსონალის ხელფასი საშუალო რიცხვით 18% გადიდდა, მაგრამ, ამის შემდეგაც, ჩვენი უნივერსიტეტი, მოკავშირე უნივერსიტეტებთან შედარებით, ძალიან მოიკოჭლებს. სხვა რომ არა ვთქვათ, ეს გარემოება იმითაა საკმარისი, რომ ის აიძულებს ჩვენს მუშაკებს ეძიონ სამსახური უნივერსიტეტის გარეშე და ამით წაართვან უნივერსიტეტსა და მეცნიერებას ნაწილი თავისი ძალისა, ენერგიისა და დროისა.

---

ასეთია ზოგადად ჩვენი ნაკლი და მასთან დაკავშირებით ჩვენი desiderata; ჩვენ იმედი გვაქვს, სათანადო ხელისშეწყობით, უნივერსიტეტი, რომელიც განუყრელი ნაწილია ჩვენი ცხოვრებისა, შესძლებს პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება; ეს დანიშნულება კი ჩვენ ასე გვეხატება: 1) ჩვენი ქვეყანა უხვადაა დაჯილდოვებული ყოველგვარი ბუნებრივი სიმდიდრით, გვჭირია მხოლოდ მომზადებული სპეციალისტები ამ სიმდიდრეთა მოსაძებნად, დასამუშავებლად და გამოსაყენებლად. ეს სპეციალისტები უნდა აგვიზარდოს ჩვენმა უნივერსიტეტმა, მან უნდა მისცეს ჩვეხს ქვეყანას საჭირო პედაგოგები, ექიმები, სტატისტიკოს-ეკონომისტები, აგრონომები და ინჟენრები. უნივერსიტეტი უნდა გადაიქცეს კულტურული რევოლიუციის კერად საქართველოში. 2) ჩვენი ქვეყანა, და საერთოდ მთელ ამიერკავკასია, რომელიც ხალხთა შეუწყვეტელი მოძრაობის ასპარეზი იყო მუდამ, წარმოადგენს უნიკალურ ნატეხს უძველესი, აწ უკვე გარდასული, ცივილიზაციებისას. მისი ისტორია, ლიტერატურა, ზნეჩვეულება, განსაკუთრებით ენა მრავალი ისეთის მომთხრობია, რაც დღესდღეობით მეცნიერებაში საიდუმლოებითაა მოცული. ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა აღზარდოს სპეციალისტები, რომლებიც ამ საიდუმლოებას ფარდას ახდიან და გააშუქებენ არაერთ კაბადონს უძველესი მსოფლიოს კულტურისას. დაიმედებულნი, რომ ყველაფერი ეს ასე იქნება, ჩვენ გადავდივართ მეორე ათეულ წელში და ვამბობთ: vivat Akademia!

ალ. ჯაბადარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზოგი რამ ალ. უაზგეგის შესახებ

...ყველაზედ მეტად დაინტერესებულნი ვიყავით ყაზბეგის ნაწერების გამოცემით. ეს ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ მისი ნაწერების შეუცვლელად გამოცემა ადგილობრივ ცენზურის პირობების გამო შეუძლებელი შეიქნა. ჩვენ გვინდოდა ყველა მისი ნაწერები ისე მაინც გამოგვეცა, როგორც „ზ. „დროებაში“ იბეჭდებოდა ფელეტონებად. იმ დროს ცენზორად იყო ჩვენი პოეტი რაფიელ ერისთავი. ვფიქრობდით, რომ რაფიელი დაგვეხმარებოდა ამაში, მეორე ინტერესი გამოიხატებოდა იმაში, რომ ხალხისათვის მიგვეწოდებინა და გაგვეადვილებინა მათთვის გაცნობა და წაკითხვა ისეთი მხატვრული ნაშემოქმედარისა, ხალხის ცხოვრებიდან აღებულისა, როგორიც იყო მოთხრობა ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი და სხვ. ნაყოფი შეუდარებელი ნიჭისა, ხალხის ცხოვრების ცოდნისა, დაკვირვებისა,—და მესამე—შემოსავლის მხრივაც დიდ იმედებს ვამყარებდით ამ თხზულებებზე, მით უფრო, რომ ხალხში უკვე იცოდნენ რა დაბრკოლებანი იყო ცენზურის მხრივ ყაზბეგის ნაწერების უცვლელად დასაბეჭდად. გამომცემლობის ფართე გეგმის შესასრულებლად ამხანაგობისათვის საჭირო იყო მალე დაბრუნებულიყო ყოველ გამოცემაზე დახარჯული თანხა.

ალექსანდრე ყაზბეგთან დაიდო ხელშეკრულება. გამგეობის წევრს ლადო აღნიაშვილს მიენდო მიღება ყაზბეგისაგან ყველა მისი ნაწერებისა დამთავრებულისაც და დაუმთავრებელისაც.

აღნიაშვილმა, ხელშეკრულების დადებისთანავე. გადმოიტანა ამხანაგობის ბინაზე ყაზბეგის ნაწერები ერთი მოწითანოთ შეღებილი ხის სკივრით. სკივრში არ აღმოჩნდა დიდი მოთხრობების (ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი და სხვ.) ნატამალიც კი მაშინ, როდესაც სკივრში გვერდზე შეკრულიც ალკე განყოფილებაში ეწყო სასამართლოში წარდგენილი რამდენიმე საჩივრის ასლები, აღმასრულებელი ფურცელი და ამისთანა ქაღალდები, რომლებიც შეეხებოდა ალექსანდრე ყაზბეგის „ფოდრაჩიკობის“ ეპოპეიას. სკივრში აღმოჩენილი ნაწერები გადავარჩიე, სისტემატიურად დავალაგე და შევუდექი გადაკითხვას და დაუმთავრებელ მოთხრობათა ვარიანტების შედარებას და სხვ. სკივრში ეწყო უფრო დაუმთავრებელი მოთხრობანი, პიესები კერძო და სხვა წვრილმანი.

საცენზოროთ მოთხრობანი გადავაწერინეთ „დროებას“ ნომრებიდან და ცენზურას მხოლოდ დამთავრებული მოთხრობანი წარუდგინეთ.

მაშინ ცენზორად, როგორც იყო ნათქვამი, ჩვენი პოეტი რაფიელ ერისთავი იყო, მაგრამ იმ დროს შვებულებაში ითვლებოდა. მის ადგილობას ასრულებდა უფროსი ცენზორი ქიშმიშოვი, რომელმაც „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“ თითქმის გაანახევრა. რასაკვირველია ასე დამახინჯებულ მოთხრობებს ვერ გამოვცემდით. სიჭირო შეიქმნა სხვა გზა გამოგვენახა, რადგან დარწმუნებულნი ვიყავით, რომ განსაჩივრება ცენზორთა კომიტეტში ცენზორი ქიშმიშოვის ასეთი სასტიკ მოქმედებისა ჩვენ არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანდა, ცენზორი ქიშმიშოვი მადლობას მიიღებდა „გულმოდგინეთ სამსახურის აღსრულებისათვის“ ჩვენ კი შეიძლება ამ საჩივრით ყველა გზები დაგვეხშო. ვარჩიეთ ტფილისის კომიტეტისათვის თავი დაგვენებებინა.

მაშინდელი ბეჭდვითი კანონით აღმოსავლეთ ენებზე დაწერილის ცენზურა მინიჭებული ჰქონდა „კავკას. ცენზ. კომიტეტს“, „პეტერბურგის და ვარშავის კომიტეტებს“. მაშასადამე ყაზბეგის ნაწერები ჩვენ შეგვეძლო წარგვედგინა ან პეტერბურგის კომიტეტისათვის ან ვარშავის კომიტეტისათვის. ვისარგებლეთ ამ კანონიერ უფლებებით და ოთხივე ტომის მასალა, ახლად გადაწერილი, გავგზავნეთ პეტერბურგში.

პეტერბურგის კომიტეტი ქართულ ენაზე ნაწერებს ბ. ნიკოლოზ მარს უგზავნიდა საცენზოროთ. პატივცემულს პროფესორს აკადემიკოსს ნიკოლოზ მარს ვიცნობ იმ დროიდამ, როდესაც ქუთაისის გიმნაზიის მეშვიდე თუ მერვე კლასის მოწაფე იყო და, მგონია, პირველად მოვიდა ტფილისში.

რასაკვირველია, ნიკ. მარს წერილიც მივწერეთ, თუ რამდენად დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოება ყაზბეგის ნაწერების უცვლელად გამოცემაში და სხვ. ნაწერები გაეგზავნა ერთს ჩვენს ნაცნობს, რომელმაც წარადგინა პეტერბურგის ცენზ. კომიტეტში.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მივიღეთ ნებადართული. არც ერთი სიტყვა არ აღმოჩნდა ამოშლილი. ეს ამბავი დიდის საიდუმლოებით იყო მოცული. დაიბეჭდა ოთხივე ტომი ერთ დროს, დაბეჭდილი გაიგზავნა პეტერბურგის ცენზურაშივე ბილეთის მისაღებათ. ბილეთიც მოგვივიდა და წიგნებიც გამოვიდა გასაყიდად.

რაფიელ ერისთავმა (ცენზორმა) შინაურულად იცოდა, რომ ამ ხერხს მივმართეთ; რასაკვირველია, თანაგრძნობით უყურებდა ამას და თვითონაც მოუთმენლად ელოდა ამ წიგნების გამოსვლას. წიგნები უკვე იყიდებოდა ტფილისშიც და პროვინციაშიაც. როდესაც სტამბებს ინსპექტორმა გაიგო, რომ ტფილისში დაბეჭდეთ წიგნები პეტერბურგის ცენზ. კომიტეტის ნებართვით. სტამბების ინსპექტორათ იყო ვინმე თავადი ენგალიჩევი, რომელსაც თავისი ქონება რუსეთში გაეფლანგა და ტფილისში მსახურებდა უმნიშვნელო ადგილზე. ბოროტი არ იყო. უყვარდა ღვინო და, რადგან მცირე ჯამაგირი არ ჰყოფნიდა ოჯახის შესანახადაც და მეტი ღვინის დასალევათაც, ენგალიჩევი ხშირად „სესხულობდა“ ხოლმე ფულს ზოგიერთ სტამბების პატრონებისაგან, სესხი იშვიათად ადიოდა 10 მანეთამდე, უფრო ხშირად 3—5 მანეთით კმაყოფილდებოდა. სწორეთ ეს „კნიაზი“ ენგალიჩევი გაოცებული და შეშინებული მოვარდა სტამ-

ბის კანტორაში იმის გამოსარკვევათ, თუ რა უფლებით დავბეჭდეთ ეს ტომი ისეთ თხზულებათა, რომლებიც ტფილისის ცენზურისაგან [illegible] არ იყო. როდესაც კანონი წავაკითხე და პეტერბურგის ცენზ. კომიტეტიდან მიღებული ბილეთი ნახა, კმაყოფილმა, რომ ყველაფერი კანონიერად არის და იგი, ენგალიჩევი, ცენზ. კომიტეტის თავმჯდომარისაგან შენიშვნას არ მიიღებდა, დაიწყო სიცილი და იძახდა—ловко, ловко, очен хорошо! გათავდა იმით, რომ ათი მანათი „ისესხა“.

ლადო აღნიაშვილს და სამსონ ინასარიძეს, რომელნიც ახლო მონაწილეობას იღებდნენ და მშველოდნენ ყაზბეგის სკივრში აღმოჩენილი ნაწერების გარჩევაში, ხშირად დაგვებადებოდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერები ყოფილიყო. მეც და ლადო აღნიაშვილიც საკმაოდ ვიცნობდით ალექსანდრე ყაზბეგს და მისი ნიჭის ავლადიდებას.

ალ. ყაზბეგი გავიცანი „დროების“ რედაქციაში. თეატრშიაც ვხვდებოდი ხოლმე. რამდენჯერმე ჩემთანაც მოსულა. ერთხელ მოვიდა და დიდის ხვეწნით მთხოვდა მეშოვნა იმისათვის მაშინ აღკრძალული მოთხრობა შეეიცერისა, „ემმა“. ვუშოვე.

ჩვენს გარდა შემდეგ სხვა წრეებშიაც ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ყაზბეგის ნაწერების გარშემო. გარდა იმისა, რომ როგორც ზევით იყო ნათქვამი, ალ. ყაზბეგს პირადად ვიცნობდით, სკივრში აღმოჩენილმა ნაწერებმა ჩემი ეჭვი უფრო გააძლიერა. რა სურათს წარმოადგენდა სკივრის შინაარსი?

ა) ყველა დამთავრებული და დაუმთავრებელი მოთხრობები ვარიანტებით დაწერილი იყო ფოსტის დიდი, ერთი ფორმატის და თითქმის ერთი ღირსების ქაღალდის მეოთხედ ფურცლებზე, სიგრძეზე გაჭრილზე, დაწერილი იყო ერთი ხელით, ერთნაირი მელნით. რადგან ალ. ყაზბეგი მოთხრობებს „სწერდა“ ოთხ წელიწადს, ცოტა გასაკვირველია ერთნაირობა ქაღალდისა, თვით წერისა და სხვ., მაშინ როდესაც მისი დრამატიული ნაწერები და ლექსები სხვა ქაღალდზე იყო დაწერილი. ლექსები ცალკე სქელ ყდიან რვეულში გადაწერილი აღმოჩნდა ადამის სარძეველში, რომელიც „სეევრნი ნომრები“-ს ქვეშ იმყოფებოდა და დაწერილი იყო ხელით, რომელიც რამდენადაც მახსოვს თითქო განსხვავდებოდა დაწერილ მოთხრობების ხელისაგან.

ბ) სკივრში აღმოჩენილი მოთხრობები—დამთავრებული, თუ დაუმთავრებელი, ვარიანტებით ყველა გადაწერილი უნდა ყოფილიყო. ეს აიხსნება იმითიც, რომ არსად არც წანაშალი აღმოჩნდა, არც შესწორებული ადგილები. ტემპი წერისა ერთნაირია. თუ წარმოვიდგენთ, რომ დამთავრებული მოთხრობები გადაწერილი ჰქონდა და შავი მოსპო დაწვა, გადააგდო, რაც სრულიად დაუჯერებელია, რადგან ნაჯიჯღნი და ნაწვალები პიესები შენახული იყო,—დაუმთავრებელს ხომ ჯერ დამთავრება სჭირდებოდა! დაუჯერებელია, რომ ქვეყნიერებაზე იყოს ისეთი მწერალი, რომ დაუმთავრებელი მოთხრობები და მისი ვარიანტებიც კი გადაეწეროს. დაუჯერებელია, რომ ვისმეს უშეცდომოთ ეწეროს მოთხრობები ისე, რომ არსად სტილს, გასწორება არ დასჭირებიყოს. ბევრი გამოჩენილი მწერლების ავტოგრაფები გვინახავს და არსად არ შეგ-

ვხვედრია ისეთი ნაწერი, რომ ნასწორები არ იყოს. ალ. ყაზბეგსაც აკი რაც თვითონ უწერია (ლექსები და პიესები) შესწორებული და წამლიერ-ნამოშლილი აქვს.

ვუბრუნდები დაუმთავრებელ მოთხრობების გარეგან სახეს. განა ცხადი არ არის, რომ რაკი მოთხრობა დაუმთავრებელია, მაშასადამე მწერალმა უნდა მოათაოს და მერე გადაწეროს რედაქციისათვის? ამასთანავე, თუ მოთხრობის ვარიანტია დაწერილი, მაშასადამე პირველი ნაწერი თვით ავტორს არ მოეწონა. მაშ სად არის, რა იქნა ის გასაოცარი, ფენომენალური ნიჭი ალექსანდრე ყაზბეგისა, რომელიც მოთხრობებს ჰქმნიდა და „სწერდა პირდაპირ თეთრად“ და ხშირად დაბეჭდილი (გაზეთში) მოთხრობის ბოლოს არც კი წაიკითხავდაო, (ისეთი მეხსიერება ჰქონია!) პირდაპირ გაგრძელებასა სწერდა შეუცდომლათაო. ამ განსაცვიფრებელ ნიჭის პატრონს ალ. ყაზბეგს მოთხრობების გეგმები თავიდან ბოლომდე (უკონსპექტოთ) თურმე მწყობრად ელაგა ტვინის უჯრედებში და შეუცდომლად სწერდა და ამთავრებდა მოთხრობებს, რომლების ბეჭდვა თითქმის განუწყვეტლივ ერთმანერთს მისდევდა.

ალ. ყაზბეგის ასეთი ნიჭი და განსაცვიფრებელი მეხსიერება ყოვლად დაუჯერებელია.

გ) არც სკივრში, არც მის ბინაზე არ აღმოჩენილა არც ერთი ფოთოლი ელგუჯის, მამის მკვლელის და სხვ. მოთხრობათა შორის. მე ვიცოდი „დროების“ მეტრანპაჟისაგან, დიომიდე კილაძისაგან, რომელიც შემდეგ ჩვენ ამხანაგობის სტამბაში მუშაობდა 1888 წლიდან სიკვდილამდე, და რომელსაც მანამდეც კარგად ვიცნობდი, რომ ყაზბეგი ყოველთვის ასე დაწერილს, ამისთანავე ქაღალდზე და შეუსწორებელ ფოთლებს იძლეოდა, როგორიც სკივრში აწყვიაო.

ხშირად რედაქციაშივე სწერდაო. მაგრამ, როდესაც დიომიდეს ვკითხე: შენ როდისმე გინახავს, რომ დასაბეჭდად გაძლევდა სწორეთ იმას, რასაც სწერდა, ამაზე მიპასუხა: აბა სწორეთ რომ ვთქვა არ მინახავს რასა სწერდა, ხანდახან უბიდანაც ამოუღია მზად დაწერილი და გადმოუციაო.

დ) როგორ მოხდა, რომ ალ. ყაზბეგმა ენა, ხელის ცოდნა ინტენსიური შემოქმედების უნარი და ნიჭი გამოიჩინა მხოლოდ დიმ. ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ და ისიც მაშინ, როდესაც უკვე ეტყობოდა ავადმყოფობა, რომელიც 1881 წლიდამ თანდათან ძლიერდებოდა!

1881 წელსვე ალ. ყაზბეგს ეტყობოდა ავადმყოფობა ლუესის ნიადაგზე.

„ბ-ნ კოტე ყიფიანის სიტყვით ყაზბეგი მასთან და ნოდარ ჯორჯაძესთან ერთად დგომის დროს (1881 წ.) ხშირად ასწაპნავდა ხოლმე მათ გროშებს, მიითვისებდა მათ საცვალს და ხელთ გდებულობდა მათ წერილებს, ხშირად ჯერ კიდევ გაუხსნელებს. აწაპვნა იმისა, რაც მას არ ეკუთვნოდა და სხვათა წერილების დაპატრონება ყაზბეგს ბოლომდე გაჰყვა... ეს სნეულება უფრო განვითარდა თანდათან და სხვ.[1]). ეს ის ხანაა აწერილი, როდესაც ბ. დ. კარიჭაშვილის სიტ-

[1]) დ. კარიჭაშვილი. ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია. თხზ. ყაზბეგისა, გამოცემა 1905 წ. ე.) „მოამბის“ პრემია. გვ. XXIX.

ყვით „ფსიხიურის ავადმყოფობის ნიშნები გამოაჩნდა ყაზბეგს ცხადად სწორეთ მაშინ, როდესაც მისმა ნიჭმა უმეტესათ იჩინა შემოქმედებითი ძალა.

რამდენად დასაჯერებელია ეს ზღაპარი—როდესაც ყაზბეგის ნიჭმა უმეტესად იჩინა შემოქმედებითი ძალა მაშინ გამოაჩნდა ფსიხიურის ავადმყოფობის ნიშნები?

ფსიხიატრებმა კარგად იციან, რომ ასეთი შეცდომა შეიძლება დაშობილ იქნას ასეთი ფსიქიური დაავადების დროს როგორიც არის პროგრესიული სიდამბლე.

ყაზბეგის ფსიხიური ავადმყოფობა ჩვენ ყველამ ვიცოდით; ისიც ვიცოდით, რომ ავადმყოფობით გამოწვეული გულმავიწყობა და ლაპარაკის დროს აზრთა არევაც სჭირდა. განა შესაძლებელია ამისთანა ავადმყოფობით შეპყრობილ ტვინის პატრონს გამოეჩინა ის „შემოქმედებითი ნიჭი“, რომლითაც ალ. ყაზბეგმა ისახელა თავი?! ეს ისეთი ფიზიოლოგიური აფსურდია, რომ არა მგონია, ვისაც კარგად აქვს გაცნობილი ალ. ყაზბეგის წარსული, და ვინც კარგად დაუკვირდება ავტორიტეტით ზემოთმოყვანილ აზრს—არ დამეთანხმოს, რომ სწორეთ ამ ავადმყოფობით და „განდიდების მანიით“ შეპყრობილმა ალ. ყაზბეგმა, რომელსაც ბედმა გაულიმა,—იხელთა მარჯვე შემთხვევა და დიმიტრის ნაწერები გადაიტანა თავის ოთახში, გადაწერა, ორგინალები დაწვა და დაიწყო ბეჭდვა სხვისი მოთხრობებისა თავის სახელით. თუ ალ. ყაზბეგი ყოვლად სუსტი მსახიობი და დრამატურგი იყო, სამაგიეროთ ბიძის ნიჭის წყალობით, ის გახდა ნიჭიერი ბელეტრისტი, კარგი ენით დაწერილი მოთხრობების ავტორი (აქაიქ ნაწერებში თუ ჩანს შეუფერებლობა საერთო სტილისა, ეს აიხსნება, ჩემის აზრით, იმით, რომ დიმიტრის მიერ შეტანილი ზოგიერთი შესწორებანი ალ. ყაზბეგს გადაწერის დროს სიჩქარით თუ სხვა მიზეზით ვერ გაურჩევია და თვითონ ჩაურთავს წინადადებანი გაურჩეველ წინადადებათა მაგივრად).

პირველი გამოცემა უბიოგრაფიოთ გამოვიდა. დაბადებულ ეჭვების შემდეგ შევუდექი იმის გამორკვევას, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ჩვენი მოსაზრებანი და ეჭვები. ამისათვის უწინარეს ყოვლისა მე მივმართე ალ. ყაზბეგის მამის დას, რომელიც ალექსანდრესთან ერთად აღზრდილა და კარგად უნდა სცოდნოდა სანდროს წარსული. ეს იყო ალ. ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ, 1904 წლის დამდეგს, როდესაც განვიზრახე ყველა ნაწერების ერთ ტომში დაბეჭდვა და ჟურნ. „მოამბე“—„ცნობის ფუცლის“ ხელის მომწერლებისათვის პრემიად დარიგება. ახლა, ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ, მაინც უნდა დაწერილიყო მისი ბიოგრაფია.

ელისაბედ ყაზბეგი და დიმიტრისა და ალექსანდრეს მამისა, პატივსაცემი განვითარებული და კეთილი ხასიათის მანდილოსანი იყო. პირველი ოთხი ტომის დაბეჭდვის შემდეგ ქ. ელისაბედი რამდენჯერმე იყო ჩვენს დაწესებულებაში და ხშირად, სხვათა შორის, ჩამომიგდია ლაპარაკი სანდრო ყაზბეგის „ავტორობის“ შესახებ. ქ. ელისაბედი პირველში მტკიცეთ მარწმუნებდა, რომ ალექსანდრე უნდა იყოსო, თუმცა მე თვითონ არას დროს არ მინახავს როდის სწერდაო. მაგრამ ერთხელ წამოსცდა ასეთი ფრაზა: ქართველ ერისათვის განა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა განსხვავებაა, ვისი დაწერილიაო? ამის შემდეგ ჩემთვის ცხადი ეყო, რომ ქ. ელისაბედს უნდა სცოდნოდა ალ. ყაზბეგის შესახებ ზოგიერთიც და ჩემს მეგობრებსაც აინტერესებდა. რაკი ამაში დავრწმუნდი ვამჯობინე მე თვითონ მევლო ქ. ელისაბედთან და დაწვრილებით გამეგო ყველაფერი.

პირველ მისვლისთანავე პირდაპირ განვუზიარე ჩემი ეჭვები, და ვთხოვე გადმოეცა ყველაფერი, რაც იცოდა. ქ. ელისაბედმა, ცოტა ყოყმანის შემდეგ, ჯერ სიტყვა ჩამომაროვა, რომ მისი, ქ. ელისაბედის, სიცოცხლის დროს იმის ნათქვამი არსად არ იქნებოდა მოთავსებული და შემდეგ მიამბო დაწვრილებით მთელი ბოროტი საქციელი ალ. ყაზბეგისა. ამიწერა სანდროს ბიოგრაფია, დიმიტრის ბიოგრაფია, უკანასკნელის მოკრძალება, კარჩაკეტილობა, მუშაობა; გარდაცვალება დიმიტრისა, რომლის ოჯახი იმ დროს კავკავში ყოფილა. გადმომცა, რომ დიმიტრის გარდაცვალების დროს ყაზბეგთაგანი მხოლოდ ალექსანდრე ყოფილა იქ. ალექსანდრეს, რომელმაც იცოდა დიმიტრის მუშაობა, (იქნება დიმიტრის წაუკითხავს ალექსანდრესათვის ზოგიერთი ადგილები თავისნ აწერებიდან.) გაუტეხია კლიტე, რომლითაც დიმიტრის დაკეტილი ჰქონია კედლის განჯინა, სადაც თურმე ინახავდა თავის ნაწერებს, გამოულაგებია ნაწერები, ჩაულაგებია სკივრში და გადმოუტანია თავის ოთახში. (ვის უკეტავდა დიმიტრი, ვისი ეშინოდა? იქნება სიცოცხლის დროსვე დაეკარგა რამე ნაწერი? ესეც საფიქრებელია.) ვინა ნახა ეს? აი რას ამბობს ამის შესახებ გ. ნათიძე („მოამბე" 1904 წ. № X) „დიმიტრი ყაზბეგი სწერდა და თავის ნაწერებს ბრთხილად ინახავდა დაკეტილ განჯინაში"... „დიმიტრი ყაზბეგი გარდაიცვალა 1880 წ. ცოლი მისი კავკავში იყო. მასთან (დიმიტრისთან) იყენენ ალიოშკა და პავლე ღუდუშაური. ამ დროს შემოვიდა ალექსანდრე, გააღო დიმიტრის განჯინა, რომელიც ნომრიანის კლიტით იყო დაკეტილი (თუ გატეხა?), გამოიღო ხელნაწერები და ქაღალდები, ზოგი იქვე ფეჩში დასწვა, ზოგი თან წაიღო".

ამის შემდეგ თურმე სანდრო თავის ოთახიდან არ გამოდიოდაო, როგორც უამბნიათ მეზობლებს ქ. ელისაბედისათვის. რას აკეთებდა სანდრო თავის ბინაზე, როდესაც მიჩვეული არ იყო შინ ჯდომას? მუშაობდა. საჩქაროდ უნდა გადაეწერა, ორიგინალები დაეწვა, რომ არავის მოესწრო ამ საგმირო საქციელისათვის. გადაწერილი ჩაალაგა იმავე სკივრში, რომლითაც დიმიტრის ნაწერები გადაიტანა თავის ოთახში, და სკივრიანათ გამოსწია ტფილისისაკენ. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ სკივრით მიიღო ამხანაგობამ ნაწერები და სხვა ქაღალდები, რომლებიც შეეხებოდა ალ. ყაზბეგის „საქმიანობას".

ქ. ელისაბედი ჩიოდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მე რამდენჯერმე მივწერე სტ.-წმინდაში დიმიტრის ნაწერები ლუქით დაბეჭდეთ და ჩემს მოსვლამდე შეინახეთ მეთქი, ჩემი განკარგულება სანდრომ დაარღვიაო.

ალ. ყაზბეგს „იქვე ფეჩში" რა დაეწვია? ქ. ელისაბედის სიტყვით და სხვათა ცნობებიდანაც სჩანს, რომ დიმ. ყაზბეგი აგროვებდა ხევში ხალხის სიტყვიერ ნაწარმოებს, ჩვეულებებს და სხვ. ყველა ეს გაქრა. დიმ. ყაზბეგის მიერ შეგროვილი მასალები სახალხო სიტყვიერებისა არც ერთი სტრიქონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარსად არ აღმოჩნდა; რამდენადაც ვიცით არ აღმოჩნდა ეარ ერთი სტრიქონი მისი ნაწერისა.

ამის შემდეგ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ალ. ყაზბეგმა გადაწერა მოთხრობები დამთავრებულიც, დაუმთავრებელიც და ვარიანტებიც, ხოლო დიმიტრის ნაწერები დასწვა, გააუქმა ის მასალაც კი, რაც შეგროვილი ჰქონდა ხევში. ამ ვანდალიზმის ჩადენა ჭკუათა მყოფელს „მწერალს“ არ შეეძლო...

* * *

რას წარმოადგენდენ ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგნი? ქ. ელისაბედის სიტყვით და იმ ცნობებით, რომელიც შეგროვილი იყო აღმოჩნდა შემდეგი:

ალექსანდრე თბილისში ცოტა ხანს სწავლობდა, ისიც სუსტად. იძულებული იყო სწავლისათვის თავი დაენებებინა. ხეტიალის შემდეგ სტეფან-წმინდაში სამიკიტნო დუქანი გახსნა და დახლში იდგა, ვაჭრობდა. მიკიტნობაშივე უზნეოდ იქცეოდა; ყოველთვის შარი, უსიამოვნება ჰქონდა. ვაჭრობაშიაც ვერ გამოიჩინა ფხა და წავიდა რუსეთში, ვითომ სწავლისათვის. რუსეთში ჰფლანგავდა ფულს გარყვნილობაში და საძაგლობაში. როდესაც ფული შემოელია და დედა ველარას უგზავნიდა,—დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო კავკავის გზაზე „ფოდრათების“ აღება. შედეგები ამ „ფოდრაჩიკობისა“ სხვადასხვა საჩივრებში და სხვ. გამოიხატა. საქმეები აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა. სასამართლოებში დადიოდა.

რუსეთიდან თან მოიტანა სწავლისა და ცოდნის მაგივრად საძაგელი ავადმყოფობა—ლუესი, რომელმაც სწრაფად მოუღო ბოლო ჯერ მის წესიერ აზროვნებას და შემდეგ მის სიცოცხლესაც.

დიმიტრი ყაზბეგი თბილისში სწავლის გათავების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში და გერმანიაში, სადაც სწავლა დაამთავრა 1865 წ. დიმიტრი რუსეთში შეერია იმ ახალგაზრდათა წრეებში, რომელნიც უახლოვდებოდნენ ხალხს და გამსჭვალულნი იყვნენ ემუშავნათ და მუშაობდნენ კიდეც მათი სოციალური მდგომარეობათა გასაუმჯობესებლად და სხვ. დიმიტრი დაბრუნდა სამშობლოში განათლებული, განვითარებული. ცხვრობდა სტ.-წმინდაში, საიდამაც დადიოდა მთაში, მთიულთა ცხოვრების შესასწავლად, შესასწავლად მათი ზნე-ჩვეულებათა, ჭირ-ვარამისა. ამით არ კმაყოფილდებოდა. სტეფან-წმინდაში მოსულ მოხეველებთანაც ჰქონდა ხოლმე საუბარი. სტეფან-წმინდის სკოლის გახსნას შეუწყო ხელი...

ერთის მხრივ სკოლა,—მეორეს მხრივ სამიკიტნო!..

ერთის მხრივ (დიმიტრი) ხალხთან დაახლოვება, მათთვის ზრუნვა და მუშაობა,—მეორეს მხრივ (ალექსანდრე) „ფოდრაჩიკობა“ და მუშა ხალხის გაყვლეფა.

ერთის მხრივ საღი, ჯანმრთელი, განათლებული, მომზადებული,—მეორეს მხრივ ავადმყოფი ტვინის პატრონი, ქარაფშუტა, ფუქსავატი, კლეპტომანი.

* * *

ქ. ელისაბედის ნაამბობის შემდეგ პირადად მე და ზოგიერთ ჩემს მეგობრებს ეჭვიც კი აღარ გვქონდა, რომ მოთხრობების ავტორი იყო დიმიტრი, ხო-

ლო უშინაარსო ლექსების და პიესებისა – ალექსანდრე. თუ ზოგიერთნი ამის შემდეგაც მაინც ყოყმანობდნენ, ეს გამოწვეული იყო „მნახველთა“ და „დამსწრეთა“ სიტყვებით, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ყაზბეგი (ალექს.) სწერდა იმათ თვალწინ. მაგრამ არც ერთს არ უნახავს თუ რასა სწერდა. ვერ იტყვიან, რომ იმას შინიდან ჯიბით და უბით არ მოჰქონდა მზად გადაწერილი, რომ რედაქციაში ის სხვა უმნიშვნელო მუშაობას არ აწარმოებდა სხვების თვალების ასახვევად. მეც მინახავს სანდრო „დროების“ რედაქციაში, მაგიდის ბოლოში მიმჯდარი, თავდახრილი, მოფარებით რიღაცის მწერავი. მაგრამ როგორც მე, ისე სხვებს არ უნახავთ რასა სწერდა რედაქციაში. ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ სანდრო ყაზბეგს, რომელსაც მაშინ ტვინში და ძარღვებში უკვე დავლილი და გამჯდარი ჰქონდა ლუესის შხამი და დაწყობილი ჰქონდა პროგრესიული სიდამპლე, შესძლებდა იმ „ხმაურობაში“ თეთრად, შეუცდომლად, გაუსწორებლივ წყობრად ეწერა მოთხრობები, რომლების შინაარსმა, ენამ, შემოქმედების ნიჭმა და ძალამ გააკვირვა ყველა ჩვენი განთქმული მწერალნი და მოღვაწენი.

ალ. ყაზბეგს ლექსების შესათხზველად ლექსიკონიდან ცალკე ამოწერილი ჰქონდა (ეს მის რვეულებში იყო) რამდენიმე გვერდზე სიტყვები სხვადასხვა დაბოლოებით, რომ რითმისათვის გამოსდგომოდა. რატომ ლექსების წერაში არ ადგებოდა ენის სიმდიდრე, რომელიც მოთხრობების წერაში გამოიჩინა, ან ფენომენალური მეხსიერება! (მე არ ვამბობ ნიჭზე. შეიძლება მოთხრობების მწერალს ლექსის წერის ნიჭი არა ჰქონდეს და წინააღმდეგ).

* * *

ზევით (ჩემ მოგონებათა დასაწყისში) მქონდა ნათქვამი, რომ ტფილისში არსებული საიდუმლო წრის დავალებით ქუთაისში წავედი ზოგიერთ პირებთან მოსალაპარაკებლად. გიორგი წერეთელმა მომცა წერილი თავის ახლო ნათესავთან, რომ რამდენიმე დღით მოეცათ ჩემთვის ბინა. როგორც საზოგადოთ ქუთაისში იცოდნენ ხოლმე, დიდის სიამოვნებით მიმიღეს და გამიმასპინძლდენ.

პირველ დღესვე ვახშამზე ჩამოვარდა ლაპარაკი ქართულ ლიტერატურაზე, ჩვენს ბელეტრისტებზე და სხვ. დიასახლისი განათლებული და ფრიად განვითარებული, შეეხო სხვათა შორის, ერთი ჩვენი მწერლის მოთხრობებს და სთქვა: იმის ნაწერების გამო სიმართლის გამომჟღავნება უხერხულია, საზოგადოებაში მას პატივსა სცემენო, და სხვ., თორემ მისი ზოგიერთი მოთხრობა რუსულიდან არის გადმოქართულებულიო. რუსული მოთხრობები იბეჭდებოდა მცირემნიშვნელოვან კვირეულ რუსეთის ნახატებიან ჟურნალში, რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელშიო. როდესაც ვუპასუხე, რომ საჭიროა გამომჟღავნება სხვების გასაფრთხილებლად მეთქი, ამაზე გულკეთილად მითხრა: ეგონოს ხალხს რომ მისი (N) ნაწერებია. ხალხი კითხულობს, მისთვის ხომ სულ ერთია ვისი დაწერილიაო.

მანამ ჩემ მოგონებათა წერას დავიწყებდი და სხვათა შორის ალ. ყაზბეგის შესახებაც, ერთ ჩემს კარგ ნაცნობთან ჩამოვარდა ლაპარაკი ყაზბეგზე. ამ პატივცემულმა პირმაც ალ. ყაზბეგის შესახებ დაახლოვებით იგივე მითხრა, რაც

ქუთათელმა მანდილოსანმა: ქართველ ერს დაგვებადა ნიჭიერი მწერალი, ავტორი „ელგუჯასი", „მამის მკვლელისა" და სხვ. გვარი მისი ~~ყარა ყაზბეგი~~, რომელი იყო—ალექსანდრე თუ დიმიტრი, ხალხის თვალში რა განსხვავებას შეადგენსო.

ეს აზრი იქნება გულკეთილობისა და ნამეტანი ლმობიერების ნაყოფი იყოს, მაგრამ ამგვარ მოვლენას ასე არ უნდა ვუყურებდეთ. ეს სულ ერთი არ არის ქართული ლიტერატურის მემატიანესათვის, ლიტერატურის ისტორიის მწერლისათვის, ეპოქის, ხალხის განათლების, განვითარების დასახასიათებლად და გასაშუქებლად. გარდა ამისა ამისთანა მოქმედებას თავის სახელი უნდა დაერქვას. ქართველმა ერმა ღირსეული პატივისცემა უნდა მიუძღვნას ნამდვილ ავტორს. ეს იქნება სამართლიანი დაფასება ქართველ ერისაგან განსვენებული დიმიტრის ნიჭისა და გაფრთხილება ყველა იმათი, ვინც კვლავ განიძრახავს ამნაირივე საქციელს. ლიტერატურაში ალექსანდრე ყაზბეგს დარჩება კვალი თავისი პიესებით. ქართველმა საზოგადოებამ შესაფერი ძეგლი უნდა დაადგას დიმიტრის საფლავს და მისი ნაწერები მისივე სახელით ცალკე უნდა გამოსცეს.

ეს უნდა ითაოს ქართულ მწერალთა კავშირმა, ამანვე უნდა ითაოს დიმიტრის ავტორობის ოფიციალურად აღიარება. თუ მაინც და მაინც არსებობს რაიმე ეჭვი—საჭიროა მწერალთა კავშირმავე ითავოს სიმართლის გამორკვევა, რისთვისაც დაარსოს კომისია ლიტერატურის საუკეთესო მცოდნეთა, იურისტებისა და ფსიხიატრებისაგან შემდგარი, რომელნიც არსებულ მასალას გაეცნობიან და გამოიტანენ შესაფერ დადგენილებას.

# ბიბლიოგრაფია

**ნიკო ლორთქიფანიძე.—„მრისხანე ბატონი“.** გამომცემლობა „შრომა“, 1927 წ. გვ. 100. ფასი 40 კაპ.

სიმართლე პირდაპირ უნდა ითქვას: უსათუოდ დიდი ხელოვანია ნიკო ლორთქიფანიძე. ამ კაცს აქვს მხატვრული ალღო, მხატვრული — შემომქმედის ძლიერი (უეჭველათ ძლიერი) ინტუიცია. მან არ იცის „სიტყვის კრიზისი“. მდიდარია მისი სიტყვის მარაგი, კალამი მთლიანად ემორჩილება მას. იგი ბატონია საკუთარ კალმის.

დაწურულია მისი მოთხრობა. კარგია მისი სტილი, გადმოცემა. მრავალფეროვანია მისი მხატვრული ტილო. არაა ზედმეტი სიტყვა. წყალი არ იცის ლორთქიფანიძემ. თავიდან ბოლომდე სჩანს ხელოვან ოსტატის მძლავრი კუნთები და კალმის მარჯვე ტრიალი.

არც ისე ღარიბია ჩვენი ლიტერატურა ბელეტრისტებით. ზოგი უკვე აცოცდა იალბუზის მწვერვალზე. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძე ჯერ კიდევ მრავალთაოვის გამოდგება მასწავლებლად, რასაკვირველია ნამდვილ ოსტატ ხელოვანის თვალსაზრისით.

ეს ერთი მხარეა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების. სამწუხაროდ აქ თავდება ლორთქიფანიძე, ამას იქით გზა არა აქვს მას. ქვევით თუ ვიტყვით რასმე,—უსათუოდ ცუდს და უარყოფითს.

კითხულობ ლორთქიფანიძეს და ფიქრობ: რათ დაიბადა ეს მწერალი მეოცე საუკუნეში! XII—XVIII საუკუნეა მისი დრო, მისი სამშობლო. მისი არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები არც ერთი გმირი არ სცილდება ვახუშტისა და ერეკლეს ეპოქას. ხშირად უფრო შორს მიდიან ნიკო ლორთქიფანიძის გმირები. ფეოდალურ საქართველოს ზედაპირი მთლიანადაა მოცემული მის შემოქმედების სარკეში.

ნ. ლორთქიფანიძის საყვარელი გმირებია თავადები და თავადის ასულები. ამ გმირების გამოსახვაში პარნასის მწვერვალს აღწევს ლორთქიფანიძის მხატვრული ინტუიცია. ავტორი იძლევა ქართველ ფეოდალების ტიპებს, მათ „რაინდულ“ ცხოვრებას, მათ „მე“-ს. ლორთქიფანიძე სწვდება ფეოდალურ საქართველოს მაღალ საზოგადოების სულის სიღრმეს, იძირება ამ სიღრმეში, გატაცებით აქანდაკებს ამ საზოგადოების წვრილმანებსაც კი.

რასაკვირველია, ყველას აქვს ისტორიულ საქართველოზე წერის უფლება. საჭიროცაა ფეოდალურ საზოგადოებრიობის გამოხატვა მხატვრულ ნაწარმოებში. ნიკო ლორთქიფანიძე აქ „დროულია“. ავტორიც განსაკუთრებულ სიძლიერით იძლევა ფეოდალიზმის რაინდებს, მათ ფსიხოლოგიას, ზნეს, ადათს და ჩვეულებას. მაგრამ ეს საკმარისი არაა. ეს არის ნამდვილი ცალმხრივობა. ცალმხრივია (თუ არ ვიტყვით — ტენდენციურია) ნიკო ლორთქიფანიძის მთელი მხატვრული შემოქმედება.

ამიტომაც ვსთქვით ჩვენ — ნიკო ლორთქიფანიძე წარსულს ეკუთვნის, ის ისტორიულ საქართველოს მოტრფიალეა. მისი თითოეული სტრიქონი, ლამაზი გამოთქმა ძველი საქართველოს ნანგრევებზე წარმოთქმული სევდიანი სიტყვებია. ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებში ჩვენ ვერ ვგრძნობთ სითბოს და სიხარულს. ავტორის უჩინარი სევდა და მოჩვენებითი სიხარული აჯადოებს გამოუცდელ მკითხველს და მას წარსულის იდიალიზაციისაკენ მიაქანებს.

ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებში არის ბრძოლა, საზოგადოთ, მისი გმირები ბრძოლისა და რაინდული ვაჟკაცობის ხალხია. ასეთია ამ ბრძოლის შინაარსი: ერთი თავადი ინტროგის ქსელში ახვევს მეორეს. იმართება დაუსრულებელი შუღლი, ინტრიგა და ხმლის ტრიალი.

გულუბრყვილო მკითხველის თანაგრძნობა ხან ერთ „მებრძოლის“ მხარეზ ა, ხან—მეორის. ასეთმა მკითხველმა ხშირად არც კი იცის, რომ მას ხელიდან ეცლება სალი გონების სადავეები და ავტორი მას ავტომატიურად მიაქანებს მისი რეალურ ინტერესების, განწყობილებისა და შეხედულებათა სისტემის წინააღმდეგი მიმართულებით. ამაშია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების სიძლიერე. ამაშია გულუბრყვილო, გამოუცდელი მკითხველის უბედურება. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების „ბედნიერება“ ამ უბედურებაზეა აგებული.

„მრისხანე ბატონი“ 1911 წელსაა დაწერილი. ეს ნაწარმოები საუცხოო ილიუსტრაციაა ყოველივე იმისა, რაც ზემოთ ითქვა. მხატვრის მტკიცე ხელი სჩანს ამ ნაწარმოების თვითოეულ სტრიქონში. ავტორიც გამოდის გამარჯვებული. ის განსაკუთრებული ინტერესით იკითხება. ამ ინტერესს ავტორი მოხერხებულად იყენებს და თავის საყარგებლო ატმოსფერას ჰქმნის, ბურუსის კორიანტელს აყენებს და ამ კორიანტელში ახვევს მოჯადოებულ მკითხველს. საკმარისია წიგნი წაიკითხოთ, სალი გონების სიომ ოდნავ დაჰბეროს და... მოჩვენებასავით გაჰქრება ავტორის ჯადოქრული გავლენა, მიმზიდველი შთაბეჭდილება.

სიტყვის ოსტატია ნიკო ლორთქიფანიძე. და ეს ოსტატობა განსაკუთრებით ძლიერია, თუ სიტყვის მასალა ძ ვ ე ლ ი ა, ზორეული ისტორიული. ავტორი დახელოვნებულია ძველ ფონეტიკის, გრამატიკის, სტილისა და გადმოცემის ცოდნაში. პაატა ბატონიშვილისათვის საამო და ტკბილი ენაწყლიანობა სიძნელეს არ წარმოადგენს ჩვენი დროის მწერალ ნიკო ლორთქიფანიძისათვის, თუ გნებავთ, ამაშია მისი სიძლიერის საიდუმლოება.

ნიკო ლორთქიფანიძესათვის არ არსებობს ფეოდალურ წარსულის ძირითადი მასსა—ყურმოჭრილები, ჩაგრულები, ტანჯულები. აქა-იქ არის მათ შესახებ ლაპარაკი გაკვრით, თვალის გადავლებით, იძულებით, დაწეულ გრძნობით, უხალისოთ. „მრისხანე ბატონში“ ჩვენ ვხვდებით არა მარტო მრისხანე ბატონ ლევანს. არა. მრისხანე ბატონები იყვნენს და განა ნიკო ლორთქიფანიძეს შეუძლია ყორნების გათეთრება? სამაგიეროთ ავტორი, ზოგიერთ შემთხვევაში, ფეოდალის სრულ იდეალიზაციამდე მიდის—შეიძლება შეუგნებლად და თვალდახუჭულად. აი ბატონისა და მის ხელქვეთს შორის გამართული დიალოგი:

— იცი რა, ზალიკა, [illegible] ეს ბიჭი ხუთი ბიჭი წაიყვანე, გზას გამოიკვლევენ, თვარა ძნელია ამ მაღალ თოვლში გატნევა. რაც მოსახლე ნახო, ყველა გამოიწვიე, ვისაც ღომი და ჭადის-ჭადი ექნეს, წაიღე მთაში და დაუყარეთ ჩაფლულ ირმებს.

— ნუ გამირისხდები, ბატონო, ეს არ მართებს სოფლელებს!

სჩანს, აქ ისმება სოციალური პრობლემა. სოფელს უბრალო მჭადი არ აქვს და ჭადის-ჭადით კი თოვლში ჩაფლული ირმები უნდა გამოკვებოს. აუტანელია ხომ ბატონის მრისხანება? მაგრამ...

— არა! წესათ არ შემომაქვს!—დამეხმაროთ ორ წილათ დაგიბრუნებთ: ყველას განთავისუფლებ სამი წლით ღომის, ჭადის ჭადის და ჩალის გადასახადისაგან. თქვენს ეკლესიას ხარი სჭირდება, იმასაც მე გამოგიგზავნით.

— გადდეგრძელა ღმერთმა!

ვფიქრობთ, განმარტება საჭიროა არაა. მკითხველისათვის აშკარაა და ნათელი, თუ სანამ მიდის ავტორის „გაქანება“, რამდენათ ცხოველმყოფელია ავტორის მხატვრულ შემეცნებაში „გულკეთილ ბატონის“ იდეალიზაციის რეალური ნიშნები...

ნიკო ლორთქიფანიძე თანამედროვეობის მწერალი არ არის. მართალია ძველათ დაწერილ „არა-ისტორიულ მოთხრობის“ ეხლა გასაღებას როგორღაც ახერხებს, მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენაა. შემთხვევა კი იმიტომაა შემთხვევა, რომ მას წესთან არაფერი აქვს საერთო. აქ დაისმება კიდევაც საბედისწერო საკითხი ნიკო ლორთქიფანიძის ტიპის მწერალისათვის: ან ეპოქასთან—ან ეპოქის წინააღმდეგ. უკანასკნელი გზით ხეტიალი სახიფათოა და გამანადგურებელი.

ნუ თუ ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული შემოქმედება უნდა განადგურდეს, დაიღუპოს? ნუ თუ ეს მწერალი ამ საბედისწერო გზას დაადგება, სიკვდილისა და მოსპობის ბილიკს გაჰყვება? გრიშაშვილების ბედი ხომ არ ატუზულა ნიკო ლორთქიფანიძის საწერ მაგიდის წინაშე? ეს ფაქტი, ალბად, საზარალო იქნება ხელოვნურ ლიტერატურისათვის, მაგრამ ნიანგის ცრემლებს არავინ გადმოღვრის...

**გ.—ლი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „БОЛЬШЕВИК"—ს.კ.პ.(ბ) ცეკას ორკვირეული პოლიტიკურ-ეკონომიური ჟურნალი. № I. 1928 წ.

საბჭოთა კავშირში არსებულ მრავალ ჟურნალთა შორის ჟურნალ „ბოლშევიკს" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. „ბოლშევიკი" არ არის ვიწრო პარტიული და არც სპეციალურ ეკონომიური ხასიათის ჟურნალი. ის არც მასიურ-პოპულიარული ორგანოა. ჟურნალი ი

ტორი ჯერ დაწვრილებით იხილავს ამერიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას, მის ტემპს 1840 წლებიდან უკანასკნელ ომამდე, აღნიშნავს ძველი, ჩქარი ტემპის საგრძნობ შენელებას. ავტორი სვამს საკითხს, შესაძლებელია თუ არა საბჭოთა კავშირის განვითარების ზე-ამერიკული ტემპი და დაასკვნის, რომ საბჭოთა კავშირს თავის ბუნებრივ სიმდიდრეთა და არსებულ სოციალურ წყობის მეოხებით აქვს ბევრად მეტი უპირატესობა სწრაფი ზრდისა, ვინემ ეს ჰქონდა თავის დროზე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპასთან შედარებით. წერილის უკანასკნელ ნაწილში ავტორი იხილავს პარტიასა და ოპოზიციას შორის არსებულ სადაო ეკონომიურ საკითხებს.

ამავე ნომერში მოთავსებულია იოფეს წერილი ტროცკისადმი და ამხ. იაროსლავსკის კრიტიკა, ამხ. იოფესი, როგორც „დაცემულობის ფილოსოფიის“ წარმომადგენლისა. ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში აღსანიშნავია „კრიტიკული შენიშვნები“ კარმოვიტოვის, რომელიც წარმოადგენს ლ ე ო ნ ტ ი ე ვ ი ს და ხ მ ე ლ ნ ი ც კ ა ი ა ს წიგნის „გარდამავალი ეკონომიკის მიმოხილვის“ ღრმა და სერიოზულ კრიტიკას.

„ბოლშევიკი“-ს № 1 საგულისხმოა ბ. ბ-ი ნ ი ს წერილი „მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობა“. ავტორი ეხება მსოფლიო სამეურნეო კონიუნქტურას და ჩერდება სტაბილიზაციის პროცესებზე, რომელთაც აქვთ ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში და რომელიც ავტორის შეხედულებით დღეს უკვე უდაო ფაქტია. ამის დასამტკიცებლად მას მოყავს სტაბილიზაციის მაჩვენებლები წარმოების და ექსპორტ-იმპორტის დარგიდან. ავტორს განსაკუთრებით აინტერესებს იმის გამორკვევა, თუ რა როლს თამაშობს მსოფლიო მეურნეობის სტაბილიზაციის და ზრდის ტენდენციაში ევროპის ეკონომიური კონიუნქტურა. ევროპის ქვეყნებიდან ავტორი საჭიროდ ნახულობს გერმანიის ეკონომიური ვითარების განხილვას და სტაბილიზაციურ პროცესის გამორკვევას გერმანიის მაგალითზე.

ავტორი კითხულობს, თუ როგორ შესძლო გერმანიამ, რომელიც ომის შემდგომმა ისტორიამ პროლეტარული რევოლიუციის წინაშე დააყენა 1923 წელს, შედგომა ეკონომიური აღორძინების გზაზე. შეცდა—ლაპარაკობს ავტორი,—მრავალი ამხანაგი, რომელნიც წინასწარმეტყველებდენ გერმანიის კონიუნქტურის გამოუვალ მდგომარეობას, დაუესის გეგმის „აბსოლიუტურ განუზორციელებლობას“ და სხვას „პირიქით—ლაპარაკობს ავტორი—გერმანიის კაპიტალიზმის მაგალითმა დაადასტურა მხოლოდ ის ერთად ერთი სწორი შეხედულება, რომ მანამ, სანამ კაპიტალიზმი არ არის დანარცხებული პროლეტარიატის მიერ, მას არ შეუძლია არ განაგითაროს მასში არსებული თავდაცვის ძალები“.

გერმანიის კაპიტალიზმის განვითარებაში უკანასკნელ წლებში გადამწყვეტი როლი ითამაშა „კაპიტალისტურ და მონოპოლისტურ ხელოვნებით გატარებულმა რაციონალიზაციამ“. ეგრამ გერმანიის კონიუნქტურა დამყარებულია შინაურ ბაზარზე, რადგან ბაზრებს ის დღემდე მოკლებულია და საგარეო ბაზრების პრობლემა გერმანიის წინაშე მეტად მწვავეთ სდგას.

ამხ. ლეონტიევი თავის წერილში „ს.ს.რ.კ. სამეურნეო პერსპექტივები მრუდე სარკეში“ ეხება ჩვენი მეურნეობის ტემპის და დაგროვების საკითხს. უნდა გვახსოვდეს ლაპარაკობს ავტორი—რომ საგეგმო კომისიის მიერ გამოქვეყნებული „ხუთწლედის პროექტი“ არის შედარებითი პერსპექტიული გეგმა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ არის დასრულებული სახის და საჭიროებს მრავალმხრივ შესწორებებს. ამიტომ იყო, რომ ცეკამ უარყო ამ პროექტის წარდგენა პარტიული ყრილობისათვის როგორც ხუთწლედის რაიმე სახის ზუსტი რაოდენობითი ვარიანტისა. მაგრამ ამ შემთხვევაში—ავტორის თქმით, მნიშვნელობა აქვს მაინც ეკონომიური პოლიტიკის თვისობრივ მხარეების ჯამორკვევას.

ამავე წერილში ამხ. ლეონტიევი საჭიროდ ნახულობს გააცნოს მკითხველს ბურჟუაზიული პროფესორების დამოკიდებულება საგეგმო კომისიის ხუთწლედისადმი და ამ პროფესორის პოლემიკა ხუთწლედში აღძრულ ცალკე საკითხების ირგვლივ. ბურჟუაზიულ პროფესორთა პოლემიკა — ლაპარაკობს ამხ. ლეონტიევი— წარმოადგენს მთლიანად აღებული ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების ბურჟუაზიულ პროგრამას. კრიტიკოსები — ამხ. ლეონტიევის თქმით—განსაკუთრებით ეხები ნ ეკონომიური პოლიტიკის ძირითად ხაზს—სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის საკითხებს. „ხუთწლიანი გეგმის დასახული ტემპი, ეჩვენება მათ თითქმის ფანტასტიურად, სრულიად არა შეფარდებულათ ჩვენი ქვეყნის ძლიერებასთან,

გადამეტებულათ, არარეალურად და განუხორციელებლად". ჩვენ ამ შემთხვევაში—ლაპარაკობს ამბ. ლეონტიევი,—საქმე გვაქვს არა უბრალო განწყობილებებთან, არამედ კლასიურ პოლიტიკურ ტენდენციასთან. ბურჟუაზიულ პროფესორთა ასეთი შეფასება გამომდინარეობს იქედან, რომ მრავალი მათგანი არ სცნობს ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ უპირატესობათ კაპიტალიზმთან შედარებით: ესაა სწორედ მათი ყალბი მსჯელობის ფუმთავრესი კრიტერიუმი.

ამბ. მ. ბრუდნი ეხება მემარჯვენე და მემარცხენე გადახრას, მათი ერთმანეთისაგან განსხვავების და მათი მეტი საშიშროების საკითხს. ხშირად ავტორის თქმით ძნელდება ამ ორი სახის გადახრის ერთმანეთისაგან გარჩევა და ძნელდება პასუხი საკითხზე—თუ რომელია უფრო საშიში, რომელს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. ხაზი უნდა გაესვას იმას,—ლაპარაკობს ავტორი—არავითარი კონკრეტული განსაზღვრა მემარჯვენე და მემარცხენე გადახრისა ყველა დროისთვის არ არსებობს. „მემარჯვენე და მემარცხენე გადახრის ზოგადი განმარტება ჩვენს დროს შესაძლებელია, მხოლოდ ლენინურ დიალექტიკის საფუძვლებზე დაყრდნობით. მემარჯვენე და მემარცხენე გადახრა არის ნამდვილად უარისთქმა პროლეტარიატის დიქტატურისთვის ბრძოლაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საჭირო ფორმების გამოყენებაზე ან კიდეე სხვადასხვა ფორმათა შორის არსებულ ურთიერთობების არა სწორი შეფასება. ამავე დროს მემარჯვენე გადახრა გამომდინარეობს წარსულის ფორმებისადმი „მიკერძოებისაგან", ხოლო მემარცხენე გადახრა—მომავლის ფორმებისადმი" (ავ. 29).

საერთოდ კი—ლაპარაკობს ავტორი—პარტია ყოველ მოცემულ მომენტში უნდა იბრძოდეს ყველაზე უფრო იმ გადახრის წინააღმდეგ, რომელიც თავისი ძალით ან „უკლონიზმის" ხარისხით წარმოადგენს ყველაზე მეტ საფრთხეს პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

ამბ. ალექსანდროვი ამავე ნომერში ეხება სოფლად პარტიული მუშაობის მორიგ ამოცანებს და ამბ. სლეპკოვი—კონტრევოლიუციასთან მებრძოლ საგანგებო ორგანოების ისტორიულ როლს.

მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს პირველ ნომერში დისკუსია ნაციონალურ საკითხის შესახებ. რედაქცია ათავსებს ამბ. სადვოკასოვის წერილს „ეროვნებებისა და ნაციონალების" შესახებ და აქვე ამბ. ტაბოლოვის საპასუხო წერილს. ამბ. სადვოკასოვი იმ აზრს ატარებს თავის წერილში, რომ ვიფიქროთ—არ ტარდება ცხოვრებაში XII პარტიული ... დადგენილება ნაციონალურ საკითხში. ნაციონალური საკითხის გაუტარებლობას ის მიაწერს როგორც ცენტრს ისე ნაციონალურ რესპუბლიკებში მოღუშავე ხელმძღვანელ ამხანაგებს. ავტორი ლაპარაკობს, რომ არ ხდება განაპირა მხარეებია (ნაციონალურ რესპუბლიკების და ოლქების) ინდუსტრიალიზაცია, ნაციონალური სოფელი არ მიიწევს ამის გამო სოციალიზმისაკენ და რომ უვარგისია პარტიული ხელმძღვანელობა ნაციონალურ რესპუბლიკებში. სადვოკასოვის ასეთ ნაციონალისტურ გამოლაშქრებას უპასუხებს ამბ. ტაბოლოვი, რომელიც სადვოკასოვის მიერ წამოყენებულ დებულებებს უწოდებს ნაციონალური დემოკრატიის პროგრამას, მცირე ეროვნებათა ნაციონალიზმს, რომლის წარმომადგენელი იყო და არის ნაციონალურ რესპუბლიკების ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ამბ. სადვოკასოვი კი სწორედ ამ ნაციონალისტური ინტელიგენციის გავლენის ქვეშ არის მოქცეული.

სადვოკასოვის მთელი არგუმენტაცია იქეთკენ არის მიმართული, რომ ის შესაძლებლად და მიზანშეწონილად სცნობს მსოფლიო მეურნეობის პირობებში კარჩაკეტილ ნაციონ. მეურნეობის შექმნას. სადვოკისოვს მეორეს მხრივ არ ესმის ამბ. ტაბოლოვის სიტყვით, რომ ერთია საბჭოთა კავშირის, როგორც ერთი სამეურნეო ორგანიზმის დამოკიდებულება დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოსთან, საბჭოთა კავშირის ყოფნა კაპიტალისტურ ეკონომიკის გარემოცვაში და მეორეა ესა თუ ის ნაციონალური რესპუბლიკა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.

ინდუსტრიალიზაცია—ამბობს ამბ. ტაბოლოვი—არ უნდა გავიგოთ, როგორც სამეურნეო უნივერსალიზმი, ე. ი. მეურნეობის ყოველგვარი დარგების განვითარება იმის მიუხედავათ, არი თუ არა ეს მიზანშეწონილი საკავშირო ს. ხალხო მეურნეობის საერთო ინტ ერესებთან დაუკავშირებლად.

ასეთია მოკლედ „ბოლშევიკი"-ს პირველი ნომ-ის მთავარი წერილების დედა-აზრი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალი „ბოლშევიკი" საკმაოდ გავრცელებული ჟურნალია საქართველოშიც და ამიტომ ის დიდ დახმარებას უწევს პარტიულ აქტივს ლენინიზმის ძირითად პრინციპების შეთვისებაში და მთელ რიგ რთულ სოციალურ და ეკონომიურ პრობლემების გარკვევაში.

**დ. გვაზავა.**

## „საბჭოთა სამართალი“—ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორკვირეული ორგანო.

ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან იწყო გამოსვლა იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ორკვირეულმა ჟურნალმა „საბჭოთა სამართალმა“. ორი პირველი ნომერი უკვე გამოვიდა.

ასეთი ჟურნალის გამოცემამ შეავსო ის ნაკლი, რომელიც დღემდე არსებობდა სამართლის დარგში.

ცხოვრების ახალი სოციალური პირობების შექმნის დროს, სამართლის სფერო ყველაზე უფრო მოძრაკი, ცოცხალი და შემოქმედებითია: სოციალური მოვლენები ჩამოყალიბებულ უნდა იქნენ უფლებრივ ნორმებში, მათ გარკვევით უნდა განსაზღვრონ უფლებრივი დამოკიდებულება ნივთს და პიროვნებას, პიროვნებას და საზოგადოებას, საზოგადოებას და სახელმწიფოს, სახელმწიფოს და კლასს შორის. ამიტომ ასეთ ხანაში სამართალი აქტუალური მოვლენაა; იურიდიული აზროვნება ასეთ პირობებში უაღრეს ინტენსიობას განიცდის: იცემა დეკრეტები, დადგენილებები, კანონები, დებულებები, კოდექსები და სხვადასხვა ეპოქის გამომსახველი აქტები, რომლის შექმნა-დამუშავებაზე მუშაობს უფლებრივი აზროვნება.

გარეგნულად ჩვენში, ეს ვითომ ასე არ იყო; აქ ვითომ იურიდიული აზროვნება დამბლა დაცემული იყო, ის არ სჩანდა, თუ არა სათანადო საკანონმდებლო აქტების ჩამოყალიბებაში. ჩვენში არ იყო ორგანო, რომელიც გამოხატავდა უფლებრივი აზროვნების ტემპს, თანამედროვე ურთიერთობით უფლებრივ სფეროში სხვადასხვა საკითხების წამოჭრას, მათდამი ინტერესს და მათ გარშემო ამტყდარ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. დღემდე ვითომ ბზა-მზარეულად მოგვდიოდა ესა თუ ის უფლებრივი შეხედულება და ნორმები, მაშინ როდესაც ჩვენ ცხოვრებას თან ახლავს სპეციფიური თვისებები, და ჩვენი იურიდიული შემოქმედება, იმ ძალების მიხედვით, რომელიც საქართველოს მოეპოვება ამ დარგში, საკუთარ ფეხზე უნდა იდგეს.

ამ მდგომარეობიდან სარეცენზიო ჟურნალის გამოცემა გამოყავს ჩვენი უფლებრივი შემოქმედება.

ჟურნალი ასე ასახავს თავის მიზანს:

„მომქმედი სამართლის ნორმების (კანონების) გაშუქება, სამართლის ინსტიტუტების (საკუთრების, მფლობელობის და სხვა) აზრის, დანიშნულების და მნიშვნელობის განმარტება, სასამართლოს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობაში აღძრული უფლებრივი საკითხების დამუშავება და ამ საკითხებთან დაკავშირებული ნორმების სათანადო განმარტება საბჭოთა სამართლის პოლიტიკის ზოგადი და ძირითადი დებულების თვალსაზრისით, იმ გზისა და ღონისძიების გარკვევა, რა გზითაც და რა ღონისძიებითაც უნდა ვითარდებოდეს ჩვენი სამართლის პოლიტიკა“—ასეთია ჟურნალის მიზანი.

ი. ვარძიელი აცხადებს, რომ „რევოლიუციონურ კანონიერების ჩვენს სინამდვილეში განმტკიცებისათვის, რასაც უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, კოდექსების მარტოოდენ არსებობა საკმარო არ არის“-ო (№ 1).

ჟურნალის სადღეისო ამოცანების შესახებ, მე-2-№-ში ი. ვარძიელი აღნიშნავს, რომ ჟურნალმა უნდა განამტკიცოს კავშირი საშუალო გლეხობასთან და ხელი შეუწყოს ღარიბი გლეხობის სამეურნეო და პოლიტიკურ ძალების ზრდას“.

ამგვარად, ჟურნალს საპატიო ამოცანები აქვს დასახული. ვფიქრობთ, რომ შემდეგ ჟურნალი გაარკვევს ამ ამოცანების განსახორციელებლად აუცილებელ საშუალებებს, სხვათა შორის, რევოლიუციონურ კანონიერების რეალიზაციის ზომებს.

რევოლიუციონურ კანონიერების საკითხი კაი ხანია დასვა ცხოვრებამ და ის გადაჭრას მოითხოვს. მაგ., რა საშუალებაა იმისათვის, რომ ხელისუფლების ზოგი აგენტები არ აფერხებდენ, არ ეღობებოდენ წინ კანონიერების განხორციელებას? რა საშუალებაა იმისათვის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უყოყმანოთ მოჰყავდეს სისრულეში ხელისუფლების წარმომადგენელთ და სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცელი აღმასრულებლის ხელში არ რჩებოდეს უბრალო ქაღალდის ფურცლად?—კანონით გათვალისწინებულია ასეთ შემთხვევებში ურჩთა პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს არ კმარა.

ჩვენი აზრით, ჟურნალმა თავის ფურცლებზე უნდა აღძრას ეს საკითხი და ყოველ მხრივ მისი გაშუქებით შეაგნებიოს მათ, ვისაც ვერ შეუგნიათ სასამართლოს და სათანადო ორგა-

ნოების გადაწყვეტილების დამორჩილების აუცილებლობა, რომ ისინი თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხენ ხელისუფლებას და სცემენ მის პრესტიჟს მასსის თვალში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, როგორც იტყვიან „თვალებით აზროვნებს“.

გარდა ამ საერთო ამოცანების სიდიადისა, ჟურნალმა უკვე წამოაყენა ბევრი საყურადღებო უფლებრივი საკითხები: კომლის ქონებიდან კომლის წევრის ბავშის უფლება სარჩოს მიღების შესახებ (კ. მიქელაძე), რამოდენიმე საქმის შეერთების გარჩევის წესი და ამ შეერთებისაგან გამომდინარე შედეგები (მ. ქორქაშვილი), მფლობელობის დაცვის პრობლემა (გ. რცხილაძე), დამჭირავებლის მიერ დაქირავებულის დათხოვა უკანასკნელის პასუხისგებაში მიცემის ან დაპატიმრების გამო (დ. გაბაშვილი), სამრეწველო სამართლის, როგორც ცალკე დისციპლინის, გამოყოფა და მისდამი ჯეროვანი ყურადღების მიქცევა (ს. ჩხეიძე), სასამართლოს მორიგი ამოცანები, მათ შორის სისხლის სამართლის პროცესიალურ კოდექსის ნაკაზით ან ინსტრუქციით შეცვლა (ი. ტალახაძე), უმეჭვიდროდ დარჩენილ ქონების ბეითალმანად აღიარების წესის შესახებ (ბ. მეისრაფეშვილი). ყველა ეს საკითხები ჩვენი ცხოვრებიდანაა ამოღებული და ავტორნი უმეტეს მათგანს საკამათოთ, სადისკუსიოთ აყენებენ.

განსაკუთრებით ახალი და საინტერესოა ი. ტალახაძის თეზისი, რომ სისხლის სამართლის საქმეების წარმოების დროს არ არის საჭირო პროცესიალური კოდექსი, საკმარისია ინსტრუქცია ან „ნაკაზი“. ეს აზრი ამას წინეთ რუსეთში კრილენკომ გამოსთქვა. მაგრამ ეს დიდი და სადაო საკითხია. ზედმეტი ფორმალიზმი, სქოლასტიკა საჭირო არ არის და ის თითქმის სავსებით განდევნილია სისხ. სამარ. პროც. კოდექსიდან, მაგრამ გადაჭარბება, ჯოხის ისე გადაღუნვა, რომ ის გადატყდეს, ან, როგორც იტყვიან „წყლის გადაქცევასთან ბავშის გადაყოლებას“ უნდა ვერიდოთ, რომ სავსებით ფორმალობის მოსპობით ს მართლის გამოსარკვევი საშუალებებიც არ გავაქარწყლოთ.

ჟურნალი ეხება თანამედროვე მომენტის საკითხებს: სოფლის ღარიბ გლეხობასთან დაკავშირებით იუსტიციის ორგანოების ამოცანებს (ი. ვარძიელი), სახალხო მსაჯულების გადარჩევის საკითხს (ა. კაჭარავა), და აცნობს მკითხველებს იმ ცვლილებებს, რომელნიც მთავრობას განზრახული აქვს შეიტანოს არსებულ კანონმდებლობაში: სისხლის სამართლის კოდექსში (ი. როინიშვილი) და სავსებით ახალ საფუძველზე აგებულ საქორწილო და საოჯახო კოდექსის ძირითად დებულებებს (ა. კოსტავა).

მიზანშეწონილია ჟურნალის განყოფილება: „სამართალი და ცხოვრება“, სადაც აღნიშნულია ბიუროკრატიზმის ნიმუშები (ი. პ-ლი), განსაკუთრებით აცნოველებს ჟურნალს „სამართლის კურიოზები)“ (—ელ).

ეს განყოფილება, თუ კი ის სათანადოთ იქნება დაყენებული, დიდად შეუწყობს ხელს, რომ როგორც სასამართლო, ისე მხარეები სერიოზულად მოეპყრონ თავიანთ შეამდგომლობებს და დადგენილებებს.

ჟურნალი იძლევა ოფიციალურ და არა ოფიციალურ განყოფილებებში დამაკმაყოფილებელ ცნობებს, და სასამართლოს ყველა თანამშრომელთათვის სასარგებლო და საინტერესო ცნობებს შეიცავს.

ჟურნალში ჩვენ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი ამოვიკითხეთ: იურიდიულ საზოგადოებას განუზრახავს გაიღვიძოს. ეს ფრიად საჭირო და აუცილებელია. პირდაპირ დაუშვებელია, რომ ეს ფრიად სიმპატიური და აუცილებელი თავის იდეიით საზოგადოება ქაღალდზე არსებობდეს.

იურიდიულ საზოგადოებას ამ ჟურნალთან ერთად დიდი სამსახური შეუძლია გაწიოს უფლებრივი საკითხების დამუშავებას და სათანადო გაშუქებას. საჭიროა მხოლოდ ინიციატივა.

დასასრულ, უფლებრივ საკითხების დამუშავებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ერთი დიდი და აუცილებელი საქმე კიდევ უნდა ითავოს: ჩვენ არ გვაქვს ქართულ ენაზე არც ერთი კოდექსი კომენტარიებით, ახსნა-განმარტებით გამოცემული. უკანასკნელ დროს სახელ. უნივერსიტეტმა გამოსცა ს. ჯაფარიძის სამოქალაქო პროცესუალური და სავაჭრო სამართლის სახელმძღვანელოები, მაგრამ სახელმძღვანელოთ არ შეუძლიათ გასწიონ ახსნა-განმარტებიან კოდექსების მაგიერობა.

როდესაც საჭიროა,—ეს საჭიროება კი ხშირია, – ამა თუ იმ კოდექსის რომელიმე მუხლის განმარტება, ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ რუსეთის, უკრაინის და ბელო-რუსიის კომენტატორებს და ამ რესპუბლიკების უზე-

ნაეს სასამართლოს პრაქტიკას, მაშინ, როდესაც ბევრ საკითხზე საქართველოს უზენაეს სასამართლოს აქვს გამოტანილი პრინციპიალური შეხედულება, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის უცნობია. ეს ასეა იმიტომ, რომ ჩვენ არ გვაქვს მთავარი კოდექსების კომენტარიები.

რაკი „ანი" ითქვა, „ბანიც" უნდა ითქვას. რაკი ჟურნალი გაჩნდა და იურიდიული საზოგადოებაც ფიქრობს მოქმედების განახლებას, მთავარი კოდექსები კომენტარიებით უნდა გავიჩინოთ, და უნდა ვეცადოთ შევქმნათ ქართულ ენაზე სერიოზული იურიდიული ლიტერატურა.

**გრ. გიორგაძე.**

---

**„КАРЛ МАРКС В ЛИЧНОЙ ЖИЗНИ". მასალები შეკრებილი და თარგმნილი გერმანულიდან ს. დევდარიანის (სან-ის) რედაქციით.** ტფილისი. 1928. გვ. 220. გ-მა „შრომა".

პიროვნება, რომელმაც კაცობრიობის ცხოვრებაში ღრმა კვალი დასტოვა, მრავალმხრივ იწვევს ინტერესს.

როგორ ცხოვრობდა კ. მარქსი, რა ურთიერთობაში იყო გარეშე საზოგადოებასთან და როგორი იყო მისი ინტიმური ატმოსფერა?

კარლ მარქსზე არსებულ მდიდარ ლიტერატურიდან, მის პიროვნებასა და შრომაზე, უშუალო წყაროა თითონ მარქსის და მისი ოჯახის წევრების პირადი წერილები. აქ მარქსი სჩანს ღლიური განცდით, ცხოვრებიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა უშუალო გაზიარებით, „ურედაქციოთ".

მარქსის ცხოვრება ამ მხრივათაც არ არის შეუსწავლელი. ოთხტომიანი ე. წ. Nachlassausgabe" დასრულებულ წარმოდგენას იძლევა მისი ცხოვრების ახალგაზრდობის პერიოდზე, ხოლო მეორე პერიოდი, რომელიც სავსეა გამოუვალი კვანძებით საოჯახო ცხოვრებაში და გაძლიერებული მეცნიერული მუშაობით, მარქსის ცხოვრების შუა ხანა, ლონდონის ემიგრაციის დროს, 1850—70 წლამდე, მოცემულია წერილებში ენგელსისადმი, რომელიც 1913 წ. გამოიცა ოთხ წიგნათ ბებელისა და ბერშტეინის რედაქციით.

ს. დევდარიანს უმთავრესად ამ უკანასკნელი მასალით უსარგებლია. წიგნში არის ნაწყვეტები სხვა წერილებიდანაც, მაგრამ მთავარი მაინც ენგელსისა და მარქსის წერილობითი მიწერ-მოწერაა, სადაც სინათლეზეა გამოტანილი მარქსის ცხოვრების ისეთი კუნჭულები, რომელშიც ჩახედვაც თითონ მარქსსაც უძნელდებოდა.

წერილები სხვაგვარად ახასიათებს მარქსს. აქ ისეთს წერილმანებსაც წააწყდებით, რასაც ორგანიულად ვერ წარმოიდგენდა თანამედროვე ადამიანი.

ამ წიგნში მოთავსებულია მარქსის ცხოვრების დაზასიათება სტუდენტობის დროიდან (1837 წ.)—1862 წლამდე. უკანასკნელი პერიოდი ხასიათდება მისი ცხოვრების მეტად მძიმე პირობებით ლონდონის ემიგრაციის დროს.

საინტერესოა ცალკე მომენტები. შეიძლება ითქვას, რომ უფრო ბრწყინვალე ხანა მარქსის პირად ცხოვრებაში ისევ მისი ახალგაზრდობა იყო, სანამ იგი დოლში გამოიწვევდა თანამედროვე ქვეყანას და მთელს სიცოცხლეს გაბატონებულ საზოგადოებასთან შეურიგებელ ბრძოლაში გაატარებდა. ერთი მხრივ მარქსი იყო საკმაოთ შეძლებულ ოჯახიდან, რომელსაც ყოველმხრივ ხელს უწყობდა მზრუნველი მამა. ტყვილა კი არ უსაყვედურებს იგი თავის შვილს: ბერლინში მდიდრის შვილები ხარჯავენ წლიურად 500 ტალერს, მარქსს 700 არ ჰყოფნის.

მეორე მხრივ, მარქსმა პირველი გამარჯვება ახალგაზრდობაშივე მიიღო: ეს იყო ძველ გერმანულ არისტოკრატიული ოჯახის, ბარონ ფონ ვესტფალენის ქალიშვილის სიყვარული, რომელსაც ქალაქ ტრირში გაეცნო. ეს ქალი გახდა მარქსის სიცოცხლის მუდმივი თანამგზავრი.

ჟენი ფონ ვესტფალენი გარდა იმისა, რომ დიდი შთამომავლობისა იყო, მამა მისი იყო დიდი მოხელე, დედით ენათესავებოდა არჰაილის ჰერცოგებს, მისი ძმა იყო პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრათ, იგი ამავე დროს იყო ულამაზესი ქალი მთელს ქალაქში („ბალების დედოფალი"). ეს შემთხვევა საამაყოთ დარჩა მარქს მთელს სიცოცხლეში. ამას დაერთო ქალის, არაჩვეულებრივი, პირდაპირ გმირული ხასიათი, რომელიც სავსებით ჰგრძნობდა თანამგზავრის სიდიადეს და ყოველგვარი შეურაცყოფა გულგრილათ გადაჰქონდა. მარქსი მისთვის ბოლომდე დარჩა მისი „ბატონი და მბრძანებელი", რომელიც ღირსია ყოველგვარი მსხვერპლის... „ნუ გააჩერებთ

დიდხანს მავრს. მე თქვენ გისურვებთ ყოველივე სიკეთეს, მხოლოდ არა მას. ეს ის პუნქტია, როდესაც მე ვხდები მსუნაგი მესაკუთრე და შურიანი. აქ ბოლო ეღება ჰუმანიზმს და სცენაზე გამოდის აშკარა პირადი ეგოიზმი" (ყენი მარქსის წერილი ლასალს).

ეს მომენტები მკვეთრად სჩანს მამის წერილებშიც. მამა გრძნობდა იმ დიდ ღირსებას, რომელიც ამ ქალის გულის მოგებით მიიღო მარქსმა. იგი უსაყვედურებს შვილს სასოწარკვეთილებას, მაშინ, როდესაც ყოველი მხრივ უზვად არის დაჯილდოვებული. და, განა „გამოუცნობი საშუალებით არ გაიტაცა ისეთი ქალის გული, რომ მას შენატრიან ათასი ადამიანები?"

მაგრამ მარქსის სასოწარკვეთის წყარო სხვა იყო. მან ბერლინში მისვლისას გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი ნაცნობებთან და ჩაიკეტა ოთახში „მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის". მისი აზრი ვერ ჩერდებოდა განსაზღვრულ სისტემაზე, გარკვეულ მეცნიერებაზე. იგი მუდმივ ძიებაშია. 700 ტალერიდან დიდი ნაწილი წიგნებზე იხარჯებოდა. ეს მამის საყვედურიდანაც სჩანს: „იგი არც მოთამაშეა და არც ლოთი... მაგრამ როგორ შეუძლია კაცს, რომელიც თვითეულ რეა ან თორმეტ დღეში ჰქმნის ახალსა და არღვევს დიდი ჯაფით შექმნილ ძველს სისტემებს... ანგარიში გაუწიოს წვრილმანს"...

მარქსი აქ პირდაპირ ფაუსტს გვაგონებს, თავისი დაუკმაყოფილებელი გრძნობით, აბსოლიუტურ ჭეშმარიტების ძებნით, — მაგრამ ფაუსტს არა გაორებულს.

წიგნში მთავარი ადგილი უჭირავს მარქსის ცხოვრებას ლონდონში. მარქსმა აქ გაატარა თავის სიცოცხლის მეორე ნახევარი, მაგრამ სანამ მარქსი ლონდონამდე მივიდოდა, მანამდე მან მიკიბულ-მოკიბული საკმაოთ გრძელი გზა გაიარა.

დოქტორი მარქსის ბედი მაშინ გადაწყდა როდესაც გამოირკვა, რომ შეუძლებელი იყო მისთვის აკადემიური კარიერა, გერმანულ უნივერსიტეტში გაბატონებულ ღვთისმეტყველების გამო, სადაც უდიდეს დანაშაულათ სახარების კრიტიკა ითვლებოდა.

მას შემდეგ იწყება მარქსისთვის ხელობის ძებნა. პირველად ის შეეფარა „რეინის გაზეთს". მაგრამ ეს გაზეთი მალე დაკეტეს და მარქსი მიდის პარიზში; პარიზიდანაც სდევნიან, მიდის ბრიუსელში. პრუსიის მთავრობა აქაც არ აყენებს და უკანასკნელად იგი თავს აფარებს ლონდონს, ამ „შეძლებულ მედუქნეების" თავისუფალ ქვეყანას, სადაც მან მთელი [illegible] ცხოვრება გაატარა.

მეტად მძიმე იყო ლონდონში ცხოვრების პირველი წლები. ლონდონში გადასახლებისას მარქსის ოჯახს არ გააჩნ და არაეითარი მატერიალური რესურსები. მარქსი ფიქრობდა დაეარსებია ჟურნალი და იგი გაეხადა შემოსავლის წყაროთ. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ერთად ერთი საშუალება ავეჯის დაგირავება იყო. ამის გამო არის ყენი მარქსის მოუთმენელი წერილი ვეიდემეიერის მიმართ. მარქსი სთხოვს ვეიდეიმერს, ნუ მიაქცევს ყურადღებას წერილის ტონს, რადგანაც ისინი ისეთს „განსხვავებულ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რომ მას ეპატიება მოთმინების დაკარგვა". იგი „სრულებით ჭკუაზე არ არის"... შემდეგ იმავე ყენის შემდეგი წერილი ვეიდემეიერისადმი, სადაც დაწვრილებით მოუთხრობს ლონდონის ერთი დღის ცხოვრებას. უჭირავთ ერთი ოთახი, რომელშიაც 6 სულია, რაც გააჩნდათ დააგირავეს ლომბარდში და მისცეს სახლის პატრონს, მაგრამ დარჩათ ვალი 5 სტერლინგი, სახლის პატრონმა მიიყვანა ეკზეკუტორები და ასწერა ყველაფერი: „ლოგინი, საცვლები, ტანისამოსი და ბავშვის აკვანი და სათამაშოებიც კი... რომელიც ბავშვების ცრემლებით სველდებოდენ". ეს არის 1851 წ. „ერთი დღის ცხოვრება". მაგრამ რამდენი დღეები იყო ასეთი!

„უკვე ერთი კვირაა, რაც მე არ შემიძლია სადმე წავიდე, იმის გამო, რომ ჩემი კოსტიუმები ლომბარდში დავაგირავეთ, და მე მოკლებული ვარ საშუალებას, შვილებს ხორცი ვაჭამო, კრედიტის უქონლობის გამო, მდგომარეობა არ არის სასიამოვნო"... სწერს მარქსი ლასალს და სთხოვს წერილების გამოსაგზავნათ გამოუგზავნოს საფოსტო მარკები.

ან მარქსის წერილი ენგელსისადმი, ანგარიშის დართვით, მარქსმა მიიღო 24 გ. სტ. ჰონორარი ნიუ-იორკიდან, მაგრამ ეს თანხა სასწრაფო ვალებში დაიხარჯა, მეპურის, მეხორცის, მეწვრილმანის, ნახშირის, კოლონიალური ნივთებით მოვაჭრის, პროცენტებში ლომბარდს. მას არ დარჩა ერთი ფენიგიც. „მეორე დღეს იწყება იგივე საშინელი ბრძოლა კრედიტორებთან... რომელნიც ისევ გვახრჩობენ"... „სხვა ვალებს შორის მაქვს არასასიამოვნო ვალი ექიმის, ამისათვის გადავსწყვიტე თითონ ვიექიმო".

ყველა ამის შემდეგ მარქსს თითონ უკვირს „თუ რათ არ შეირყა იგი ჭკუიდან", როდესაც

იგი ისეთს მდგომარეობაში იყო, როგორც კაცი „თოფის წამლის კასრზე მჯდომარე“, როდესაც იგი „სიამოვნებით ტყვიას შუბლში იღლიდა“.

გაჭირვება, ავადმყოფობა, სიკვდილი (ამ დროს ოთხი ბავში მოუკვდა)—აი ის, რომელიც ამ წლებში მარქსის ცხოვრებას ახასიათებდა.

მაგრამ მარქსის ცხოვრებას ამსუბუქებდა მისი მეგობარი ფრიდრიხ ენგელსი. კაცობრიობამ არ იცის ასეთი მეგობრობა. იგი მხოლოდ პოეტის ფანტაზიას თუ მოეჩვენება. ამ ორი ადამიანის მეგობრობა იყო „კავშირი, რომლის მსგავსი არავინ იცის“ (ფრანც მერინგი). ფრიდრიხ ენგელსი მდიდარი მანჩესტერელი კომერსანტის შვილი იყო, მასაც დიდი პერსპექტიეები ჰქონდა. მაგრამ მარქსისთვის ყველაფერს თავი დაანება და თავისი მეგობარი რომ ნივთიერად უზრუნველყო, ჯერ ნოქრად შეეიდა მამის ფირმაში.

ლონდონში მარქსის საარსებო წყარო უნდა ყოფილიყო ამერიკელ გაზეთ „New-Iork Tribune“ ჰონორარი. ეს გაზეთი უდიდესი ამერიკული გაზეთი იყო, რომლის ტირაჟი 200.000 აღწევდა. მარქსს კვირაში ორი წერილი უნდა დაეწერა, თითოში აძლევდენ 2 სტ., 16 სტ. თვეში, მაშინდელ საბაზრო პირობებში საკმარისი იყო ლონდონში ცხოვრებისათვის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მისი რედაქტორი დანი, იყო ფურიეს მიმდევარი და თითქოს სოციალისტობდა, მარქსის მიმართ ნამდვილ იანკათ იქცა, მას მუდამ აწვალებდა. ამახინჯებდა წერილებს, ხშირად მარქსის წერილს, როგორც საკუთარს, მოწინააღეთ უშვებდა და მარქსის ხელისმოწერით ჰბეჭდავდა სიმახინჯეს. ხან სრულიად არ ჰბეჭდავდა. ხან კრედიტებს აგეიანებდა და მარქსი კაპეიკისათვის დარბოდა. მობეზრებული მარქსი მის შესახებ ხშირად ამბობდა: „ვირი დანი“, „ლორი დანი“. „ასეთი ბინძური გაზეთის თანამშრომლობა ბედნიერებათ უნდა მიჯაჩნდეს?“

ასეთს შემთხვევებში მარქსის ერთადერთი დამხმარე ენგელსი იყო. მას უზიარებდა მარქსი თავის გაჭირვებას და იგიც უკანასკნელ კაპეიკს უგზავნიდა... არ ყოფილა შემთხვევა მარქსის მიმართვაზე, მას რაიმე საწუალება არ გამოენახოს.

ს. დევდარიანის მიერ შეკრებილ მასალებში აღწერილია მარქსის პირადი ცხოვრების მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ალბად ავტორს ამ მხრივ სურდა საკითხთან მიდგომა. ამის გამო აღსანიშნავია, წიგნის ორი მნიშვნელოვანი ნაკლი. პირველი: მარქსი, გარდა იმისა, რომ იყო ადამიანი, რომლისათვის „არაფერი ადამიანური არ იყო უცხო“, ამავე დროს იგი იყო ისეთი ადამიანი, „რომლის სტიქია იყო მუშაობა“; მარქსის მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ მან შექმნა უძლიერესი ეკონომიური კონცეპციები, აღმოაჩინა ისტორიული განვითარების კანონები, იყო ხელმძღვანელი პროლეტარიატის პრაქტიკული პოლიტიკის უძლიერესი ორგანიზაციისა. კიდეე რჩება „რაღაცა“.. რაც მას კაცობრიობაზე „ერთი თავით ამაღლებს“. ეს მარქსის კულტურაა, მისი ლტოლვაა საქმისაკენ. მართალია, ავტორი აღნიშნავს, რომ არა ერთი და ორი წიგნი მოიპოვება მარქსზე, მაგრამ ისინი უმეტესად „მოძღვრებას ეხება ვიდრე ცხოვრებას“-ო, მაგრამ მის პირად ცხოვრებას ვერ დავაშორებთ სწორეთ იმას, თუ როგორ მუშაობდა მარქსი. ამის შესახებ მდიდარ მასალას შეიცავენ ლაფარგის და ლიბკნეხტის წერილები, მერინგის ახლად გამოსული კაპიტალური ნაშრომი, რომელიც უკეთეს მცოდნეთ ითვლება მარქსის პირადი ცხოვრების. მარქსის წერილებშიაც მეგობრებთან მოიპოვება მრავალი ადგილები, რომელიც ნათელყოფს, თუ როგორი სიფრთხილით აწარმოებდა მარქსი მუშაობას და რა ენერგია იხარჯებოდა მის შრომებზე. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

„კაპიტალის“ პირველი ტომი, რომელიც 1851 წელში უნდა გამოსულიყო, 17 წლის შემდეგ გამოვიდა. მანამდე მარქსმა იგი რამდენჯერმე შეასწორა, დაამუშავა, გადაამუშავა, შეამოწმა. იმისათვის, რათა დაეწერა „კაპიტალში“ ოც გვერდამდე ინგლისის მუშათა კანონმდებლობის შესახებ, მან გადაიკითხა „ლურჯი წიგნების“ მთელი სერია, რომელიც საგამომძიებლო კომისიების და ინსპექტორების მოხსენებებს წარმოადგენდა. იგი მან ძველი წიგნებით მოვაჭრესთან იყიდა წონით. ასეთი იყო მარქსის დამოკიდებულება შრომისადმი, ასეთი იყო მისი თვითკრიტიკა. ტყვილა კი არ ამბობდა იგი ხანდახან, ჩემი „კაპიტალი“ იმდენ კაპიტალსაც ვერ მომცემს, რამდენიც მე მის დაწერის დროს სიგარა დავწვიო...

აი რას სწერს იგი ერთ-ერთს წერილში ენგელსს: „ამ ხანში (ავადმყოფობის დროს), სრულიად არ შემეძლო რა მუშაობა, მე წავიკითხე კარპენტერის „ფიზიოლოგია“, ლორდის „ფიზიოლოგია“, „სწავლა ქსოვილებზე“ კელიკერის, „ტვინის და ნერვიულ სისტემის ანატომია“ შპურცგეიმის, შვანისა და შნეიდერის „სწავლა უჯრედების აგებულებაზე“. მარქსი ლაპარაკობ-

და ევროპის ყველა ენებზე. მან 50 წლისამ, თავისი მეცნიერული მუშაობისთვის საჭირო რუსეთის აგრარულ ურთიერთობის შესასწავლად, შეისწავლა ევროპიელისათვის ყველაზე ძნელი რუსული ენა. თავისუფლად კითხულობდა პუშკინს, გოგოლს, შჩედრინს.

მეორე ნაკლი წიგნისა მდგომარეობს მის დაბეჭდვაში ყოველგვარი განმარტების გარეშე. წიგნში გარდა შედარებით უფრო ცნობილ პიროვნებებისა, არის მთელი რიგი ნაკლებად ცნობილი პიროვნებები, რომელსაც მარქსის ბიოგრაფიის მცოდნეც ვერ გაიგებს. ვინ არის ვირტი, რომელსაც მარქსი ასეთი პატივისცემით ეპყრობა, ვინ არიან დ-რი კვესნაი (თუ კენე?), ფრეილიგატი, ვეიდემეიერი და სხ. მართალია, რედაქტორი შენიშნავს, რომ [illegible] განმარტებები მეორე წიგნში იქნება [illegible] ეს წიგნი ხომ ცალკე გამოვიდა.

საერთოდ ასეთია ის ცნობები, რომელიც მარქსის პიროვნებას ახასიათებს. ზოგი მათგანი წიგნში არის. ამ შრომაზე ჯერ დასრულებული წარმოდგენის შედგენა შეუძლებელია. ჩვენ მეორესაც მოვუცდით. მაგრამ ის პირველი ნაწილია, ამ პირველ წიგნშიაც საკმაო მასალა მოიპოვება ისეთი დიდი პიროვნების დასახასიათებლად, როგორიც მარქსი იყო.

მ. ტ.

## „საქართველოს მუზეუმის მოამბე.“ ტომი. III. ტფილისი. 1927 წ.

საბჭოთა საქართველოში არამც თუ შესაფერის დონეზეა დაყენებული მეცნიერული კვლევა-ძიების საქმე, არამედ ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერება უკვე საპატიო ადგილს იჭერს საბჭოთა კავშირის მეცნიერულ მუშაობაში.

არა მარტო საბელმწიფო უნივერსიტეტია მეცნიერების კერა, არამედ ის ე. წ. სამეცნიერო დაწესებულებანიც, სადაც ჩუმი, მაგრამ ნამდვილი მუშაობა სწარმოებს. ასეთ სამეცნიერო დაწესებულებათა შორის ერთ-ერთი პირველ მნიშვნელოვანი ადგილი უსათუოდ საქართველოს მუზეუმს უჭირავს. გასული საუკუნის სამოციან წლეებში დაარსებულმა კავკასიის მუზეუმმა რევოლიუციის შემდეგ თავისი სამეცნიერო კაბინეთები საქართველოს მუზეუმს ჩააბარა და როგორც სარეცენზიო კრებულის თანდართული ანგარიშ იდან ვხედავთ ამ ათი წლის განმავლობაში მუზეუმი გაზრდილა და გაფართოებულა. და როდესაც ახალი დიდი სამუზეუმო შენობა საბოლოოდ დამთავრდება, აქ თავს მოიყრის საქართველოს მთელი სამუზეუმო მასალები. დღეს მუზეუმში არის ოთხი განყოფილება: ზოოლოგიური, ბოტანიკური, გეოლოგიური და არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული.

მუზეუმი სცემს მეცნიერულ მოამბეს, რომლის მესამე ტომი გამოსულა 1927 წლ. დეკემბერში. უნდა აღინიშნოს რომ საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს კრებულის ეს ტომი. თვითოეულ წერილს ახლავს სურათები, ტაბულები, დიაგრამები და სხ. სულ მოთავსებულია თერთმეტი გამოკვლევა, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, ქრონიკა, მუშაობის ანგარიში და სხვ.

პირველი გამოკვლევა ეკუთვნის დ ო ც. ნ. ფ ო ს ე ლ ი ა ნ ს. მისი შინაარსი შეადგენს ჩვენი შინაური ცხოველების კრანიოლოგიური გამოკვლევა, ე. ი. გამოკვლევა მათი სხეულის ცალკეული ნაწილების, განსაკუთრებით კი მათი თავის ქალას შესწავლა. ამის მიხედვით ავტორი ფიქრობს გადასჭრას ჩვენი ცხოველების წარმოშობისა და კულტურის საკითხი.

მეორე წერილი პ რ ო ფ. ზ ა ი ც ე ვ ს ეკუთვნის. (რუსულ ენაზე) ის შეისწავლის 18 ჯიშის ჭია-მაიას მორფოლოგიას.

ი. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი თავის საინტერესო წერილში (გერმანულ ენაზე) იძლევა ზოგიერთ შესწორებებს და დამატებებს ცნობილი მეცნიერის ს ა ტ უ ნ ი ნ ი ს შრომისა: „კავკასიის ფრინველთა სისტემატიური კატალოგი“. სატუნინის წიგნი გამოსულია 14 წლის წინად და ჩხიკვიშვილის გამოკვლევაში მოთავსებულია ის, რაც მეცნიერებას ამ 14 წლის განმავლობაში ახალი აღმოუჩენია.

მეოთხე წერილი ეკუთვნის პ რ ო ფ. ს. ქ უ რ დ ი ა ნ ს: „ჩვეულებრივი ფიქვი და მისი მუტატური ფორმები ჩვენში“.

პ რ ო ფ. ა ლ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე. თავის მოკლე წერილში: „მდ. ვერის ხიდის ხეობა ტფილისის მიდამოებში“, იძლევა ვერის მიდამოს გეოლოგიური წარმოშობის ძალიან საინტერესო ჰიპოთეზას. კ. თათარიშვილის წერილიც გეოლოგიურ ნარკვევს წარმოადგენს.

გ. ჩიტაია და ე. პჩელინა (რუსულ ენაზე) იძლევიან იმ არქეოლოგიური მასალის განხილვას, რომელიც მათ აღმოუჩენიათ გუდაბერის და საგურამოს სასაფლაოების გათხრის დროს.

დიდი მნიშვნელობის მქონეა ვერა ლომაიას წერილი: „ხის კულტისათვის საქართველოში". ჩვენი აზრით ეს წერილი პოპულიარულად უნდა გადაკეთდეს და ფართო მასისათვის გასაცნობი გახდეს. შესაფერი ახსნა განმარტების თან დართვით, ის საუცხოო ანტი-რელიგიური პროპაგანდის მასალად გამოდგება.

რელიგიის ისტორიისათვის საინტერესოა აგრეთვე მაკალათიას წერილი: „ღვთაება მითრას კულტი საქართველოში". აქ აღძრული საკითხი, რასაკვირველია, ნაბოლოოდ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

კრებულის უკანასკნელი გამორკვევა ეკუთვნის დ. გარდეევს.

კრებული შეიცავს 292 გვერდს. გამოცემათა ცხრილს და ტაბელებს. ქაღალდი ცუდია.

**მ. ᲒᲐᲫ-Ე**

---

# ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

## (წერილი რედაქციისადმი)

ჟურნალ „მნათობი"-ს იანვრის ნომერში მოთავსებულია ბიბლიოგრაფია ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი"-ს მე-12-ე ნომრის მასალის შესახებ. ვისარგებლეთ რა სხვისი აზრებით არ აღვნიშნეთ სათანადო წყაროები. მას მოჰყავს ჩვენი წერილიდან ორი ადგილი, რომელსაც ადარებს რუსულ ტექსტს. ამრიგად ბრალდება თითქოს დამტკიცებულია.

ბიბლიოგრაფიის ავტორი შეცდომაშია შეყვანილი იმ გარემოებით, რომ რაც წყაროების სახით ხელთნაწერ ორიგინალში იყო, ისსამწუხაროდ, იქნა დასტამბული, რადგან რედაქტორის შესწორებით მითითებულ წყაროების ნაწილი ამოშლილი იქნა—თვით რედაქტორის მიერ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ორიგინალში აღნიშნულია არა მარტო ის ორი წყარო, რომელსაც ბიბლიოგრაფიის ავტორი იხსენიებს, არამედ კიდევ სამი სხვა წყარო, რაც არ იქნა აწყობილი.

სამწუხაროდ ჩემი წერილი მიდიოდა ჟურნალში, როგორც ასაწყობად უკანასკნელი მასალა, რომლის სტამბაში სასწრაფოდ გაგზავნა საჭირო იყო ჟურნალის გამოსვლის დაგვიანების გამო, ამიტომ რედაქტორის გასწორების შემდეგ ჩვენ დატვირთული მეტად სასწრაფო სამუშაოთი არ მიგვიქცევია სათანადო ყურადღება ჩვენი წერილისათვის, მის ხელმეორედ გადასახედად.

ამასთ ნავე ვადგენთ ფოტოგრაფიულ სურათს („კლიშე"-ს) ჩვენი ორიგინალიდან ორი გვერდიდან გადაღებულს, სადაც ეს მითითებანი რედაქტორის მიერ ხაზგასმულია, მაგრამ ამ ხაზგასმულებში მაინც ნათლად სჩანს, სწორედ ის წყაროები, რომლის დაბეჭდვის გამორჩენამ გამოიწვია ბიბლიოგრაფიის ავტორის საყვედური ჩვენდამი.

**აკ. ᲙᲐᲚᲐᲫᲔ.**

---

სავსებით ვადასტურებ ამბ. აკ. კალაძის განმარტებას. პირველი წაკითხვის შემდეგ, მე მივეცი რჩევა, რომ ამ დიდი საკითხის გარშემო, ესარგებლებია პირველ ხარისხოვანი ავტორიტეტებით (პლეხანოვი, ლენინი). ხელთნაწერში ნაჩვენები წყაროები ჩემი რჩევით ზოგი წაეშალა, ზოგი დაეტოვებია. მეორე წაკითხვაზე მე ამოვშალე დატოვებული წყაროები. ავტორს უნდა შეესწორებია ამის მიხედვით სათანადო ცვლილებები ტექსტშ აც. მაგრამ ის ამ დროს მუშაობდა თავისი წიგნის გამოცემის საკითხზე, ერთი წუთი დროც არ ჰქონდა, ჟურნალი კი გვიანდებოდა, ამან გამოიწვია ის, რაც შეიძლება უწოდოთ უყურადღებობა, მაგრამ არავითარი საფუძველი არა აქვს იმ ბრალდებას, რომელსაც აყენებს ბიბლიოგრაფიის ავტორი.

**ს. ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ.**

# „განმარტების“ განმარტება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შევუდგებით „განმარტების“ შეფასებას. ჩვენ გვგონია, რომ არც „ბიბლიოგრაფიის ავტორია შეცდომაში შეყვანილი“ და არც „ნათობის“ რედაქცია. ვილაპარაკოთ ფაქტებით.

ჟურ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი“-ს 1927 წ. № 3—4 მოთავსებულია ა. კალაძის წერილი, „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“, რომლის ნახევარი შესდგება ა. ონაწერით ა. კონის წიგნიდან: „О новой экономике“ Е. А. Преображенского და არსად არ არის მითითებული წყაროზე, არც ერთი ციტატა არ არის ჩასმული ბრჭყალებში. ა. კალაძე სწერს:

„შეიძლება სახელმწიფოსთვის მაქსიმალური მოგების თვალსაზრისით გარკვეულ პერიოდში წარმოებაში დარღვეული წონასწორობა უფრო სასარგებლო იყოს“ („ახ. ბოლშევიკი“, № 3—4, 1927 წ. გვ. 45).

ა. კონი სწერს:

„С точки зрения извлечения максимальной прибыли для государства может в течение некоторого времени оказываться выгодным отсутствие равновесия производства“ (კონი. გვ. 21).

ა. კ ა ლ ა ძ ე სწერს:

„საბჭოთა ეკონომიკაში გეგმიანი დასაბამი იჭრება სტიქიურ რეგულიატორში, უკავშირდება სტიქიურ რეგულიატორს და ქმნის ერთ მთლიანობას—ორ ერთეულ რეგულიატორს. აქ ხდება ღირებულების კანონის თანდათანი შეკვეცა, არა მარტო რაოდენობის მხრივ, არამედ თვისობრივადაც. ასევე გეგმით დასაბამი იზრდება არა მარტო რაოდენობით, არამედ თვისებითაც“ (გვ. 46).

ა. კ ო ნ ი სწერს:

„Плановое начало врывается под скорлупу стихийного регулятора, сплетается с стихийным регулятором в единое целое, в новый двуединый регулятор. Здесь происходит не только количественное, но и качественное отмирание закона стоимости. и точно так же плановое начало растет не только количественно, но и качественно“ (გვ. 27).

ა. კ ა ლ ა ძ ე სწერს:

„ჩვენს მეურნეობას კიდეც მართავს და არც მართავს ღირებულების კანონი, რომელიც თანდათანობით კვდება. მას კიდეც მართავს და არც მართავს გეგმიანი დასაბამი, გეგმიანი რეგულიატორი, რომელიც ეხლა ძლიერდება“ (გვ. 46).

ა. კ ო ნ ი სწერს:

„Наше хозяйство и регулируется законом стоимости и не регулируется. закон стоимости отмирает. Оно и регулируется и не регулируется плановым началом,—плановый регулятор рождается“ (გვ. 31).

ა. კალაძის ამ „სტატიაში“ კიდევ მრავალი ადგილებია კონის წიგნაკიდან გადმოღებული. მაგრამ მათი აღნიშვნა შორს წაგვიყვანს.

დაუშვათ, რომ ა. კალაძეს „ახალგაზრდა ბოლშევიკშიაც“ დაავიწყდა წყაროების დასახელება ან და კორექტორმა გამოიჩინა დაუდევრობა. მაგრამ ავიღოთ უკვე მისი მ ე ს ა მ ე წერილი, რომელიც მოთავსებულია „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ უ შ ა კ ი ს“ № 4-ში—სათაურით: „მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ა და მ ი ს ი სწ ა ვ ლ ე ბ ი ს მ ე თ ო დ ი“.

ა. კ ა ლ ა ძ ე სწერს:

„ეს კანონები (ლაპარაკია კანონებზე, „რომლებიც მართავენ კაპიტალისტურ წარმოებასა და გაცვლას“) სამეურნეო ცხოვრების ზედაპირზე კი არ იმყოფება, არამედ ღრმად დაფარულია თავისი კონკრეტი გამოხატულების ქვეშ. ამიტომ აქ სამეურნეო ცხოვრების თუ გინდ ფოტოგრაფიული სისწორითაც კი, მომხდარი აღწერითაც შეუძლებელია ეს კანონები აღმოჩენილი იქნას“ (გვ. 31).

ა. კონი თავის შრომაში „Лекции по методологии пол. экономии“ სწერს:

„Законы управляющие производством и обменом меновых обществ, не лежат на поверхности явлений. Все они глубоко скрыты под корою своих конкретных проявлений...

Поэтому законов этих совершенно невозможно открыть путем простого описания хозяйственной жизни и путем ее фотографирования“ (გვ. 30).

აკ. კალაძე სწერს:

„ყოველ ისტორიულ პერიოდს თავისი კანონები აქვს... მაგრამ როგორც კი ცხოვრება გაივლის განვითარების ამა თუ იმ პერიოდს, ერთი სტადიიდან მეორეში გადავა, მას უკვე მართავს სხვა-გვარი კანონები. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, თითქოს მარქსი საერთოდ უარყოფდეს ყოველგვარ საერთო ხასიათის კანონებს, რომლებიც მართავენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას სხვადასხვა საფეხურებზე, შემცდარი იქნებოდა. მიუხედავად ამისა პოლიტიკური ეკონომიის კანონები სპეციფიურ ისტორიული ხასიათისაა, რომლებიც წინააღმდეგ სოციოლოგიურ ხასიათის კანონებისა, გამოხატავენ ერთი გარკვეული საზოგადოებრივი სტრუქტურის შინაარსს—კაპიტალისტურ-საზოგადოებრივ სტრუქტურისას“ (გვ. 36).

ნ. ბუხარინი თავის შრომაში:—„Политическая экономия рантье“—სწერს:

„По его (მარქსის მ.-ა.) мнению,... „каждый исторический период имеет свои законы.., но, как только жизнь пережила период данного развития, вышла из данной стадии и вступила в другую, она начинает управлятся уже другими законами“. Из этого, конечно, отнюдь не вытекает, что Маркс отрицал все и всяческие общие законы, которые бы определяли ход общественной жизни на различных ступенях развития. Но это отнюдь не исключает специфических исторических законов политической экономии, которые, в противоположность социалистическим законам, выражают сущность одной из общественных структур, капиталистической общественной структуры“. (გვ. 44-45).

ვინაა „შეცდომაში შეყვანილი“? განა „არავითარი საფუძველი“ არ გვაქვს ბიბლიოგრაფიაში წამოყენებულ მოსაზრებათა სისწორეში? ამ კითხვებზე პასუხი მიუდგომელ მკითხველისათვის მიგვინდვია“...

მ. ვ—ა.

---

რედაქცია:
მიხ. ჯახიანი
ს. მაჩულია
გ. მუშიშვილი
ს. ულო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## მხატვრული ლიტერატურა

### პ ო ე ზ ი ა


| | | |
|---|---|---|
| | | გვერდი |
| 1. | **სიმონ ჩიქოვანი**—სამოქალაქო ომებიდან | 1 |
| 2. | **ნ. ზომლეთელი**—ოქტომბრის დარაჯი | 2 |
| 3. | **ვიქტორ გაბესკირია**—დღეები სოფლად | 3 |
| 4. | **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—საჩივარი | 5 |
| 5. | **ნ. ნეკრასოვი**—სამშობლო. თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილის | 8 |
| 6. | **ტიციან ტაბიძე**—პოემიდან „თვრამეტი წელი“ | 9 |


### პ რ ო ზ ა


| | | |
|---|---|---|
| 7. | **ჯაჯუ ჯორჯიკია**—რეჟიმის შვილები | 17 |
| 8. | **აკაკი პაპავა**—სპირიდონის გასაჭირი (გაგრძელება) | 40 |
| 9. | **სტეფანე კასრაძე**—მეჯინიბე (დასასრული) | 82 |
| 10. | **იოსებ ტატიშვილი**—მოსარეცხე | 100 |
| 11. | **გუსტავ დანილოვსკი**—ბრძოლა და სიყვარული, თარგმანი: ვ. ბ—ს. | 118 |
| 12. | **ეპტონ სინკლერი**—ქადაგის მდივანი (გაგრძელება) თარგმანი იოსებ მჭედლიშვილის | 134 |


### კრიტიკა მეცნიერება—პუბლიცისტიკა


| | | |
|---|---|---|
| 13. | **მიხ. კახიანი**—კულტურული რევოლიუციის საკითხები | 159 |
| 14. | **ვ. გ—ლი**—ნ. ნეკრასოვი | 172 |
| 15. | **ვ. ბახტაძე**—კრიტიკული შენიშვნები—ი. ბაბელი | 184 |
| 16. | **შ. რადიანი**—სიმბოლიზმი საქართველოში | 203 |
| 17. | **მ. ლევანდოვსკი**—პროლეტარიატის დიქტატურის წითელი არმია | 212 |
| 18. | **გ. ს—ლი**—საქართველოს ოქტომბერი | 216 |
| 19. | **პროფ. კ. კეკელიძე**—ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 236 |
| 20. | **ალ. ჯაბადარი**—ზოგი რამ ალ. ყაზბეგის შესახებ | 249 |


### ბიბლიოგრაფია


| | | |
|---|---|---|
| 21. | **გ.—ლი**—ნიკო ლორთქიფანიძე—„მრისხანე ბატონი“ | 258 |
| 22. | **დ. გვაზავა**—„Большевик“ | 260 |
| 23. | **გრ. გიორგაძე**—„საბჭოთა სამართალი“ | 263 |
| 24. | **მ. ტ.**—„Карл Маркс в личной жизни“ | 265 |
| 25. | **მ. გ—ძე**—„საქართველოს მუზეუმის მოამბე“ | 268 |
| 26. | **განმარტებანი** | 269—271 |